

1956.



114

მნათობი

12

№ 5-6.

5

მთლიან



1956

მ ნ ა თ მ რ



სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 33-ე

№ 5

მაისი, 1956 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

რევაზ ჯაფარიძე — ჯარისკაცის ქვრივი, რომანი. დასასრული	85
მარია ბარათაშვილი — სოფლად, ლექსი	49
თამაზ ჭილაძე — წინური ფინჯანი; მატარებლის გველა; ლექსები	51
თინა დონუაშვილი — ალაზნის პირას, რომანი. გაგრძელება	52
სამუელ მოძღვრეშვილი — ბეჭედი, ლექსი	66
გრიგოლ ჩიქოვანი — რკინის ხიდი, ნარკვევი	67
ალექსი სურგავი — დრაკონის კიშკარი; წინეთის პეიზაჟი, ლექსები, თარგმანი კალე ბობოხიძისა	78
ლევან ხაინდრავე — ლოტოსის ყვავილი, მოთხრობა	79
მენრიკ იბსენი — უნგრეთს; ზემს მეგობარ თრატორ — რევილუციონერს, თარგმანი გერმანულიდან აკაკი ქვადლასი.	91
დავით სულიაშვილი — უცხო მხარეში, გაგრძელება	92
სანდრო შანშიაშვილი — გიგლა ბიჭი, ზღაპარი	97
ნაწიმი მიქეთი — ბაჰინელი მეთევზე; მკედარი გოგონა პატარა; აღამიანებს ნუ სპობს ღრუბელი; უიარაღო აღამიანები, ლექსები, თარგმანი ვასილ ლაფერაშვილისა	105
ზო ძიუ-ი — ლექსები, თარგმანი თამაზ ჩხენკელისა	108

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ირაკლი შიქლაძე — საქართველოს მრევლთა მემკვიდრე ხუთწლიდში	110
ალ. ხოსროვი — ხალხთა მეგობრობის დროში	119
გიორგი ყურაშვილი — საბჭოთა ხალხის უდიდესი გამარჯვება	126
სიმონ ჩიქოვანი — ტიციან ტაბიძე	130
გიორგი მარგველაშვილი — ირაკლი აბაშიძის პოეზია	133
გიორგი ნაღორაძე — ესთეტიკური განცდის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“	150
გელა გაბუნია — ოთარისა და მანანას შესახებ	159
დიმიტრი ქუმხიშვილი — ვაჟა-ფშაველას „ვეფხისტყაოსანი“	159

ხელოვნების საკითხები

ზორის პასტერნაკი — მოპენის შესახებ	170
ვერიკო ანჯაფარიძე — შალვა ლამბაძის	173

იხ. მე-2 გვ.



წიგნების მიმოხილვა



ვ. მეგრელიშვილი — ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ	175
შოთა ძიძიგური — იონა მეუნარგიას ლიტერატურული შემეცნებლობა	178
ალ. ხანაღირაძე — ალ. ჭეიშვილის ნარკვევები	180
ნაყო უიასაშვილი — „ცხოვრება ივანე მანაბლისა“	182
სიმონ არველაძე — გიორგი სალუქვაძის ლექსები	185
ბ. დარსაძე — მთაწმველელობა საქართველოში	187
შაქრო გომელაური — ალექსანდრე ყაზბეგი სცენაზე	189
ნ. მახარაძე — მათ ძე-დუნას რჩეულ ნაწარმოებთა პირველი ტომი	190

ახალი წიგნები

გარეკანის შესამე გვერდი

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

ს ა რ ე დ ა ქ ტ ო რ კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), კ. ლორთქიფანიძე, პ. რატიანი,
ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 6. ტელეფონი 3-23-42.

ზელმოწერილია დასაბეჭდად 5/VI-56 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. ანაწყოების ზომა
7 1/4 × 12 1/2, ქალაქის ზომა 70 × 108. ტირაჟი 6000. შეკ. 271 უე 04618

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიკამომცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



ზარისკაცის ქრივი *

რ მ მ ა ნ ი

XX XVII

ბაბუა იორამი ჩვეულებებისმებრ ნაბა-
ხუსევი იყო. ამ ხანს მიტანებული კაცი
სახლიდან ფეხს ისე არ გამოადგამდა,
ქიქა არაყი არ გადაეკრა და ხემსიც
არ დაეყოლებინა. არაყი ძარღვების გა-
სათბობად იყო საჭირო, ხემსი კი ძალის
მოსაკრებად. უხემსურ კაცს ბატის ჭუკი
წააქცევსო, — იტყოდა ხოლმე ბაბუა
იორამი.

დილით სატივეზე მიმავალმა მეზობ-
ლებმა ჩამოუარეს თოფილას და იმ
ერთს მეორეც მიიყოლა. სანამ არის,
არაყი უხდა დაილიოს, რას იზამ, წლის
მოსავალია! კიდევ მობრუნდება წელი-
წადი, აგრე კი არ არის საქმე! ცხადია,
ეს ასე იქნება, ამაზე ეჭვი ნუ შეეპარე-
ბა ვისმე. თვალი უხდა ამას, ბაბუ, თვა-
ლი, უთვალოდ კი ვერაფერს გააკეთებ.
ბაბუა იორამს თვალიც უჭრის და ყუ-
რიც, თავისი ხელით გაუყრიდა მახათის
ყუნწში გასანთლულ ძაფს, მაგრამ ხე-
ლის კანკალი უშლის. ხელის კანკალმა
საყვარელი თოფიც შეაძულა. ეს ათი-
ოდე წელიწადია, რაც ნადირობას მო-
ეწეა ბაბუა იორამი.

იმ დღეს მართლა ქვეიანურად ამბობ-
და მაკარა, დრო ყველაფერზე უფრო
მაგარია, ვერცხლსაც ცვეთს და რკინა-
საცო; ოღონდ ეგ არის, გული კი ვერ
დააბერა ამ სატივალე დრომ. ზემოთ რომ
მოთოვა, გული აღარ უჯერებს, რომ
მუხლები დაჟდაბუნდა. თოფილა სულ
იმას ემუდარება, მეზობლებში თავს ნუ
მჭრიო, დაწვეი შენთვის მზის გულზე,
დაისვენე, ეზო-ბაბუემ ველარ დაგიტიაო?
ეეჰ, ვისთვის ცერცვია და ვისთვის ცეც-

ხლიაო! ვერ ისვენებს საბრალო ბერი-
კაცი, ვერა! ეს მერამდენე გაზაფხული
მოდის, ვენახში შესვლა უხდა, ერთი
ძველებურად დაატრიალოს ბარ-საწე-
რელი... შესვლით კი შედის, მაგრამ ვაი
მაგ შესვლას! თარიოდე თოხიჭბირს გად-
მოაბრუნებს და მერე მთელ ღამეს
თეთრად ათენებინებს წელის ტკივილი.

რძალი, მართა ევიჯღლინება, ახიაო,
ჩაყვირის მოხუცს. ბიჭი თავში ხელს
იცემს, კოჭლი ფეხით სოხანეს ზომავს
და გაიძახის, მოვიჯაყე კაკალი კაციო.

სერგოს ელიმება უღვაშებში, სულ
მულამ ბაბუას მზარე უქირავს. იმან
იცის მოხუცის მულამი. ექიმიც რომ არ
გამოსულიყო, იორამის შვილიშვილი
ისე კი ვერ მიხედებოდა? ერთი, ნავათ
რომ უგდოს კაცმა კიდევ ყური! დეე
მთელმა ქვეყნიერებამ იტოლეს, რომ ბა-
ბუა იორამი სულლებითაც არ აპირებს
სიკვდილს. თავი მოუკვდეს თუ ასე არ
იყოს ეს! სერგოს ბალობიდანვე ეჩიჩი-
ნებოდა, შენს ქორწილს მოვესწრებო.
რა, არ მოესწრო? იორამი სიტყვიან კა-
ცია. მერე რა, ხანდახან ეს ქარები რომ
წამოაქცევს ხოლმე დასაკლავ უშობე-
ლივით! წამოაქციოს მერე, ვისი რა საქ-
მეა! ვითამ რამდენ ხანს ამყოფებს ასე!
სულ ერთია, ბაბუა იორამი ხეალ ადგე-
ბა, ხეალ თუ არა — ზეგ, ზეგ თუ არა —
მაზეგ. ბოლოს მაინც ადგება და იკი ყო-
ველთვის დგება კიდევ!

ეჭვი, ყმაწვილებო, მიუხედილთ სასუს-
ტეს ბაბუა იორამს, ახლა აღარაფერს
ეკითხებით, თითქოს არც კი იყოს აქა?
კარგი იორამი, რომ ტივს შეკრავდა. თუ
გინდა, ტრაპიზუნდამდე გაყოლოდი,
ქიმი დაშლიდა თუ ტალა გაუბედავდა

* იხ. „მნათობი“ № 12, 1955 წ., № 4, 1, 2,
3, 4, 1956 წ.

გადაბრუნებას! ახლა თქვენ, ორმოცი
კაცი რომ მისევიხართ ორ ჯოხს და ნა-
პირზე ვერ გადმოგიტოვებიათ, სირცხ-
ვილი არ არის? იყო დრო, მაგ საქმეს
მარტოდმარტო უძღვებოდა ბაბუა იო-
რამი. აბა ყვეარი ხარი სად ჰყავდა, რომ
ლუხუნიადნ — მორები ეთრია, უფრო-
სებს აღარაფერს ეკითხები, ბაბუ და ვერ
წავივით საქმე წალმა. ვნახოთ აგერი იო-
რამი კიდე დიდხანს იცოცხლებს და გი-
ყურებთ სიერს, ცოტა კიდე წამოგეხ-
მარებათ. კიდეც რომ დაიკვებნოს, გულ-
ხელს დავიკრებო, მაინც ვერ დაიკრებს.
თუ მოჰკლავს, ისეც ეს ოხერი უსაქმო-
ბა მოჰკლავს და მოინელებს, მაგრამ
იორამი ცოცხალი თავით არ დანებდება,
სანამ პირში სული უდგას. დიდს თუ ვე-
რა, პატარა საქმეს მაინც გააკეთებს,
პატარა საქმეც დიდია.

— ეგ საგორავენი რომ შეუყენეთ
ტივებს და რიყეზე გადმოაშლივინეთ,
ვისი მოგონილია თუ იცი! აბა, არ გახ-
სოვთ? ხერხი უნდა საქმეს, ბაბუ, ხერ-
ხი! ღონე სპილოსაც დიდი ჰქონია, მაგ-
რამ მონადირეების ორმისში რომ ჩა-
ვარდება, ჩახვავდება საცოდავად და
ელის, აბა რადის მოვლენ, ყელს რო-
დის გამოშვრიათო. სერგოს ჰკითხეთ,
იმან უკეთ იცის ამისთანა ამბები.

ეჰ, რას იზამ, ბაბუ, საქმე ლამაზი ჭა-
ლივით არის, ექვიანი. თუ შეგატყო,
თვალი სხვაგან მიგირბის, არც ის
გიცდის დიდხანს, გამოგეცლება ხელი-
დან და დამრჩები ხახამშრალი. აგრე
იცოდა ბაბუა იორამმა, თქვენი მოგო-
ნილი კი არ არის ეს! ვითამ იმასაც უნ-
დოდა ხელი წამოეკრა, რამეზე მოგხმა-
რებოდათ, მაგრამ რაკი არაფერში გქირ-
დებათ, თქვით მაინც, თქვე მამაცხო-
ბულებო. მზე გადაიხარა. სადაცაა მოსა-
ლამოვდება და ერთი მითხარით, ამ
ციცაბო ბილიკზე თქვენი თავი უნდა
ათრიოთ კუნაბეტში თუ ბაბუა იორამის
ძვლები! არ ჯობია, თავით გაუდგეს
გზას?

— ეეი, თოფილა! მივდივარ მე!

არ გესმის? არავისაც არ ესმის. რას
იზამ, აგრე იცის საქმეში!

— სერგო, ბიჭო! მივდივარ მე.

არც ამას ესმის. მაშინ კარგი იყო ბა-
ბუა იორამი, საქმე რომ გავიხარხარა?
კარგი, კარგი, იქ ამოხვალთ ყველა. ამ
ციცხლს დატოვებენ ნეტა თუ... დატო-
ვებენ, წყალს ხომ არ მოეკიდება!

— გოგო, თინია! — უკანასკნელად გას-
ძახა ბაბუა იორამმა და როცა საერთო
ყიენისა და ორომპრიალში მისი ხმა
კიდევ ვერაფერს გაიგონა, ჩიბუხის ტარი-
კვლავ წალდივით გაიხარა ქამარში, ყა-
ვარჯენი მოიმარჯვა და მარტოდ მარ-
ტო გაუყვა რიყეს.

ასე სჯობია. სანამ დაღამდებოდეს,
პიშკრამდეც მილასლასდება, მაგრამ თა-
ვი მოუკვდეს თუ თქვენს შორის ერთს
მაინც გაანდეს იორისოდენა ჰქუა!

თქვე მამაცხოვნებულებო, ვინ გაიგო-
ნა შუა ზამთარში ტივების დაცურება,
ამდენი დახერხილი მასალა მაინც არ
ელავოს ზედ! რა ბუნჯანკალი ავაჯდათ,
რას ესწრაფებით, ეს თოვლი აღარ გად-
ნება? გადნება თოვლი, ტყესა და ღრეს
წამოიღებს. ტივი კი არა, გამოზაფხულ-
ზე, თუ გინდა, ვაგონები გამოატანე,
დაბარებულებით მოგივლის ლაბაძე-
ების ხრამის ძირში...

— ბიჭო, რომელი ხარ მანდ, რას
შვრები მაგას, შე არაწმინდა! კისერი ამ
მოიტეხო, ან ღმერთს რას ეუბნები, ან
ხატს! ადექი, ბიჭო, ზეზე, მოდი აქ, მო-
დი აქ თუარა, ცხოვნება აქვს მამაჩემს, მე
შენ ზურგი ავტყრელო ამ ჩიბუხის ტა-
რით! რას ქირჭილობ, შე არაწმინდა,
შენ, შენი სანაცილო გავხდი დროული
კაცი? გესმის თუ არა! შენი გამოდევნე-
ბის თავი არა მაქვს, გზიდან არ გადმო-
მიყვანო თუარა, თუ გადმოვედი, იცო-
დი, შავ დღეს დაგაყენებ. არ დგები?
ამ სიტყვებზე ბაბუა იორამმა მართ-
ლა გაიძრო ქამრიდან გრძელტარა ჩიბუ-
ხი და მყივანა ხმით გასძახა:

— არ გეყურება, რას გელაპარაკები?
აბა სად წახვალ ახლა!

— უჰ! შეგარცხვინა, ბაბუა, ღმერთმა
ბერიკაციის ამისთანა შეწუხებისათვის!
რამსიღრმე ყოფილა მაინც ეს დალოც-
ვილი, ნაბუქია თუ რა ყოჩაღ, ბანდუ-
ლებო! ეს რომ ტუფლ-კალოში ყოფი-

ლიყო, ფანრით ვერ მოქებნიდი გათენებამდე“.

ამდენ ფაფხურში ის დამთხვეული ბიჭი კიდევ მოუსვამდა და ვაი ჩანაირად გაგასულელა, შე უბედურო! წადი და სდიე, რამდენიც გენების! რას ერჩოდი, ეხტუნავა, რამდენიც უნდოდა. მერე რამხელა ხრამში გადმოხტა ეგ წყეულო! ნაბუჭი თოვლი რომ არ დახვედროდა, სული აღარ დაჰყვებოდა დედამიწაზე.

„ბიჭოს, აგერ არ ყოფილა!“

— აბა მანდ დამიციადე, მანდა! — ახლა უფრო თავი გაიმხნევა ბაბუა იორამმა და ხელახლა წელამდე ჩაფარდა ათოვლში.

აქ კი ფერი ეცვალა: ქურქიანი ბიჭი გაუნძრევლად იწვა.

„ნამდვილად დამტვრეულია ეს უბედური!“ — გაიფიქრა მოხუცმა და გზა კიდევ უფრო გაჭირვებით განაგრძო.

როგორც იქნა მივიდა, თავზე გადაფარებული ქურქის კალთა აუწია.

გრძნობადაკარგულ ყმაწვილს სახე ათოვლში წაერგო.

იორამი ნიდაყვებით დაეყრდნო თავისსავე მუხლებს და გადმოაბრუნა.

ყმაწვილი უცნობი იყო.

— მიშველეთ, ვინა ხართ კაცი ქრისტიანი! — დაიხავლა მოხუცმა წამოსივებული სახის დანახვაზე, მაგრამ მისი ხმა თოვლმა შთანთქა და ამ ადგილს არ გასცილებია. კიდევ რომ გასცილებოდა, მერე რა! მეტივეები შორს იყვნენ, აქედან თოფის გასროლასაც ვერ გააგონებდნენ. თინა მინც ყავდეს ახლა აქ, სერკოსთან გაეგზავნებოდა...

თავისი სიძაბუნით თავზარდაცემულმა იორამმა ღონიმიხილი ყმაწვილი გულადმა დააწვინა და როგორც ნადირობაში უბედური შემთხვევის დროს იცოდა, საფეთქლების ზელვა დაუწყა. მინც არაფერი გამოვიდა. ყმაწვილი კიდევ უფრო ჰკარგავდა ფერს.

მადლობა ღმერთს, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. თოვლით სახის დახველამ თანდათან ფერზე მოიყვანა ყმაწვილი. ბაბუა იორამი ცას ეწია სახარუ-

ლისაგან. აბნეულ-დაბნეულად ექედურტულებოდა რაღაცას, თითქო შვილიშვილის შვილის ენის აზრდგას აუწყლოანიბებოდა. თუმცა დიდხანს იყო მას შემდეგ გასული, რაც იორამ ლაბაძეს სასწაულისა არაფერი სჯეროდა, ახლა ის დროდადრო მინც ურთავდა უთავბოლო ლაპარაკში, რომ ეს ნამდვილი სასწაულად იყო. სასწაული რომ არა, საცოდავი ბიჭი სულს დაღევდა უპატრონოდ და თოვლის აღებამდე, სანამ აქეთ საქონელს არ ჩამორეკავდნენ, მის ასავალ-დასავალს კაცი ვერ გაიგებდა.

„რომლის არის მინც, რომლის! — გული მოიცა იორამმა, როგორც კი ყმაწვილს უკეთესობა დააბყო, — ყურები არ უნდა დააწიწწნო ახლა ამას?“

მიროტაძის ვაებატონი კიდევ, საყვედურობს, ბიჭი დამიხრჩო კალისტრატემ, ისლა აკლია, ჯოხი გადაამტვრიოს ბეჭებზეო. ახია მაგათზე! ჯოხი კი არა, თუ გაუქლო, მარგილი უნდა გადაამტვრიო, მერე მოვა სრულ ჰქუაზე და მიხვდება, სად უნდა გადახტეს და სად არა!

ყმაწვილმა თანდათანობით გახსნა ქუთუთოები და მის სახეზე დახრილ მოხუცს გაკვირვებით შეხედა.

იორამი მიხვდა, რომ ხაფანგში მომწყვდეულ ოტროველას არ ექაშნიკა მისი დანახვა, იუცხოვა და მან ნაფიქრალის ხმამალა გადმოლაგება დააპირა, მაგრამ ისევ სიბრალულმა სძლია და ტკბილად ჰკითხა:

— ვისი ხარ, ბაბუ, ვისი?

ამ ხმამ შეაკრთო ზურია, რომელსაც იქნებ სიზმარში ეგონა თავი, ტუჩები მოკუმა და რადგანაც ერთბაშად მიხვდა, სადაც იყო, ღონივრად წამოიწია, მაგრამ ვერა, თავბრუს ხვევა და თვალების ბრწყვიალი განძრევის საშუალებას არ აძლევდა. ის უღონოდ დაეშვა თოვლზე და ცრემლები გადმოჰყარა.

— ვისი ხარ, ბაბუ, ვისი, ხმა ამოიღე, თუ გიყვარვარ! — ხელახლა შეაშინა მოხუცი ყმაწვილის სახის შეცვლამ და მდულარე ცრემლებმა.

ზურიას რაღაც სტკიოდა ყრუდ გულ-

გვამში, სულის ამოთქმა უჭირდა. ყველაფერს მოელო ბოლო, ყველაფერს, გემსაც, ნავსადგურსაც... „სადა ვარ, სადაა?!“ შესაბარალისად ლულულღებდა იგი და თვალბაწყლიანებულ მოხუცს სახეს არიდებდა.

— აქა ხარ, შეილო, აქა, ნუ გეშინია, ბაბუა იორამთან ხარ, — ჭაქანებდა პასუხად მოხუცი, რადგან ეგონა, სწორედ მე მეკითხებიანო, — აბა ზურგზე მომეკიდე, შენს გაზრდას, ბილიკზე გაგიყვანო. მერე სხეები მოგვეშველებიან. სერგოს გადავძახებ რიყეზე, წუთში მოგარჩენს თუ რამე იტყინე. შეგარცხვინა ღმერთმა! ამ სიმაღლიდან გადმოხტომა რა თამაშობა იყო, თუ კაცი ხარ, სალორის თავი ხომ არ გეგონა! ამას ლაბაძეების ხრამს უძახიან, ბაბუა, აქედან შენი შტერი გადმოვარდა. ალბათ მეტივეებთან მიდიოდი, გზა დაგებნა, ხომ? წინათ ასე უხვევდა ბილიკი, მაგრამ მეწყყერმა დააქცია აქაურობა. ხომ იცი, ძირს წყალია და... ეს ოცი წელიწადია ამ გზით აღარ დავდივართ, შენ რაღამ მოგაგონა! ყურის ძირშია, შეკაცო ბილიკი, ეგერ. ე! რაღა ხრამში გადმოხტი! ქვევით კიდევ, რიყეზე, მიამუნებს კი არ ათამაშებენ. ტივები ჩამოაცურეს ამ შუა ზამთარში. ბაღს ვაშენებთო ბოსლებისთვის გვეპირდებაო, მანქანებიანი ბოსელი გვირდაო. შენ და შენი ამფსონები რომ შეიბუშლებით, ალბათ უარესსაც იზამთ. შენ მთლად გაყინულხარ, ბაბუ, წამომეკიდე აბა! აბა ჰე, ჩქარა, შეკაცო, ნუ გრცხვინია!

— არ მინდა, ბაბუა... წამოვალ... — დაიკნავლა ტკბილი მოხუცის სიტყვებით იმედმოცემულმა ზურიამ და მის მკლავს დაეყრდნო. ტკივილმა ერთხელ კიდევ გაჰკრა სადღაც შიგნით და სიმწარისაგან სახე მოედრიცა, მაგრამ ფეხზე მიინც წამოვდა.

— შენი ტოლები რახანია ჩამოვიდნენ რიყეზე, — განაგრძობდა იორამი და გზას მიიკვლევდა, — წავიდეთ ახლა შინ, რაკი ღმერთმა ინება და შენი თავი გვაჩუქა.

ზურია მორჩილ კრავივით მისდევდა

ბაბუა იორამს. ჩოხისათვის, რომელიც იმ დღეს თბილისიდან ჩამოსულ პრუფესორ გველესიანს ეცვა, ხელი ჩაეწვლო. ცდილობდა, მაგრამ ვერაფრით ვერ ატანა აზრი კეთილი იორამის გაუთავებელ იწილობიწილოს, ავიკვიკებულ მოხუცი თითქოს ვიღაც სხვისთვის ლაპარაკობდა. ზურია ამ რუხი კალთის, თოვლისა და გაშიშვლებული ლოდების მეტს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ეს უსულო საგნებიც დასცინოდნენ თითქოს. მას ეჩვენებოდა, რომ სულ ახლოს, ძალზე ახლოს, ვიღაც ყურისწამლებად უსტვენდა. მიიხედ-მოიხედა. წინ მიმავალი კეთილი მოხუცი კიდევ რაღაც გაუთავებელს ჰყვებოდა, ძირს კი ლუზუნია ხოდა და ლალად მიიკლავებოდა იწროებში. გაღმა მატარებელმა დაიკვილა. ხევის პირს ბოლი გაეკრა. მოსახვევიდან ხოქოსავით შავი ორთქლმავალი გამოიჭრა, შემზარავი ბლავილით შერგო თავი რკინის ბოგირზე. საფოსტო ვაგონი, შემდეგ საბარგო... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...

— ა, გავედით აგერ, ახლა ბილიკია, — მოიხედა ბაბუა იორამმა, — მარა... მე რომ ის ვიყო... დედაშენი ან მამაშენი რომ ვიყო მე, ცოტა ყურს აგიწევდი და... მეორედ აღარ იზამდი ამას. წამოდი ასე, მომყევი! მაგრად მომკიდე ხელი! ახლა შენ ბებერი ხარ და მე ყმაწვილი. მამიყევი ახლა, სად მიდიოდი? ლაპარაკი არ იცი?

— ვიცი.

— ყოჩაღ! ლაპარაკი გეცოდინება აბარაი!

ზურია ისევ უხმოდ აედევნა.

— საღ მიდიოდი მაინც, რატომ არ გინდა თქვა?!

— იორამ ბაბუა...

აქოშინებული მოხუცი შეჩერდა, მოიხედა, ჩაბალახზე ხელის ზურგი აიკრა და გაოფლილი შუბლი გამოაჩინა.

— ეისი ხარ?.. მაკალე, მაკალე?! შალიოს ბივი არ ხარ შენ, მინდელის?

— დიახ, — თავი ჩაღუნა ზურია.

მოხუცს პასუხი მოეწონა, მაგრამ მაინც მკაცრად განაგრძო:

— მერე რა გინდოდა აქა?

— არაფერი.

— არაფერი? არაფერი რას ქვია ზომ იცი შენი!

— რიყეზე მივდიოდი, — იცრუა ზურამ და იგრძნო, რომ ყურები ქარხალივით გაუხდა.

— მერე გზა არ იცი აქაურმა კაცმა?

— შემეშალა.

— აი შე არაწმინდა, შენი ეგ არის თქვენი გუჯარ-სიგელი! რამეს გააფუქებენ და „შემეშალა“! კისერი რომ მოგეტეხა, რას უპირებდი დედაშენს? კალისტრატეს მოწაფე ხარ?

— არა.

— გეტყობა! მოიცა, მოიცა! რა მოგივიდა, ბიჭო! აი შე გლახა! მოიცა... მშ... სერგო! — მთელი ძალღონით გადასძახა მოხუცმა რიყეს და ზურამს ღონიერად ჩაეღო ხელი. ზურამ მთლიანად მიენდო ამ ხელებს და ნელა დაეშვა თოვლზე, — რა დაგეშართა, გტკივა რამე? — ისევ ჩასძახა ბაბუა იორამმა, — თქვი, აღარ გაქვს ლაპარაკის თავი?

ზურამ ფერდზე მიიღო უფერული მუჭი და თვალები დახუჭა.

— ვაი შენ ჩემო თავო... თოფილაა!.. დაგაყრუათ ჩემმა გამჩენმა! თოფილაა!.. სამხად სახლში ზურამ ხელახლა მოეგო გონს.

აქოშინებულმა მოხუცმა, რომელმაც რიყეზე ვერავის გააგონა, ჩვილი ბალივით ატატებული მოიყვანა ის აქამდე.

ზურამს თვალწინ თეთრმა თავსაფარმა გაიღვრა. სოხანეზე უწესრიგო ფეხის ხმა ისმოდა.

ისევ იორამ ბაბუას უქირავს იგი ხელში, თუ დააწვინებს რამეზე?

კერიის ჯაჭვზე ბოლით გამურული კარდალი ეკიდა, ზურამ ამით მიხვდა, სადაც იყვნენ.

მაგრამ სერგო სად არის ან მაყვალა? იქნებ ყველანი აქ არიან, მაგრამ ზურამ ვერ ხედავს! ალბათ ცუდადაა მისი საქმე, რაღაც დაუშავდა და ცნობიერება მთლიანად აღარ უბრუნდება.

— წავალ, ბატონო, ახლავე ლოგინს

გავუშლი! — ისმის სამხადში ქალის ხმა.

ვის ეუბნებიან ამას? სად უნდა იქნებოდა ბუა იორამი, რომელმაც ზურამ აქამდე მოიყვანა.

— შემომხედე, ბაბუ, შემომხედე! — ეხვეწება ვიღაც და ნიკაპს უწევს, — უკეთ ხარ ზომ? ახლა აღარა გიჭირს რა?

ზურამ უანგარიშოდ უქნევდა თავს და ახლა კი სცნობდა, რომ ეს ისევ ბაბუა იორამი იყო. მოხუცი ფეხს აღარ იცვლიდა ადგილიდან, კიდეც რაღაცას ელაპარაკებოდა.

კარი გაიღო. სამხადში კიდეც შემოვიდა ვიღაც და ირგვლივ ისევ განათდა ყველაფერი დღის თვალისმომჭრელი სინათლით. არა, არა, არ უნდა ზურამს ქამა, ჯერ გამოიძინებს და მერე... სამხადის კარი ხელახლა იღება. მოხუცი ზენესის და გზადაგზა ეკითხება ვიღაცას:

— თავდაპირველად ადგებოდა, ჩაქცეული რომ ქონდეს რამე?

ზურამს არ ესმის შეკითხვის აზრი, თორემ ძალიან შეეშინებოდა. რატომ ეძალება ასე ძილი, რატომ ურჩევნია ავალის მიღუღვა ახლა ყველაფერს?

„ფულს კიდეც გიგზავნით... ოდა ააშენეთ...“ — ჩურჩულებდა ზურამ, ბორგავდა ცივ ლოგინში და ვერ მოეგონებინა აქ როდის ჩააწვინეს. ეტყობოდა ცისფერი ნათურა ენთო ოთახში, რადგან უკვე ღამე იყო. ყველაფერი, რაც ირგვლივ იღვა, საოცნებო ფერებს მოეცვა. ვეება ცისფერი გემი სწორედ ახლა გადის ოდესის ნავსადგურიდან. ნაპირზე დარჩენილი აუარება ხალხი ხელებს იქნევს და რაღაცას უყვირის გემბანზე მდგომთ, მაგრამ ზურამს არ ესმის... ახლავე ადგება და გაიპარება აქედან. რაც კოტა ჰაერია ოთახში! თითქოს ჰაერიც ვანჯინასავით მდგარა კუთხეში, მერე ვიღაც მოსულა და აივანზე გაუტანია. ზურამ ამოიოხრა და სახით ჩაქმუქნა რბილი ბალიში.

ერთი წუთის შემდეგ მას ღრმად ეძინა.

XXXVIII



დაგვიანებით მიღებულმა წერილმა ხათუნა გამოაცხადებდა, მაგრამ როგორც კი ბოლომდე ჩაიკითხა იგი, ცრემლი მანც დაეცა და თვალზე.

დედა ოჯახის ამბებს იწერებოდა, წერილმანებს. მერცხალას ხბო მოეგო. გასულ პარასკევს სპირიდონს ცხენი გაეყიდა. ჭრელ დედალს ჩვიდმეტი წიწილა გამოიჩიკა, რვა კვერცხი გალავებულყო...

მოხუცების წერილ-წერილი ამბების გაგებამ ხათუნა ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ ცხოვრება მას არ უცდიდა, თავისი გზით მიედინებოდა მშობლების ოჯახში. ეს ასე იქნებოდა, თვითონ რომ იქ დარჩენილიყო და ასეა, როცა არ დარჩა. თითქოს არავითარი განსაკუთრებული აზრი არ ენიჭებოდა მის არსებობას.

დედა საიდუმლოდ იწერებოდა პორფილუ ჩინჩალაძეზე. ეს უკანასკნელი ზესტაფონს გასცლოდა და სადღაც გამგზავრებულიყო. კალოსუბანში ხმა დატრიალდა, პორფილუს დანაკლისი ჰქონდაო, მაგრამ ეს არ გამართლებულიყო.

შემბრალე დედა, რომელსაც ყველაფერი ამინებდა, ერთადერთი შეილი უნებურად არ გავამწართო, არც ამის თაობაზე იწერებოდა ყველაფერს გარკვევით და გასაგებად. ვინ იცის, შეიძლება მანდაც არის, ზესტაფონში რაღაც დაუქადნიანო; თუ რამე გაგიჭირდეს, დეპეშა აფრინე და მამა წამოვიანო...

საჭირო იყო საპასუხო წერილის დაწერა, მაგრამ ხათუნას აზრი ვერ მოეკრიფა. რა ჰქონდა მისაწერი? შალიკო ჰყავდა ძალიან ავად... სახლი დაზიანებულია და თუმცა ამ ბოლო დროს გამოიამინდა და შეკეთება სასწრაფო აღარ არის, გაზაფხულის პირის ალომდე მაინც უნდა შეაკეთოს. კიდევ? რომ ზაქარამ და თეოფილემ სთხოვეს სახლის შეკეთებამდე თავი ჩვენთან შეაფარეთ? რა საჭირო იყო ეს, როცა ორივეს უარი უთხრა...

ეს სულ ორიოდ პეკარიად-ფურცელს ვერ ააყვებ. მიუხედავად ამისა, ის მაინც დაჯდა წერილის დასაწერად, მაგრამ ამ დროს ზურიას მაგივრად სერგო მოვიდა და ბავშვის ამბავი მოიტანა, უქეიფოდ არის, ჩვენსას წევს და ჯავრინუ გექნებაო.

სერგო თუმცა გულით ცდილობდა ყველაფერი იოლი ფერებით დაეხატა, თვითონვე გაუკვირდა, რომ ხათუნას სრულებითაც არ შეშინებია. ქალი მაშინვე გააყვა მას და მთელი შორსმოსაკლელი გზა ხმისამოუღებლად გაიარეს. ლაბაძეების უბანს რომ მიალწიეს, სერგომ შეატყო, რომ ხათუნა ერთბაშად გამოიქცვალა, მოუთმენლობა დაეტყო, თითქო მხოლოდ ახლა მიმხედარა, რაც უთხრესო.

— მართალი გამაგებინე, სერგო, უკირს რამე? — იკითხა მან.

— არა, ხათუნა, გენაცვალე; აგერ არ მოგიყვივი?

— ყური ვერ დაგიგდე.

— თოვლზე დასრიალობდნენ და პატარა ბექზე გადავარდნილა.

— მარტო ის?

— არ ვიცი. მგონი სხვებიც იყვნენ. მე მეტიფეებთან ვიყავი და ბაბუაჩემმა ძლივს გამაგონა.

— მართალს ამბობ?

— მაყვალას ვფიცავარ...

სერგო გაწითლდა. კიდევ კარგი, რომ იქიდან აქ ჩამოსვლაში კიდევ დაბნელებულიყო.

ზურიას სიმსივნე დასცხრომოდა. ახლად გამოღვიძებული ლოგინზე იჯდა და ქაფქაფა ჩაის ზარმაცად შეექცეოდა. იქვე მოკალათებულიყო თავშიშველი იორამიც და გაცხარებით ჰყვებოდა რალაცას. დაღლილ-დაქანცული თეოფილე გამალებით ვახშობდა, ხელუბდაკაპიწებული მართა კი ზურიასათვის გამოცხვარ ცხელ ხაქაპურს სჭრიდა ფრიალა თეფშზე.

ლია კარის ზღურბლზე გამოჩენილ ხათუნას ზურიას მეტი არავინ დაუნახავს; მაგრამ როგორც კი მჯდომარეს

თვალი შეასწრო, მოეშვა, მაგრამ მერე ძალა მოიკრბა და სანამ საკმლით პირგამოტენილი თეოფილე ხელების მშრალებით წამოდგებოდა, ის თითქოს ვილაკისაგან ნათხოვარი ღიმილით შევიდა ზალაში.

ზურამ დაირცხვინა. სამაგიეროდ იორამი ალაპარაკდა. ყმაწვილი თავჩაღუნული იჯდა და ყურს არ უგდებდა მას. კიდევ კარგი, რომ სინამდვილე არავინ იცოდა.

მართას შეოჯახე ქალად თელიდენს საკაურაში. მისი მსუქანი სახე და სრული ტანი გამუდმებულ ზრუნვასა და მოუცლელობაზე მეტყველებდნენ. არ შეიძლებოდა მართასთან რაიმე სათხოვარზე მისული მეზობელი გაწილებული დაბრუნებულყოფის შინ. მარტოდენ კეთილ გულს აბა რის გაკეთება შეუძლია! მართას ოჯახს წელი მოსდევდა. ოდესღაც მრავალრიცხოვანი ჯალაბი ამ დაუღალავ ქალზე იყო დამყარებული და შინაურებს დიდი მორიდება ჰქონდათ მისი. თეოფილე ჯოხს არ გადასდებდა ერთი ადგილიდან მეორეზე მართას დაუკითხავად. ასე გასინჯეთ, თვითონ ბაბუა იორამიც თვალეში მიჩერებოდა რძალს და სულ იმას ცდილობდა, რაიმეთი ესიაშოვნებინა. თქმაც კი იცოდა ხოლმე ბაბუა იორამმა — მართას რომ ადამიანი წარბს ვერ გაუმართავს, ერთი გამაგებინეთ, მაჩვენეთ და გეტყვით, რა ადამიანიც იქნებაო.

მართა დამნაშავედ გრძობდა თავს ხათუნას წინაშე, მაგრამ თავის მართლებას არ დაუწყია ახალსულის აქამდე მოუნახლებლობის გამო. ის კი გაატარა სიტყვაში, შენს ჩამოსვლას ამ ბიჭის ამბავი დაედარა მინცდამაინც, მაგრამ რაკი ყველაფერი მოთავდა, აწი შე ვიციოდე და შენო.

ხათუნა წასვლას ჩქარობდა, ბავშვები მარტო მყავს დატოვებული და, რომ დაგვაგვიანდება, ვაი თუ შეეშინდეთო, მაგრამ არაფერმა გასურა: ნახევარი საათი კიდევ მოიცადე, ახლავე იქნება ყველაფერი, ბერს არ დაგვაგვიანებთო, — ირწმუნებოდა მართა.

ხათუნას ეძნელებოდა გაჩერება, მაგრამ ხათრი ველარ გაუტეხა და დატრია.

დიასახლისმა ერთხელ კიდევ გაუძეორა მას, თოფილამ ყველაფერი მიიხრა და აბა შენ იცი, თუ არაფერზე მოგვერიდებო. ისე მოდი, როგორც შენს საკუთარ ოჯახშიო.

ასე ხშირად ამბობენ, მაგრამ მართას გაბადრულ, ოდნავ დასვედიანებულ სახეზე ხათუნამ ამოიკითხა, რომ ეს სიტყვები გულწრფელი იყო. მას მადლობის მეტი აღარაფერი დაჩენოდა.

— ბიჭს ნუ გაუწყრები, ჩემო, — განაგრძობდა მართა, რომელიც, მიუხედავად ტანის სისავისისა, სელის სკამის კიდზე იჯდა და გულხელდაკდობილი ხან ხათუნას შეხედავდა და ხან ლოგინიდან ახლადწამომდგარ ზურიას, — ბავშვი რის ბავშვია აბა, თუ არ ითამაშა და არ იმასქნა... წლოვანებით პატარა არის, ჩემო, ჯერ, მარტო ტანი აუყრია, ტანს რა კეუა აქვს! მოგსწრებია შვილები, ხათუნა, შენც მალე გეშველება, რავარც მე შეშველა აგერ... ცოტა კი არ ვიწვალე. ზოგს ეადვილება, მაგრამ ძნელია შვილის გაზრდა, ხათუნა. საქმე ის არის, რომ გაგიმართლოს, გაწეული ამაგი წყალში არ ჩაგიცივიდეს, თუ ღმერთი შეგეწია, მერე ამას ნუ ჩათვლი ნურაფრად, ვითამ არაფერიც არ ყოფილა, შრომამ უნდა გაგიმართლოს მხოლოდ... დამიღონდა ბიჭი, მტრედი გაუფრინდა, ჩემო, — მავიდის მეორე მხარეს გააპარა წვრილი თვალები მართამ, რომლის ხმასაც თავდაპირა და სიამაყე არ აკლდა, — ამაზე უფრო ის მეცოდება...

— ნუ იცი, დედა, მაგრე ლაპარაკი, რა დროს ეგ არის ახლა! — ყმაწვილივით აუფაქლდა ღაწვები სერგოს და წამოდგა.

ხათუნას ღიმილი მოერია, თვითონაც რალაკის თქმა მოუნდა. ნეტავი ამათ! რა უჭირს ან სერგოს ან მართას ან სხვას... ქვეყანაზე კეთილი დაუთესიათ და ახლა დამშვიდებით იმკიან ამ სიკეთეს. თვითონ კი, თვითონ? განა მას და შალიკოს რაიმე დანაშაული ჩაუდენიათ, ასე შეუბრალებლად რომ იძია შური

ბედმა? განა ამ თბუთმეტი-თქვესმეტი წლის წინათ ისინიც ასეთივე სუფთა, უცოდველი არსებანი არ იყვნენ, როგორც მის ხელში გაზრდილი სერგო და ორი ოჯახის გაღმერთებული პატარა მაყვალა არიან? განა მათსავეთ არ უყვარდათ ერთმანეთი და ეჩვენებოდათ, რომ მარტოოდენ ამ სიყვარულით მთების შეძგრა შეეძლოთ? რა სიზმარივით ხანმოკლე აღმოჩნდა ყველაფერი, რა თვალის დახამხამებაში გაიარა იმ საზეტარო წამმა, რომელსაც ბედნიერ ცხოვრებას ეძახიან. ვინა თქვა ბედნიერება არ არსებობს ქვეყანაზეო. ამის თქმა მხოლოდ უგულო ადამიანებს შეუძლიათ. ბედნიერება არის, არის ნამდვილად, არის ისევე, როგორც ცა და დედა-მინა, მაგრამ ვაი რომ ყოველთვის წარსულშია იგი...

ხათუნა ისევ იღიმებოდა, მაგრამ ძნელი იყო მის სახეზე ამ ღიმილის შესაფერისი რაიმე აზრი ამოგვეკითხათ.

ეზოში გამოსულ მთელი ოჯახი გამოაკვა. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ყურბბანტურა მეძებარი აღერსიანად გაგორდა თოვლში და თათები მოუპაქუნა ზურის ქერქის ქალთებს. ზურია დაიხარა და თავზე ხელი გადაუსვა. ნასიამოვნებდნენ მეძებარი მთლად დადნა აღერსში.

— დაბრუნდით, თქვენი ჭირიმი, — ეს მეჭამდენედ მიმართა ხათუნამ მომყოლო, — თუ არ მოვკვდი... — დააპირა მან კიდევ ერთხელ გამოეთქვა ენით აუწერელი მადლობა, — თუ არ მოვკვდი, მართა ბიცოლა...

— გაჩუმდი, ჩემო, სიკვდილის თავი გაქვს ახლა შენ, — სიყვარულით გაუღიმა მართამ, — სიკვდილი და გადაშენება ჩვენს მტერსა და დამაწყევარს.

— მაგრე იყოს, ჩემო ბიცოლა. დაბრუნდი, თუ გიყვარდე, მთვარიანი ღამეა და სანამ ეს ღრუბელი ჩამოგვეპარებოდეს, იქნება ავასწროთ სახლში.

— დამე მშვიდობის, შენი ჭირიმი! ჩემო, თეოფილე! რომელი მიყვებით ახლა... თუ შენ წახვალ, სერგო?

— არა, ბატონო, არა, ნურცერთი ნუ შეწუხდება, რა გვიჭირს, ღირს ვართ.

— დაბრუნდი, მამა, მე გავუყვები.

— არა, არა, სერგო, შენ არ მომიკვდი!

— ფარანი გამოგიტანო, ბიჭო?

— მართა ბიცოლა, რას შევებით ახლა, მეორედ აღარ გინდა მოვიდე თქვენსას? სერგო მთელი დღის ნამუშევარია, მოსვენება უნდა.

— რა უჭირს, ჩემო ხათუნა, წყაროდე აკვებათ და მერე ქე დაბრუნდება უკან. ეგნატეს კარზე ღელე იყო გადაშვარდნილი, არსად ჩავარდეთ უცაბედად, ბაღზე გადააჩონიე, შევილო, სერგო!

— ვიცი. ეგნატეს კარზე არ იყო რომ გამოვიარეთ?!

ზურია უკვე ქასთან იყო გასული და მათ გამოსვლას ელოდა. როცა კომპარტან ფანარი გამოიტანეს, ის ხმისამოულებლად დაწინაურდა მთვარის შუქით განათებულ გზაზე. ცოტა მანძილი რომ გაიარა, უკან მოიხედა. დედა და სერგო ხმადაბლა მომუსაიფობდნენ. ზურიამ ისევ აუჩქარა ნაბიჯს. გრილი ნიავი საამოდ ელამუნებოდა წამოხურებულ სახეს და რაც უფრო შორს მიდიოდა ზურია, მით უფრო ნათლებოდა გონება, მით უფრო ემატებოდა მუხლს ძალა და გულს გამბედაობა. ლაბაძეების თბილ ოჯახში მოხვედრას მისი გუნებაც გამოეკეთებინა და ახლა აღარ აწვალდებდნენ ის სულისშემბუთველი, თითქმის უგუნური ფიქრები, რომლებიც გულს უწვრილებდნენ ამ რამდენიმე საათის წინ.

ზურია მიდიოდა და სული წინ მიუბოდა. ხელახლა ნახავდა უმცროს ძმებს, რომლებიც თითქოს დიდი ხნის წინათ დატოვა. დედაც აქ იყო, სერგოც, თეფილა ბიძიაც, იორამ ბაბუაც, კეთილი მართა ბიცოლაც, აქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ზურიას უყვარდა და რომლებსაც ნამდვილად უყვარდათ ზურია. მის დაკვირვებულ თვალს არ გამოჰპარვია ის გარემოება, რომ ხათუნაზედაც კეთილი გავლენა მოახდინა მართასთან მუსაიფმა. დედას თითქო რაღაც მოეშ-



ვა გულზე. ზურია ფრთებშესხმულივით იყო. ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალანად. ისევ ხელახლა დაიწყება ყველაფერი, ისევ ძველებურად. ხვალ კიდევ მივა სკოლაში, მერე ზაქარა მკედელს მიაშურებს და საქმეც სწორედ ისე გაიჩარხება, როგორც დედას უნდოდა. ალარც იმ წერილს დაეწერ, ალარც შემრცხვება,—სიხარულით ფიქრობდა ზურია და ახლა ზიზღის გარეშე კელარ ახერხებდა წელანდელი ფიქრების გახსენებას. აბა რა ვაქაცობა იქნებოდა დედისა და ძმების მიტოვება ასეთ დროს, ყველაზე ძნელ წუთებში!

ის შეჩერდა და უკან მოიხედა იმის გასაგებად, დედას და სერგოს ძალიან ხომ არ გავუსწარიო, მაგრამ მოულოდნელმა ფეხის ხმამ ისევ წინ მოაბრუნა. ოციოდღე ნაბიჯზე ვილაც მოდიოდა გახსნილი პალტოს ფრიალით. ეტყობოდა, ზემოდან მომავალმაც სწორედ ამ დროს შენიშნა იგი.

— ზურია ხარ? — დაირჩა სიჩუმეში. ზურიას გაუკვირა. ნუთუ ეს მართლა გვანცა იყო? სად მიდიოდა ასე გვიან! მიუახლოვდა.

— ვაი! — განცვიფრებით წამოიძახა მან, როცა წითელპალტოიანი თავშიშველა გოგონა შეიცნო, — მართლა გვანცა ხარ? სად მიდიხარ?

გვანცამ ეკვის თვალით შეხედა მას და თავიდან ფეხებამდე დაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— სად იყავი? — ჰკითხა ბოლოს მოზრდილი ადამიანის სიღარბაისლით.

— არსად, — გაუბედავად მიუგო ზურიამ, — მოვდივარ აგერ.

— ვინ არიან, გზაზე რომ ლაპარაკობენ?

— დედა და სერგო. მე და დედა თეოფილე ბიძიასთან ვიყავით.

— ასე ლამე? — გამომძღვლად შეაპარა გვანცამ და ხუმრობაგაშვებით დაფიქრებულს კვლავაც ეკვის ნაპერწკლით აუციავდა თვალები.

— რად ბრუნდები უკან, გეშინია ლამე სიარულის? — გამკილავად ჰკითხა ზურიამ.

გვანცამ ტუჩები მოპრუწა და თავი გაიქნია.

— აბა რად დაბრუნდები?

— ისე, ალარ წავალ.

— ხოო, როგორც გინდა.

— მე თქვენსას ვიყავი, იცი?

— როდის?

— ახლა.

— მერე?

— ბავშვები იყვნენ...

— მერე?

— მერე შენ არ დამხვდი და წამოვედი...

— იმისთანა საქმე გქონდა?

— შემომხედე ზურია? — ერთი წამით შეჩერდა გოგონა და ყმაწვილს მკლავში ხელი ჩაავლო, — მართალი მითხარი: შენ და უშიამ იჩხუბეთ?

— არა... ვინ გითხრა!

— მითხარი, ხომ იცი, მე უნდა მითხრა...

— არა, გეუბნები, არა!

— დაიფიცე!

— დავიფიცო? რატომ უნდა დავიფიცო, რა დაფიცება უნდა ამას!

— მაინც დაიფიცე.

— არ დავიფიცებ, გვანცა. მე არ მწამს დაფიცება. როცა ჩემი ნათქვამი რამე ტყუილი გამოდგეს, მაშინ დამაფიცე.

— არ მატყუებ?

— რა მაქვს მოსატყუარი. არ მიჩხუბია და ტყუილს ხომ არ ვიტყვი!

— კარგი, აბა არ ინანო, იციოდე!

— რა უნდა ვინანო?!

— მერე გაიგებ.

— რას მექადნები თუ იცი, ახლა შენც... შენ მე დაკითხვას ნუ მიწყობ, შენ ჩემი უფროსი არა ხარ!

— არა გრცხვენია!

— აბა რას მექადნები, ინანებო?!

— მე ეგ არ მინდოდა მეთქვა... მე...

— რა მე!

— შენ არ მეუბნები მართალს. შენ არც მე მენდობი. ეგ სირცხვილია, ზურია, მამას გეფიცები. მე მწამს დაფიცება... — ერთი წამის შემდეგ დაუმატა გვანცამ.

— თუ გწამს, გწამდეს, მე არ გეუბნები, არ გწამდეს-თქო... აგრე არ ვარგა. მე შენ სხვანაირი მეგონე, — ხმა გაეზარა ზურისა და თავისავე ნათქვამმა ისე დასწყვიტა გული, რომ თვალბეში ცრემლი მოაწვა, — მოდიხარ და მეჭადნები, ტყულს ამბობო... მე არ ვამბობ ტყულს!

— კარგი, ზურია, მჯერა, — ყმაწვილის ხმის კილომ დააგუნება უცებ გვანცა, — მჯერა. ვიცი, შენ ტყუილს არ იტყვი. მე სულ სხვანაირად გამომივიდა. ასე არ მინდოდა...

— გამოუვიდა! კი არ გამოგივიდა, შენ გეტყობა, ასე იცი ყოველთვის.

— რა ვიცი?!

— რა და, ყველას დამრიგებელი გგონია შენი თავი და ყველას ჰკუას ასწავლი. მაგრე არ ვარგა... ხომ არ გგონია, შენზე ნაკლები ჰკუა სხვას ჰქონდეს!

— კარგი, ზურია, შენ გეწყინა ხომ?

— მეწყინა, აბა არ მეწყინა? ჩემს ადგილზე შენ არ გეწყინებოდა? ისე მეუბნები, თითქოს იქ ყოფილიყავი და მე ტყუილს ვჩმახავდე.

— მე, ზურია, თქვენსას ვიყავი. სულ სხვა საქმე მქონდა. ხათუნა ბიცოლა არ იყო. პავლემ მითხრა ზურია არ მოსულაო.

ლაო. მერე პავლემ... დედა ზურისათან წავიდაო... ზურიაო... ხომ გაიგე ახლა!

— შენ თეოფილე ბიძიასთან მოდიოდე? — გული ოდნავ მოუბრუნდა ზურისა.

— ხო...

— მერე რატომ დაბრუნდი?

— შენ გზაში შემხვდი და იქ რალა მინდოდა!

— გვანცა...

— შენ კიდევ... თავი ჰკვიანი გგონიაო, ყველას ასწავლიო...

— მერე მართალი არ არის?

— იყოს, თუ გინდა, მართალი!

— აბა რა გინდა?

— არაფერი!

— ახლა ხომ გაიგე ჩემი ხასიათი. ჩემთან ჰადილი არ ჰქრის.

— არც მინდა! მე შენთვის უნდა მეთხოვა... ისა... უნდა... არ მინდა! დღეის ამას იქით ხმა აღარ გამცე, იცოდე! არ მინდა შენთან ლაპარაკი. მშვიდობით!

— გვანცა!

ზურია სახტად დარჩა. გოგონამ ყური აღარ ათხოვა მის დაძახილს და გატკეპნილ ორლობეში გზა სირბილით განაგრძო.

XXXIX

დროებით ბინაზე გადასვლა ჰაიპარაზე მოხდა. შაბათ საღამოს კანტორის დარაჯი ჩამოვიდა და ხათუნას ლოლადის დანაბარები გადასცა: ამაღამვე გამზადე, რაც გადმოსატანი გაქვს, ხვალ დილისათვის თეოფილეს გამოგიგზავნი მარხილითო.

დარაჯი მასინე გაბრუნდა, ხათუნასათვის მუსაიფი არ გაუბამს.

ხათუნა ჰევეითად ამოჰყვა მარხილს კოლმეურნეობის კანტორამდე, ქარითა და წვიმით დაძველებულ აივანზე გაუბედავად შემოვიდა.

მეორე სართულის მოზრდილი ოთახი, რომელიც მათ უნდა დაეკავებინათ, ყოფილი ჰოხსამკითხველო იყო, მაგრამ სასოფლო კლუბის აშენების შემდეგ

ჰოხსამკითხველო ახალ შენობაში გადაეტანათ, აქ კი სათესლე ხორბალს და გაუფშენელ სიმინდს ინახავდნენ. თუმცა ერთადერთი, საკმაოდ განიერი კარი წინანდელ საღამოს აქეთ ღია იყო, ოთახსა და დერეფანში ჯვალოს ტომარებისა და თავგისწამლის მძიმე სუნი იდგა.

ოთახი რომ თავის ჰკუაზე მოაწყო და დალაგა, ხათუნა სულ იმის შიშში იყო, მის ონავარ ბიჭებს არაფერი გადმოებრუნებინათ, არაფერი გაეტეხათ. ჰვემით მუშაობდნენ და იატაკის ყოველ გაბრაზუნებას იქნებ უსიამოვნებაც მოჰყოლოდა.

მთელი სამი თუ ოთხი დღე ისე გავიდა, რომ უმცროსები გარედ არ გამოუ-

შეი ბათუნას. თუ შინ იყო, კარს ურდულით უკეტავდა, თუ გარეთ გამოვიდოდა — რაზით.

ადამიანები, რომლებსაც ყოველდღიურად ხედებოდა, გულმოდგინედ ცდილობდნენ ხათუნას ამ უცხოობის გაქარწყლებას. ღამის დარაჯი რომ შეშას დააპობდა სამუშაო ოთახებისათვის, ნაჯახს კართან მიაყუდებდა და ერთ იღლია შეშას ხათუნასაც შეუტანდა. ასეთი იყო თავმჯდომარის ბრძანება და დარაჯიც ხალისით ასრულებდა მას.

ვიწრო დერეფანში გამუდმებული ფეხისხმა და ლაპარაკი ისმოდა. აქ ვის არ დაინახავდით დილიდან ვიდრე გვიან საღამომდე. მთელი კოლმეურნეობა რალაციის სამზადისში იყო. ხანდახან შენობა ერთბაშად დაცარიელდებოდა. თვითონ ბორისი გვიან ბრუნდებოდა სოფლიდან. ხათუნას კართან ჩექმების ჭრაქუნით გაივლიდა. საკვირველი იყო, რომ ამ ტალახსა და თოვლქყაპში ფეხი არსად უსველდებოდა.

სამშაბათ დილით წიფლისწყაროს მანქანა-ტრაქტორების სადგურიდან ორი ტრაქტორი გადმობობლდა, სოფლამდე გზა გამოიტანა.

ამოდენა თოვლიანობის დროს ტრაქტორი არავის ენახა საკურაში. ჯერ კიდევ სამჭედლოსთან მიგებებელი სოფლის გოგო-ბიჭობა გუნდად და გუნდად მოსდევდა. ტრაქტორები კანტორის წინ გაატარეს. მერე მათი ხმა ლაბაძეების უბნის მხრიდან მოისმოდა.

ფანჯრის მინაზე მიკრული პავლე და შალიკო აღტაცებით ადევნებდნენ თვალს დაღმართზე დაშვებულ ტრაქტორებს.

შალვა ტიტინებდა:

— ტრაქტორი დიდ გზას დახნავს, დიდ წითელ მარცვლებს დაჰყრის მერე დიდი წითელი ცხენი ამოვა.

და კისკისებდა თავისივე გამონავონით ფრთებშესხმული.

ხათუნა მოსუფენობდა. მან თოვლილსაგან იცოდა, რომ ტრაქტორების ნაადრევი გამოჩენა ახალი ამბის მომასწავებელი იყო, რადგან გონიერ ადა-

მიანს ახლა აზრადაც არ მოუვიდოდა საგაზაფხულო თესვის დაწყება წელამდე თოვლში. მისი ეს ეჭვი იმანაც განმართლა, რომ იმავე საღამოს გაიგო, ტრაქტორისტები ისევ წიფლისწყაროში წავიდნენ, მაგრამ ტრაქტორები აქ დატოვესო. ხათუნა იხსენებდა ბორისის ნათქვამს: მეკომეურების აყრა და ახალ საკარმიდამოზე მათი გადაყვანა ბოროტი ენების მოჩმახულიაო, მაგრამ მას დღეს ხელახლა უნდოდა ნამდვილი სიმართლის გაგება. იქნებ სწორედ ამ ტრაქტორების საქმიანობასთან იყო დაკავშირებული ის ამბავიც, რომ მათი ქონის შეკეთების თაობაზე ჯერ კინცსაც არ სმრავდნენ?

ხათუნა გულისფანცქალით მოელოდა კვლავ თავის კერაზე დაბრუნებას, რადგან დარწმუნებული იყო, რომ აქ ყოფნით დიდად აწუხებდა ყველას.

დროგამომწვევით არტელის მოანგარიშეები შემოუსხდებოდნენ გახურებულ ღუმელს. საღაყობდ მოსული მეზობლის ქალებიც ვანშობობამდე მუსაიფობდნენ მათთან ერთად და როგორც კი ხათუნა ღარიბული სუფრის თადარიგს შეუდგებოდა, წინასწარ დათქმულებივით წამოიშლებოდნენ, სხვა დროსაც მოვესწრებითო.

ხათუნას ერთის მხრივ ახარებდა ეს გამუდმებული სტუმრიანობა, მაგრამ მეორეს მხრივ გულს შემოსდიოდა: ოჯახს უამრავი წვრილმანი საქმე ჰქონდა და იგი ვერაფრის გაკეთებას ვეღარ ასწრებდა. გადმობარგების პირველ ღამეს თვითონ ყარამანიჩიუ შემოვიდა, ბიჭებს ალერსიანად დაუბრიალა თავისი ხარის თვალეში და სიამოვნების გამოსახატავად, სახეზე აღბეჭდილი სამი ნამგალი უფრო ნათლად გამოაჩინა.

თოვლივით და მართაც იყვნენ. გაუფშენელი სიმინდი ამოუტანეს. სიმინდი კოლმეურნეობის გამგეობას გაეცა სესხად.

ასე მისდევდა დღეს დღე. ახალი დაბინდებული იყო, ზურია რომ სამჭედლოდან დაბრუნდა.

როგორც დედა, ისე პატარები იმგვა-

რად შეეჩვივნენ ზურიას საქმიან გამო-
მეტყველებას და ოდნავ გადაქარბებულ
სიღარბისილეს, რომ აღარც კი ახსოვ-
დათ ის დრო, როდესაც ეს ასე არ იყო.

ზურია ხმის ამოუღებლად შემოვიდო-
და ოთახში, პატარებს თვალს გადაჰკ-
რავდა, ჭურჭს გაიხიდა და მამინვე ჩა-
ფებიან კუთხეს მიაშურებდა წყლის და-
სალევად.

მამერალი პირშოს შემყურე ხათუნას
უცნაური შვებით უძგერდა გული. ასე
იცოდა შალიკომაძე, როცა ყანიდან დაბ-
რუნებულ, თოხს დერეფნის ბოძზე მია-
ყუდებდა.

ზურია უჭეფოდ მოვიდა სამკედლო-
დან და როგორც ცხოვრებით მოღლილ
მამაკაცებს სჩვევიათ, არც კი აპირებდა
ამის გამჟღავნებას, მაგრამ ღუმელთან
მოკალათებული ძმები და სიმიინდის
ფშენაში გართული დედა რომ დინახა,
ღიმილის პაწია შექმა გაუღვია დაღვ-
რემილ თვალებში.

ხათუნამ, ცხადია, თავი გაანება საქ-
მეს, კალთაში ჩაგროვილი ახლადგაფშ-
ვნილი სიმიინდი ზრიალით დაუშვა გობ-
ზე და ზურიას შეეგება ჭურჭის ჩამო-
სართმევად, მაგრამ მკედლის შეგირდმა
იუარა, ჭურჭი თვითონ გაიხადა და ლა-
პარაკ-ლაპარაკით მის დასაკიდებლად
წავიდა.

— ქიკამ გვილაღატა, დღეისწორს მი-
დის რკინიგზაზე, — ამბობდა იგი გზა-
დაგზა, — არ ვიცი ჩემი გულისთვის
შვება ამას, თუ მართლა უნდოდა წასე-
ლა. მე და ზაქარა ბიძია მარტო ვრჩე-
ვით. იმდენი სამუშაოა, იმდენი, რომ
სულის ამოთქმის დროც არ გვექნება.
კიდე დამისხი, დედა, წყალი, დღეს ისე
გავხდი, რომ მკლავებს ველარ ვერევი.

— დედა მოგიკვდეს შენ! ახლავე,
შვილო!

— დილიდან მოკიდებული დღეს ნა-
ლურსმანს ვჰედავდით. არც ისე ძნელი
საქმეა. რაღაცნაირი რკინის ნაკრები,
გრძელი, სინასავით. ამას ნალურსმანის
ზომაზე ვჭრით... უჰ, რა თბილი ყოფი-
ლა! წავალ, თუ გინდა, ახალ წყალს მო-
ვიტან.

— არა, შვილო, არა, ივანეშვი ახლა.
ამათმა აღარ დაგიცადეს. შენ შენ გულო-
დებოდი. ზაქარა ბიძია რას გეუბნებდა,
ხომ არ გემდურის?

— კითხე, რა ვიცი... ქიკა კი მიდის
და.

— რა უნდა გააკეთოს მერე რკინი-
გზაზე, მაგის შესაფერს რას გამოიხაზა-
ვენ?

— არაფერი გამოიხაზა არ უნდა ქი-
კას! — საქმიანად შენიშნა ზურიამ, ია-
ტაკზე მიმობნეული ნაჭურები აკრთვა,
ღუმელში შეყარა და განიერად მოათეს-
და სამფეხა სკამზე, — ქიკას სახელოს-
ნო სასწავლებელი აქვს დამთავრებული.
ზაქარა ბიძია ამბობს, მაგან ჩემზე მეტი
იცის, წიგნებით უსწავლიაო, აფსუსია,
რომ შეგირდათ მუშაობდესო.

— აგრე დაუძმეკაციდი ზაქარა ბიძი-
ას? — გაიღიმა ხათუნამ.

— ეუჰ! აბა რა გგონია შენ! რა საი-
ღუმლოც არ უნდა ჰქონდეს, ჩემთან არ
დამალავს. მაყვალას წერილიც წამაკით-
ხა, გუშინ მიიღო... ქიკამ კი არ იცის,
ასე რომ აქვს ნათქვამი ზაქარას ჩემთან.
მე მითხრა.

— ყოჩაღ!

— ხვალისთვის კიდევ ლობიოს ხარ-
შე? მართლა! კინალამ სულ არ დამავი-
წყდა? შენ რომ გეძახიან?

— სადა?

— კიბეზე კალისტრატე მასწავლე-
ბელს დავეწვი. თავმჯდომარის ოთახში
ვიქნებო.

— უი, ღმერთო კი მომკალი! მერე
ვერ უთხარი, ჩვენთან შემობრძანდი-
თქო?

— წადი, წადი, სირცხვილია, გიციდის.
თავმჯდომარის ოთახში გამოვიდესო.
წადი, შენ რომ მოხვალ, მერე ვივახშ-
მოთ ერთად.

— კარგი აბა. აგერ ტაროებია გობ-
ზე... თქვენც მოეხმარეთ, არაფერი გი-
ჭირთ! — გადახედა უმცროსებს ხათუ-
ნამ და შალმოხურული დერეფანში გა-
ვიდა.

კაბინეტის კარი რომ შეაღო, ხათუნას
მოეჩვენა, რომ ოთახში არავინ იყო და

კარსამოფარებულ ღუმელისაყენ აპირებდა გახედვას, რომ გაკვირვებისაგან, გაკვირვებისაგან კი არა, უფრო მოულოდნელობისაგან წარბები შეჰკრა.

გრძელ მაგიდასთან, რომელიც თავმჯდომარის უჯრებიან მაგიდაზე იყო მიდგმული, ეგნატე სივსივამე იჯდა: თითქმის გადაწოლილიყო ცეცხლგამძლე ყუთზე, ზურგით კედელს მიყრდნობოდა და მაგიდის ზემოთ მისი სახის მხოლოდ ნახევარს თუ დაინახავდა შემოსული.

ხათუნა წუთით შეყოყმანდა. შემოღებულ კარისათვის ხელი არ გაუშვია. იმდღევანდელი შეხლაშემოხლის შემდეგ, რომელშიაც ხათუნა თავისი დანაშაულის წილსაც გრძნობდა, ეგნატეს არსად შეხვედრია. ჩანდა, ეგნატე თვითონ არიდებდა თავს. ახლა ორჭოფობამ შეიპყრო ქალი. შეამჩნია თუ არა მისი აქ ყოფნა.

ეტყობოდა, ეგნატესაც იგივე გრძნობა დაეუფლა, რაც ხათუნას. ქალის გამოჩენა ასევე მოულოდნელი იყო მისთვის. მას, როგორც მამაკაცს, რომელიც ბრმა არ იყო, არ შეეძლო იგივე მოემოქმედა, რის უფლებაც ოთანში შემოსულ ქალს ჰქონდა და ამ აზრის გავლენით, თუმცა არ იცოდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ხათუნაზე, გველნაკბენივით მოაცილა მხრები კედელს, ხმაურით წამოიწია, ხოლო როდესაც მიხვდა, ხათუნა შემოხედვის ღირსადაც არ მთვლისო, ისეთი სახე მიიღო, თითქოს მხოლოდ იმიტომ ადგა, რომ ადგომა უამისოდაც განზრახული ჰქონდა.

ხათუნა ოთანში შემოვიდა და კარი ზურგსუკან მიხურა.

კალისტრატე მასწავლებელი ღუმელთან იჯდა, განზე გადგმულ მუხლისთავეებზე ხმელი ნიდაყეები დაებჯინა და არაბუნებრივად თავაწეული ხელებს ითბობდა.

მის დანახვაზე ხათუნას თვალები გაუბრწყინდა. რამდენი ხანი იყო, აღარ ენახა ეს გულითადი მოხუცი. ორიოდ ნაბიჯი გადადგა მისკენ და გულზე დაჭობილი ხელები უხერხულად ჩამოუშვა.

— საღამო მშვიდობისა, მასწავლებელი!

ყელშეხვეულმა კალისტრატემ ცალი ხელი ასწია, პასუხის გაცემას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელმა ხველამ დაასწრო. ის გაბმულად, ზედიზედ ახველებდა. კინაღამ გულიც თან ამოატანა.

„შაქარი! შაქარი!“ — მალიმალ იმეორებდა გულში მოხუცის ასე გადაბეირებით დამფრთხალი ხათუნა და ვეღარ მოესაზრებინა, როგორ დახმარებოდა მას. მაგიდაზე სურას მოჰკრა თვალი, მიიჩინა და წყალი დაასხა.

— მიირთვი, ბატონო, ერთი ყლუბი მოსვი!

— არ მინდა... ჯანაბას ჩემი თავი... აღარ ვარ საცოცხლებელი, — როგორც იქნა, ენა ამოიდგა კალისტრატემ, თანაც ცხვირსახოციც იწმენდა შუბლს და აცრემლებულ თვალებს, — უუჰ... რასა იქ, ხათუნა, როგორა ხარ? მოდი ერთი ახლოს!

„ღმერთო რანაირად შესძლებია ადამიანის შეცვლა ორიოდ წელიწადს, ჯავრს და ავადმყოფობას...“ — გაიფიქრა ხათუნამ და მოხუცს მიუახლოვდა.

კალისტრატე ფერწასული იყო. შეშუბებულ ქუთუთოებში სილურჯეს მოეკალათებინა. იგი თვალს არ აცილებდა ხათუნას. ეტყობოდა ქკუაში არ დაუჯდა მისი ნალვლიანი გამომეტყველება და შეშინებულმა, ხველა კიდევ არ ამიტყდესო, ჩაუხველებლად, ხრინწიანი ჩურჩულით დაიწყო:

— შენი ქმარი, შალიყო მინდელი ჩემი მოწაფე იყო, ხომ იცი შენ, ანაბანა ჩემგან ისწავლა...

— ვიცი, — მიუგო ხათუნამ და რატომღაც გაწითლდა.

— კარგია, რომ იცი, მაგრამ ასე რომ არ შეიძლება? არ შეიძლება ასე, არა, რომელ კანონში სწერია!

— რა, პატივცემულო კალისტრატე? — ძლივს გაბედა ხათუნამ.

— რა! შენ კი არ უნდა მეკითხებოდე შაკას, მე უნდა გეკითხებოდე... ნურაფრის ქონება ნუ გინდა კაცს, ოქროს მთები რომ აიშენო, ყველაფერი ოხრად

დაგრჩება. შეილები! აი, შენი ქონება, აი, შენი ოქროს მთები. უკეთეს ვერაფერს ააშენებ, არც არავის აუშენებია.

— კალისტრატე ბიძია, მე შეუბნებნი მაგას?

ხათუნა აიღუნა.

— მე შეუბნებნი მაგას? — გაბზარული ხმით გაიმეორა მან იმ მოწაფესავით. რომელსაც გაკვეთილზე დაგვიანების გამო მასწავლებლისათვის თვალი ვერ გაუსწორებია, — მე მეგონა... მე მეგონა, რომ...

— რა მეგონა! — არ დააყოვნა კალისტრატემ.

— მე მეგონა... რა ოქროს მთებზე მელაპარაკები, მასწავლებლო. აბა მე რა ოქროს მთები მიძებნია... — მას უნდოდა ეთქვა: ოქროს მთების მაძებარი რომ ეყოფილიყავ, შენ ვერასოდეს მიხილავდი ამ სოფელშიო, მაგრამ ვერ გაბედა: ამით ჩრდილი ადგებოდა იმ ადამიანს, რომლის სახელიც ყველაფერზე ძვირფასი იყო მისთვის, — ჩემი ყმაწვილქალობა შეილებს შევალე... არ ვამადლი მე ამას იმათ. შეილებთან ვის რა ხელი აქვს. მასწავლებლო. მე და, შეილებს არ შევზაროდე? თავი რად მინდა ცოცხალი!

კალისტრატე აწრიალდა, აქოთქოთდა, ხრიგინით შემობრუნდა მერხზე, მაგრამ ტკბილი სიტყვის თქმა მაინც ვერ მოახერხა, თუმცა გულით სწადადა ეს.

— ვის რა ხელი აქვს შენს შეილებთან, ქალო, ახლა ჩვენც ვიტყვით თუ როგორ? ეგ არის თქვენი ხელობა, სიტყვას იტყვი და ცრემლებიც მზად არის.

კალისტრატე ვერ ისვენებდა, სათქმელისათვის ვერას გზით ვერ მოეყარა თავი. ფეხებს მალიმალ ინაცვლებდა სკამის ქვეშ, რაც მოსწავლეებისათვის სასტიკად აკრძალული ჰქონდა. ყურებიან ქულს აწვალებდა, ბეწვებს წიწკნიდა და ცდილობდა ხმისთვის წელანდელი რიხი მიეცა.

— ეგ რა ვაქაცობა არის, შეილო. ტირილი ყველას შეგვიძლია. რაი მერე, რა ყრია ამ ტირილში. მეც ბევრი ვიტყვებ, მაგრამ არაფერი მეშველა. ქვეყანა

იწვრდა ჩემი საცოდაობით, ხომ დამეჯერება ბერიკაცს ეს, ხათუნა მითხრობ, რა მეხრიც დამეცა... ერთი ბიჭი მყავდა და... დედა მისიც... იმათი მგვანე ქვა და კლდე იყოს. რა გაეწყობა ახლა! მიწაში ვერ ჩავეყვი ვერც ერთს და ვერც მეორეს. ცხოვრება ასე ყოფილა მოწყობილი. მე რომ მკითხო, იქნება გაგიკვირდეს კიდევაც: სიკვდილი არ მინდა. ცოცხალი ადამიანი სიკვდილზე ვერ იფიქრებს. ვზივარ და ვარ მარტო ბაიყუშით. პატრონი და ხმის გამცემი მე ახლა მინდოდა...

— რა ვუყოთ! — წაიჩურჩულა ხათუნამ, — იქნება კიდევ არის სადმე...

— იქნება არის? იქნება დამობრუნდეს? აწი ღმერთმაც ნუ დააბრუნოს, ხათუნა, აწი რაღად მინდა! პატიოსანი კაცი ახლა არ დაბრუნდება ომიდან, ომი რახანია გათავდა! ასე იყო თუ ისე. მე ყველაფერს შევეჩვიე ხათუნა, კირსაც შეჩვევა სცოდნია. ამაზე უარესი რაღა დამემართება. არა, ჩემო ხათუნა, არა, არ მინდა. როცა ვიცე, რომ აღარსად არის, სინდისი დამშვიდებული მაქვს. გული კი შემომკვენსის, მამა ვარ, რაც უნდა იყოს, მაგრამ ეს ოხერი სინდისი სხვა არის...

ხათუნა გაოგნდა. შეილის დაქარგვით გულდათუთქული მასწავლებელი, რომლის წუწუნი კაცს ზორციელს არ გაეგონა, თითქოს მის საკუთარ გულს შეეხო, შეეხო და შეატრიალა. ქალს კრიჭა შეეჭრა, რად მინდაო? ახლა რად მინდაო? რად ტყუიხარ, კალისტრატე მასწავლებლო, მართალო კაცო, შეილის ნახვა როგორ არ გინდა, მის მეტი რა გყავდა, აბა იმის მეტი რა გაბადია!

„არ მინდაო?“ — ცინადამ ხამალა წაშოცდა ხათუნას და უმწეოდ თავჩაქინდრულ მოხუცს დააცქერდა.

ელექტრონათურის ლაქლაქა შექზე გარკვევით მოჩანდა მისი ქაღარა, თეთრი თავი, გამოუცდელად, აღბათ საკუთარი ხელით შეკრებილი.

„ერთი შავიც აღარ შერჩენია საბრალოს!“ — გაიფიქრა ხათუნამ და ამ ილა-

მიანისადმი არაჩვეულებრივი სიბრა-
ლულით განიმსჯეალა.

— ხათუნა, შეილო, — სწორედ ამ
ღროს გაისმა კალისტრატეს ხმა, — ნუ
მიწყენ, ნურც ითაკილებ ამას, რასაც
გეტყვი. მე ერთი გადახმებული ბერი-
კაცი ვარ, მაგრამ ამ კუთხეში ხანდახან
მეც შეკითხებიან ჭკუას. შენ რას გაჩუ-
ბებულხარ, ეგნატე, წასვლა ხომ არ
გინდა?

— არა, ბატონო. ყარამანიჩს ვუცდი
მე, ცოტა ხანს კიდევ მოვუცდი.

— ღმერთი გამიწყრეს, თუ სულ არ
გაღამრიოთ კაცი, ეგნატე! რა შემოი-
ღეთ ეს ყარამანიჩი, ამბერკიჩი, ლაზარი-
ჩი... სახელები არ ქვია მაგ ხალხს?

— რა ვიცი, ბატონო, ასე არის ახლა
და მე რა ვქნა!

— სირცხვილია, ბიჭო! შენ იცი, ეგ
„ჩემი“ ჩვენში ვინ მოიგონა? უფარგის-
მა და გაფუჭებულმა ხალხმა, ჩემს
შვილს ეყურებოდეს! — ხათუნას შეანა-
თა თვალები კალისტრატემ, — ვითამ
მე არაფერი ვარ და შენ „ჩემი“. ეგ რას
ჰგავს, ეგნატე, იცი? ჩემი წითელი ცხვი-
რი რომ მე მომგლიჯონ და შენ მოგა-
კერონ. არ დაგშვენდებია? მაგას გავს
ეგ „ჩემი“. თუ უამისოდ არ შეგძლიათ,
რუსულად ილაპარაკეთ, შეაკაცო.

— მართალია, ბატონო.

— თუ მართალია, შენი ჭირიმე, ნუ-
ღარ გამაგონებ. მაგას, მადლობა
ღმერთს, ქართული ენა ისე არ გაღარი-
ბებულა, რომ აღამიანის პატვისცემა
ვერ გამოხატოს, თუ კი საჭიროა. ასე,
ხათუნა, შეილო, დაჯექი, ეგერ არის
სკამი, სკამი მოუტანე, ბიჭო!

— ბავშვები დაეტოვე ცეცხლთან და
ვაი თუ რამე მოიწიონ, — იუარა მოხუ-
ცის ბრძანებით ციფწყალგადასხმულმა
ხათუნამ.

— მე შენ შვილებზე ჩამოგიგდე, სი-
ტყვა წელან და მგონია კიდევაც გაწყე-
ნინე, ხომ იცი ჩემი შეჩვენებული ენის
ამბავი, ღვთის წყალობა რომ მინდო-
დეს, ღვთის რისხვა გამომდის... რა ვქნა
ახლა მე, შალიკოზე მინდოდა მეტქვა
რაღაცა. ძალიან ვუყვარდი მე იმას, ხა-

თუნა, მეც მიყვარდა, ქვეყანა არის ქო-
წმე. ახლა გიყურებ და გულ-მეწყვის,
მარტო ხარ. ის აღარ არის, ზურიაზე
გუშინ, შენი ბიჭი. საღამოს ცელაში გა-
კვეთილები მქონდა. ცოცხალი ყმაწვი-
ლი ყოფილა...

ხათუნას სული შეუგუბდა მღელვა-
რებისაგან. ახლა კალისტრატესთანა
სამართლიანი და სათაყვანებელი კაცი
არ არსებობდა მისთვის ქვეყანაზე. ხა-
თუნამ კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა
ქებაში სიტყვაძვირი მოხუცის თბილი
სიტყვა.

— შენ მისმენ თუ ისევე სხვაგან გაგე-
ქვა გულისყური?

— უი, არა, ბიჭო, ჩემზე ბედნიერი
კაციშეილი არ არის, ზურიაზე რომ ამას
მეუბნები, — თავისი წრფელი გრძნობა
ვეღარ დამალა ხათუნამ.

— ხომ? კიდევ გეტყვი.

— მიბრძანე, ბატონო.

— მე ყველაფერი ვიცი, ხათუნა, რაც
შენს თავზე იყო. ეგნატემ ყველაფერი
მითხრა.

— ეგნატეს რა უნდა ეთქვა! — მოხუ-
ცისდა გასაოცრად ერთბაშად გამოიცი-
ვალა ხათუნა, მკვდრის ფერი დაედო.

— დაწყენარდი, გადასარევი რა არის
აქ! — შეაშველა კალისტრატემ.

— მე ეგნატეს აფურცალე ჩემი სა-
ხელის ხსენება, მაგას არ ეკითხებია... —
ისევე სიამაყემ სძლია ხათუნას, — რა
უნდა ილაპარაკოს ჩემზე ეგნატემ, რა
უფლებს ძალით უნდა ილაპარაკოს!
თუ ახლა ბოდიშის მოხდას აპირებს, მე
კაპიკადაც არ მიღირს მაგისი მობოდი-
შება. ეს იცოდეს მაგან! — თავშეუკა-
ვებლად ფიცხობდა ხათუნა, — თქვენ
ამისთვის გამომიყვანეთ აქა, რომ ეგნა-
ტესთან შემარიგოთ? სიკვდილის გული-
სათვის არ ვიზამ მაგას!

— ხათუნა!

— არა, არ ვიზამ, სიკვდილის გული-
სათვის!

— მოიცადე, დამიგდე ყური.

— არც მოვიცდი და არც არაფერი!
ამ სიტყვებზე ხათუნამ წასვლა დაა-
პირა, მაგრამ მოხუცმა შეაჩერა.

საქარმო
ბიბლიოთეკა

— მე არ ვიცი, რა იყო შენსა და ეგნატეს შუა. შვილს გეფიცები, ახლა პირველად მესმის და მიიკვირს. შემომხედ! კალისტრატე მასწავლებელი ტყუილს გიტყვის?

მოხუცის გულწრფელობით შეყოყმანებული ხათუნა უხალისოდ დაჰყვა ნებას, მის გვერდით მერხზე ჩამოჯდა.

— მე მაპატიე, ჩემი ბრალია. ამისთანა რამეზე ლაპარაკი აქ არ შეიძლება, მაგრამ იქ ვერ შემოვედი, პატარებს მოვერიდე, ჩემსას კიდეც ვერ დაგიძახე, ბავშვი აღარა ხარ, შენი მომერიდა. ამ კაცთან კი... ეს კაცი თქვენ ოჯახთან დაახლოებული კაცი იყო და...

— მე წავალ, ბატონო, თუ ვისმე ეტყვი! — გაისმა ამ დროს გულდამწვარი ეგნატეს ხმა.

— არა, იყავი. მე მინდა ხათუნა დარწმუნდეს, რომ შენ უხეირო არაფერი გითქვამს ჩემთვის.

— თუ კიდეც ამაზე ილაპარაკებთ, კალისტრატე ბიძია, მე წავალ აქედან.

— კარგი, არ ვილაპარაკებ. დაჯექი, გონება მოიკრიფე.

— მე გონება მოკრეფილი მაქვს, კალისტრატე ბიძია, ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ მე...

— შენ ერთ სიტყვაზე გამეცი პასუხი, მე შენთვის ცული მინდა?

— მე არ ვამბობ ამას!

— აბა ეგნატე არის შენი ავის მოსურნე?

— მე გითხარით, ბატონო, რომ მაგაზე ნუ მელაპარაკებთ!

— აბა წადი და როდესაც დამშვიდდები, დანარჩენს მერე გიტყვი.

მაგრამ ახლა ხათუნას აღარ უნდოდა წასვლა. ის იმდენად გაეღიზიანებინა ეგნატესთან კინკლაობის გახსენებას, რომ ახლა დაბეჯითებით უნდოდა გავგო ყველაფერი.

— მე ვიცი, შვილო, შენი გულისტკივილი და მესმის, — ხელახლა დაიწყო კალისტრატემ, — ბევრი მწარედღე და საათი გამოგივლია. კამეჩის შუბლიანიც კი მიხვდება ამას, არამც თუ მე, ქალი ნახევარი აღარა ხარ. მეც რომ შენსავით ჯავრისათვის მიმეცა

თავი, აბა გულზე ხელი დაიდევდი და მითხარი, რა დამემართებინდა? სეტყვას დაგლევედი, ხომ? მითხარი, შერთახლს არ არის?

ხათუნამ ერთი წამით გაუსწორა მას თვალი და თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ დაუქნია.

— ტირილის არ იყოს, სიკვდილი ყველას შეუძლია. ყოველ გლახას და მაწანწალას შეუძლია სიკვდილი. ხომ მართალია? შენ სიცოცხლეზე მელაპარაკე, ამ ძნელ საქმეზე მელაპარაკე, თუ არა სიკვდილი, სიკვდილს მოვესწრებით.

ხათუნამ ამოიოხრა.

— რა ქვია აბა შენს სიცოცხლეს, კალისტრატე ბიძია?

— რა ქვია? არ თქვა ეგ! როგორ თუ რა ქვია! რა ქვია და სიცოცხლე! ცხოვრება ქვია ამას, ჩემს სიცოცხლეს! აბა ერთი ჩემთან ამოდი და გამოშვების სურათები ნახე! მაშინ გაიგებ, ჩემს სიცოცხლეს რა ქვია. ამ მაღლიან მიწას პირუტყვივით კი არ ვთელავ მე. მიზანი მქვს ცხოვრებაში და იმას ვემსახურები. ცოცხალ ადამიანებს ვზრდი, ამაზე უკეთესი სიცოცხლე იქნება? ეს მინახავს მე; შვილო, ხათუნა, თუ არა ერთი დაქანგული ხანჯალი ჩემთვისაც არ გაწყდებოდა. ერთი წუთითაც არ მიფიქრია, არა! რა ვუყოთ, გავუბედურდი. საყვარელი საქმე ხომ დამრჩა, ესეც ხომ არ მოუკლავთ ფრონტზე, შალიკო მინდელს შვილები ხომ დარჩა, რომ ვასწავლო... შენ კი მეუბნები, რა სიცოცხლეა შენი სიცოცხლე!

ხათუნა გაკვირვებული შეჭყურებდა ამ სიტყვების მოლაპარაკე, თითქმის მთელი ორმოცი წლით გაახალგაზრდავებულ ადამიანს, რომლის ანთებული თვალები იმოდენა ძალასა და შეუპოვრობას გამოხატავდნენ, რომ მაკცერალსაც აქცევდნენ თავიანთ გავლენაში. საიდან შერჩენოდა ამოდენა იმედი სიცოცხლეს დახარბებულ მოხუცს, რომლის კერაზე, ვინ იცის კატაც არ ჩხაოდა! რა იყო ეს საიდუმლო, რომლის გამოცნობა ხათუნას არ შეეძლო და არც არასოდეს ეფიქრა ამაზე?

— შენ კი გამოკეტილხარ, შეილა, ოთხ კედელს შუა, — თითქოს გულის-პასუსს მიუხედაო, განაგრძობდა კალისტრატე მასწავლებელი, — არ იცი, ხელ რა იქნება, ხვალინდელი დღე რას მოგიტანს. მე მახსოვს, რანიირი ხალისიანი იყავი ადრე. ვერცხლისწყალივით ვერ ჩერდებოდი ერთ ადგილზე. შენი ნახვა აღამიანს გულს გაუხარებდა. ახლა...

— ოჰ, კალისტრატე ბიძია! — წამოიძახა ნარმის ნაქვრივით გაფითრებულმა ქალმა და მოხუცის გამხმარ ხელს ხელები ჩაავლო, — ვიცი, ბიძია, ვიცი, რაცა ვარ. ნულარ მეუბნები მაგას, გულს ნუ გამიხეთქავ.

— აიწი, რა გემართება, — წაილულულა კალისტრატემ, რომელიც ამდენს არ მოელოდა, — ადექი, დამშვიდდი. ცხოვრებაში შენი ადგილი უნდა იპოვნო თუარა, დაიღუპები, იცოდე.

— მე დედის მუცლიდან უბედური ვარ, ბიძია, მე არაფერი მეშველება, არა...

— ადექი ახლა, ვინმე შემოვა და რაღაცა ეგონება, ან ბავშვები გაიგონებენ ან...

— ოჰ! — ამოიოხრა ხათუნამ და ცრემლით სულურთიანად განბნანილი სახე ასწია.

— კარგი, ივმარე ახლა. წადი და დაუფიქრდი იმას, რაც გითხარ.

— მე ყველაფერისთვის მზად ვარ, კალისტრატე ბიძია. თავი არ მენანება. არაფერზე უკან არ დავიხევ... მე გასრესილი ვარ... ჩემს თავს ვეღარ ვცნობილობ. მეშინია, ტვინი არ შემეკრყეს. ოო, კალისტრატე ბიძია, შენ რომ იცოდე...

და ქალის თვალებმა რაღაც ისე საშინელი გამოხატეს, რომ სახეშერბილებულმა კალისტრატემ უნებურად უკან დაიწია.

მუსტიტოლად ქვეულმა ეგნატემ ფეხის წვერებზე გაიარა მათ ახლოს და კარის დახურვის შემდეგ ოთახში სარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

— თქვი, რა გაწუხებს, — ჩაჭკობხა კალისტრატემ ქალს, როცა წაყვანა მჭიოთ ფეხის ხმა მიწყდა. *შეზღოროსუქა*

— წავიდა? — დაფეთებულივით იკითხა ხათუნამ და იმ მხარეს გაიხედა, სადაც ერთი წუთის წინ ეგნატე იდგა.

კალისტრატემ თავი დაუქნია.

— მე არ მძულს ეგნატე, ზურიას თავს ვფიცავ, ბიძია, არ მძულს! — ცოტაღა აკლდა, კინაღამ შეჭვივლა ხათუნამ, — ...არ მძულს, მაგრამ ერთი დღის მერე აღარ შემიძლია მაგის დანახვა... სადმე რომ თვალს მოვკრავ, ასე მგონია, რომ უშვერი სიტყვებით მაგინებს ვინმე.

— რას ამბობ, ხათუნა, სრულ ჭკუაზე ხარ? ეგნატე ვისი მაგინებელი ნახე!

— ვიცი, ბიძია, ვიცი, ეგნატეს ვიცნობ. შალიკოს ძმა არ ჰყავდა და ეგ ძმასავით უყვარდა. ვიცი, რომ პატიოსანი კაცია და ჩვენც ვუყვარვართ, მაგრამ...

— რა!

— არ შემიძლია. არაფრით არ შემიძლია. მაგას ჰგონია... მაგას რაღაცა ჰგონია...

— რა ჰგონია, ქალო?

— არა, არ შემიძლია! — ისევ ამომარცვლა ქალმა და მოხუცის გამხმარი ხელი შუბლზე მიიხუტა.

— წადი, შენ დასვენება გჭირდება, წადი, სხვა დროს განახავ, — დაიწყო კალისტრატემ გაუბედავად და სცადა ქალი ფეხზე წამოეყენებინა, — წადი, ბავშვებს მიხედე.

— არა, კალისტრატე ბიძია. მე შენ ყური უნდა დამიგდო. ყველაფერს პატიოსნად მოგიყვები. შვილები დამეხოცოს თუ დაგიმალა რამე. შენ ერთს მოგიყვები, ვიცი არ დამძრახავ, ხელზე არ დაიხვევ...

— ოღონდ ადექი, ან აქედან წავიდეთ... გესმის? ვილაყამ გაიარა აივანზე. წადი ახლა. ბავშვებს რით გინდა დაენახო აგრე! წამოდი, მეც წამოვალ, ცოტა ხანს გაიარ-გამოიარე...

XL



თითქმის ერთი საათის შემდეგ შინ შემობრუნებული ხათუნა დაინახეს თუ არა, ბავშვებს მაშინლა მოუვიდათ აზრად, რომ საქმე პირშავად ჰქონდათ: მაშინლა შენიშნეს, რა ორომბრიალი სუფევდა ოთახში.

ბუხრის ფიტონზე შემოდგმულ ლამპას აეწია და აღს შუშის ყელი შეემურა...

ლუმელის წინ შეშა მიმოებნათ. რომელიღაც ონავარს გოდორი გადაებრუნებინა. ნაქუჩები იატაკზე ეყარა. ნამბირალევი შალიყო ხუხულას აშენებდა. ისე ღრმად იყო გართული საქმიანობაში, რომ ასე გასინჯეთ, დედის შემოსვლაც არ გაუგია.

პაველე გაბუტულივით იჯდა. ზურიაც აიბუხა და იატაკზე მორთხმულ შალვას გადახედა. ეტყობოდა, ყური აეწია მისთვის ამ რამდენიმე წუთის წინ.

ეგონათ, რომ დედა საშინლად გაწყურებოდა, მაგრამ ამის მაგივრად ხათუნამ კარი მიხურა და ლამპას მიაშტრა.

— არ მოისვენეთ და ნათურა გატეხეთ. ახლა ნურც ამას მოუსვენებთ!

შალიყომ თავი ასწია. დაწითლებული თვალები, ჯერ კიდევ ერთი საათის წინ რომ საძილედ ჭმზადებოდნენ, დედას მიაპყრო და წაილულულა:

— ვუთხრა, ზურია?

სასაცილო ის იყო, რომ უფროსი ძმისკ იმდენად ეხატრებოდა, უნებართვოდ დასმენასაც ვერ ბედავდა. სლუკუნ-სლუკუნში გული ამოუჯდა. ნაცარში დასვრილ მუშტებს ცრემლით ასველებდა და საწყალობლად იმეორებდა:

— ვუთხრა, ზურია, ვუთხრა?

დიდხანს მოუხდა ხათუნა შვილების დაშოშმინებას. შალვა ლოგინშიაც სლუკუნებდა და სანამ ძილმა მთლიანად არ დასძლია, სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა, ვუთხრა თუ არ ვუთხრაო.

დედის ბრძანებისამებრ პაველე საბანში გაეხვია, მაგრამ დაძინებაც ხომ

ბრძანებაზე არ იყო დაშოშმინებული. კედლისკენ გადაბრუნდა და გაიღურსა.

ზურიათ თავსახური აძხადა ლუმელს. გოდორში ჩარჩენილი ნაქუჩები ჩაუპირქვევა.

გობზე მკლავის სიგრძე ტაროები ეყარა. ახლა კიდევ დიდხანს უნდა ეფშვნათ სიძინდი.

— დაიძინა, — თქვა ხათუნამ და შალვას სასთუმლიდან წამოიწია. გახსნილი გულისპირი, საიდანაც ქათქათა, სავსე მკერდი მოუჩანდა, შეიბნია და ზურიას მიუბრუნდა, შენ ხომ დამჩიი, პიკო, უვახშმოდო.

— რა უნდოდა? — ჰკითხა ზურიათ, რომელიც აქამდე საამისო დროს არჩევდა.

ხათუნა წუთით დააბნია შვილის მოულოდნელმა შეკითხვამ, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, პასუხიც იმწამსვე იპოვნა: კალისტრატე სასაყვედუროდ ჩამოვიდა, რატომ პაველე აქამდე არ დადის სკოლაშიო. თავისმა ტყუილმა თვითონვე შეაწუხა, მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე ნათქვამი იყო.

— მერე მესამე კლასს ასწავლის? — ჩააყინდა რატომღაც დაეძვებული ზურია.

— უჰ, არ ვიცი, შვილო, მგონია არა. მოდი, თბილია ეს!

— შენ არ ჰვამ?

— არ მინდა, დედა, გამიარა რაღაცა.

— აბა არც მე ვვამ.

— გაჯიუტდი ახლა! მოდი, დაჯექი, თუ ცეცხლთან მოგიტანო?

— შენც უნდა ჰვამო, თუ არა და ხელს არ ვახლებ იცოდევ.

— ჩემი ბიჭი შენ ხარ, ვისი გულისთვისაც მადლობას მეუბნებიან?

— რას ამბობ, დედა?

— ჰამე, ჰამე, ნიგვზითა და ძმრით არის შეკმაზული. ამის ჰამას არაფერი სჯობია.

— ჰამე მერე, რაღას უცდი. რა თქვი, რას მეუბნებიანო?

— არაფერს, წამომცდა.

მოშივებული ზურია ხარბად შეეკცოდა თბილ მკადასა და გემრიელ ლობოს. ძალდაუტანებლად უსმენდა დედას, დროდადრო კი თვალი კედლისკენ გადაბრუნებულ პავლესაკენ ვაიპარებოდა.

ხათუნა ჯერ კიდევ კალისტრატესთან უცნაური შეხვედრის შთაბეჭდილებაში იყო და სიტყვები, რომლებსაც წარმოთქვამდა, ყინულზე ასხლეტილი თოვლის გუნდასავით მიჰქროდნენ სადღაც.

მაშ ის გზადაბნეულია, მაშ ხათუნას თავისი ადგილი ვერ უპოვნია ცხოვრებაში და შეიძლება ეს საბედისწეროდ დამთავრდეს! რა უნდა იყოს ამის მიზეზი, არასოდეს არ გააჩნდა ხათუნას ეს რაღაცა ადგილი თუ დიდმა უბედურებამ ამოაგდო ცხოვრების კალაპოტიდან? მერე რატომ აქამდე არავის უთქვამს მისთვის ეს, ნუთუ კალისტრატე მასწავლებლის მეტმა ვერავინ შენიშნა!

ახლა ხათუნას თავისი შემოიჩენილი შიში დაეფულა. ეს არ ჰგავდა იმ შიშს, რომელმაც იმ ღამით შეიპყრო, ფანჯარა რომ ჩაამსხვრიეს, არც იმას, შალვა რომ გაუხდა ავად, არც იმას, პორფირეს რომ გადაეყარა...

შიში, რომელსაც ხათუნა ამ წუთში განიცდიდა, ყველა ადრინდელ შიშზე უფრო ძლიერი იყო, რადგან იგი მარტო ერთსა და ორ წამს, ერთსა და ორ დღეს როდი გაგრძელდებოდა; ეს შიში მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ასდევნებოდა ხათუნას და მისთვის სიცოცხლე მოეწამლა. ეს იყო აუცილებლად დალუპვის შიში, შავი დღის შიში, რომელიც დღეს თუ ხვალ თავზე უნდა დასტყდომოდა...

მერე რისგან იყო ყოველივე ეს? მხოლოდ იმის გამო, რომ ხათუნას საკუთარი ადგილი არ ჰქონდა ცხოვრებაში, არც არასოდეს ჰქონია ანდა ოდესღაც მოპოვებული სამუდამოდ დაჰქარგა. მაგრამ სამუდამოდ? ნუთუ აღარ შეიძლება მისი ხელახლა პოვნა? თუ ეს ასეა, მაშინ საშველი აღარ ჰქონია ხათუნას, მაშ ყველაფერი გათავებულა და ეგ არის!

ზურია გრძობდა, რომ დედა ზომზე მეტად გაღიზიანებული დაბრუნდა, მაგრამ ეს ისე ხშირად ხდებოდა, რომ თითქმის ჩვეულებად გადაექცა ხათუნას. ვახშმის შემდეგ ძილს დედის სიბრაღეღმა სძლია და ზურია კვლავ ღუმელს მოუჯდა, რათა ხათუნასთან ერთად სიმიინდი ეფშვნა გვიან ღამემდე.

ჩამოწოლილი სიჩუმე, რომელიც თვლემის წამალია, ზურიას თანდათანობით აყენებდა გულითადი საუბრის გუნებაზე და ისიც დაუღალავად უამბობდა დედას თავისი მომავალი გეგმების ამბავს. ეს გეგმები ისე სათაყვანო გამხდარიყვნენ მისთვის ამ ბოლო ხანებში, რომ ზურიას სრულთავდაფიყვებაში აგდებდა ამით გარშემო ლაპარაკი. თვითონ გეგმები მეტისმეტად მარტივი და ხელმისაწვდომი იყვნენ. ზურია აღარ ოცნებობდა ინდოეთში მოსიარულე ლურჯ გეშზე, როგორც იმ დღეს, არც ინჟინრობაზე, არც ექიმობაზე. მას სამკვდლოში უნდა ემუშავნა, დღე და ღამე უნდა გაესწორებინა, რათა ცოტა ხნის შემდეგ მათაც ისეთივე ღამა და დიდი ოდა დაედგათ, როგორც ზაქარა ბიძიას ედგა. ის უკვე ოცნებით დადიოდა მეორე სართულის ფართო ოთახებში. ცემენტით ღესდა პალატის დარბაზებს, თუჯის ღუმელის დასადგმელად ადგილს ეძებდა. მეორე სართულზე მხოლოდ სილამაზისათვის უნდა ამოშენდეს თეთრი ბუხრები... ზაქარა მკვდეღლსაც ასე აქვს. ზემოთ არასოდეს არ ანთებენ ბუხარს...

— ბაბუა არ გენატრება, ბიჭო? — ჰკითხა უცებ ხათუნამ.

გატაცებით მოლაპარაკე ზურიას სიტყვა პირზე შეაშრა.

ხათუნა ახალა მიხვდა, რომ შეკითხვა სრულიად უადგილო იყო და მხოლოდ მისი ფიქრების გაგრძელებას წარმოადგენდა.

— დაგბრუნდეთ, თუ გინდა, ბაბუასთან, იქ ოდაც არის და... — ახლა უფრო გაუბედავად მიმართა ხათუნამ.

— შენ ამბობ, დედა, მაგას? — თავი ასწია ზურია, — მე ვიცი, შენ რასაც

ფიქრობ! — გულდაწყვეტით წაილაპარაკა ბოლოს მან.

ხათუნამ ხელი მოხვია შვილს, მის მხარს ლოყით მიეყრდნო და თითქოს იმას შეუშინებია, ეს სიტყვები ამ საუნჯის მეტმა არავეინ გაიგონოსო, წასჩურჩულა:

— ნუ გეშინია, ზური, შვილო, ნუ გეშინია, ჩემო ბიჭო. არ გიღალატებთ, სანამ პირში სული მიდგას. მოვუცადოთ მამას, იქნება ცოცხალია სადმე და კიდევ ეღირსოს ჩვენი ნახვა. ვინ იცის, როგორ ვენატრებით...

მაგრამ აქ კალისტრატეს სიტყვები გაახსენდა, რად მინდაო, ახლა რად მინდაო, რომ ამბობდა. ცრემლი უბეს შეაშრა. ისე გამოდიოდა, რომ მას, ხათუნას არ ჰქონდა ასეთი ოცნების უფლება...

ო, რა ცივი და მიუკარებელი ხდებოდა მისთვის ცხოვრება თუკი ამასაც ცხოვრება ერქვა. რა გინდოდა, კალისტრატე მასწავლებლო, რას ერჩოდი ისედაც გასრესილ ხათუნას, განა მან თვითონ არ იცოდა, რომ ქვეყნად სასწაულები არ ხდება, მკვდრები საფლავიდან არ დგებიან? რა გინდოდა, უკანასკნელი იმედი რომ წაართვი, ყველაზე სათუთი სანატრელიც რომ გაუქარწყლე! იმედი მაინც იმედი, თუნდა იგი ამო იყოს. მაშინ რა გინდოდა, ყველაფერს რომ ერთბაშად მოუსცი ხელი და წყალში გადაუყარე...

— ხომ დამიჯერებ, ბიჭო, ამას ხომ დამიჯერებ, ჩემო დედუკებო... — ძლივს ამოგლიჯა გულს ეს ხათუნამ, რათა კიდევ რაიმე ეთქვა.

ზურჩის გული აუჩუყა დედის სიტყვებმა. ცრემლები რომ არ დაენახებინა, მის მკერდში ჩამალა გახურებული შუბლი.

ეგნატემ აივანზევე გაიგონა, რომ ხათუნა კაბინეტიდან გამოვიდა.

— წამოდი, რაღას უცდი! — შეებატივა ამ დროს პეტრე, რომელიც აივანზე ამოსულიყო, — შენსას სამჯერ ვიყავი, სად ხარ, სად დადინარ.

— დედა, ოღონდ ჩემს მამას დაუცადე და შენი გულისათვის, თუ გინდა, კლდეზე გადაგვარდები. *გინდა, კლდეზე გადაგვარდები.*
ხათუნა შეკრთა.

ფანჯრის გადაღმა ნელა ირწეოდენ თოვლის თხელი ფენით დატვირთული კომშის რტოები, ნელა ირწეოდიენ, თითქოს დამეულ ძილში. აღბათ ქარმა იკლო შუალამის მოახლოებისას.

— იქნება მამაც ჩამოვიდეს... — ოცნებით ამბობდა ზურჩია.

— იქნება ჩამოვიდეს, — უაზროდ იმეორებდა ხათუნა.

— მერე პალიკოს ოფისში გავაგზავნი. იქ ზღვაოსნობას ისწავლის. შალიკო...

— მერე შენ?

— შე აქ ვიქნები, შენთან და მამასთან.

პავლე თუ შალიკო შეიშმუშნა ლოგინში, რაღაც წაიბუტბუტა და ისევ საბნის ქვეშ ჩაიყურყუმალავა.

— რომელი იყო? — მოიხედა ხათუნამ.

— მგონი პავლე.

პავლე გალურსული იწვა. აბა საიდან ეცოდიანებოდა, რომ მთელი დამე თვალი არც მას მოუხუჭავს.

სადაც მამალმა იყივლა სოფლის შუაგულში.

— ეს რა დრო გასულა, ზური, დავწვეთ, არ გეძინება?

პატარა ხნის შემდეგ, როცა უკვე ლოგინში იწვნენ, ზურჩია ფანჯარას შეპყურებდა და ამდენი ხნის გავლის შემდეგ პიოველად იგონებდა სიზმრად ნახული მაზარაინი კაცის სიტყვებს, რომელიც მაშინ ვერასგზით ვერ გამოიტანა.

XLI

— მოიცა, პეტრე, წადი შენ და დაგეწვი.

— იმ კაცმა ასე დამაბარა, სადაც ნახო, უთხარი, მაშინათვე წამოვიდესო.

— ხომ მითხარი მერე! წადი და ამოვალ.

— ამა ნახევარ საათში იქ იყავი, იცოდე!

— კარგი, გავიგე!

ამ სიტყვებზე ეგნატეს უგუნებობით შემებარმა პეტრემ კიბე წელმოწყვეტილად ჩაიარა და მალე აივნის დარაბას მოედგრა.

ეგნატე კიდეც ყოყმანობდა. შესულიყო თუ არა ისევ კაბინეტში? ბოლოს მან ყოყმანს სძლია და ფეხაკრეფით მიაშურა ვიწრო დერეფანს. თავმჯდომარის ოთახის კარს მიაღწა.

კაბინეტში სიწყინარე იყო.

იქნებ ზათუნასთან ერთად გამოვიდა კალისტრატეც?

„არა, ისევ წასვლა სჯობია“.

ეგნატე კვლავ აივნისაკენ გამობრუნდა და შენიშნა, რომ დერეფნის მარჯვენა კედლის ნაპირალეზში სინათლე გამოდიოდა.

„ჯერ კიდეც არ დაუძინიათ, ალბათ ვახშობენ“, — გაიფიქრა ეგნატემ.

აივანზე გამოსულს კიბის თავში გვანცა შემოეფეთა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უფრო ადრე დაინახა იგი.

გვანცა აღარ შემოსულა აივანზე, რადგან მამა თვითონ მოდიოდა აქეთ.

ეგნატე კინალამ ზედ წაემტვრა ქალიშვილს.

— მამა, სახლში მოდიხარ?

— შენ რა გინდა აქა, რამ წამოგიყვანა, — იუცხოვა ეგნატემ და გვანცას განათებულ შუბლს ზემოდან დახედა.

— პეტრე ბიძია არ გინახავს?

— ვნახე, მერე?

— ორჯერ დაიძახა ჩვენს კარებზე, საქმე მაქსო. სად იყავი?

— ვნახე, ვიცი, — უგემურად პასუხობდა ეგნატე, — წადი სახლში და ჩამოვალ ახლავე მეც.

— ზევით მიდიხარ?

— ჰო.

— რა მოგივიდა, მამა, ხელი ხომ არ ატკივდა?

— არა, არაფერი.

— თუ გინდა, მე გავიქცევი, ვეტყვი...

ეგნატემ უკან მოიხედა. კედლის ნაპირალეზში ისევ ატანდა სინათლე. გვანცამაც თვალი გააყოლა მის მიმართ. მაგრამ დერეფანში ვერაფერს დაინახა. მინდელების მოხურულ კართან დახერხილი შეშა ეყარა. იქვე გრძელტარიანი ცული იყო მიყუდებული.

ეგნატემ მკლავი გაინთავისუფლა, ახლა თვითონ გადაჰხვია ხელი ქალიშვილს და ჩანჩალით ჩაიარა ქვის კიბე.

— წადი შინ, — მშობლიური მზრუნველობით გაიმეორა მან კიშკართან, — დიდხანს არ გაეჩერდები. მე ნუ დამიცდი, დაიძინე.

ამ სიტყვებით გზა განაგრძო და უკან ერთხელაც აღარ მოუხედნია.

გვანცა გულნატყენი დარჩა კიშკართან. ის დარწმუნებული იყო, რომ მამას ხელის ტკივილმა გაუხსენა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც არაფერს ამბობდა ამაზე. სიცვიე უფრო გაუღიზიანებდა ტკივილს. გვანცას ცრემლი მოაღწია, მარტო რად გავუშვო, მაგრამ ახლა გვიანდა იყო.

ეგნატემ ამბერკის წიფელთან შეუხვია ჩამობნელებულ ორღობეში და მიიშალა.

ორღობე ოდნავ შეფერდებოდა მიემართებოდა. ელფთერის ეზოდან წამოსულ ნაკადულს თოვლის ქვეშ გზა ებოვნა და ხრიალით მოეჭანებოდა ღრანტეებში. ალაგ-ალაგ თოვლი ჩატეხილიყო და დროდადრო ბაწარივით დაგრეხილი წყლის ნაკადი გაიღეკებდა ხოლმე.

ზემოთ, ვაშლებში გაჩირაღდებული ფანჯრები გამოჩნდა. სადღაც გაღზინამ შეჰყეფა.

ეგნატემ საიმიდოდ ჩაითბუნა მტკივანი ხელი ჯიბეში და ავი მყეფარისაგან თავის დასაცავად მოემზადა.

ჯალხანა კიშკარს მოაწყდა, მაგრამ გარეთ გამოვარდას ვერ ბედავდა.

ეგნატე ღობის ჩრდილში იდგა. თუ მოლოდინი ჰქონდათ, ძალის ყეფაზე ვინმეს უნდა გამოეხედა. პალატის კარი მართლაც მალე გაიღო და განათებულ დერეფანში ხელებდაკაპიწებული ელფთერი გამოვიდა. ჯერ ძალს და-

უწრუბუნა, დატუქსა წყმეტუნით უკან-
დაბრუნებული, რომ მისი სამსახური
ახლა არავის სპირდებოდა და ასევე
ხელუბაწეული ღერეფნის ღირეზე გად-
მოდგა.

— ეჭვი, რომელი ხარ მანდ?!

— მე ვარ, ბატონო, ელეფთერი...

— ოჰ, ეგნატე ხარ? მობრძანდი, ეგ-
ნატე, მობრძანდი! გამოდით, ერთი, გა-
რეთ, ამ ძაღლს მოუხერხეთ რამე! ახლა-
ვე, ეგნატე, ა, ახლავე გაგიღებ ქიშ-
კარს, — მოუსვენრობდა ელეფთერი და
როცა მის დაძახილზე გამოსულმა მუნ-
ჯიამ ჯალხანა ბელის მხარეს წათ-
რია, თვითონ საწვიმრებთან დაიხარა,
თოვლში ხელი აურია და ქიშკარს მოა-
შურა, — ხელს ნუ, შენი ქირიბე, ხელს
ნუ! — გამამხნევებელი სიცილით დაი-
ძახა მან და ეგნატეს მაჯა მიაწოდა ჩა-
მოსართმევად, — დასერილი მაქვს. მო-
ბრძანდი! სხვა?

თავზიანობის გულისათვის ეგნატე-
მაც გაიღიმა.

— შენი გვანცა? — აღარ ცხრებოდა
მასპინძელი და ღონიერ ნიდაყვს მხარ-
ზე უცაცუნებდა სტუმარს, — გამოიწი,
მე დავკეტავ! უნდა გავათხოვოთ აწი,
ეგნატე, უნდა. არა გაქვს გუნებაში?
აგერ ცოცხი! დაიბერტყე, დაიბერტყე
თუარა ზედ შეგადნება და დაგასვე-
ლებს. სწორედ სოფლის საქირბორო-
ტოდ გამოიყვანა საწყალმა მამაჩემმა
ეს წყარო. რა ვქნა, პეშვზე ხომ ვერ
მოვიკავებ ამდენ წყალს. შენც დაგსვე-
ლებია პაკიკები, მაგრამ ეგ არაფერი,
ღულუნა ბუხარი და მისი ჯანი! ვენახ-
ზე შინდა გადაეუშვა, მაგრამ დაღმარ-
თია და ვათუ ლამი გაიტანოს-მეთქი.

ფანჯარაში მსუქანი ქალის სახე გა-
მოჩნდა, მაგრამ წამსვე მიიშალა.

— აბა გამოიხედე, ელენე, ეგნატე
გვიწვია, — შეეხმიანა ცოლს ელეფთე-
რი, — სტუმარი გაგვიხდი, ეგნატე, თუ
საგანგებოდ არაფინ დაგბატოე, სათო-
ფზე არ გაეკარები კაცს!

— რას იზამ, ბატონო, ყველაფერს
რომ თავი დაანებო, დროც არ არის.

— რა ბატონობით შელაპარაკები, ეგ-
ნატე, არა გრცხვენია?

— რას იზამ, ბატონო, ხან ასე, ხან
ისე.

კარი მოწყვეტით გამოიწვიანდე-
ლი მსუქანი სახე ისევ გამოჩნდა.

ელენეს კოჭებამდე ჩამოშვებული
მძიმე ხალათი ეცვა. მოქარგული საყე-
ლო თითქმის მხრებამდე დაჰყენოდა
მის მაღალ მკერდს.

ეგნატეს წამით თვალი მოსკრა თავ-
შენახული ქალის მოზღენილობამ და
გაუკვირდა, რომ ელენე ასეთად არ
სჩვენებია იმ დღეს, ზაქარას ბავშვის
ქორწილზე. ელენე გაცილებით უფრო
ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

— მობრძანდი, ბატონო, — მორიდე-
ბული ღიმილით წარმოსთქვა ქალმა და
უცებ ელეფთერს შეხედა, თითქო ეკით-
ხებოდა, შენ რომ გინდა, ისე ვიქცევი
თუ არაო და უკან დაიწია, — გაყინე
კაცი ღერეფანში, არა გრცხვენია?

— ეგ არაფერი! თოვლს ვიბერტყავ-
დით. ცეცხლთან, ცეცხლთან, ეგნატე!
ორლობზე ამოუვლია და წყალში ჩა-
ვარდნილა.

— უი!

— აქა მშვიდობა! — ენა ამოიდგა ეგ-
ნატემ და ქუდი მოიხადა.

პალატში სულისშემხუთველი სიციხე
იყო. ნივრის თუ დაჩეჩქვილი ცერე-
ცოს მწვევე სუნი სდიოდა.

— მშვიდობა ნუ მოგაკლოს, ჩემო
ეგნატე! — დაუდასტურა ელეფთერიშა, —
აბა, ელენე, დაფაცურდი ერთი, შენს
გახარებას! აგერ სკამი, ეგნატე! თუმცა
უშვილო ქალი რა გასახარელია, ა? უნ-
და აიღო და გამოცვალო.

— გაქრი შენ! — მორცხვად გაიღიმა
ცოლმა.

— რა, ბატონო?

— უშვილო ქალი უნდა გამოცვა-
ლო-მეთქი.

— ჰოო... თუ გაიმეტებ...

ელენეს და ელეფთერს გაეცინათ.

— ეგაც შენ! — შეყვარებული ქა-
ლის ყვედრებით გადახედა ქმარს ელე-
ნემ.

— სწორს ბრძანებ, ეგნატე, სწორს,
შელევა ძნელია, — ღიმილით დათანხმ-
და ელეფთერი და ცოლს თვალი უყო,

თადარიგს შეუდექით, — შენ ერთი ეს მითხარი, ბორისი არსად შეგხვედრია?

— ეს წუთია, კანტორიდან მოვდივარ. იქ არ არის.

— რა იქნა აბა, შენს დასაძახებლად წამოვიდა. გზაში თუ აგცდა სადმე.

— შეიძლება!

— ასე, ჩემო ეგნატე... მითხარი ახლა რანაირად ცხოვრობ, როგორ არის შენი საქმეები. აგერ რამდენი წელიწადია მე და შენ არ გვიმუსიაფია.

— ეჰ, მაგის დრო სად არის, ელეფთერ, ბატონო...

— უკეთეს დროს როდის გამოიხახავ? ზამთარი ეს არის და...

— გლეხი კაცი ვერც ზამთარში მოისვენებს, ჩემო ელეფთერ და ვერც ზაფხულში... შენ გაგვიგარეულებდი, სოფლის ამბები სადღა გეხსომება.

— შეიძლება... შეიძლება, მაგრამ ერთმანეთი ხომ არ უნდა დავკარგოთ!

— ასეა. ცალი ხელით ვართ დაკიდებული, საქმეს რა გამოლევს! ხე-ტყე, როგორც იქნა, ჩამოვზიდეთ და სანამ ეს ბოსელი აშენდებოდეს, ჩვენი მოსვენება არ იქნება.

— ძნელია, ჩემო ეგნატე, მაგრამ სადაც სინდელია, ცხოვრების ემხიც იქ არის.

— ვითამ? — თითქოს თავისთავს დაეკითხა ეგნატე და ნათელი თვალები ცეცხლს მიაპყრო.

— თერამეტი თუ ოცი წელიწადია ფერმას დასტრიალებს თავზეო, მართალია?

— ტრიალის რა გითხრა, ბატონო და ფერმაში კი ვმუშაობ.

— რას იტყვი მერე, კმაყოფილი ხარ შენი მუშაობით?

— თავისი მუშაობით კმაყოფილი ვინ არის, ელეფთერ. მე ჯერ კვლავთკმაყოფილი კაცი არ მინახავს, რომ თავისი მუშაობით კმაყოფილი იყოს.

— ვინც აგრე ფიქრობს, იმას უკეთ მუშაობაც შეუძლია.

— შეუძლია, კი, მაგრამ პირობებიც უნდა გქონდეს. მარტო საკუთარ გულს რომ შეასკდე, რა გამოვა!

— რაზე თქვი ეგ?

— არაფერზე, ისე. ყოველწარ მუშაობას თავისი პირობები უნდა გქონდეს, ჩვენი ფერმაც უნდა იქნას. გვიჭირს, ელეფთერ, საყოლებლის შენახვა, ბატონო, იმდენად გვიჭირს, რომ ყველაფერი ამ საყოლებელს ღირდება და ჩვენ ქე ვრჩებით ცარიელ-ტარიელი. ვერავის ვერ დააბრალებ ამას. თუ გინდა დამაბრალებ მე, იქნება არ ვიცი, საქონელს რანაირად მოვუარო, მაგრამ რა ვაკეთებ ეს ოცი წელიწადი. გეკითხები შენ! ოც წელიწადში, შე კაცო, პროფესიონალიმდე მიდიან და მე ერთი ძროხის მოვლა ვერ ვისწავლე? არ ვიცი, მე არ მჯერავს და შენი არ ვიცი. ოცი წელიწადია ამ ნახირს დავდევი მთას და ბარში... დავანებოთ თავი ერთი ამას! ვახშამზე ნუ გამაჩერებ, თუ გიყვარდეს, ელეფთერ, ახლავე უნდა წავიდე, საქმე მაქვს იმისთანა საჩქარო.

— რას ამბობ, ეგნატე, ჯერ არ მოსულხარ და ახლავე მაგას მეხვეწები? საცა არის, ბორისიც ამოაღწევს და ერთად წახვალთ.

— არა, არა, ვიცი მე მისი ხასიათი. ველარსად ვერ წავალ მერე.

— მოითმინე, ეგნატე, თავი მომიკვდეს თუ შედმეტ ხანს შეგაგვიანო.

— რომ არ ამოვიდეს ჯერ?

— არა, არა, ამოვა აუცილებლად. ნუ გეშინია.

— აბა შევიციდი პატარა ხანს კიდევ.

— მე მაინც ვერ გავიგე, ეგნატე, შენი სიტყვა. პირობებიო... რა პირობები, თუ კაცი ხარ? რა პირობებია ამისთანა, რომ... თავი ნუ მოგიკვდება, ნურაფერს დამიმალავ.

— დასამალავი რა მაქვს, ელეფთერ. სატკბურს მალამო უნდა, დამალვა კი არა. გულითაც რომ მოიწადინო, ვერ დამალავ, ტყვილი შეგაწუხებს. აბა რანაირად დამალავ! რაიონიდან მოგვდის გეგმა... ეს შენ უკეთ იცი და მე რაღას მალაპარაკებ ახლა!

— არა, თქვი, თქვი!

— მოდის, ჩემო ბატონო, გეგმა და ამ გეგმაში სწერია, ამდენი და ამდენი მსხვილფეხი უნდა გყავდეს, ამდენი და ამდენი წვრილფეხიო. ასე წერია გეგ-

მაში. ამ არემარეზე, საითაც გაიხედავ, სულ ვენახებია, დანარჩენზე, ზოგან სიმინდი გვითესია, ზოგან პური. ფერმაში ერთი და ორი ძროხა ხომ არ არის, რომ საბელი ჩააბა და სანაპიროზე აბაღბო. ჯოგს რომ გამოვრეკავთ გზაზე, ერთი თავი კანტორასთან აქვს, მეორე სამკედლოს პირდაპირ. შენ თავთ იფიქრე ახლა: რით უნდა შევიწინაბოთ ეს საქონელი, ან მუშა-პირუტყვს რა ვუყო, ან შეწველს! მთის საქორები იყო და ისიც გადავხანით, კარტოფილი გვითესია.

— ოო, ეგ კი ვერ მოგვცლიათ კარგად!

— რა თქვი? კარგად ვერ მოგვცლია? კარტოფილის ნათესის გეგმაც გვაქვს. აბა სად წავიდეთ?

— ამ ვაკეებზე დაეთესდი, შეეცადო.

— ვერა, ელეფთერ, ვერა. ვენახში კარტოფილი არ ვარგობს, ქე იცი შენც, სხვაგან სიმინდი გვითესია, იმის გეგმაც გვაქვს. პური ცალკეა და... რა გქნა ახლა მე, რა ვაქამო ამხელა ჯოგს, ხელისგულზე ხომ ვერ ვაბალახებ!

— რას შერებები აბა, კაცო, რით ღონიერდები?

— ეეჰ! — ამოიოხრა ეგნატემ, — რით ეღონიერდებით და ვყიდულობთ საქვებს. მერე ვისგან ვინდა იყიდო, ყველა რომ ამისთანა დღეშია. აქეთ ვეცემით, იქით ვეცემით და ვართ ამისთანა გაწამაწიში. რაც ვენახში მოსავალი მოგვდის, ნახევარი ფერმას ჰკირდება, მითხარი ახლა, განათლებული კაცი ხარ, ივარგებს ასე? ასე არ შეიძლება, ელეფთერო, სწორედ არ შეიძლება. თუ რამე თქვი, იმ დღეს კილამ თავი გამოიხეთქა ყარამანიჩმა, კალისტრატეს დარიგებული ხარო. რას ქვია, ბოშო, კალისტრატეს დარიგებული, კალისტრატეს დარიგება მკირდება ახლა მე? ეს კალისტრატე მტერმა ხომ არ შემოგვიგზავნა თუ იცი? თუ მართლა შემოგზავნილა, გამოვიძიოთ და ახლავე დავიჭიროთ, ბატონო. მთავრობაც არ უნდა მიაგას, ჩვენ თვითონ ამოვხდით სულს აქაურები...

დერეფანში ჯალხანამ შეპყეფა.

— ძალღი ხსენებაზეო, — ნაძალადევი ღიმილით თქვა ელეფთერმა და წამოდგა, — ბოდიში, ჩემო ეგნატე, ამ წუთში გვახლები. ეს ბორისი იქნება, გამოჩნდა; როგორც იქნა.

მაგრამ ძაღლის ყეფა მანამდე შეწყდა, სანამ ელეფთერი კარს გამოაღებდა. ახლა ალერსიანი წკმუტუნის და მამაკაცის ხმამალალი ჩურჩული ისმოდა. ელეფთერმა კარი გააღო. დერეფანში პირმოპლიმარე პეპინა იდგა.

— უჰ! — აშკარად არ ესიაშოვნა მისი ამ წუთს დანახვა ელეფთერს. — ბორისი რა უყავი, ბიჭო?

— აგერ მოდის ისიც. არ უნდა მომილოცოთ ახლა მე?

— რა უნდა მოგილოცოთ?!

— ჯალხანა რომ ასე შემეჩვია, ღვიძლ ძმასავით. ამას კი ვენაცვალე სულში, ძაღლიც ამისთანა მესმის! პატრონს გ... ფუ ჩემს ენას კი რა ვუთხარი მე!

— პატრონს გავს არა?

— რავა გეკადრება, ამბერკინ... პატრონს გონია, დახვეს პეტრე მიროტაძესო, მაგრამ ვერა შენ!

— ღმერთმა დაგიფაროს, რა გაქვს დასახევი!

— ოჰ, ეგნატე, ამოხვედი? აა, ნწ... ჯალხანა! თავმჯდომარეა, შე ყურუმსალო, ის ხომ არ გგონია შენ! მოდი, მოდი, ყარამანიჩ, გაკაეებული მყავს.

— მაგისი შენ გეშინია, თუარა მე ერთ ლუკმადაც არ მეყოფა, — გაისმა სიბნელეში მოახლოვებული ბორისის ხმა.

— მოიცა, ჯალხანა, ჩემი პატივისცემისათვის მოიცადე! — ეხვეწებოდა მიროტაძე აღრენილ ნაგაზს, — ერთი გამოვუშვებ, თუ მაგრეა, ყარამანიჩ და ვნახავთ, რამდენ ლუკმად გადაყლაპავ!

— მაგისთანა ლუკმა არ მოგელიოს შენ! დაიკარგე იქით! მართლა არ გამოუშვა, ბიჭო, ჯოხი არ მიკავია ხელში!

— აა, ჯალხანა! — შეუტია ძაღლს ელეფთერმა.

— ერთი ეს მითხარი, სახელი ვინ და-
არქვა ამას, ამბერკიჩ, ჯანდაბა, ჯალ-
ხანა...

— რა ვიცი, დაარქვეს.

— ჯალხანა! ზედგამოჭრილი სახე-
ლია სწორედ. ჩემს ძალს კუსა ერქვა,
მაგრამ იმისთანა წუნკალი იყო, თუ
სადმე გამომცხვარს დაიგულებდა, მოგ-
ქამა ჭირი! წათხიან დერგიდან იღებდა
ყველს.

— ჯიშუა, პეტრე, — იცინოდა
ელეფთერი, — ზოგი ძალღია, ბალახსაც
ჭამს.

— უი, აბა! ისიც ქე ჭამდა ბალახს.

— რა ექნებოდა სხვა საქმელი! —
მოატანა ბორისმა ბოხი ხმით და ფე-
ხების ბრახუნით შემოვიდა დერეფან-
ში, — ქუცი! მართლა რა ლამაზი ძალი
ყოფილა! ასე ახლო კი არ მინახავს ეს
მე. ელენე, ბატონო! — კიდევ უფრო
ბოხი ხმით დაიძახა ბორისმა, მაგრამ
როცა პალატში ბუხართან ატუხულ
ეგნატეს მეტს ვერავის მოჰკრა თვალი,
ელეფთერს მიმართა: — რას გვეტყვის
დასახლისი, ასე ამოგანგლული რომ
შემოვიდე?

— მობრძანდი, მობრძანდი, კაცო, გა-
ციედა სახლი!

— ეს სახლს სწუხს თუარა, იმას კი
არ იტყვის, საწყაღ ბორისს სული
ამოხდა ეგნატე სიფისივამის ძებნაშიო.

— მე შენ გიცდიდი, ყარამანიჩ, მთე-
ლი ორი საათი კანტორაში ვიყურეუ-
ტე, — თავისი ჩვეული უღიმღამო ხმა
მოაწვდინა ეგნატემ.

— რა ქენი მერე, ვერ მნახე? შე-
ნისთანა ფერმის გამგე კი მთხოვა
ღმერთმა! დაკიდე, ბიჭო, პეტრე, ეს
პალატი ცოცხლად! ამის ამბავი მოგი-
ყევი შენ, ამბერკიჩ?

— ვისი? — უკვე შეკავებული ღიმი-
ლით იკითხა ელეფთერმა, რომელსაც
ეჩვენებოდა, რომ ეგნატეს წინაშე რა-
ღაცით დამნაშავე იყო.

— შეშის ამბავი არ იცი?

— რომელი შეშის?

— კაი, კაცო, ყარამანიჩ, გეყოფა
ახლა..

— ჩალა რომ გადმოვხიდეთ გორა-
ძირიდან იმ კვირაში, ჩალა, გახსოვს?
იმ დღეს შეშა მთხოვა. ანუ, ამჟამად მთხო-
ვა კი არა, მკედრები ამომილაგა საფ-
ლავიდან.

— კაი ახლა, ყარამანიჩ...

— თუ მინდელს ჩაუტანე, მე არ მე-
კუთვნისო? იცოცხლე, მაგას ღამე გაუ-
თენა ედუიკი, ვენაცვალე იმას, მამალი
ქალია! თქ, ელენეს ვახლავარ!

— კიდევ გამიარჯობათ, ჩემო ბატო-
ნო! ელეფთერ, გამომართვი ახლა ეს
ბოთლი, ხომ ხედავ, მივარდება!

ელეფთერი მიშველებას ლამობდა,
მაგრამ უფრო სკამებს ახრავინებდა.
როგორც იქნა, ჩამოართვა ცოლს სანო-
ვავით დატვირთული სინი და ყურით
საწოლის თავზე შემოსდო.

— ძველი ხარ, პეტრე, ძველი! — გაი-
ცინა ბორისმა და ბეჭებზე ხელი მოუ-
ტყაპუნა მიროტაძეს, — ამბერკიჩ, შენ
რალაცა გუნება შეგცვლია ამ საღამოს,
რამა საქმე?

— რატომ, რაზე მეტყობა?! — გულ-
ებრყვილოდ მოავლო თვალი ელეფ-
თერმა მეზობლებს.

— ხორცი დაამარილე?

— კი, მოვუთავე ხელი. ეგნატემაც
იმ დროს მომისწრო... ელენე, სუფთა
პირსახოცი ამოგვიღე ერთი, თქვენ არ
დაიბანთ ხელებს? ეგნატე, რას გარე-
ჩებულხარ მანდი!

— არაფერს, ბატონო... ვთბები ცე-
ცხლთან.

— აბა ორ კიქას დაღევ და უკეთ
გათბები.

— აბა კაცო! — ჩაურთო პეპიჩამ,
რამელსაც ხელების დაკაპიწება მო-
ესწრო.

ეგნატე წამოდგა, დაკმუქნული ფარ-
ფლებიანი ქუდი დაიხურა.

— მე წავალ, ბატონო, ელეფთერ.
თუ რამე საქმე გაქვს, მითხარი, თუ
არა და, სხვა დროს ამოგივლი. უკაც-
რავად ვარ!

— თუ! — ტაში შემოჰკრა ხელის
დასაბანად წინწახრილმა ბორისმა, —
აგრე უნდა, სახლიშვილო, აგრე, მაგ-
რამ ქვეყნის სათქიქრალი რომ მარტო

შენ იფიქრო, სად წავა, პა? გამოვა რა-
მე? თქვენი თუ ღმერთი გწამს!

— ქვეყნის საფიქრალს მე არ ვფიქ-
რობ, ყარამანიჩი. მე ჩემი პატარა საქმე
მაქვს და იმაზე ვფიქრობ.

პატარა საქმეო?

— დამისხი, პეტრე! აბა დიდ საქმე-
ზე ვინდა უნდა იფიქროს, ეგნატე?

— არის ამისთვის ხალხი.

— დაასხი, დაასხი, პო, ხომ არ გი-
ყიდი, შე ოჯახქორო! ვინ ხალხი, ეგ-
ნატე?

— ვისაც შეუძლია დიდ საქმეზე
ფიქრი.

— ვის შეუძლია მერე, ეგნატე, ვის?

— ყარამანიჩი, შენ ცოტა... ნასვამი
ხარ ახლა. რა საკადრისია მადანიჩი ლა-
პარაკი.

— უყურე ამას, რა თავმოყვარე გამ-
ხდარა! მას აქეთ ხომ არ დაეგმართა ეგ,
სპირიდონ ყანჩაველის ნაპატივები ქა-
ლიშვილი რომ ჩამოგივინდა?!

ნიადაგ ფერწასული ეგნატე შეერთა
და ერთბაშად აენთო.

— რა იყო, გულში ხომ არ გიღიტი-
ნებს? უფრთხილდი, იცოდე, სხვამ არა-
ვინ დაგასწროს!

თვალეზად ქვეულ ეგნატეს ერთი
ორჯერ აუარა და დაუარა ფერმა.

— ეს ხალხი იყოს მოწამე... ამ ოჯახ-
ის პატივისცემისათვის და შენი სიმ-
თვრალისათვის მიპატიებია...—ხმის ძიგ-
ძიგით წარმოსთქვა მან.

— უყურე ამას! რა მაქვს, ბიჭო,
შენი საპატივბელი, ასე წამიხდა საქ-
მე? რა იყო, რა იყო, რა მოგივიდა,
ამაზე მეტ მასხრობას ვერ იტან? —
უცებ მოლბა ბორისი ეგნატეს გა-
ცეცხლებული სახის დანახვაზე და
ქრელი პირსახოცის ბოლო პეტრეს გა-
დაჰკიდა მხარზე.

— თუ მასხრობა გინდა, მე მემასხრე,
სხვასთან რა ხელი გაქვს! — არ დათმო
ეგნატემ, — იმ ქალს შენთვის არაფერი
დაუშავებია, რას ერჩი!

— სხვა მაინც მეუბნებოდეს, ბიჭო,
მაგას! შენ არ იყავი, თვალეზი რომ კი-
ნალამ გამოგორტნა იმ დღეს, სიტყვა

რად შემომკადრეო? თქვენც იქ არ იყა-
ვით, ამბერკიჩი?

— ვინც მე თვალეზს გამოგორტნისა
პასუხს თავთ გაცემ. როცა მოსაშვე-
ლებლად დაგიძახო, მაშინ მოდი!

— ესენი ანარქიას მომიწყობენ მე
არტელში, აგერ ნახე თუ არა! — ბრია-
ლა თვალეზი მოავლო ბორისმა ელეფ-
თერს და პეტრეს, — ვინ ვარ მე, თავ-
მჯდომარე ვარ თუ რა ვარ!

— გამიშვი, ყარამანიჩი, გარეთ, მე
შენთან საჩხუბრად არ მცალია. საჩხუ-
ბარი კბილები მოცვლილი მაქვს. აგერ
პურმარილის მისაღებად მოსულხარ პა-
ტიოსან კაცთან. მიილე, რაც მოგართვან
და შეირგე. ნუ გეშინია, მე არსად მიე-
ღივარ საჩივლეულად. შენ იცოდე და
შენმა სინდისმა. თუ მიხვდი, მიხვდი,
თუ არა და, შენც კარგად იყავი და მეც.
რა გინდა ახლა მეტი?!

— მერე ვინ გინდა შეაშინო მაგ სიტ-
ყვებით!

— მე რომ ვინმეს შეშინება მდომე-
ბოდა, ასე არ გეტყოდი.

ელეფთერი შეწუხდა. მას არავის
წყენინება არ უნდოდა და ყველაფერი
უნებურად მოხდა მის თვალწინ. ეგნა-
ტეს კარებთან წამოეწია და ბექებზე ხე-
ლი მოჰხვია.

— ეგნატე, რაც გინდა შემომასახელე,
ოლონდ ამნაირი გუნებით ნუ წახვალ
ჩემი სახლიდან, არ მოგვდგამს, ბიჭო,
აგრე...

— მე შენი ხატრით ამოვედი, ბატო-
ნო, ელეფთერი და ქე მივდივარ აგერ.
კამა მე არ შემიძლია და ღვინოს ვერ
დავლევე, ტყუილად ჩაგიშხამებთ სუფ-
რას. რაზე, წავალ ჩემი გზით! ელენეს-
თან ბოდიში მომხადე...

— გამქერი ყელი ეგნატე და ეგ იქ-
ნება! — წაეშველა მასპინძელს აქამდე
შეუძმინეველად დარჩენილი პეპიჩა, —
შენ რომ ნათლიაჩემის სახლიდან დღეს
ასე წახვიდე, ხვალ მთელი სოფელი გაი-
გებს ამას და თავი მოგვეჭკრება.

— ნუ იტყვი, შეკაცო და არ გაიგებს.

— თუ ძმა იყო, ეგნატე... ახლა შეგე-
ტყობა, გიყვარვარ თუ არა, — განაგრ-
ძობდა მუდარას ელეფთერი, — მოდი,

თითო ჭიქა ღვინო დალიეთ და შერიგდით.

— რა შერიგება მინდა, ელეფთერ, ბატონო, — მოლბა ეგნატე, — მე არ ავშლივარ მაგას, ურიგო არაფერი მიკადრებია. თუ თავათ რამე მკადრა, ვუთხარი, მიპატიებია-თქო და მეტი რა ვქნა, შერიგება არ არის?

— მოიტა ხელი, ეგნატე! — გაისმა ამ დროს პალატში ბორისის ხმა.

ის ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო, ამობურცული მოლურჯო ძარღვი უთახთახებდა ყელზე.

— ა, ბატონო!

— მოკიდე ახლა ამ ჭიქას ხელი!

ეგნატემ წითელი ღვინით პირამდე ავსებული ჭიქა ჩამოართვა ბორისს.

— ვახტანგური დალიეთ, ვახტანგური! — წვრილი თვალები აუციმციმდა სახეგაოფლილ პეტრეს.

ეგნატემ ორიოდ სიტყვით დალოცა ოჯახი და ჭიქა გამოსცალა.

— არც ახლა იშლი წასვლას? — კიდევ შეეპატივა ელეფთერი.

— უნდა წავიდე, ამბერკიჩ, ძალიან უკაცრავად ვარ, მაგრამ უნდა წავიდე. დიდი მადლობა! მე მეგონა, სასწრაფო საქმე გქონდა, თუარა ამაზე რაღა შეგაწუხებდი.

ამ სიტყვებზე ეგნატე კარს მისწვდა, მაგრამ პეპიჩამ უკანვე შემოაგდო იგი და თვითონ პირველი გაიქრა დერეფანში.

— ახლა ნაგაზს უნდა დააგლეჯინო თავი? ჯალხანა! მწ, მწ... სად წავიდა ი ძაღლი!

ელეფთერი დონჯემოდგმული დაბრუნდა პალატში. მერე ხელები ჩამოუშვა და თავი გადააქნია.

ბორისს მაგრად შემოკერილ მხედრულ ქამარში ჩაეჩარა თითები და დროდადრო ისე ატკაცუნებდა, თითქო ფინჩს ამტკრევსო.

— ეს მერამდენე თევა, სოფელში ვარ და... — გაუბედავად დაიწყო ელეფთერმა, თან გულხელდაკდობილი აგუზგუზებულ ბუხარს უახლოვდებოდა, სადაც სუფრაგადაფარებულ ტაბაკზე

პურმარილი იყო გაშლილი, — ასე თუ ისე, ყველა გააციანით... დასვენებული გადააქნია თავი, თითქო რაღაც უნდა მოიგონოსო, ხელები მუხლებზე დაიწყო და დაჯდა, — გამოტეხილი რომ გითხრა, ბევრი რამე... თუ ასე ხართ სულ, რათი ხართ, მიკვირს...

— როგორ? — ორი ადლის სიმაღლიდან დახედა ბორისმა.

— ტყუილად დავუძახეთ ჩვენ ეგნატეს, ერთმანეთსაც ვაწყენინეთ და...

— არ გითხარი?!

— შენ კი მითხარი, ბორის, მაგრამ... ასე სათითაო მოლაპარაკებით, როგორც ჩანს, გაკიანურდება. გაკიანურებასაც თავი დაანებე! სოფლის საქმე ვერ გადაწყდება სუფრასთან.

— ბოდიში, ამბერკიჩ და, შენ რომ თავში ექვის ქია არ შეგჯღღმოდა, არაფერიც არ მოხდებოდა, მერწმუნე. ანდა, რა მოხდა, ბოლოსდაბოლოს, არც მომხდარა რამე. ტრაქტორები აქ არის. ხვალ-ზეგ საწვავს გადმოიტანენ და, პაიდა!

— ასე გგონია შენ? კანონს რომ ვარღვევთ, ბიჭო?

— რა კანონს?!

— სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება კანონი არ არის ჩვენთვის?

— მერე რა, რომ არის! მერე? რა წერია მაგ წესდებაში? როცა არტელი რამე ახალ ღონისძიებას ატარებს, ყველას სათითაოდ უნდა დაეკითხოს თავმჯდომარეო?

— ყველას სათითაოდ არა, მაგრამ... საერთო კრებას უნდა დავეკითხოთ, ბორის, არ იქნება უმაგისობა, თუარა ნახავ აგერ!

— ეე, ჩემო ამბერკიჩ...

— რა იყო?

— უარი რომ გტკიცონ იმ საერთო კრებაზე, რას ეუბნები მერე რაიკომს!

— უხერხულია, ვიცი... რა ვქნათ აბა, რაიკომსაც იმას ვეტყვით, რასაც კრება იტყვის. მესხი დაგვესწრება თვითონ, არ დაგვესწრება? შეგნებული კაცია, კიდევ ასწონ-დასწონის საქმეს. შენ გითხრეს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მე კი

მოკვარი ყურნი გუშინ ლაბაძეებში. ერთი ორიოდეს უთქვამს სავენახე მიწების გასუფთავებაზე არ გამოვალთო. მოდი და, ახდეს ეს, მართლა არ გამოვიდნენ, უარესი არ არის? მერე რაღას ეუბნები რაიკომს!

— ისე გამოვლენა მზე მალა იქნება, ეს უღვაში გამპარსონ, თუ ასე არ იქნეს!

— ეგ იმედია... რომ არ მართლდება იმედი ყოველთვის?

— ესე იგი გაფიცვას მომიწყობენ, არა?

— გაფიცვა ნუ იქნება, რაც გინდა, ის დაარქვი.

— ისე გამოდის, რომ შენც ბევრი გიჩიინეს, ამბერკიჩი...

— მე ველაპარაკე ეგნატეს, ხომ იცი.

— როდის?

— შენს მოსვლამდე, მაგრამ პირდაპირ ამაზე არ ჩამომიგდია სიტყვა.

— აბა რაზე?

— ისე ვილაპარაკეთ, საერთოდ. ვერ დაგმილაგ, ბორის. ბევრა რამე ქუთაში დამიგდა. მე...

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია ბორისმა.

— მაკადე, მაკადე. მაგან იმისთანა ამბები მითხრა, რომ თუ მართლა ასე არის საქმე, ახლავე სჯობია ყურის გამოქეპა.

— ჩემზე იტყოდა, ორი გოკი წაიყვანა საახალწლოდო, არა? ვაი მაგის პატრონს, გლახის მართლა არ უნდა გაიშვას არაფერი!

— მაგაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

— აბა რა უნდოდა!

— თავის ჭირვარაში ილაპარაკა, არტელის ავკარგზე.

— მერე ეგ რომელი შემფასებელი გამომიჩნდა, ვინ კითხავს მაგას სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ვბრძან-

დებო? ვაი მაგის პატრონს! მოიწი აქეთ, სუფრას მოუჯექი, მე ვიტყვებ და ჩემმა ბიჭობამ. აქლემი ისე არ დაგვატემა, ვირის საპალნე ვერ ზიდოსო. არც ბორის ლოლამე წახდება ისე, რომ ეგნატე სიესივადის დასარიგებლად გაუხდეს საქმე. რა არის ეს, კომპოსტოა? წითელი გამოსულა. ქარხლის წვეწში იყო? ყოჩაღ, მუნჯია, რა წნილის ჩადება იცის, ვერ უყურებ შენი ეპეე, იქლესა პეპიჩა რა გვექნა, ამბერკიჩი, ეგნატეს კვალს ხომ არ მიყვას ისიც თუ იცი?

— დაჯექი, დაჯექი, თუ მოსასვლელია მოვა, — მუხლზე ხელი წაატანა მას ელეფთერმა და ქიქა შეუესო.

— საწყალი პეპიჩა!

— რამ გაასაწყლა, თვალს აკლია თუ ყურს!

— ისეა ქერქეტა თუ არა, გული კეთილი აქვს, ხომ იცი, ამბერკიჩი. პერანგს არ დაიშურებს შენთვის, საწყალი გულის კაცია. ოჰ, მშვიდობა შენს მობრძანებას, პეტრე! სად იყავი ამდენ ხანს, ძალლი გეკავა?

დაირასავით აბრიალებული, ოფლში გაღვითქული პეპიჩა კრეჭით შემოვიდა და კარი ღია დასტოვა:

— იყოს ცოტა ხანს, ჰაერი შემოვიდეს თუ არა, ამოვიგუდებით.

— როგორც მუდო ნულში, არა! — შესცინა ბორისმა და იქვიანად ახედდა პეტრეს მისრესილ-მოსრესილ ტანსაცმელს, — თუ, როგორც ვერთხა ბელელში?..

პეტრემ გაიღიმა და კეფა მოიფხანა სწორედ ისე, როგორც უშანგის სჩვევოდა.

კარი კიდევ კარგა ხანს იყო ღია. გარედან მუნჯიას ბუზლუნი მოისმოდა. ძნელად თუ გაიგებდა კაცი, ძალს უჯავრდებოდა, თუ თავისთავს...

XLII

ეგნატე ძუნძულით დაუყვა დაღმართს. მამაკაცების ხმაშალა ლაპარაკზე გარედ გამოსული მუნჯია ძალს ამწყვედევდა დაცარიელებულ სალორეში. ჯალხანას ყეფა და მუნჯიას გაურკ-

ვეველი ღმუილი კიდევ კარგა ხანს ესმოდა ეგნატეს. მერე ესეც მიწყდა.

მთვარე ამოსულიყო. წელანდელი ნაფეხურები გარკვევით აჩნდა ატალახებულ ბილიკს.

ეგნატე ნაპრალეზსაც არ ერიდებოდა. წყალი შეუვიდა ფეხსაცმელში, მაგრამ ამ სისველემ თითქო კიდევ შეათბო. შუალამის გრილმა სიომ, ადამიანს რომ ძვალ-რბილში გაატანს, ძალღონე დაუბრუნა იმ თავბრუდამხვევი სიცხის შემდეგ, რომელიც ელეფთერ ლაშხის პალატში სუფევდა. ნახევარი გზა მთვრალივით ბარბაცით გაიარა. ელეფთერის ქიშკრიდანვე თვალს არ აშორებდა მოქანავე ელნათურას, ორღობის დასასრულს შარაზე რომ ენთო. რაც უფრო წინ მიდიოდა, ელნათურა თითქო თავის მხრივ უფრო შორს მიიწევდა. ნამდვილ ზღაპარს ჰგავდა. „ასეა ადამიანის ცხოვრება, — ფიქრობდა ეგნატე, — წინ გარკვევით ხედავ შენს მიზანს და რაც უფრო უახლოვდები, მით უფრო გსორდება, გაგირბის. მაგრამ სადამდე უნდა ირბინოს?“

შეჩერდა. ცას ახედა. ღრუბლები გადაყრილიყვნენ. ვარსკვლავებით მოჩითული ცის ლაქვარდი უზარმაზარ მინდორს წააგავდა. ბადრი მთავარ სამკედლოს სახურავს ასცილებოდა და ნელი ორინით მიიწევდა დასავლეთისაკენ.

საფოსტო გზაზე გასულს ახირებული აზრი აეკვიტა: მისულიყო შინ თუ არა? გვანცას ვერ გამოაპარებდა თავის არეულ გუნებას, ის კი არასგზით არ ჩამოეხსნებოდა. აი, ზაქარას ოდაც. ყველას ძინავს. დერეფანში ობლად ანთია სინათლე. ყველაფერი მიყუჩებულია. ამ ცოტა ხნის წინათ აქ მომხდარი დიდი ამბის ნიშანწყალიც არსად ჩანს. საწყალი ზაქარა! გაზარდა ქალიშვილი და წაიყვანა სხვამ: მქონებელს ემატებოდეს და უქონელს აკლდებოდესო, — სწორედ ამაზეა ნათქვამი.

იქნებ უმჯობესი იქნებოდა, გვანცა ვეად ჩასახულიყო დედის საშოში. ნუთუ მაშინაც ასე სათუთად ეყვარებოდა იგი ეგნატეს, როგორც ახლა უყვარს? ვაი უფრო თავკერძაა, გულჩახვეული, სიყვარულიც ალბათ ნაკლები შეუძლია, ეგნატეს კი ისე სჭირდებოდა ამ წლებში ახლობელი არსების ნაზი აღერსი, როგორც წყალი ნავგაღაც სიმინდს და თა-

ვისუფლად განავარდება გალიაში ჩამწყვდიულ ჩიტუნისა.

ნუთუ ხეალ თუ ზეგ ეგნატეს თავსეცის ამბავი მოხდება, რაც ზაქარას თავზე მოხდა? მოვლენ და შეუბრალებლად მოპგლეჯენ გვანცას გულიდან! აი დამთავრა გვანცამ უმაღლესი სასწავლებელი, ჩამოვიდა მამის სანახავად. ქვეყნის შორეულ კუთხეში გამგზავრების წინ მეგობარი ყმაწვილი ჩამოიყვანა. ო არა, არა! ეგნატეს არ შეეძლო ნება მიეცა ვინმესათვის თავი გვანცას პატრონად ზამოეცხადებინა. გვანცა სულ მამის უნდა ყოფილიყო, არასოდეს არ უნდა გაეყო მამის სიყვარული, რადგან ეგნატესავით ვერავინ შეიყვარებდა. მაგრამ ვის უნახავს ქალი, რომელსაც მშობელი მამა არ ჰყოლოდეს! ჰყავთ და მაინც მიჰყვებიან სხვას, ვინმე უცხო ადამიანთან ერთად იშენებენ ახალ ბუდეს და თვითონაც მშობლად იქცევიან, ნუთუ გვანცაც ასე... ჩვეულებრივი ქალია, ნამდვილი ქალია და მეტი არაფერი! მისი ზრდის შეწყვეტას, დროის შეჩერებას ვერავინ მოახერხებს...

ქიშკრის ქრიალმა ეგნატე ღრმა ფიქრებიდან გამოიყვანა.

— მამა! — მოესმა მას და დაინახა, როგორ შესცინოდა ქიშკარში ჩამდგარი გვანცა.

აივანის რიკულზე დაკიდებული ელნათურა ანათებდა ბილიქს, რომელსაც გვანცას კვალი აჩნდა. აი ეს იყო, აქ იყო მისი ოცნების ანკარა წყარო და ეგნატე დაქინებით ცდილობდა გონებიდან განედევნა შემოჩენილი მტანჯველი ფიქრები. ახლა აღარც ელეფთერი ახსოვდა, არც ბორისის დამერილი ძარღვები, არც ვენახი, ფერმა და მთელი ქვეყნიერება. იგი სრულ თავდავიწყებაში იყოფებოდა.

— გაგიცივდა, მამა, ძალიან გეტყინა? — არ ეშვებოდა გვანცა და ფრთხილად უსვამდა ხელს დაშავებულ მკლავზე.

პირველად ეგნატე ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა ქალიშვილი, მაგრამ გვანცა დაქინებით იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს. თვითონაც მოსინჯა პალტოს

ჯიბეში უგრძობლად დებულ ხელი, მაგრამ ეს უკანასკნელი ყოველგვარ შეხებისათვის უგრძობი იყო.

— არაო, დაამშვიდა ქალიშვილი, დღეს სრულებით არ მტყენიაო.

— მე შეგონა, გეტყინა და სადმე შეუხვებ. შემეშინდა... — საყვედური გაისმა გვანცას ხმაში, — იცი, მამა, რომელი საათია?

— აბა რა იცის ეგნატემ, რომელი საათია, ანდა რა ამისი დარდი აქვს! თავი მაინც დაუქნია. ხელიხელ გადახვეული გაუყვინენ ბილიკს.

პირსაბანიდან წყალი წვეთავდა. ეგნატემ შუბლი და ღაწვები დაისველა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ გვარიანი დრო იყო გასული.

პალატში თბილოდა. ბუხრის მოშორებით, საკარცხულზე ეწყო ხელუხლებელი ვახშამი. ცეცხლის შუქს ასეილის ფერი მოეფინა ხის საწოლისათვის. გვანცას ლოგინიც გაეშალა.

— არ გიქამია? — წყრომანარევი ხმით იკითხა ეგნატემ, როცა ტილოგადაფარებული ვახშამი და იქვე გადაშლილი წიგნი დაინახა.

— არა, მამა, შენმა დარღმა არ მომასვენა.

— მერე არ მოგშივდა?

— არა.

— არც ძილი მოგერია?

— არა.

— აბა ექამოთ, შე ქალო, გაქვს რამე?

ღრმა თეფშზე ნაღებიანი მაწონი, თხლად დაჭრილი კომპოსტოს წნილი, შინაური ყველი, ლორის ნაჭერი და ლამბაქზე დასხმული კვარაბი ეწყო.

— ჩაისაც დალევ? — იკითხა გვანცამ.

ეგნატეს ახლა სრულებითაც არ ჰქონდა ქამის შადა, მაგრამ უნდოდა როგორმე გამოესყიდა დანაშაული, რომელიც დაგვიანებით მოსვლაში გამოიხატებოდა და ამით ესაიამოვნებინა თავისი პატარა დასახლისი. ამიტომ არც ჩაიზე უთქვამს უარი. პირველმავე ლუკმამ ქამის საღერდელი აუშალა. უჩვეულოდ გაუხსვა ხელი სუფრას. როდის, როდის შენიშნა, რომ მუხლებზე მკერდით და-

ყრდნობილ გვანცას კაბა კოჭებამდე ჩამოეკიმა და თვალს არ ამორებდა მშობელს.

— რას შერები? — თავი ააწია ეგნატემ.

— შეძინება, მამა, — გამოტყდა გვანცა, — სკოლიდან რომ მოვედი, რძე დავლიე და პური შევატანე. ახლა აღარ მიწადა მეტი.

— აბა დაიძინე, შვილო, მე რას მიცდი!

— შენც დაწვიები?

— დავწვიები, პო, დაიძინე!

ეგნატე თუთუნს არ ეწეოდა, მაგრამ ახლა, ვახშმის შემდეგ მოუნდა ერთი გემრიელად გაებოლებინა. ბოლი გონებას მოუღუნებდა და უფრო ადვილად დაეძინებოდა. ფეხაკრეფით ჩამოუარა თაროებს, იქნებ სტუმრისათვის ნაგულეები პაპიროსი შემხედდეს სადმეო, მაგრამ იმედი გაუტრუვდა. როცა ბუხრის პირს დაუბრუნდა, გვანცას უკვე ეძინა. ფაფუკი შავი თმა ჩაქმუქნულ ბალიშზე გაშლოდა. ნიკაბი და სიდრიფანა ცხვირის ნესტოები ცეცხლის შუქს აეფერადებინა. შავგვრემანი მკლავები საბანზე შემოიწყო. მარჯვენა ხელის ზურგი ნიკაბს ეხებოდა.

ეგნატე ფრთხილად მიუახლოვდა და საწოლის ლინგზე ჩამოჯდა. რა შეედრებოდა მისთვის ამ მარწყვივით დაბურცულ ტუჩებს, ამ უღარდელ ძილს! სულშეგუბებელი დიდხანს დასცქეროდა შვილის უმანკო სახეს, როდის იყო, კალისტრატე მასწავლებელმა რომ უთხრა? შენს გვანცას ამ ბოლო დროს სინჯარმაცე შემოეჩვიათ, დოყლაპიობს, აკვეთილზე თვალაქი ებლიტებო. ამაღამაც ვერ გამოიძინებდა მამის იმედი გათენებამდე, ხვალაც შენიშნავდა უძილობას კალისტრატე მასწავლებელი. იბლობის გამოა, რომ ასე ადრე დაიწყო გვანცამ დასახლისობა, მამამ რამდენჯერ დაუშალა, მაგრამ არ იშლის. არა, თვითონ გვანცას კეთილდღეობისთვისაა საქირო ოჯახის გადასხვაფერება, იმნაირად გადასხვაფერება, როგორც ეს ეგნატეს გულს სწადია. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? რით შესძლებს ეგნა-

ტე ამას, რა დროს ამგვარების ფიქრია ისეთ ხანდაზმულ კაცისათვის, როგორიც ეგნატეა, ვინ დაუჯერებს, რომ ეს სურვილი უბრალო სურვილი არ არის, ვინ დაუჯერებს, რომ ამ სურვილის წინააღმდეგ ბრძოლას მეგობრისა და სინდისის ერთგულმა ეგნატემ თორმეტი წელიწადი მოანდომა!? მაგრამ სად იყო ისეთი ღამე, ისეთი წუთი, როდესაც გულის ღრმა ჭრილობას თავი არ შეეხსენებინოს! ეგნატე თითქოს გაჩენის დღიდანვე მალავდა ამ ჭრილობას, მალავდა, როგორც მოღალატენი მალავენ თავიანთ შავბნელ განზრახვას, მაგრამ მალავდა არა იმისათვის, რომ შესაფერდროსა და გარემოებაში გამოემტკიცებინა, არამედ მალავდა სამუდამოდ, სამარადელად. ადვილად შეუძლია ხელი წამოკრას ამას ბორისმა, ბორისმა არ იცის, რა არის ეს! ბორისმა არც ის იცის, რომ ეგნატეს შეუძლია კაცი მოჰკლას, კაცი მოჰკლას ამ საიდუმლოს ამოკითხვის და გამჟღავნებისათვის...

არა, არ დაეძინებოდა ამაღამ ეგნატეს. იგი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გაიხედა.

მთვარე სკოლას გასწორებოდა და ახლა ჭადრებში აპირებდა მიმალვას. გარეთ დღესავით ნათელი სუფევდა. ალ-

სილი ცელის პირივით ლაპლაპებდა გზა ლობის გადაღმა. ხეხილის ბაღში დოტოტვილი ჩრდილები გაწოლილიყვანენ, ყავრით გადახურული კიშკრის ბოძი გვერდით გადაზნექილიყო, თითქო მახლობელ ვაშლის ხეზე აპირებდა თავის ჩამოდებას. უკაცურ კარმიდამოზე ცოცხალი არსების ჰკანება არ ჩანდა. ყოველივე გარინდულიყო რაღაც დიადსა და იღუმალს ძილღვიძრობაში.

ეგნატე შემობრუნდა. ერთხელ კიდევ დახედა ღრმა ძილში წასულ გვანცას და პალტო ჩამოიღო. ერთი წუთიც და მან ფრთხილად გაიხურა ეზოს კიშკარი. ალაპლაპებული გზის სითეთრე თვალებსა სჭრიდა. გაყინული თოვლი საამოდ ხრამუნებდა და მარილივით იფშვებოდა.

დიდხანს მიაბიჯებდა ეგნატე უკაცურ უბანში. კოპკერატევის წინ გავლისას თვალი ბექობს შეავლო. კალისტრატე მასწავლებლის ფანჯარაში სინათლე კიაფობდა. ალბათ კიდევ მუშაობდა მოხუცი. ეგნატემ მხარი იცვალა და პირდაპირ ფერმისაკენ აიღო გეზი.

სათივე ფარდულში ძალმა შეჰყეფა, მაგრამ თბილი ბუნავის მიტოვება დაეზარა, ან ეგნატე იცნო და ისევ მალე ჩაჩუმდა.

XLIII

ბევრი რახუნის შემდეგ ბოსლის კარი ბაბუა იორამმა გააღო.

ეგნატეს გაუკვირდა მისი აქ ყოფნა ასეთ დროს.

მოხუცს ისე უფრთხილდებოდნენ შინაურები, რომ ცივ ნიავსაც არ აკარებდნენ.

ბაბუა იორამი ჩვეულებისამებრ შექიკიკებული იყო. ეგნატე რომ დაინახა, მოხუცმა უფრო ფართოდ გააღო კარი და ლაპარაკის გუდას მაშინვე მოხსნა თავი.

ბაბუა იორამს სიყრმის მეგობარი გარდაცვლოდა მეზობელ სოფელ კვერეთში და წინა კვირას იორამის შეუტყობინებლად დაემარხათ. დაუპატივებლობის მიზეზს თავისებურად ხსნი-

და იორამი, ალბათ, იქაურ ახალთაობას ექვიც არ შესდიოდა იმაში, რომ მისი ბებერი ძელები დიდი ხნის წინათ შეექამა მიწას.

ეგნატე ყურადღებით უსმენდა მას და უკვირდა, რომ გაბალღებული მოხუცი ასე ქირქილითა და სასხვათაშორისოდ ჰყევებოდა ადამიანის სიკვდილის ამბავს. იორამს აშკარად ემჩნეოდა თავისი გამარჯვებით გამოწვეული სიხარული: ტყუილად როდია ნათქვამი, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო. თითქმის მისი ხნის ბერეკაცი მოკვდა, ის კი ცოცხალია და თავს ჩინებულად გრძნობს!

უკანასკნელად ხუთიოდე წლის წინათ შეხვედროდა ცხონებულს ზარობაზე. არ მოსწონებოდა მისი კვერავით მოხ-

რილი მხარბეჭი და კიდეც ეთქვა იორამს, აგერ ნახე თუ შენზე ოცი წლით მეტი არ გავძლოვო. აბა!

შუაგულ ლაპარაკში მოხუცს გული აუჩუყდა და ცრემლი მოერია.

ის კვერთხელი ძმაცაცის უკანასკნელი დღეების წვრილმანებს ჰყვებოდა. ბოლო წელიწადს ქარებს წაერთმიათ მუხლის ძალა მისი მეგობრისათვის, აი იმ ქარებს, იორამს რომ სჯირს. ფეხს ველარ ადგამდა, ეზოში მუხლის ჩოქვით დადიოდა. ბალიშები ამოეკრათ მუხლებზე შინაურებს, ლოგინზე რომ სხვაფრივ ვერაფრით დაემარებინათ.

— კი მაგრამ, შიგნით შევსულიყავით, იორამ ბიძია, გაცივდა აქაურობა, — შეპბუნდა ეგნატემ და ბოსელში შეაბიჯა.

კარის მიხურვისთანავე ბოსლის ნოტიო სიმხურვალე ეცა მას სახეში. მიძინებული საქონელი ფშვინავდა, ფუთფუთებდა, ასე გეგონებოდა, აბრეშუმის ქია შესევია ლასტზე მოფენილ თუთის ფოთოლსო.

— რა სიციხეა ეს, სარკმელი მაინც ვერ გამოაღეთ? — წაილაპარაკა ეგნატემ.

— რა თქვი, ყმაწვილო?

— არაფერი. მერე, მერე? რა დაეპართა იმ საწყალს?

— რაი და, ამდგარა, ეგნატე ამასწინაზე. წერა რომ აიტანს ადამიანს! კაცი-შვილისთვის ყური არ უთხოვებია. ამდგარა და... დაურღვევია მიფუშულ-მოფუშული ხიმე, და უყრის თავს ერთ ადგილზე.

— საწყალი! — ჩაურთო ეგნატემ, — რაზე შვრებოდა მერე ამას?

— კითხე ახლა, შენი თოვლის აღებამდე უნდა გავაახლოო. გაზაფხულზე ამისთვის ველარ მოვიცილო. მართლა ველარ მოიცალა იმ უბედურმა.

— კიდე მუშაობას აპირებდა თუ? ასე ბალიშებამოკრული...

— აბა! თონისთვის ტარი დაეგო. მომზადებული იყო ყოველნაირად. მიწა შექვენება თუ არა, ვენახში უნდა შევიდოო. ეე, საცოდავო სეფე, რა ბიჭი იყავი! პირმავე სიკვდილი რანაირად მოგერია შენ, ბაიყუში და სხვისი ხელების

შემჩერე ცოტა ამძიმებს დედამიწას? დაჩოქილი აპირებდა ვენახის გამოთოხნას. თუ სიკვდილი სადმე წამოწყდება, ისევე სვრელის თავში წამომეწიოსო. გააკეთა ის ხიმე და დაწვა იმ ღამეს. მეორე დღეს, შენი მტერი ადგა ისე, როგორც ის ადგა. ღმერთი წამთ, ბიჭო, ახლა მაგათ? ჩემთვისაც მოეწვდინათ ერთი ხმა, რა იქნებოდა, ერთი მეც მეტირა ის საწყალი!

ეგნატემ ტუნები მოკუმა და თავი ჩაიქნია.

— რას იზამ, იორამ ბიძია, სიკვდილის შვილები ვართ ყველა.

მაგრამ მოხუცი უკვე აღარ უგდებდა ყურს. ყაროც გახსენებოდა და მყივნა ხმით ყვიროდა ბოსელში:

— თოფილა! ბიჭო!.. ვაი, შენ კი დავაყრუა ჩემმა გამჩენმა, შენ!

— რა გინდა, მამა, რა! — შორიდან მოაწვდინა ხმა თოფილემ და ორი ადლის სიმალე ფიცრული კედლის ზემოთ ბანჯგვლიანი თავი ამოჰყო, — სად წახვედი, აგერ არ იყავი ახლა?!

— ჯანდაბაში წაგიყვან მე შენი ეგ კრაქი რომ შემოგიდგამს კედელზე და თივას ცეცხლი გაუჩინო, სად გინდა გამასწრო!

— იპ! — მჯილი ჩაიქნია თავმოებურებულმა თოფილემ და ხელი კედლისაკენ გაიწვდინა კრაქის ჩამოსაღებად.

— მიწყრება კიდეც! წამო, წამო! — ახლა ეგნატეს მიუბრუნდა მოხუცი, — ნახე რა ნიკორა დეკეული მოიგო წაბლა უშობელმა!

— უპ, — როდის? — თვალეები გაუბრწყინდა ეგნატეს და ნაბიჯს აუჩქარა, — დღეისთვის რომ არ მოველოდით?

— დიდი ბოდიში მოგვიხანდა, უკაცრავად ვარო, — ყვითელი კბილები გამოაჩინა მოხუცმა.

— სინათლე რატომ ბეუტავს ასე?

— ჯანდაბა მაგათ თავსა და ტანს, რა ვიცი?

— ვეტყერშალი აქ არის?
— ვინა, ბოშო? ჰოო, არ არის, არა. ამ დილას წიფლისწყაროში გაგიშვია. ჰოილო, მიდექი იქით! რაეა გადმოუგ-

ღია ჯიქანი ამ უნამუსოს, ხედავ? მი-
დექი იქით! დაეგდე მადერ, არ კადრუ-
ლობ ბაგაზე დაწოლას თუ? გამაქში ჩა-
გაწვენ აბა, მამაშენის ცხონებამ, ჰოი-
დო! — შეუწყრა იორამი წითელ ძო-
ხას, რომელიც ზარმაცად იზმორებოდა
სვეტთან.

ფიცრული კედლის იქით სამი ნაბდის
გაშლა ბაქანი იყო დატოვებული, სადაც
თვეში მდგმურ და ახალ ნახზოვარ
ძროხებს აბამდნენ ხოლმე. კუთხეში
რბილი თომი გაეშალათ და ბოსლის ამ
ბოლოში გამოსულმა ეგნატემ პირვე-
ლად თომზე დაწოლილი ახლადდაბადე-
ბული ნიკორა ხბო დაინახა. ხბო ჯერ
კიდევ სველი იყო და თუმცა ბოსელში
საქმად ცხელოდა, ის მაინც კანკალებ-
და სიცოცხლეს გან. ეს ქვეყანა მაინც ცივი
იყო მისთვის დღის მუცლის შემდეგ.

წაბლისფერ უშობელს ყელი წაეგრ-
ძელებინა, ენა გამოეყო და ცდილობდა
თავისიერი გაელოკა ათახთახებულ ხბო-
სათვის. უშობელი საბელით ეჭირა თეო-
ფილეს; დაბმას უპირებდა. როცა ეგნა-
ტე დაინახა, საბელს ხელი უშვა და
ნორჩი დედაც ზარბად დააცხრა თავის
საყვარელ ნიკორას.

ხბო თვალებს აცეცებდა, მონდომე-
ბით ცდილობდა წამოდგომას, მაგრამ
ჯოხისმაგვარი გრძელი ფეხები წამდა-
უწყუმ უცურდებოდა თივის ქვეშ გაგე-
ბულ ფიცარნაზე.

— ეტყობა ნიკორში, არა? — ნებიერ-
ობდა ბაბუა იორამი და ზარბად შეჰ-
ყურებდა მოსიყვარულე დედა-შვილს, —
დიდია, დიდი, სამი კვირისას ჰგავს!

ეგნატე დაიხარა და დედის ძუძუებზე
მიგეზებული ხბო ფეხზე წამოაყენა.

— ვახშად ვჯდებოდით, ის იყო და,
ყვირის ეს! — თეოფილესაკენ გაიქნია
მოკლედ შეკრებილი წვერი იორამმა, —
მართა! მართა!

თეოფილე ყურს არ უგდებდა მამას.
მას არ უნდოდა რაიმე საწყენი სიტყვა
ეთქვა მისთვის.

— მოვაძახეთ, გვესმის, რა გინდა-
თქო, მაგრამ აბა! მართა და მართა! ყურს
აკლია ამას, ხომ იცი შენ, ეგნატე. ამო-
ვედი და, რას ვხედავ: წაბლა აგერ დაუ-

ბამს, თავათ ხელები დაუკრეფია. ვუკვი-
რე, რაც ეკადრებოდა, მოვერიდებოდი
თუ! კილამ მომყოლი გადაყლანა! მართ-
ხამ, მე რომ არ მომესწრო.

— მე შენთვის არ დამიძახნია, ბატო-
ნო და აქ ამოსვლასაც არავინ გეხევე-
ბოდა, — თავის მოუბრუნებლად გადმო-
უგდო თეოფილემ.

— უყურე ამას! აქეთ მედავება კი-
დევ! ხომ არ გინდა კალა შემოგახაზ-
ვინო მაგ ფარგალა ფეხით!

— წადი, მამა, შენს თავს მიხედე, ის
ჯობია. შენზე უკეთესი ჯანის კაცი იყო
ეგერ სეფე, მაგრამ ქე გაფშიკა ფეხები.

— ვინ იყო, ბიჭო, ვინა? სეფე დამკ-
რავდა მე?

— არ მოგვეშვები, კაცო, ახლა, არ
გეძინება?

— მძინარაც ხარ და ქეც არა იცი რა,
ვერ უყურებ, რას მიხედავს! მამაჩემს
ქონდეს ცხონება, მე შენ ზურგი აგე-
რელო ამ ჩიბუხის ტარით!

— წადი, წადი, იორამ ბიძია, ჩვენ
მოტუვლით ამათ! — ჩაერია ეგნატე.

— არა, რალაცა სხვანაირად შემომა-
ჩვია მაგან მე ენა ამ ბოლო დროს, ის
ხომ არ ვგონივარ მე მაგას!

— არაფერიც არ მგონიხარ, კაცო მე
შენ. გეუბნებიან, ძილის დროს დაიძინე
და აღდგომის დროს აღდექო! ნუ მჭრი
თავს სოფელ-კუთხეში! რატომ არ გე-
ყურება ადამიანის სიტყვა! მე მართას
გადავძახე, შენ რა მოგარბენინებდა მის
მაგივრად! ჩავიდე ერთი, შავ დღეს და-
ვაყრი.

— ჰკუთით იყავი თუარა, მე შენ დაგა-
ყენებ შავ დღეს! წაუგდიათ ენა და აღარ
აიკან, ვის რა უთხრან! — მიბუზღუნებ-
და გულმოსული ბაბუა იორამი და გასა-
სვლელში ნაბიჯ-ნაბიჯ აბნევედა ჩიბუ-
ხიდან გამოცვენილ ნაპერწყლებს.

— ეგ რომ სხვამ ქნას, ქვეყანას აიკ-
ლებს ყვირილით, — ფეხებში მიაყოლა
თეოფილემ, — ბოსელი გინდა გადაწ-
ვო?

— დამოკლე ენა, ბიჭო, ყრუ ნუ
გგონივარ მე შენი — შუა გზაზე შეჩერ-
და გაგულისებული ბაბუა იორამი.

— დაანებე თავი, რაც უნდა ის

ქნას, — წაიჭურჭულა ეგნატემ, — მიდის, სახლში აპირებს ჩასვლას ამ შუალამისას?

— ჩავა, მე და შენზე უკეთ უპირის მავას თვალი: მთვარიანი ღამეა. შენ რაზე მოხვედი ასე გვიან, ახალი ამბავი ხომ არაფერია?

— მეც არ ვიცი, რაზე მოვედი. რაღაცა არ დამეძინა. წლისოდენი ღამეა ეს ოხერი!

— პეპიჩა დაგეძებდა ამ საღამოს, გნახა? ელეფთერისას ამოვიდესო.

— ვიყავი.

— შერე?

— შერე, წამოვედი ისევე.

— სვამდით?

— აპირებდნენ კი, მაგრამ მე აღარ დამიციღია.

— ხალხი ყავდა?

— მე ვიყავი, ბორისი და პეპიჩა.

— რაიო, რა ილაპარაკეთ?

— რა ვიცი, თუ ძმა ხარ, რაც სოფელში ამბავია, იმასაც მე მობრალეზენ, ვატყობ და აწი სულ ჩავიგუებებ პირში წყალს, — ოდნავ გაიხვიდა თავი ეგნატემ.

— ვენახზე არაფერი თქმულა?

— არ დამიციღია.

— მოგეცადა შერე, შეკაცო, რა გეჩქარებოდა!

— არ მჭონდა ახლა პეპიჩას და ბორისის თავი. გორაძირში ჩალის ფულია გადასარიცხი და მთელი ორი საათი ბორისს ვუცადე, ის თურმე ელეფთერთან იყო დაპატიყებული, — ისე დამშვიდებით, ოდნავ თავგაბეზრებული ამბობდა ამას ეგნატე, თითქო მასა და ლოლაძის შორის ჩიტსაც არ გაეფრინოს.

— მინა გველესიანი რომ ყოფილა რაიკომში, გაიგე?

— არ ვიცი? როდის, აქ არის თუ?

— არა, აქედან გაუვლია.

— შერე კალისტრატემ რატომ არაფერი იცის?

— ვერ გეტყვი მაგას. დღეს სერგომ გადმოიტანა ამბავი.

— ცვლილება არის რამე თუ?

— ასე უცებ რა იქნება! მდივანი კარ-

გად ცნობია მიხას. ლაზარინი იმასთან ნასწავლება.

— შერე? — ევლარ ისტეგნაძე რივ გამოცოცხლებული ეგნატე.

— ულაპარაკნათ.

— ილაპარაკებდნენ, კაცო, აბა რას აზამდნენ, შენც ერთი! ის მითხარი, რა გამოვიდა შერე მაგ ლაპარაკიდან?

— დღესდღეობით არაფერი.

ეგნატემ მხრები ჩამოჰყარა.

— აბა შენ გგონია, მიხას ერთი სიტყვა ქვეყანას ააშენებს?

— ერთ კაცს რომ ქვეყნის აშენება შეეძლოს, რა გვიჭირს!

— ელეფთერს არაფერი უთქვამს მიხაზე?

— რა უნდა ეთქვა!

— რა ვიცი, კანტორაში დაუბარებია მიხას და...

— იმ! — ხელი ჩაიქნია ეგნატემ, — ისევე ლაზარინზეა საქმე ახლა, ის თუ რამეს შეცვლის თუ არა...

— იმას რომ რამე შეეცვალა, ემტეესო კი არ ჩაერეოდა საქმეში. ტრაქტორები ხომ დანახე შენის თვალთ.

— ეგეც შართალია. კი მაგრამ, სერგო რას ამბობს?

— თბილისს უნდა შევატყობინოთო, წერილი უნდა დავწეროთ და ყველაფერი წვრილათ მოვიხსენიოთ შიგაო.

— შერე აქაური მთავრობის დაბეზლებასავით რომ გამოვა?

— რა ვუყოთ აბა!

— ეგ კარგი იქნება, — მცირე დუმის შემდეგ დაყაბულდა ეგნატე, — მთელი სოფელი მოგვიწერს ხელს.

— მთელი სოფლის ხელმოწერა არ ივარგებსო.

— აბა ერთ კაცს უფრო მიაქცევენ ყურადღებას?

— ალბათ.

— შერე კალისტრატეს რატომ არაფერი უბასუხეს?

— ვინ იცის, მოუფა ალბათ.

— დაგეცადა აბა კალისტრატეს წერილის პასუხისათვის.

— მიხა...

— ბიჭო! — გაისმა ამ დროს იორამის ყვირილი ბოსლის კარებში.

მოულოდნელ დაძახილზე ორივემ აქეთ გაიხედა.

— დაყრუვდით თუ რა ლოდი დაგეცათ თავზე! — ხმას იწვრილებდა ბაბუა იორამი, — არ გეყურებათ, რომ ძალებმა ყვეფით აიკლეს აქაურობა?!

— რა იყო? — მიამახა თეოფილემ.

XLIV

ადრიან დილით სერგოს გამოჩენამ სიხარული შეიტანა ხათუნა მინდელის ოჯახში.

პაველმ ფანჯრიდან დაინახა იგი და შალვას დაუყვირა:

— შალო, ვინ მოდის თუ იცი!

— ზურია!

— არა! გამოიცანი, ვინ მოდის! ერთი, ორი, სამი! გამოიცანი, ჩქარა!

— ტრაქტორები, პალიკო, ან წითელი ცხენი.

სერგომ სულის ერთი ამოთქმით ამოირბინა კიბე და სანამ დააკაუნებდა ან დაიძახებდა, კარი უკვე ღია იყო.

ხათუნას სახეზე თავისი კვალი დამჩნია თითქმის უძილოდ გატარებულ დამეს, მაგრამ სერგოს დანახვამ ისიც გაახარა და მხიარულად შეხედა მას.

სერგოს შემოსვლაზე შალვამ დაირცხენა, რადგან ერთბაშად ვერ იცნო იგი, სამაგიეროდ პაველ მოწყდა ადგილს და საყვარელ ქაბუტს კისერზე ჩამოვიდა.

— აღარ გახსოვს, საბანაოდ წაყვანას რომ დაგპირდი? — გაუცინა შალვას სერგომ და ხელში აიტაცა, — წამოხვეალ?

— ახლა სიცივეა, — დამნაშავესავით წაილულულა შალვამ.

— მერე ვაქაცი კაცი სიცივემ შეგაშინა?

— გავცივდები, — ორქოფულად გააგრძელა შალვამ და მომიმარე დედას შეხედა.

— გავაცხლოთ მერე, შეკაცო, ლუხუნია, მაგაზე ადვილი რა არის!

— გავაცხლოთ?

— ნუ გეშინია, დედა, შალო, სერგო ბიძია გაუტყულებელშია კარგად ბანაობს, — ღიმილით ჩაურთო ხათუნამ.

— თვითონაც ბანაობს და სხვებსაც

— ღვთის რისხვა იყო თქვენს თავს! სად გიკიდიათ თოფი, მგლის გვალის ეზოში.

— მგლის? — ერთბაშად წამოიძახეს ეგნატემ და თეოფილემ და ძენძლით გასწიეს იქით, სადაც მათი დაყრუვებით გულშემოყრილი ბაბუა იორამი იდგა.

აბანაევებს, არა? — სიცილი აუტყდა სერგოს, — ვეკაცობაც ეგ არის, შალვა შენც უნდა იბანაო და სხვებიც უნდა აბანაო.

— ცივია! — მაინც თავისაზე იდგა ალერსით განებივრებული შალიკო.

— უი, უმ, უმ, უმ! რა ბიქია, რა ბიქი! — შალვას პაწაწინა ღიბს შუბლზე იხუტებდა სერგო, — რა მიეცი, თუ და ხარ, ხათუნა, ამ ბიქში, კიდევ არსად იყიდება ამისთანა ბიქები? მიმასწავლე ერთი, თუ და ხარ და რასაც მომთხოვენ, მივეცემ.

შალვა სიამოვნებისაგან ხითხითებდა და ორივე ხელით იცილებდა სერგოს ამაქოჩორა თავს.

უფროსების უყურადღებობით გულდაწყვეტილმა პაველმ კარგა ხანს უყურა ამ სურათს, ბოლოს ვეღარ მოითმინა და ფეხებში სწვდა მძას:

— ჩამოდი ძირს, ჩამოდი ახლავე!

— რას ერჩი, იყოს! — წამოეშველა უმცროსს ხათუნა.

— ჩამოვიდეს, სერგო ბიძიას ნუ აწუხებს!

— ერთი ამას უყურე, შენ არ იყავი, ბიქო, ამის გულისათვის რომ კინაღამ მგლებს შევაჭამე თავი? მოდი, შენც აგიყვან, თუ გინდა, მაგრამ დიდი ხარ და რომ ვერ მოგერევი ამოდენა ვირგლას? აა, ჩამოდი ახლა, შალვა! კარგი იყო?

— ააა, — გაიქაჯა შალვა, — კიდევ მინდა, ცაში ამისროლე!

— ნუ გასულელდები ახლა, შალვა, დაიღალა ბიძია, მჩატე კი არა ხარ. მერე, მერე!

— ჰო, მერე. საღამოს ამოგივლი და საბანაოდ წაგიყვან. ზურია სად არის, ხათუნა?

— სამქედლოშია, სერგო, ზაქარასთან. იქით არ ამოვივლია?

— არა, მე ასე ამოვივდი, ეგნატეს კარებზე. შევირდობს?

— შევირდობს ჯერჯერობით. აიტეხა და ველირ მოვაშლევიწე.

— სკოლა მერე?

— ლამის სკოლაშია, მოუკვდეს იმას ღეღამისი. სამქედლოდან სამხრობისას უშვებს ზაქარა, მერე იქ მიდის.

— საწყალი ბიჭი! როდისღა მეცადინეობს?

— როდის, სანამ წავიდოდეს სკოლაში.

— გადაიღლება ბიჭი, ცოდვაა.

— რა ვქნა, რომ აღარაფერს იჯერებს ჩემსას?

— შენ რას შერები, სახლის შეკეთებას არ იწყებ?

— ჯერ არაფერია. ესენი არიან დაპირებული, მაგრამ ვის სცხელა ახლა ჩემთვის.

— ჰოო, შეიძლება შეაგვიანდეს ცოტა. მასალას გიშოვნიდნენ, მაგრამ ოსტატებს არ სცალიათ. რაც კალატოზი და დურგალია სოფელში, ყველა მშენებლობაზე გამოვიყვანეთ.

— რას აშენებთ ამდენს, სერგო?

— „რას ვაშენებთ!“ შენ ისე მეუბნები, თითქოს სტუმრად იყო ჩამოსული აქა და ხვალ წასვლას აპირებდე.

— ჰო, რას ვაშენებთ, სერგო? — შეასწორა ხათუნამ და გაწითლდა, — მე რომ არსად ვმუშაობ, ასე მგონია, ამ ქვეყნის არა ვარ მეტეი.

— იმუშავე მერე და იქნები ამქვეყნის, რა გაძლებინებს გამოკეტელ ოთახში?!

— ეჰ, იოლად ითქმის, რა გაძლებინებსო. წუხელ კალისტრატე მასწავლებელიც მაგას მეუბნებოდა... საღ მიდიხარ, შეილო, პავლე? მოიცა, შალვა ყელზე მაინც მოგახვიო რამე. რანაირი გადარეულები ხართ, რა მეშველება, არ ვიცი სწორედ! პავლე! ქკუთ იყავი, კიბზე არ ჩაიყვანო, იცოდე! — გასძახა ხათუნამ დერეფანში გაცვენილ ბავშვებს, რომლებსაც უფროსების ლაპარაკისა

კისა ვერაფერი გაეგოთ, — აგერ იმას გეუბნებოდი, სერგო, იოლი საქმეელია მეტეი. ხელები შეკრული მაქვს, სერგო, ძამია, სამი შვილი მახვევია თავზე. ხან იმას ვეცემი ფიქრში, ხან ამას, ქკუადობნეულივით ვარ. ყოველ ცისმარე დღეს ცრემლი არ შორდება ჩემს თვალებს. რა ვქნა, საღ წავიდე, რა უნდა გავაკეთო! ქალაქი აღვიღო მაინც რომ იყოს, სხვა არის. ჩემმა შალიკომ მეცხრე კლასიდან გამომიყვანა, მაგრამ იქნება პატარა რამეს მეც მოვახერხებდი... ზურია ვაკაცია, თავს მოუვლის, უმცროსს ბაღში მივაბარებდი და... აქ რა ვქნა! სანამ ჩემს შალიკოზე გადაბრუნებულ სიტყვას ვიტყვოდე, მანამ კარგად მიმყოფოს ყველა კეთილის თავი, მაგრამ იმნაირი კაცი იყო, რომ ეზოს გარეთ არ მახედებდა. მე რა მესმოდა, ყმაწვილი ვიყავი, მის მერტს ქვეყანაზე ვერაფერს ვხედავდი. ვენახის წამლობაზე თუ გავხედავდი და ჩაფით მივუტანდი შაბიამანს. იმაზედაც გული მოსდიოდა, ეგ რა შენი საქმეაო, ჩაფს მე თვითონ აევასებ, შენ, თუ მაინცდამაინც, ვენახი გამოჩინე თუ ვიღაცა მერტე ვიყავი. საწყალი მამაჩემი თვალებში შემომიციინებდა, ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ ყველა მტერი ყოფილა ჩემი. ამ საოჯახო საქმის მერტი მე არაფერი ვიცი, თავს ხომ იმდენად ვერ დავიმცირებ, რომ მოსამსახურედ დავუდგე ვისმე. ეს ოხერი, ან სწავლა დამემთავრებინა სხვაავით ან რამე... შენს მყვალას რა უქირსებაა, სერგო, ძამია, ჩამოფრიალდება აგერ და გზა ხსნილი აქვს ყოველმხრივ. ახლა ძალიან ვწუხვარ, სერგო, ჩემს თავზე გული მომდის: შალიკოსთვის არ უნდა დამეჯერებინა, როგორც სხვა იყო გამოსული ყანასა და ვენახში, ისე უნდა გამოვსულიყავი მეც... რალაცა არის მაინც ამ შრომაში, გულს აყოლებ ადამიანი და ცხოვრებაც თავისთავად მიდის. ზურია რომ თქვენს ზაქარასთან მუშაობს ახლა, მე სირცხვილით ვიწვი. იმიტომ კი არა, სერგო, რომ წამოზრდილი ბიჭი უროს უხატუქნებს. იმის მრცხენია, რომ ის მუშაობს და მე კუტივით

ვზივარ შინ. ვინ იცის, რას არ ლაპარაკობს ხალხი, ენას ძვალი არა აქვს...

— იქ რას აკეთებდი?

— სადა, სერგო?

— ამდენ ხანს რომ საყოლში იყავი?

— ვიყავი, ძამია, ხუთი წელიწადი ვიყავი, თუ მეტი არა, რას ვაკეთებდი! ამათ ლოლივს ვუნდებოდი, სამივე პატარები მყავდა.

— ნეტა იქვე დაგეწყო მუშაობა, დედ-მამა უფრო შეგიწყობდა ხელს.

— ეჰ, ჩემო სერგო, ნეტავი კი დამეწყო, მეხვეწებოდნენ ავტრის ქარხანაში აღმრიცხველად, მაგრამ...

— რა?

— არ შეიძლებოდა.

— რატომ?

— უნდა წამოვსულიყავი. სხვა გზა არ მქონდა.

— რა მიზეზი იყო ამისთანა!

— იყო მიზეზი. ასე ორი სიტყვით არ ითქმის.

— მე რომ გავიგო, არ შეიძლება?

— რატომ არ შეიძლება! შეიძლება, — ნდობით შეხედა ხათუნამ ვაქს და მერე ისევ ჩაღუნა თავი, — მაგრამ ახლა არა, სხვა დროს იყოს, მერე, როდისმე გეტყვი. თქვენ იმისთანა კარგები ხართ ოჯახში ყველა, სერგო, რომ არ შეიძლება თქვენთან ადამიანი გულახდილი არ იყოს. ყველა ამისთანები ხართ, ბერიკაცით დაწყებული და შენით გათავებული. სირცხვილი კი არის, ასე პირში რომ გეუბნები ახლა ამას, მაგრამ რასაც ძალიან გთხოვს გული, ის უნდა თქვა...

სმენად გადაქცეული სერგო მიხვდა, რომ ხათუნა ბანზე აგდებდა სიტყვას და გამოკითხვას აღარ გამოჰკიდებია. ჩანდა, რომ ეს ისეთი რამ იყო, რაზეც ძალზე უჭირდა ხათუნას ლაპარაკი.

— შენ რომ ჩვენთან მოხვედი იმ დღეს, — განაგრძობდა ქალი, — გულზე ცეცხლი მეკიდა. ბავშვს რომ რამე დამართნოდა, თავი უნდა მომეკლა, სხვა რაღა გზა იყო. ო, რა დღეში ვიყავი, სერგო, ძამიკო. ამას რომ მიხვდე, ქალი უნდა იყო, სამი შვილის დედა და ის უნდა გქონდეს გამოვლილი, რაც მე გა-

მოვიარე. ეჰ, რაც იყო იყო, ახლა აღარ ღირს ამის გახსენება.

— მეც აგრე მგონია, ხათუნა. ცხოვრებაში ბევრი რამე სიმწარე შეგხვედბა, — მრავალ ჭირნახული კაცივით მჭერმეტყველებდა სერგო, — შეგხვედბა, მაგრამ ადამიანი მარტო კარგს იმახსოვრებს, ავი ავიწყდება. მე ახლა რაზე მოვედი იცი? გუშინ დილას კალისტრატე მასწავლებელი შემხვდა სკოლაში და რაღაცა დამავალა, — ხოლო როცა შენიშნა, ქალი ისევ მოგონებაში იყო წასული და არც თუ ისე ყურადღებით უსმენდა, დაუმატა: — ეს დავალება შენ შეგეგება სწორედ.

— მე? მე რა უნდა შემეხებოდეს!

— იმას გეფიცები, ხათუნა, შეეწუხდი, რომ თვითონ ვერ მოვიფიქრე, სანამ ის მეტყოდა. მთხოვა, იქნება შესაფერისი სამუშაო გამოუძებნო რამე ხათუნასო.

— საწყალი ბერიკაცი! კიდეც სხვაზე ფიქრობს, — ნაღვლიანად წაიფურჩულა ქალმა.

— შენ რა სხვა ხარ, ხათუნა, შენ ჩვენი ხარ.

— თქვენი კი, მარა...

— წელან ამბობდი, მეცხრედან ვარ გამოსულიო. მეც აგრე მქონდა გაგონილი. დედამ მითხრა. მეც მახსოვს, ის იყო თქვენი აქაური ქორწილის ავანჩავანი.

— მართალია.

— რამ დაგაფიქრა, იმისთანა რამეს გამოგიძებნით, რომ არც შენ გაგიჭირდეს და არც შენ შეილებს.

— რა ვიცი, რა იქნება მაგისთანა...

— სოფელში სამუშაოს მეტი რა არის? ამოირჩიე რაც გინდა. ნუ გეშინია, საქმეს რომ შეუდგები, ყველაფერს მოახერხებ.

— სამუშაო კი ბევრია, სერგო, ძამიკო, მაგრამ... ხომ იცი ჩემი მდგომარეობა. ერთი ფიქრი ის ვიფიქრე, მწველავად წავალ-მეთქი, მაგრამ დროებითი მუშა ვის რად უნდა, თან...

— დროებითი რათა?

— ჯოგს ვერ გავყვები მთაში. ბავშვებს რა მოვუხერხო.

— საბავშვო ბაღში გაბედავ?
 — რაზე მეკითხები?
 — არა, ისე.
 — მუშაობით არ მიმუშავნია და რა ვიცი.

— რომ გამუშაონ, შესძლებ?
 — რა გითხრა მაგაზე, სერგო, გენაცვალე. რომ გითხრა, შევძლებ-მეთქი, ტყუილი იქნება. არ მიმუშავნია და რა ვიცი. რომ გითხრა, ვერ შევძლებ-მეთქი, ეგეც ტყუილი იქნება. შეიღების პატრონი ვარ, სადაც ჩემები გამოიზრდია, ვითამ სხვის შეიღებს რატომ ვერ უნდა მოვუარო. ვეცდები, მაგრამ... რა ვიცი, მოვფიქრებ, ზურიას დავეკითხები.

— ისე გამოდის, ხათუნა, რომ გადაწყვეტილ პასუხს ვერ მეუბნები.

— სასირცხვო კია კითხვა, სერგო მაგრამ შენ შინაური ხარ და არ დამძრახავ. რამდენი იქნება ჯამაგირი, რა ადგილას არის, შორია სადგურიდან? აქედან თუ ვივლი ფეხით ყოველდღე, თუ არა, იქ ოთახის დაჭირავენის თავი მე არ შექნება. ჯამაგირი და ბავშვების პენსია რამდენს უნდა გაწვდეს. თუმცა... არა, არა, სერგო! არ შემიძლია არაფრით! — ერთბაშად ხმა გაუცივდა ხათუნას, თითქმის რაღაც შემამრწუნებელი გახსენებითაო, — აღარ ახსენო ეგ საბავშვო ბაღი, აგერ ჩავეწერები ბრიგადაში და როგორც სხვა არის, ისე ვიქნები მეც. ეს სახლის ამბავი მაბრკოლებს. მოვეუთავებ ხელს და მერე მე ვიცი.

— კი მაგრამ, ბაღი რატომ არ ვინდა, რამ შეგიცვალა ასე ხელად გუნება?

— არ მინდა, არა, სერგო!

— შენ წიფლისწყაროში გგონია ეგ საბავშვო ბაღი?

— აბა სად?!

— ადექი ახლა და წამომყევი, მე გაივნივ.

ხათუნა გაკვირვებით შეაკვირდა სტუმარს.

— ადექი, რას მიყურებ!

— აქ არის თუ?

— ადექი, ჩაიცვი და ახლავე გაიგებ.

— რა ვქნა, სერგო... — აიბნა ხათუნა, — ზურიას დაუკითხავად წამოვიდე? მოიცა, ბავშვებს მაინც შემოვიყვან.

— ხუთი წუთის ვადა მომიცია, — შეპლიმა სერგომ და თავისი სიტყვები რომ უფრო სარწმუნო გაეხადა, წამოდგა, — თუ გამოცვლა გინდა, მე იქით მივიხედავ ან გარეთ გავალ.

— არა, სერგო, პალტოს გადავიცვამ და ეგ არის. პავლე! — კარი გამოაღო ხათუნამ, — შემოდით შინ, მე და სერგო ბიძია სხვაგან მივდივართ.

ბიჭებმა მაშინვე მოიბრინეს.

— საბანაოლ? — თვალების სრესით იკითხა შალვამ.

— საბანაოლ ჯერ არა, შალვა, — ისევე მიესიყვართლა პირმოძლიმარე სერგო პატარას, — მზე რომ ჩაეა, საბანაოლ მაშინ გამოგველი, ამასობაში ლუხუნია-საც გააცხელებენ.

— დედა, წამოვიდე? — ახლა ხათუნას მიუბრუნდა შალვა, რომელიც სერგოს ხელებისაგან გასხლტომას ლამობდა.

— მე მზადა ვარ, სერგო, წავიდეთ, თუ ძალიან არ შეგვაგვიანდება. პავლე, აგერ ითამაშეთ, დედა, ოთახში. ეგ გადარეული კიდეც არ გამიცოცო, ახალი გულისხეთქვის თავი აღარ მაქვს ახლა მე. თუ გარედ გახვიდეთ, ჩააცვი რამე, ჰკვიანურად, შენ რომ იცი, ისე. ზურია თუ მოვიდეს, შექამანდია აგერ ქოთანში, მქადი გააფიცხოს. დედა ახლავე მოვათქო.

XLV

საკაურას საშუალო სკოლის ჩრდილოეთით, პატარა სერზე თმაქოჩორა მუხნარი შრიალებს. მუხნარიც არ ეთქმის ორმოციოდე ხისაგან შემდგარ პაწია ტყეს. ახლო-მახლო, თვით მთისკალთის ფერღობებზედაც კი ველარსად დაინახავთ დღეს მუხას. კიდეცაა გავა-

კვირვებთ, რამ გაზარდა ამოდენა მუხები დაცემული ქალის შუაგულში. აქაური თაკარა ზაფხულის დღეებში არაფერი სჯობია გორიჯვრის მოლზე დაშუადლებას. მუხის მკიდრო ფოთლებში იშვიათად თუ გაატანს მზის სხივი, აქ გამუდმებით სასიამოვნო სიგრილია.

ერთმანეთში არეულ მუხას, ცაცხეს, ზალსა და ბეოლას სასაფლაოებზე და ძველთაძველი მონასტრების გაღავანში რგავდნენ წინათ. ეს ადგილი ოდესღაც სამლოცველო იყო. მუხნარის შუაგულში თეთრი ქვით ნაშენები საყდარი იდგა, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა: გავერანებული საყდარი ნანგრევად აქცია.

მერე დიდი ხნით მიყრუედა აქაურობა. განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობა გაურბოდა ოდესღაც საყვარელ, თავშესაყრელ ადგილს, რადგან ეშინოდათ, მორწმუნეობა არავინ შეგვეწამოს და ეს საქმე მსჯელობის საგნად არ გადაიქცეს კომკავშირის უჯრედის კრებაზეო.

ოცდაათიან წლებში საკაურას კოლმეურნეობის პირველმა თავმჯდომარემ გასცა განკარგულება მოესპოთ ცრუმორწმუნეობის ძველი ბურჯი. გორიჯვარი, ხეები გაეჩეხათ და საშენ მასალად გამოეყენებინათ ახლადდაბადებული არტელის ნაშშრალუბისათვის.

სოფლის უხუცესნი ძრწოლვით შეკუყრებდნენ, როგორი გრიალით ეშვებოდა მიწაზე მათი წმიდათა-წმიდა, ზოგი იმასაც კი ამბობდა, ეს მეორედ მოველის ნიშანია, ქვემოხვეულ სერონიას, ჩოკია გურიელის ქვრივს საშინელი სიზმარი უნახავსო, მაგრამ სიზმარი სიზმრად დარჩა და ცხადი ცხადად: გორიჯვრის პირველი მუხის წამქცევ პეტრე მიროტაძეს „მარჯვენი“ არ შეხმობია, თავმომწონე ტევრის გაჩანაგებმა კი წლების მანძილზე გრძელდებოდა. ომის დროს, როცა შემასა და მასალაზე ისე დიდი გაჭირვება იყო, სულ მოუთავეს ხელი მას, ორმოციოდე ხემდე დაიყვანეს.

ეგნატეს ჭიშკარს რომ ჩამოსცილდნენ, ხათუნამ შორიდანვე დალანდა თვალი პაწაწინა მუხნარს და შეატყო, რომ გზა სწორედ აქეთ ედოთ. ის არაჩვეულებრივად გამოცოცხლებული იყო ახლა და დღეს ისე ლამაზად და წარბტაცად ეჩვენებოდა ყველაფერი, როგორც არასოდეს არ სჩვენებია. ყველაფერს ხარბად აკვირდებოდა. მან რამდენჯერმე სცადა თავისი შთაბეჭდილე-

ბა გაეზიარებინა სერგოსათვის, მაგრამ ერთი მიზეზი არ აძლევდა ამის საშუალებას. კოპერატივთან რომ ჩამოიარეს, საქონლის სარწყულზელ გამწვდომ გობში ხბოები წყალს ეტანებოდნენ. მაგრამ გობი თოვლით ავესოთ ონავარ გოგო-ბიჭებს და საბრალო ხბოებს ველარ მოეხერხებინათ სისველის მივინება. ხათუნას უნდოდა სიბრაულულით ეთქვა: „შეხედე, სერგო, რა საცოდაეები არიან, მოდი, თავი დავეუაროთ და წყაროსკენ გადავრეკოთ“, მაგრამ არ თქვა. მეორე ადგილას გზად თხუთმეტიოდე წლის ნაწნაეებიანი გოგონა შემოხვდათ და მორიდებული სალამი ჰკადრა ორივეს. ხათუნას უნდოდა ეკითხა, ვისია ეს ცუგრუმელო, მაგრამ არ უკითხავს, რადგან სერგო ისევე მაყვალას სიყვარულის ამბავს ჰყვებოდა: ჰყვებოდა იმგვარი წვრილმანებით, იმნაირი ზედმიწევნითი სიზუსტით, ამან რა იფიქრა, იმან რა იფიქრა, ამას რა ეცვა იმ დროს, იმას რა ეცვა, როგორც მხოლოდ შეყვარებულებს, ახლად დაქორწინებულებს და მწერლებს შეუძლიათ მოყოლა.

ყოველივე ამის შემდეგ ხათუნას თითქმის მთლიანად გაუქრა ის ერთგვარი მანძილის გრძნობა, რომელსაც მუდამ ინარჩუნებდა ყოველ მამაკაცთან ურთიერთობაში. სერგო ბავშვი იყო, ნამდვილი ბავშვი, ბავშვივით უყვირდა და ახარებდა ყველაფერი, თუმცა ამის პირში თქმა ვერაფერ სიამოვნებას მოუტანდა და არც იყო საჭირო. ხათუნა სიამოვნებდა ამით.

— თბილისში ერთი გულითადი მეგობარი მყავდა, — განაგრძობდა ამ ამბის გახსენებით აფოფინებული სერგო, — ძალიან ლამაზ და აზრიან ლექსებს წერდა. ხომ იცი, ლექსსაც აქვს თავისი სილამაზე, ყველა ლექსი კი არ ვარგა. ახლა პოეტია. ამას წინათ მისი ხელით დაწერილი წიგნი მომივიდა. ერთი ლექსი ქონდა იმას, ხათუნა, წიგნშიაც არის. ასე თავდებოდა ის ლექსი: „მხოლოდ შენ, მხოლოდ შენ უნდა იყო, მხოლოდ შენ, ჩემი შვილების დედა“. ბევრს არ მოწონდა, შიგ რალაკეებიო,

მაგრამ, მე რანაირად მიყვარდა ეს ადგილი, რომ იცოდე! ქვეყანაზე არავისი არაფერი შემხარბებია, იმისი კი მშურდა, ნეტავი, ეს ლექსი მე დამეწერა-მეთქი.

სერგოს სახე ენთებოდა, აზრი ებნეოდა და ხათუნა გრძნობდა, როგორ ეფრთხილებოდა მას გული საგულეში.

— მეც დაეწერ-თქო, ვიფიქრე, მაგრამ, ოხ, ვერ დაეწერე. ლექსით სულ ადვილია მერე, თუკი დასწერ... თქვი რაც გულით გინდა. ერთხელ მაყვალას მივაცილებ ინსტიტუტიდან და ეს გამახსენდა. ლექსები იმასაც უყვარს. ავდექი და ეს ლექსი ვუთხარი. კარგიაო, კიდევ თქვიო. კიდევ არ ვიტყვი-თქო, მე ვუთხარი, თუ კარგია, ეს ლექსი რომ მე დამეწერა, შენზე დაეწერდი-თქო. მოვიბრუნე ქუდი და წინწიბურით მოვუსვი იქიდან, შუაქუჩაში დავტოვე...

— მერე! — სერგოს სულმოუთქმელმა ხარხარმა გააცინა ხათუნაც.

სერგოს ცხვირსახოცი ამოეღო და ასე გულიანად იცინოდა, რომ სახეწამოწითლებული მალიმალ იწმენდდა მოძალებულ ცრემლებს.

— ვირბინე... ვირბინე... ძლივს მივედი სახლში. მე ვთქვი... მე ვთქვი, ეს რა ჯენი, მაყვალა სულ აღარ დასელაპარაკება და იქნება კიდევაც აილოს და ზაქარა ბიძიას ჩაუქიკიკოს ყველაფერი-მეთქი... ხათუნა, არ არის სასაცილო? არ გეცინება? — ივლებოდა სერგო.

— რატომაც არა, ძალიან სასაცილოა, — ხათრი აღარ გაუტეხა ხათუნამ.

— აბა დანარჩენს მერე მოგიყვები. გრძელი ამბავია, იცი?

— მომიყევი, შენი ნება იყოს. როცა გინდა, მაშინ მომიყევი. ბედნიერია დედაშენი, სერგო, ნეტავი შენისთანა ბედი ჩემს ზურასაც შეხვდებოდეს; რა დროს ამაზე ლაპარაკია, მაგრამ.

— ნუ გეშინია, შეხვდება. სახარებაში წერია, ეძიებდენ და ჰპოვნებდენ. ასე წერია თუ რაღაცა სხვანაირად, ამნაირი აზრია შიგ ერთი სიტყვით.

— სახარება კი არა, აზრი უნდა ცხოვრებას, სერგო, ძამია... დაძმონი აზრიანად იცხოვრებ, ბედოც შენს ხელშია და იღბალიც.

— მართალია.

— მაგრამ ეგ აზრი სად არის, მაგაც ცალკე ნიჭი უნდა!

— ნიჭი საქმეში იბადება.

— მაგრამ სანამ საქმეს დაადგებოდე, საქმის სიყვარულის ნიჭი ხომ უნდა გქონდეს! ეს რა, ზედა სართული დააშენეს?

— შარშანწინ დააშენეს, კი. ახლა პირველ სართულზე მართო კლუბი, საწყობი და კაბინეტებია.

— ჭიშკარიც ახალია.

— ჭიშკარიც ახალია და გალავანიც, ვერ ხედავ? ჩვენი სოფელიც იცვლება, აგრე კი არ არის საქმე!

— მუხნარი სულ გაუჩხვიათ. რა კარგი ტყე იყო!

— მესხს რომ არ მოესწრო, ჩვენს რაიკომის მდივანს, ორ წელიწადში ეგეც აღარ იქნებოდა.

— როგორ?

— ბორისისთვის ეთქვა, ბორისი იყო მაშინ საბჭოს თავმჯდომარე, არ დავინახო, რომ გორიუჯრის მუხნარისათვის ერთი ტოტი კიდევ მოეკლოს ვისმე, მაინც სულ მოგისპიათ, ახლავე ნაკრძალად გამოაცხადეთო.

— უჰ!

— ხეებმა რა დააშავეს თუ კი ტყის შუაგულში სამლოცველო იდგა ადრე. მურვან ყრუს ნაშიერები ხომ არა ხართო: მაგისთანა ხეებს საგანგებოდ რგავენ, ორმოცდაათი წელი შესჩერებიან გაზრდას, თქვენთვის ბუნებას მოუცია და განგებ ანადგურებთო? დაანებეს მერე თავი, მოეშენენ. უთაურებს მაშინ გაახსენდათ, რომ ყველაზე უკეთესი ადგილი სასოფლო კლუბისათვის აქ იქნებოდა, მაგრამ გვიანი იყო, ახალ აშენებულს ხომ არ დაანგრევდნენ.

— ახლა რა არის იქ?

— შარშან, მე რომ ჩამოვედი, საბავშვო ბაღის აშენების საკითხი დავაყენე გამგეობაში. ეს ამბავი ნახევარ წელიწადზე მეტს გაკვირებდა, მაგრამ

წრელს, როგორც იქნა, გამოყვეს სახსრები და მშენებლობასაც შევუდექით. ვერ ხედავ აგურის წყებებს? მანდ შენდება.

— რა კარგი ადგილი ამოგირჩევიათ, სერგო, შენ მოგვიდა თავში ეგ?

— ვისაც მოუვიდა, ახლა სულერთია. ბალი გვექნება. ხედავ, რამდენი ხალხი ირევა?

მუხნარს მალე მიუახლოვდნენ. ნაპირიდან შუაგულამდე დიდი მანძილის გავლა არ დასჭირვებიათ, თუმცა ტყე საგრძნობლად გამეჩხერებული იყო და ყოველ ნაბიჯზე თოვლის უტეხი ბორცვები ხვდებოდათ, რაც იმას მოასწავებდა, რომ ბორცვების ქვეშ ასწლოვანი მუხის გადანაპრები იყო მოქცეული.

ხათუნა ალტაცებაში მოიყვანა აქაურობის დანახვამ, თუმცა ირგვლივ ისევ თოვლი იდო და ნაირფერი ყვავილებით მოქარგული მდელო არსად ჩანდა. ისიც კი არ შეუმჩნევია, რომ ოთხკუთხედად გაჭრილი ბალაეერის გარშემო მოფუსფუსე ხალხი თვალს არ ამორებდა მას.

თოვლის თხელი ფენა ნაყარ მიწას დაელაქავებინა. აქა-იქ მოწითანო ქვების გროვა ეყარა. ოთხკუთხედის შუაგულში ახლად გამომწვარი წითელი აგური დაელაგებინათ, ზემოდან კი ჩალის კონებით დაეფარათ.

ხათუნას მარჯვენა ხელით ეკირათ თავშლის ერთი ბოლო და დროდადრო შებლზე ჩამონადენ ოფლს იწმენდა.

— გაუმარჯოს მეზობლებს! — გასძახა დამხედურთ სერგომ და შეჩერდა.

— სალაში და გამარჯვება ჩვენს ექიმს სერგოს! — სხვადასხვა ხმაზე უბასუხა ხალხმა და მუხნარმაც თითქოს რაღაც ამოიხუვლა.

ხათუნას რეჩი უყო გულმა. ამ პასუხზე მან ერთბაშად იგრძნო, როგორ უყვარდათ ეს დაუხარელი და თავდადებული ყმაწვილკაცი თანასოფლელებს.

— პირდაპირ მითხარით ახლა, უფროსები გიყვართ თუ გეჯავრებთ? —

ხიამალა იოხუნჯა სერგომ და ხეზე მკუდებულ ბარს ფეხი წაჭკნუნუნა.

— რაღა გეკადრება, ექიმო! — განაზრახ გაოგნებული სახით გადმოხედა აღიზში ამოსვრილმა მწითურმა კაცმა, რამელიც თიხის ტარს დაყრდნობოდა, — უფროსი და ჰკუის დამრიგებელი მარტო უგუნურს არ უყვარს. ახლა უგუნურებიც გამოგვიყვანე?

პასუხად ხმაშალალი სიცილ-ხარხარის გაისმა.

— ყოჩაღ, ისაია!

— ყოჩაღ, მეკუბოვე!

— აგრე ვეტყვი ბაბუაშენს და სულ ზურგზე გადაგამტვრევს ჩიბუნის ტარს! — საერთო სიცილში ჩაურთო თვითონაც ღიმმორეულმა ისაია მეკუბოვემ.

— ამათ უყურე ერთი, თქვენი სახსენებელია ბაბუაქემის ჩიბუნის ტარი? ხათუნა მინდელი მოგიყვანეთ აგურსაბავშვო ბალის გამგე...

— ოხო-ხო-ხო, — ჩიბუნუნა ისაიამ, — ბალის ჯერ არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო.

ხელახლა იქუხა სიცილ-ხარხარის ტალღამ.

ხათუნა წამოწითლდა სახეზე. ძნელი იყო ახლა დაგეჯერებიათ იგი, რომ მხიარული საკაურელები სწორედ მას არ დასცინოდნენ, მაგრამ ექიმის უეცარმა წარდგინებამ მაინც გამოარკვეა ქალი. რა თქვა, ბალის გამგეო?

— რა ვქნა, რა დაგემართა, ხომ არაფერი დაგიღვია, სერგო! — მხარზე უბიძგა მან სოფლის ექიმს, რომელიც სიცილს დახარბებულოვით ხარხარებდა მეზობლებთან ერთად, — თუ ძმა ხარ, წავიდეთ ამ წუთში აქედან, ეს რაცეცხლში ჩამაგდე...

მაგრამ მას ეს ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები არც კი ჰქონია დაბოლოვებული, რომ წარმოსადგეი ჰქაღარა კაცი, ისაია მეკუბოვეს რომ ეძახდნენ, წინსაფარზე ხელების სმითა დათითების ფშენებით მათკენ წამოვიდა.

ისაია უეჭველად სხვა დროსაც ეყოლებოდა ნანახი ხათუნას, მაგრამ სადღა როდის, ველარ გაეხსენებინა. ამ

უკანასკნელმა ყველაზე ადრე შენიშნა ქალის უცხოობა და შორიდანვე დაიწყო:

— კი არ გეწყინოს, ხათუნა, ცოტა უზრდელად ჭე გამოგვივიდა, მაგრამ ხომ იცი, მუშაკაცი ისე ვერ გასძლებს, გუნების გაუხსნელად, როგორც თევზი უწყლოდ. გამარჯობა შენი! სიცილიც ისე მოშვიდება ადამიანს, როგორც პური. ეს ხალხი სულ დამშეულია ახლა, დილას აქეთ თავი არ აუღიათ, — თავისიანებს მოუხედა ისაიამ, — ამოიღეთ ხმა, ბიჭო, ან კარგი თქვით და ან ავი!

„გეახელით, გეახელით“, თუ კიდევ რაღაც სხვა სიტყვებით აზრიალდა ხალხი.

— ჩიჩქრონობა უნდა გასწიო ახლა, ისაია ბიძია, რა არის ჩიჩქრონობა იცი? — ძმაკაცურად გაუღიმა მოსულს სერგომ.

— ჩიჩქრონობა არა და ჩიჩქი კი, შალეულს ჭამს, შენს მტერს!

— რამ გადარია დღეს ეს ხალხი, წამალი ხომ არავის დაუღვივებია?!

— უშენოდ ვინ გაბედავდა, სერგო, ბატონო, გამოწერილი არ გქონდა და არაფერი.

შორიასლო შემოჯარულმა მეზობლებმა ისაიას ამ სიტყვებსაც სიცილი დაეყარეს. ამან საბოლოოდ მოშალა ხათუნა. ის ერთადერთი ადამიანი იყო ახლა მუხნარში, რომელსაც დანა კბილს არ უხსნიდა. რამდენად გადაჩვეული იყო ამ ხალხს, რაოდენ უცხოდ გრძობდა თავს მათ შორის! მაინც როგორი დაუნდობლები იყვნენ, როგორ არ შედიოდნენ მის მდგომარეობაში... ახლა, როდესაც ყურადღების შუაგულში მოექცა და სიცილით გულნაჯერები საკურელები თითქმის შორიდებითაც კი შემოსცქეროდნენ, უკვე გვიან იყო სერგოსათვის ზელახლა ეთხოვა წასვლა, ანდა თვითონ მარტომმარტო გადგომოდა გზას. „ერთი აქედან გავაღწიო და მერე მე ვიცი და სერგომ, საცინად ასაგდებად წამომიყვანა?!“ — ბრაზით ფიქრობდა ხათუნა და დროდადრო მტრულად გახედავდა სერგოს გვერდინად.

— ჰა, რას შერები ახლა, ბიძია! — ისევ ისაიას მიუბრუნდა სერგო, რომელიც აქამდე ჩაბალახიან დურგალთან იყო გართული საუბარში და თავი ძლივს დააღწია, — რა გითხარი მე შენ, მიგვეყვ-მოგვეყვი ახლა და გვაჩვენე მშენებლობის ავლადიდება, შენ ხომ გონიერი კაცი ხარ და სულს გირჩევნია ჭკუის დამრიგებლები!

— მიყვარს, აბა!

— ჰოდა, ჩვენც სწორედ მაგისტვის მოვედით.

— რას მიბრძანებთ, რა ექნა ახლამე? — ორკოფულად გაიდგა ფეხი ისაიამ და სრულიად დაწყნარებული სახით სოფლის ექიმს შეხედა.

— ხათუნას უნდა ნახოს მშენებლობის ყველა წვრილმანი, ხომ, ხათუნა?

— სერგო... — უარის თქმის მაგვარი რაღაც დააპირა თავგზააზნეულმა ქალმა, მაგრამ მისი პასუხი ისაია მეკუბოვის ბოხმა ხმამ დაძვარა:

— კი, შენი ქირიმე, მაგაზე ადვილი რა არის!

საბავშვო ბაღის მშენებლობა საკმაოდ დიდი იყო. ერთსა და იმავე დროს სამი თუ ოთხი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობისათვის მოესუფთავებინათ სამშენებლო მოედანი. ზოგან ხარაჩო იყო გამართული, ზოგან შერთულის თეთრ ქვას ამტვრევდნენ.

ხათუნა ათრეული ნაბიჯით მისდევდა ოდნავ დაწინაურებულ სერგოს და ისაიას.

„ხათუნა მინდელი მოგიყვანეთ, საბავშვო ბაღის გამგე“, — იმეორებდა იგი თავისთვის და თანდათან ეხვევოდა გაუგებრობის ბურთუსში. „ბაღლი ჯერ არ დაბადებულ იყო და აბრაშს არქმევდნენო“, — ჩასძახოდა ყურში ისაია მეკუბოვის ოდნავ დამცინავი ბოხი ხმა. ის და გამგე? თვითონ ხათუნა?

ისაია რაღაცას ლაპარაკობდა, ალაგ-ალაგ სერგოც ურთავდა სიტყვებს. მას ხმის კილოსა და მიმოხვრამაიც კი ეტყობოდა, რომ არაჩვეულებრივი გატაცებით უყვარდა აქაურობა, არასოდეს არ დაიღლებოდა აქაურობაზე ლაპარაკით.



ხათუნას ხიბლავდა ეს, მოსწონდა და ცოტათი შურდა კიდევ: მისთვის ხომ სიცარიელე იყო ირგვლივ, ამდენი ხალხისაგან ქვეყნად მხოლოდ სამი არსება ამგერებდა მის გულს. ტყუილია ეს ყველაფერი, რაც არის... არა, რაც არის. ყველაფერი არის, მაგრამ ხათუნა რა შეუშია აქ? მაგრამ ხომ შეიძლება ტყუილი არ იყოს ის, რაც სერგომ თქვა, ხომ შეიძლება ხათუნას მართლაც მიანდონ საქმე, განა ასეთები ხდება? ასეა თუ ისე, ჯერ არავის არ სჯერა ეს, თვითონ ხათუნასაც არ სჯერა. სერგოს ნათქვამი რომ ხუმრობა არ ყოფილიყო, აქამდე, გზაში ვერ ეტყოდა? იქნებ იმას მოერიდა, რომ გამოუცდელ ხათუნას წინასწარვე დააშინებდა პასუხისმგებლობა და ცივ უარს იტყოდა? არა, ეს ახლავე უნდა შეიტყოს. რა მოხდა, ბოლოსდაბოლოს, თუ საქმე საქმეზე მიდგა, ხათუნა მართლა დავრდომილი ხომ არ არის! თუ კი რომელიმე ქალი იტვირთებს რამეს, ის რიღათია სხვაზე ნაკლები!

უკანასკნელმა გაფიქრებამ ხათუნას იმედი გაუღვივა. მის გულში ერთსა და იმავე დროს გაიღვივა თავმოყვარეობისა და საკუთარი ღირსების გრძნობამ. ხათუნამ წარმოიდგინა, რომ სერგოს თანსობით ყველაფერი მოეწყო, ის უკვე დანიშნეს აქ და ახლა იმისთვის მოვიდა, რომ გაიგოს „მშენებლობის ყველა წვრილმანი“, რათა დღეიდან სათავეში ჩაუდგეს მისი დაჩქარების საქმეს.

რაც უფრო მეტს ფიქრობდა ხათუნა ამაზე, მით უფრო შორდებოდა აქაურობას და ნათელი ოცნების მაგივრად კიდევ უფრო გაურკვეველ ბურუსში დაცურავდა.

ლარტყის სახერხ ხარაზოდან რომ უკან ბრუნდებოდნენ, ისაიამ ხელები დაიკრიბა და სერგოს მიმართა:

— ასე, ბიძი, ახლა თქვენ იცოდეთ. მე სამუშაოს უნდა მივხედო ახლა.

სერგომ ხათუნასაკენ გააბარა თვალი და მიხვდა, რომ ეს ისაიას პირველი სიტყვები იყო, რომელიც კი ქალმა გაი-

გონა მუხნარის ბილიკებზე ხეტიალის განმავლობაში.

— როგორ ატყობ, ხათუნა, იცნობა ბალი გვექნება? — მარჯვე დრო შეურჩია და წარბის ოდნავი აწევით ჰკითხა მან ქალს.

— კარგი, სერგო, კარგი... — დაბნეულად წაილაპარაკა ხათუნამ და ისაიას წითურ სახეს შეაკცერდა, — მარტო კაცები მუშაობთ, ქალები არ არის?

— არა, ბატონო, — თავდაპირილად მიუგო ისაიამ.

— ლამიათა მუშაობთ?

— ლამე არა, ბატონო, დაბინდებამდე. რას ეძებ, ბატონო, ხომ არაფერი დაგეკარგა?

— ის... წყალი სად არის აქა... წყალს...

— დასალევი? — წელში ოდნავ მოიხარა ისაია და წასვლა დააბირა.

— არა, არა, დასალევი კი არა, ამ აღიზს რომ ზელთ... წყალი ხომ უნდა.

— ხოო, წყალი? წყალი უნდა აბა!

— მერე?

— ურმით ვეზიდებით, ა, ამისთანა ურმით.

— შორს არის?

— რა, წყალი? თქვენი ვენახის ბოლოზეა გამოგუბებული.

ხათუნამ იმ მხარეს გაიხედა, საითაც ისაია იშვერდა ხელს და გულის სიმი ჩაწყდა. აქედან ხეზულასავით მოსჩანდა ხეხილნარში ჩაფლული პაწაწინა ქოხი, ნასახლარივით უკაცური, მიტოვებული. ქოხს უკან ოდნავ დაფერდებას შეჰფენოდა ის ვენახი, რომელიც ამ წუთს ისაიამ ახსენა. გუბელაცი ყორესთან...

— ძნელია, — თქვა ხათუნამ უცებ და შეეცადა, რომ იმაზე, რასაც ახლა ხედავდა, აღარ ეფიქრა, — ვინ გაშენებინებთ მერე ამას, ინეინერი არის?

— ინეინრებიც ჩვენ ვართ და მუშებიც, ხათუნა, რა გვიკეთებია მაგის მეტი!

ისაია ოდნავ წამოწითლდა სახეზე და ხათუნამ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ამ კაცს დიდრონი, ეინელილა ყურები ჰქონდა.

— მერე მე რა უნდა გქნა, სერგო? — თავისდა უნებურად წამოსცდა ქალს, — რომ არ მოგატყუოთ, თავი ისე მაქვს არეული, ვერაფერი ვერ გავიგე.

— რავე გეკადრება, დაია! — თავმომწონედ გაუღიმა ხათუნას ამ სიტყვებით მოხიბლულმა ისაიამ.

— შენ დურგალი ბრძანდები, ბიძია?

— დურგალიც ვარ და კალატოზიც, როგორც საქმე მოითხოვს...

— დიდი ხანია, რაც დურგლობ?

— რაც თავი მახსოვს, მე დაბაში ვმუშაობდი ადრე, სასაფლაოთა მეურნეობაში, კუბოებს ვაკეთებდი.

— უი! — გაეღიმა ხათუნას.

— ეგ რომ არ გეთქვა, კი გიჯობდა, ისაია ბიძია! — სიცილით ჩაურთო სერგომ, — მეკუბოვე რას მიჭვია!

— რას იყრიკები, ვეფო, მეკუბოვე ვარ, ჯალათი კი არა. აბა კაცი რომ მოკვდება, მტრისას და ავისას, დამარხვა არ უნდა?

წილანდელ ადგილს რომ დაუბრუნდნენ, მუშაობა ხელახლა გაჩაღებულ იყო. კიდევ უფრო ლაქავდებოდა თოვლი თხრილიდან ამოყრილი ახალი მიწით. წყაპაწყუბი გაუღიოდა მკვარტლში ამოსვრილ ლარს, რომელიც გრძელ მორბე გაეჭიმათ და ერთიმეორეზე მიჯრილ მურა ხაზებს ავლებდნენ.

— სახერხი ქარხანა არსად არის ახლო-მახლო? — სერგოს მიუბრუნდა ხათუნა.

— წიფლისწყაროში არის, — ყური მოჰქრა მის შეკითხვას ისაია მეკუბოვემ, — არის, მაგრამ იქ რომ დახერხო, ფიცარს ვერ გადმოიტან ჯერჯერობით, გზა ისეა აზელილი. ამასაც ეგნატეს უნდა უმადლოდეს სოფელი, ფერმისათვის ჩამოიტანა და გვასესხა ამ თვის დამლევაამდე, — წყობისად დალაგებულ სქელ ფიცრებს გადახედა ისაიამ.

— წყალი რომ არ არის, ეგ კი არ მომწონს მე, — თქვა ხათუნამ და უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმაზე საამო ერთხანტელმა დაუარა.

— აბა! ჯერ სად არის! ეს აგური და ქვა სულ კედლებისთვის მოვზიდეთ.

ამდენზე რომ ამოვა, ა, ოცი სანტიმეტრის სისქის რკინაბეტონი უნდა დავატანოთ კედელს. სანამ ყავარს შემოვიტყუოთ და ბეტონი გაშრებოდეს, რამდენი წყალი იმას უნდა ასხა, ანგარიში აქვს?! მერე მეორე ამისთანა კიდევ გვირგვინად უნდა კედელს. კარის თავები, ფანჯრის თავები... ბევრი უნდა, ბევრი!

— წყალი ხომ მაინც გამოსაყვანია. უწყლოდ საბავშვო ბაღი რას ივარგებს!

— შენ კი იმას ამბობდი, ვერაფერი გავიგეო!

— რა, ვერ გამოვიყვანთ? — გაბედულება შეემატა ხათუნას ხმას.

— გამოვიყვანთ, წინ რა დაუდგება, მაგრამ ამაზე ცოტა ადრე უნდა გვეფიქრა.

— ახლა რით არის გვიან?

— გვიან არასოდეს არ არის, — საქმიანად ჩაფიქრდა ისაია და ქისა ამოიღო, — ეგ ნაკლი აქვს სწორედ ამ მუხნარს, უწყლობა.

— გაჩუმდი, გაჩუმდი, ისაია! — პირში შეეჭრა მას სერგო, — ნუ დაიწყებ შენებურად! ამისთანა წალკოტი იყოს-თუარა, წყალი მოიძებნება.

— ეხ, ახლა გვიან არის ამაზე ლაპარაკი ჩემო შვილო და ძმაო!

— ხო, ლაპარაკი კი არის გვიან!

— რა იყო, მეც გამაგებინეთ! — ჩაერია გულწრფელად დაინტერესებული ხათუნა.

— რა იყო, ჩემო დაია და, — ერთხელ კიდევ დაიპატარავა თავი ისაიამ, — წყაროები ისედაც ცოტა გვაქვს სოფელში. ხუთი წყარო იყო და ამ ხუთიდან ორი შარშან დაშრა გვალვაზე.

— დაშრა?

— დაშრა, ჰო. ეს ტყეები რომ გაიჩეხა მთისკალთის სერებზე, ნესტმა იკლო, ისიც თუ არ დაგვიშრა, რაც არის, ღმერთს მადლობა შეწირე.

— მერე რა უნდა გვეშველოს?! — იმედი გადაუწყვდა ხათუნას.

— უშველებელი არ გაჩნდება, წყალს გამოვიყვანთ, მაგრამ, მაგას კი ძალა ხარჯი უნდა.

— კი მაგრამ ეგ დღეის და ხვალის ამბავია!

— დღეის და ხვალის ამბავი არ არის, მაგრამ დღეისა და ხვალის იმედით ცხოვრება არ შეიძლება. ადამიანი შორს უნდა იხედებოდეს.

— ეგ მართალია!

— ვიცოც მე, მართალი რომ არის. ახლა იმაზე ვფიქრობ, წელან რომ მკითხე. საბავშვო ბაღისათვის წყალს ცალკე ვერ გამოვიყვანთ. არ ვიცოც, სოფელი რას იტყვის, მაგრამ, მე მგონია ვერ გამოვიყვანთ. თუ ხარჯია, ხარჯი ერთი უნდა გავწიოთ. საერთო წყალსადენი აშენდება.

— ხათუნა, დაანებე მაგას შენ თავი, ეგ რომ დაიწყებს ახლა... მკლავში ხელი გამოსდო სერგომ ქალს.

— მოიცა, მოიცა, სერგო... ჩემი ვენახის ბოლოდან რომ გამოგვეყვანა, ისაია?

— შენი ვენახის ბოლოდან? — მარტო თვალებით ვაიღიმა წითურმა კაცმა და შექალარავებული წარბები ასწია, — დასაღევად არ ვარგა, ცოტა მარილიანია. აქავე რომ იყოს, ახლო, მაინც მისწრება იქნებოდა.

— მარილიანი კი არის.

— რაც ჩვენ ეგ გვადლატებს! როდის ურემი გადახრივინდება, როდის რუმბს გაავსებენ... ერთი ტუმბო რომ იყოს, დაქაჩე და წამოვა თქრიალით. აგრე არა აქვს ეგნატეს გამართული!

— ვიყიდოთ მერე!

— ჩემი ჯიბით ხომ ვერ ვიყიდი, ზორის ვუთხარი და...

— დაბაში არ იშოვნება და იმან ზაქნას! — ჩაერია სერგო.

— დიდკაცობას თავი დაანებეთ და ეგე ურმით ზიდეთო, ტუმბოს მეტი არაფერი ჰკლებია ჩვენს მამა-პაპასო!

— მართალი უთქვამს! — კიდევ შეეკრა სერგო, რომელიც სულ იმის შიშში იყო, ზედმეტი მოთხოვნილებების წაყენებით უფრო უკან არ დაეწიო საქმეო.

— ტუმბო რა არის, ისაია ბიძია, რავა ვერ ვიშოვნით! — მაინც თავისას გაიძახოდა ხათუნა.

— წინ ვინ გიდგიათ, უფროსები თქვენა ხართ და იშოვნით! — დაიჯავღანა ოდნავ გულმოსულმა ისაიამ.

— შენ ეს მითხარი, ვის უნდა მივმართო?

— რა ვიცი ახლა, ეგ თქვენზეა დამოკიდებული.

— აბა წავიდეთ, სერგო, ძამია... მაგრამ... სერგო...

— რა იყო?

— არაფერი, მერე გეტყვი.

ამ სიტყვებით ისინი დაუმშვიდობებლად მოსცილდნენ ისაიას და საურმე გზაზე გადავიდნენ.

კენტად დარჩენილ ისაიას ახლალა გაახსენდა თავისი ქისა და ზონარი შესხნა მას.

— რა იყო, ისაია, დირექტივა მოგცა? — მოაძახა ვილაკამ უკნიდან.

ისაია მიმავალ წყვილს გაჰყურებდა და ხმის ამოუღებლად განაგრძობდა თუთუნის შეხვევას. ვილაკ მიუახლოვდა, მკლავზე ნიდაყვი წაჰკრა. ოდნავ შემკრთალმა ისაიამ ზემოდან დახედა მოსულს.

— რა გინდა, პარმენა?

— დამიყარე ერთი, შენ კარგი თუთუნი იცი.

— აბა, ძალიან ქალია სწორედ!

— ჩვენი შალიკო მინდელის ქვრივია, არა?

— ვაი რა ვუთხრა უიღბლობას! — თავისას ამბობდა ისაია.

— ამდენი დამიმატე კიდევ, ა! რათი ქრი, კაცო, ასე წმინდად? ჩვენი შალიკოს ცოლია, არა?

ისაიამ დინჯად მოუყარა თავი თხელი ქალაღდის ნაწიბურებს და ნერწყვით დაასველა.

— აქაო და, გათხოვდაო? — კიდევ ჩააცვიდა მეყალიონე.

— ვინ გათხოვდა, ადამიანთ?!

— რა გაყვირებს! მაგის მეტი არავინ გათხოვილა? ამბობენ, მაგრამ... ცოტა ქე მობერებულა უბედური. რომ მოიყვანეს იმისთანა იყო, მასკლავებს ეთამაშებოდა. რანაირად გაყოჩაღებულა, უყურებ შენ? აგრე იცის გაჭირვებამ! აბა საწყალი შალიკო გარეთ გამოახე-

დებდა რამეზე თუ? უჯდა აკვანს და იყო თავისთვის. სამი ყავს ახლა?

— ამ ლაპარაკს, რომელში ჩარევაც ყველას გულით იზიდავდა, მხერხავეები და კალატოზები შემოუერთდნენ.

— ნეტავი თუ სამივე იმისია! — ყალიონის პლაკუნით თქვა იგივე კაცმა, რომელსაც ლამაზი ქალის დანახვაზე ლაპარაკის საღერღელი აშლოდა.

— ცოდვას რად ჩადიხართ, პარმენა, არა გრცხვენია? — პაპიროსის ბარაქიან ბოლს ამოაყოლა ისაიამ და მუხის ძირს მიაწიტა.

მხერხავეებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მე რის უნდა მრცხვენოდეს, ისაია რა, მე მბრალდება თუ?

— ფუ!

— რას იფურთხები თუ იცი, შენ რა კული გეწვის, ვითამ შენ რა! — ხელი გამოიღო პარმენამ, — არც შენ დები-ხარ მუთაქათ და არც მე!

— აბა რას მიედ-მოედები!

— მივედ-მოვედები? ახლა ლაპარაკ-საც მიკრძალავს! ნუკი მიბრძოლებ, ძა-

მია, თუ ითქმის, ისევე მაგისტრანზე ითქმის თუარა...

— იი, შე კრუხის პალო!

— კრუხის პალოცა ხარ და... უყურეთ ერთი ამას!

მხერხავეებმა შეატყვეს საქმე კარგად არ დაბოლოვდება. დაშოშმინება დაუწყეს მოკინკლავით. ხმამალა ლაპარაკზე ახლად მოსული მეურმე და აღიზის მზილავეებიც აქეთ წამოვიდნენ.

ისაია არაფერს ამბობდა, მშვიდად აბოლებდა თუთუნს, მხოლოდ მსხვილ უფერულ თვალებს აბრიალებდა.

— ერთი ამას უყურე, ერთი ამას უყურე, ერთი ამ მეკუბოვეს უყურეთ ერთი, მეკუბოვეს... მეკუბოვე! — ერთხელ კიდევ დაიძახა ჯუჯა კაცმა რომელიც გამშველებელ მხერხავეებს ხარაზოსაქენ წაეყვანათ.

ისაიამ თვალი გააყოლა ფაფხურ-ფაფხურით მიმავალს.

— ღმერთმა კი შეარცხენია შენის-თანა მეზობელი! — ღვარძლიანად ჩაილაპარაკა მან და პაპიროსი გადაადგო.

პირველი წიგნის დასასრული.

მარია პარტაშვილი



სოფლად

ო, ეს ფერები — იმერეთის ლაღი ფერები!
ბონდი გავლიე, მივდეგ აღმართს შეუსვენებლივ.
იქ, ზევით, სერზე გადმომდგარა ჩემი ბებია,
ჩემი პატარა მეგობრებიც მელოდებიან.
მომელის ეზო, სახლი ფართო, აივნიანი.
აივნის სვეტთან პაწაწინა ზარი წკრიალებს...
ხბოს რომ შევხსენით, დებო, გახსოვთ? ეს-ის ზარია
ჰაუ, მოვდივარ, დამელოდეთ, მომიხარია!
ყანაში, ტყეში, სამწყემსურში ერთად ვიაროთ,
მჭადი და ყველი მეგობრულად გავიზიაროთ,
დავკრიფოთ მარწყვი, ყვავილები — თვალმოხატული,
დავწნათ გვირგვინი, ვთქვათ ზღაპრები ტკბილი, ჭართული
... და შემდეგ, გვიან, ტაშ-ფანდურით და სიმღერებით
მოვიხმოთ მთვარე და ვაცეკვოთ ციცნათელები.

ვეძახი, მაგრამ სად წასულა, ნეტავ ბებია?
ალარც პატარა მეგობრები მელოდებიან.
არც ის ეზოა, არც ის სახლი — აივნიანი,
არც ორღობეში აღარ ისმის ურმის ჭრიალი...
ვეძებ ბავშვობის... გაპარულა, დავიგვიანე!

ეზო-კუთხეში მეცნაურნენ მხოლოდ მერცხლები.
ოდები სხვაა, ტოლებიც სხვა, თმაშევერცხლილნი.
ზოგი მათგანი დედობით და საქმით ქებულა,
ჩვენი სოფელი მხარგაშლილა, მომძლავრებულა...
გალმა-გამოღმა შრიალებენ დინჯად ყანები,
ისმის გუგუნი თვითმფრინავის და მანქანების
და სხვა გუგუნი თვითმფრინავის და მანქანების

და სხვა ხალისით, თავ-თავისი ახალ ამბებით
შემომეხევივნენ ჩემი ყრმობის ამხანაგები.

— შეილები თუ გყავს?

— საში

— ოჰო! მე ოთხი,

— ექვსი.

— ჩემ ბიჭს თუ იცნობ?

— იმის ქება შორიდან მესმის.

— ჩემი გოგონა ექიმია.

— გამიგონია.

— ომი იქნება? როგორ ფიქრობ?

— არა მგონია!...

ლამე ორ კმარა ჩვენი ამბის მოსათხოვრებლად.

„ჭრი, ჭრი, ჭრი, ჭრი, ჭრი“... დაიქინა ჭრიჭინობელამ.

გადმოუხურავს ბებერ კაკალს ქოლგა ვეება...

სიზმრებს თუ გაჰყვია, — უსასრულოს, და ეჩვენება

ჩვენი ცელქობა, საქანელა და თამაშობა,

რომ სადღაც, აქვე დაქისკისებს ჩვენი ბავშვობა...

ცარიელდება ვარსკვლავებით სავსე კალათა...

ძილი ნებისა! ლამის ლამეც გაჰღარავდა.

თამაზ ჭილაძე



ჩინური ფინჯანი

ფინჯანი მოხატეს დალილმა თითებმა: მწვერვალი — მხრებით რომ ცისკარი
ბამბუკის ქალა და ცისფერი მდინარე, ატარა...

ყვითელი სახლები, მაღალი თუთები, და როგორც ლამაზი, ზღაპრული
ფერმკრთალი დილა და გოგონა ქვეყანა
მცინარე, შენ ისე მაჩუქე ფინჯანი პატარა...

მწვერვალი — მუდამ რომ სხივები ეყარა,

მატარებლის გავლა



გადაირბენს უეცარი ხმაურით, მიყუჩდება მოშრიალე ტყეთა,
სიშინდები დაუქნევენ ხელებს, აბრეშუმის შარიშური წამით,
გადაურბენს ხეობას და ღელეს კოკას ავსებებს და იღვრება წყალი
აყვავებულ ქალებს გვერდით ჩაუვლის. და გაფრენილ გზებს გასცქერის დედა...



ხევის ძირს, როგორც კრელი ხოხბები, როგორც ფრინველი ორბის
ცისარტყელები ჩაბუდებულან; ბრჭყალებში.
აქ გაზაფხულის ქარებს მოვყევი, მთები მკითხავენ ჩვენთან დარჩები?..
მთებმა სალამი მითხრეს მთებურად. და მათთან ყოფნა მართლაც კარგია,
ბილიკს ჩავივლი, წყარო შემხვდება, თითქო ისევე შენთან მოვდივარ,
ვით დაკარგული ბავშვი ქალებში, თითქო ვიპოვე, რაც დამკარგვია.
ხევში ლამაზი ზეცა ფართქალებს,

თინა ღონაძევილი



აღაზნის პირას*

რ. მ. მ. მ.

უღაბნო

აუარებელი ხალხი მოაწყდა მუხიანის საზაფხულო კინოს.

გულიდან ვარამგადაყრილი შინდელეები და ორხეველები, ვინ იცის, რამდენი ხანია ასე მოღზენით არა ყოფილან. იმდენად სურათის ნახვა არ აინტერესებდათ, რამდენადაც უხაროდათ „თავიანთ“ კინოში მოსვლა, მეზობლებთან შეხვედრა, ახალი, სასურველი ამბების შეტყობა.

სურათიც კარგი იყო და კინომექანიკოსმა ლაზარემ ახალ-ახალ მაყურებელთა პატივსაცემად რამდენჯერმე თავიდან დაიწყო მისი ჩვენება.

ანიკამაც მოაღწია კლუბის ეზოს. მას არც სურათის ნახვა უნდოდა, არც ხალხთან შეხვედრა. მოშორებით, ხეების ჩრდილ-ჩრდილ უახლოვდებოდა მერხებს, ვილაცას ეძებდა.

სიბნელეში სახეების გარჩევა ძნელი იყო. როცა კი ეკრანიდან წამოსული სხივი ანათებდა მჭიდროდ მსხდომ გოგონებს, ყველა ერთი-მეორეზე ლამაზი ჩანდა. როგორ უნდა გაეგო ანიკას, რომელი იყო მათ შორის ის, რომლის დანახვა სწყუროდა?

ბოლოს ვერ მოითმინა, ნაპირას მჯდომ ორ პატარა ბიჭს მიუახლოვდა, ხმადაბლა ჰკითხა:

— არ იცი, მანანა სადა ზის? — ჰკითხა და შეეშინდა. აჩიკო იცნო. ბიჭს რომ დაეძახა, ან თვითონ მანანა იქვე ახლოს ყოფილიყო, რა უნდა ეთქვა, რა მინდა? მაგრამ სურათით გატაცებულ-

მა ბავშვებმა თვალი არ მოაშორეს ეკრანს. აჩიკომ ჩუმად ჩაილაპარაკა:

— მანანა იქ იქნება, გამგეობის კრებაზე...

„გამგეობის კრებაზეო?... მაშ რას მელაპარაკებოდა ნიკო? თუ კრება იყო, მე რატომ არ დამიძახეს?... ნიკოს კეთილი გული აქვს და იმიტომ მელაპარაკა ასე, სხვები კი რად არ მენდობიან? არ მენდობიან, არ დათანხმდნენ და კრებაზეც იმიტომ აღარ დამიძახეს... წავიდე, არავინ დამინახოს, თორემ რას იფიქრებენ? აქ რამ მოიყვანაო?... მართლაც და, აქ რამ მოიყვანა?... ვინ შეძახოდა?... რა მინდოდა?... რა საქირო ვარ?...“

ისევ ჩრდილ-ჩრდილ გამოვიდა ანიკა კლუბის ეზოდან და თავჩაღუნული დაადგა გზას. უეცრად სინათლის ფართე ზოლში მოხვდა. თავი ასწია. კოლმეურნეობის კანტორაში მოსულიყო. განათებული ოთახებიდან შუქი შუა ეზოს სწვდებოდა. შეშინებულმა ანიკამ მიმოიხედა; ეზოში არავინ ჩანდა. „აქ რაღა მინდოდა?“ — დატუქსა თავისი თავი, მაგრამ ფეხი ვერ დაძრა ადგილიდან. გულში საყვედური დაეძადა, ჯერ ყრუ და გაურკვეველი. და რაც უფრო მტკიცედ ეუბნებოდა გული, უნდა წავიდეო, მით უფრო საყვედურიც გარკვეული ხდებოდა.

„შეც მინდა თქვენთან, მეც! მეც შემოძლია საქმის გაკეთება! უნდა მიმიღოთ, თქვენთან მინდა! ნუ დამტოვებთ მარტოს, ნუ! მე უთქვენოდ არ შემოძლია!“

ისე მძაფრდებოდა საყვედური, რომ ანიკა ალბათ კიბეზე აირბენდა, შეაღებდა იმ განათებულ ოთახის კარს,

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ №№ 11, 12 1955 წ. №№ 1, 2, 3, 4 1956 წ.

დაიძახებდა — აი მოვედიო! მაგრამ ჩვეულბერიცმა მოკრძალებამ სძლია, კიბეზე არბენის ნაცვლად, წელა გამოტრიალდა, ისევ გზას დაადგა.

„ასე ძალად? ძალად ვერც ნდობას მოიპოვებს კაცი, ვერც პატივისცემას... ის კი იქ არის ახლა. ის არ შეიჭრებოდა ძალით. იმას დაუძახებდნენ. ის ყველას უყვარს, ყველას...“

გაწყვიტა ფიჭვი ანიკამ. არ შეიძლებოდა ამ ფიჭვის აყოლა.

უკან დარჩა მუხიანის განათებული ქუჩები, მაგრამ არც შეუნიშნავს. მიდიოდა, ვიდრე ბნელ, ოღროზოლო, ქვიან გზაზე ფეხი არ დაუცდა. სასტიკი ტკივილი იგრძნო და თითქოს გულზე მოეშვა. წელა, კოჭლობით განაგრძო გზა. აქა-იქ იშვიათად გამოკრთოდა სინათლე. ღრენით და ყვეფით ხვდებოდნენ და აცილებდნენ ძაღლები. ბოლოს, სინათლეს, ძაღლების ყვეფაც და თითქოს სიცოცხლეს უკან დარჩა. გარშემო სიჩუმე და სიბნელე იყო.

„საით წავიდე? ვისთან?... ვის ვჭირდები?... ფეხი მტკივა. რა უცხად დასიებულა... დაცია, აქ ხომ ახლოს მაიას სახლია. რა თქვა გულომ? მაიაზეც კი ილაპარაკეს იმ გაერთიანებულ კრებაზეო. ნეტა მალე გამოუშვან მაია. საცოდავი ბავშვები. მეც ორი დღეა აღარ მიესულვარ. რად არის სახლი ჩაბნელებული? კინოში წავიდნენ ესენიც, თუ დაიძინეს?... დღეს საკმელო ჰქონდათ?“

ტკივილი გადაავიწყდა, გზას გადაუხვია და ხელი ჰკრა დანჯღრეულ კარს. სიბნელეშიც გაარჩია ნაცნობი სურათი. პირდაპირ მიწიდან აწეული, შუაჩატეხილი საფეხური ოთახის იატაკს უსწორდებოდა.

— მირიან! მზია! რომელი ხართ სახლში? — ფრთხილად შეაღო კრიალა კარი ანიკამ.

— ყველანი აქა ვართ!

— დეიდა ანიკა!

— დეიდა ანიკა მოვიდა!

— ჩვენ კი შეგვეშინდა!

ერთხმად გაისმა სიბნელეში. გამოუთქმელმა სიბრაულელმა ერთხმად ისე გაუვსო გული ანიკას, რომ სადღაც ჩაი-

ძირა კლუბიც, საყვედურიც, ტკივილიც. ხელის ფათურით მივიდა, საწოლთან, საიდანაც გაისმა ბავშვების ხმა: *მამა, მამა*

— ეს მირიანია... ეს მზია... ეს ქეთინო... პატარა ბიჭი გოგია რაღა იქნა?... აი, ვიპოვე! — მზიარულად დაიძახა ანიკამ. ბავშვებს უყვარდათ ეს თამაშობა. ჩააბნელებდნენ ხოლმე ოთახს და დაიმალებოდნენ. ანიკას უნდა ებოვნა და გამოეცნო, რომელი მათგანი მოხვდა ხელში. ბავშვები ხარხარებდნენ, როცა დეიდა ანიკა დიდი ხნის ფიჭვის შემდეგ მაინც ვერ გამოიცნობდა ხოლმე რომელს წაატანა ხელი.

— ახლა მითხარით, სიბნელეში რაღა ხართ, იძინებდით?

— არა!

— ქეთინოს ბრაღია!

— ქეთინოს ბლაღია-ა! — გაიძახოდა თვითონ ქეთინოც.

— ნათურას თოჯინა ესროლა და გატეხა! — უთხრა ანიკას თორმეტი წლის მზიამ.

— მილიანმა მცემა... — გაახსენდა უმალ და ატირდა ქეთინო.

— ძალიან შემცდარა შენი მირიანი! — ჩაიკრა გულში ანიკამ ხუთი წლის გოგონა. — ნათურა თოჯინას გაუტეხია და შენა გცემა?! ნუ სტირი, მე ახლავე ვასწავლი მირიანს, როგორ უნდა პატარა ბავშვების ცემა!

— ყულებს დააკლი? — უკვე სიბრაულულით იკითხა ქეთინომ.

— შენ გინდა, რომ შენ ძმას ყურები დააჭრან?

— ა-აღა!

— შენა, გოგია? შენ გინდა, რომ მირიანს ყურები დააჭრან?

— არ-რა...

— კარგი. მაშ ეს ერთი ვაპატიოთ. დღეს სადილად რა გქონდათ?

— ყველაფერი! — სწრაფად უპასუხა ცხრა წლის მირიანმა.

— ალა, ალა, ალა! — ბუქნავდა ქეთინო ლოგინზე.

— მზია, რა გქონდათ დღეს სადილად? — მკაცრად იკითხა ანიკამ.

— თქვენი მოტანილი ბევრი რამა

გვეკონდა. სადილი კი არ გავგიკეთებია. დღეს მეზობლებს არ ეცალათ.

— ეს ორი დღე შეც ვერ მოვიცალე. დღეს არც მე მისადილია. ახლა ერთად ვივახშმოთ! კარგი?

— ვივახშმოთ! ვივახშმოთ! — მხიარულად ჩაბუქნა ქეთინომ.

უფროსი ბავშვები ხმას არ იღებდნენ.

— ბავშვებო, ყური მიგდეთ. მე და მირიანი ახლა წავალთ და სულ მალე დავბრუნდებით. მზია, შენ ცეცხლი დაანთე და ჩაიდანე დაადგი. ქეთინო, შენ კი გოგაას გაბარებ, არ დაეძინოს.

— არ მეძინება. მეშინია ბლენაში, — თქვა გოგაამ.

— ხა, ხა, ხა... — გემრიელად კისკისებდა ქეთინო. — ბლენაში კი ალა, ბნელაში...

— ბლენა-ში! — გაიმეორა გოგაამ.

— გოგია სუ-ლე-ლი... — ესმოდა მიმავალ ანიკას პატარა და-ძმის მხიარული ტიტინი.

მალე დალაგებულ-დაკრიალებულ, დიდი ელნათურით განათებულ ოთახში ბავშვებმა მადიანად ივახშმეს. პატარა გოგაას და ქეთინოს უკვე თვალები ეხუჭებოდათ.

ანიკას აღარ უნდოდა აქედან წასვლა. ამ ოთახის იქით, თითქოს აღარავის ახსოვდა მისი არსებობა ქვეყანაზე. აქ კი ამ ოთახში, ოთხი ბავშვი თვალებში შესციცივებდა, ნატრობდა, რომ დეიდა ანიკა მათთან დარჩენილიყო.

ფეხიც სტკიოდა ანიკას, მაგრამ ყველაზე ცუდი და ძნელი ასატანი იყო აქამდე სრულიად უცნობი, უსიამოვნო გრძნობა, რომელსაც ანიკა უძილობით, დაღლილობით და კიბეზე გატარებული ლამით ხსნიდა. წედან, ბავშვები რომ მადიანად შეექცეოდნენ ვახშამს, ორი დღის უქმელმა ანიკამაც მიმშილი იგრძნო, მაგრამ ლუკმა ვერ ჩაყლაპა, გული ერეოდა. თვალი აარიდა საჭმელს და გაუხარდა, როცა მზიამ ჭურჭელი ააღაგა მაგიდიდან. თავბრუ ეხვეოდა. ტახტზე წამოწვა.

— დეიდა ანიკა ჩვენთან დალჩება! — გამოაცხადა სიხარულისაგან გამოფხიზლებულმა ქეთინომ, ჩამოძვრა საწოლი-

დან და ფეხშიშველი გამოქანდა ტახტისაკენ.

— დარ-ჩება!.. — გაიმეორა გოგია-მაც და თვითონაც ტახტს მიაშურა.

— ალ გაიალები? — უნდობლად ეკითხებოდა ქეთინო ანიკას.

— არა, არა, დაიძინე... — ალერსით გაუღიმა ანიკამ, ხელში აყვანილი მიიყვანა ბავშვი საწოლთან, ჩააწვინა, მერე გოგაას მიეფარა.

— არ გაიპარ-რო! — შეეხვეწა ნახევრად ძილში წასული ბიჭი.

— არ გავიპარები. — სერიოზულად შეპირდა ბავშვებს ანიკა და ისევ წამოწვა; მზიას სთხოვა, რომ ნატყენი ფეხის დასათბუნებლად წყალი გაეცხელებინა.

ამ დროს ეზოში ფეხის ხმა გაისმა. ვიდრე რომელიმე ოთახში მყოფი მოასწრებდა გარეთ გახედვას, ახლახანს ზეთ-წასმული კარი უხმოდ გაიღო და ოთახში მათა შემოვიდა.

— დედილო! — წამოცვივდნენ ლოგინიდან პატარები.

— დედა! — ერთხმად დაიძახეს მზიამ და მირიანმა.

— მათა! — გახარებული წამოდგა ანიკა, მაგრამ მისასალმებლად გაწვდენილი ხელი ჰაერშივე დარჩა.

მაიას წარმოდგენაში ოთახი ანგრეული უნდა დახვედროდა. ბავშვები გაწეწილი და დაუბანელი, მშვივრები და მოუხველელი, უპატრონოდ მიტოვებულნი. და ამის მიზეზი ზაქრო იყო, სიყმაშვილი.

ახლა შემოსვლისთანავე თვალში ეცა დაკრიალებული ოთახი, ლოგინებზე ქათქათა ზეწრები, ფანჯარაზე რძით საესე ჯამი და ქილით კარაქი. და ეს ყველაფერი ზაქროს ცოლის, ანიკას საქმე იყო.

შუბლი შეიკრა მათამ. თითქოს უცხო სახლში შევიდა. მოეჩვენა, რომ არც კი გაეხარდათ მისი დანახვა. ბავშვები თითქოს უცხოსავით უყურებდნენ და ეს ყველაფერი სიყმაშვილების ბრალი იყო!

გაასპიტებული მათა ანიკას მოუტრიალდა.

— რაო? ქმრის ცოდვები გინდა გამოისყიდო? ათი თითი რომ სანთლად აინთო, მაინც არ გიშველის! ჩემი ცოდვა მოგეწევათ შენცა და შენს ქმარსაც!

— რა იყო, მათა, რა დაგემართა? — შეეკითხა გაფითრებული ანიკა.

ბავშვები ენაჩავარდნილებივით შეჭყურებდნენ ხან დედას, ხან ანიკას. მზია დარცხვენილი ეკვროდა ანიკას.

— შეკითხვები კიდევაც, შე უნამუსო?! ჩემისთანა ქვრივ-ოხერზე გაიმარჯვებ? ეს რალაცა საცეცხლავი მოგიტრეგია აქა, მაგით გინდა ჩამაჩუმო? ვერ დამაჩუმებთ! ქალაქში თუ არ მივწერო, ძალლი ვიყო!

ანიკას ნახევარი არც ესმოდა რას გაიძახოდა მათა. გული ერეოდა, სახეზე ცივ ოფლს ასხამდა, ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ ერთი ესმოდა — აქ ყოფნა აღარ შეიძლებოდა. წასვლა დააბირა.

მზია კიდევ უფრო მიეკრა ანიკას და შეშინებული მიაჩერდა დედას. შუბლშეკრული მირიანი განზე იდგა. ამან უარესად გაამწარა მათა.

— აქ მო, შე სასიკვდილე, შენა! — მივარდა მზიას, სტაცა მკლავში ხელი და ოთახის მეორე კუთხეში მიაგდო. — დედას თქვენი გულისათვის თავი ქვეყნის სამამსხარაო გაუხდა და თქვენ კი ამას ეტმასნებით?

ანიკამ მზიას დამნაშავესავეთ გაუღიმა, ძალ-ღონე მოიკრიბა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

მირიანმა ჯიქურ გაიწია კარისაკენ, მაგრამ მათა ახლა მას მისწვდა.

— სად, სად მიდიხარ?! — ხელი ასწია, უნდოდა სილა გაეწნა, მაგრამ ბავშვმა ისეთი ანთებული თვალებით შეხედდა, რომ უნებურად დაუშვა ხელი.

— გამიშვი. ფეხი სტკივა. უჩემოდ ვერ წაეა. — თქვა აცრემლებულმა.

— ფეხებს შემოგამტკრევე, ამა ფეხი გადაგიდგამს! იმას გაეტირეთ და სატუსალოდან ჩემი კუბო რომ გაეტანათ, ერთი ცრემლიც არ ჩამოგვარდებოდათ, განა?! იმას მისტირით, იმ ჩემი ოჯახის შავ ანგელოზს?!

— ტყუილია! კრებაზე მეც ვიყავი.

რასაც შენ იძახი, ტყუილია! — თამამად უთხრა მირიანმა.

— რაო, რაო? თქვენ აქ უჩემოდ ვრეზებზეც დასტანტალებდით?

— რა გაჩხუბებს? — დინჯი კაცივით განაგრძო მირიანმა, — იმ კრებაზე შენზეც ილაპარაკეს. ზაქრო ძალიანა წუხდა მათას თაობაზეო. დედა ანიკაც ჩვენ გვაპტრონობდა და გვივლიდა.. ფეხი აქვს ნაღრძობი, ამა მარტო როგორ უნდა წავიდეს?

— ავად არის, აქ უნდოდა დარჩენა და შენ კი... — აშკარა საყვედურის კილოთი, ჩუმად თქვა მზიამ.

— აქ რა უნდოდა, ხალხო, არ გამაგივოთ დედაკაცი! — დაიძახა დაბნეულმა მათამ და ქანცგამოლეული დაეშვა ტახტზე. ყველაფერი აერია თავში. ვინ იყო მართალი, ვინა ტყუოდა, აღარ ესმოდა. მისთვის უჩვეულო სიკვამაც ერთბაშად გაუარა. თითქოს ამ წუთში შემოვიდა ოთახში, ეს ბავშვებიც ახლა დაინახა. რილაცისაც შერცხვა და აქვითინდა.

ჩვეულებრივი, ნაცნობი და საყვარელი დედა რომ დაინახეს, ბავშვებიც მოლბნენ. მზია მაგრად ჩაეხვია, ცრემლები გადაუწმინდა:

— სუ, სუ, ამა რა გატირებს? ახლა ჩვენ კარგად ვიცხოვრებთ, ნუ გეშინია. სუ, დაისვენე...

— შე ახლავე მოვალ! — გათამამდა მირიანი, იგრძნო რომ დედა უკვე აღარ გაუჯავრდებოდა. — სუ, მზია გამობობს ახალ ამბებს, მე ახლავე მოვალ...

კარი მიიხურა და სიჩბილით მოსწყდა ზღურბლს. წელან, ანიკასთან ერთად რომ მიდიოდა, ისევ იმ გზას დაადგა. მირბოდა მირიანი და უკვირდა, რომ დედა ანიკა ნატყენი ფეხით ამ ორიოდე წუთში ასე შორს წასულყო. მირბოდა მირიანი, დროდადრო უძახოდა ანიკას, მაგრამ გზაზე არავინა ჩანდა, პასუხად კი მიძინებული არე-მარე მისივე ხმას უბრუნებდა, აშინებდა. სიჩბილისაგან გულამოვარდნილმა მიღწია სიყმაშვილების ჩაბნელებულ სახლს. შინ არავინ იყო, მხოლოდ ყურშამ დაახრიგინა ჯაქვი, ღრენით გამოქანდა მისკენ.

შირიანი გამოტრიალდა. იფიქრა, ალბათ ანიკა სხვა გზით წამოვიდაო და მის შესახებედრად ახლა ორღობეში გადაუხვიო. ვიდრე ახლომახლო ანიკა ეგულეზოდა, გული მაგრად ჰქონდა ბავშვს, მაგრამ ახლა, როცა კაცის ჰაქანება არ იყო, შიში მოემატა. ღობეებიდან გადმოწვდილი ხის ტოტები ჰინკებოდნენ ეჩვენებოდა, ფოთლების შირილი ჟრუანტელს ჰგვრიდა. ვერც ამჩნევდა, რომ აქნალებდა.

როგორც იქნა, ორღობიდან ისევე შუკაზე გამოვიდა. აღარ იცოდა, საით წასულიყო, რა ექნა. თვალწინ ანიკას სახე ედგა. „იქნება სადმე წაიქცა და რა ექნა? ძია ზაქრო იტყვის, ტრაქტორთან აღარ მიგიშვებ, ანიკას შეველა სკირდებოდა, შენ კი სახლში წახველი, დაიძინეო...“

ვინ იცის, რამდენ ხანს იქნებოდა ბავშვი ამ საფიქრალში, გამგეობის სხდომაზე სიღამონიძეს ანიკა რომ არ მოეკოთხა. შოფერი ალბათ კინოში იყო წასული და ნიკომ ტარიელსა სთხოვა ანიკას მოყვანა.

შინდის ჩაბნელებულ ქუჩაზე, მანქანის ფარებმა პატარა ბიჭი გაანათეს. ტარიელი ჯერ გასცდა ბიჭს, შერე გააჩერა მანქანა. შირიანი იცნო. პატარა ცნობისმოყვარე ბიჭებში, რომლებიც ტრაქტორებსა და კომბაინებს დასდევდნენ, შირიანი განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხალისით და მოსაზრებით. ისიც გაასხენდა ტარიელს, რომ შირიანი სწორედ იმ მაიას შეილი იყო, რომლის შესახებაც კრებაზე ლაპარაკობდნენ. ძალიან ჩქარობდა ტარიელი, მაგრამ მაინც გააჩერა მანქანა, მარტოდ დარჩენილ ბავშვს ზომ არა შეემთხვა რაო.

შირიანიც გამოიქცა გაჩერებულ მანქანიდან, იცნო ტრაქტორისტი და გული მიეცა. მოკლედ უთხრა, დეიდა ანიკას ვეძებ და ვერ მაიპოვნიაო. ტარიელი მიხვდა, რომ ბავშვი რაღაცას მალავდა, მაგრამ აღარ ჩააცვივდა, არც იმისი დრო იყო. მიხვდა, რომ ანიკას მოძებნა აუცილებელი იყო უფრო მეტად ამ ბავშვისათვის, ვიდრე გამგეობის სხდომისათვის. ბავშვი მანქანაში ჩაისვა და მაიას სახლიდან სიყმაშვილიანთამდე გზა რამ-

დენჯერმე შეათვალიერა. არცერთი ბუჩქი, ხის ძირი, ჩირგვი არ დაჩინებია, რომ არ გაენათებინათ დასაძრებლად, მაგრამ ანიკა არსადა ჩანდა.

შირიანზე უარესად ტარიელი შეწუხდა. ბავშვის ნერვიულობა მასაც გადაედო და ნელ-ნელა ეცვი შეეპარა, ანიკას ზომ არაფერი დაემართათ. გადაწყვიტა მაიასთან შესულიყო, იქნება იქ გამოვარკვიო რამეო.

ამ დროისათვის მზიამ დაწვრილებით უამბო დედას სოფელში მომხდარი ამბები, კრებაზე გამოსულების ნათქვამი. მაიას ისიც გაასხენდა, რომ რაიონულ თათბირზე ყოფნის დროს, ზაქრომ მილიციაში ინახულა, სახარჯო ფული დაუტოვა და დახმარებაც აღუთქვა. არ იცოდა მაიამ, რად დასჭირდა, მაგრამ თანდათან დარწმუნდა, რომ კაცი, რომელიც მაგიდაზე ჩამომჯდარი ელაპარაკებოდა, ტყუოდა. ახლა თვითონაც გაასხენდა ანიკას ვაფთობებული სახე, მოავონდა, რომ ანიკა სწრაფად, მაგრამ კოქლობით წავიდა კარისაკენ და სირცხვილისაგან იწოდა. შირიანიც იგვიანებდა. ვინ იცის გზაში რა მოუხდათ? დღლა და გადატანილი ვაი-ვაგლახი გადავიწყვდა მაიას, დააბირა ანიკასთან წასვლა და ამ დროს მის კართან მანქანა გაჩერდა.

მანქანიდან ჯერ შირიანი გადმოხტა. დედას საყვედურით, დიდივით შუბლშეკრულმა უთხრა:

— ეგე, ვერ ვიპოვნეთ...

მაიას ენა დაება. ტარიელის შეკითხვებზე ერთსა და იგივეს გაიძახოდა:

— რა ვიცი, მე არსაცოდნელმა. იმ კაცმა გამაბრძოვა და რა ექნა, რა წყალში ჩაეარდე, ქვეყანას როგორღა შეეხედო?!

თანდათან ყველაფერს მიხვდა ტარიელი. ისე ნათლად წარმოიდგინა სურათი, თითქოს მთელი დღე ადევნებდა ანიკას თვალს. დარწმუნდა, რომ ანიკას უთქმელ სიმწარეს, აქაც უსიამოვნო ამბავი დაემატა და სახლში წასვლის ნაცვლად, ვინ იცის საით გადაიკარგა.

„ბორანზე რომ წასულიყო ზაქროსთან, გზაში ვერ ამცდებოდა... ბორანზე კი არა, ალაზანზე წავიდა!.. აქვე ახლოა

ალაზანი!..“ — ვიწრობში მოქცეული, მღვრიე მდინარე წარმოუდგა თვალწინ ტარიელს და თითქოს გულისცემა შეუწყდა.

— მაია, — თქვა მშვიდად და მკაფიოდ, — ჯერ არ დაიძინო, აქ დამიცადე. წავიდეთ! — უთხრა მირიანს და დასძრა მანქანა.

„რა დამაძინებს ბიჭო, შვილო... — ცრემლგამშრალი, ენაჩაეარდნილი ფიქრობდა მაია. — ან იმ ოთახში რა შემიყვანს, ვიდრე ჩემი თვალით არ დავინახავ ანიკას. აქ დარჩენა უნდოდა და მე კი... დარდიანს, ავადმყოფს ხელი ვკარი...“ — მზად იყო მაია კბილით დავგლიჯა საკუთარი ხორცი. თვალს არ ამორებდა გზას, რომლითაც მანქანა წავიდა.

სწორედ ამ გზით წავიდა მაიას ეზოდან გამოსული ანიკა. თვითონაც არ იცოდა, ამ გზაზე რა უნდოდა.

„არაფრის ფიქრი არ მინდა... იქით ხალხია, სინათლეა, სურათს უყურებენ, საქმეზე ლაპარაკობენ. იქით ჩემი სახლია. ბნელი და ცარიელი... არაფრის ფიქრი არ მინდა... იქამდე მივალ, აი რაღაცა ჩრდილი რომ მოსჩანს და დავევლები, დავისვენებ... რა დემართა მაიას? ცხვარივით უენო და უწყინარი ქალია. არაფერიც არ დემართა. არ გაეხარდა ჩემი დანახვა და იმითმე მიყვიროდა რაღაცას... ჩემი დანახვა არავის არ უხარია... არა, არაფრის ფიქრი არ მინდა. აი, იქ პატარა დეღეა, იმას იქით კი უდაბნოსავით მწირი მინდორი. მინდორს ბოლოს ალაზანი ჩაუდის. აქ ძალიან ვიწროა ალაზანი... იმ დღეს შიგ ერთი კაცი დამხრჩვალყო... აი, მე იქამდე მივალ, ჩრდილი რომ მოჩანს. იქ დავისვენებ. აა, ეს ლოდი ყოფილა. უჰ, რა დიდი ლოღია. ოხ, რა კარგია დასვენება... რა ცოტა რამ არის საჭირო ადამიანის ბედნიერებისათვის. ახლა აღარც ფეხი მტკივა, აღარც გული მერევა. მხოლოდ მეძინება... ამ უდაბნოს იქით ალაზანია. მერე რა? არაფერი. ვიწრო და ღრმაა. ვიდაცა დაიხრჩო შიგაო. რა კარგია ეს სიჩუმე. არავინ არ ყვირის. იქ ყველანი

ყვირიან, აქ კი რა კარგი სიჩუმეა. იმიტომ არის სიჩუმე, რომ ეს უდაბნოა, და აქ არაფერი არა ხარობს. შწირია, უნდა ცოცხლო, ვეებერთელა მიცვალებულია და გულზე ეს ლოდი ადევს... არაფრის ფიქრი არ მინდა... მეძინება, მეძინება, მეძინება... ოჰ, დამძინებია და კრიჭინამ გამაღვიძა. საძაგელი კრიჭინა, როგორ კრიჭინებს. არც ეს მაცლის დაძინებას. საიდან გაჩნდა ამ უდაბნოში ამდენი კრიჭინა? პირი შეუკრავთ ჩემს წინააღმდეგ. მოდიან, მოდიან, მიახლოვდებიან. რა უნდათ? მე უკვე დავისვენე, აღარც ფეხი მტკივა და გავიქცევი. ამ უდაბნოს აქით ალაზანია. კრიჭინებს ალაზნისა შეეშინდებათ... მაგრამ მე სიზმარში ვარ. ეს კრიჭინები კი არა, მანქანა მოდის. ვინ უნდა იყოს? ან აქეთ რა უნდათ? ახლა მიყვირებენ, შენ აქ რა გინდაო? ნუ მიყვირებთ, ნუ, მე წავალ აქედან, წავალ... რა ჩქარა მოდის ის მანქანა. დამეწევა. დამინახავენ. რომ მიცნონ, რას იფიქრებენ? რა ვუთხრა, აქ რას ვაკეთებ შეთქი, რა ვუთხრა, რა?...“

- დეიდა ანიკა!
- მირიან...
- ანიკა!
- ტარიელ...

— ანიკა, დაჯექი ჩქარა! ამხანაგი სიღამონიძე და ნიკო გიცდიან კანტორაში. ხალხიც გიცდის, ჩქარა!

— მიცდიან?... მე მზადა ვარ, წავიდე, ტარიელ. მირიან, შენ ჩემთან დაჯექი. ეგრე. ხელები მაგრად, მაგრად მომხვიე. შენ კარგი ბიჭი ხარ.

— დედაჩემიც კარგია, გიცდის, დეიდა ანიკა...

— დედაშენიც? ჰო, დედაშენიც კარგია. მე ვნახავ დედაშენს, მირიან, შენ არასდროს არ გააჯავრო დედა.

— მეც წამიყვანე კანტორაში.

— შენ რომ არ დაუბარებხარ?

— მე ხელს არ შეგიშლით. ძია ნიკოს აჩიკოსა ვნახავ.

— ტარიელ, შეიძლება მირიანიც წავიყვანოთ კანტორაში?

— შეიძლება — უპასუხა ხმაშალლა, შემდეგ ფიქრით განაგრძო: „რაც შენ

გინდა, ყველაფერი შეიძლება. ოღონდ შენ იყავი კარგად, ოღონდ ვიცოდე, რომ შენ ხარ ქვეყანაზე, ბედნიერი ხარ და ჩემი სიცოცხლე შენი სანაცვლო იყოს. იქ რა გინდოდა ანიკა? სადაც შენა ხარ, იქ სიცოცხლეა, ანიკა, იმ უღაბნოში რა გინდოდა?..“

— დეიდა ანიკა, ფეხი აღარა გტყივა?

— არა.

— დასიებული რომ გაქვს?

— ეგ არაფერია, გაივლის.

— ავად აღარ ხარ?

— არა.

— იცი, როგორ მიხარია? ძია ტარიელ, დააყუ, აგერა დედა-ჩემი!

ტარიელმა მანქანა გააჩერა. მირიანს გაღმობტა და დედას უსიტყვოდ ჩაეხვია. შაია მიხვდა, რომ მანქანაში ანიკაც იჯდა.

— გოგო, ნუ გამიწყრები, აგრემც ღმერთი გაეხარებს. მოდი, შემოდი, თუ ნამდვილად სიკეთე გინდა ჩემთვის, ნუ მომკლავ დარდი.

— ახლა არ შეიძლება, — უთხრა ანიკას მავიერ მირიანმა. — კანტორაში გვეჩქარება. ჩქარა უნდა წავიდეთ.

— შაია, ბავშვებსა სძინავს? — ჰკითხა ტარიელმა.

— პატარებს სძინავთ, მშია არ დაწვა, თქვენ გიცდით.

— მაშ იცი რას გეტყვი? მოდი შენც დაჯექი. არ გინდა ქალაქიდან ჩამოსულ კაცს ელაპარაკო?

— იპ, მე იმასთან ვინ მიმიშვებს?

— თვითონ დაგელაპარაკება. მოდი, დაჯექი ჩქარა! მირიან, გაიქე მზიას უთხარი დედას მოსვლამდის ბავშვებს ყური უგდოს, ჩქარა!

— ჩემი ობლების პატრონობისათვის ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს, ანიკავ... — აღლევებით უთხრა შაიამ, როცა ანიკას გვერდით დაჯდა და მანქანა დაიძრა. — მე კეთილი სიტყვის მეტი რა შეგადა შენთვის და ისიც კი...

ანიკამ ხელი მოხვია მხრებზე, დააჩუმა...

სურათი დამთავრებულიყო. განათებულ ქუჩებში მანქანას მხოლოდ მომავალი ხალხი ხედებოდა. ქალბატონის ეზოშიც ირეოდა. გაჩერდა თუ არა მანქანა, მოსულებს მაშინვე შემოეხვეინენ. ზოგს შაიას ამბის შეტყობა უნდოდა, ზოგი ანიკას მიესალმა და მოიკითხა. მირიანს აჩიკო და ოქროპირი მიეპარდნენ.

— კინოში რატომ არ იყავი? — ჰკითხეს ორივემ ერთად.

— საქმე მქონდა. — მიუგო მირიანმა.

— იცი, რა კარგი სურათი იყო? — სცადა ოქროპირმა ამხანაგის ვალიზიანება.

— ერთი ლამაზი გოგო და ბიჭი მიდიან, მიდიან, მიდიან და მღერიათ! — დაუშატა აჩიკომ.

— სულ მღერიათ? — გაუკვირდა მირიანს.

— ჰო!

— ფიი. უსაქმურები ყოფილან! — დაასკვნა მირიანმა.

— არაფერიც! არაფერიც! — შეეკამათა აჩიკო.

— აბა თუ არაფერიც, მაშ, ძია ნიკო სულ მღერის? ან დეიდა ოლა, ან სხვა ვინმე?

— ძია ზაქრო მღერის ხოლმე! — მოავონდა აჩიკოს.

— ჰო! ძია ზაქრო სულ მღერის! — დაუდასტურა ოქროპირმა.

— იპ, ძია ზაქრო, როცა მუშაობს მაშინა მღერის! ყველაზე კარგად მაშინა მღერის, როცა კომბაინი შეჭყავს ყანაში, არა რო? — ჰკითხა ამხანაგებს მტკიცედ დარწმუნებულმა მირიანმა.

— მართალია განა... — ხმადაბლა თქვა აჩიკომ.

— ჰო, ჰო, მართალია, მეც ვიცი! — დაიძახა ოქროპირმა.

— მე როცა გავიზრდები, კომბაინზე რადიოს გავაყეთებ! — გაანდო მეგობრებს თავისი განზრახვა მირიანმა.

— ცალკე კომბაინს რადიო რად უნდა? ძია ზაქრომ თქვა, ჩვენ მინდვრებში რადიო გვექნებაო და საქმეზეც ელაპარაკებითო და კიდევ გავარ-

თოხტ მუშებსაო, მაშა?! — თქვა აჩიკომ.

— ეი, დილაზე მანანას რგოლი კეკერაზე გადის. ყამირი უნდა აირჩიონ ვარდებისათვის! — შეატყობინა ამხანაგებს ოქროპირმა.

— ჩვენც წავიდეთ! — ერთხმად გამოსტქვეს სურვილი აჩიკომ და მირიანმა.

— რომ არ წაგვიყვანონ? — დაექვედა ოქროპირი.

ჩუმად გავიგოთ სად იკრიბებიან და ყველაზე წინ ჩვენ მივიდეთ იქ. მერე მანქანიდან ხომ აღარ გადმოგვაგდებენ? — დაგვემა მირიანმა.

— მაშ გავიგოთ, სად დანიშნავენ შეკრებას!

გადაწყვიტეს ბიჭებმა, ხელი ხელს ჩაკვიდეს და სატლაცა გაქრნენ.

ამ დროს მათა უკვე ელაპარაკებოდა სიღამონიძეს. ანიკაც იქვე იჯდა. იქვე იყვნენ ნიკო და ბაადურცი. გამგვობის სხლომა დამთავრებულიყო, მაგრამ ოთახში ბლომად იყვნენ ბრიგადირები და პირად საქმეზე მოსული კოლმეურნენი. ყველანი გაჩუმებულნი უსმენდნენ მაიას და სიღამონიძის ლაპარაკს.

ანიკამ კარგად იცოდა მაიას მდგომარეობა, თითქოს მიზეზიც იცოდა მისი გაჭირვებისა. ცოტა უთავშაო წვრილშვილი ქვრივის გაჭირვებას რა დიდი ახსნა სჭირდებოდა! მაგრამ ახლა აქ, კოლმეურნეობის კანტორაში ანიკას ესმოდა კოლმეურნე ქალის ჩივილი რაღაც ისეთზე, რის გამოსწორებაც მართო მაიას არ შეეძლო, მისგან არ იყო დამოკიდებული. ანიკამ მაიასთან უფრო ახლოს მიიწია, უფრო გულდასმით დაუგდო ყური. თანდათან დარწმუნდა, რომ მათა და მისი მდგომარეობა აჩვენებდა ცხოვრების რაღაც ჩრდილოვან მხარეს და ამის არც დაფარვა შეეძლებოდა, არც უყურადღებოთ დატოვება. პირიქით, საჭირო იყო საკითხის გარკვევა, საქმის გამოსწორება.

ხანდახან ანიკას მოთმინება არ ყოფნიდა. მაიას შეეკითხებოდა ხოლმე და მოკრძალებით შეხედავდა სიღამონიძეს, მაგრამ ის თითქოს ვერ ამჩნევდა ანი-

კას. სათვალე მოეხსნა და მისჩერებოდა მაიას.

— ... ჰოოდა, ამ გადასახადების გამო მოხდა... კოლექტივის მიწაც უხეირო გვექონდა, არც საქმე იყო კარგად დაყენებული და იმიტომ აიყარა ნახევარი შინდა...

— თქვენც ხომ არ აპირებდით გადასვლას? — შეეკითხა სიღამონიძე მაიას.

— მე სად წავალ, ჩემი წვრილი ბალებით? განა ვინც წავიდა, იმათ კი მისწევდათ გული?... — მაიამ თავშალის ბოლოებით შეიმშრალა ცრემლები. — აბა, შენი ჭირიმე, გლენჯაცმა ვაზის ტირილი თუ არ მოიხილა, დილით ნახირს თვალს თუ არ გააყოლა, ერთი ჰოოდაუნა თუ არ დაიძახა, ის ყოფნა რა ყოფნაა იმისათვის, სულაც ოქროში რომ ჩასვა და თვალ-მარგალიტში...

სიჩუმე ჩამოვარდა. მაიამ ამოიოხრა, ოთახში მყოფნი შეათვალა, დაინახა, რომ ყველანი მას უსმენდნენ და გული უფრო მიეცა, გამხნედა. სიღამონიძესთან ახლოს მივიდა, ფრთხილად შეეხო მის სახელს.

— ჩვენ რომ თავკაცები გვეყავს, ამისთანები ქვეყანაზე ხომ არ მოიძებნება და ეს როგორ არ იციან? გულხს თუ წელი მაგარი ექნება, სახელმწიფოსაც მეტ სარგებლობას არ მოუტანს? აბა, ცარიელ-ტარიელისაგან რა გამოვა! იგრევე შესანახად გაუხდის თავს. არ კი გეწყინოს და, ერთი რა უნდა გთხოვო: მე რაცა ვთქვი, იმ ჩვენი ქვეყნის თავკაცებს მისწერე. იმათ რომ იცოდნენ, განა აქამდე არ გამოასწორებდნენ? მისწერე. შენზე იძახიან, ცეცაში მუშაობსო. არ შეიძლება ცეცადან მისწერო ბარათი, აუხსნა ჩვენი მდგომარეობა?

— თქვენ ხომ სთქვით, ასეთ მდგომარეობაში ბევრიაო, — წამოღდა სიღამონიძე, — ჩვენმა თავკაცებმა ეს იციან. ისეთი გამოსავალი უნდა მოინახოს, რომ ყველასათვის კარგი იყოს, არა? თქვენ ცოტაც უნდა მოითმინოთ, ამხანაგო მაია. ამას მოფიქრება უნდა, დრო უნდა. ახლა კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოგეხმარებათ, შეგიმსუბუქებთ

სიძნელეს და მერე მდგომარეობა საერთოდ გამოსწორდება...

— თქვენი იმედი ნუ მოგვიშალის გამჩენმა! ვანა რა იქნება, რომ ეგრე ხანდახან ჩამოსულეზმაც დაგვიგდონ ხოლმე ყური, გველაპარაკონ. იტყვიან ხოლმე: კაცი კაცის წამალიაო. იგრე მივდივარ აქედან, გვეგონება ნატერის თვალი ეპოვნეთო. დღეს დღისას რას მოვიფიქრებდი, რომ ეგრე სიკეთით დამიღამებოდა. ისეთი ჩამოველი ლელიანიდან, თოკიდან აწყვეტილსა ვგავდი. აი, ეს ადამიანი დამიხვდა შინა და...

— ეგ პატარა, შინაური ამბავია, მაია! — შეაწყვეტინა ანიკამ.

— შინაური რომელია, ანიკა? შენ ყოველთვის ეგრე იცი. ვინც უნდა გაწყენინოს, ხელად გადაგვიწყდება ხოლმე. მაშ იმ კაცმა რად მომატყუა? შხამივით ჩამაწვეთა ყურში, ზაქროს ბრალიაო. მე ახლა ვხვდები ყველაფერს.

— რა არის ზაქროს ბრალიო? — შეეკითხა ნიკო.

მაიას მაინც არ ეთმობოდა აქედან წასვლა და გაუხარდა, რომ დარჩენის საბაბი მიეცა, ისევ სიღამონიძეს მიუბრუნდა.

— ამ დილას სატუსალოდან გამომიყვანეს, ვილაც კაცი ვიბარებდსო, რა ვიცი — უფროსიაო, ჩაუქრეს იმას ვარსკვლავი. აბა, პატროსანი კაცი, დედაკაცს მაგიდაზე ჩამომჯდარი ელაპარაკება? მაგიდაზე ზის და მეუბნება, მე განთავისუფლებ, წადიო და შენს ტყუილა-უბრალოდ დამტანჯველ ზაქროს გადაუხადე მადლობაო. აბა, მე, თქვენი პირით, იმის თავი საღლა მჭონდა, გამეგო მატყუილებდა თუ არა?! ისეთი გაბოღმინებული მოვდიოდი შინ, ზაქრო რომ შემხვედროდა, ცოცხალი არ გადავირჩებოდა. ზაქრო არ შემხვედრია, მაგრამ შინ რომ მოველი, ანიკა შემრჩა ხელში! ეხ!.. რას არ ჩაიდენს გონებაარეული ადამიანი?..

მაიამ ცოტა დაისვენა და მერე ისევ განაგრძო:

— ძალიან ჭკვიანია ანიკა, მაგრამ „შინაური საქმეაო“, რომ იძახის, მაგაში კი ძალიან სცდება. ახლა ყველაფერიც

მესმის. ჩანს, იმ კაცს ჯავრი ჭკონია ზაქროსი და მე იმიტომ მითხრა ტყუილი, ზაქროს იმიტომ დასწამა ცილი. კაცი თუ მატყუარაა, იმისაგან სხვა სისაძაგლესაც უნდა მოელოდეს ხალხი. პოდა, ეს შინაური საქმე კი არ არის, ყველამ უნდა გაიგოს. ყველამ თუ არ გაიგო, აბა ანიკავ, მართო მე და შენ ხომ ვერ გავწმენდავთ ქვეყანას უწმინდურებისაგან?

სიღამონიძემ ნიკოს და ბაადურს შეხედა. სასიხარულო იყო, რომ აქ შემოსული წელში მოხრილი, უმწეო ქალი, ახლა უკვე საერთო სიკეთის მცველად გრძნობდა თავს. სიღამონიძემ გაუღიმა მაიას და ხელი გაუწოდა გამოსამშვიდობებლად.

— იცოცხლე და გაიხარე, — ჩამოართვა ხელი მაიამ, — ხალხი გაგიხარებია! ახლა ნიკოს ხელში ჩვენც მალე მოვმაგრდებით. თუ დრო დაგირჩება, შინდაშიც ჩამოიარე. ღარიბები ვართ, მაგრამ ღია გულით დაგხვდებით.

— უსათუოდ ვნახავთ! — შეპირდა სიღამონიძე.

მაია წავიდა.

— როგორ მოგწონთ? რას იტყვიო? — მაშინვე მიუტრიალდა სიღამონიძე ანიკას. ანიკა წამოღგა. — იჯექით, იჯექით, რად აღექით? ფეხი რამ ვატყინათ?

— არა, მე არაფერი არა მტყივა! — გაწითლდა ანიკა, და რომ ამის შესახებ აღარაფერი თქმულიყო, დაჯდა.

— თქვენ როგორა გგონიათ? ეს ქალი რასაც ლაპარაკობდა გადასახადზე, მართალია?

— მე რაიონულ ბანკში ვმუშაობდი და ამის შესახებ ლაპარაკი არა ერთხელ გამიგონია... — ჩაფიქრებით მიუგო ანიკამ, შორიშორს ჩასმული, გონებით განათებული თვალები სიღამონიძეს მიაპყრო. — როგორც ჩანს, ეს საკითხი ყველას აწუხებს. არც მდიდარ კოლმეურნეობაშია გადასახადების განაწილება სწორად დაყენებული. ზშირად ხდება ასე: იმისათვის, რომ რაიონმა გეგმა შეასრულოს, ღარიბ და ჩამორჩენილ კოლმეურნეობის ტვირთსაც შეძ-

ლებულ კოლმეურნეობას აქიდებენ ზოლმე. განა ეს არის გამოსავალი? ამ გზით რომ ვიართო, მდიდარი და შეძლებული კოლმეურნეობის მარაგიც დაილევა...

— მამ თქვენ ფიქრობთ, რომ გადასახადების საქმე საერთოდ ვერ არის მოწესრიგებული? მე ასე გავიგე თქვენი აზრი.

— დიახ. — მოგვიანებით ასწია თავი ანიკამ, — თავის დროზე შეიძლება სწორი იყო, ასე იყო საჭირო, ახლა კი მე მგონია, მოძველდა ეგ კანონი...

— თუ ეს საყოველთაო მოვლენაა, ალბათ, პარტია გადასინჯავს თავის საგადასახადო პოლიტიკას... თქვენ პარტიის წევრი ხართ, ანიკა? — მოულოდნელად შეკითხა სიღამონიძე.

— არა... კომკავშირში ვიყავი, მაგრამ... — ისევ გაწითლდა ანიკა, თავი დახარა.

— ამხანაგმა ნიკომ თქვა, რომ თქვენ ხვალეიდან აპირებთ მუშაობის დაწყებას.

— დიახ.

— ვისურვებთ წარმატებას. ამხანაგო ნიკო, გვიან არის. რევიზორს დილაზე ადრე მოუხდება ადგომა და ათხოვეთ მანქანა. მით უმეტეს, ჩვენ გვიმაღავს, თორემ ფეხი ნამდვილად სტკივა.

რას იპოვინდა ამის ფასს იმ უდაბნოში ანიკა? ოთახიდან ისე გამოვიდა, თითქოს ტანი აიყარაო. ეგონა არც კი უყურებდა ის კაცი და მის გულშიც კი ჩაიხედა თურმე. თითქოს არც არაფერი უთხრა, მაგრამ აგრძობინა, ძალიან საჭირო ხარო...

„აი, მიადაც ამ კაცზე ლაპარაკობს...“ — ნელა ჩადიოდა კიბეზე ანიკა და თან ყურს უგდებდა მთიას ლაპარაკს ეზოში.

— ამაზე უკეთესი კანდიდატურა არ შეიძლება! — უთხრა სიღამონიძემ ნიკოს, მიხსრა თუ არა ანიკამ კარი. — შესანიშნავი ძალები ემატება თქვენს კოლმეურნეობას, ამხანაგო ნიკო... თქვენ რაღას ჩაფიქრებულხართ, ამხანაგო ბაადურ? — გამოარკვია მან ფიქრებიდან ბექაური.

— ვფიქრობ, რა შესანიშნავი ხალხი

ყოფილა აქეთ მხარეს! — მიუგო ბაადურმა.

— პატარა შესწორებაა გაქორწინებული ყველგან. შესანიშნავია! — ხმადაბლა, თბილი ღიმილით თქვა სიღამონიძემ და კარისკენ გაემართა.

ეზოში ანიკას და მთიას ხალხი დასეოდა.

— კიდევ რაო, მთიას? კიდევ რა გითხრა? — ეკითხებოდნენ აქეთ-იქიდან.

— ეგ იყო, მეტი არაფერიც არ უთქვამს! გული კი დამიამა, იმედით ამივსო და... საყოველთაოდ გამოსწორდებაო. თქვენი პირიმიეთ, ეს რა ადამიანი გამოუგზავნიათ?!

— ჩვეულებრივი ადამიანია და იმიტომ არის შავისთანა ადამიანური! — თქვა ვიღაცამ.

— ჩვეულებრივი მე და შენცა ვართ, მაგრამ... — უთხრა მას მთიამ, — არა, ქაჯანი ეგ ცეკას გამოგზავნილია და იმიტომ არის ეგეთი. ყველას გულში და გონებაში ჩახედული...

სიღამონიძე კიბეზე შეჩერდა. „ცეკას გამოგზავნილიაო... — გაიფიქრა მან, — ცენტრალური კომიტეტის გამოგზავნილი, ხალხისათვის სამართლიანობის და პატიოსნების, ადამიანის სიყვარულის და სიფაქიზის რწმენაა. რა შეუწინაღებელი კონტროლი უნდა გაუწიოს კაცმა თავის თავს, რომ ამ საპატიო სიმალღეზე იდგეს. ასი წყვილი თვალი და ყური უნდა გქონდეს, რომ დროზე და კარგად დაინახო, გაიგო შენი ხალხის გულის ნიღები, იყო ადამიანური ადამიანი...“ — ნელა ჩაიარა კიბის საფეხურები.

— მანქანა გიცდის, მოდიხარ? — თავზიანად მიმართა ტარიელმა ლაპარაკში გართულ მთიას.

მთიამ ისე შეიშნო ეს პატივისცემა, თითქოს თავის დღეში ფეხით არ უფლიაო. თავმოწონედ გამოეთხოვა თანამოსაუბრეებს და მანქანისკენ გასწია.

— მამი-ი, დამიცადე, მე მირიანსა და ოქროს გავაცილებ, ახლავე დაგბრუნდება! — დაუძახა აჩიკომ ეზოში გამოსულ ნიკოს და მეგობრებს მიუტრიალ-

და ბიჭებმა მანქანაში განაგრძეს თავიანთი საიდუმლო მოლაპარაკება.

ანიკა უკვე მანქანაში იჯდა. მთელი გზის მანძილზე ხმა არ ამოუღია. არც მიიას ლაპარაკი, არც ბავშვების ხმა-მალალი ჩურჩული არ უშლიდა ხელს, თავისას ფიქრობდა. მანქანა რომ გაჩერდა, მან ყველას მშვიდობის ღამე უსურ-

ვა, ტარიელს კი მაგრად ჩამოართვა ხელი, თვალი გაუსწორა დედულელებით უთხრა:

— გმადლობ ტარიელ, გმადლობ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ძმაო, ამხანაგო...

უთხრა და სწრაფად წავიდა სახლი-სკენ.

რას ღუღუნებდა მადანი?...

მანანამ დღისითვე მოასწრო, მოელაპარაკა ნიკოს კეფერაზე წასვლის შესახებ, მანქანაც შეიპირა, ამხანაგებშიც გააფრთხილა, რომ დროზე შეკრებილიყვნენ. საღამოს კი დამთავრდა თუ არა გამგეობის სხდომა, გაქრა.

„არ დამაეიწყდეს, კეფერადან ნიადაგის ნიმუში უნდა წამოვიღოთ. ახლა უნდა მოვასწრო, ერთხელ კიდევ გადავათვალიერო წიგნები...“ — ფიქრობდა სახლისკენ სწრაფად მიმავალი მანანა, შინ კი მიხვდა, რომ თავს ატყუებდა, წიგნს გული ვერ დაუღო. ხელსაქმე წამოიწყო, მაგრამ ისიც მალე მიაგდო. ახლა დიდედან საწოლს მიუჯდა.

ღამენათვეი მოხუცი შეუძლოდ იყო. მანანა მის საწოლთან დაგებულ ხალიჩაზე დაჯდა, შეეცადა გაერთო დიდედა. ხან რალაცას უამბობდა, ხან ეფერებოდა, ხან იცინოდა, მაგრამ ხედავდა დიდედა, რომ შვილიშვილის ღმილი ნაძალადევი იყო, ხმა გაბზარულივით უქვდრდა.

ბოლოს მანანას სიტყვის დამთავრებაც კი დაავიწყდა. თავი დიდედან ფეხთით დადო და გაინაბა, ანთებული თვალებში მიაპყრო მოპირდაპირე კედელს.

ხედავს დიდედა ზღუდეებს, საკოლმეურნეო ზვრებსაც სცილდება, მოშრიან ჯეჯილსაც, ვარდის პლანტაციასაც. ოცნებით ფრთაშესხმული გოგონა, საცაა გაფრინდება სადღაცა შორს, შორს... ვილაცას დასტრიალებს თავს. ვის?

და ხედავს დიდედა, რომ შვილიშვილის თვალებში ცეცხლი უეცრად ჩაქრა თითქოს ფრთებდაღეწილი დაეცა

ძირს. აქამდე უდარდელი, გიჟმაკი გოგო უცრემლოდ ტირის რალაცაზე.

გული უკვდება დიდედან.

„რა გემართება, მანანა?..“ — უნდა ჰკითხოს, მაგრამ არ ეკითხება. თუ სათქმელია, თვითონვე იტყვის... იტყვის, რად აღარ ახლავს მის ფიქრს სიხარული. რამ შეაკრთო თამამი და ნებიერი? რაზე წუხს, რად ეომება თავის თავს, რათა შფოთავს ეს გოგო?

მოგვიანებით მარიამიც დაბრუნდა კანტორიდან. დედამთილსა და შვილს მოუყვა ანიკას მოსვლისა და მისი სიღამონიძესთან ლაპარაკის ამბავი. ძალიან შეაქო ანიკა მარიამმა.

— გამხდარა კია. ეტყობა, დარდობს ზაქროზე, მაგრამ იტყვი, უფრო დამშვენებულა ის ქალიო... — ლაპარაკობს მარიამი და თან უკვირს, რამ გაამხიარულა მანანა. ასე არასდროს არ უქნია. ლაპარაკს აწყვეტიანებს ხან სიცილით, ხან ანიკაზე რალაცა შეკითხვით. მხოლოდ დიდედა ხედავს, რომ არც ეცინება მანანას, არც შეკითხვაზე პასუხი ესმის...

მალე დასაძინებლად მოემზადნენ პატარა, მყუდრო კარმიდამოს მცხოვრებნი. მაგრამ არ ეძინება მანანას. მეორე ოთახიდან ესმის, გრძნობს, არც დიდედან სძინავს...

მანანამ პირსახოცი აიღო და ფეხაკრეფით გამოვიდა გარეთ.

ჩამუქებული ცა ისე იყო მოფენილი ვარსკვლავებით, თითქოს ზედ ვერცხლის უზალთუნებით სავსე კალთები დაუბერტყავთო.

პაერში გაზაფხულის მათრობელა სუნი ტრიალებდა.



საღდაცა ჩირგვებში ჩამალული კვნი-
სოდა იადონი.

მანანამ არემარე შეათვალერა და
წყაროსთან მივიდა. განვლილმა უძილო
ლამემ თითქოს გააერთიანა ეს ორი
დღე. თითქოს ამ დილას იყო აქ, ამ წყა-
როსთან... ისე იმ ქვაზე ჩამოჯდა.

„ჩემო ანკარავ, შენ მაინც მითხარი,
რა ვქნა? მასწავლე, რა მოვუხერხო ჩემს
თავს?.. გუშინ მე ვულოცავდი ჩემს
თავს გათენებას, ვმღეროდი სიყვარულ-
ზე, და დღეს კი...“ — ფიქრობდა, თუ
ოღნავ გასაგონად ჩურჩულებდა მანანა.
ხმამალა ამის თქმა არ შეიძლებოდა.
ლამე სანდო არ იყო. იქნებ ვინმე უჩი-
ნარს ყური მოეკრა.

მართალი იყო მანანა, ღამეს რომ არ
ენდო. მუხის ძირს მართლაც გამოეყო
ჩრდილი და ფრთხილად მიუახლოვდა
წყაროს. მას სხვისი საიდუმლოს მოპარ-
ვა კი არ უნდოდა, ფრთხილობდა, მო-
ულოდნელობით არ შეეკრთო წყაროს-
თან მყოფი. ხმადაბლა დაუძახა:

— მანანა!

ნუკრივით გადახტა შემკრთალი გო-
გონა წყაროს მეორე მხარეს, მაგრამ
ხმა იცნო და შიში დაუცხრა.

— ბაადურ, თქვენა?

— შეგაშინეთ? მაპატიეთ. აქ რას აკე-
თებთ?

— ძილის წინ პირის დასაბანად გა-
მოვედი.

— ნუთუ ასეთ ღამეს თქვენ შეგიძ-
ლიათ დაიძინოთ?

— როგორია ეს ღამე?

— ჯადოსნური... ეს გარემო, ყვე-
ლა... ყველაფერი თითქოს ზღაპარია...

— ჩვენი ღამეები ყოველთვის ასე-
თია.

— მაგრამ წინა ღამე ხომ მშფოთვარე
იყო და მოულოდნელი ამბებით სავსე?!

— ჩემი დიდება ამბობს, რომ ცხოვ-
რება სულ მშფოთვარეა და მოუსვენარი.

— თქვენ შესანიშნავი დიდება
გყავთ!

— სადა ნახეთ? გაიცანით?

— წუხელ. თქვენმა დიდებამ მე წუ-
ხელ ბევრი რამ მიაშბო, თქვენზეც ძა-
ლიან ბევრი...

— ოო, დიდებამ ბევრი ამბები
იცის... იი, ამ მუხის ამბავი? არა უთამ-
ბოთ? ძალიან უყვარს დიდებამ ეს მუხა...
ამასთან შეზრდილია, ამასავით უღრეკი.
ჩემისთანა დიდება არავის არა ჰყავს!

— ასე მგონია, ეს დიდება მარტო
თქვენი კი არა, ჩემიც არის, ყველასი...
ქართველი დიდი დედაა...

— რომ იცოდეთ, რამდენი ასეთი ღა-
მე დაგვთენებია მე და ჩემს ტოლებს,
როცა სულგანაბლნი ვუსმენთ ხოლმე
მის ნაამბობს. ამ ნაამბობის შთაბეჭ-
დილების ქვეშ მე ხანდახან ნათლად
ვხედავ ხოლმე ქართველ მეომართა ამ-
ხედრებას, საბრძოლო მზადებას. მესმის
ლალი სანადიმო სიმღერა, იარაღის ელა-
რუნი, ხან თავდამსხმელების მტრული
შემოძახილი, ან გატაცებული ქალის კი-
ვილი... ხან კი ცულების ჩახაჩუხი აყვა-
ვებული ხეხილის ბაღში...

ოღნავ გასაგონად დაამთავრა მანანამ
და თითქოს იმ წამსვე შეიგრძნო, რომ
მარტო არ იყო. ეწყინა, რომ ვიღაცას
გაანდო თავისი განცდები, თითქოს ახ-
ლად დაინახა, ეწყინა ვაყის მოსვლა,
ცივად ჰკითხა:

— აქ რამ მოგიყვანათ?

ბაადურმა კითხვაზე არ უბასუხა, პე-
შვით წყალი დალია და სველი ხელები
თმებზე გადაისხვა. მანანამ შეხედა წყა-
როს გალავანზე დადებულ პირსახოცს,
მაგრამ არ შესთავაზა.

— თქვენ ხომ მოხვევე ხართ, განა
თქვენში კი არ იცის ასეთი „ჯადოსნუ-
რი“ ღამეები? — არ ჩანდა მანანას სა-
ხე, მხოლოდ დაცინვა ისმოდა მის
ხმაში.

— მართალი უნდა გითხრა, მანანა,
უწინ არასდროს არ მიმიქცევია ყუ-
რადღება.

— და თქვენ ღამეს უცდიდით, რომ
აქ, წყაროსთან მეღაპარაკოთ ბუნების
სილამაზეზე? — უკვე წყენა გამოერია
ხმას.

— ნუ ჯავრობთ. მე აქ მეგობრობის
სურვილმა მომიყვანა.

— მეგობრობა დღის სინათლეს არ
ემალება!

— მართალი ხარ, მაგრამ შენ გამირა-

ბი. რად გამირბიხარ, მანანა, სიტყვას არ მათქმევინებ! არა ვარ ღირსი?

— ასე ნუ მელაპარაკებით, ბაადურ!

— ნუ მიჯავრდებით, მე არც ისე მე-აღვილება იმის თქმა, რაც უნდა ვითხრაო...

— ნურც იტყვიო! რად იწუხებით თავს? — წელანდელ ოდნავ სირბილეს ისევ წყენა და ისევ დაცივნა გამოერია.

— შენს სახელს ვუფრთხილდები და იმათ ვიწუხებ თავს, ქალავ, — აღელვებით, მაგრამ მტკიცედ თქვა ბაადურმა.

— ღამით თქვენი აქ მოსვლა, განა შეკმატებს რამეს ჩემს სახელს?!

— გითხარი. დღისით თავს მარიღებ და...

— და არ მესმის აქ რამ მოგიყვანათ?! ღამე მწვიდობისა!

— მე კი მინდოდა მეთქვა... იქნებ ვერა გრძობ, რა საფრთხეს უმზადებ შენს თავს... — ხმადაბლა ნათქვამმა შეაჩერა სახლისკენ წასული მანანა. ნელა მოტრიალდა, წყაროს მიუახლოვდა. გალავანზე დაყრდნობილ ვაეს შეხედა. მთვარე აფერმკრთალებდა მის სახეს, შავად მოსჩანდნენ ლილილოსფერი თვალები.

რა საფრთხეს?

— ცოლიანია ზაქრო!...

მძიმედ დაეშვა მანანა ქვაზე. დიდხანს სდუმდა თავდახრილი.

— დიახ, მიყვარს... — მიუხედა ბაადური ჩურჩულით თქმულს.

— რამ შეგაყვარა ცოლიანი კაცი, სხვა ქალის ქმარი?

თითქოს გამეტებით მოქნულმა მათ-რახმა აუწვა ზურგი მანანას, ისეთი ვაკიცხვა იყო ამ სიტყვებში. ზეზე წამოვარდა, მაგრამ თავი ველარ ასწია.

„ასე სასტიკად, დაუნდობლად გამკიცხავს ყველა, ვინც გაიგებს. მაგრამ ვინ უნდა გაიგოს? ან იმ „სხვა ქალს“ რა? სამარეში თან ჩაიტანს მანანა ამ საიდუმლოს. განა ცოლიანი კაცი განზრახ შეუყვარდა? განა დაფიქრებულა პატარა გოგო, ვინ იყო ის, ყალუზზე შემდგარ ცხენიდან ჰრელი ზოხობი რომ ეს-

როლა? წლები გავიდა მას შემდეგ. განა ერთი გამკიცხავი შეძახილით შეიძლება იმის დავიწყება? მე თვითონ... შენთვის თონ მოვერევი ამ გრძნობას. თქვენ ვინ გეკითხებათ, დავივიწყებ თუ არა? ან რა უფლება გაქვთ, რომ ძალად გამომტაკეთ საიდუმლო და ახლა მკიცხავთ? ვინ მოგკათ ნება მოსულიყავით აქ, ჩემს მუხასთან, ჩემს წყაროსთან, ვინ? მეგობარი! შუალამისას, ქურდულად მოხვედით. მიზედავთ ლაპარაკს იმაზე, რაც თქვენ სულაც არ გეხებათ! თუმცა... როგორ არ გეხებათ? განა მე ვერა ვგრძნობ, თქვენ რა გაწუხებთ?“

გრძნობდა მანანა, რომ ბაადურს სიყვარული ალაპარაკებდა.

„მამ თქვენ გცოდნიათ რა არის გრძნობა!“

ახლა უნდოდა მანანას, რომ ბაადურიც დასჯილიყო თავისი სიყვარულისათვის ისე, როგორც ახლახან თვითონ დაისაჯა.

— დიახ, მე სხვა მიყვარს! — ვაიმეორა მან, მაგრამ ეს უკვე მანანა კი არა, ვილაც სხვა იყო. — თქვენ ცოტა დივივიანეთ, ბაადურ... — დაუმატა დაცივნით და ნელა წავიდა სახლისაკენ.

მაგრამ მზიარულმა სიცილმა გააჩერა.

— მე დავივიანე? საიდან მოგივიდათ თავში, რომ მე სიყვარული მაჩქარებდა თქვენს დანახვას? ხომ არ გგონიათ, რომ მე მუხიანში ორი დღე დავრჩი თქვენი გულისათვის? შემცდარხართ. მე შემძლია მუხიანს სულაც არ გავეკარო. შემძლია აქვე, თქვენს მეზობლად დავსახლდე და თქვენ კი არ გინახულოთ, არც შეგაწუხოთ. იცოდეთ, ქალბატონო, რომ მე არასდროს არსად არ მაგვიანდებ. თქვენ სახადივით შეგეყვარათ ცოლიანი კაცის სიყვარული და... ეგ არ შეგფერით. მანანა ხიმშიაშვილს ეგ არ შეჰფერის. დედაშენის შვილს არ შეჰფერის ეგ. მე მხოლოდ ამის სათქმელად მოველი. ეს მინდოდა თქვენთვის მეთქვა, სხვა არაფერი!

მეხდაცემულივით იღვა მანანა.

დარწმუნებული რომ ყოფილიყო — მოეროდა, მივარდებოდა წყაროსთან მდგომს, კბილით დაგლეჯდა, მაგრამ...

ისეთი უხეში მოეჩვენა ბაადურს, რომ აღარ მოტრიალებულა, ისე წავიდა სახლისაკენ. არ უნდოდა, რომ მისი სახე დაენახა დაუბარებლად, მძარცველივით მოსულ ვაქს.

— პირსახოცი გავიწყდებათ! — შემოსმა ჭიშკართან მისულს ბაადურის ისეთი მშვიდი ხმა, თითქოს ის საწყენი სიტყვები სულაც არ იყო თქმული.

„მეც შემიძლია მშვიდად ვიყო, შენ რა გგონია?“. — და მართლა მშვიდად მოტრიალდა მანანა, მაგრამ გალავანთან მისვლა აღარ დასჭირდა, ბაადურმა შეიგება პირსახოცი.

რამდენიმე წამს ეჭირა პირსახოცის ერთი წვერი მანანას, მეორე ბაადურს.

ორივეს ეგონა, რომ ტილოს ნაჭერი კი არა, სალი კლდე ჰყოფდა მათ. მერე მანანამ გასწია პირსახოცს, გასოსტაცა და გაიქცა.

ბაადური ნელა დაადგა გზას.

ზამბარიანი ჭიშკარი ხმაურით დაიხურა. ჭიშკართან აშოლტილ ალვის ხეზე ქედანმა შეიფრთხილა და დაიღუღუნა.

გაკვირვებული მანანა ეზოში შეჩერდა, ხის წვერს მიაჩერდა, უნდოდა ქედანი დაენახა.

ორღობეში მიმავალი ბაადური შემოტრიალდა, იმავე ხის წვერს გახედა.

„ვის გაუგონია ღამე ქედნის ღუღუნო? საკვირველია, რა ახარებს, რა აღუღუნებს?..“

გაიფიქრა ორივემ.

(გაგრძელება იქნება)

საზვალ მოძღვრებითი



გ ა ვ შ ვ ი

ვიღვიძებ ადრე, ვიძინებ გვიან,
რა ვქნა, ბოლო დროს დამჩემდა ასე,
სარკმელთან დღეებს მე ვხვდები
მზიანს,
მზე კი სინათლით ოთახებს ავსებს.

მე ვესალმები ნაცრისფერ ჩინარს,
მგონი ჩინარიც თავს ნელა არხვეს,
მაგრამ ის დილა ჩემთვის არ ბრწყინავს,
პატარა ბიჭო, შენ თუ ვერ გნახე.

— ვისი ხარ? — კითხვას ველარა
ვბედავ, —
რომელი კუთხის, რომელი ბუდის? —
სულ ერთი არის, მშობელი დედა
არ შეიძლება, რომ გყავდეს ცული.

შეგხედავ, სარკმელს გავაღებ
ფრთხილად,
დაწმენდილ სივრცეს კონკრეტულ მთები,
შეგხედავ, ფიქრში გადარებ დილას,
როგორც მშვიდობას, ღიმილით
გხვდები.

ვერ მიმიხვდები, მგონია, ფიქრებს,
თავი იმგვარად მიჭირავს მუდამ,
გზაზე გავლისას, ვინ იცის, იქნებ
ჩემი გაცნობა შენც ბევრჯერ გასურდა.

კარგია, ბავშვო, შენი გაცნობა,
მეც სკოლისაკენ გული მიმიწევს,
იქნებ იმიტომ, მამური გრძნობა,
ვით გაზაფხული, ჩემშიც იღვიძებს.

იღვიძებ... მახსოვს, ქვას წაჰკარ ფეხი,
მოულოდნელად წაიქეც ლამის,
მგონი გამიქრა სახეზე ფერი
და დილის ცვრებით ამევსო თვალი.

რომ ყოფილიყო ქვის ნაცვლად ლომი
და შეგხვედროდა უეცრად გზაში,
შენი სიცოცხლის მარადის მდომი
მე ჩაედგებოდი თქვენს შორის მაშინ.

მგონია, ქვეყნად გუშინ მოხვედი,
ნათელი მზისგან გზადალოცვილი.
რომ არ მიწყენდე, ხელებს მოგხვედდი,
ვით საკუთარ შვილს, გადაგკონიდი.

გეომორ ჩიქოვანი



გვინის ხილი

ნარკვევი

წლის არც ერთი დრო ისე ლამაზი, ისე კველუცი და მადლიანი არ არის აქ, სოფელ შრომაში, საქართველოს ამ თვალწარმტაც სუბტროპიკულ კუთხეში, როგორც გვიანი შემოდგომა. სოფლის მთა-გორები, დაბლობები, ეზოები და გზები მხოლოდ ამ დროს ზიმზიმებენ შეყვითლებული ფორთოხლით, ღიშონით, ინდის ზურმით, მანდარინით და სხვა მრავალი სუბტროპიკული ნაყოფით. ამიტომ ყოველთვის ამ დროს პატივებენ შრომელები თავის უკრაინელ მეგობრებს.

დღესაც საყვარელი სტუმრების მოლოდინში არიან შრომელები. სახლში ვერაიის ნახავთ. დიდი და პატარა ეზოში გამოფენილა, გზაზე გამოსულა. სოფელში შემთხვევით მოსულიც კი ერთი შეხედვით მიხვდება, რომ აქ სანატრელ სტუმრებს ელიან.

თითქმის ყველა ოჯახში სუფრაა გაშლილი. დაკრიალებულია კარ-ფანჯარა, ბრწყინავს კურკელი, თავმოხდილია ჭურები, აივნის სვეტებზე მძიმედ ჩამოწოლილან ქარვისფერი ყურძნის აკიდოები, ტანხმელი და ფიცხი ჯანჯუხები. ვინც სათემო გზისპირზე ცხოვრობს, ჭიშკრის წინაც პურ-მარილი გამოუტანია, თაიგულებით მოურთავს ღობე და ჭიშკარი.

ნატანების სადგურში ხალხის ტევა აღარაა. სადგურის უკან მოედანი მანქანებით, ეტლებითა და ორთვალეებითაა გაქვდილი.

ბავშვები სახლის სახურავებზე, ხეებზე, ღობეებზე ასულან. ყველას გზისკენ უჭირავს თვალი და ყური.

რკინის ხილი! ასე უწოდა უკრაინელმა და ქართველმა ხალხმა ხილს, რომელიც ამ ჩვიდმეტი წლის წინათ ხერსონის

ოქის გენჩიგესკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასა და მანარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას შორის გაიღო და, არა მარტო ეს ორი სახელოვანი კოლმეურნეობა დააახლოვა ერთმანეთთან; რკინის ხილი იქცა იმ ურღვევ დულაბად, რომელმაც მთელი უკრაინა და საქართველო სამუდამოდ დაამეგობრა.

1938 წელს მოსკოვში, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, უკრაინის პავილიონში ერთ-ერთ სტენდთან თავი მოეყარა შრომელ კოლმეურნეთა ჯგუფს. ისინი თვალს ვერ აშორებდნენ ვრცელ პანოს, რომელზედაც გამოსახული იყო აზოვისპირეთის თვალუწვდენელი სტეპები, ოქროსფერი პურის ყანები... ცხვრის ფარები, საქონლის ჯოგები, ბალები.

— კარგად ცხოვრობენ. ეტყობა, აქ შრომა არ ეზარებათ, — უთხრა თავის ჯგუფის წევრებს მიხეილ ორაგველიძემ, რომელიც ახლად არჩეული იყო მაშინ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

— ვინც დაიზარა, ვერ გაიზარაო, ხომ გაგიგონიათ? — გამოელაპარაკა მიხეილ ორაგველიძეს სტენდთან მდგომი უკრაინელი კოლმეურნე.

— ეგ ანდაზა ქართველებსაც გვაქვს, — გაუღიმა ორაგველიძემ.

— ეს ისეთი ანდაზაა, ყველა ხალხს ექნება, ქართველებს ხომ შრომის კაცებს გეძახიან. თქვენ სოფელსაც შრომა ჰქვია, თუ არა ვცდები.

— საიდან იცით?! — შემოეხვივნენ უკრაინელ კოლმეურნეს შრომელები.

— ჩვენ უკვე მოვასწარით თქვენ

სტენდის ნახვა. ლაზათიანად ცხოვრობთ. ეს ციტრუსიო, ეს ვენახიო, ჩაი, ხილი, ფუტკარი... კარგი სანახავი იქნება თქვენი სოფელი.

— უკეთესს რას ნახავს კაცის თვალი, — თქვა ორაგველიძემ და უშალ გაეყვა სიტყვა, შეეშინდა, ტრაბახად არ ჩამოშართვასო და თავისი უბერბულობა რომ დაეფარა, რაც პირველი მოადგა ენაზე, ისა თქვა, თქვა და თვითონვე მოეწონა თავისი სიტყვა და სხვებიც გაახარა. — ჩამოდით, გვესტუმრეთ, — დაბატივა უკრაინელი, — ერთი ნახვა ცნობაა, ორი ნახვა ძმობაა.

უფრო ახლოს ნახეს, გაეცნენ ერთმანეთის სოფლებს, კოლმეურნეობას, ცხოვრებასა და მუშაობას ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის და მახარაძის რაიონის სოფელი შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები. ამ ორმა ნახვამ მართლაც დაამშობილა ისინი. გადაწყვიტეს თავიანთი ცხოვრება უფრო ლამაზი, უფრო მდიდარი და შინაარსიანი გაეხადათ. ამის საუკეთესო საშუალება სოციალისტური შეჯიბრება იყო და არის, და მეგობრებმაც არ დააყოვნეს ორ კოლმეურნეობას შორის გაიშალა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის სოციალისტური შეჯიბრება, შუქქენილი მეგობრობის მართალი გრძნობით.

ბრიგადირებმა, მერგოლურებმა და კოლმეურნეობის რიგითმა წევრებმა თავს იდევს გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები. უკრაინელი და ქართველი კოლმეურნეები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ ცოდნას, გამოცდილებას, ყველაფერ იმას, რაც ხელს შეუწყობდა მათი საქმის წინ წაწევას.

შრომელებს არ აშინებდათ, რომ შეჯიბრებაში გენიჩესკელები აჯობებდნენ, პირიქით, ისინი ყოველნაირად უწყობდნენ ხელს თავის მეგობრებს ამ შეჯიბრებაში. ასევე არ აშინებდათ, არამედ ახარებდათ გენიჩესკელებს, თუ შრომელები გაიმარჯვებდნენ. ამას ჰქვია

მეგობრობის შეჯიბრება, ამას ჰქვია მთელ ქვეყანაზე ყველაზე თავისებური, ახალი და დიდი შეჯიბრება — სოციალისტური შეჯიბრება.

ეს ახალი ადამიანები ადგილზე ნახულობდნენ ერთმანეთის ნამუშევარს, როცა ისინი კოლმეურნეობაში ჩადიოდნენ ერთმანეთის მიწვევით. თუ ნაკლს დაუნახავდნენ საქმეში, უსწორებდნენ, ასწავლიდნენ, რჩევა-დარიგებას აძლევდნენ, ეხმარებოდნენ, დინჯად და გულისყურით ამოწმებდნენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ხარისხს და შედეგებს.

მუშაობის შედეგების შემოწმება და რჩევა-დარიგების მიწოდება მიმოწერიდა სწარმოებდა. სისტემატურად წერდნენ ერთმანეთს წერილებს გამგეობის წევრები, თავმჯდომარეები, ბუღალტრები, კოლმეურნეები, ფერმის გამგეები, მწველავები და მწყემსები.

ეს მიმოწერა კიდევ უფრო აკავშირებდა მეგობრებს, ხელს უწყობდა, ავითარებდა მათ ცოდნას, ნოვატორულ შრომას, შეგნებას, ხელს უწყობდა ორივე კოლმეურნეობის ორგანიზაციულ-სამეურნეო ძლიერებას.

არ გასულა დიდი ხანი, ამ ორი კოლმეურნეობის მაგალითს რომ ათეულმა და ასეულმა კოლმეურნეობამ მიბაძა. და განა მართო კოლმეურნეობებმა, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ უკრაინელი და ქართველი მეშახტეები და მალაროელები, ქარხნები, ფაბრიკები, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები.

მაგრამ ყველაზე ძლიერი მეგობრობა გენიჩესკელ და შრომელთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვლინდა. ეს მეგობრობა ომის მძიმე და საშინელ წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა და გაღრმავდა. ნათქვამია, მეგობარი გაჭირვებაში გამოიცნობაო, მართლაც, ომმა ერთხელ კიდევ დაანახა ქვეყანას საბჭოთა კავშირის ერების მეგობრობის ძალა.

ქართველებმა არაფერი დაიშურეს იმისათვის, რომ მწუხარებისა და ურვის

ვამს ხელი ვაემართათ მეგობრებისათვის. შრომელები წერილებს უგზავნიდნენ ევაკუირებულ გენიჩესკელებს და შინ ეპატიებოდნენ, ისინიც ისე მოეშურებოდნენ თავის მეორე სამშობლოში, როგორც საკუთარ სახლში. მათ ისე ეგებებოდნენ ქართველი დედები, დები და ძმები, როგორც თავის ახლობელ ნათესავეებს.

შრომაში ჩამოდიოდნენ ჰოსპიტლიდან გამოწერილი უკრაინელი მებრძოლები და შევებულებას კრილობების მოსაშუშებლად აქ, გურიის მშობლიურად გულთბილ სოფელში ატარებდნენ.

არც მას შემდეგ შეუწყვეტიათ შრომელებს ძმური დახმარება ომით გაჩანაგებული უკრაინის სოფლებისათვის, როცა მათი მიწა-წყლის განთავისუფლება დაიწყო. შრომელებმა ათი ჰექტარი სიმინდის ყანა დათესეს გენიჩესკელი მეგობრებისათვის, რამდენიმე ჰექტარი მანდარინისა და ლიმონის პლანტაცია გამოჰყვეს, დაასუქეს ღორები, შეარჩიეს ძროხები, ფრინველი, ცხენები, კერაედნენ ტანსაცმელს, ლოგინს, იქნდნენ ჭურჭელს, 1944 წელს ნატანებიდან სადგურ პარტიზანში ჩავიდა გენიჩესკელებისათვის დატვირთული რამდენიმე საბარგო ვაგონი. ეს იყო პურადი შრომელების დახმარება.

ომის სასტიკმა განსაცდელმა გენიჩესკელთა და შრომელთა მეგობრობა კიდევ უფრო შეადულა და განამტკიცა. ომის დამთავრებისთანავე მათ კვლავ განაახლეს სოციალისტური შეჯიბრება და ამჟამად ამ შეჯიბრებას მტეი ძალი და ღონე მიეცა.

ჩვენი იმიტომ ვისწრაფვით განვაახლოთ ჩვენი ტრადიციული შეჯიბრება, სწერდნენ შრომელები სტალინის სახელობის კოლმეურნეებს, — რათა ამით დავაჩქაროთ თქვენი კოლმეურნეობის წელში გამართვა, რომ იგი კვლავ გახდეს ერთ-ერთი უძლიერესი და მოწინავე კოლმეურნეობა მთელ უკრაინაში.

ომის შემდეგ ორივე კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, გამგეობის წევრები, ბრიგადირები, მერგოლურები, ფერმის

გამგეები არაერთხელ იყვნენ ერთმანეთთან და ყოველ შეხვედრისას მათ ახალი მიღწევები და წარმატებები ჩამოჰქონდათ, ახალი გამარჯვებებით ხვდებოდნენ ჩამოსულებსაც.

და აი, 1953 წლის გვიანი შემოდგომის ამ მზიან დილას, შრომელები არა მარტო იმით იყვნენ გახარებულნი, არა მარტო იმიტომ მოელოდნენ ასე მოუთმენლად სტუმრებს, რომ ძველი მეგობრები უნდა ჩამოსულიყვნენ, მათი უპირველესი სიხარული ის იყო, რომ უკრაინელები ახალი, საამაყო წარმატებებით, ახალი წინადადებებით მოდიოდნენ.

ნელა შემოსრიალდა ნატანების პატარა სადგურის ბაქანზე ელმავალი, მოკლედ მიაკივლა თავისი ძლიერი და მკვეთრი ხმით და შედგა. სტუმრებმა მიწაზე ფეხის ჩამოდგმა ვერ მოასწრეს, რომ ვაგონის საფეხურიდან მოიტაცეს ისინი მასპინძლებმა და ერთმანეთს აღარ ანებებდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს.

სტუმრები თითქმის ყველა ნაცნობი იყო, ზოგი იქ, თავის სამშობლოში, გაიცნეს შრომელებმა, ზოგი აქ იყო რამდენჯერმე ნამყოფი. ისინი ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში იყვნენ ჩაბმულები. სტუმრებს და მასპინძლებს ერთი სული ჰქონდათ, რათა მალე გაეგოთ ერთმანეთის ამბავი. რა ჰქონდათ ახალი და კარგი, სად უქირდათ, სად ულხინდათ, რაში ჰქონდათ მიღწევები, რაში ჩამორჩებოდნენ და რა დახმარება, ხელის შეწყობა სჭირდებოდათ.

აქ, სადგურის ბაქანზე, დაწყებული საუბარი გზაში სოფელში მისვლამდე არ შეწყვეტილა, არც სუფრაზე შეწყვეტილა და არც გვიან ღამით, როცა მასპინძლები ერთმანეთს ართმევდნენ სტუმრებს, არა ჩემთან უნდა გაათიოს ღამე, არა ჩემთანა.

მეორე დღეს უკრაინელები პირველ რიგში „მეგობრობის ბაღში“ წაიყვანეს. აქ მოკრეფილი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი ყოველ წელიწადს ეგზავნებათ გენიჩესკელებს.

სტუმრების აღტაცებას და გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, ბალში რომ შევიდნენ.

— ნუთუ სხვა ხეებსაც ასე ასხია! — ჰკითხა უკრაინელმა ქალიშვილმა ალექსანდრა საროკამ სოციალისტურ შრომის გმირს ტატიანა ჩხაიძეს.

— არა, — გაიღიმა ტატიანამ და თითქოს ამ ღიმილმა ათი წლით გააახალგაზრდავა მისი მზემოკიდებული სახე. — მხოლოდ მეგობრობის ხეებს აქვთ ასეთი მადლი, ისინი ისხამენ ასე უხვად.

— მეხუმრები, ტატიანა? — გაიცინა საროკამ.

— აბა დაითვალე, რამდენი ასხია აქვენი ბალის ხეს და აგერ, იმ ხეს, — ეშმაკური ღიმილით შეანათა ბრღღვილა თვალები ტატიანამ მეგობარს და მომიჯნავე ბალის მანდარინის ხეზე მიუთითა.

— უიმე, ამას რა დაითვლის! — შეშინდა საროკა.

— ასევე განუზომელია ჩვენი სიყვარულიც. — მიუგო ტატიანამ მეგობარს და ხელი მოხვია. — ამიტომ ვუვლით ასე ამ ბაღს და აი, როგორ გვიზღეს ხეებმა მეგობრობისათვის გაწეული შრომა.

ბალის დათვალიერების შემდეგ სტუმრები და მასპინძლები საქმიან საუბარს შეუდგნენ. გენიჩესკელები სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულების დასადებად იყვნენ ჩამოსულნი. შრომელებთან ერთად საერთო კრებაზე უნდა განეხილათ ხელშეკრულება და ემსჯელათ იმაზე, რა იყო საჭირო იმისათვის, რომ კიდევ უფრო განმტკიცებულიყო და ამაღლებულიყო მათი მეურნეობა.

უკრაინელებმა იცოდნენ, რომ ყველაზე სუსტი და ჩამორჩენილი დარგი შრომელთა მეურნეობაში მეცხოველეობა იყო, რომ ისინი წლების განმავლობაში ვერ ართმევდნენ თავს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს და ამიტომ პირველ რიგში საუბარი მეცხოველეობაზე ჩამოუგდეს მეგობრებს.

მეცხოველეობას შრომაში არასოდეს არ ემცოდნა ჯეროვანი ყურადღება. ის

გერი იყო რთული, მრავალდარგობრივი კოლმეურნეობისა. მეცხოველეობას აქ თავის საქმედ არ თვლიდნენ.

— ჩვენ სუბტროპიკული მეურნეობა გვაქვს. ჩვენ პარტია და მთავრობა ჩიხისა და ციტრუსს გვთხოვს. მეცხოველეობისთვისაც გაისარჯეთო, არავინ გვეუბნება, — ამბობდნენ ერთნი.

— საღ ჩაიზე და ციტრუსზე დახარჯული შრომადღის ღირებულება და საღ მეცხოველეობაზე, — კვერს უკრავდნენ მეორენი. — მეჩაიეს შრომადღე ათჯერ უფრო ღირებულა, ვინემ მწყემსისა და მწველავის!

— ახლა მეჩაიეს სახელი აიღე, ანდა მეხბორის!

— რა დასამალია, კაცი ხომ სახელისა და ქონებისათვის მუშაობს. უსახელო და უქონებო შრომა ვერ მოგვცხობლავს სწორედ.

მართლაც მეჩაიეს და მეციტრუსეს საქმე უფრო დაფასებული იყო, როგორც უფრო პერსპექტიული და შემოსავლიანი. დიდი და პატარა მას ეტანებოდა.

ყველგან და ყველაფერში მეჩაიე იყო პატივისცემაში. ზეიმზე პრეზიდენტში მას ირჩევდნენ, დელეგაციაში მას აგზავნიდნენ სხვა ქვეყნებში, მის სურათს გაზეთში ბეჭდავდნენ, ზოტბას ასხამდნენ მის ნაშრომ-ნაამაგარს, ქვეყანას აღნობებდნენ მის ამბავს.

მეჯოგე და მეღორე არავის ახსოვდა, მათი საქმე ყოველთვის უკან იყო, სათვალავში არ აგდებდნენ. აბა ვის ენდობოდა ფერმაში მუშაობა! ძალიან მცირენი იყვნენ მეცხოველეობის გულშემატკივარი. კოლმეურნეთა უმრავლესობა ფერმების მოშლას მოითხოვდა.

— საკვები არა გვაქვს.

— ბინები არ გვივარჯა.

— საქონელი უჯიშო გყავს.

ყველაფერი ეს მართალი იყო. სიმართლის სასწორი ერთი შეხედვით მათ მხარეზე იხრებოდა, მაგრამ იმ კოლმეურნეებმა, რომლებიც საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უყურებდნენ მეცხოველეობის საქ-

მეს (თუმცა მცირენი იყვნენ), მეცხოვე-
ლეობის მოშლა მაინც არ დაანებეს უმ-
რავლესობას.

შრომელებს ვაგონილი ჰქონდათ, რომ
გენიჩესკელმა მეგობრებმა კარგად
იცოდნენ, რა სამარცხვინო მდგომარეო-
ბაში იყო აქ მეცხოველეობა და არ
იცოდნენ, რა თვლით შეეხედათ უკ-
რაინელებისათვის, ამ საქმის გულის-
შემატკივრებს.

ეგრეთწოდებულ მოწინააღმდეგეებს,
რომლებსაც მეცხოველეობის საქმე გუ-
ლიდან ამორეცხილი ჰქონდათ, ცაში მზე
უბრწყინავდათ.

— ნახვევ ახლა უკრაინელები ჩვენს
სამარცხვინო ფერმებს და, როგორც მათ
სჩვევიათ, მოურიდებლად გვეტყვიან თა-
ვის აზრს.

— თქვენ ამ საქმეში ხელს ვერ გაი-
მართავთ, თავი დაანებეთ. ჩაის და ციტ-
რუსს მიხედეთ, ისაა მთავარი და მთავა-
რი თქვენი დარგი.

— მწვანე ოქრო ვიკირავთ ხელში,
მიღებთ და კრიფეთ ეს დალოცვილი
ჩაის ფოთოლი. ღობე-ყორეს ნუ ედებით.

ასე გვეტყვიანო, ვარაუდობდნენ მო-
წინააღმდეგეები სტუმრებს ფერმისკენ
რომ მიაცილებდნენ, მაგრამ მოტყუედ-
ნენ. კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

სტუმრები ჯერ მისულები არ იყვნენ
ფერმაში, რაღაც მეგრული ფაცხების
მსგავსი ბინები შენიშნეს. გარშემო თი-
ვის, ჩალისა და ნაკელის ზვინები იდგა.
„ნუთუ საქონლის ბინებია!“ — თვალე-
ბით შეეკითხნენ ერთმანეთს ვაკვირვე-
ბული უკრაინელები. კოლმეურნეობის
თავმჯდომარემ გრიგოლ ლიტოვჩენკომ
ვერ მოითმინა და მიხვილ ორაგველიძეს
ჰკითხა:

— საით მივდივართ, მიხაილ ფილი-
პოვიჩი?!

— ფერმაში.

— ის ფერმის ბინებია?!

ორაგველიძემ უხერხულად დაუქნია
თავი.

— კარგი ერთი! — შორს დაიჭირა
გრიგოლ ლიტოვჩენკომ, არ დაიჯერა,
ნაბიჯს აუჩქარა.

მაგრამ სანამ ფერმამდე მიალწევდნენ,
აქიდან ძროხების კირვეულ ბღავილი
მოესმათ.

— საკმელს თხოულობენ ძროხები.
არავინაა ფერმაში? — იკითხა მეცხოვე-
ლეობის ხელმძღვანელმა. — შუა ხანს
გადაცილებულმა ნიკიტა ბელჩენკომ.

— ფერმაში კი არიან, მაგრამ საქო-
ნელს საძლომად ვერ ვაძლევთ საქ-
მელს, — გამოეპასუხა მას ნოე თოი-
ძე. — საკვები არ გვყოფნის. კიდევაც
რომ გვეჭონდეს, ჩვენი ძროხებისათვის
მაინც არამია საქმლის ძლომაზე მიცემა.

— რატომ?! — შედგა უნებურად
ბელჩენკო.

— ჭამის ფასად არა ღირან და იმი-
ტომ.

— რამდენს იწველიან?

— ას სამოც ლიტრს.

— რამდენს?! — ჩაეკითხა ბელჩენკო
ფერმის გამგეს. — ჩვენ თხებზე კი არ
გეკითხებით. ძროხები რამდენს იწვე-
ლიან?

— თხები ჩვენ არა გვყავს. — ძრო-
ხებზე მოგახსენებთ, — გასცა თოიძის
მაგივრად მოწინააღმდეგეებიდან პა-
სუხი ვილაცამ.

სტუმრები და მასპინძლები საქონლის
ბინაში რომ შევიდნენ, ერთხანს ყველა
ჩუმად იყო.

ძროხები ისეთი გამბდრები იყვნენ,
ნეკნებს დაუთვლიდით. ცივი ქარი ოთ-
ხივე კედლიდან უხერავდა. მობუზუ-
ლები, ბალანაყრილები, ისეთი თვალით
შეჰყურებდნენ მოსულებს, გვეგონებო-
დათ, შევლას თხოულობდნო.

— პირუტყვსაც აქვს სული, — დაარ-
ღვია ბოლოს სიჩუმე ნიკიტა ბელჩენ-
კომ. — ასე მოვლილი ძროხა ას სამოც
ლიტრასაც რომ იწველის, ისიც საკვირ-
ველია.

— ქორი ქორსა ჩეკს, ძერა — ძერა-
კუას. ამ ეშმაკის ნაშვირებს, რაც არ
უნდა მოუარო, მეტი არაა შენი მტერი,
მაგათ მადლი დაგიფასონ, — იხუმრა ვი-
ლაცამ.

— თქვენ გინდათ სთქვათ, მაინც ძე-
რაკუებს გამოჩეკენო... — ბელჩენკოს

უნდოდა რაიმე უკმები ეთქვა, მაგრამ სტუმარი იყო და მასპინძელს ავ სიტყვას ვერ ჰკადრებდა. მაინც ვერ მოითმინა, — მე წელანაც ეთქვი, საქონელსაც აქვს სული-მეთქი... არიან ადამიანები, რომლებსაც არც სული აქვთ და არც გული. ეს რომ ასე არ იყოს, თქვენ ძერისა და ძერაკუს ამბავს აქ არ მოიტანდით... გახსოვთ 1944 წელი? ქვა ქვაზე არ იყო დარჩენილი ჩვენს მიწა-წყალზე. ძმური ხელი გამოგვიწოდებდა, რითი არ დაგვეხმარეთ! თქვენგან გამიგონია ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებო, მაგრამ იმ თქვენს ღორებს ისეთი წუნკალი დინგები ჰქონდათ, ბოთლიდან მარცვალს ამოიღებდნენ, ფერდები წიარს მიუგავდათ, ღორები კი არა, ცარიელი ტყავი და ჯაგარი იყვნენ. აბა ახლა ნახეთ თქვენი ძროხებისა და ღორების მოდგმა. საქონლის უნახავს გაგზდით. წველადობა იკითხეთ, ხორცი იკითხეთ. ჩვენთან მელორე ნამატს რომ ღებულობს, დამატებით ანაზლაურებაში თქვენებური ჯიშის გოქს თხოულობს. უფრო მალე სუქდება და გემრიელი ხორციც აქვსო. ასეა, თავი და თავი საქონლისათვის მოვლათ. წელან ჩვენ „მეგობრობის ბაღში“ მანდარინის და ფორთხლის ხეები ვნახეთ; გულდაგულ მოვლილი რომ არ იყოს, ასეთ ფერიან, ასე მსხვილ და ჰარბ ნაყოფს გამოიღებდა? — გაჩუმიდა, მიმოიხედა. ბნელ ფაცხას მხოლოდ კარიდან შემოსული შუქი ანათებდა. არსად სარკმელი არა ჰქონდა ბინას. ნესტისა და ნაკელის სუნი იდგა. — სიბინძურესა და სიცივეს რომ თავი დავანებოთ, მარტო სიბნელე მოკლავს საქონელს. აბა ერთი თვე გააჩერეთ ის თქვენი ხეები **ბნელში**. **ჰოდა**, ისევ გეტყვით ჩემსას: საქონელსაც აქვს სული. ძერა-კუა კი აქ არაფერი მოსატანია.

— მაგ ყმაწვილმა ძერაკუს ამბავი თავის პლანტაციაში თქვას, — დაიწყო ნიშნისმოგებით და სახე მოწინააღმდეგისაკენ მიაბრუნა სოციალისტურმა შრომის გმირმა, ცნობილმა მეჩაიემ კარლო გორვილაძემ, — წინათ ჩვენს მი-

წებზე სამას კილოგრამ ჩაის ფოთოლს ძლივს კრეფდნენ პექტარზე. ახლა გვესმევილ ათას კილოგრამს ვიწვევთ! მკითხეთ მაგ ვაებატონს, რით მივალწით ასეთ მოხაფავს! მაგისათვის თავისი პლანტაციის მიწაც ძერაა. დაჩივებული, უნდილი ბუჩქები ძერაკუებია. — შეხედა მიხეილ ორაგველიძეს, თითქოს მას დასტური გამოსთხოვო, და განაგრძო: — მივცემ ჩემს პლანტაციას. მე კი ფერმაში ვადმოვალ სამუშაოდ და ერთი წლის შემდეგ ნახოს ეს ძროხები. ათას ლიტრს მოვაწვევინებ. გადმომიყვანთ ფერმაში, მიხეილ?

ყველა გააკვირვა გორვილაძის თხოვნამ. როგორ, სახელგანთქმული მეჩაიე ტოვებდა თავის საყვარელ საქმეს, თითოთ საჩვენებელ პლანტაციას, რომელმაც შეუქმნა შრომითი დიდება, უმაღლესი ჯილდო მოუტანა...

— კარგი სიტყვაა, — მიხეილ ორაგველიძის მაგიერად ნიკიტა ბელჩენკომ გასცა გორვილაძეს პასუხი. — მონდომება ნახევარი საქმეა, მეორე ნახევარსაც რომ გაართმევთ თავს, სიტყვაზე გეტყობათ.

— რამ გაფიქრებინათ ეგ, ამხანაგო კარლო?! — მკითხა გორვილაძეს მისი საქციელით ალტაცებულმა გრიგოლ ლიტოჩენკომ.

— რამ? მოვალეობამ? პარტიასა და სახელმწიფოს ასე სჭირდება... ამითაც დავანახებ, რომ არ არის ჩვენში ისეთი დარგი, რომელსაც არ მოვევლებოდეს.

— მართალია, — დაემოწმა ლიტოჩენკო. — ამ ბინებში ძროხას კი არა, ხალსს არ ვააჩერებენ. აბა რა უნდა მიიწველოს პირუტყვმა, რომელიც ოცდაოთხი საათი ბნელში, პირქარში და ფუნაში დგას. თბილი ბინები უნდა ააგოთ საწრეტებითა და...

— საწყლულებით, — ჩამოართვა სიტყვა თავმჯდომარეს ბელჩენკომ და ნოვ თოიძეს მიმართა. — მაშინ კი არ უნდა ასევე წყალი საქონელს, როცა თქვენ მოისურვებთ, არამედ მაშინ, როცა მას სწყურია. აბა ერთი თქვენ

დაგალევიონ წყალი თუ არ გინდათ. ვერ დალევთ, არც შეგერგებათ.

— რას აქმევთ ძროხებს? — იკითხა ვერა ჩურსინამ, მთელი ამ საუბრის დროს ვაჩუქებული რომ იდგა და გულისტკივილით შეჭყურებდა საქონელს.

— ჩალასა და თივას. — უხალისოდ მიუგო ნოე თოიძემ.

— კიდე?

— რა კიდე?

— მაშ მარტო ჩალაზე და თივაზე გყავთ საქონელი?

— ეგეც რომ ძლომაზე ჰქონდეთ, რა უჭირდათ მაშინ! — ჩაერია ლაპარაკში კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე, ცოცხალი, მოუსვენარი თვალუბიანი ილია მამფორია. — საცვების მუდმივი ნაკლებობის გამო ძუძუსმოწყვეტის დღიდანვე შიმშილობს ჩვენებური ხბო. რა გასაკვირია, რომ ტანად ჩია იყოს და არც რძეს იწველიდეს ბლომად.

— მერე-და, რატომ ვაკლიათ საცვები? სილოსი არა ვაქვთ?

— სილოსი კი გვაქვს, მაგრამ ჩვენი ძროხები სათოფრზე არ ეკარებიან.

— რატომ?! სილოსზე უკეთესი საქმელი რაა ძროხისათვის?

— აბა გვაჩვენეთ თქვენი სილოსის კოშკები, — სთხოვა თოიძეს დაეკვივებულმა ლიტოვჩენკომ.

უჩვენეს და თავის თვალებს არ დაუჯერეს სტუმრებმა.

— ჰკვიანი ძროხები გყოლიათ, რომ არ ეკარებიან ასეთ სილოსს, — თქვა ლიტოვჩენკომ.

სილოსი უვარგის ორმოებში იყო ჩადებული. ორმოებში წყალს ამოეცონა, რადგან ფსკერი ცუდად იყო მოდულაბებული. წყალი ზევიდანაც ჩასვლოდა ორმოს და სილოსი დაეღობო. დასილოსებულ ბალახში შხამიანი სარეველებიც ერია. სილოსს თურმე ორი კვირა დებდნენ, როცა ეს ერთ დღეში უნდა ეთღებოდეს. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი სილოსის გახრწნისა.

ყოველ მეგობრულ შენიშვნას ყურადღებით უსმენდა მიხეილ ორაგველიძე. მის კოლმეურნეობის ნაკლს აკ-

რიტიკებდნენ მეგობრები, მის მეცხოველეებს სთავაზობდნენ საქმის უკეთესი დაწყების ხერხებსა და მეთოდებს. თავმჯდომარე უყოყმანოდ ეთანხმებოდა მათ, თავს არ იმართლებდა.

უერაინელებიც ხომ ასევე ყურადღებით უსმენდნენ მის შენიშვნებს 1952 წელს. კიდეც ერთხელ გააკვირვა მაშინ მიხეილ ორაგველიძე ხერსონის ოლქის დაუსრულებელმა, უსაზღვრო სტეპებმა: იდგა ამ სტეპზე და სანამდე თვალი მიუწვდებოდა, ჰევენის ოთხივე მხარეს ცის დასალიერამდე ერთ ბუჩქს, ერთ ხეს ვერ ხედავდა.

მერე-და, სად? ისეთ მდიდარ მიწაზე, რომლის თვითეულ ჰექტარზე ორასი დუთი პური მოჰყავდათ. პატარა ბუჩქიც არ მოიძებნებოდა იმ არემარეზე, თაკარა მზეში, თავს ვერსად შეაფარებდა კაცი.

— რატომ, — ფიქრობდა შრომელი თავმჯდომარე. — თუ აქვე, ტაერის სტეპებში, საივრის ახლოს მეცხოველეობის საკავშირო ინსტიტუტი ასკანიანოვა ბაღებშია ჩაფლული, ტყით არის შემორტყმული, რა დააშავეს ამ სტეპებმა, რომ ერთი საჩრდილობელი ხეც არ დაარგეს? "

ეს ფიქრი ჯერ თავის მეგობარს გრიგოლ ლიტოვჩენკოს გაუზიარა ორაგველიძემ და შემდეგ კოლმეურნეთა საერთო კრებასაც.

თავის გამართლების პირი არა ჰქონდათ მასპინძლებს, მაგრამ ზოგმა მაინც ნერგი მოიმიზეზა: ძვირიაო, თან შორიდან მოტანა გაკვივრიდაო. ზოგმა მოუცლელობას დააბრალო. სხვა ათასი საქმე გვაქვს, უხილოდ და უჩრდილოდ თუ აქამდე გვიცხოვრია, ახლაც იოლად გავალთო.

ნერგებს შეჰპირდნენ, შრომელები აქაურებს, უფასოდ დაგიმზადებთ, ჩვენ ჩამოგიტანთ, ჩვენივე ხელით გაგიშენებთო.

გენიჩესკელებს ჰკუაში დაუჯდათ მეგობრების რჩევა და მათი წასვლის შემდეგ სულ გზისკენ ეჭირათ თვალი, როდის ჩამოგვივა ნერგებიო. შრომელებმა

მალე რამდენიმე ათეული ათასი ძირი ხეხილის ნერგი გაუგზავნეს თავიანთ ძმებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით კვლავ ინერგება ჩვენი გლეხობის მატერიალური წახალისების ახალი სტიმული. პარტიამ კვლავ მოუთითა ჩვენს კოლმეურნეობებს, რომ მთავარი გზა სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომი მძლავრი აღმავლობისა სასაქონლო პროდუქციის გაზრდა და საწარმოო პროდუქციის ყოველ ერთეულზე დანახარჯის შემცირებაა.

როცა სტუმრებთან ერთად შრომელები სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს იხილავდნენ და გრიგოლ ლიტოვჩენკოს, ვერა ჩურსინას და ნიკიტა ბელჩენკოს წინადადებებს და რჩევებს აჯერებდნენ, თანდათან ჩუმუნდებოდნენ, რომ საწარმოო პროდუქციის, ესე იგი რძის, ხორცის, ყველის თვითღირებულების შემცირება და რაც შეიძლება ნაკლები შრომის დახარჯვა, პარტიის მიერ პროდუქციის სახელმწიფო დამზადების და შესასყიდი ფასების ამადლება, მეცხოველეობის დარგს ჩაისა და ციტრუსების მეურნეობაზე არანაკლებ შემოსავლიანს გახდიდა.

ცენტრალური კომიტეტის ამ დიდმნიშვნელოვან და ისტორიულ დადგენილებაში მაშინ შრომელებმა ნათლად დაინახეს ჩვენი პარტიის გულითადი მზრუნველობა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და საბჭოთა ადამიანის ცხოვრების მატერიალური ღონის ამადლებისათვის.

შრომელებს არ ახსოვდათ ასე ხალისიანად, ასე საქმიანად ჩატარებულყოფს კრება, რომელიც უკრაინელ მეგობრებთან ერთად გამართეს. და ეს იმიტომ, რომ პარტიამ და სახელმწიფომ ისე, როგორც არასდროს, კოლმეურნეთა პირად დაინტერესებას მიაქცია მთავარი ყურადღება.

გლეხები ხედავდნენ თუ როგორ გაიფურჩქნებოდა აქ მესაქონლეობა, როგორი კარგი შემოსავალი ექნებოდათ —

მეტი რძე, მეტი ყველი, მეტი ფული შეეიღოდა მათ ოჯახში. ახლა კი მხროლდის იყო საქირო, რომ ხელი გამოვლით და საქმეს შესდგომოდნენ. მოწინააღმდეგეები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ, ჭვას ისროდნენ და თავს უშვერდნენ, ოღონდ მეცხოველეობის საქმე მოეშალათ, დღეს პირველ ქომაგად გამოდიოდნენ.

— მეგობრებო, — დაიწყო ნიკიტა ბელჩენკომ, — სხვა სხვის ოშში ბრძენიათ. არ იფიქროთ რომ ჩვენ მართო ჩვენი რჩევითა და დარიგებებით გვერნია გამოსწორდეს თქვენი კოჭლი საქმე. ჩვენ რომ ასე ვვარაუდობდეთ, იმ სხვისი ოშის ბრძენის როლში ვიქნებოდით, ჩვენ ჩვენს ძმებს გამოვეუგზავნიდით ოცდაერთ ძროხას, ათ მაკე დეკეულს, ერთ ბულას, ერთ ისეთ ულაყს, რომელიც მთელ სოფლად ღირს. გამოვიგზავნიდით ღორს, ფრინველს. საქონლის ერთი კაპიტალური შენობისათვის შეჭანიკურ მოწყობილობას. მოწყურდება ძროხას, მიაბრუნებს იქვე სადგომში თავს; დაადებს დრუნჩს საწყულს და ხვრიბოს რამდენიც უნდა. მოშვიდება, ასწევს თავს, და ცხვირწინ სუფრა გაეშლება. მიირთვას რამდენიც მის სულსა და გულს უნდა.

გენიჩესკელთა საჩუქარმა ფრთები შეასხა შრომელ მეცხოველეებს.

— ამხანაგებო, — თქვა კარლო გორვილაძემ, როცა ხალხით გაქვილ დარბაზში ტაშის გრიალი მიწყნარდა. — თავი მოგვეკრება თუ მხარი ვერ გავუსწორეთ უკრაინელ მეგობრებს. თქვენ ალბათ ჩემი სიტყვა სასაცილოდ არ გეყოფათ. იტყვიეთ, კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო. სად ჩვენი ძროხები და სად იმათი. იქ თითო ძროხა 3-4 ათას ლიტრს იწველის, ჩვენთან 160 ლიტრს.

— მერე რაფერ გინდა, ნენა, ას სა მოცმა ოთხი ათასს გაუსწოროს მხარი? — დაუძახეს დარბაზიდან კარლო გორვილაძეს. — ანგარიშს ლამაზი სიტყვები არ უყვარს, ციფრები უყვარს, ნენა.

— კარგმა შრომამ კარგი ანგარიში იცის, ამხანაგებო, — არ დაიბნა გორგილაძე. — ახლა ჩვენ ვიცით, როგორ მივალწივს ჩვენმა მეგობრებმა ასეთ დიდ ანგარიშს. ზოდა, საჭიროა შრომა, შრომა და კიდევ შრომა.

— ჩვენი მეგობრობა სწორედ ამ სიტყვით დაიწყო მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, — დააწია სიტყვა ნიკიტა ბელჩენკომ, — ეტყობა, აქ შრომა არ ეზარებათო, ასე თქვა მაშინ ჩვენზე თქვენმა თავმჯდომარემ, მიხეილ ორაგველიძემ. ჩვენ კარგად გვახსოვს ეს სიტყვები. როგორ შეიძლება ჩვენს კაცს დაეზაროს შრომა. მან იცის, რომ ის თავისთვის მუშაობს, თავისი კოლმეურნობისათვის, თავისი სახელმწიფოსათვის. ასეთი შრომით ჩვენი ადამიანი ყველაფერს მიაღწევს. ჩვენც ასევე ცოტას ვწველიდით ამ ათი წლის წინათ. ახლა ჩვენ ოთხი ათასი ლიტრიც არ მიგვაჩნია საზღვრად, კიდევ ვაპირებთ წველადობის გაზრდას.

გაჩუმიდა, გადახედა ილია მამფორიას, რომელიც გუშინ უკრაინელების რჩევითა და წინადადებით კოლმეურნობის თავმჯდომარის მოადგილეობიდან გაათავისუფლეს და მეცხოველეობის ხელმძღვანელად დანიშნეს.

— აი, მე როგორც ჩემი კოლმეურნეობის მეცხოველეობის ხელმძღვანელი, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ ჩემს ახალგაზრდა კოლეგას, ილია მამფორიას.

ყველა მამფორიას მიაჩერდა. მიიღებდა თუ არა ის ამ გამოწვევას.

— რას იტყვის?

— ეს ხომ უთანასწორო შეჯიბრება იქნება.

— მაგ ბებერ ლომთან შეჯიბრების წელი შენ ვინ მოგცა, ილია.

გაისმა აქეთ-იქიდან ჩურჩული.

ილია მხოლოდ ერთი წამით ყოყმანობდა, მერე წამოდგა.

— ვიღებ თქვენს გამოწვევას, ამხანაგო ნიკიტა, თქვენი მიღწევები ჩვენი ორიენტირი იქნება.

სტუმრების წასვლის შემდეგ ორი წე-

ლიწადიც არ გასულა, რომ ძველ ფაცხაგომურების ადგილზე შრომელებმა ოთხი კაპიტალური შენობა წამოჭიმეს საქონლისათვის. ხოლო თემის ცენტრში, სადაც თავს იყრის ყველა გზა, აავეს ლამაზი, განიერფანჯრებიანი ბინა გენჩესკიდან გამოგზავნილი ძროხებისათვის და „მეგობრობის ფერმა“ უწოდეს.

ამ ფერმაში ახლა უკრაინელების მიერ გამოგზავნილი ველის წითელი ჯიშის ოცდაათორმეტი ძროხა, ოცი დეკეული და ერთი ბულაა.

ჩამოყალიბდა საკვებდამზადების მუღმივი ბრიგადა. აშენდა თორმეტი სასილოსე კოშკი. დასილოსებაში კოლმეურნობის მანქანა-ტრაქტორთა სადგური ეხმარება. უმთავრესად სიმინდს ასილოსებენ. შარშან შეიდას ორმოცდაათი ტონა მწვანე სიმინდი დაასილოსეს.

— გახსოვს ვასილ, იმ დალოცვილმა ნიკიტა ბელჩენკომ, რომ ჩაიხედა ჩვენს სასილოსე ორმოში, ისეთი სახე მიიღო, გვეგონებოდა ამ კაცს ჩეჩმის სუნი ეცაო, — გაიხსენებს ზოლმე შალვა ჯოლარაევა, როცა იგი ვასილ კვარაცხელიასთან ერთად სილოსს მიუტანს საქონელს. — ახლა ისეა შექმავული აი ჩვენი სილოსი, ძროხა კი არა, ადამიანს გაეხსნება მადა.

მართლაც არაფერს ისე გემრიელად არა სჭამს ახლა შრომაში პირუტყვი, როგორც სილოსს. მათ ბინას ხომ წუნი არაფერში დაედება: კანალიზაცია, წყალი, სითბო, სინათლე. პირდაპირ მეფურად ცხოვრობენ.

უკრაინელი მეგობრების მიერ ნარჩევი ღონისძიებებით საგრძნობლად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. 1953 წლიდან 1955 წლამდე ექვსჯერ იმატა წველადობამ. თუ 1953 წლამდე თითო სული ძროხა 160 ლიტრს იწველიდა, 1955 წელს ათასი ლიტრი მოიწველა. „მეგობრობის ფერმის“ ძროხამ „მედვედკამ“ კი — ოთხი ათასი ლიტრი, ხოლო „ტანიაიმ“ ორ წელიწადში ოთხი ზბო მოიგო.

შრომელთა წარმატებამ დიდად გააახარა გენიესკელი მეგობრები.

„ი. რა ძალა აქვს სოციალისტურ შეჯიბრებას, მეგობრობას, ძმური ხელის გაწვდენას ერთმანეთისათვის. — წერდნენ ისინი თავის წერილში შავიზღვისპირულ ძმებს. — ჩვენს შორის გადებულმა რკინის ხიდმა, ჩვენ არა მარტო დაავაახლოვა ერთმანეთთან, ჩვენი საქმე ერთ საქმედ აქცია. ამიტომ ჩვენ კვლავ და კვლავ ვადევნებთ თვალს თქვენს ცხოვრებასა და მუშაობას. თქვენ ექვსჯერ გაზარდეთ წველადობა, ეს კარგი მიღწევაა, მაგრამ ჩვენ ჯერ მაინც არ გვაკმაყოფილებს თქვენი წარმატება. თქვენ ყოველ ას პექტარ სავარგულზე წესით ოცი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი უნდა გყავდეთ. აქედან ათი ძროხა. თქვენ სულ ათას ორასი პექტარი სახნავი გაქვთ. ორას ორმოცი სული საქონლის, მათში ას ოცი ძროხის საყოფი. თქვენ კი რვაასი მსხვილფეხა პირუტყვი გყავთ და ამ რვაასში ორასი ძროხა.“

ერთი შეხედვით, თითქოს ამაში ცუდი არაფერია. მეტი გვყავს, ნაკლები ხომ არაო, იტყვის ზოგი კაცი. მაგრამ ეს მეტი კი არ არის, ზედმეტია. ზედმეტი კი, როგორც მოგეხსენებათ, არაფერი არ ვარგა. ზედმეტს ზედმეტი კვება, ზედმეტი ბინა და მუშახელი უნდა.

თქვენ კი საქმარისი სათიბები არა გაქვთ, არც ქარხალი მოდის თქვენთან, არც კარტოფილი. სჯობს იმდენი პირუტყვი იყოლიოთ, რამდენსაც ვასწვდებით. ორასი უჯიშო ძროხა ასოცი სანაშენო, ჯიშთან ძროხით შესცვალეთ.

სკკ XX ყრილობის დირექტივებში ნათქვამია, რომ საქართველოში 1960 წლისათვის 1955 წელთან შედარებით ხორცის წარმოება 1,7-ჯერ უნდა გაიზარდოსო, რძის — 2-ჯერ, მატყლის — 1,4-ჯერ. ეს თქვენ გავალბებთ კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით და ენერჯით მოეკიდოთ ასე კარგად დაწყებულ საქმეს. გაყიდეთ ზედმეტი პირუტყვი. შეიძინეთ ჯიშისანი ძროხები“.

შრომელმა თვითონაც იცოდნენ, რომ რვაასი სული პირუტყვი მათი მეცხოველეობის განვითარების საქმეს

ბორკავდა, ხელს უშლიდა. მაგრამ მაინც ვერ ელვოდნენ ამ „ზედმეტ“ საქონელს. — როგორ შეველიოთ ჩვენს გაზარდილს, ჩვენს მონაგარს? — ამბობდნენ მწყემსები, მწველავები, მეხბორეები.

— რას იტყვიან რაიონში? — მოგვიწონებენ ვითომ? — ორჭოფობდნენ სხვები.

ამ ორჭოფობას თავისი მიზეზი ჰქონდა. წინათ ხომ ზევით, ცენტრისკენ ჰქონდათ მიგდებული ყური. იქიდან მოდიოდა მითითებები, ინსტრუქციები, ბრძანებები, გეგმები. იქ უხილავი ბიუროკრატიული ხელი ბრძალ მართავდა სოფლის მეურნეობის წარმოებას.

ახლა, როცა პარტიამ და მთავრობამ შეუცვალა სასოფლო-სამეურნეო არტელებს მეურნეობის დაგეგმვის წესი, მისცა მათ განუსაზღვრელი უფლებები, კოლმეურნეობებს მიანიჭა მთავარი როლი სოფლის მეურნეობის წარმოების თავის მიხედულობით დაგეგმვისა, გაათავისუფლა ისინი ცენტრის მეურვეობისაგან, რომელიც წლების მანძილზე ბორკავდა, ახშობდა კოლმეურნეთა ინიციატივას, სრულიად გაუმართლებელი იყო გამგეობის წევრების ეს უადგილო ორჭოფობა.

— ჩვენ ხელთაა ყველა პირობა იმისათვის, რომ „მეცხოველეობა იმ დონეზე ავიყვანოთ, რომელიც ხალხის გაზარდილ მოთხოვნილებას შეეფერება“. და ჩვენ მთელ ქართველ კოლმეურნეებთან ერთად მივალწვეთ ამას ხუთ წელიწადში კი არა, უახლოეს ორი-სამი წლის მანძილზე. — უპასუხა წერილზე უკრაინელ მეგობრებს მიხეილ ორაგველიძემ.

ნაცადმა თავმჯდომარემ სიტყვის ფასი კარგად იცის. და ეს სიტყვა არა მარტო უკრაინელების წერილის პასუხია, იგი სკკ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების პასუხიცაა.

მარტო მეცხოველეობის საქმეში როდი მიიღწიეს წარმატებას შრომელმა კოლმეურნეებმა. შარშან, მაგალითად, შეჯიბრებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს. კოლმეურნეობის წლიურმა

ფულადმა შემოსავალმა 12 მილიონ მანეთს მიაღწია.

დიდი და სასიხარულო იყო კოლმეურნეობის შრომადღის ღირებულება. დღეში 30 მანეთი და 5 კილოგრამი მარცვალი.

შრომელებმა შარშან თავისი დიდი და რთული მეურნეობის ყველა დარგში მოიპოვეს წარმატება. 12 მილიონი! ეს ერთი პატარა სახელმწიფოს ბიუჯეტია.

ასევე დიდ წარმატებებს მიაღწიეს შარშან სტალინის სახელობის კოლმეურნეებმაც. მარტო მეცხოველეობამ მათ 2.5 მილიონი მანეთი ფულადი შემოსავალი მისცა. მეცხოველეებმა გადაჭარბებით შეასრულეს პირუტყვის სულალობის ზრდისა და რძის დამზადების გეგმები.

კოლმეურნეობას ჰყავს 600 ჯიშაინი პირუტყვი, 15 ათასი ნაშმატყლიანი ჯიშის ცხვარი, უამრავი ღორი და ფრინველი; პური, კარტოფილი, ბოსტნეული

და ბამბა ხომ რამდენიმე ათეულ ათას პექტარზე უთესიათ.

მარტო მესაქონლეობა რომ განმომყოს აქ ცალკე, ის იკმარებს ერთი ძლიერი კოლმეურნეობის ჩამოსაყალიბებლად.

ასე ძლიერდება და მდიდრდება აქ ყოველწლიურად ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა და იქ სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ერთმანეთის დახმარებით, ხელისშეწყობით, ერთმანეთის წაქეზებით, ერთმანეთთან შეჯიბრებით.

წელს ორივე კოლმეურნეობა შეექვსე ხუთწლედს ახალი, კიდევ უფრო გაძლიერებული, სოციალისტური ვალდებულებებით იწყებს და, დანდობილი თავის ნაცად გზას — შემოქმედებითი თანამეგობრობის, სოციალისტური შეჯიბრების გზას, — დარწმუნებულია ახლო მომავალში კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს.



დრაკონის ვიშკარი

ნესტიან მთიდან, კლდოვან ფერდიდან
ღრუბელთა გროვა ეშვება ნელა,
დრაკონის ჭიშკრის ორწოხებიდან
ზათქით მოსული მდინარე ღელავს.

მოაქვს მორები და რიყის ქვეები,
მჭინვარებს, რადგან ვიწრობი ბოჭავს;
ბრინჯის ველისკენ ქრის განარისხებით
და ძუ-ლომივით განართხმული მოჩანს.

ჯებირებს ანგრევს, აოხრებს ნათესს
მჭინვარე, შმაგი და დაუნდობი;
გადუვლის მინდორს გაშლილს და
ფართეს,
სპობს ყოველივეს — მონაგარს ოფლით.

წინ მიისწრაფვის ამაყი ძლევით,
პიტალოს ანგრევს შმაგი, მჭინვარე;
მას ჩვენი მოდგმა უწოდებს წყევლით
ჩინეთის შავს ქირს, ყვითელ მდინარეს.

საუკუნიდან საუკუნემდე
დრაკონის ჭიშკრით მოდის და ღელავს.
მაგრამ მის ნაპირს და კლდოვან ქედებს
ინჟინრის თვალი შორიდან ზევრავს.

სადაც ვულკანი ცხელ ფიქალს
აფრქვევს,
სადაც ქარია და წვიმა ხშირი,
წყალის სათავეს — დაშვებულს თავქვე
ზევრავს მზურღავი, — პარტორგი გმირა.

გმირულ თაობას — სიცოცხლის
მოტრფევს
ღედა-სამშობლომ უბრძანა ასე:
გონების ძალით ბოროტის მყოფელს
გადაეღობოს — სტიქიას გზაზე.

როცა მოვისმენთ წერაქვის ხმასა —
კალაპოტს ნახავს მრისხნავ წყალი
და მაშინ წყევლა და კრულვის ნაცვლად
ყვითელ მდინარეს ადიდებს ხალხი.

ჩინეთის კვიზაჟი

მთათა მწვერვალები ჩრდილავს ჰორიზონტებს, —
მტრედისფერ კვამლში ჩანს მთელი არე-მარე;
არხებით და ტბებით, თითქოს მიწას ქსოვდეს
იანციძიანი — ცისფერი მდინარე.
შორი საზღვრის იქით, ღრუბლებს მიღმა მხარეს
დიდი ყინულებით მაგარ ჯავშნებიდან,
მთათა ორწოხიდან მძაფრად მომდინარებს
და იშლება ველზე მთის მდინარე წმინდა.
როგორც მოჩვენება, ღია ზღვის ტალღებში
ხომალდიდან მოჩანს კვამლის ზოლი შავი,
მუქი იალქნები ირხევიან შვებით,
ნელა შირონინებს ზღვის სივრცეში ნავი.
ნაპირიდან მოჭკრის ფრთამსუბუქი ქარი,
ტყეებს აირეკლავს სარკე თეთრ მდინარის;
შშვიდად რონინებენ ზღვის ტალღები წყნარი,
იანციძიანი არის შუქმფინარი.
ფხიზლობს, არ ისვენებს კუნთებდაძაბული
მობუცი მესაკე — გემს აქროლებს ზღვაში,
ფერად ნოხისფერად ჰყვავის გაზაფხული
და მდინარე ამკობს დასალიერს გაშლილს.



ღოგოსის ყვავილი

ისინი საქველმოქმედო მიზნით მოწყობილ დიდ სპორტულ დღესასწაულზე შეხვდნენ პირველად ერთმანეთს.

მეტი ხალხის მოსაზიდად და შემოსავლის გასადიდებლად დღესასწაულის ორგანიზატორებმა რამდენიმე ცნობილი კინომსახიობიც ჩააბეს ს-ქმეში.

ჩენ იუ-ლანიც მიიწვიეს ჯილდოების გამანწილებელ კომისიაში, და თუმცა მას ბევრი არა გაეგებოდა რა სპორტისა, მაინც სიამოვნებით დათანხმდა; იცოდა, რომ სპორტული საკითხების გადაჭრას არ მოითხოვდნენ მისგან, მხოლოდ მისი სახელი და სილამაზე სჭირდებოდათ.

თავისი ხანმოკლე, მაგრამ თავბრუსდამხვევი კინემატოგრაფიული კარიერის განმავლობაში ჩენ იუ-ლანი დაეჩვივა ხალხის წინაშე გამოსვლას; ევას ქეშმარიტ ასულს არასოდეს ღლიდა აღფრთოვანებულ თავყვანისმცემელთა გულის ძვერანი. მან კარგად იცოდა, რომ მეტისმეტად მომხიბვლელი იყო; და მართლაც განსაცვიფრებელი მშვენიერებით შეემკო ბუნებას, ჩინელი ქალების იმ თავისებური, დახვეწილი სილამაზით, რომელიც ნაზ დიაცურ მონდენილობასა და სათუთ, მაგრამ წინაღულდგომელ მომხიბვლელობას შეიცავს.

ამიტომ არ შურდა მეგობარი მსახიობი ქალებისა, რომელნიც მეტი დრამატული ნიჭით იყვნენ ცხებულნი და უფრო სერიოზულ როლებში გამოდიოდნენ.

და ალბათ ამიტომ არ გაფუჭებია ხასიათი, ისე როგორც ეს თითქმის ყველა სახელგანთქმულ მსახიობს ემართება, განსაკუთრებით ქალებს, რომელთაც მალე შეეყრებათ ხოლმე წვრილმანი პატივმოყვარეობის სენი.

იგი უბრალოდ ფიქრობდა, რომ ჰქონდა საკუთარი ამპლუა — ყოფილიყო მშვენიერი, სიამოვნება მიენიჭებინა ხალხისათვის ეკრანზე გამოჩენით და სავსებით კმაყოფილი იყო ბედისა.

იქნებ იმის გამო სარგებლობდა ჩენი განსაკუთრებული პოპულარობით მეტად გულისხმიერ ჩინურ საზოგადოებაში, რომ ასეთი უბოროტო და კარგი ხასიათისა იყო. ბოლოსდაბოლოს, ხომ იყვნენ სხვა მსახიობი ქალებიც, რომელთაც არანაკლები სილამაზე ამკობდათ, მაგრამ იმ წარმატების ნახევარიც ვერ მოეპოვებინათ, რაც ხანჯოუს ყურეზე აციმციმებული მთვარის არილივით თვალწარმტაც და ლოტოსის ყვავილივით ნაზ ჩენ იუ-ლანს ხვდა წილად.

დღესასწაულის დღეს კომისიის თავმჯდომარის, ნაცნობი ბობოლა მრეწველის მანქანა გამოუგზავნეს და სტადიონზე მიიყვანეს მასავით სახელგანთქმულ და ტურფა კინომსახიობ ლი ლი-ჯუნთან ერთად. ადგილი ცენტრალურ ლოჯაში დაიკავეს. ლოჯა ფერადი ქსოვილებით, ცოცხალი ყვავილების გირლიანდებითა და წითელი აბრეშუმის პლაკატებით იყო შემკული. პლაკატებზე ოქროსფერი და შავი იეროვლიფებით წარწერილი იყო მისალმებანი დღესასწაულის მონაწილეთა და ორგანიზატორთა მიმართ და მოწოდებანი — მხარი დაეჭირათ საქველმოქმედო თაოსნობისათვის.

ფერადი დროშები ტყაცუნებდნენ ქარში, ხან იალქნებივით იბერებოდნენ, ხან დაჭრილი ფრინველის ფრთებივით ფარფატებდნენ. ბამბუკის ზარებიც კრიალბდნენ და იღრიკებოდნენ; ქვემოთ სასულე ორკესტრი განლაგებულიყო; მუსიკოსებს მდიდრულად ეცვათ, უზარმაზარი დოლი კრელტრულა ბაბ-

თებით შეემკოთ, გაპრიანებული სპილენძი თვალისმომკრელად ბრჭყვიალებდა, მცხუნვარე მზის სხივებზე დრაკონის ქრელი ქერქვივით ზიმზიმებდა ხალხით გაქედელი ტრიბუნები.

შორს ხეები პატარა ბიჭებს დაეხუნძლათ, ხოლო ახლომახლო სახლების სახურავები და აივნები მუქთ მაცურებლებს აევსოთ.

მინდორზე ყრუ და მხიარული გუგუნნი იდგა ხალხის საყვარელი სანახაობის — ფეხბურთის მატჩის დაწყების მოლოდინში.

ირგვლივ მხიარულება სუფევდა, ყველა ლაპარაკისა და სიცილის გუნებაზე იდგა, ყველას უნდოდა გულის სიღრმემდე განეცადა ფეხბურთის ლელვა-წუხილი, შემდეგ კი ნებივრად ევახშმა და ეცეკვა რომელიმე კაბარეში.

ლოჯაში შესვლისას ჩენ იუ-ლანსა და ლი-ლი-ჯუნს პრეზიდენტის საპატიო წევრები მორიდებით მიესალმნენ ფეხზე აღდგომით. ხალხმრავალი საზოგადოების წინაშე გამოსვლას მიჩვეულმა ჩენმა შეამჩნია, რომ მთელმა სტადიონმა მათეკნ მიიბრუნა პირი და ტყის ფოთლების შრიალივით გახმაურდა მისი და მისი მეგობრის სახელები. კაცებს თვლები აუციმციმდათ იმ განსაკუთრებული ბრწყინვალეობით, რომელიც ყველაზე უფრო მკვერამეტყველურად ამცნობს ქალს მისი მომხიბვლელობის ძალას. და ჩენ იუ-ლანიც ერთბაშად ისეთ მღელვარე და მხიარულ გუნებაზე აღდგა, რაც ეგზომ ამშვენებს ყმაწვილ ქალს: თვალებს უბრწყინებს, დაწვეებს ნაზი სიწითლით უფერადებს და სიცილს ვერცხლის ევენის წკრაილს უმგვანებს.

ამასობაში თამაში დაიწყო. ჩენ-იუ-ლანი გატაცებით უმზერდა, მაგრამ გულს მაინც აკლდა ოდნავ იმის გამო, რომ მაცურებელთა ყურადღება ახლა მიიპყრო მწვანე მინდორმა, რომელზედაც მუქ-წითელ და ნარინჯისფერ ლაქებდა გაბნეულიყო ფეხბურთელთა ფიგურები. ეს ფიგურები ხან ვერცხლისწყლის ბურთულეობით იფანტებოდნენ, ხან კარების წინ შეეგუფდებოდნენ.

ისმოდა ლამაზ, ყვითელ ბურთზე დარტყმის ხმა. ხანდახან ბურთი შეეჭრებოდა ავარდებოდა ჰაერში, შეჩერდებოდა წამით, თითქოს რაღაცას ფიქრობს და ქოქმანობს, ძირს დავეშვე თუ არაო, გულბრყვილო მაცურებელნი კი „ხო!“-ს ძაბილით აყრუებდნენ სტადიონს, თუმცა ყველა თამაშის მცოდნე კარგად უწყობდა, რომ ასეთი ბურთი მაინცდამაინც სახეირო არ იყო.

რაც უფრო ახლოვდებოდა თამაშის დასასრული, ტრიბუნებზე მღელვარება მით უფრო მატულობდა. სრულიად მოულოდნელად იგებდა არა გამოცდილი, სპორტულ ბრძოლაში გამოწრთობილი ქალაქის ჩემპიონი, შანხაის მცხოვრებთა საყვარელი გუნდი, არამედ გამოუცდელი, მაგრამ ფიცხელი სტუდენტთა ნაკრები.

— ისე ეტყობა, რომ მოხუცი ვანის თასი ახალგაზრდა ვანს უნდა გადაეცეთ! — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ჩენ იუ-ლანის გვერდით მჯდომმა კომისიის თავმჯდომარემ, რომელიც აგრეთვე შერცხვენილი ჩემპიონის გულშემატყვიართა რიგებში იყო, მაგრამ ქალს არ გაუგონია მისი ნათქვამი, რადგან ამ დროს რაღაცას ეუბნებოდა თავის მეგობარს.

მსაჯმა შეეჯიბრების დამთავრების ნიშანი მისცა და ორივე გუნდის ფეხბურთელები ცენტრალური ლოჯისაკენ გაემართნენ.

მაცურებელთა უმეტესი ნაწილი კუშტად დუმდა, სამაგიეროდ, სტუდენტი ახალგაზრდობა აყრუებდა ყველაფერს. ტრიბუნებიდან გამარჯვებულ გუნდს უყვიროდნენ:

— ყოჩაღ ვანი!

— კარგად ითამაშეთ, ბიჭებო!

— მრავალკამიერ ნაკრებს!

— ვანი მეორე ლი ვაი-ტონგია!

თავმჯდომარემ თავისი სიტყვა ბიუროკრატიული ჩვეულებისდა მიხედვით დიდხანს ლეკა და მთელ თხუთმეტ წუთს დააქიანურა.

ჩენ იუ-ლანი მის გვერდით იდგა და ელოდა სიტყვის დამთავრებას, რომ მაგილიდან აეღო ვერცხლის დიდი თასი და სტუდენტთა გუნდის კაპიტნისათვის გადაეცა. მას არ აწუხებდა ჩემპიონების დამარცხება — ისინი დაეჩვივნენ გამარჯვებას და გასულ წელს მათი კაპიტანი — ლამაზი შავგვერდმანი კანტონელი თასის მიღების დროს ლაზღანდარულად ილიმებოდა და უტიფრად შეჭყურებდა თვალებში. ახლა გასკდეს გულზე, როცა თასს გადასცემს ამ ყმაწვილებს, რომელნიც კრძაღვითა და აღტაცებით შეჭყურებდნენ მას.

— ნეტა რომელია მათი კაპიტანი? — გაიფიქრა ჩენმა და შენიშნა, რომ ძალიან სურდა კაპიტანი აი ის მაღალი, ოდნავ ფერმკრთალი და ფიქრით დაღამჩნეული ჰაბუკი ყოფილიყო. ჰაბუკიც უყურებდა მას, მაგრამ როცა ქალის მზერა დაიჭირა, შერცხვა და თვალი დახარა. ეს მოეწონა ჩენს — მამაკაცები იშვიათად თუ მოარიდებდნენ თვალს მის სახეს.

— ალბათ ძალიან ახალგაზრდაა და უმწიკვლო. ვის მაგონებს, ნეტა? — გაიფიქრა ჩენ იუ-ლანმა, მაგრამ ამ დროს კანტიკუნტი ტაში გაისმა — თავმჯდომარეს სიტყვა დაემთავრებინა. ჩენ იუ-ლანი შინაგანად დაიძაბა, იცოდა — საერთო ყურადღება ახლა ისევ მან მიიპყრო.

თავმჯდომარე მისკენ მობრუნდა და ხელით ანიშნა თასი აეღო და სტუდენტთა ნაკრების კაპიტანისათვის გადაეცა. სწორედ ის ჰაბუკი წამოვიდა წინ. იგრძნობოდა, რომ ვაჟი ძლიერ ღელავდა და ეს მღელვარება როგორღაც ქალსაც გადაედო. მაგრამ შეთვისებული პროფესიული ჩვევის მიხედვით ქალმა სძლია ამ უეცარ გრძნობას და გაიღიმა ხელოვნური, მაგრამ თავბრულამხვევი ღამილით, მისკენ ბიჯი წარდგა და თასის გადაცემისას რამდენიმე მისალოცი სიტყვაც უთხრა.

წამით ერთმანეთის პირისპირ იდგნენ უძრავად, და ფოტოსურათს წააგავდნენ — კენარი, ძლიერი სპორტსმენი და 6. „მთაბი“, № 5.

მოხდენილი ყმაწვილი ქალი. ჰაბუკი აშკარა, მაგრამ უბიწო აღფრთოვანებით უმზერდა, ხოლო ქალი აღფრთოვანდა და მისი ოფიციალური კინემატოგრაფიული ღამილი უბრალო, სათნო და ოდნავ კდემამოსილმა ქალურმა ღამილმა შეცვალა.

შემდეგ ვაჟი გონს მოეგო, მდაბლად დაუკრა თავი, მადლობა უძღვნა და ქალის ნატიფი, პატარა ხელებიდან ისე მიიღო დიდი თასი, რომ მისთვის არ შეუხებდავს.

მარტივი ცერემონიალი დამთავრდა და ახლა შეიძლებოდა სახლში წასვლა, დასვენება, აბაზანის მიღება და ტანსაცმლის გამოცვლა. კომისიის წევრებისა და შეჯიბრების მონაწილეთათვის ბანკეტი ეწყობოდა.

სალამო კარგი გამოვიდა. მხიარულება სუფევდა. ჩენ იუ-ლანმა ბევრი იკისკისა, ბევრი იცეკვა. ვახშამზე და შემდეგაც არაერთხელ დაიჭირა ახალგაზრდა სტუდენტის შეფარული მზერა. როგორც შეამჩნია, ვაჟს არცერთხელ არ უცეკვია და ჩენი ქალური გუმანით მიხვდა, რომ ჰაბუკს ქვეყანას ერჩია მასთან ცეკვა, მაგრამ ვერ ბედავდა გამოწვევას.

ჩენ იუ-ლანი გამხიარულდა და მოუნდა ეს მორცხვი ყმაწვილი სწორედ მისი მორცხვობის გამო გაეხარებინა, წარმოიდგინა, რომ ეს იქნებოდა ვაჟისთვის დიდი ამბავი, რომელზედაც კარგაზნის ილაპარაკებდნენ მისი ამხანაგები და თვითონაც საამურ მოგონებად დარჩებოდა. ქალს არ უნდოდა თავისთვის გამოტყდომოდა, რომ ყველაფრის გარდა თავად სურდა ცეკვებში ნებადართული სიახლოვე ამ ძლიერ ნორჩ და უბიწო ჰაბუკთან, რომელიც ეგზომ განორჩეოდა მისი გარემომცველი საზოგადოებისაგან — მსუქანი, ხანდაზმულ ბობოლუბისა და ცხოვრებამოყრატებული ახალგაზრდა უსაქმურებისაგან — მათი შვილებისგან.

ქალმა დაუძაბა ერთ თავის მახლობელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, კარგი კარიერის მქონე ჩინოვნიკს, რომელმაც

ეს ერთი ხანია ნებაყოფლობით ივისრამისი ყოველი სურვილისა და დავალების შესრულება. ამ გზით იგი აუცილებელი კაცი გახდა ქალის კომპანიაში და მრავალი საჭირო ნაცნობობაც გააბა.

— ეუ, — უთხრა აგდებულად ჩენმა, როგორც ყოველთვის ლაპარაკობდა ხოლმე მასთან, — მეცოდება ეგ საბრალო ყმაწვილი. მთელი საღამო მოწყენილია, ისე კი უნდა მხიარულობდეს. დღეს შესანიშნავად ითამაშა. მილით და აგრძნობინეთ, რომ საცეკვაოდ გამომივიწვიოს. დაე, ეს იყოს ჯილდო დღევანდელი გამარჯვებისათვის.

მოხერხებულმა კემ იქედნურად გაიღიმა და დავალების შესასრულებლად გაეარდა. სხვა რომ ყოფილიყო, ამგვარი ღიმილი შეურაცხყოფას მიაყენებდა ზენ იუ-ლანს, მაგრამ კუ ყველაფერში ერთსა და იმავეს ხედავდა და ყველაფერს თავისებურად ხსნიდა, ამიტომ ახალგაზრდა ქალს გულზე არ მოხვედრია მისი ღიმილი.

მათ იცეკვეს ერთხელ, შემდეგ კიდევ ერთხელ, მერმე ქალმა უბრძანა, ჩემს გვერდით დაჯექით. საუბარი გააბეს და ცეკვა აღარც მოჰგონებიათ, სულ ლაპარაკობდნენ.

როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთ ხალხმრავალ ადგილას, მათი საუბარი თანმიმდევრული არ იყო, მაგრამ ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ წინადადებებსა და ჭბაუკის ლაპარაკის მანერაშიაც კი იყო რაღაც უჩვეულო, უფრო სწორად, დავიწყებული ჩენ იუ-ლანისათვის.

ქალს ეჩვენებოდა, რომ ვაჟი იმ სამყაროდან უნდა ყოფილიყო, რომელიც აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც მიატოვა. მაშინ ჩენი, ნორჩი პროვინციელი სტუდენტი ქალი, შეამჩნია ერთმა კინორეჟისორმა და, მისი არაჩვეულებრივი სილამაზით გაოცებულმა, დაიყოლია შანხაიში წასულიყო და კინოში ემუშავა.

ჩენი უკვე გადაჩვეოდა იმ სამყაროს — სტუდენტური ახალგაზრდობის მხიარულსა და უზრუნველ სამყაროს, სადაც უფულობას სიცოცხლის ხალისი

ანაზღაურებს, ხოლო მოუწყობლობას — თაბტიშიში და იმედი.

იმას ვერ ვიტყვი, რომ იშვიათად მაინც, როცა ჩენი იგონებდა იმ ცხოვრებას — გული არ დაწყდომოდეს. აწყყოში ბევრი რამ ჰქონდა ისეთი, რაზედაც მაშინ ოცნებაც არ შეეძლო: სიმდიდრე, თავყანისცემა, სახელი, რომელსაც ძნელად ეჩვევა კაცი, მრავალფეროვან ცხოვრება. ეს ტკბილი ბურჩანი თავბრუს ახვევდა და გონებას უზნებებდა. ამ ბურუსში მხოლოდ ხანდახან მკრთალად თუ გაიღვებდა მწარე ფიჭვი საზოგადოებრივი მდგომარეობის ორაზროვნებისა და წუხილი დეკარგული სიწმიდის გამო.

იგი ბედნიერი არ იყო, მაგრამ ასეთი ცხოვრება სიამოვნებდა და ბევრს რასმე თავის ყოფა-ქცევასა თუ ცხოვრებაში უყურებდა, როგორც თავისი პროფესიის უცილობელ შედეგს. ყველა მისი მეგობარი მსახიობი ქალი ასევე იცეკვოდა.

იგი სცოდავდა, და სცოდავდა მით უფრო იოლად, რომ ეს სასიამოვნო იყო. ცოდვის ძალაც ზომ ამ სიამოვნებაშია.

მაგრამ ის არ ხურდავდებოდა, ამისათვის საკმაო გემოვნება და ტაქტი ჰქონდა, და ამის გამო მისი სახელის ირგვლივ არ შექმნილა ის სპეციფიკური შარავანი, რომელიც მუქი აღმურით ბერავს ზოგიერთი კინომსახიობი ქალის სახელს და საეჭვო პოლიველურ დიდებას ანიჭებს მათ.

და ამ საღამოს, რაკი რალაცნაირად აუჩქროლდა გული, არ დარიდებია სტუდენტისადმი ყურადღების გამოჩენას, საკუთარ თავში დარწმუნებული იყო, იცოდა — წადილს არ აყვებოდა.

უფრო ქალური წადიერების კარნახით და არასერიოზული გრძნობის გამო მიიწვია ვაჟი ისე, სხვათაშორის, ჩაიზე. იგი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ვაჟი არ მოვიდოდა, მაგრამ ჭბაუკი დანიშნულ დღეს მოვიდა. თავდაპირილად და მღვმარედ იჯდა სასტუმრო ოთახში, რომელიც საზღვარგარეთულ ყაიდაზე იყო მოწყობილი და ყურს უგდებ-

ბდა ქალის ხალისიან ქღურტულს. ვაჟი ახლაც ოდნავ მოკრძალებული იყო, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ჩენის ბინის ფუფუნება არ აცვიფრებდა და არაჩვეულებრივად არ ეჩვენებოდა.

ეს კარგიც იყო და ცუდიც. ცუდი იმიტომ, რომ იფუშებოდა ჩენის მიერ ოცნებაში შექმნილი რომანტიკული ვარიაცია ღარიბი სტუდენტისა და ბრწყინვალე მზეთუნახავის სიყვარულის ძველისძველ თემაზე. კარგი კი იმიტომ, რომ ახალი ნაცნობი მისი წრის კაცი აღმოჩნდა, ოღონდ ამ წრის ადამიანებისათვის და მახასიათებელი მრავალი ნაქლი არ ამახინჯებდა. მასთან იოლი იყო ლაპარაკი და ღუმელიც, შეიძლება რაიმე არაჩვეულებრივი გამოხდომისა არ შეშინებოდა. ჩენ იუ-ლანი იმ ტიპის ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა ბუნებაც ვერ იტანს ვერავითარ უწყსოებას — გარეგნული ქცევისა თუ ჩვეულებრივი ცხოვრების შინაგანი წყობის დარღვევას.

თავისთავზე იგი ცოტას ლაპარაკობდა. ქალმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ქაბუკს ვანი ერქვა, რომ მან გასულ წელს დაამთავრა საზღვარგარეთული კოლეჯი ჩრდილოეთში; ცოტა ხნის წინათ ჩამოვიდა შანხაიში და ახლა ერთ-ერთ ადგილობრივ უნივერსიტეტში სწავლობს.

ვაჟმა დაიწყო მასთან ხანგამოშვებით სიარული, შემდგომ სტუმრობას მოუხშირა. ტელეფონით თითქმის ყოველდღე ლაპარაკობდნენ.

ჩენ იუ-ლანი უკვე აღარ უმაღლავდა თავს, რომ ვაჟი უფრო სერიოზულად მოსწონდა, ვიდრე წინათ ეგონა. უფრო ხშირად იხსენებდა, ვიდრე უნდოდა და ხანდახან უბრაზდებოდა კიდევ თავს ამის გამო. როცა ვაჟი რამდენიმე დღეს არ მოვიდოდა და არ დაბრუნებდა, ქალს გული ელეოდა და ნერვიულობდა; მოსამსახურეები გაოცებული იყვნენ იმის გამო, რომ ახალგაზრდა ქალბატონს ხასიათი გაუფუქდა.

ჩენი სავსებით ვერ გარკვეულიყო თავის გრძნობებში და ანგარიშს არ აძ-

ლევდა თავს, თუ რა იზიდავდა ასე ძლიერად, მაგრამ ქვეშეცნებულად მიხიზლული იყო ვაჟის სუფიზმით და ლავდა მისი მოკრძალება და გულწრფელი პატივისცემა, რომელსაც იგი ქალისადმი იჩენდა.

ყოველი თავისუფალი, ლამაზი ქალის მსგავსად ჩენმა ძალზე კარგად უწყობდა, რომ მამაკაცების უზაღო ქცევისა და ყოველად დახვეწილი ზრდილობის მიღმა ძალიან ხშირად განუზომელი ბიჭიერება და ფარისევლობა იმალება.

მაგრამ ვანს ყოველთვის მარტოღობა ხვდებოდა ხოლმე და ვაჟი არასოდეს მოქცეულა კადნიერად. თუმცა არასოდეს უთქვამს — მიყვარხარო, მაგრამ მისი ყოველი ქესტი, ყოველი ბგერა და გამოხედვა ისეთი განუზომელი თავყვანისცემით იყო გამსჭვალული, რომ ქალისთვის საჭირო აღარ იყო სიყვარულის აშკარა აღიარება. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ვანს უყვარდა ქალი.

მას ისე უყვარდა ჩენი, როგორც კი შეიძლება კაცს უყვარდეს ოცი წლის ასაკში, როცა გრძნობები ნორჩია და გამოცდილებისა და იმედისგაცრუების მსახვრალი ხელი არ შეხებია, გული ესესაა ფრთების გაშლას აპირებს, ადამიანებისადმი რწმენა ურყევია, ხოლო ცხოვრება უბედნიერეს შორეთში მიმავალ სწორ და ნათელ შარავზად გვეჩვენება.

უგონოდ უყვარდა, სულით ხორცამდე.

არც ისეთი გულუბრყვილო იყო, რომ არ სცოდნოდა ქალის ცხოვრების ის მხარე, რომელიც მასზე ნაკლებ მოყვარულ მიჯნურსაც აუტანელ გულსიტკივილს მიაყენებდა. მაგრამ საკუთარი უბიწოება და ქალთან წმიდა ურთიერთობა იფარავდა ვაჟს უსუსური ექვიანობის ენითუთქმელი ტანჯვისაგან, რომელიც მით უფრო მწყვევ იქნებოდა, რომ არა მხოლოდ რომელიმე პირის გამო უნდა ეექვიანა, (მან არ იცოდა, ვინ იყო ის კაცი, მაგრამ რომ იყო, კარგად უწყობდა), არამედ მთელი მისი ცხოვრებისა და, განსაკუთრებით, ქალის პრო-

ფესის, იმ მკაცრი და შეუბრალებელი კანონების გამო, მათ საზოგადოებაში რომ იყო გაბატონებული.

ორ თვეზე მეტი ხანი გავიდა; მათმა ურთიერთობამ იმ ზომას მიაღწია, როცა უერთმანეთოდ ერთი დღის გაძლებაც აღარ შეეძლოთ და დილიდანვე, გაიღვიძებდნენ თუ ჰრა, მთელი თავიანთი არსებით ესწრაფოდნენ შეხვედრას. თუმცა ერთმანეთს არაფერში გამოტყდომიან, უკვე აღარ მალავდნენ თავიანთ გრძნობას და განუზომელი სინაზით ეგებებოდნენ, უმზერდნენ, ელაპარაკებოდნენ ურთიერთს.

ჩენ იუ-ლანი უფროსი იყო და ცხოვრების მეტი გამოცდილება ჰქონდა, ამიტომ პირველად ის დაუფიქრდა მომავალს; თუმცა რაიმე გარკვეული გეგმა არ ჰქონდა, და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. ახლა, როდესაც გულში გაეღვიძა ძლიერი, მანამდე განუცდელი გრძნობა, არ შეეძლო არ დაეხახა, თუ როგორ დახლართვოდა ცხოვრება, და რაოდენი დაბრკოლებანი ელოებოდნენ იმ ერთადერთ ნატვრას, რომელიც გაათბობდა და აზრს მისცემდა მის გარეგნულად ბრწყინვალე, მაგრამ შინაგანად ცივსა და განმარტოებულ ცხოვრებას.

მაგრამ უმთავრესი მან არ იცოდა. მთავარი ის იყო, რომ ქაბუკი ვანი — ერთადერთი მამაკაცი, რომელიც კი ოდესმე ნამდვილად ჰყვარებია ჩენ იუ-ლანს, დეიძლი შვილი იყო მილიონერი ბანკირის ვან ვეი-ლინისა — ჩენის ოფიციალური საყვარლისა და მფარველის.

ყველაფერი, რაც კი ჩენ იუ-ლანს ჰქონდა, სახლიც, მორთულობაც, ყველაფერი — მოხუცი ვანის ფულით იყო შექმნილი. მოხუცს მხოლოდ პირობითად ემახდნენ, რადგან მოზრდილი შვილები ჰყავდა. ისე კი მილიონერი ვანი ლამაზი და კარგად შენახული მამაკაცი იყო, იმ ასაკისა, როდესაც კარგად თავშენახულ მისი ტიპის მამაკაცებს განსაკუთრებული მიმზიდველობა და იმპოზანტობა აქვობთ.

ჩენ იუ-ლანმა სიმართლე ლი ლი-ჯუნისგან შეიტყო; ორივენი განცვიფრ-

დნენ ამ მოულოდნელობისაგან. ლი ლი-ჯუნს საკმაოდ კარგად იცნობდა მეგობარს და მის განცვიფრების გულწრფელობაში ეჭვი არ შეუტანია. და მაინც ამ გაუთვალისწინებელმა უცოდინარობამ გუნება გაუფუქა, რადგან უმთავრესი სიამოვნება მოაკლო. მას უნდოდა ფაქიზი გამოთქმებითა და გადაკრული სიტყვებით ეთქვა ჩენისათვის — უზნეო ხარო. მრავალა, განსაკუთრებით ქალებს, სიამოვნებს, როცა გაიგებენ, რომ ვიღაც მასზე უარესია.

და აი ეს სიამოვნება მოაკლდა ლი ლი-ჯუნს.

წაგებული მოთამაშის სიჯიუტით, მოთამაშისა, რომელიც განაგრძობს წვრილ ფულზე თამაშს, თუმცა მოგების იმედი უკვე აღარა აქვს, ლი ლი-ჯუნმა მაინც უთხრა ჩენს ის, რასაც ეტყოდა, რომ ეს ორმაგი მოულოდნელობა არ ყოფილიყო:

— გონებაბახვილურად იქცევი, საყვარელო. მამის ვალს შეილს უხდი.

მაგრამ ეს წინასწარ მოფიქრებული დარტყმა მიზანს აცდა: ფეხზე მდგარს დაუმიზნა და მაშინ კი გაისროლა, როცა ნიშანში ამოღებული უკვე მიწაზე იყო გართხმული.

იმ მღელვარების გამო, რომელმაც მოიცვა ჩენ იუ-ლანი ამ ამბის შეტყობისას, ვერ იგრძნო მან ეს შედარებით უმნიშვნელო ტყვილი, რომელსაც სხვა ვითარებაში მეგობრის მწარე სიტყვები მიაყენებდა.

— შე არ ვიცოდი ეს, ღმერთო ჩემო, არ ვიცოდი! — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა ჩენ იუ-ლანმა.

— შენ მე მაოცებ, ჩემო ძვირფასო, — თქვა ლი ლი-ჯუნმა, რომლის ხმასაც უკვე სიბრალული დაეტყო. იგი ბოროტი ქალი არ იყო და გულწრფელად უყვარდა ჩენს, მაგრამ ქალური სისუსტის გამო თავი ვერ შეიკავა და მტკივნეულ ადგილას შეეხო. — ეგ ვინ არ იცის? სხვა რომ არა იყოს რა, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს...

დიაღ, ისინი ჰგვანან ერთმანეთს. აი ვის აგონებდა პირველი ნახვიდანვე

სტუდენტი! აი რატომ ახასიათებს მას სიმშვიდე და თავისი თავის რწმენა, აი რატომაა დაჩეუული ფუფუნებას და მის მოხმარებას აბა მართლა ვინ დაიჯერებს, რომ ჩენმა არაფერი იცოდა და რაც მთავარია, ვინ დაიჯერებს, რომ მათი ურთიერთობა უბრალოა, მათი გრძნობები წმიდაა? მაგრამ ეგ ვანები მრავალნი არიან, ის ხომ ეგრე განირჩევა სხვა ბობოლეების ვაყებისაგანს განა ცოტა გაქსუებულს იცნობს ჩენი? და რომელიმე მათგანი შეედრება განა მას კეთილშობილებით, უბრალოებითა და სულის სიმდიდრით? მათთან შედარებით იგი თითქოს სხვა ქვეყნიდან, სხვა პლანეტიდან არის მოსული და მაინც რატომ ვერ მიხვდა მაშინვე? ხომ იცოდა, რომ ვან ვეი-ლინის მოზრდილი შვილი ჰყავდა ტიანძინში და როგორც ახლა ახსენდება, მასაც კი უთხრა, რომ ჩემი შვილი მალე უნდა ჩამოვიდესო. აი თუ რამე რას ნიშნავდა იმ იქედნე კუს საზიზღარი ღიმილი იმ საღამოს!

ახლა, ამ ამბის შეტყობის შემდეგ, ჩენ იუ-ლანმა მოიგონა ყველა ის გადაკრული სიტყვა, რომელიც გააგონეს უკანასკნელ ხანს დაახლოებულმა მეგობრებმა (მისი და ახალგაზრდა ვანის ურთიერთობის ამბავი მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა), მოიგონა სხვათა უცნაური ღიმილი და გაუგებარი ხუმრობა.

ღიად, არავინ დაიჯერებს, ზოლო ყველას ლი-ჯუნი შეატყობინებს, სიავის კი არა, სისუსტის გამო: განა გაუძლებს ცთუნებას, რომ ეს შემადრწუნებელი ახალი ამბავი სხვებს არ შეატყობინოს?

რა ჰქნას? უპირველეს ყოვლისა ერთბაშად უნდა გაწყვიტოს ურთიერთობა ქაბუტთან, აუკრძალოს მოსვლა, შეეცადოს მის დავიწყებას და დაავიწყოს ვაქს ყველაფერი.

მაგრამ ჩენ იუ-ლანი თავისი გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ მოიქცა, როგორც შეყვარებულებს ემართებათ ხოლმე: გამოუძახა ახალგაზრდა ვანს ტელეფონით და უთხრა — ახლავე მოდიო.

ახლა, როდესაც გამოირკვა ეს საშინელი გარემოება, რომელსაც საყვარელ ადამიანთან საბოლოო განშორებას უნდა მოჰყოლოდა (იგი სავსებით დარწმუნებული იყო ამასში), ქალს აღარ შეეძლო თავის შეკავება, მას სურდა მთელი თავისი სიყვარული გაემკლავებინა, მოეთხრო თავისი წაბილწული ცხოვრების ამბავი და მხოლოდ ერთს რასმე შევედრებოდა — როცა სამარადისოდ დაშორდებოდნენ, ძალიან ცუდად არ მოეგონებინა იგი.

როდესაც ახალგაზრდა ვანი მოვიდა, სიხარულით ატაცებული (ქალის მოუთმენელი გამოძახება სიახლოვის ახალ დადასტურებად მიეჩნია), ჩენმა ველარ შეძლო ეთქვა ის, რაც უნდოდა და მის შეკითხვაზე მხოლოდ ეს მიუგო:

— მომწყინდა და ცოტათი გამზიარელება მომიწია. წამო, ჩაბუში გავისეირნოთ.

მათ არაერთხელ უსეირნიათ ჩენის მოხდენილი სპორტული მანქანით ზღვის სანაპიროზე და ამიტომ ვანს არ გააკვირვებია.

სეირნობისას ჩენ იუ-ლანს მშვენიერად ეკირა თავი და მხოლოდ ოდნავი სიფერმკრთალე და მღუმარება თუ აგრძნობინებდა უფრო დაკვირვებულ კაცს, რომ ქალი მღელვარებას იოკებდა. მაგრამ ვანს, როგორც ყოველ შეყვარებულს, არ შეეძლო დაკვირვებოდა ჩენს, მხოლოდ ახალი თბილი კილო ესმოდა მისი ხმისა, შესცქეროდა მის მოსიყვარულე თვალებს და ტკბილად უბრუოდა თავი ბედნიერებით მთვრალს.

ისინი კვლავაც ხედებოდნენ ერთმანეთს, თუმცა ახლა ვანმაც შეამჩნია ჩენის ნერვულობა. მას აწუხებდა, რომ ქალს ხშირად ეცვლებოდა გუნება, ხან არაბუნებრივად აღგზნებული იყო, ხან ნაღველის ანარეკლი უკრთოდა მზერაში, ფერმკრთალი იყო და თვალები ჩალამებოდა თეთრად გატეხილი ლამეების შემდეგ. მაგრამ, როცა ერთხელ ფრთხილად გამოჰკითხა მღელვარების მიზეზი, ქალმა უკმაყოფილოდ უპასუხა, რომ ყველაფერი რიგზე არა მაქვსო. და თუმ-

ცა ვანი გრძნობდა, რომ ქალს მართლაც არა ჰქონდა ყველაფერი რიგზე, მაგრამ ზედმეტი კითხვებითა და თანაგრძნობის გამომახტველი სიტყვებით არ შეუწყულებია.

ერთხელ, — ლი ლი-ჯუნთან სამახსოვრო ლაპარაკიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ, — ჩენ იუ-ლანმა უთხრა ვანს:

— ერთი კვირით ხანჯოლში მივდივარ. ახლა კარგია იქ ყოფნა, მაგრამ ვაითუ ძალიან მომწყინდეს მარტო.

ვანი მიხვდა გადაკრულ სიტყვას და სამი დღის შემდეგ თვითონაც იქით გაემგზავრა.

რად ამოირჩია ჩენმა ეს ქალაქი სიმართლის გასამქლავებლად?

ქალს გარემოს გამოცვლა უნდოდა. შანხაიში, სადაც ყველაფერი მათი ნაცნობობის პირველ ნათელ კვირეებს აგონებდა, ძალა არა ჰყოფნიდა ეთქვა მისთვის ის, რაც სამარადისოდ გასწავტვდა მათ ურთიერთობას და წაართმევდა უნარს თავი სრულყოფილ არსებად ეცნო. ამას ყოველთვის გრძნობს ის, ვინც უყვარათ.

ხანჯოლში მას ნაკლებ იცნობდნენ, იქ ნაცნობები არა ჰყავდა, უბრალოდ ჩაიკვამდა და სხვაგვარად დაივარცხნიდა თმას, შეიძლება ვერავის ეცნო. აქ უნდოდა ძალა მოეკრიბა და ყველაფერი გაემქლავებინა ვანისათვის.

საშინელება უკან დარჩა. როცა მოკლე შესავლის შემდეგ ქალმა უბრალოდ და ნაღვლიანად უთხრა ვანს მთავარი, ვაჟი გაფითრდა და ჩუმად აიფარა ხელები სახეზე. ასე ხელებში თავჩარგული იჯდა იგი რამდენიმე უმძიმესი, უსაშინელესი წუთის განმავლობაში.

შემდეგ იგი ადგა, ენით გამოუთქმელი ტკივილით შეხედა ჩენს და მღელვარებისაგან ჩახლეჩილი ხმით თქვა.

— ნებას მომცემთ, ხვალაც მოვიდე?

ქალმა უსიტყვოდ დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად და როგორც იჯდა, ისე დარჩა მოკუნტული სასტუმროს დივანის რბილსა და მტვრიან ბალიშებში.

ვანი კართან შემოტრიალდა და ასევე შეხედა ჩენს ისეთი სევდიანად და სუსტად რულით, რომ წამით გულსაც კი მოეფონა ქალს, — მას მოეჩვენა, რომ ეს უზომო სიყვარული გაიმარჯვებდა, ყველაფერს დაამხოვდა, მის წარსულსაც კი. მაგრამ ეს გრძნობა უნიადაგო იყო და მაშინვე გაქრა.

— შეუბნებოდნენ, მაგრამ არა მჯეროდა... არ შემძლო დამეჯერებინა... — თქვა ვანმა ჩუმად და გავიდა, ფრთხილად გაიხურა კარი; ასე გადიან იმ ოთახიდან, რომელშიაც მძიმე ავადმყოფი წევს ან ცხეღარი ასვენია.

როგორ თქვა ესა, როგორ შეძლო ეგზომი ტკივილი მიეყენებია ქალისათვის.

ნუთუ მაშინვე გაუქრა სიყვარული მისადმი? ნუთუ ამ მოულოდნელი და მოკლე სიტყვით უნდოდა შური ეძია იმ ტანჯვის სანაცვლოდ, რომელიც ქალმა მიაყენა?

მხოლოდ წუთით ეკვებდა ჩენი, შემდეგ კი მიხვდა, მიხვდა ისე ნათლად, ისე ცხადად, თითქოს წიგნივით გადაეშალოს ვინმეს ვანის სული: ეს სიტყვები იმიტომ წარმოთქვა ვაჟმა, რომ ამ წუთას განქარდა და სამუდამოდ გაკამტვრდა ფარისეულობის იმ ნატამალის საჭიროება, რასაც ერთმანეთისათვის უცხო აღამიანებს შორის ზრდილობიანი ქცევის აუცილებლობა ჰბადებს და მათი ურთიერთობა ისეთ საფეხურზე ავიდა, როცა არავითარი ზღუდე, არავითარი პირობითობა არ ბორკავს ორი სულის საბოლოო და სრულ ერთობას.

მან უბრალოდ თქვა ასე, როგორც იმ წუთს ფიქრობდა და ქუთით კი არა, გულთხრით გრძნობდა, რომ ქალი ცუდად არ გაუგებდა ნათქვამს.

თითქმის მთელი დღე-ღამე სასტუმროს დივანზე გაატარა ქალმა მის მოლოდინში.

ამ საათების განმავლობაში ჩენმა შეიყვარა იგი კიდევ უფრო მეტად, როგორც უყვართ ხოლმე ის, რასაც სამუდამოდ ჰკარგავენ, როცა აღამიანი ბოლოსდაბოლოს შეიგნებს, თუ რას ფლობდა და რა ეკარგება.

ვერც კი იტყოდა, რა იფიქრა მან ამ ხნის განმავლობაში.

მის წინაშე გაირბინეს წარსული, ეგ- ზომ შორეული ცხოვრების მოგონე- ბებმა; რამდენიმეჯერ გაიღვრა წლების ბურუსით მოსილმა ადრე დაქარგული დედის საყვარელმა და სათნო სახემ. ცრიატებდა ერთადერთი საყვარელი ადამიანის სახე და ანაზღად მესხიერე- ბის მრუმე სიღრმიდან ამოიშართა და ნათლად, როგორც ეკრანზე, აკაშკაშ- და სურათი ოდესღაც გაზეთში ნახული მაღალი საზოგადოების ქრონიკიდან. „ბანკირი ვან ვეი-ლინი თავის შვილ- თან — ტიანძინის კოლეჯის სტუდენტ- თან ერთად ტენისის თამაშის შემდეგ“.

ეს იყო სამი წლის წინათ, როცა იგი ვან ვეი-ლინის გაეცნო; მისი ვაჟი მაშინ სავსებით ბავშვი იყო, თხელი და გამზ- დარი. სურათზე თავისი ტანსრული, ლამაზი მამის გვერდით ძალიან პატარა ჩანდა.

მაგრამ ეს ის იყო. როგორ ვერ იცნო? როგორ ვერ მოიგონა? თუმცა რა მნიშ- ვნელობა აქვს ახლა იმას, იცნო თუ ვერ იცნო იგი, მოიგონა თუ ვერ მოიგონა? ახლა არაფრის შეცვლა არ შეიძლება.

ამჟამად ჩენმა იცოდა მხოლოდ ერთი რამ და მხოლოდ ერთი რამ სურდა. კი- დევ ერთხელ ზომ ნახავს და ესეც ბედ- ნიერებაა. ქალი გრძნობდა, რომ რაც არ უნდა მოენდომებოდა ვანს, რაც არ უნდა მოეთხოვა, იგი ყველაფერზე დაეთანხ- მებოდა და სიხარულით აასრულებდა მის თვით უმკაცრეს გადაწყვეტილება- საც კი.

ამიტომ უშიშრად და უშფოთველად იღობდა ვაჟის მოსვლას.

ტანის დინასტიის იმპერატორმა ცინ ლინმა ესთეტიკური მოსაზრებით გადა- ატანა დედაქალაქი ხანჯოლში.

იმპერატორს სამასობრმოცდაათი ცო- ლი და მხევალი ჰყავდა, მაგრამ ყველა დაავიწყდა, როცა ერთ სუჯოულელ გო- გონას მოჰკრა თვალი, მისი გვარდიის ერთ-ერთი ოფიცრის ასულს.

ერთმა წამმა გადაწყვიტა მთელი ოჯა- ხის ბედი. ქალღმვილი სასახლეში წაიყ- ვანეს, დედამისი სასახლის მიმდევარი გახდა, მამა ციური იმპერიის ერთ- ერთი პროვინციის მმართველად დანი- შნეს.

გოგონას ერქვა უბრალო სახელი, რომელიც არ შეეფერებოდა არც იმპე- რატორის საყვარელ მეუღლეს და არც მის ჰეშმარიტად ღვთაებრივ სილამაზეს.

მრავალი უძინარი ღამე გაათიეს სა- სახლის კარის პოეტებმა და ოქროპირე- ბმა, რათა შესაფერი სახელი გამოეწე- ხათ მისთვის. მაგრამ ვერც ოქროვან- ლილისფერმა სხივებმა სამხრეთის მთვარისა, ვერც ხეების იღუმალმა შრიალმა ღამით, ვერც საოცნებო ყვა- ვილების მძაფრმა სურნელმა, ვერც გრილმა ზღვაურმა ვერ შთააგონეს მათ საჭირო სიტყვა.

იმპერატორი დახვეწილი გემოვნების მქონე კაცი იყო, თავადაც ზოგჯერ წერ- და უმშვენიერეს პატარა ლექსებს და თვითონ გამოქმენა უბრალო და ზუსტი სახელი.

„ლოტოსის ყვავილი“ დაარქვა მან ქალს, რადგან ფიქრობდა, რომ ქალში განხორციელებული იყო უნაზესი მოზ- დენილობა და ნაღვლიანი სიმშვენიერე ამ ულამაზესი და უნაზესი მცენარისა.

მათი სიყვარულის წლისთავზე იმპე- რატორმა მეუღლეს აჩუქა ტბა, რომე- ლიც მანამდე არ არსებობდა და რომე- ლიც დააგუბეს მისი ბრძანებით იმ ერ- თი თვის განმავლობაში, როცა ქალი სტუმრად იყო მამამისთან შორეულ პროვინციაში.

ტბიდან უმშვენიერესი სანახაობა იშ- ლებოდა; მას ირგვლივ ორივე მხრიდან ერთკუა ზურმუხტოვან-მწვანე გორაკე- ბის გრებილი; დაბალი მთების ლბილ- მოხაზულობა შესანიშნავად ეხამებო- და თბილ, ცისფერ წყლის სარკეს მაღაჭიტითა და ბივრითით წარმტაც მოპირკეთებულ პატარა სასახლეს ია, რატორისას.

ტბა ღრმა არ იყო — ადამიანს თ

პფარავდა, ზოგან უფრო ღრმაც და მის ზედაპირზე გამჭვირვალე, ლავარდოვან ჩქერში ცოცხალი არსებებივით ირყეოდნენ ლოტოსის გრძელი ღეროები. თვით ყვავილებიც — თოვლივით თეთრი, მკრთალი სოსნისფერი და ჭერმისფერი ყვავილები ფიქრიანი და ფრთხალი გედებივით ცორიალებდნენ ტბის მოსარკულ ზედაპირზე და მუქი მწვანე ფართო ფოთლები, სიმბოლური გულის მსგავსად რომ იყვნენ ლამაზად გამოკრილნი, კიდევ უფრო აძლიერებდნენ პათს შეურყვენელ სიწმიდესა და მომხიბვლელობას.

მშვიდი დაისის ქამს, როდესაც ზეცის დასალიერზე მიწვენილი მზე უკანასკნელად ეფერებოდა მთებს, გამჭვირვალე ბრინჯაოსავით აღვიდა მათ სხივებს და გორაკები ძოწეულისფრად ეღვარებდნენ, იმპერატორს უყვარდა თავის სატრფოსთან ერთად ტბაზე წავით სეირნობა.

ქალი ქვიანი იყო და ადამიანის ყალბი და უსუსური ხმით არ არღვევდა დიდებულ პარმონიას, რომელსაც კმნიდა მეუფის სულში დედოფლის სილამაზე, ბუნების მშვენიერებით გარემოცული. და ამისათვის არა მხოლოდ უყვარდა იგი იმპერატორს, არამედ პატივსაც სცემდა.

ერთხელ, როდესაც ძოწეულისფერი მთების სანახით ტბებოდა, იმპერატორმა შეამჩნია, რომ ერთი ადგილიდან ულამაზესი ხედი იშლებოდა. მან ბრძანა, ამ ადგილას აღემაართათ კუნძული, ზედ ბალი გაეშენებიათ და აეგოთ ფანჩატური თავის თავში ჩაღრმავებისა და ფიქრთა წიად განსვენებისთვის.

თითქმის ყოველ საღამოს, ყოველდღიურ სახელმწიფო საქმეთაგან დასვენების ქამს, ციური იმპერიის მბრძანებელი დროს ამ ფანჩატურში ატარებდა თავის უნაზეს ლოტოსის ყვავილთან ერთად.

როცა შებინდებოდა და მიმწუხრის სიმშვიდე სიგრილესთან ერთად ნელ-ნელა დაეშვებოდა მიწაზე, ყველაფერი

ყუჩდებოდა ირგვლივ, დიადი და გამჭვირვალე მდუმარებით გაჩინდებოდა. ვერაფერი ბედავდა დაერღვინა ბუნებისა და ხალხთა მბრძანებლის სიმშვიდე, მხოლოდ ჩუმი, ჩუმი ხმები ჩანგისა, სულის უნაზესი სიმების დარად რომ ეღერდნენ, მოისმოდა კუნძულზე აღმართული ფანჩატურიდან.

ეს — უნორჩესი მზეთუნახავი უტკბობდა სმენას თავის დიდებულ მოტრფილეს უნაზესი სიმღერებით სოჯოუისა. სიმღერები ბავშვის ტირილივით ანდა მიჯნურთა ჩურჩულივით უბრალო და სათნო იყო.

ასე გრძელდებოდა მრავალი თვის განმავლობაში, მაგრამ ერთხელ ასეთ ქვრეტაში და ფიქრში გართულმა იმპერატორმა დაინახა, როგორ მოსწყდა ზეცას ერთი ვარსკვლავი, მუქ-იისფერ ცაზე შემოხაზა უზარმაზარი ცეცხლოვანი რკალი და განქარდა უსასრულო და იგავმიუწვდომელ არყოფნაში. იმპერატორი მიხვდა, რომ ამ საწუთროში ყველაფერი წარმავალია, უწყალო ქამი და ბოროტი ცხოვრება შემუსრავდენ ბოლოს მის სიყვარულსა და მისი ლოტოსის ყვავილის მშვენებასაც კი.

იმპერატორმა დაასვენა, რომ მიწიერი სიყვარული და სილამაზე, სხვა სფეროებში გადატანილი და ამალებული, გაიძარჯვებდა ქამსა და სიკვდილზე.

მაშინ, რა მოასრულა ყველა მიწიერი საქმე და უცნობ გზაზე დასადგომად განემზადა, მიხვდა, რაოდენ უფასური იყო ყოველივე, რაც აქამდე აკვებდა მიწაზე და რაოდენ უნიადაგო იყო მისი განზრახვანი. მაშინ ჩასწყდა ყოველგვარი მიწიერი მიზნისთვისება — გონიუწვდომლად და შეუმჩნევლად განერიდოს ადამიანს და აშაიარად მარად მიუწვდომელი იყვეს ზეცის მნათობთა დარად და მაცთური — ცხოვრებასავით.

მან მოიგონა სიტყვები ირანელი პოეტისა და ბრძენის საადისა, რომლის წიგნი ოდესღაც მეგობრობისა და პატივისცემის ნიშნად გამოუგზავნა სპარსელთა მბრძანებელმა:



ყოველი წუთი ცხოვრებისა ჩვენს სუნთქვან
 მიჰქვს,
 გაიხედავ და — გაყოლია სიცოცხლე ნიავს.

იმპერატორმა დახვეწილი ლექსით
 გადათარგმნა ეს ჩინურ ენაზე და ბრძა-
 ნა, კუნძულის სასახლეზე ამოეკვეთათ.
 ეს იყო იმპერატორ ცინ ლინის უკა-
 ნასკენელი განკარგულება.

სალამოს თავის სატრფოსთან ერთად
 გადავიდა კუნძულზე და განმარტოვდა.
 როცა დაბნელდა და დაისის სიმშვი-
 დე სიგრილესთან ერთად ნელ-ნელა და-
 ეშვა მიწაზე, გამქვირვალე და დიდებუ-
 ლი მღუმარების წიაღში ფანჩატურიდან
 მოისმა ჩანგის ტყბილი და ნაზი წკრი-
 ალი.

ჩანგის ხმა სულ უფრო და უფრო
 ჩუმად ისმოდა და ყოველ მსმენელს
 ეჩვენებოდა, რომ მისი საკუთარი სუ-
 ლის უფაქიხესი სიმები თრთოლდნენ.

ბოლოს წკრიალი სავსებით მიწყდა
 და ირგვლივ განეფინა დიდებული და
 წარბაცო, მაგრამ უკიდევანო და და-
 ურღვეველი მღუმარება.

ამ დროს ცაზე აბრჭყვიალდა და
 აციმციმდა ახალი, ასტროლოგთა და
 ბრძენთათვის ჯერეთ უცნობი ვარსკე-
 ლავი, და მოხუცებულნი ამბობდნენ:
 გარდაცვლილი იმპერატორის სული
 შეერთო მიჯნურის სულს და ზეცაზე
 ანთოთო შუქურა ჩაუქრობელი სიყვარ-
 ულისა, რომელსაც ეს მაცთური და
 წარმავალი დრო-ქამი ვერ ეპუება.

ვანი სალამო ხანს მოვიდა, შალზე გა-
 ფითრებული და კუშტი, მაგრამ მშვი-
 ლად და მტკიცედ ექირა თავი სავსებით
 მომწიფებულ მამაკაცვით. უცნაურიც
 კი იყო მისი ეგეთი სიმტკიცე, ის ყო-
 ველთვის გაუბედავი და დამყოლი
 ჩანდა.

უყოყმანოდ შეხედა კაბუკმა ქალს
 თვალბში და ჩენსაც არ აურიდებია
 მზერა. მაგრამ როდესაც ქალმა მის
 თვალბში იგივე თბილი სიყვარული

ამოიკითხა, უჩუმრად, გაუღიმებლად გა-
 უწოდა ორივე ხელი.

მანაც ისევე ჩუმად, მშვიდლად და
 მაგრად ჩასკიდა თავისი ძლიერი ხელე-
 ბი, მიიკრა მკერდზე და ტუჩებში აყოცა
 ხანგრძლივი, სისხლის ამჩქაროლებელი
 კოცინთ. ასე უდაბნოში მწირი, რომე-
 ლიც დიდხანს ოცნებობს ერთ ყლუპ
 წყალზე და ბოლოს სუფთა, ცივ წყა-
 როს მიავნებს, დაეწაფება ხოლმე მას
 და სვამს, სვამს, ველარ სცილდება.

ეს მათი პირველი კოცნა იყო.
 ვანმა ხელი გამოსდო ქალს და სახ-
 ლიდან გამოვიდნენ. ქალს არაფერი
 უკითხავს, ვაესაც ხმა არ ამოუღია, მაგ-
 რამ ჩენ იუ-ლანმა იცოდა, რომ ახლა
 წაპყვებოდა, სადაც ვაფი მოისურვებდა
 და არც კი ანტერესებდა — საით. იგი
 ისევე მასთან იყო, არ უარპყო, ხელი არა
 ჰკრა, გული მისადმი სიძულვილით კი
 არა, სავსე ჰქონდა იმავე მწველი, უკვ-
 დაფი სიყვარულით, რომელსაც ეს მაქ-
 ციერი ცხოვრება ვერას დააკლებს.

ისინი ტბის ნაპირას გავიდნენ. ვაფი
 დაეხმარა ქალს ჩამჯდარიყო ძველ,
 ბრტყელძირიან ნაფში, რომელსაც დრა-
 კონი ამშვენებდა წინამხარზე და ლამა-
 ზად იყო შემკული ხვეულებითა და მო-
 ჟტროვილი კიჩოთი.

ვანი ნიჩბებს მიუჯდა, მენავე ნაპირ-
 ზე დატოვა და ნელა, მაგრამ ძლიერად
 მოუსვა ნიჩბებს. თბილი, ჩამავალი მზის
 სხივებზე ქარვასავით აპრიალბული
 წყალი აჩქამდა ნავის ცხვირთან.

როცა საკმაოდ დაშორდნენ ნაპირს,
 ვანმა ნიჩბებს ხელი უშვა. თოვლივით
 თეთრი, ნაზი სოსანისფერი და ქერმის-
 ფერი ლოტოსები ფრთხალი გედები-
 ვით ტივტივებდნენ წყალზე მათ ირგვ-
 ლივ და გამქვირვალე ჩქერში მათი
 გრძელი, სუსტი ლეროები მოჩანდა.

ვანმა მოსწყვიტა ერთი თვალისმომქ-
 რელად თეთრი ყვავილი და თავის
 სატრფოს გაუწოდა.

— ცხოვრება მკაცრი და ვერაგია,
 მაგრამ ჩვენი სიყვარული ლოტოსის ამ
 ყვავილივით წმიდაა, — თქვა მან.

და მოუთხორო ძველისძეველი ხანჯოური ლეგენდა.

როცა დაამთავრა, სიჩუმე დასადგურდა ირგვლივ.

ჭალაქიდან არავითარი ხმა არ მოისმოდა. ის წარმტაცი საათი იდგა, როცა მთელი დღის განმავლობაში დაღლილი მზე უკანასკნელ ალერსს ალვრის დედა-მიწას. მის მუქბრინჯაოსფერ სხივებში მთები წითლად ეღვარებდნენ და გრძელ, გრილ ჩრდილებს აფენდნენ შორეულ სანაპიროებს.

ტბაზე ნელ-ნელა ეშვებოდა დიდებული და გამპვირვალე სიმყურდროვე. ვანმა ჯიბიდან ამოიღო პატარა მუშა, რომელშიაც ოპიუმში ესხა და მოსვა, ნახევარი ჩენ იუ-ლანს გადასცა. შემდეგ ისინი ერთად დასხდნენ ნავის კიბოზე, ერთმანეთს მიეკრნენ, ნაზად ჩასქიდეს ხელები ურთიერთს და მიაჩერდნენ მტრედისფერ, გამოუცნობ ზეცას, თითქოს ელოდნენ — როდის აინთებოდა ზედ ახალი ვარსკვლავი.

მადიარების ქვეყანას აღარ ძრავს ბრძოლის ქუხილი.
 ბრძოლის ველიდან მოისმის კენესა, გმინვა და წუხილი!
 დაღვრემილია შეკრიკი, უვლია ღამე წყვილიადი:
 „აღარ არსებობს უნგრეთი! დასრულდა ბრძოლა დიადი!“

ხალხის გმირების გვაგებზე მტარვალთა ურდო ტრიალებს,
 თავისუფლების სიმაგრე დაუმსხვრევიათ ტირანებს.
 ჰოწით მოსილნო მეფენო! გმართებთ ზეიმი ჩვეული:
 თავისუფლების ლამპარი მეორედ არის ძლეული.

მხარვე ტანჯულო, შეგწირეს სიცოცხლე წამიერი და
 გმირებს დიდების გვირგვინი შეამკობთ ამიერიდან.
 შენს რჩეულ შვილთა გვაგებში ფეთქავს ევროპის იმედი,
 და პოლონეთის ბედსაც აქვს შენთან საერთო მცირედი.

დაეცნენ. მაგრამ ბნელ ღამეს გააპობს სხივი აისის,
 სამარხებიდან გმირები წამოდგებიან ხალხისით,
 რომ შეკრან მშობა იმათთან, ვინც ეშაფოტზე დაეცა,
 ვისლაზე სიკვდილს შეება, რათა სიცოცხლე დაეცვა.
 როცა სახალხო ზღვევის ეამს შენს მებრძოლ შვილებს დახვდები,
 რომ დესპოტიზმი დაამხო, დასცენ დამპალი ტახტები, —
 როგორც საბრძოლო ყიყინა, გმირობის გამომსახველი,
 ბრძოლის ველს შეაზანზარებს მადიარების სახელი.

ჩემს მემოგარ ორატორ-რევოლუციონერს

მე ჩამოვრჩი, ვერ გავიგე თქვენი დიდი მოძღვრება,
 ვარ იგივე, რაც ვიყავი ჩემი დღე და მოსწრება.
 თქვენ დაჰკარით! მართალია, ვერ გადავსვამ ფიგურებს,
 მაგრამ გულით თქვენთანა ვარ — უცხოად ნურვინ მიგულებს!
 ერთი გადატრიალება ვიცი დღემდე ნამდვილი,
 და ვერც იმან აახდინა ქვეყნად ხალხის წადილი:
 ეს მსოფლიო წარღვნა იყო — ვერ დაშრიტა ნაღველი,
 ისტორიას ზღაპრად შერჩა მისი დიდი სახელი.
 მაგრამ წყალმა რომ დაიკლო, ტახტზე ნოე ავიდა,
 და დაიწყო დიქტატორმა ბატონობა თავიდან.
 ჩვენც ვაქციით სინამდვილედ ზღაპრად მონაპოვრები
 ოლონდ გვინდა მტკიცე ხალხი, გვინდა ორატორები.
 მამ წინ! ბრძოლით მოიპოვებთ სამართალს და მშვიდობას!
 მეც, ფიცს გაძლევათ, ნაღმს ამოვდებ დიქტატორის კილობანს!



უცხო მხარეში*

გუშინ ასატურა შემხვდა, — ყველაზე მოხერხებული ჩვენს ამხანაგებში, — რომელსაც არაბადან არაფერი დახმარება არ მოსდის და თავისი შრომითა და უაფთო გააქვს თავი. ვერ პაპაროსებს ჰყიდა. ახლა მაწონი დააქვს რესტორნებში და კერძო ბინებში. ესეც მისი მოგონილია. კარუფის ქუბაზე მოზარდი ქვაბში რძის ადუღებს, მერე პატარა ფინჯანებით მრგვალსა და ღაბად ქილებში ასხამს, მაწონის დედის შეუშაბუნებს, თბილად შეინახავს და დილით უკვე შედედებული მაწონი დახვდება. ქილებს თავს მოუკრავს, საგანგებოდ გაკეთებულ ჩემოდანში ჩააწყობს და ჩამოარჩევს რესტორნებსა და კერძო ბინებში. გაუქირვებლად ცხოვრობს თავისი ცოლით, მაწონს „ოფეკრთი“ ღაპრავს.

შესამე წელიწადი გადმოსახლებულია, მგონი არმთავარიდან, ხოლო წინათ საქართველოში ცხოვრობდა. ქართული კარგად იცის. შრომა რომ არ უფასდება, გულმოსული გაიძახის: ამდენ უაფას ვეწევი, რომ იტყვიან — წილებზე ფებს ვიღებამ, მაგრამ მაინც გაქირვებამი ვარ. როგორ არის, რომ ზოგა სულაც არ შრომობს და ჩემზე ნაკლებ მაინც არ ცხოვრობს?

ასატურა რომ შემხვდა, თითქოს რაღაცა მოგონდათ, დაღერებელი, ჩაფიქრებული სახე უცხად შეეცვალა, გაიღიმა, მომიახლოვდა და მითხრა:

— ლოზანაში ვაპირებ გადასვლას, რესტორანი უნდა გაეხსნა სომეხი ემიგრანტი სტუდენტებისათვის, მაგრამ მაწონის წარმოებას თავს ვერ დავანებებ, შეიძლება რესტორანმა მანარალოს, მე ხომ იღბალი არაფერში მაქვს! ჰოდა, თუ გინდა, ჩემი წამოწყებული საქმე შენ ჩაიბარე, ექვსი აუზი გამაფლობოში უსაყიდლოდ ისარგებლე ჩემი მოწოდებით და მეუბრუნებოდი, ხოლო მერე, თუ არ დაებრუნდი, მათი ღირებულება ნაწილ-ნაწილად გადაიხადე.

წამოყვანა და თავისი „მაწონის მეურნეობა“ მაჩვენა. ყველაფერი ამხსნა, მაწინე დავთანხმე. მორე დაღეს ჩამომატარა და გამაყნო თავისი მეურნეობი, რესტორნებში რომ შეედოდი, ლაქები მხიარულად ხედებოდნენ ასატურას, მხარზე ხელს უტყაბუნებდნენ დიმილით: „პატონო ასატურა! როგორ ბრძანდებით? რაი? ახლა ეს ბიჭი ივლის შენს მაგიერ? შენ სადღა მდობარ? შენმა „ხაზინმა“ ხომ არ დაგიოხნო.

ვა? იქნებ დამავე რამე? მაგრამ შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ!“ — ეტყოდნენ და გვერდში მიუჯდებოდნენ წაყარდნენ... მაშ ეს იქნება ახლა შენს პატრონთან? აჰ! კეთილი! „აბა მიდი, გამოიღე ცარიელი ქილები“ — მიმოთითეს ბუფეტის უჯრავზე, საიდანაც ყოველ დილით უნდა გამოემეღო ცარიელი ქილები და ამდროევე მაწინით სავსე დამეტოვებინა.

— აბა, ახლა სხვაგან წავიდეთ! ეს რესტორანი ხომ დაიხსომე? — მითხრა ასატურამ, — ხედავ, ლაქები როგორ მოგვეცვენ? მავათ დღე ვინმე ჰგონათ თავიანთი თავი. ხელსაც წაგვარავენ, უდიერადაც მოგვეცვენინა, მაგრამ რა გვენალვლება, რაც უნდათ, ის იფიქროს!..

— რა გაუწვობა, — დაუთანხმე გულსიტყვილით.

— ჰოდა, ასე ახლა კერძო ბინები დავიაროთ! თორ საათზე მეტს არ მოუწოდებოთ შემოვლას. მერე კი თავისუფალი ხარ საღამომდე, ხომ ითლი საშუაოა? გიყვების მოვლას მაინც სჯობს! მთელი დღე შენს თავს ეკუთვნის, თუ გინდა, ღვეტიკებზედაც იფიქრე.

ერთად ვისადილოთ სასადილოში. საღამოს კი, დილით ადრეული ოცე ლიტრა რძე დიდ ქვაბში ჩავახში ასადუღებლად და რომ არ გადმოსულიყო და არც ქვაბის ძირს დაკვროდა, ქურაზე ანბესტრ დავუფინე. ერთი საათი ვადუღე ისე, რომ რძე განახებდა, გასქელდა. მერე პატარა ქილებში ჩავასხი. დამზადებული მაწონის დედა შეეუშაბუნე და თბილ ყუთში ჩავაწყე. ხედავ დღას მარტო მე ჩამოვატარებ მაწონებს.

მანაღისებს ეს მუშაობა. თავისუფალი დრო ბევრი მაქვს... ასატურა უკვე გაემგზავრა ლოზანაში. ენათობ, ერთი, როგორ წაეა ჩემი საქმე..

ცხოვრებამ გამიღიმა. მხიარულად ვგრძნობ თავს. პირველი საათისათვის უკვე მოთავსებული მაქვს ჩემი საქმე სასადილოში დედეურ, როგორც სხვებში. ორკერძიან სადილს დავუკვებავ. ჩემს საყვარელ პუდინგსაც მოვიტოვებ. ამხანაგები „შწარმოებელს“ შეძახიან. მოწინებოთ გზას მოთმობენ. საღამომოთი ჩემთან მოდიან „ქარბანაში“, ყველას მაწინით ვემსახობოდები. მიხას შენ გვატან მთლმე, სოფთა ქაღალდში კარგად ვაბეჭდვს. ახორუბულია! დღებანს მხიარდება ხეყვსა, რომ წაიღოს. არაეინ დამანახოსო, გაიპარება ხოლმე ფარდულიდან.

დღეში ოთხმოცე ქილას ვყვდი. ხუთი ფრანკი მჩრება დღეში. კარგია, კარგი! მველავები გავისტუმრებ, — დედასხლისი, მრეცხავი, ახლა წიგნ-

* გაგრძელება იხ. „მთაბი“ № 2, 3, 4.

ბას ყიდვაც შემიძლია, რამდენჯერ გამიფლავა ბუკინისტი ვიტრინასთან და თვალზე დამარჩენილ იაფფასიან წიგნებზე. ახლა კი ვიყიდი ანაბრად ფრანსის კრიტიკულ წერილებს, ბალზას, რომენ როლანს და სხვებს... თუბრამიღ წავალ ვახამებელი თეორი პურანგი ვიყიდე და ერთი კარგი პალატუნიც, ლღად ვგრძობო თავს!

გუწონს მე და ლეო შევთანხმდით, რომ ისიც მიიღებს მონაწილეობას ჩემს „წარმოებაში“. დღეს ადრე მოვა, ქილებს თავს მოუკრავს. ერთი პატარა ჩემოდნით იქვე აბლომასხლო თხუთმეტობედ ქილა მაწონს კერძო ბინებში დაარიგებს და მიგვებს გავიყოფო.

დღეს მისამართები აღუწერე, პატარა ჩემოდანში მაწინები ჩვეულებად ორივენი სხვადასხვა მხარეს წავედით. უკან რომ დავბრუნდი, ლეო მისული დამხედა. კოხებშეკრული, გაჯერებული, პაპირისის ცვამლი გახვეული იჯდა. შედეგი თუ არა ფეხი გაშვავებით მომეჩარდა.

— დემთომა შენც შეგარცხვინა და შენი მაწონიც! რა მიყავი ეს, რა... მეც რა ღმერთი გამიწყრა, რომ მაწინების დარიგებას ხელი მოგკიდეს! რა მრჯიდა, განა არ მერჩია, ბუღგარლებლის სასადილოში შევლო და „პაპირიკაში“ შევახა... *

— რა მიხდა? რაზე ხარ გაჯერებული?
 — სულ შენი ბრალია!
 — იღარ იტყვი, რა დაგეშართა? მოდი, ავირატორანში შევიდეთ! მიუხედავად ლუღზე დაბპატაკებ, დაწყნარდები. წამო!

ცოცხ ლუდი ხარბად მოესვით. ლეომ უღუბშებზე ქაფი მოაწმინდა, ბენსზე გაისწორა, შეკრული კოხები გახსნა, პაპირისი გააბოლა.

— ზარი რომ დაერკვე, ჩემოდნიდან ამოღებული ერთი ქილა მარჯვენა ხელში მოვამარჯვე-ვესდვი კარების გაღებას. ჯერ სინათლე აინთო. შერე კარიც გაიღო და... ჩემს წინ თეთრ კაბაში გამოწყობილი გოგონა იდგა, ლურჯთბალებიანი, —ის პოლონელი გოგონა, უნივერსიტეტის სამკითხველოში რომ გავიცანი. მაწინით გაწვიდილი ხელი ჯერ გამიშეშედა, შერე უცხად მომიდუნდა, ქილა კიბეზე დაგორდა, თუარი სითხე საფეხურზე დაიღვარა...

— შერე, ლეო, შერე? — ხიცილი ყვალში მომეხვინა.

— ბვერი იძახა, „არაფერი! არაფერი!“ მგარამ შე უცხად გამოტრიალდი. კიბეზე ისე დავშევი, უკან აღარ მომიხედავს...

— მაწონი არ დაგიტოვებია?...
 — შენ მხუბრები, შე კი გულზე ცუცხლი შეკიდი!

სადამოს ამანაგებმაც ვაივუს ლეოს ამხაფი. დაგვიწინდნენ, შე კაპიტალიტის მეტახდნენ, ლეოს ექსპლოატირებულს. „მწერლობას იფიგი მიანებეს, წარმოება დაიწყესო“, ამბობდნენ.

საკვირველია, რომ ამ ომის დროს შეიკვირაო მოლონიერდა. საოცარია ისიც, რომ აქამდე ვ-

ნეგას არ ჰქონია თეატრის შენობა. მხოლოდ კარუისი ქუჩაზე, მსუბუქი კოხელებთანა და ვოლდეილების წარმოდგენით კვაფოდელებიკა ენევის საზოგადოება, კერძო მტრისმიტრინეუ მართული სცენითა და დარბაზით, რომელიც მხოლოდ სამასამდე მაყურებელს იტევდა.

ნამდვილი თეატრის აშენება ომის წინა დღეებში დაიწყო და ავირ ახლა დაამთავრეს. კარგია, ლამაზია, საკმაო მაყურებლებსაც იტევს. დარბაზი ახალ გემონებზეა მოწყობილი. მას არა აქვს ჩვეულებრივი ლოგები, იარუსები და ქანდაკები. ყველა მაყურებელი პირდაპირ უნაზერს სცენას.

ენეველები არ არიან ჩვეული ნამდვილ დრამებსა და კომედიებს. კლასიკური პიესები არ მისწონთ. უმეტესი ნაწილი დამსწრეთა რიცხვისა რუსი ემიგრანტებისა და სტუდენტებისაგან, პოლონელებისაგან, ბულგარელებისაგან და სხვა მისულ ხალხისაგან შედგება. ამტომაც რეპერტუარში შეტანილია რუსული პიესები: გორკის „ფსკარზე“, ლ. ტოლსტოის „აღდგომა“, დოსტოევსკის „ქმები კარამაზოვები“ და სხვ.

სექტაკლების დადგმისა რუსები დიდ მონაწილეობას იღებენ. — ესმართბიან დამდგმელა, რეჟისორს და პიესამაც მონაწილეობენ, როგორც რუსული ხორო და სტატისტები. ლ. ტოლსტოის „აღდგომიში“ სტატისტად მეც გამოვდგარ მდგელის როლიში — ნებლოდოვის დეიდასთან აღდგომალაქის წიგნის შემდგა, მდგელები სუფრის საყურახებლად რომ მოდიან.

რეპეტაციის დროს არტისტ ქალს კოცნა ვერ გავუბედე და გარეწული მოძრაობით სამჯერ აქეო-იეთი გადაეაქნიე თავი, რეჟისორმა იყვირა: — ეს რას ჰგავს! ეს როგორ შეიძლება! შენ რაღა ღმერთი ვიწყებია! — შეუტია მას — კოცნა არ იცი, თუ რა მოგდის! აბა, ვაიშეორე, როგორც რიგი და წესის!

ამის შემდეგ, წარმოდგენების დროს, ნეაღვი-ღოვის დეიდებს, კატემა და სხვა ქალებს ღი-ზილით სამჯერ გეოცნი, სექტაკლი წარჩინებით მიღეს. თეატრი მუდამ ხაყუა მაყურებლით.

მაგონდება: ჯერ კიდევ ყრმობასას, ისე ვიყავი გატაცებული წარმოდგენებით, რომ არც ერთ დედამას არ ვყალბებოდი. პიესები ზეპირად ვცოცდი.

ბავშვობისას, ზაფხულობით, სურამში წარმოდგენებს ვმართავდი. რადგან სცენა არ გავგანა-და, აივანზე ვაწყობდი ფიცრებს, ამალეუბულ სცენას ფარდებით შემოვფარავდავდი, მაყურებ-ლებსათვის სკამებს დავაღაგებდი და დიდი ენთუზიაზმით ვთამაშობდი გუნაიას ვოდელებს.

ზოგჯერ საზღუსელო ვასტროლებზე აქტიორე-ბი ჩამოდიოდნენ. ერთხელ თვით მესხიშვილიც გავწვია თავის აქტიორებთან ერთად. რასაცვირ-ველია, დილიდან საღამომდე მათთან ვიყავი. მათ საუბარს ყურს ვუვადებდი, რეპეტაციებს ეესწრებოდი, თუ რაშეს დამაყალბდნენ, მყოვე-

უწარღებელი. იმ ზაფხულს სურამში ცოტა იყო მოაგარაკე პირველი წარმოდგენები კი გაბედნი-
ლი იყო ხალხით, მაგრამ შემდეგში აღარაფრ
დადიოდა. აქტიორებს სასტუმროს ვალი დაე-
დოთ. მესხიშვილი კიათურაში გაიწვიეს. დარჩე-
ნილებს გზის ფულიც აღარ დაჰანდათ, უმწუო
მდგომარეობაში ჩავარდნენ. იმ ხანად სურამში
ნატო ვაბუნია ჩამოვიდა სტუმრად თავის ნათე-
საებთან. აქტიორებმა ისარგებლეს მისი იქ
ყოფნით. სხაოყეს, მონაწილეობა მიეღო წარ-
მოდგენაში. ნატო ვაბუნია დათანხმდა. პიესას—
„ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწილეს“ დგამ-
დნენ. მაია სუფლიორი ბეგლარაც მონაწილეობას
იღებდა წარმოდგენაში, ამიტომ მე შთოხვეს,
მისი ადგილი დამკვაებინა. ჩემს სიხარულს
საზღვარი არა ჰქონდა, რასაკვირველია, დაე-
თანხმდა.

და აი, დადგა ხანდუარი საღამო, ხალხს
მოსაზიდად დაქირავებულმა სასულე ორკესტრმა
დაიწყო ტყეტილი, ღრუბუნე და ბრახარბუნი.
ჩემი გულიც აძგერდა. დარბაზი მაყურებლებით
ვაივსო. მე აქტიორებთან ერთად კულისებში
ვარ. ვუმზერ, როგორ იცვამენ, გრიმებს როგორ
აეთვისებენ. სცენაზედაც ვაგვიდგარ. ფარდის ქუე-
რულანიდან დარბაზს ვაგვიხედავ. იქ აურზაურა,
ღრიანცელი, ყვრილი... სცენაზე გამოდიან —
ხეივანიძე, ალ. იმედაშვილი, ბეგლარა, ყურთ-
მაყვიბანი კაბები აცვიოთ, გრძელი უღეაშუნი
გაუცოვრიანობა და ფოთობა ქუდეები ხორავო.
ჩემთან მოვლენ — შემეყოთებანი, — ხომ პირად
ვგრძნობ თავს. სიამაფით მეესება გული, წიგნს
ვადგეზლი, რამდენიმე სტრეიონს წყეიეთივ,
პუღავ, ერთი რეპტიცია მაინც ვაგვედო!

ხალხის სადღესასწაულო განწყობილება მეც
გადმომიდო, მაგრამ ფულში შიში შემეგება —
შევიძებ კარნახს? დარკეს მეორე ზარი. სცენა-
ზე ნატოც გამოდის. ფარდის ქუტურტანაში
იხედება. აქტიორები მიცვიდებიან, კოცნიან.

— ნატო, შენ გუაწყვალე! — ეუბნებიან.
— აი, მები კი დაეყარეთ მაგ თავში! რა გეშ-
ველებოდათ, თქვე უხედურებო, მე რომ არ მოვ-
სულდფავი!.. ბიჭო, კი არ დაიბნე! მე ცოტა
სხვანაირად ვილაპარაკებ! — მომშართავს ნატო.

— აბა ჩაეექ საკარანახოში. შენ იცი!... —
მეუბნება იმედაშვილი.

ჩაევეები თუ არა, სცენას გაეხედე. — სულ
სხვანაირად მომჩვენა: ახალადა შევამჩნიე, რომ
ქორზე ჩამოყადებული ღამა ქანაობდა, დამუ-
რას ფრთხილად აფარფატებდა ჩრდილებს ჩემს
გამოვლილ წიგნზე. უმწუობა ვიგრძენი. შევმანდი.
წიგნს ჩავაჩერდი. ასოები ისე მწყრივად აღარ
მიაცხებოდნენ ერთმანეთს, უცებ მესამე
ზარიც დარკეს, ფარდა ვაჩიოლდა. ციგმა
ქარმა დაუბერა. დარბაზში ღრიანცელი შე-
წყდა. პირველი სიტყვები მივაწოდე. აღა-
პარაკდნენ აქტიორები. დარბაზშიც სიწყინარება,
მაგრამ ავტო სცენაზე გამოდის ნატო. სწრაფად

დაპარაკობს, სიტყვების მიწოდებას ვერ
ვასწრებ. დარბაზი გამხიარულდა. ნატო
კი, როგორც სჩვევია, ღაპარაკობს. მე... აბა
მისმენს. დავიხეი. ასოები ხტინა... მტყუანებამ
ვარბიან, ვეღარ ვიჭერ და ვფურცლავ, ვეჭებ,
ვიბნევი... მაგრამ, აი ნატო შეუჩერებლად ღაპა-
რაკობს... ხალხი იცინის. აქტიორებაც იცინიან,
სიცილას და ხარხარში თავდება პირველი მოქ-
მელება. ჩემი მარცხი მაყურებლისთვის შეუწ-
ნეველი დარჩა.

საკარანახოდან ამოვდებარ, არაფერს მეუბნე-
ბიან, ბეგლარას როლი გამოტოვებს. სუფლიორად
ისევ ის ჩასვებს.

ომი ვრძელდება. ასეთ საშინელ ისტორიულ
დროს, როცა ყველა სოციალისტური პარტია
დაბნეულობამ და კრიზისმა მოიცვა, როცა
მუშათა მოძრაობის ლიდერების რენეგატობამ
და შიდალატეობამ წამოყო თავი — შილოდ
ლენინმა და მისგან შექმნილი პარტია აღმოჩნდა
თავის სიმაღლეზე და უწყყმანოდ დაიწყო ბრძო-
ლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მისი
სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის. პლებანო-
ვსკაც კი ვადუხვია რევოლუციური მარქსიზმს
გზიდან. მან გუმბინწინ წაიკეთა რევფრატი —
„ომი საბოლოო გამარჯვებამდე“. რასაკვირვე-
ლია, მის გათსვლას დიდი საზოგადოება დაე-
წრო. მისი რევფრატი, ჩვეულებრივ, ფრანგებით,
ციტატებით, ღამაში სიტყვებით, ავტორიტეტული
თეორეტკოსების აზრითა და ისტორიული მასა-
ლებით აყო საყვ.

რევფრატის შემდეგ ორატორის წინააღმდეგ
რამდენიმე ბოლშევიკი გამოვიდა, მაგრამ მან
თავისი ავტორიტეტით ისინი დარბდილა. ქენევის
შემდეგ პლებანოვმა იგივე რევფრატი ღოზანაში
გამიკურა. ამ რევფრატზე ბერინდან ღოზანაში
ლენინს ჩავიდა და სასტკიად დაამარცხა იგი.

ღოზანას შემდეგ ლენინმა ჩამოიარა შვიცარი-
ის ქალაქები თავისი რევფრატით და დაბნეუ-
ლებს, მენშევიკებისაგან გაბრიყვებულებს თვა-
ლი აუხილა.

ემიგრანტული ცხოვრების დაბნული პაერი თან-
დათან იხუთება. ვიწროვდება წრე ჩემი მახლობ-
ლებსა. გუმინ ქენევიდან წავიდა კონსტანტინე
გამხაზურდია, ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი. ვენე-
ვამი მან სულ სამოთღე თვე დამყო. გერმანიაში
სწავლობდა უნივერსიტეში. ომის დაწყებისთან-
ავე დაატესალეს, როგორც რუსეთის ქვეშევრ-
დომი, მაგრამ ტყეობიდან თავი დაიხსნა. ვენე-
ვამი ჩამოსვლის უფლება მისცეს. თუმცა ჩვენ-
სავით გაკირვებულად — ემიგრანტულად —
არა ცხოვრობდა, ვინაიდან საკმარის სტიპენდიას
იღებდა შავი ქვის მწვეწკლავის გამოგებისაგან,
მაგრამ პასპორტის უქონლობის გამო საქაროვე-
ლოში წასვლის ნება არ მისცეს. ჩემზე მეტად
წუწუნებდა: წებდა სამშობლოს დამორცხას. კი-
დეც კარგი, ბოლოს მაინც მოახერხა და აქურთი

საკონსულოდან ვიზა აიღო სამშობლოში დასაბრუნებლად. ნეტავი მას გახარებული წავიდა. „სახალხო ფურცლის დამატებაში“ იბეჭდება ჩემი „გულიანი ძიება“, მიხარია, მაგრამ გული მაინც მიკენისებს, რომ ჩემს გარე-გარე ხეტიალს ზოლო არ ეღება.

მასხენდება ჩემი კარ-მიდამო, ჩემი ნაცნობი ადგილები, ვიგონებ სოფლის მიწმარებულ არე-მარებს, ტბასავით ღურუჯ ჯგუჯალს, ვენახებსა და ყარებს. გორაკებზე თოკებივით ჩამოყიდებულ ვიწრო ზოლიებს, ყვართ დაბურთულ აივნებს სახლებს, ფერდობზე რომ ფუტკრის სკეპივით გადმოიშვებინან. თათქის თვალნათლივ ვხედავ: დამბოლოში თავწყარული გლეხი ყანას თობსარს. ნაბეჭდივით დაფენილი ჩრდილები და ამხელის ტოტები განაძლიან. სადაღა შორის გვირახივით ვიწრო ხევი, ანკარა მდინარე მორაკაკებს და გამოეშვებულ მდღეობებს ოდნე არღვევს. სიცხისაგან მოდუნებულ გვიძრას დასძინებია და ფოთლებს თავები ჩაუქინდრავო.

სიგრცეს უცებ სერზე გადმოიშვარი მოხუცის ძახილი გააოხბს, შუბლზე ხელისგული მიუჩრდოლავს მარღვებდაქიმული გაკვივის: „ბიჭო, იაკინო! უუუ!... არ გვხვს ბიჭო, იაკინო, უუუ!... „რა იყო, რა!...“ „ღორბი შესულან ბიჭო პოსტანში და გამოდენე გამოდენე!.. უუუ!“ — დაიძახებს მოხუცი. ისევ სიწყინარე ჩამოვარდება და გრძელდება ცხოვრება სამშობლო მხარისა...

რა ზრწინავდა, მზიანი დღე გაიფინდა ჩვეულებისამებრ ადრე ავღებო და უნივერსიტეტის ზიბლითიყვას მივაშურე, რათა ანატოლ ფრანსის კრიტიკული წერილებს ზოლო გვერდები ჩამეკიხბა.

ჩაფიქრებული მივცვებოდი კარუვის ქუჩას. ქუჩის მუორე მხარეზე ორი რუბი ნაცნობი ახალგაზრდა დავიხახე. ვაცხარებით დავობენ რაღაცაზე, სახე უბრწყინავდათ. დამინახეს თუ არა, შედგინე. მეც მივუბლოვდი, სიცილით იპოცებოდნენ.

- არ იცის, აი! არ იცი? არ იცი?
- რა, რა უნდა ვიყოდე?!
- ვაი, არ იცის!
- რა უნდა ვიყოდე, მითხარით! რამია საქმე!
- რუსეთში რევოლუციამ ნიკოლოში ჩამოგადეს!

— თაბრუდაბეველი, გამტრებული ვფიქრებ შათ. ხმა ვერ ამოვიღია. მატყუებენ, თუ მართლს მეუბნებიან?

— თუ არა გჯერა, წადი, გაზეთი იფიდე და ყველაფერს გაიგებ.

მაშინვე მოვერცხლე მოუღმისაყენ, მაგრამ ორი ფეხი არ მოფინიდა მალე მისახელელად. შორიდანვე მსამოდა გაზეთის გამყიდველის ძახილი. გრძელი და დაუსრულებელი შეიქნა ჩემთვის ის შანძილი, წინათ რომ უცხად გადავლახავდი. გაზეთის გამყიდველი კი გაკვივის მისთვის უმინარ.

სო სიტყვებს, ისეთივე კილოთი, როგორც სხვადრის.

მიგრბიერა. გამხნე, როგორ იტყვიებო მოვალაქენი ამ გაზეთს. იქვე გამაფრებინო კითხულირბენ, ოღიშებან, ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებას და კვლავ განაგრძობენ გზას. მეც სწრაფად გოვადე გაზეთის დამატება, რომელშიაც ეს ამბავი ეწერა. ხუთი სანტიმის მაგიერ ათი მივეცი. იქვე მივაყვეცე თვალები მსხვილი ასოებით დაბეჭდილ ცნობას. მეცე გადაყენებულა. დროებითი მთავრობა შედგაო. ორიოდე წუთი ვიდექი თაბრუდაბეველი, გულატროლებული, ნეტარებითა და სიხარულის ცრემლებით სასენეს რამდენიმე სანტიმარო წუთი ემიგრაციამო ვატარებდი ამ წელიწადს ედარეოდა.

მოვრალივით დავიძარ ადგილიდან. ვერავის გამხნედი. უცებ ვილაცამ ღონიფრად ჩამავლო ხელი. მოუხბდე — მომღიმარე ნიყო იღვა ჩემწინ.

— ველირსეთ! წავალთ საქართველოში! — მეუბნება.

- წავალთ, მამ! დღესვე! დღესვე!
- კი, მაგრამ... რომელი გზით?
- გზა ერთადერთია!
- საფრანგოზე და ინგლისზე გავლით?
- შენ ფიქრობ, რომ ანტანტა მაგ გზით არ გავეიმებს?

— ცხადია! რუსეთში რევოლუციონერების ჩახვლა ხომ რევოლუციას გააღრმავებს. ამით საერთო საომარი ფრონტი შესუსტდება, ეს, რასაკვირველია, ზელსაყრელი არ იქნება ანტანტისათვის.

— შეტადრე წაცვლა ღენინისა და მისი თანამოაზრეებისა, რომელთა ღოზუნგია სამოქალაქო ომის გამოცხადება და არა ომის დამთავრება საბოლოო გამარჯვებამდე! რა უნდა გქნათ?

- საქმეც ეგაა!
- ნუთუ დროებითი მთავრობა არ მიიღებს რაიმე ზომებს, რომ მეფის ტახტის დამსაბრეველს შემდეგ ათეული წლობით ემიგრაციამო მყოფი ემიგრანტები სამშობლოში დააბრუნოს?
- თო, ისინი, რასაკვირველია, სოციალ-შოფინისტებს არ ეტყვიან უარს!
- მამ რა უნდა გქნათ?
- რა ვიცია!... გამომდებია გზა!

აღფრთოვანება და სიხარული ჩაქრა. მთელი დღე თავგზააბნეულები დავიარებოდი. ყვილას ვეკითხებოდი, რა გვეშველებოდა, რა გზით და როდისდა დავბრუნდებოდი სამშობლოში.

ამ საღამოსვე სასწრაფოდ მოწვეული მიტირნხ ზვერი ემიგრანტი დაესწრო.

აქ იყვნენ დიდი ხნით ემიგრაციამო მყოფი მოხუცი „ნაროდნიკები“, პირველი სოციალ-დემოკრატული ჯგუფის წევრები, გაციმბირებულნი რევოლუციონერები, ძველი სოციალისტ-რევოლუციონერები, პოლიონელი სოციალისტები, ნაციონალები, ახალგაზრდა ემიგრანტები და

ყველანი ერთი აზვითებული აღფრთოვანებათ და ერთობაშიაშია ალტერნატიული ულოცავდნენ ერთმანეთს თვითმპყრობელობის დამხობას, სიხარულისაგან ტიროდნენ... მიტინგზე მოვიდნენ ისინიც, ვინც ათეული წლების განმავლობაში კარნაქტალი ცხოვრობდა, ჯინჯის ქვეშევრდომობა მიეღო და რუსეთში დაბრუნების იმედი აღარაკი ჰქონდა.

ქაღარით მოსილ მოხუცის მოსვლას, — რამდენიმე ათეული წელი რომ რევოლუციური მუშაობა აკერია მხრებზე და მოვლილი აქვს ციხე, ციხიანი, კატორღა, გადასახლება, — მთელი დარბაზი ყოვანი და ვაშის ძაბილი ეგებება. ავტო მინა ცხაკაია ნული, დინუი ნაბიჯით მიდის პრეზიდენტის მავადისაკენ. ზონარიანი პესნე ცხვირის კუბან ჩამოსცოცვია, ფართო შუბლი, მოღიზიანი სახე, გამარჯვებული, მედიდური მსვლელობით, ტანის ცემით და ფაშის ძაბილი დინუი ნაბიჯით მიარღვეს შემჭიდრობულ ხალხის რიგებს და რევოლუციის ძველ მებრძობთან ჯდება.

ავტო კიდევ მოხუცი, ჯერ კიდევ სულ ქაბუშმა მიიღო მონაწილეობა მეფის წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტებში, კატორღიდან გაიშოკა, ექვემდებარება ჩამოვლილ. მისი პარტია ახლა უკვე დამოკიდებულია მისმა ამხანაგებმა ცოცხლობისა და კატორღებში ჩაყარეს ძელები. შეიძლება რომელიმე მათგანი კიდევ იყოს სადმე გადასახლებაში. მათ ერთმანეთსა არაფერი იყავი და ახლა, როცა ორივე ისევ დაბრუნდება თავისუფალ რუსეთში, კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, ო, რა სიხარული იქნება მათში...

სხვა კიდევ მრავალი უცნობი თუ ნაცნობი, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები მოდიან მიტინგზე, რომ სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ ამ ტერორისტულ დასაჯებისწინა და საზეიმო ამბავში.

დარბაზი გაუფრთხილ. გაისმა ზარის წყარალი. ერთმა უხევესთაგანმა გახსნა მიტინგი. ლაპარაკის დროს გული ამოუჯდა, ცრემლები მოეძალა. დარბაზიც ქვიინინებს. დროდადრო გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციის გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“ თავმჯდომარე წესრიგისაკენ მოუწოდებს დამსწრეთ, მიითხოვს ვუბზე ადგომით პატრიუ სენ იმ ამხანაგების ხსოვნას, რომელთაც თავი შესწირეს რევოლუციას და თვითონ კი ვერ მოესწრნენ მის გამარჯვებას.

როგორც ერთი კაცი, ისე დგება მთელი დარბაზი, ისეთი დუმილი ჩამოვარდება, თვითულის სუნთქვას გაიგონებ. ყველას ერთი წერტილისა-

კენ მიუყრია თვალი, თითქოს რაღაცას ელოდნენ... უძრავად დგანან, და ამ შენელებულ სულის-თქმაში, მოყრადღებით და მწყობრად გაისმის ნაკადულივით მოვარდნილი პარტიის...

Вы жертвами пали в борьбе роковой
В любви беззаветной к народу...

ამ ათროლებულ სიმღერას აქეთ-იქიდან რამდენიმე ახალგაზრდის ხმა უერთდება, მერე დარბაზის სხვადასხვა მხრიდან წამოეწვიან ქალი-შვილების თუ ვაჟების ავზნებული ხმები. მალე მწყობრად ერთმანეთს აყვებიან. კედლებით შეზღუდულ სივრცეში გაისმის გუგუნი, როგორც ქვითინი...

Вы отдали всё, что могли за него
За жизнь его, честь и свободу...

ყველა მღერის, მოხუცი თუ ახალგაზრდანი, ასიც, ვინც მომღერალია და ვისაც არ უმღერია არასდროს. დარბაზი კრებს, გრიადებს, თითქოს სდომოდეს კედლების გაპოხა, რომ დაღუპულთა საფლავებს ამცნოს შურისძიების პანგები. მთელი დარბაზი პირდაღებული და ერთ წერტილი-საკენ გამჭრელებული თვალებით, ვერხვის ფო-თოლივით თრთის, შრიალებს...

Порой изнывали по тюрьмам старым,
Свой доблестный путь благородный
Враги, палачи изрекали порой
И шли вы гремя кандалами

სიმღერა თანდათან ცხრება. მაგრამ არა, უკმაღ აინთებიან თვალები, ატოკდება გული და მზიარული, ავზნებული სიმღერა გუგუნებს:

Настала пора и проснулся народ
Великий, могучий, свободный
Прощайте-же братья мы честно прошли
Свой доблестный путь благородный.

და თითქო აღეღებულმა, მოვარდნილმა მღინარემ ჩაიზინა და ახლა თავის კალაპოტში ჩადგა, სიმღერა მიწმარდება, თავდება, ნელა, აუჩქარებლად სხვებთან სკამებზე, დარბაზშიც სიჩქმე ჩამოვარდება.

სიტყვებით გამოდიან სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებიც.

ინტერნაციონალის სიმღერით. მთავრდება მიტინგი.

(გაგრძელება იქნება)



გიგლა გიჭი

ზღაპარი

ერთხელ გიგლა მოდიოდა სახლში;
ნახა: ვიღაც იხრჩობოდა წყალში.
მიეშველა, კაცი მოსდო მკლავში,
ლონე გამოაჩინა,
კაცი გადაარჩინა
კაცმა უთხრა: „გლეხის ბიჭო, დიდ
მადლობას გიხდი.

ამ სიკეთეს სიკეთითვე დღესვე
გადაგიხდი!“

წაიყვანა სახლში სტუმრად,
დარი იღვა მზისა;
და აწუქა ოქროებით ერთი სავსე
ქისა.

ამ საჩუქარს ჩვენი გიგლა
სულ არაფრად აგდებდა;
ხან ბურთივით აისროდა,
ხან მიწაზე აგდებდა.

გიგლას მეგობრე შემოხვდა გზაში.
ის ლურჯა ცხენზე გადაძვდარიყო
და მიდიოდა პირდაპირ მთაში.

ოქროებით სავსე ქისა მეგობრემ
რომ ნახა,
გიგლას გადასძახა:

„— გლეხის ბიჭო, კობტა ბიჭო,
შენ კი გენაცვალე!
შენ რას გარგებს ოქროები,
ცხენში გამოცვალე!
ჩემი ცხენი იორღაა,
გასწვეს, გაგაქროლებს;
და აჯობებ უეჭველად
შენს მეგობარ-ტოლებს.“

გიგლამ ახედა ლურჯასა —
შეკაზმულს, უზანგებიანს,
სიტყვა: „მართალს ამბობს, ცხენი სჯობს,
ამ რაღაც ყვითელს, სნებიანს“.

ოქროებით სავსე ქისა
გაუცვალა ცხენში;
ამ ჩვენს გიგლას, ამღერებულს,
მგზავრი შეხვდა მეორე,
ვიღაც მწყემსი-მელორე.

გიგლას უთხრა: „კობტა ბიჭო,
შენ კი გენაცვალე!
შენი ცხენი გიჭი არის,
გოჭში გამოცვალე!
გოჭი გაგზავრდება,
კიდევ გამრავლდება;
როცა მოგზავრდება,
შესქამ, შეგერგება.“

დაუჯერა გიგლამ,
შუბლში ხელი იცა;
ერთს ქეციან გოჭში
ლურჯა ცხენი მისცა.
მოღის გიგლა, მოჰყავს გოჭი,
სახლში მივა მალე;
ენახოთ, გზაში ზურგზე ბოხჩით,
შეხვდა მეწვრილიმანე.

გიგლას უთხრა: „გლეხის ბიჭო,
შენ კი გენაცვალე!
შენი გოჭი ავად არის,
ნემსში გამოცვალე!
პხედავ, ქყვივის, ძალზე კენესის,
ამბობს: მკვდები, ვიღუპები,
მე თუ შენს, შენ არ გესმის?
ეს ნემსი კი, ჩემო კარგო,
ოჯახისთვის არის სარგო!
ღედაშენი მოიხმარებს...
მიუტან და გაიხარებს.“

გიგლამ აღარ აცალა,
გოჭი ნემსში გაცვალა!

მირბის, მირბის სახლისკენ,
სიხარულით ენთება;
უცბად ხმელი კაჭკაჭი
ფეხზე წამოდება;
წაიჭყევა ეკლებში,
გადაკოტრაილდება.
და სადღაა ის ნემსი?
წავა — დაეკარგება!
მზის ჩასვლისას შინ მივიდა

გათხუპნული პირით;
 დედამ გულში ჩაიხუტა.
 ჰკითხა: რატომ სტირი?
 გიგლამ უთხრა: „მოვდიოდი სახლში;
 ვნახე, კაცი იხრჩობოდა წყალში.
 მივეშველე და გადარჩა,
 მან თავისთან წამიყვანა!
 გავიარეთ ბალი-ბაღჩა.
 მე იმ ბაღზე თვალი დამრჩა.
 სახლი იდგა ზღაპრად თქმული,
 სულ ბრქვევიალა რაღაც ქვისა;

მზე ჩადიოდა... ამოდითოდა...
 და შეუღმჩნევლად დრო მიდიოდა.
 ეს ჩვენი გიგლა ყმაწვილდებოდა,
 დედის რჩევითა და დარიგებით
 გიგლა ცხოვრებას აკვირდებოდა,
 მოტყუებული მაინც რჩებოდა
 და ეს უკვირდა: რატომ ხდებოდა?
 ერთხელ ტყეში გიგლამ შეშა
 ბლომად დაამზადა;
 უცბად ერთი სქელი კაცი
 თავზე წამოადგა.
 რიხით უთხრა სქელმა კაცმა:
 — შეშას რატომ მპარავ?
 ეს მუხებში აქ მე დაერგე!
 სულ ჩემია: ნელი, ხმელი;
 წადი, წადი დამეკარგე,
 და მოძებნე სადმე ხერელი!
 თორემ შავს დღეს დაგაყენებ;
 მცველს მოვიყვან თოფიანსა,
 ბრაზიანსა, ცოფიანსა,
 შენც დაგსჯის და შენიანსაც!
 გიგლა ბიჭი! შეაშინა,
 უკვე წასვლა დააპირა;
 სქელმა კაცმა: „აქ მოდიო“
 ისევ რიხით დაუყვირა.
 — რომ არ დამრჩე გულნატკენი,
 არც გაჯავრდეს დედაშენი,
 რაკი შეშა დაგიპირა,
 ერთი ოქრო მომიცია.
 წამოვიდა ჩვენი გიგლა,
 საწყალს აღარ ემღერებდა;
 აგერ, წყალთან რომ მოვიდა,
 კაცი შეხვდა გრძელწვერება.

გადამკოცნა და მანუქა
 ოქროებით საცხე ქისა!“
 — აბა, ქისა? — ჰკითხა
 — ქისა ცხენში გადავცვალე!
 — აბა, ცხენი?
 — ცხენი გოკში გადავცვალე!
 — აბა, გოკი?
 — გოკი ნემსში გადავცვალე!
 და მომქონდა შენთან, დედი,
 წავიქეცი ბალახებში
 და ის ნემსი დამეკარგა!

მას მოჰყავდა ერთი ძროხა:
 ზოლი ჰქონდა შუბლზე კრელი;
 ოქროს რქები ამშვენებდა,
 სანახავად საკვირველი.
 ძროხა ბიჭთან დღდა ახლო...
 გიგლამ რქებზე ხელი ახლო.
 „ნეტა მითხრა, ვისი ხარო.
 ნეტა, სხვადროს კიდევ ვნახო“...
 სთქვა თავისთვის ჩუმად გიგლამ.
 ძროხამ ენა ამოიღვა:
 — „ეგ მოხუცი ჩემს თავს ჰყიდის,
 ამ ქვეყნიდან რადგან მიდის.
 შენ მიყიდე, არ ინანებ...
 საიდუმლოს ვაგიმტლავნებ“.
 მივიდა გიგლა მოხუცთან,
 მიუძღვნა სალამ-ქალამი.
 — ბოდიშს მოვიხდი, მოხუცო,
 თუ სიტყვა გკადრო თამამი!
 გავიგე: ძროხას ჰყიდისო,
 მე ამან წამახალისა;
 დამითმე, აგრემც იცოცხლებ,
 იმედიც გქონდეს ხვალისა.
 ერთი ოქრო მაქვს, მიიღე,
 მცირედს ნუ დამემღურები;
 ეს თუ ცოტაა, შემდეგაც
 მითხარ და გემსახურები!
 „ბიჭო ვისი ხარ, ზრდილი ხარ,
 პირიდან გცვივა ვარდები;
 წაიყვა, ოქრო არ მინდა,
 არც მე შექნება დარდები,
 თუ ღირსეულად მოუვლი,
 დაგლოცავ, შემყვარდები!“
 ძროხამ ბიჭს უთხრა: „ახლა კი

მზე შენთვის მნათობს, დარია;
დედაშენს უთხარ: მომწველოს
იქ, სადაც თქვენი კალოა;
ჩემი რძე თბილი დალიე,
იციოდე, სამკურნალოა.

დაგეძინება, ადგები,
მე შენთან აღარ ვიქნები;
შენ კი, ძვირფასო, იციოდე,
სრულიად გარდაიქმნები“.
დალოცვილმა ნიშა ძროხამ
როგორც გიგლა დაარჩია,
დედისერთა გლეხის ბიჭმაც
საქმე ისე გაარჩია.

რძე დალია ჭიქა საესე
და შეატყო: მოელხინა;
იმ წუთსა და იმავ წამსვე
რბილ ლოგინზე მიეძინა.
ბევრი ეძინა, თუ ცოტა,
ეს ჩვენი საქმე არ არის;
და როცა გამოიღვიძა,
ხმა შემოესმა ნალარის.
ვინა მღეროდა, ღრეობდა,
ვის ჰქონდა სახლში დღეობა?
ან ვის სტანჯავდა, სჩაგრავდა
უმართებულო მძლეობა?
ყველაფერს გიგლა ხედავდა
და პირში თქმასაც ბედავდა!

გიგლა ხალხში ტრიალებდა,
მას ჰკითხავდნენ მუდამ რჩევას;
ცრუ, ორპირი ვერ ბედავდა
მის წინაშე გამოჩენას.
დამნაშავეს ამტყუნებდა,
მართალს წააბალისებდა;
მის საუბარს ვინც ისმენდა
გულს სიამით აივსებდა;
მის სოფელში აღარ იყო
აღარც ჩხუბი, აღარც დავა;
სიზარმაცე ამოავდო,
ყველას შრომა შეაყვარა.

ერთხელ თურმე ნაზირ-ვეზირთ
მეფემ საქმე გაუჩინა:
ბრძანა: „რაში ამიწონეთ,
ამიწონეთ მისი ბინა!
და ცოცხალი ჩამაბარეთ.
თუ ვერ შესძლებთ, თქვენ სუყველას
არ ატყდებათ სახრჩობელა!“

და სამი დღე მისცა ვადა!
აბა როგორ ასწონიდნენ?
არა ჰქონდათ ზუსტი, სწორი
შესაფერი მათ სასწორი.

რა ქნან? დაკლან?
და აწონონ ნაჭერ-ნაჭერ?
ხომ მოკვდება მაშინ რაში?
მათ არა აქვთ ამის ნება,
ვეზირების ბედი წყდება.
მეფეს სძულდა, შარსა სდებდა,
და უგებდა რაღაც მანებს:
ვეზირებმა ითათბირეს,
ჩვენი გიგლა გამონახეს.
ზინეთი და ოქრო მისცეს
და გლეხის ბიჭს რჩევა ჰკითხეს.

მან ასწავლა:

„შეაცურეთ ნავი ზღვაში
და იმ ნავში ჩასვით რაში.
დაინიშნეთ, სადამდისაც
დაიძიროს ნავი წყალში.
შემდეგ რაში ამოიყვით,
და ჩააწყეთ მის მაგიერ
წვრილი ქვა და გინდა ქვიშა,
ეს იქნება რაშის წონა!“
რჩევა ვეზირთ მოეწონათ,
ყველაფერი მსწრაფლ ენიშნათ.
აიციდნენ მეფის რისხვა
და ამრიგად ამ ჩვენს გიგლას
შორს სახელი გაუვარდა.
ის მშრომელ ხალხს შეუყვარდა.
რადგან ჭკუით სწორედ ბარა,
ხმამ მეფემდის მიალწია
და თავისთან დაიბარა.
მეფეს თავის დარდი აქვს...
ქალიშვილი ერთი ჰყავს.
გარეგნობით ლამაზი,
ნებიერი და ნაზი.
მოკრიალე მთვარეს ჰგავს.
ეძახიან დარისალს,
ეს სახელი რას ნიშნავს?
თურმე უჩინ-მაჩინის
დავიწყებულ ენაზე, დარისალი
ნიშნავდა:

ლამაზების დედოფალს.
ის ქალიშვილი იყო მოშლილი,
მოღუნებულო, და მოშვებული,
თმაჩამოშლილი, დიდი ზარმაცი!
რომ დაჯდებოდა, დაიგდებოდა,

ველარ ასწევდა თვით აზარმაცი!
 ზოგიერთებმა კარგად შეამკეს.
 სახელად „ზარმაც-კეკე“ შეარქვეს.
 მეფის ქალი დარისალი
 თუ არ სთვლემდა, ამთქნარებდა;
 საქმელს კოვზით ჩაუღებდნენ,
 ლეკვას სულ არ აჩქარებდა,
 უგემურად იცოხნიდა,
 დედოფლად კი თავსა სთვლიდა.
 დილით მეფეს წარუდგინეს
 გიგლა ბიჭი ჩოხოსანი;
 მეფემ ბრძანა: „მსურს დაერწმუნდე,
 თუ ხარ მართლა გულთმისანი,
 თუ ხარ ბრძენი და აღზრდილი,
 თუ შენ მართლა გიჭრის თვალი!
 ჩემი ქალი დარისალი
 სიზარმაცის და სიზნანტის
 სენით არის შეპყრობილი;
 შენ განკურნე, რომ ის მყავდეს
 მუდამ ქებით შემკობილი!
 თუ მოარჩენ, შეგართავ ცოლად,
 და ჩემს სიძეს გიძღვნი რაშსა,
 თუ არა და — ჩამოგახრჩობ,
 გადაგადებ შუა ზღვასა!“
 გიგლას ოდნავ გაეღიმა,
 მუქარა კი გაიკვირვა;
 დაეთანხმა, ვადა სთხოვა:
 სამი თვე და სამი კვირა.

მარინე ქათმებს საკენკს უყრიდა.
 ბატებს ნისკარტში ბუმბულს უყრიდა,
 რადგან ჩხუბობდნენ, არა ცხრებოდნენ,
 იხვებს სისინით ერეკებოდნენ.
 საკენკის სუნზე ტრუხუნა ღორმა
 მორთო ჭყივილი, მორთო კივილი.
 „ჩქარა მიჭამეთ სალაფავიო!“
 ვირმაც იღროვა, დაიყოყინა,
 ჯორცხენაც უცბად შემოტრიალდა,
 დაალო ჩანა და აღრიალდა.
 ამ ღროს-ეზოში თეთრი ცხენებით
 ეტლი მეფისა შემოგრილდა.
 იცნო მარინემ: ერთთა გიგლა,
 სახე ნათელი და მოლიმარი;
 ზოლო მეორე გოგო ვინ არის?
 ასე მორთული და მოკაზმული?
 უკან მოსდევენ ნაზირ-ვეზირნი,
 დასტა წყობილი და დარაზმული?
 ერთმა გრძელცხვირა ვეზირმა
 ეტლიდან ქალი ჩამოსვა;
 წამოიყვანა, გადასცა
 იქვე მარინე ძალოსა.


ვეზირმა უთხრა: „ინებეთ!
 დროებით ახლა თქვენია!
 და შეაბრძანეს ოთახში,
 სადაც ხალიჩა ჰქვნიდა.
 ის მოწყვეტილი დაეგდო
 და კიდევ წამოამთქნარა;
 ვეზირმა უთხრა: „გამაგრდი,
 განა ხარ კიდევ პატარა?“
 „როგორ მკადრეო!“ შებღვირა,
 მუცელში მუშტი უთაქა;
 მიწვა და ხერინვა გააბა,
 თავქვეშ დაუდეს მუთაქა.

— . —

პატივი სცა გიგლამ სტუმრებს,
 ორჯერ, სამჯერ წაიხუმრეს.
 ვეზირმა სთქვა გრძელცხვირამა:
 „— ვაჟო, დიდად მეეპყება,
 რომ შენ დაგრჩეს გამარჯვება!
 თუ მოხდება სასწაული;
 თავგმა კატა დაიჭიროს,
 კიბო კურდღელს დაეწიოს,
 ლომს მელია დაეჭიდოს,
 რწყილმა სპილო აიკილოს, —
 მაშინ მეფის ქალიშვილიც
 გამოსწორდეს, და შთაგონდეს!“
 ვეზირები რომ წავიდნენ,
 გიგლამ უთხრა თავის დედას:
 „— დედაჩემო! დავეთანხმე
 მეფის სურვილს, მეფის ნებას.
 ქალიშვილი მე მომანდო,
 მოითხოვს მის განკურნებას.
 მას ჭირად სჭირს სიზარმაცე,
 გათხლეშა და უქმად გდება;
 ეს ზნე თუ ვერ მოვამორე
 სამს თვესა და სამ კვირასი, —
 არ დამზოგავს, ჩამომახრჩობს,
 გადამაგდებს სადმე ზღვაში.“
 „მაშ მე როგორც დაგარიგო,
 შენც ის თქვი და ის აკეთე,
 თუ გინდა, რომ შენმა შვილმა
 ნახოს სიტკბო და სიკეთე.“
 იმავე დღეს დარისალთან,
 ამ უქნარა მეფის ქალთან,
 დედაშვილნი ახლო დასხდნენ.
 გასაგონად საუბრობდნენ,
 ერთ მეზობლის გოგოს ჰგმობდნენ!
 ისიც თურმე იყო ზანტი,
 დუნე, ფუყე, როგორც ბატი.

მაგრამ შემდეგ გამოსწორდა,
 ცუდ მეგობრებს ჩამოშორდა.
 მარინემ სთქვა:

„ — ახლა ნახე, მისთანა
 ჯერ არავინ ნახულა;
 დღისით მზეა, ღამით კი
 მთვარე გამოსახულა.
 დილით ადრე ადგება,
 პირს წყაროზე დაიბანს;
 გარეთ როცა გამოდის,
 ნათელი სდის აივანს,
 ახლა მისი ხელსაქმე?
 როგორ ქარავანს, როგორ ქსოვს!
 კაბებს ჰკერავს, აცხობს პურს,
 დახმარებას არვის სთხოვს“.
 ახლა გიგლამ წამოიწყო
 ისევ ქალის გასაგონად:
 „ — ამიტომაც მისი ბიძა
 საქმელს აძლევს გასაძლომად.
 მათეს ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს:
 ნანო სქამსო ალალ ლეკმას.
 მერე, იცი, ეს რას ნიშნავს?
 ვინც მუშაობს, იმას კიდევ
 უფლება აქვს სქამოს პური.
 შრომა კაცსა აამაღლებს,
 შრომა ჩვენთვის სიაშე;
 გულს ამღერებს, ახალისებს,
 ალაშაზებს ია-ვარდით;
 ვინც არ შრომობს, სნეულდება,
 ეხუთება გული დარდით“.
 დარისალი ყურს უგდებდა,
 დაექყიტა თვალი;
 თან ფიქრობდა: „აქ სად მოვხვდი?
 ვაი, ჩემი ბრალი!
 ეგ წესრიგი სხვისთვის არის!
 მე ვარ მეფის ქალი!“
 მეორე დღეს დარისალმა
 თვალი ადრე გააბილა;
 ვერც გიგლა და ვერც მარინე
 თავის ახლოს ვერ იხილა.
 ამინდი რომ კარგი იდგა,
 სიხარულით ავსილიყვნენ;
 ერთი აქეთ, ერთი იქით,
 სამუშაოდ წასულიყვნენ.
 ბალიშებზე იჯდა მარტოდ
 მეფის ქალი დარისალი;
 დიდხანს იჯდა გადრუნჩული
 და მოსწყურდა ძალზე წყალი.
 მაგიდაზე ლიტრა იდგა,

მას შეეძლო დაეღია;
 მაგრამ, ნახეთ, ვერ წამოუდგას
 სიზარმაცე მოერიას! 
 და უცდიდა: ეგებ ვინმე
 ოთახის კარს შეაღებდა;
 ეგებ ვინმე მოვიდოდა
 და წყალს იგი მიართმევდა!

—
 ფრინველმა ბუდე მოძებნა,
 ჩხიკვიც კი აღარ ჩხაოდა;
 გიგლა და მისი დედიკო
 დაბრუნდნენ სამუშაოდან.
 და გიგლამ ჰკითხა მარინეს:
 „ — მითხარ, რა მოაგვარეო?
 რა გააკეთე, რა შესძელ,
 ხელი რას დააკარეო?
 სწორე სთქვი დაუფარავად,
 არც რამე შეალამაზო,
 რომ მე, ნაშრომის მიხედვით,
 ვახშამი შემოგთავაზო“.
 დედამ სთქვა:
 „ — შენ იქით წახველ, აქეთ — მე!
 კარგად დავგავე საქათმე.
 კრუხი რომ ვნახე მწუხარე,
 საკენკი გადაუყარე.
 ფური მოვწველე ნიკორა,
 ხბოც დავაპურე ჩიკორა.
 კვერცხები საბუღრებიდან
 მალა შევაწყე თახჩაში
 და მერე გაველ ბაღჩაში.
 იქ ვთოხნე, როგორც წესია,
 რაც კი რამ დანათესია“.
 გიგლამ სთქვა ოდნავ ღიმილით:
 „ — არ ჩამომართვა კვენჩაში!
 ჩემი ნაშრომი მეტია!
 წაველ პირდაპირ ვენახში!
 ის ღობე შარშანწინდელი
 დამხვდა მთლად გაოხრებული;
 მინდორში დავქერ ჯაგნარი,
 მეველესაგან ქებული:
 და ამოვზიდე სულ ზურგიით
 ის ძეძვი, განა წალამი;¹
 დალაზული და შეკრული
 ასოცდამვიდი თალამი².
 მთლად გავაახლე ის ღობე,
 საამო შესახედია;

¹ ვაზზე შეჭრილი რქები, ანუ ტოტები.

² თალამი — ერთი კონა ჯაგი.

აი, ხომ გითხარ, დედიკო,
 ნაშრომი ჩემი მეტია!
 ამიტომ პური და ყველი
 მე შენზე მეტი მერგება;
 რომ მართალს ვამბობ, მიხედვები,
 ვიცი, გაქვს ამის შეგნება!“
 გადაზომა გიგლამ პური
 ზუსტად ათი გოჯი;
 მეფის ქალი უცქეროდა,
 ზარმაცობით გონჯი.
 დედას მისცა და თან უთხრა:
 „აი, შენი ხედვრი;
 ვინც ბევრს შრომობს, ის ბევრს შესქამს,
 კანონი გვაქვს მკვეთრი!
 მე მერგება ჩემს ნაშრომში
 თითქმის ორჯერ მეტი!“
 მეფის ქალსა, ამის მნახველს,
 თავს დაესხა რეტი.
 ამბობდა თუ: „მეც ხომ მშვიან,
 არ მაქმევენ სადილს!
 აქ სად მოეხვდი და ვინ ბოქავს
 ჩემი გულის წადაღს?“
 მეფის ქალი ფითრდებოდა,
 თან ჰკარგავდა სილამაზეს;
 არც გიგლამ და არც მარინემ
 ნამცეციც არ შესთავაზეს!
 მეორე დღეს ამრიგადვე
 რაც აკეთეს, ჩამოთვალეს;
 ახლა დედას ერგო მეტი,
 კარგად სვეს და კარგად ჰამეს.
 ისაუბრეს, გაიცინეს,
 ქალს თვალები აბრეციენს.
 მესამე დღეს ქალმა სთქვა თუ:
 „— სად მამყოფებ, მამაჩემო?
 უმეველად უნდა ვნახო
 საქმე რამე დღეს საჩემო,
 თორემ მშიერს დამაგდებენ,
 სულ არაფრად არ მაგდებენ,
 სამარეში ჩამაგდებენ...“
 დარისალმა ნახა ცოცხი.
 იქ მიგავა, აქ მოგავა;
 როცა საქმე მოათავა,
 სადაც იჯდა, იქვე დაჯდა.
 უხარიან: პურს აქმევენ,

რადგან ისიც გაისარჯა!
 და როგორც იმ დღეს ბინდისაქმი
 ჩხიკვი რომ აღარ ჩხოდაღს
 გიგლა და მისი დედიკო
 დაბრუნდნენ სამუშაოდან.
 იანგარიშეს ნაშრომი,
 სიამე გამოისახა...
 — მეღაო? — მეფის გოგონამ
 კუთხიდან წამოიძახა.
 და ნახეს: მართლაც ოთახი
 დარისალს გამოეგაეა;
 კვლავ დამჯდარიყო კუთხეში,
 ცოცხი ზელშივე ეკავა.
 გიგლამ შეაქო ნაშრომი,
 თან სიტყვაც უთხრა მართალი:
 „— დღეს ცოტა გიმუშავნია,
 გეკუთვნის ქათმის ბარკალი!
 და პურიც ერთი ნატეხი,
 ფუნთუშის ჩამონათალი!
 ხვალ თუ მეტს წაიმუშავებ,
 არ გეყოლება ბადალი!“
 „— უთუოდ წაიმუშავებ!
 სიტყვას გაძლეგ და პირობას!
 ოღონდ ის ყუაც მომეცი;
 ჩემთვის ნუ გასწევ ძვირობას!“
 გიგლამ არ უთხრა უარი,
 თხოვნა გოგონას უსრულა;
 მისცა ზომიერ საქმელი
 და წარმატება უსურვა.
 მეორე დღეს დარისალმა
 უფრო ადრე გაიღვიძა;
 მას სულ აღარ სჭირდებოდა:
 არც გამღელი და არც ძიძა.
 თვითონ ადგა, ტანთ ჩაიცვა,
 თვითონ პირი დაიბანა;
 ნახეთ, ბეჯითს დაემგვანა,
 შემდეგ აღარ დაახანა
 და დაგავა ეზო-კარი!
 მესამე დღეს მეტი შესძლო,
 გიგლაც უფრო ახალისებს;
 თანდათან და ყოველ დღიურ
 ცუდს ივიწყებს, კარგს ითვისებს.
 მუშაობას შეეჩვია!
 არ სწყურია და არც მშვიან.

დღე თენდებოდა გოგლასთვის
 სულ სხვა საამო დარისა;

როგორც ასწავლა მარინემ,
 ისე შრომობდა დარისალ.



ვანშობის შემდეგ ლოგინსა
თავისი ხელით აგებდა;
ფურსა სწველიდა ეზოში
და საძოვარზე აგდებდა.
სადილად ოჯახისათვის
ჩიხირთმას დაამზადებდა,
ხან შეზავებულ ლობიოს;
იტყოდნენ: ჩახეთ დარისალ!
ის არის მჯობზე მჯობიო,
გიგლაც ეტყოდა ღიმილით:
„ახლა სკამ ალალ ლუქმასო!
ვინც შრომობს, ქების ღირსია,
ის დაამშვენებს სუფრასო!“

გიგლას ჰყავდა ჯორცხენა,
(აბა, მოდი, ნუ ვიტყვი)
გრძელყურა და მორჩილი,
მეტად მშვიდი პირუტყვი.
წავიდოდნენ შორს სადმე,
საგრძალს გადაჰყიდებდნენ;
მუხლმაგარსა, ღონიერს
ტომრებს აზიდვინებდნენ.

ამ ჯორცხენაზე დარისალ
თამამად შესკუბდებოდა;
მიბრძანდებოდა ეენახში
უქანვე მობრძანდებოდა.
განა თუ სრიკი-სრიკითა
კუნტრუშით, თოხარიკითა.
ორშაბათ დილა გათენდა,
წვიმამ მინდორი დანამა;
მეფემ სთქვა: ვნახავ ქალიშვილს,
მზად იყოს ჩემი აპალა!
ვეზირმა ცხენი მოართვა,
გრძელცხვირამა და ლაშებამ;
და რა ცხენია ის ცხენი?
ვარსკვლავებს ეთამაშება!
მეფეს შეჯდომა უშველეს,
აგერ, მათრახიც აპართა;
პირდაპირ დასავლეთასკენ
ქენებით გამოემართა.
ნაზირ-ვეზირნიც გამოჰყვენენ,
გზა სიარულმა დალიოს;
ზოგიერთები ნანობდნენ:
„ვაი, დღეს გიგლას ბრალიო!
ვერ ვარდაჰქმნიდა იმ ზარმაცს,
სხვგან თუმც ისახელო:
და არ ასცდება მეფისგან
სასჯელად სახრჩობელო“.

ასე იარეს, იარეს
მეცხრე მთაც გადმოიარეს
წამოეწივნენ ჯორცხენას,
ზურგზე ეკიდა კონები;
ზედ იჯდა გოგო ლამაზი,
გულშიაც ჩასაქონები.
უკუ იზედა ამ გოგომ,
თვალთ წარმოუდგა ყოველი;
იცნო გრძელცხვირა ვეზირი
და მეფე, მამა-მშობელი:
სთქვა: „წინ გაეუსწრებ, ვიქნები
ამ ამბის მახარობელი!“
ჯორცხენას შეუწრუწუნა,
სახრეც ამოჰკრა პატარა;
და ეს მორჩილი პირუტყვი
სულ თოხარიკით ატარა.
მტვერი ავარდა, რა მტვერი,
ბუჭია, კორიანტელი;
მეფე ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ
იყო ცხენისა მმართველი.
სურდა რთგორმე გაესწრო
და მტვერს როგორმე გასცლოდა;
მაგრამ ის ვილაც გიჟმაღი
გზას უღობავდა, ანცობდა.
მეფემ სთქვა: „ერთი უცქირეთ!
ვინ არის? რა თავხელია!
მტვერს გვაყლაპებდეს ამრიგად,
მე ეს არ გადამხედა!“
თითქოს ბრახობდა, გულში კი
ჰქონდა სხვაგვარი ფიქრები:
„ასეთი იყოს დარისალ,
ხომ ბედნიერი ვიქნები!“
მეფეს მოუნდა გაცნობა,
ჰკითხოს: ვინ გზარდა ქალაო?
ის ჩემი გოგო დარისალ
ნეტამც ქნა შენისთანაო!
გრძელცხვირა ვეზირს უბრძანა:
„— წადი და გაექანეო!
ის გოგო თავის ჯორცხენით
ახლავ აქ მომიყვანეო!“
თვითონ ცხენიდან ჩამოხდა,
და ვეზირს ელოდებოდა;
და რომ მოვიდა, რა მოხდა?
თვალწინ ვინ ეცხადებოდა?
შესძახა: „შვილო, დარისალ!“
ხმა უწყდებოდა, კრთებოდა.
და სიხარულის ცრემლებით
გულმკერდი ენამებოდა.
„ნუთუ ეს შენ ხარ, გოგონი?“

ათასჯერ ეკითხებოდა.
 ჰყოცნიდა, კიდევ ჰყოცნიდა,
 აღერსით ვერა ძღებოდა,
 შესვეს გრძელცხვირა ვეზირი
 კუნტრუშა ჯორცხენაზედა;
 ხოლო მის ცხენზე დარისალ,
 აღარ გაჩერდნენ გზაზედა.
 და წამოვიდნენ სიმღერით,
 ქორწილი გეგონებოდა.
 შოვიდნენ ნაცნობ ეზოში,
 წინ გიგლა ეგებებოდა.
 გიგლამ მიიღო პატივით
 შეფე და მისი ამაღა;
 დაუკლა ორი მოხვერი,
 და არც მესამე დამალა.
 სტუმრებს კი სთხოვა: იმ ბანზე
 შცირე ხანს მოიხადეთო;
 გაიარ-გამოიარეთ,
 ჩვენ სადილს ვავამზადებთო.
 ის ბანი იყო ახალი,
 მიწა დაყრილი ნაშალით;
 კაკლის ქვეშ სუფრა გაშალეს,
 გულისთვის დიდად საამო;
 არ სთხოვენ სტუმრებს სადილზე,
 თუმც მთაბლოვდა სადამო.
 დარისალ სუფრას აწყობდა,
 ეზოში დაცქრიალებდა;
 პურსა და ღვინოს სუფრაზე
 შიალაგ-შიალაგებდა.
 მეფე უცქერდა, უკვირდა,
 შასპინძელს გიგლას აქებდა.
 სტუმრებს რომ მაგრა მოწივდათ,
 უმატეს ბანზე სიარულს;
 ტყებნეს და ტყებნეს ნაშალი,
 ვერვის ნახავდი მხიარულს.

ფეხაკრებით დარისალი

კედელ-კედელ მიიპარა;

თავის მამას დაუძაბა

და ჩურჩულთ უთხრა წყნარად:

— მამი, რამე გააკეთე,
 ცული დაჰკარ შეშის ნაქერს,
 თორემ გიგლა ისეთია,
 ვინც არ შრომობს, პურს არ აკმევს!“
 ამ სიტყვებზე მშვიერ მეფეს
 გულიანად გაეცინა;
 გაბრუნდა და ბოლთა დაჰკრა,

ქალიშვილი მოიცილა.
 ამ დროს წარდგა ჩვენი გიგლაც.
 მეფეს მდაბლად მოახსენა:
 „ — ახლა დროა ვიხეიძით,
 საქმის შემდეგ გემართებს ლენა!“
 რომელ საქმეს გულისხმობდა?
 ბარი დაჰკრეს, თუ ტყე კაფეს?
 ბევრი თხოვნა არ დასჭირდათ,
 მხარი მხარსა გამოაბეს;
 შემოუსხდნენ გაშლილ სუფრას
 და მთელ-მთელი ლუქმა ყლაპეს!
 მეფემ ბრძანა:
 „ — გიგლა ბიჭო,
 შენსა მზრახველს თვალში ფისი!
 შენ ყოფილხარ ვაჟკაცი და
 შენ ყოფილხარ ქების ღირსი!
 ეთხოვ განგებას, რომ დარისალს
 შენ ვერავე დაგაშროს.
 მაგრამ შენ თუ წესრიგი გაქვს,
 პურს არ აკმევ, ვინც არ შრომობს,
 არც მიაქცევ ყურადღებას, —
 მაშ ჩვენ რატომ გვაკმევ სადილს?
 შენგან ველი მოუთმენლად
 პასუხს მართალს და გულახდილს!“
 — გიგლამ უთხრა: „მოგახსენებ,
 თქვენთვის უკმა ალალია.
 რადგან ბანი დამიტყუებთ
 და აქციეთ მიწა ტინად;
 დღეს არაფერს არ დავზოგავ,
 რომ შეგერგოთ ლხინი ლხინად.
 გარჯისათვის, შრომისათვის
 ჩემგან პატივს იმსახურებთ.
 დიდ მადლობას ვადაგიზნით
 თუ კვლავ ისრე მინახულვით!“
 მეფემ დიდად გაიოცა,
 გლეხის ბიჭი გადაკოცნა..
 პეც დავესწარ იმ დიდ სუფრას,
 ვცეკვავდი და ვცემდი ბუქნას.
 საცერს ღვინით ავავსებდი,
 საღლეგრძელს გადავკრავდი;
 მთიდან ნისლი ჩამომქონდა,
 გუნდლად ვკრავდი და ვხრაკავდი.
 ძაფზე მწვადებს ავაგებდი
 და ყინულზე უცბად ვწვავდი.
 მიტომ უფრო მოილხინეს,
 ტუჩს დააჩნდა ღვინის ლაქა;
 ლექსიც ვუთხარ იმ ჩვენს გიგლას:
 ქირი იქა, ლხინი აქა!



იაპონელი მეთევზე

ზღვაზე იაპონელ ჯაბუკ მეთევზეს
ღრუბელმა გაუჭრა სიციცხლე საამო,
ამაზე მომღერალს ვუსმენდი მელექსეს.
შუქურამ აანთო ნარინჯის სალამო.

ო, თევზს ვინც დაიჭერს, ვინც შეჭამს—მოკვდება,
ჩვენ ვინც ხელს შეგვახებს, ის კაცი მოკვდება,
მოცურავს კარაპი, შავ კუბოს მსგავსია,
კარაპზე ვინც ავა, ის კაცი მოკვდება.

ო, თევზს ვინც დაიჭერს, ვინც შეჭამს — მოკვდება,
კაცს უცხად არ მოსპობს სიკვდილი წყვეული,
თანდათან დაღებდა იმ კაცის სხეული...
ა, თევზს ვინც დაიჭერს, ვინც შეჭამს — მოკვდება.

ჩვენ ვინც ხელს შეგვახებს, ის კაცი მოკვდება
და ვინც ხელს შეახებს ჩვენს ხელებს დაკაწრულს,
მლაშე ზღვის ტალღებით ნაბანს და დაქანცულს,
ჩვენ ვინც ხელს შეგვახებს, ის კაცი მოკვდება,
კაცს უცხად არ მოსპობს სიკვდილი წყვეული,
თანდათან დაღებდა იმ კაცის სხეული...
ჩვენ ვინც ხელს შეგვახებს, ის კაცი მოკვდება.
ჩემს ერთგულ სიყვარულს ვთხოვ: გადამივიწყე!
მოცურავს კარაპი, შავ კუბოს მსგავსია,
კარაპზე ვინც ავა, ის კაცი მოკვდება,
ღრუბელი ჩამოწვა და რისხვით საესეა...

ჩემს ერთგულ სიყვარულს ვთხოვ: გადამივიწყე!
ნუ გადამეხვევი ტვირთს, გაშლილს გველივით,
აგი არ დაგინდობს მკერდს გადაფენილი...
ჩემს ერთგულ სიყვარულს ვთხოვ: გადამივიწყე!

მოცურავს კარაპი, შავ კუბოს მსგავსია,
ჩემს ერთგულ სიყვარულს ვთხოვ: გადამივიწყე!
უმამოდ დარჩება ყრმა დაბადებული,
დაღებდა, ვით კვერცხი მთლად აშშორებული.
მოცურავს კარაპი, შავ კუბოს მსგავსია,
ქანაობს ფერმკრთალი, უსულო ბალახი...
ო, აღამიანნო! სადა ხართ? გეძახით!

მე თქვენ გეძახით!

მკვდარი მოგონა კატარა

კარს ვაკაუნებ, გამიღეთ კარი,
 ყოველი სახლის გამიღეთ კარი,
 ველარ მიხილავს მე თქვენი თვალი,
 რადგან მე უკვე მკვდარი ვარ, მკვდარი.

ხიროსიმაში გარდავიცვალე,
 წინ გასავლელი ბევრი წლებია,
 მე ვიყავ შეიღის, ისევ შეიღის ვარ —
 მკვდარი ბავშვები არ იზრდებიან.

ლამაზი თმები ცეცხლმა დამიწვა,
 მან არ დაინდო ჩემი თვალები,
 გადამაქცია ერთ მუქა ფერფლად,
 ქარს ფერფლი მიაქვს განაწვიალები.

ერთი თხოვნა მაქვს, არა გთხოვთ შიქარს,
 ჩემთვის საჭირო განა იქნება,
 როცა დაეიწვი, როგორც ფოთოლი,
 პურიც და ბრინჯიც აღარ მჭირდება.

ვთხოვ ყველა ქვეყნის აღამიანებს,
 რომ მოაწერონ ხელი იმ ქალალდს,
 რომ აღარ მოსპოს ცეცხლმა ბავშვები,
 რომ მათ იცხოვრონ ტყბილად და ლალად.

აღამიანებს ნუ სპობს ღრუბელი

დედამ გაგზარდა აღამიანად,
 დედა — შუქია ცხოვრების გზაზე.
 თქვენ, ბატონებო, დედამ არ გშობათ?
 დედებს სიცოცხლეს ნუ გამოსტაცებთ,
 აღამიანებს ნუ სპობს ღრუბელი!

აი, აფრინდა ქალალდის ფრანი,
 ექვსი წლის ბავშვი თამაშობს ბაღში.
 თქვენც ხომ გიყვარდათ ბავშვობის წლები,
 თქვენ, ბატონებო, არ მოკლათ ბავშვი,
 აღამიანებს ნუ სპობს ღრუბელი!

როცა პატარძალს სარკე უჭირავს,
 ნეტავი, ვინ სურს შიგ დაინახოს?
 თქვენც ხომ ასევე გელოდებოდნენ, —
 ქალწულს სიყვდილმა ხელი არ ახლოს,
 აღამიანებს ნუ სპობს ღრუბელი!



როდესაც კაცი ქალაქადება —
 იხსენებს წარსულ წლებს საოცნებოს.
 დაე, მოხუცმაც იცოცხლოს წყნარად,
 თქვენც ხომ მოხუცი ხართ, ბატონებო,
 ადამიანებს ნუ სპობს ღრუბელი!

უიარაღო ადამიანები

აი მოვიდნენ ყველა ქვეყნიდან
 და ჩრდილოეთში ჰპოვეს ალაგი.
 ტბათა და კლდეთა შორის გაშლილი
 ამწვანებული იდგა ქალაქი.

უიარაღო ადამიანებს
 მარად მზად ჰქონდათ მსხვერპლად გულები,
 სიცოცხლეს შეხვდნენ გაწვდილ ხელებით,
 და სიყვარული ჩქეფდა ულევო.

თეთრია ღამე,
 დღე არის გრილი.
 მოვიდნენ,
 უნდათ დიადი ძალის
 სიტყვები სჭედონ გულების გრდემლზე,
 სჭედონ სიტყვები
 სიკვდილზე მძლავრი.

თარგმანი ვასილ ლავჩიაშვილისა

ატმის ყვავილებს და ლინის ტაძარში

ყვავილებს მისში ალო ეწურებათ
ჩვენთან და ვარდობა ილევა,

მე ვბრაზობ: ალბად შინ დაბრუნდა,
უკვალოდ

ხოლო მთის ტაძარში ვარდისფრად
ახლახან

რომ გაჰქრა ზაფხული შრილა:
ამ ჩუმი ტაძარის ბუკისთან გზად

იფეთქეს ატმის ყვავილებმა.

გავლილმა
ვინ იცის აქ შემოიარა.

ვიმონებ ხუთი — შუს

ძთებში ვეხეტები, მდინარეს დავყურებ,
ლექსები თან დამაქვს მელექსეს.

ექვსივე სიამე ჩემთან რომ გაიყო
იმ დროზე ოცნებას ვუნდები.

მთვარეს შევხარი და ღვინოს ვეძალები
ყვავილებს დავეძებ ველებზე.

სასო მაქვს მიხდილი, ნეტავი ვიციოდ
ლოანში როდის დაბრუნდები.

ჩანანის გაზაფხული

ცინის კარიბჭეთა ტირიფის შტონი
დახრილან, არა აქვთ ძალი.

სიმაგრე აკლია მანდაურ ღვინოს
მაღედვე ფხიზლდება მთვრალი.

აღმოსავლის ქარმა ოქროდ გადუქცია
იმ ტირიფს ფოთლები მკრთალი.

ვერაფრით დაიცხრო გაზაფხულის
სევდა,
ველარც აარილო თვალი.

დაგალ თანამდგომგაზე პირველად წარგზავნილმა ვანცილინი გავიარა

უცებ ავიყარე, დავაგდე სახლკარი,
გულს ალარ მეშვება მომავალზე ჯავარი.

აჰა, ვანცილინიც! უღელტეხილიდან
უკუშევებრუნდი და განვილილ გზას
გავცქერ.

წელი-წელ გავდივარ ჩვენი სატახტოდან
და გზისას გამვლელებს ვეკითხები
მგზავრი.

შემოდგომის ქარი, მძლავრი, უნაპირა
ზუზუნით მიწეწავს ჭალარა თმაწვერს.

გატონი უფროსი კესთან სტუმრადგყოფი ვუძღვნი მენ-დეს რომელიც მეთხოვება

აღზევებულნი და ხანში შესულნი ვართ,
ჰა, მიეშურები, მეთხოვები დიდხნით.

ღვინო დაილია, ლანის აზნაურიც
ჩვენდა სადღეგრძელოდ რომ წამოდგა
სკამით —

შენ წახვალ და ველარც შევიყაროთ
იქნებ,

შენ წახვალ და ჩემი წამოგყვება ფიქრია.

ესე იგი მოდგა მეისა და ძოუს
გამოთხოვების და განშორების უამიც.

ცოლის გარდაცვალებას ვდარდობ



საქართველოს
წერა-ბეჭდვის
კავშირის
წევრი

მე ცოცხალშეკვდარი უტუნის ღერო ვარ
სნეული, ყრუ ბერიკაცი

ხელჩაკიდებული შეიღობიან მწვევება,
შინ მივალ მწუხარე ფიქრით.

მომესმის სამარის წყაროთა ჩუხჩუხი
და სულის სიმშვიდეს მაკლის.

დარბაზში ბნელა და ცივა ოთახებში
სახლში აღარა ჩანს იგი.

ჯაო-ცუნში აყვავებულ ხეთა შორის ვსეირნობ

ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე
შვებას მანიჭებდნენ და ხალისს
რაოდენს

ბერიკაცისათვის ხელახლა აქ მოსვლა
ძნელია მეტად — წლები არ გინდობენ;

ჯაო-ცუნის მშვიდი ატმის ხეები
გამოზაფხულზე რომ ვარდისფრად
ჰყვავოდნენ.

წელსაც თუ მოვედი, მოველ გაზაფხულს
და
ატმის ყვავილებს რომ გამოვემშვიდობო

ყვავილეში მებრალვა

ბრალია რომ მშვენთა და უნაზესთათვის
სწორედ ახლა მოდგა ყვავილობის ეპი,

ანცმა მოლაღურმა დღევანდელი დილით
როცა ნახა ძველი სანახების ფარჩა —

სულ ცოტა ხნის წინათ ბობოქარმა ჭარმა
შტოებს მოაძარცვა ყვავილები ღამით.

მან, ენამრავალმა რაც იქ იგალობა
შიშველ ხეთა შორის უპასუხოდ დარჩა.

თარგმანი თამაზ ჩხინკაილისა

ინაპლი მიქელაძე



საპარტფედოს მრეწველობა გეგმავს ხუთწლედში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის და კულტურული მშენებლობის შედეგად განვითარების ღრმად დასაბუთებულ პროგრამას.

მეექვსე ხუთწლედში დასახულა გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელია, რომ კომუნისტური მშენებლობის დიდი პროგრამა დანაწილებულ იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების, ეკონომიური რაიონების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით.

ჯერ კიდევ სოციალისტური მშენებლობის გარიტარზე შემუშავდა სოციალისტური მშენებლობის პირველი პერსპექტიული გეგმა ე. ი. ლენინის უშუალო მითითებათა საფუძველზე, ეს იყო „გოელროს“ გეგმა, რომელსაც ლენინი პარტიის მეორე პროგრამის უწოდებდა.

გოელროს გეგმაში იმთავითვე აღიარებული იყო სახალხო მეურნეობის გეგმის შედეგების აუცილებლობა რაიონული განზრახვით.

ჩვეყნის მეურნეობის რაციონალური გეგმის შემუშავებისათვის, — ერთსულოვანი გოელროს გეგმაში, — აუცილებელია ქვეყნის დანაწილება სამეურნეო-დამოუკიდებელ ერთეულებად — რაიონებად... ასეთ რაიონულ გეგმათა საფუძველზე შედარებით ადვილი იქნება რაიონების რაციონალური თანამშრომლობის საერთო სქემის დადგენა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო გეგმის მოზაზეა¹.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ მიღებულ დირექტივებში სხვა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1966 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, დარგობრივ დავალებათა გარდა, მოცემულია რაიონული განზრახვა, აქ განსაზღვრულია მოკავშირე რესპუბლიკების მიერ შექმნილ ხუთწლედში გადასაწყვეტი ამოცანები, დასახულია მათი მეურნეობისა და კულტურის

განვითარების პერსპექტივები და საჭირო ღონისძიებანი.

სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XX ყრილობაზე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „სოციალიზმი არათუ არ სპობს ეროვნულ განსხვავებებს და თავისებურებებს, არამედ, პირიქით, უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ განვითარებასა და აყვავებას“¹.

ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ უპირატესად თანადროულ ამოცანას შეადგენს მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნული ეკონომიკის ღრმად და საფუძვლიანი შესწავლა, რათა ამ გზით შესაძლებელი იყოს იმ ბუნებრივ და ეკონომიურ პირობათა თავისებურების გათვალისწინება, რაც ახასიათებს ამ თუ ამ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას.

მეექვსე ხუთწლედში ზორციელდება მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოება. თვითველი რესპუბლიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სახალხო მეურნეობის გეგმავალი ზღვრულად ნელობის გარკვეულ ცენტრალიზაციის სწორი შეხამება რესპუბლიკების ფართო ინიციატივასა და თვითმოქმედებასთან. ამჟამად მრავალი ღონისძიება ზორციელდება ამისათვის, რომ გაიზარდოს რესპუბლიკების ფართო ინიციატივა, ხელი შეეწყოს მეურნეობის შიდა რეზერვების გამოყენებას, ადგილობრივ დაპატივით შესაძლებლობათა მოზილიზაციის და ამის საფუძველზე სოციალისტური წარმოების შემდგომ ზრდა-განვითარებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დადგენილებაში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ განსაკუთრებით ხაზგასმულია საწარმოო ძალთა განლაგების სოციალისტური პრინციპების გატარების საჭიროება და დასახულია ღონისძიებანი, რათა განზორციელდეს მრეწველობის მიხლოება ნედლეულის წყაროებთან, სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებთან და მოზარების რაიონებთან.

¹ ნ. ს. ზურშოვი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობისა. სახელგამი, გვ. 126.

¹ План «Гозлро» — План электрофикации РСФСР. მეორე გამოცემა. მოსკოვი 1955 г. გვ. 185.

მეექვსე ხუთწლიურში (როგორც ნათქვამია სტკმ XX ყრილობის დირექტივებში) უნდა აგან-
ხორციელდეს ეკონომიური რაიონების შეურ-
ნეობის სწორი სპეციალიზაცია და კომპლექსურ
განვითარება, ამახანა ვაფაღასწინებულ
აქვს მათი ბუნებრივი და შრომითი რესურსე-
ბის უფრო ეფექტურად გამოყენება საზოგა-
დოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლებას
მიზნით*.

ეკონომიური რაიონებისა და მოკავშირე რეს-
პულობების სპეციალიზაცია მოასწავებს მრეწ-
ველობისა და სოფლის მეურნეობის ისეთი
დარგების განვითარებას, რომელნიც განსაზ-
ღერავენ რესპუბლიკის სამეურნეო პროდუქტის
სარაიონთაშორისო შრომის რაციონალური გა-
ანაწილების საფუძველზე.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური რაიონების სი-
მეურნეო განვითარება განვიღო ხუთწლიურ
განვითარებაში ითვალისწინებდა საკავში-
რო მეურნეობაში მოკავშირე რესპუბლიკების
ეკონომიკის მზარდ მონაწილეობას, შეფარდუ-
ბულ რესპუბლიკის მეურნეობის კომპლექსურ
განვითარებასთან.

საქართველოს სახალხო მეურნეობის მაგალი-
თზე სრული სიუხადით ჩანს მეურნეობის გან-
ვითარების ეს ორი მიმართულება: — ერთი
მხრით, სპეციალიზაცია შრომის სარაიონთაშო-
რისო განაწილებაში და, მეორე მხრით, რეს-
პუბლიკის ეკონომიკის კომპლექსური განვითარება.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების
ეს ორი მიმართულება არათუ არ ეწინააღმდეგება
ერთმანეთს, არამედ, პირაქით. მთლიანობაში
არის მოცემული და ორივე ხელს უწყობს
ჩვენი რესპუბლიკის საწარმოო ძალე-
ვის ზრდა-განვითარებას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის გან-
ვითარებისათვის მეექვსე ხუთწლიური დამახ-
სიათებელისა, რომ მისი საწარმოო სპეცია-
ლიზაციისა და სარაიონ თანამშრომლების სა-
ფუძველზე თანდათან ძლიერდება და იზრდება
საქართველოს ეკონომიკის როლი სსრ კავშირის
სოციალისტური გაფართოებულ კლავშირში.
შის პროცესში.

საქართველოს სოციალისტური მრეწველობა
სულ მზარდი რაოდენობით აწვდის სსრ კავში-
რის სხვა რესპუბლიკებს, ოლქებსა და მხარეებს
როგორც საწარმოო დანიშნულების, ისე პირადი
მოხმარების პროდუქციას.

საწარმოო დანიშნულების პროდუქციის შე-
მაღლებლობაში, რომელსაც საქართველოს მრე-
წველობა მეექვსე ხუთწლიურში საბჭოთა კავში-
რის რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებსა და
სოციალისტური ბანაკის სახალხო დემოკრატიის
ქვეყნებს მიაწვდის, აღსანიშნავია ქიათორის მა-
ღალბარისბოგანი მარგანეცის მადანი, აგრეთვე
მარგანეცის სხვადასხვა ფეროშენადნობი, წმინ-
და ელექტროლითური მინგანეში, რადიონირ-

ბული ფერომაგანეცი, სილიკო მარგანეცი და
სხვა.

თანდათან იზრდება მანქანების წმინდალტურა,
რომელსაც საქართველოს მანქანათმშენებლობა
აწვდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონს, ამ
მანქანათა შორის არის სატვირთო, ცემენტსაზა-
დი, ბამბის საზიდი და სხვა მარკის ავტომობი-
ლი, სახარატო ჩარხები, საფეიქრო და შეღვინე-
ობასათვის საჭირო მრეწობილობა, რადიოტე-
ლეგრაფის აპარატურა, პალრომეტროლოგიუ-
რი ხელსაწყოები და სხვა.

მნიშვნელოვანია საქართველოს მრეწველობის
მონაწილეობა სარაიონთაშორისო შრომის დანი-
შნულებაში ისეთი არამაღწეული წიაღსუფლია
მხრით, როგორცაა ბარიტი, დიატომიტი, ტალ-
კა, გუმბანი, ანდეზიტი, ასკანიტი, მარმარილო
და სხვა.

გარდა წარმოების საშუალებათა მწარმოებუ-
ლი დარგებისა, საქართველოში მძლავრად გან-
ვითარდა კვებისა და მსუბუქი მრეწველობის
მრავალი დარგი, რომელთა პროდუქციის საერო-
თრისაკავშირო დანიშნულება იქვს. სსრ კავშირ-
ში საზოგადოებრივი შრომის განაწილების პრო-
ცესში საქართველომ დაიმკვიდრა მათ, ციტრუ-
სების, ტუნგოს ზეთის მასობრივი მწარმოებისა,
აგრეთვე სუფრის ღვინოების, საბჭოთა შამპა-
ნურის, თამბაქოს, ხილის, კონსერვების, ცხირო-
ვანი ზეთების, კეთილშობილი დაფინისა და მი-
წერალური წყლების უმსხვილესი მწარმოებლის
ადგილი.

მეექვსე ხუთწლიურში გათვალისწინებულია
საქართველოს მრეწველობის სათანადო დარკე-
ობის მიერ პროდუქციის გამოშვების მკვეთრი გა-
დიდება.

საქართველოს სახალხო მეურნეობის კომპლექ-
სური განვითარების ამოცანები მოთხოვენ, პირ-
ველ ყოვლისა, მრეწველობის ისეთი დარგების
განვითარებას, რომელთა ვარჯე საერთოდ მოუ-
ვანებებელია რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაცია.
ასეთი დარგებია, მაგალითად, ელექტროენერგე-
ტიკა და სათბობის მრეწველობა.

ბუნებრივია, რომ საქართველოში სათანადო
ელექტროენერგეტიკული ბაზის შექმნის ვარჯე-
შე შეუძლებელია იქნება მრეწველობის, ტრანს-
პორტისა და სოფლის მეურნეობის განვითარე-
ბის ამოცანების ვაღაწყვეტა. სათბობ-ენერგეტიკული
მრეწველობის გარდა, კვლე — წარმოე-
ბის რესპუბლიკურ პროცესში მნიშვნელოვან
როლს ასრულებს საშენ მასალათა მრეწველობა
(ცემენტის, ალუბასტრის, კირის, აფროის, კრა-
მიტის და სხვა წარმოება).

რესპუბლიკის ეკონომიკის კომპლექსური გან-
ვითარებისათვის დიდად მნიშვნელოვანია აგრეთვე
რესპუბლიკაში წარმოებულ მშენებლობისა
და მანქანათმშენებლობისათვის საჭირო
ლითონის წარმოება. აგრეთვე მინერალური სასუ-
ქების დამზადება.

რესპუბლიკის ეკონომიკის კომპლექსურა გან-

ვაითარება მოითხოვს აგრეთვე ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების ყოველმხრივ განვითარებას.

ყველა ამ დარგის განვითარების მიმართ შეექმნეს ხუთწლიური დასახეული ღონისძიებითა ფართო პროგრამის განხორციელება.

გასულ ხუთწლიურში მიმოხილული დიდი წარმატებების მიუხედავად, საქართველოს მრეწველობის საწარმოთა მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომელთა აღმოფხვრა ჩვენი სამრეწველო კოლექტივების გადაუდებელი ამოცანაა. სამრეწველო საწარმოთა საგრძნობი ნაწილი არაბრტყელად მუშაობს, სისტემატურად ვერ ასრულებს სახელმწიფო ვაგებებს. ბევრი საწარმო არ ზრუნავს ახალ ტექნიკის და პროგრესული ტექნოლოგიის დაწვრივებისათვის, სუსტად არის განხორციელებული საწარმოთა სპეციალიზაცია და კომბინირება; სრულიად არ არის გამოვლენილი და გამოყენებული წარმოების შინაგანი რეზერვები შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

შექმნილი ხუთწლიური გეგმათაწინებულთა ყველა ამ ნაკლოვანების აღმოფხვრა, შრომის ნაყოფიერების გადიდება და ამის საფუძველზე სოციალისტური წარმოების ყველა დარგში პროდუქციის გადიდება.

ქვემოთ განვიხილოთ, თუ რაგორი პერსპექტივებია დასახეული საქართველოს სოციალისტური მრეწველობის წინაშე შექმნილი ხუთწლიური მოღონად და მისი ძირითადი დარგების მიხედვით.

• •

შექმნილი ხუთწლიური განმავლობაში 1,6-ჯერ გადიდება საქართველოს მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია, ამასთან ერთად, უზრუნველყოფილი იქნება წარმოების საშუალებათა წარმოების უზირატესი ზრდა.

წარმოების საშუალებათა მწარმოებელ დარგთა შორის საქართველოში განვითარების დიდი პერსპექტივები აქვთ ელექტროენერგეტიკას, ქვანახშირის მრეწველობას, შავ მეტალურგიას, მანქანათმშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობას.

ელექტროენერგეტიკა. ელექტროენერჯის გადამწვევტ როლზე კომუნისტების აწინებებაში მკაფიოდ მიგვიჩვენებს ლენინის ცნობილი ფორმული „კომუნისში არის საბჭოთა ხელისუფლება მტლს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“.

ლენინი ელექტროფიკაციის საკითხებს ყოველთვის ფართოდ აყენებდა და მათ უკავშირებდა საწარმოთა ძალთა განლაგების, სახალხო მეურნეობის ტექნიკური რკუმსტრუქციის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და საბუნებო მეურნეობის რაციონალიზაციის საკითხებს.

საქართველო თავისი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ერთ-ერთი უმდიდრესი რაიონია

საბჭოთა კავშირში. საქართველოში მოიპოვება ქვანახშირის, მურა ნახშირისა და ნავთობის/სამრეწველო საბადოები, მარამ *შედეგად* შედარებით შეზღუდულია, მაშინ რადგან ქვეყნის მთლიანი მარაგი პრაქტიკულად განუსაზღვრელია. საქართველოს პოტენციური ენერგეტიკული რესურსებისათვის ისაა დამახასიათებელი რომ მათს საერთო შემადგენლობაში გაბატონებული ადგილი ჰიდროენერჯის უჭირავს.

ჰიდროენერჯის მარაგის განსაჯობებულ-სამდიდრის გამო ელექტროსადგურების მშენებლობა საბჭოთა საქართველოში იმთავითვე უმთავრესად ჰიდროელსადგურების აგების მიმართულებით წარიმართა.

ჰიდროენერგეტიკული რესურსების სიუხვის მიუხედავად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ მოიპოვებოდა არც ერთი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური. 1913 წ. არსებული ელექტროსადგურების სიმძლავრე მათს კვტ არ აღემატებოდა, ხოლო ელექტროენერჯის გამოშვება სულ 20 მილიონ კვტ საათს შეადგენდა.

ჯერ კიდევ 1921 წელს ე. ა. ლენინი თავის ცნობილ წერილში კავკასიის ბოლშევიკებისადმი გენალური მოხმამკურთხელობით წერდა ელექტრომშენებლობის განვითარებისა და პირველ რიგში, ჰიდროსადგურების მშენებლობის შესახებ: უნდა „...განვითაროთ... შეიღარი მხარის საწარმოთა ძალები, თეთრი ნახშირი, მარწყვა... ერთაშად შეეცადოთ გააუმჯობესოთ გლეხების მდგომარეობა და შეუდგეთ ელექტროფიკაციის დიდ სამუშაოებს“.

ე. ა. ლენინის ეს მითითებები სიფუძვლადელო საქართველოში ელექტრომრეწველობის განვითარებას. საბჭოთა საქართველოში შექმნილია მძლავრი ჰიდროელექტროენერგეტიკული მეურნეობა. საქართველოს ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრემ 1950 წლისათვის თითქმის 47-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის სიმძლავრეს, ხოლო ელექტროენერჯის გამოშვებებამ 62-ჯერ გადააჭარბა.

რაიონული ელექტროსადგურები მაღალი ძაბვის გადაცემის საზეით გაერთიანებულნი არიან ერთ ქსელში — საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში.

ერთ სისტემაში რაიონული ელექტროსადგურების გაერთიანება ანუ სადგურების ე. წ. დარკალბა უზრუნველყოფს ელექტრომომარაგების ცენტრალიზაციის მაღალ კოეფიციენტს. ჰიდროელექტროსადგურებს საგრძნობი უზირატესობა აქვთ თბოელექტროსადგურებთან შედარებით. 1950 წელს საქართველოს ჰიდროელსადგურების მთლიანი გამოშვებული ელექტროენერჯია გვაქვს 1500 — 1600 ათასი ტონა ქვანახშირის მომწარკრებას. ნაცვლად იმისა, რომ ასეთი რაოდენობის ქვანახშირი მოიპოვოთ მიწის წიაღში, ამოვილოთ და ელექტროსადგურების ქვანახშირის საცენტრალურებში დავწვათ, ჩვენ ვიყუ-

ნებთ მდინარეთა ენერჯის, ე. წ. „თეთრ ნახშირს“, რომლის ხარჯეა არ ამცირებს მის მარჯს ბუნებაში. ჰიდროელექტროენერჯის თვითღარებულმა გაიძულები დაბალა, ვიდრე ელექტროენერჯისა, რომელიც გამოუმუშავებულა თბოელექტროსადგურების მიერ.

საქართველოს ელექტრომუდერნობის მუდარებებში მუდარებები მუდარებების სიმძლავრის არასამართლიანად გადიდებას შორის არსებული ნაწილობრივი დისპროპორციის აღმოფხვრა, უახლოეს წლებში უნდა გამოდგარდეს ჰიდროელექტრომუდერნობა, რათა ელექტროსადგურების სიმძლავრეთა მატება წინ უსწრებდეს არა მხოლოდ მრეწველობის ზრდას, არამედ უზრუნველყოფდეს ელექტროსიმძლავრეთა რეზერვების შექმნას.

ამჟამად მოქმედი და მშენებლობის პროცესში მყოფი ჰიდროელსადგურები შევიკიძლია დავეთხო სამი ჯგუფად.

ჰიდროელექტროსადგურთა პირველი ჯგუფს ეკუთვნის საქართველოს რაიონული, სეზონური ჰიდროელექტროსადგურები. სეზონური სადგურებია: ზაქესი, რიონისი, აწქისი, სოხუმქეი, ჩიხაბუჯესი და სხვა. ეს სადგურები გამოიყენებენ მდინარის წყალდიდობის სადგურივაციო არხების მიწყობის საშუალებით, მათ არა აქვთ რაიმე მოწყობილობები ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, გარდა სადღეღამისო რეგულირების აუზისა. ეს სადგურები აგებულა ჩვენი რესპუბლიკის მსხვილი ქალაქების მახლობლად, მათი დაწესებულები სიმძლავრე წლის განმავლობაში არ არის მთლიანად უზრუნველყოფილი. საქართველოს სეზონური ჰიდროელსადგურების საშუალო თვიური სიმძლავრე წლის ხარჯის მახლობლად წლის განმავლობაში დიდ ცვლილებას განიცდის; ამ ელსადგურების საშუალო თვიური სიმძლავრე შემოდგომა-ზამთრის პერიოდში — წყლით სრული უზრუნველყოფის პერიოდით შედარებით — 40-45 პროცენტით მცირეა, ხოლო ინიშობლობაში (უზრუნველყოფილი) სიმძლავრე წლის ხარჯის მიხედვით (დაწესებულ სიმძლავრესთან შედარებით) არის არა უმეტეს 25 პროცენტისა. ჰიდროელსადგურების სიმძლავრის შემცირება ზამთარ-შემოდგომის პერიოდში იწვევს მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტას. ელექტროენერჯის გამოუმუშავების მრუდი მძაფრად ეცემა ზამთარ-შემოდგომის პერიოდში, რაც, თავის მხრით, უახლოდით გავლენას ახდენს ელექტროენერჯის მომხმარებელსაწარმოთა მუშაობაზე. სეზონური ჰიდროელსადგურების საშემუდერნობა ღარებულბა შედარებით მცირეა, მათ მიერ გამოუმუშავებულ ელექტროენერჯის ღარებულბა მუდარდ დაბალია.

ჰიდროელექტროსადგურთა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ის სადგურები, რომლებიც აგებულა მდინარის კომპლექსური გამოყენების საფუძველზე ირივაციული და ენერჯეტიკული

მუდარებისათვის. ასეთი სადგურების ჯგუფშია ალაზნის ჰიდროელსადგური, ტრიფონის ჰიდროელსადგური და მშენებლობის პროცესში მყოფი სამგორის ჰიდროელსადგური. ალაზნის ჰიდროელსადგური ალაზნის სარწყავი არხის ზანქტრება აგებულა, იგი ელექტრონის ენერჯის აწუდის შიდა კახეთის ტომარენობებსა და საბჭოთა მუდარებებს; კომპლექსების შუა ქართლშია, იქ, სადაც ტრიფონის სარწყავი არხზე მდ. ლიხევის ტალღები ხანქეჩად გადმოემუდებან. ეს სადგური მიწოდებ ელექტრონის ენერჯის შუაქართლის საყოლმურსა და სოფლებს.

სამგორის საირივაციო ზემო მდინარეებზე არხზე ამჟამად უკვე სამოქმედოდ არის გადოცემული სამი ჰიდროელსადგური — საცხენისის, მარტყოფისა და თეთრბევისა. ამ სადგურების მუშაობის გრადიენტი შეეძესე ზეთიწლებში მდებარედ გუმრეხების სიონის წყალსაცავის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრებით.

ჰიდროსადგურთა მესამე ჯგუფს მიეკუთვნება მომუდერნობები, ე. წ. მარეგულირებელი სადგურები, რომლებიც აქვთ სპეციალური მოწყობილობა სადგურები. ეს ეი უზრუნველყოფს ელექტროენერჯის გამოუმუშავებას ზამთარ-შემოდგომის პერიოდში. ყველაზე მუდარდ ტიპური ნიმუში ასეთი ჰესისა ხრამქესი და ტეობულქესია.

შევიქსე ზეთიწლებში ელექტროენერჯის გამოუმუშავება საქართველოში გაიზრდება ძირითადად ახალ ჰიდროელექტროსადგურთა სამოქმედოდ გადოცემის შედეგად. ელექტროსადგურები მიერ გამოუმუშავებულ ენერჯის ზედობით წონა რესპუბლიკაში ენერჯის საერთო გამოუმუშავებაში უკვე 1940 წელს შეადგენდა 75 პროცენტს, ხოლო 1960 წელს 78 პროცენტს მიადწევს. ჰიდროელსადგურების ასეთი დიდი ზედობითი წონა საესებით შეეფერება საქართველოს პოტენციური ენერჯეტიკული რესურსების სტრუქტურას.

შევიქსე ზეთიწლებში საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში და ეკონომიურ რაიონებში, მთავარ მდინარებზე, ნაყვლად განცალკევებულა ჰიდროელქტროსადგურებისა, გამოშლბა მშენებლობა ერომინეთთან დაკავშირებულა ჰიდროელსადგურების კასადისა.

მდინარეთა ენერჯის კასადური წესით გამოყენება გულისხმობს ერთსა და იმავე მდინარეზე რამდენიმე სადგურზე ჰიდროელსადგურების აგებას, სპეციალური წყალსაცავების მოწყობის საშუალებით წყლის დინების რეგულირებას და დინების გადიდებას მდინარის წყლის ერთ აუზიდან მეორეში გადაღებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყროლობის დირექტივით შევიქსე ზეთიწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ საქართველოში ჰიდროელსადგურების კასადის მშენებლობას

მდინარე რიონზე, ხრამზე, ტყიბულსა და შორხე.

რიონის შუა წელში, ინე. პ. შენგელიას სქემით, გათვალისწინებულია შეიდი მპლავრი ჰიდროელსადგურისა და ექვსი შედარებით მცირე სიმძლავრის ჰიდროელსადგურის აგება.

რიონის ენერგეტიკულ გამოყენების ზემოდასახელებული სქემა ითვალისწინებს:

ა) რიონის შუა წელში დიდი ტევადობის წყალსაცავების შექმნას, მათი მუშეობითაც ზორციელდება რიონის ჩამონადენის მოწესრიგება წლის განმავლობაში; ეს გარემოება, თავის მხრივ, უზრუნველყოფს რიონის სეზონური ენერჯის გარდაქმნას მუდმივ ენერჯად;

ბ) მდინარე ცხენისწყლის გადმოგდებას რიონის კალაპოტში და შეერთებული ხარჯის გამოყენებას რამდენიმე გამსხვილებული მპლავრი ჰიდროელსადგურის ასაგებად;

გ) რიონის პოტენციური ენერჯის ენერგეტიკულ ათვისებას ცალკეული საფეხურების მშენებლობის გზით. წინა საფეხურების ჰიდროსადგურების მშენებლობა ახათო ხელს არ უშლის ელექტროსადგურთა მომდევნო საფეხურების განხორციელებას, არამედ, პირიქით, ზრდის კიდევაც ადრე ასაგები საფეხურების მიერ ენერჯის გამოიმუშავებას და აღმოგონებებს მათ ენერგო-ეკონომიურ მიყენებულებს;

დ) ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას ისეთ რაიონში, რომელიც გეოგრაფიულად ხელსაყრელ პირობას ქმნის ენერგოტექნოლოგიითა ორგანიზაციისთვის (რადგან ამ რაიონში მოიპოვება ქვანახშირის ბუდობები, კირქვის, ბალტეოდონისა და იშვიათი ლითონების სამრეწველო სახეობები).

შეექვე ხუთწელში ზორციელდება ზედა რიონის სიმძლავრით ყველაზე მდიდარი საშუალო უბნის ჰიდროელსადგურების მშენებლობა. ასეთებია მშენებლობის პროცესში მყოფი ჰიდროელსადგურები: ლაჯანურის, გუმათის № 1, გუმათის № 2 და ახალი ჰიდროელსადგური რიონზე.

ლაჯანურის ჰიდროელსადგურის აგებით ზორციელდება ცხენისწყლის დინების ნაწილის გადმოსროლა რიონის კალაპოტში, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზრდება გუმათის ჰესისა და რიონის მთელი ელექტროენერჯის გამოიმუშავება. ამავე დროს, უზრუნველყოფილი იქნება რიონის წყლის დინების გადიდება ქ. ტუთისის ჰიდროელსადგურში ზამთარ-შემოდგომის მცირე წყლების პერიოდში.

გარდა ამისა, მდინარე რიონზე მოეწყობა სათანადო წყალსაცავები; რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდება კასკადის ჰიდროელსადგურების მიერ ელექტროენერჯის გამოიმუშავება წლის განმავლობაში შედარებით თანაბარი გრაფიკის მიხედვით.

მეორე კასკადი, რომლის განხორციელებას საფუძველი ეყრება შექმნილ ხუთწელში, ხრამ-

ფარანის კასკადია. მდინარე ხრამისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებით ხელსაყრელი მუდმივი პირობები მარგველიანობის სიმძლავრითა მშენებლობისათვის. პირველი სადგური მდ. ხრამზე ამუშავდა ჯერ კიდევ 1947 წ. ეს არის მომწესრიგებელი, ე. წ. მარგველიანობის სადგური, რომელსაც ექვს სპეციალურად მოწყობილი დიდი ტევადობის წყალსაცავი, რაც შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოფილი იქნეს ელექტროენერჯის გამოიმუშავება ზამთარ-შემოდგომის მცირეწყლიანობის პერიოდში, ამის შედეგად შესაძლებელი ხდება საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემისათვის ანახალურდეს ის დანაკლისი, რომელიც მას უზრუნველავს სეზონური სადგურების მუშაობის ხასიათის გამო.

შეექვე ხუთწელში მდ. ხრამზე აშენდება მეორე საფეხური — ხრამისი № 2, რომელიც მნიშვნელოვანდ გააუმჯობესებს მდ. ხრამის წყლის ენერჯეტიკულ გამოყენებას. ბუნებრივია, რომ შემდგომ ხუთწელში ხრამისი № 2-ს უნდა მოჰყვას მდ. ხრამზე მომდევნო საფეხურების აშენება. ხრამის კასკადი საერთოდ მარგველიანობის სადგურებისაგან შედგება. მათი დანიშნულებაა მოაწესრიგოს საქართველოს ენერგეტიკული სისტემის სეზონური ჰიდროელსადგურების მუშაობა.

შესამე კასკადი, რომელიც შეექვე ხუთწელში ზორციელდება, შორი-ტყიბულის კასკადია. ამ კასკადს მიეკუთვნება შორის ჰესი, რომელიც მდინარეობს ქ. ტყიბულთან და გამოიყენებს მდ. შორის წყლის ჩანადენს, გადმოსროლილს მდ. ტყიბულის აუზში.

ამ სადგურთან შექმნილია წყალსაცავი, რომელიც მოაწესრიგებს სადგურის მუშაობას წლის განმავლობაში.

მდ. ტყიბულზე, რომელიც შეიქმნება მდ. შორის წყლით, აგება ტყიბულის ჰიდროელსადგური, ეს გაერთიანებული წყალი გამოყვანალი იქნება მდ. ძვარულას აუზში, ხოლო ჩანქერზე აგება ჰესი. სადგურთან მოეწყობა წყალსაცავი, რომლის მეოხებითაც ამ სადგურს ექნება მომწესრიგებელი, ე. წ. მარგველიანობის სადგურის მნიშვნელობა.

ზემოაღნიშნული სადგურების გარდა, პარტიის XX ყრილობის დირექტივებში გათვალისწინებულია მდინარე თერგზე დარიალის ჰიდროელექტროსადგურის აგება.

დარიალის ჰიდროელექტროსადგურის აგება დაპროექტებულია თერგის ისეთ უბნებზე, სადაც თერგი დიდი დაქანებით მიედინება, დარიალესი დაპროექტებულია როგორც თერგის ჰიდროელსადგურთა კასკადის პირველი საფეხური. ამ სადგურის მიერ ელექტროენერჯის წლიური გამოიმუშავება საქართველოში ამჟამად მომუშავე ყველა ჰიდროელსადგურის გამოიმუშავებაზე მეტი იქნება.

დარიალესის ელექტროენერგია გადაცემული იქნება ორი მიმართულებით—სამხრეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ. სამხრეთისაკენ გაყვანილი იქნება შიდალი ძაბვის ელექტროენერგიის გადაცემა ხაზი საქართველოს ენერჯეტიკულ სისტემასთან.

მოუხედავად ელექტროენერგიის გამოიმუშავების ზრდისა, საქართველოს ენერჯეტიკულ სისტემაში წლების მანძილზე იგრძნობოდა ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი დეფიციტი.

მეექვსე ხუთწლიურში საქართველოში ელექტროენერგიის გამოიმუშავებამ მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპებს.

მეექვსე ხუთწლიურის პირველ ნახევარში (1956-1957 წ.) სამოქმედოდ იქნება გადაცემული გეშათის პირველი და მეორე ჰიდროელექტროსადგურები, ტუბულესი, ლეკანტის პესი; განხორციელდება ცხენისწყლის დინების ნაწილის კადავგდება რიონის აუზში; მდინარე რიონზე მომუშავე ჰიდროელსადგურების მთვრ ელექტროენერგიის გამოიმუშავება მნიშვნელოვნად გაიზარდება 1957 წლიდან. ვათვლისწინებულა 1958 წელს ამუშავდეს ხრამის მეორე ჰიდროელექტროსადგური, 1958 წელს უნდა დაითავრდეს სიონის წყალსაცავის პირველი რიგის სამუშაოთა მშენებლობა.

მოუხედავად ასეთი ღონისძიებებისა, მეექვსე ხუთწლიურის პირველ წლებში ელექტროენერგიის დეფიციტი მიიწი საგრძნობი იქნება. ახალსამშენებელი სამოქმედოდ გადაცემის შედეგად ელექტროენერგიის დეფიციტი თანდათანობით შემცირდება და მხოლოდ მეექვსე ხუთწლიურის უკანასკნელ წლებში მთლიანად აღმოიფხვრება.

მეექვსე ხუთწლიურე განხორციელდება ელექტროსადგურების დარკალბა მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. სკვ XX ყრილობის დირექტივეში მეექვსე ხუთწლიურის შესახებ ვათვლისწინებულა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ენერგოსისტემის გაერთიანება. ენერგოსისტემების ასეთი გაერთიანების საშუალებით მიღწეული იქნება ახალი, უმაღლესი საფეხური ჩვენი ენერჯეტიკის განვითარებაში. ენერჯეტიკულ სისტემათა გაერთიანება ამიერკავკასიის ფარგლებში ადადებს დარკალბის გეომატიურ უპიარტელობებს.

პირველი მხაიჯი ამიერკავკასიის ენერჯეტიკული სისტემის შესაქმნელად უკვე გადადგმულია. 1954 წ. დამდგეს საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერჯეტიკული სისტემები გაერთიანება კიროვანადიდან— აქსტაბამდე 110 კილოვოლტის ძაბვის ხაზის აგებით. ამის შედეგად შესაძლებელი შეიქნა მინგიაურტკის ელექტროენერგიის ვადმოცემა საქართველოში ზამთარშემოდგომის მცირეწლობის პერიოდში.

საქართველოს ჰიდროენერჯეტიკული რესურსების შემდგომი ათვისების პროგრამა ითვალისწინებს ჰიდროელსადგურების აგების ენერჯე-

ტიკული თვალსაზრისით ისეთ სისტემატკისო მდინარეზე, როგორცაა, მავალოთად, ენდურე. ამ მდინარეზე შესაძლებელია აგებულ იქნეს ელსადგურები, რომელთა საერთო ვაიმტქშეეება 10 მილიარდ კვტ საათს შეადგენს.

სათბობი მრეწველობა.

საქართველოს სახალხო მეტწნეობის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქვანახშირის მოპოვების სისტემატური ზრდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ნახშირის მოპოვება მხოლოდ ტყიბულში წარმოებდა და ისიც მეტად პრიმიტიულად 1910—1914 წ. წ. პერიოდში ყოველწლიური მოპოვება საშუალოდ 60 ათას ტონას არ აღემატებოდა. ნახშირის მოპოვების ასეთი დაბალი დონე მრეწველობის განისკუთრებულ ნაშორენილობის აშკარა მანვენებული იყო, ომამდე პერიოდში საქართველოში სამრეწველო საქარმოთა აღმოცენებისთან დაკავშირებით შეკეთრად იზრდბა მოთხოვნილება ნახშირზე, რის გამოც მისი მოპოვება ეწყობა ფართო სამრეწველო მასშტაბით ტყიბულისა და ტყვარზულის სახადოებში. 1940 წელს მოპოვებულა უკვე 625 ათასი ტონა ნახშირი.

ნახშირის მოხმარების ომამდელი სტრუქტურისათვის დამახასიათებელი იყო ორი სპეციფიკური ვარემოება.

პირველია ის, რომ საქართველოში მოპოვებულა ქვანახშირის მოხმარების შემადგენლობაში ტრანსპორტის მოხმარების ხვედრითი წონა მეტისმეტად მცირე იყო (5—6 პროცენტს არ აღემატებოდა), მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირში მთლიანად მთელა მოპოვებულა ნახშირის ერთი მეხამედი რკინიგზის ტრანსპორტს ხმარდებოდა.

ნახშირის მოხმარების ეს თვისებურება, რომელი ძალში რჩება ომისშემდგომ პერიოდშიც, აიხსნება იმით, რომ ამიერკავკასიის რკინიგზა ამთავითვე თხევად საათბობზე (მანუთზე) მუშაობდა, ხოლო უკანასკნელ ხანებში ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტს საქართველოს ფარგლებში თითქმის მთლიანად ელექტროტიკარებულა.

ნახშირის მოხმარების მეორე სპეციფიკია ისაა, რომ 1939 წლამდე, ე. ი. მანამდე, ვიდრე ამოქმედდებოდა ტყვარზელის თბოელექტროსადგური ქირველი რიგი, ნახშირის საერთო მოხმარებაში მონაწილეობას არ იღებდნენ ელექტროსადგურები მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის უმრავლეს რაიონებში ელსადგურების მთვრ ნახშირის მოხმარების ხვედრითი წონა 20—30 პროცენტს აღწევდა.

ომისშემდგომ პერიოდში ქვანახშირის მოთხოვნილება და მოხმარების სტრუქტურა ძირფხვიან ცვლილებას განიცდებს. უწინარეს ყოვლისა, საქართველოში ომისშემდგომ პერიოდში აღმოცენდა სტალინის სახელობის ამიერკავკა-

სიის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ნახშირის მსხვილი და კვალიფიციური მომხმარებელია.

გარდა ამისა, მას ესაქიროება დიდი რაოდენობის ნახშირი მძლავრა თბოელექტროსადგურისათვის, რომელიც ძირითადად ტუბულუს ნახშირის გამადიდრების ნარჩენებით და ახალციხის მურა ნახშირით იკვებება.

ქვანახშირის მოპოვება 1955 წელს ომახელ დონესთან შედარებით 4,5-ჯერ უკეთესად. მისი შედეგადაც მისი მნიშვნელობა მკვერს ტესტების ეკონომიკაში განუზომლად გადიდდა. საქართველოში მოპოვებული სათბობისა და ენერჯის სხვადასხვა რესურსის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებანი ხორციელდება.

სათბობისა და ენერჯის სხვადასხვა ხაზის წარმოების სტრუქტურა პირობით სათბობში გადუყვანით

(პროცენტებით საერთო წარმოების მიმართ) სათბობისა და ენერჯის სახეები

წლები	ნახშირი	ნავთობი	შეშა	ჰიდროენერჯია	სულ
1950 წ. (ანგარიში)	56,8	2,5	7,3	33,4	100,0
1960 წ. (გეგმა)	51,9	2,5	3,4	42,2	100,0

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სათბობის ენერჯეტულ პოტენციურ რესურსების სტრუქტურაში ქვანახშირის ხვედრითი წონა მეტად მცირეა, ხოლო ჰიდროენერჯის ხვედრითი წონა მაღალია. ბუნებრივია, რომ საქართველოში ქვანახშირი დაზოგილი უნდა იყოს მრეწველობის ტექნოლოგიური საჭიროებისათვის (კოქსის წარმოებისათვის, სადნობ, საწვავ, საშრობ ღუმელებში და სხვა). ხოლო ენერჯეტული მიზნებისათვის სულ უფრო მეტი რაოდენობით უნდა იქნეს გამოყენებული ჰიდროენერჯია.

მიუხედავად იმისა, რომ მეექვსე ხუთწლეულში მკვეთრად იზრდება ქვანახშირის მოპოვება, განსაკუთრებით კი ჰიდროელექტროენერჯის გამოიმუშავება, სათბობ-ენერჯეტული რესურსების სტრუქტურაში ჯერ კიდევ შეშის ზედრითი წონა საკმაოდ მაღალია. ეს აისახება იმათ, რომ ზეენ საპრეწველო ცენტრებში და მსხვილ ქალაქებში ჯერ კიდევ ხდება შეშის გამოყენება ბინებისა და საზოგადოებრივი შენობების გათბობისათვის, აგრეთვე წარმოების ზოგიერთ დარგში. შეშის ზარჯეა თუ საერთოდ გაუმართლებელია დაბალი ეფექტურობის გამო, მათ უმეტეს გაუმართლებელია საქართველოში შეშის რესურსების სიმცირის გამო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზეენ ტყეების ვანტემა (განსაკუთრებით მთიან ადგილებში) გაატიტვლა დასახლებულ პუნქტებთან ახლოს მდებარე რაიონები და რესპუბლიკის ზონები. ამან გამოიწვია ნიადაგის ჩამორეცხვა და ეროზიული მოვლენები.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩეენ ჭალაქების პირველ რიგში თბილისის, თბილისკისა და გაზთფიციციის. ამ მიმართულებით მეექვსე ხუთწლეულში გათვალისწინებულია გროზნო-თბილისის გაზსადენისა და თბილისში მძლავრი თბოფიციციტული ელსადგურის მშენებლობა. როცა განხორციელდება მილსადენით სტავროპოლის გაზის

გადმოცემა თბილისში, შესაძლებელი იქნება გაზით მომარაგებაზე გადავიყვანოთ თბილისის მრავალი სამრეწველო საწარმო და თბოელექტროსადგური, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მთ ეკონომიურ მაჩვენებლებს და მკვეთრად შეამცირებს ნახშირის ზარჯს.

წინასწარი გაანგარიშებიდან ჩანს, რომ სტავროპოლის გაზი თბილისში 3-3,5-ჯერ იაფი დაჯდება, ვიდრე ტუბულუს ქვანახშირის სათანადო რაოდენობა.

საქართველოში გათვალისწინებულია 1960 წლისათვის ნახშირის მოპოვების გადიდება 40 პროცენტით 1955 წელთან შედარებით.

მეექვსე ხუთწლეულში გაიშლება ახალი შახტების მშენებლობა ტუბულუსა და ტყვიარენში; მათი მშენებლობა მხოლოდ მეექვსე ხუთწლეულის დამლევისათვის დამთავრდება, რის გამოც ნახშირის მოპოვება ამ ხუთწლეულში უნდა განხორციელდეს ძირითადად მოქმედი შახტების საპროექტო სიმძლავრეთა თვისებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე. მეექვსე ხუთწლეულში შემზადდება სათანადო სამშატო სიმძლავრეთა ფონდი, რაც უზრუნველყოფს ნახშირის მოპოვების მკვეთრ გადიდებას უკვე მეექვსე ხუთწლეულში.

შავი მეტალურგია. რუსთაიის სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ომის შემდგომ პერიოდში აღმოცენდა, უდიდესი საწარმოა ჩეენ რესპუბლიკაში. იგი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილ-გამართული, ამ ქარხანაში წარმოდგენილია მეტალურგიული წარმოების სრული ციკლი.

ამ მზადდება ფოლადის მილები ნავთობის ქაბურღალების სამაგრებლად და ბურღვისათვის, ნავთობსადენებისათვის, მეგისტრალურ აირსადენებისათვის, ორთქლის ქვაბებისათვის, სატუმბო-საკომპრესორო დანადგარებისათვის და სახალ-ხი მურწინების სხვა საჭიროებისათვის.

ფოლდის მიღების ახალი უნიკალური სხას დამზადებასთან ერთად რუსთაველი თვისებულნი იქნება წერილობრივად და ფურცლოვანი რკინის საგლინავი ღვანავი. ამჟამს ქარხნის მიერ ათავსებული იქნება მოთხოვნილი მათთვის გამოშვება. იგი გამოყენებული იქნება მუშაობის მთლიანობის დასაცავად.

რუსთაველი მეტალურგებმა საწარმოო სიმძლავრეთა უკეთესი თვისებებით უნდა უზრუნველყოთ თუჯის წარმოების გადიდება 1,6-ჯერ. ნაგლისა — 1,5-ჯერ, მეტალურგიული კოქსი — 2-ჯერ მეტად. პროდუქციის ასეთი მასშტაბით გადიდებასათვის გათვალისწინებულია წარმოებაში მოწინავე ტექნიკის დანერგვა.

მეექვსე ხუთწლიაში მნიშვნელოვანად გაიზარდება რუსთაველი ალუმინის საწარმოს — ბოტოვანის სასუბურის ქარხნის სიმძლავრე. საქართველოს ქიმიური მრეწველობის ეს უდიდესი საწარმო რუსთაველი მეტალურგიული ქარხნის საკოქსე ბატარების მიერ მოწოდებული საკოქსე ვაზის საფუძველზე აღმოაჩენდა. მეექვსე ხუთწლიაში ჰორეცსავე წელს რუსთაველი ალუმინის ქარხნის კოლქტრეში მიიღო ამონიუმის გვარჯილა საკუთარი წარმოების ამიაკის გამოყენებით. ხუთწლიაში ბოლსაველი ქარხანა 8-ჯერ გაიზარდება მინერალური სასუბურის გამოშვებით. ამ ქარხანას უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი სასუბურით უზრუნველყოფის საქმეში.

გარდა ამისა, გათვალისწინებულია რუსთაველი ალუმინის ქარხანასთან კაპროალქტრის სააქტორის მშენებლობა.

მარგანეცის მრეწველობა. კითურის მარგანეცის მადნის მოპოვება 1960 წლისათვის (1955 წელთან შედარებით) უნდა გაიზარდოს 50 პროცენტით. ამ ამოცანის განხორციელებისათვის აუცილებელია აშენდეს და აშენდეს ახალი მარგანეცის და განაღდეს ღარიბადანინი კვლების დამუშავება მადნის შემდგომი გადიდრებით. ამისათვის აგებული იქნება უახლესი ტექნიკით გამართული ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკები. მეორე რაგის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა, ფართო მასშტაბით განაღდება სამრეწველო მშენებლობა და საწარმოთა აღჭურვა ახალი ტექნიკით.

დიდი ყურადღება დაეთმობა მარგანეცის ამოღების ორგანიზაციის ღია საკარგო რუსთაველი ცნობილია, რომ ღია რუსთაველი მადნის მოპოვება მიწისქვეშა მოპოვებასთან შედარებით უფრო იაფი, უსაშიშრო და მარგანეცის ლითონის დანაკარგი ნაკლებია.

დიდი ამოცანება დასახულია შრომის პროცესების სრული მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომის ნაკოფიერების შემდგომი გადიდებას უზრუნველყოფისათვის. კითურის მარგანეცის მადნის გამოზიდვისა და ტრანსპორტირებას დი-

დად შეუწყობს ხელს ფართო ლიანდაგის რკინიგზის — სამხრეთ-ზესტაფონის მშენებლობის დამთავრება.

დიდი ამოცანება დასახულია მარგანეცის ფეროშენადნობა წარმოების დარგშიც. გათვალისწინებულია მრეწველობა განახლდეს ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის ელექტროლუმენები, განაზარდოს მარგანეცის ფეროშენადნობა წარმოება, გაუმჯობესდეს მათი ხარისხი და ათვისებული იქნეს მასობრივად ელექტროლიტური ლითონის მარგანეცის გამოშვება.

მანქანათმშენებლობა. დიდი პერსპექტივები ესახება ჩვენს მანქანათმშენებლობას. ამ დარგის სფეროში პროდუქტთა გაიზარდება 3-ჯერ და კიდევ მეტად. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოს სიმძლავრე სრულად იქნება ათვისებული. იგი მოგვეცემს მრავალ ათას სატვირთო, თვითსაქონლ, ცემენტსაზიდ, პამპისსაზიდ და სხვა მარკის ავტომობილებს, აგრეთვე, მათ სათანადო ნაწილებს. თბილისის კიროვის სახელობის ქარხანა შევეთრად გადიდრდეს სახარტო ჩარხების გამოშვებით, მასთან 1956 წლიდან ათვისებული იქნება ახალი გაუმჯობესებული კონსტრუქციის სახარტო ჩარხის მასობრივი წარმოება.

მეტო ყურადღება დაეთმობა მანქანათმშენებელ საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების საქმეებს.

როგორც არაერთხელ აღნიშნულა, საქართველოს მანქანათმშენებელ საწარმოებში უკიდურესად სუსტად არის დანერგილი სპეციალიზაცია და კოოპერირება, რაც ხელს უშლის მასობრივ ნაკლებობის წარმოების განვითარებას. ჩვენი მანქანათმშენებლობის ისეთი საწარმოები, როგორცაა თბილისის 26 კომისიის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, ს. ორჯონიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, ქუთაისის სამთო-მანქანათმშენებლობის ქარხანა და სხვა არ არიან ზუსტად სპეციალიზებული, რის გამოც საქმით დიდი რაოდენობით ამზადდენ სხვადასხვაგვარ პროდუქტებს, რომელიც ზნორად სრულად არ შეენახება ამ საწარმოთა, პროცესში. მეექვსე ხუთწლიაში შევეთრად უნდა შემოვიტვირთოთ მანქანათმშენებლობის ქარხნების მიერ გამოშვებულ ნაკეთობათა ნომენკლატურა და განხორციელდეს მათი ზუსტი სპეციალიზაცია.

საშენი მასალათა მრეწველობა.

კაპიტალური მშენებლობის გადიდებული პროგრამის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია საშენი მასალების გამოშვების მკვეთრი გადიდება. დასახულია ისეთი მასალებსა და ნაწარმის წარმოების ფართო განვითარება, რომლებიც საშენი მშენებლობის მკვეთრად აწეობს მექანიზაციის მაღალი დონე, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება და ღირებულების შემცირება. ამის მისაღწევად ნაკეთობა დევი ცემენტის, ასფუბი რკინა-ბეტონის ნა-

წარმის, საკვლევ ბლოკების, სატიხრო ნაწარმის, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობების, მისამართებულ მასალებისა და ბუნებრივი ენერჯის საკვლევ მასალების წარმოების დიდი ზრდა. კერძოდ, მარტო ცემენტის წარმოება ხუთწლედის ბოლოსათვის (1955 წელთან შედარებით) ვაიზრდება 3-ჯერ.

ცემენტის წარმოების ასეთი ზრდა განმორცილებდა მისი ზარჯზე, რომ რუსთაველი სრული სიმძლავრით იმუშავებს ცემენტის მძლავრი ქარხანა, რომელიც გამოიყენებს მეტალურგიული ქარხნის წიდას, ადგილობრივ თიხასა და მონიღულ კირქვას.

არამდნეული წიაღისეულის მრეწველობა
სწრაფი ტემპით იზრდება არამდნეული წიაღისეული რესურსების — ვარცის სილის, ბარბის, დიატომიტის, ვუმბრისა და ასკინჯის-ბაზაზე ეწეობა რაგი ახალი ქარხნები და სამთო საწარმოები.

მომე მრეწველობასთან ერთად მიმდინარე ხუთწლედში ფართოდ ვითარდება მსუბუქი და გვების მრეწველობა.

მნიშვნელოვანად გადადდება საქართველოში ქსოვილების წარმოება, ამასთან აბრეშუმის ქსოვილებისა — 10,2 პროცენტით; მულულისა — 19,5 პროცენტით, ბამბულის ქსოვილებისა — 2,7-ჯერ.

აბრეშუმის ქსოვილების წარმოების საერთო რაოდენობაში მკვეთრად უნდა გაიზარდოს წინადა აბრეშუმის ქსოვილების ზვედრითი წონა, რაც ქსოვილების ასორტიმენტის გამდიდრებას მოასწავებს.

ბამბულის ქსოვილების დასახული ზრდა ნაკარადგვია გორის ბამბულის კომბინატის მეორე რივის მშენებლობის დასრულებით.

1960 წელს კომბინატი მოწყობილობის რაოდენობის გადიდებისა და მისი წარმადობის გადიდების ხარჯზე გამოუშვებს 75 მილ. მეტრ ბამბის ქსოვილს.

მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებული ასურსათო საქონლის წარმოების, შემდგომი გადადება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მზარდი რესურსების შესაბამისად, საქართველოს გვების მრეწველობის პროდუქცია ხუთწლედის განმავლობაში უნდა გაიზარდოს დაახლოებით 1,5-ჯერ.

საქართველოს სასურსათო საქონლის წარმოების დარგში ზრდის დიდი პერსპექტივები ესაზრებათ — ჩაქვს მრეწველობას, მეღვინეობას, საკონსერვო მრეწველობას,

მინერალურ წყლების ჩამოსახლება მრეწველობას, ფაქტურული და ელკოგოლო სასმელებს მრეწველობას და სხვ.

ზარისხევაი ჩაის ფოთლის წარმოება 1960 წელს აყვანილი იქნება 165 ათას ტონამდე.

მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი აღმავლობა. ხუთი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა გაშენდეს 15 ათასი ჰექტარი ვაზი, ხოლო ყურძნის ღვინის წარმოება 1960 წ. უნდა გაიზარდოს 1955 წელთან შედარებით 1,8-ჯერ.

საქართველოს მეღვინეობის პროდუქციის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ღვინის ზარისხობრივი გაუმჯობესება.

ქართული მეღვინეობა ძირითადად სპეციალიზებული უნდა იყოს მარკიანი მშრალი ღვინოებისა და ნატურალური ნახევრად ტკბილი ღვინოების წარმოებაზე. საქართველოში დამზადებული ამ ტიპის ღვინოების ხარისხი, როგორც ეს მრავალ ეტრიტირულ საკავშირო დეგუსტაციაზე და მსოფლიო გამოფენებზე დადასტურდა, მეტად მაღალია.

ქართულ მეღვინეობას სულ მცირედაც არ იქვს გამოყენებული ის მდიდარი შესაძლებლობანი, რომლებიც მას გააჩნია ტკბილი ღვინოების წარმოებისათვის. მეექვსე ხუთწლედში სთანადო ღონისძიებანი იქნება გადადგმული ასეთი ღვინოების წარმოების გადიდებისათვის საწინდელულო ბაზის გაფართოვებისა და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიმართულებით.

ნატურალური ნახევრად ტკბილი ღვინოების წარმოების გადიდების მიზნით სარკავშირის პინისტრათა საბჭომ მიიღოს სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმადაც საქართველოში ამ ტიპის ღვინოების გამოშვება უნდა გაიზარდოს 65 ათას დეკალიტრით, 1955 წელს — 600 ათას დეკალიტრით, 1960 წელს კი — 9-ჯერ მეტად.

საქართველოს მშრომელები, შეიარაღებულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, უოველ ღონეს ახმარენ, რათა უზრუნველყონ მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული მოცანების წარმატებით შესრულება.

პ. ხოსროვი



ხალხთა მეგობრობის დროით

დაიდა ჩვენი საბჭოთა ქვეყანა. თვალწინდელია მისი სივრცეები, საბჭოთა კავშირის ტერიტორია სამჯერ მეტია, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები, ოთხჯერ მეტი, ვიდრე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, ოთხმოცდაათჯერ მეტი, ვიდრე ინგლისი. მისი ფართობი 22 მილიონ კვადრატულ კილომეტრს აღემატება.

ჩვენი ქვეყანა მრავალფეროვანია. სსრკ-ში ცხოვრობს დაახლოებით სამოცდაათი მსხვილი ერი, ეროვნული ჯგუფები და ხალხები.

საბჭოთა ხალხები ძმურად ცხოვრობენ. ყოველი ხალხი, ყოველი საბჭოთა ადამიანი თავის ენაზე შრომობს, რათა კიდევ უფრო მტკიცე და მშვენიერი იყოს თავისი დიდი სახელმწიფო—საბჭოთა კავშირი.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი თანასწორუფლებიანია. ისინი ნებაყოფლობით არიან გაერთიანებული ერთ ურდვედ, თავისუფალ კავშირად, თანასწორუფლებიან რესპუბლიკებად ერთ მილიან, ეძლეველ საბჭოთა სახელმწიფოში.

დღე ვსურვას მატებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს კომუნისტური პარტიის მიერ დასახული დიდი ამოცანა კომუნისტური საზოგადოების აშენებისა. შრომისა, შემოქმედების ძიებებში, ხალხისათვის საკეთილდღეო საქმეში ხედავენ საბჭოთა ადამიანები თავიანთი ცხოვრების აზრსა და მიზანს. ამ შრომას თავისი შესანიშნავი შედეგები მოაქვს: ტრამალებზე შენდება ახალ-ახალი ქალაქები, სოფლები, გაუტყველ ყაშირებს იზორნილებენ საბჭოთა ახალგაზრდები და მოკაყეთ ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბარჯიანი მოსავალი და ა. შ.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი ნიშნავს მრავალრიანი სახელმწიფოსი, სადაც ძმურად ცხოვრობენ და იღწვიან ჩვენი ქვეყნის ყველა ერაყენების ხალხები. ასეთი მონოლითური შეკავშირება ხალხებისა არ არსებობს, და არც შეიძლება არსებობდეს, კაპიტალისტურ მრავალრიან სახელმწიფოში. იქ ხალხთა „შეკავშირება“ დაფუძნებულია წარმოების კაპიტალისტურ სისტემაზე, ერთი ერის მეორე ერთ ბატონობის პირობებში, კოლონიალურ ხალხთა ექსპლოატაციასა და ჩაგვარაზე.

საბჭოთა ხალხების მეგობრობა შედეგადა

ლენინური ნაციონალური პოლიტიკისა, კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა.

ისტორიამ არ იცის სხვა მაგალითი, რომ მრავალრიცხოვანი ერები, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთ სახელმწიფოში, აფუძნებდნენ თავიანთ ცხოვრებას მშობასა და თავისუფლებაზე, ურთიერთდახმარებაზე, მტკიცე ერთიანობაზე.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის საუკეთესო გამოხატულებაა საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო ზრდა.

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის მთელ მანძილზე საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა უფრო და უფრო მტკიცდება და ძლიერდება. ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ძმური მეგობრობა—სსრკ ხალხთა დიდი მეგობრობის ერთ-ერთი რგოლია.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა პოლიტიკამ უზრუნველყვეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკისა და კულტურის მშლავრი აღმავლობა. ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელებმა აღმართეს სოციალისტური შეურნეობის მონუმენტური შენობა. ამ რესპუბლიკების სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ჯერარსმენილმა ტემპებმა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის აღმავლობამ, ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგებამ, კულტურის აყვავებამ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკებად გადააქციო.

ამიერკავკასიის კომუნისტთა ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა იმაში გამოიხატება, რომ მათ სულ ცოტა წნის განმავლობაში დაამყარეს მშვიდობიანი დამოკიდებულება ამ სამ ხალხს შორის და ამით შეასრულეს გ. ი. ლენინის ერთ-ერთი ანდერძი ამიერკავკასიაში ეროვნული მშვიდობის დამყარების შესახებ.

ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის მეგობრობას, მათ სიყვარულს დიდი რუსი ხალხისაღმის მრავალსაუცუნოვანი ისტორია აქვს. ამ ხალხების ისტორიული წარსული ყოველთვის იყო ერთმანეთთან დეკავშირებული.

ამიერკავკასიის საუკეთესო შვილები ჯერ კი-

დევ ცარიზმის პირობებში გვევლინებოდნენ ხალხთა მეგობრობის მგზნებარე პროპაგანდისტებად, რუს ხალხის პროგრესიული წარმომადგენლების თანაგრძობითა და დახმარებით ებრძოდნენ ცარიზმის დამკვიდრებს, რომლებიც ხალხთა შორის შურსა და მტრობას აღვივებდნენ.

ილია ქვეკვაძე, ოვანეს თუმანიანი, მირზა ფატალი ახუნდოვი, აკაკი წერეთელი, ხაჩატურ აბოვიანი, მირზა შაფი, დიმიტრი ყვიფიანი, გაბრიელ სუნდუკიანი, ნ. ბარათაშვილი, მ. ნალბანდიანი, რ. ერისთავი და სხვა საუკეთესო შვილები ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების საყვარელითა და პატივისცემით ემყარობდნენ ველო ხალხს, მიუხედავად რელიგიური და ეროვნული სხვადასხვაობისა.

ღიზარდნენ რა დიდი რუსი დემოკრატიზმერლების შემოქმედებაზე, ისინი ემსახურებოდნენ ერთ იდეას — იმეორკავასიის ხალხთა შობისა და მეგობრობის იდეას, გამსჭვალული იყვნენ დიდი რუსი ხალხისადმი განსაკუთრებული სიმპათიითა და საყვარელით.

ხალხთა მეგობრობის დიდი მომდგრის აკაკი წერეთლის საბრძოლო პოეზია — შემოქმედებითი განძია თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის გმირულ ისტორიაში. წერეთელი მეგობრულ ურთიერთობაში იყო მეზობელი ხალხების — სომხებისა და აზერბაიჯანელების — საუკეთესო წარმომადგენლებთან. იგი აცნობდა თავის ხალხს ისეთ შერტლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, როგორც იყვნენ ოვანეს თუმანიანი, ხაჩატურ აბოვიანი, მირზა ფატალი ახუნდოვი, გაბრიელ სუნდუკიანი და სხვ.

უკრაინელ ხალხთან, დიდ ტარას შევჩენკოსთან აკაკი წერეთელი დაკავშირებული იყო განსაკუთრებული საყვარელით. შევჩენკოსთან მის ახლობებად შემოქმედების ხალხურობა, ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, სამშობლოს საყვარელი და ხალხთა მეგობრობის იდეა.

„აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთელსა და ტარას შევჩენკოს, — თქვა ერთხელ ჩვენმა საყვარელმა დრამატურგმა შალვა დადიანმა, — სამშობლოსა და მშობელი ხალხის ბედი წარმოედღო განათ პრინციპის სახით. არწივი გულჯს თავისი კლანკებით შევჩენკოს პროშეთის გულს, ხარბად სვამს მის სისხლს. მაგრამ მას არ ძალუძს დააუძლუროს პროშეთე. გული კვლავ ცოცხლდება და კვლავ ფეთქავს. ასეთაა წერეთლის ამიერიან ცვალები წიქნიან ამიერიანს გულს, მაგრამ ამიერიანი არ კვდება, მისი ტანჯვა სიხარულად აქცევა“.

ახე იყვნენ დარწმუნებული ცარიზმის მიერ დამონებული თავიანთი ხალხების ძალაში დიდი პოეტები — შევჩენკო და წერეთელი.

წერეთელი პირადად გაეცნო შევჩენკოს პეტერბურგში ჯერ კიდევ 60-იან წლებში და უკვე 1860-იანების ტკბილად და სასიყვარლო იფრინება მას. თბილისში შევჩენკოსადმი მიძღვნილ საღამოზე

აკაკი წერეთელმა გამოთქვა აზრი, რომ რუსეთის ხალხთა მეგობრობა მით უფრო განვითარდება და განმტკიცდება, რაც უფრო და უფრო მტკიცედ შემოიკრიბებიან ქართველები, უკრაინელები და სხვა ხალხები რუსი ძმების, რუსი ხალხის გარშემო.

ასევე აფასებდნენ რუს ხალხს ილია ქვეკვაძე, ვიორგე წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ეგნ. ნინოშვილი, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და ქართველი მოწინავე ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

მზიური საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომელსაც უმწერდნენ და ქებას ასხამდნენ ლექსებსა და პოემებში, რომლის ზურმუხტოვან მთაველებს უხეი ფერებში აღებულებდნენ ფართო ტილოებზე ფერწერის ოსტატები.

ქართველი ხალხი დიდი კულტურის ხალხია. საქართველოში, ამ შესანიშნავ მხარეში, ცხოვრობენ და იღვივან მრავალი ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის სომხებიც, რომელთაც აქ შექმნეს მდიდარი ისტორიული ტრადიცია.

საქართველოს დედაქალაქში — თბილისში მე-19 საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებელი, სომეხი ხალხის დიდი განმანათლებელი ხაჩატურ აბოვიანი. აქვე ცხოვრობდნენ ახალი სომხური ლიტერატურის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორც იყვნენ ოვანეს თუმანიანი, ნარდოსი, რაფი, ვ. სუნდუკიანი, შირვანი-ხადე, პ. პროშანიანი, ვ. ალაიანი, ვ. ანწრუნი, წითურიანი და სხვები.

აქ გაიზარდა დიდი აშუღის სიათნოვასა და მისი გამგრძელებლების — ჯივანის, ჰახირასა და სხვათა მომხიბვლელი სიმღერები.

თბილისშივე გაიზარდა ხმა კომუნისტური იდეების მუადგებლის, რევოლუციის მომდგრის აკაკი აკოპიანისა, მის შემდგ — ა. ვარდანიანის, მ. პეტროსიანისა და სხვათა.

ამ ქალაქში გაშობილნი და სომხური გავრცელები და ეუროპელები: „მშაი“, „მურჩი“, „ნარ-დარი“, „ახშირი“ და სხვ.

წითელი ზოლივით გასდევს ხალხთა მშობამეგობრობის იდეა ოვანეს თუმანიანის შემოქმედებას. თუმანიანი ყოველთვის შთაფრებულად ლაპარაკობდა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების შრავილსაუკუნოვან მეგობრობაზე და, ისე როგორც ილ. ქვეკვაძე, ხაჩატურ აბოვიანი, მირზა ფატალი ახუნდოვი, აკაკი წერეთელი, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ეს მეგობრობა არის საწინდარი ჩვენი ხალხების გამარჯვებისა, ეროვნული დამოუკიდებლობისა, სულიერი და მატერიალური კულტურის აღორძინებისა.

ოვანეს თუმანიანის ერთ-ერთ ბრწყინვალე ლექსში — „საქართველოს პოეტებს“ შევჩენკოვად არის გამოხატული კავკასიის ხალხთა მშური კავშირი:

კავკასიონის ჰალარა ერებს
ჩვენ მოგუწოდებთ საერთო ღმრთობაზე.
ჩემი ჰამანაჲ ტპილაჲ იმდერებს
თქვენი მგონების შემოაბილზე.

დაერჩეთ, ქურუმო, მამა და მეგობრად,
შევემნათ ოჯახი ამხანაგური!
და ხელოვნების ტაძრისთვის წყობრად
ყველამ მივხედოთ თითო აგურა.

დღეს ხალხი სისხლით თემც იწურება, —
ეს დაგვჩინეს მაინც ძველ გაკეთილად;
რომ ერთი ერის უმედურება
ვერ გადქცევა სხვისთვის ყეთილად.

მაშ რუსთველურად დაერჩათ ჩინგს ხელი,
თავში მოვექცეთ მსოფლიო კიბეს, —
ვიყვნეთ გულუბნეი, გვემადეს სახელი,
ვინც დაარღვიანდას, ვერ იღარიბებს!

ვის შეუძლიან რომ გადავთვლით,
ჩვენს სულში ღმერთი არ იქნის განა? —
დე იგარძნოს ყველამ, რომ საქართველო
არის მგოსანთა წმინდა ქვეყანა.

არა! რუსთველის ოქროს სიტყვები
როდი ხმარობს მკლედ და დუნეთა.
მის ამაჲ აირღობს დღეს ჩვენი მიყვებთი,
ვერა გვძლევს ტანჯვა საუბუნეთა.
(თარგმანი ი. გრიშაშვილისა)

დიდი ღვაწლი მიუძღვის ოვანეს თემანიანს
სომეხ და აზერბაიჯანელი ხალხებს შორის სისხ-
ლისმღვრელი ბრძოლის შეწყვეტის საქმეში,
ბოძოლისა, რომელიც წამოიყვებელი იყო ამ ხალ-
ხების უბოროტესი მტრების — დაშინებისა და
მუსავატიანების მიერ. პოეტმა შემოიარა ბორ-
ჩლოს, ლარისა და სხვა რაიონები თეთრი დრო-
შით ხელში და ჰადაგებდა სომეხთა და აზერ-
ბაიჯანელთა ძმობასა და მეგობრობას.

ესობიღ ქართულ მწერალსა და საზოგადო
მოღვაწეს დიმ. ყიფიანს ოვანეს თემანიანი შემ-
დგეს სწერდა: „მტრობა, რომელიც არსებობს
ჩვენ ხალხთა შორის, ხელოვნურა, სიყვარულისა
და ძმობის გარძობა — ბუნებრივი, და იგი ვაჭა-
ცებთ უფრო ძლიერია, ვიდრე ამას ჩვენში
ფიქრობენ“.

საქართველოსადმი მიძღვნილ ლექსებში თუ
კერძო წერილებში ოვანეს თემანიანი ყველგან
ლაპარაკობს ინტერნაციონალიზმზე, ხალხთა შო-
რის სიყვარულსა და ერთგულებაზე. 1913 წელს
თავის „ქართველი ხალხისადმი მისაღებაში“
ოვანეს თემანიანი ამბობდა: „... ჩვენ ვართ
უხსოვარი დროის ძმები, ერთმანეთთან მხარ-
მხარ მდგარი, როგორც ჩვენ მშობლიური მთე-
ბი, რომელთა მწვერვალები კაფიბენ, ერთმანე-
ნის ზურგს უმაგრებენ ერთ ფუძეზე აღმარ-

თელნი“. წერილი თავდება სიტყვებით: „გაუ-
მარჯოს კავკასიის ხალხთა ძმობას!“

ოვანეს თემანიანი ოცნებობდა დაწერა წიგნს
ხალხთა მეგობრობაზე. უნდოდა დაეწერა სტუმ-
რთვე „კავკასიური ენციკლოპედია“, რომელიც
გაგვაცნობდა „მეზობელი ხალხების ისტორიასა
და თანამედროვე ცხოვრებას“.

თემანიანი მკიდრით იყო დაკავშირებული
ქართული კულტურის წარმომადგენლებთან. მისი
მეგობრები იყვნენ მწერალი დავით კლდიაშვილი,
მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, პოეტი ი. გრიშა-
შვილი და სხვ.

პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა ლექსი უძღვნა თემა-
ნიანის ქალიშვილს, რომელიც ინახულა ილია
ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში.

ხალხთა მეგობრობის დიდი პროპაგანდისტი
იყო აგრეთვე აზერბაიჯანელი ხალხის სახელო-
ვანი შვილი მირზა ფატალი ახუნდოვი. იგი ებრ-
ძოდა ირანულ და თურქულ რეაქციას, ფანა-
ტიზმსა და მორიდებმს, რომლებიც აღვივებდნენ
შურსა და მტრობას ხალხთა შორის. მირზა ფა-
ტალი ახუნდოვი ცხოვრობდა და შემოქმედებით
მუშაობას ეწეოდა ქართული და სომეხი ხალხ-
ების ისეთ მოწინავე წარმომადგენლებთან ერთად,
როგორც იყვნენ გიორგი ერისთავი, ხანატურ
ამოთიანი და სხვანი, ეს იყო შესანიშნავი შავ-
ლითი ამიერკავკასიის ხალხთა ძმობისა და მე-
გობრობისა. ასევე დიდ სიყვარულს ამჟღავნებდა
იგი თავის ნაწარმოებებში დიდი რუსი ხალხის
მიმართ.

ახუნდოვი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვ-
რობდა თბილისში, აქ ზეგებოდა დეკაბრისტ მწე-
რლებს — ბესტუევე-მარტინსკის, ოდოევსკის
და სხვებს. მისი ახლო მეგობრები იყვნენ დრამა-
ტურგი გიორგი ერისთავი და ხანატურ ამოთიანი.

პუშკინის ტრაგედია სიცილიო აქ გაიგო
ახუნდოვმა და დაწერა შესანიშნავი პოემა
„ი. ს. პუშკინის ვარაუცვალუბაზე“. ეს ნაწარ-
მოები თარგმნა ბესტუევე-მარტინსკიმ და გამოა-
ქვეყნა 1837 წელს ყურნალში — „Московский
наблюдатель“, ერთი წლის შემდეგ კი —
„Русская старина“-ში. პოემამ დიდი მოწონება
დაიმსახურა იმდროინდელ რუსეთში.

აზერბაიჯანელი დრამატურგის კლასიკოსის
მირზა ფატალი ახუნდოვის შესანიშნავი პიესები
გამოხატული ხალხთა თანამეგობრობის იდეას.
მისი ერთ-ერთი კომედია დაიდგა თბილისის სცე-
ნაზე 1898 წელს აკაკი წერეთლისა და გიორგი
ერისთავის ხელშეწყობითა და დახმარებით. ქარ-
თულმა თეატრალურმა საზოგადოებრიობამ სპექ-
ტაკლი შეაფასა, როგორც ღირს კულტურული
მოვლენა, როგორც ხელოვნების ნამდვილი
ზეთი.

აკაკი წერეთელი, რომელმაც თარგმნა ეს კო-
მედია ქართულად და გამოაქვეყნა „კრებულში“,
წერდა, რომ ახუნდოვი საწერტლო ასპარეზზე
გამოვიდა გიორგი ერისთავთან ერთად და დიდი
ტალანტი გამოავლინა, მის ნაწარმოებებში აზერ-

ბაიჯანული ცხოვრება ისე აისახება, როგორც სარკეში, პიესები დაწერილია დიდი მხატვრული ისტატიზით.

თბილისში ჩაყარა აგრეთვე საფუძველი მ. ფ. ახუნდოვისა და ზ. აბოვიანის ახლა შეგობრობის. ორივე მწერალი ხალხების ბედს მჭიდროდ უკავშირებდა დიდ რუს ხალხს. ისინი თავიანთ მახვილ კალმს მიმართავდნენ ირანელი და თურქი დესპოტებისა და ევროპული კოლონიზატორების წინააღმდეგ, რომლებიც ჩაგრაგდნენ აზერბაიჯანულ და სომეხ ხალხებს.

ახუნდოვის რამდენიმე პიესა ითარგმნა სომხურ ენაზე.

კომედიაში — „ქუნწის თავგადასავალი“ ახუნდოვა გამოხატა ამიერკავკასიის ხალხთა შრომული გლეხობის გაჭირვებული და დამცირებული ცხოვრება.

სომხური დრამატურგიის ფუძემდებელი გაბრიელ სუნდუციანი სამუდამოდ შევიდა ამიერკავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის ისტორიაში. მისი შესანიშნავი პიესები — „პეპი“, „ხათაბალი“ და სხვა, რომლებიც წარმოადგენენ ცხოვრების საინტერესო პანორამას და ასახავენ უზოგადესად თბილისელი სომხებისა და ქართველების ცხოვრებას, შესულია ამიერკავკასიის რესპუბლიკების თეატრალური ხელნაწილების საკანძერვო.

პატარა გაბრიელ პირველად მიიბარეს ჩანატრ აბოვიანის პანსეონში (თბილისში), მისი მასწავლებელი იყო თვით აბოვიანი, რომელმაც შეაწყვალა გაბრიელს რუსული ენა. ნიჭიერმა ყმაწვილმა კარგად შეითვისა საჭარბოვლო ისტორია, მისი კულტურა, თეატრი, მან შესანიშნავად იცოდა ქართული ენა. 21 წლის სუნდუციანი მიემგზავრება პეტერბურგში და შედის უნივერსიტეტში. იქვე დაიცვა მან საკანდიდატო დისერტაცია სიტყვიერების დარგში.

სტუდენტობის დროს გაბრიელ სუნდუციანი დიდი ინტერესით ეწაფებოდა დიდი რუსი კლასიკოსების ნაწარმოებებს — გოგოლის, პუშკინის, ლერმონტოვის, ოსტროვსკისა და სხვათა შრომებს. იგი დიდი ზღვრობებით იგონებს, რომ პეტერბურგში პირველად ნახა სცენაზე კარტიგონი, მარტინოვი, შუბანი, ზნორად იმეორებდა, რომ თეატრი გოგოლმა შემიყვარა.

მოწინავე რუსული კულტურის ზეგავლენით, სუნდუციანმა ნათლად შეიერო ხალხის ცხოვრებაში თეატრის უღიდესი მნიშვნელობა; ახალგაზრდა გაბრიელს საბოლოოდ დაეხვეწა ლატერატურული და ესთეტიკური გემოვნება.

სუნდუციანმა გარკვეული ამაგი დასდო ქართული თეატრის განვითარებას. კომედია „პეპი“ სომხურად ქართულად თარგმნა თვით ავტორმა. იგი პირველად წარმოადგინეს 1874 წლის 21 ოქტომბერს ქუთაისის სცენაზე. თბილისელებმა ეს კომედია ნახა 1875 წლის 27 ნოემბერს. ილია ქავჭავაძე ამბობდა, რომ ქართულად თარგმნილ პიესებს შორის „პეპი“ საუკე-

თესათო. აღსანიშნავია, რომ 1880 წელს ილია ქავჭავაძის თარგმანში „ივერტაში“ გამოაქვეყნეს სუნდუციანის „პეპი“, ხოლო მანამდე ცალკე წიგნდაც გამოვიდა. ამრიგად, სუნდუციანის პიესები თანდათანობით ქართული თეატრის რეპერტუარის ოქროს ფონში შევიდა. „პეპიში“ სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ნ. გაბუნია, აკაკი წერეთელი, ალ. ყაზბეგი და სხვ.

გულთბილი სტრიქონები უძღვნა აკაკი წერეთელმა სუნდუციანს. ყველს გვახსოვს მისი შესანიშნავი ლექსი, მიძღვნილი დიდი სომეხი დრამატურგისადმი, რომელშიც წითელი ზოლითაა გატარებული ორი მოძმე ხალხის — ქართველებისა და სომხების — ურღვევი ძიობა.

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ქართულ სცენაზე სუნდუციანის „პეპის“ დადგმის 80 წლისთავი.

ამ თარიღისადმი მიძღვნილ საღამოზე მოხსენება წაითხა ი. გრიშაშვილმა თემაზე: „გაბრიელ სუნდუციანი და ქართული თეატრი“.

საბჭოთა ხალხების მჭიდრობა, განმტკიცებული სოციალიზმის გამარჯვების შედეგად, გადაიქცა ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების ძლიერების უმრეტ წყაროდ.

ამიერკავკასიის ხალხებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა კავშირის ხალხებთან თანამშრომლობის შედეგად, საბჭოთა მთავრობისა და დიდი რუსი ხალხის ყოველდღიური დახმარებისა და ზრუნვის წყალობით.

საბჭოთა მომხმარებელი კარგად იცნობს ლენინაიანის მთავრობის კომინატის, ერევნისა და შუშისაიანის აბრეშუმსაწმისი ფაბრიკის ნაირ-ნაირ პროდუქციას. რამდენი საჭი აღიშარათა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში, ბაქოში და სხვაგან სომხური ტუფისაგან.

ყოველწლიურად იზრდება მოძმე რესპუბლიკების შრომალთა მოთხოვნილებები ხილის, ხორცის, თევზეულისა და სხვა კონსერვებზე, რომლებიც მზადდება სომხეთის მრავალრიცხოვან საკონსერვო ქარხნებში.

ჩვენი ქვეყნის ყველა ეკონომი იგზავნება სომხეთთან ტრესტ „არარატის“ მიერ მაღალხარისხიანი ლენინოები, კონიაკები, ლიქორები, შამპანურები და სხვა სასმელები.

საათი და დანადგარები, ტურბინები, გენერატორები და ტრანსფორმატორები, ველოსიპედები, მუღი, აბრეშუმი, — განა შეიძლება ჩამოვთვალოთ ყველაფერი, რასაც აძლენს ჩვენს ქვეყანას საბჭოთა სომხეთის მრეწველობა?

აყვავდა და გაიფურჩუნა საბჭოთა სომხეთი. სომეხი ხალხი დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა საქარბოვლოსა და საბჭოთა აზერბაიჯანის მრავალფეროვანი და აყვავებული ცხოვრების მიმართ. ცხოვრება სამი რესპუბლიკისა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისა, აღსავსეა ეკონომიური და კულტურული თანამ-

შრომლობის მრავალი მკვერთეკველური მაგალითით. მათი თანამეგობრობის მშვენიერი გამოხატულებაა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც გაშლილია ამ რესპუბლიკათა შორის.

რამდენიმე წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან თბილისის, ტყვენისა და ბაქოს დაზგათმშენებლები. მათი კოლექტივები ფართოდ უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რათა ჩვენს ქვეყანას მჭირ და მეტი დაზგა მიეცეს.

ტრადიციული მეგობრობა და შემოქმედებითი კავშირია დამუშავებელი წლების განმავლობაში წუთისის, ლენინჯანისა და კიროვადის კომბინატებს შორის. ამირკაჯასის საწარმოთა მუშებისა და სპეციალისტების ამ შესანიშნავ შეჯიბრებაში იზრდება რაოდენობა და ხარისხი საფეიქრო ნაწარმისა, რომელიც მზადდება საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის.

დიდი მიღწევები აქვთ თავიანთ მუშაობაში აგრეთვე მუთისის საავტომობილო ქარხნისა და ერევნის ქარხნის — „ავტოდიტალის“ კოლექტივებს.

რუსთავისა და სუმგაიტის მეტალურგები და ალყერელი სპილენძნობნი ნამდვილი ძმებიან, ამბობენ ამირკაჯასისაში ამ სამი მსხვილი საწარმოს მუშები და სპეციალისტები.

მშენებრივ ლექსი უძღვნა სუმგაიტის მშენებლებს ქართველმა პოეტმა რევაზ მარგალიძემ.

უკვე ტრადიციად იქცა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება. ასე მაგალითად, ჩვიდმეტ წელზე მეტია ერთმანეთს ეჯიბრებიან საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის ლენინის სახელობის ნატანების კოლმეურნეობა და სომხეთის სსრ ოქტომბერიანის რაიონის მიქოიანის სახელობის სოფ. ნალბანდიანის კოლმეურნეობა.

ამა წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში სომხეთში ჩამოვიდა ნატანებელ კოლმეურნეთა დელეგაცია იმ მიზნით, რომ ჩაეტარებინათ მორიგი შემოწმება სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებსა. ამაზე ცოტა ადრე ნატანებელი და ნალბანდიანელი კოლმეურნენი ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე შადრევანთან, რომელსაც ეწოდება „ხალხთა მეგობრობა“.

როგორც თავიანთ ღვიძლ ძმებს, ისე შეხვდნენ ნალბანდიანელები ერევანში ჩასულ ქართველ მეგობრებს. ნალბანდიანის კოლმეურნეობაში განხილული იქნა შეჯიბრების შედეგები. ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. წითლიძემ სომეხ კოლმეურნეებს აღნიშნა, რომ მწვანე ზღის ფთოლის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა შესრულებულია ვადაზე ადრე და მწიფელოვანი გადაჭარბებით. ასევე შესრულებულია სხვა ვალდებულებანი.

მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ან. დავითიანი აღუთქვა თავის ქართველ მეგობრებს, რომ თვითიველ ჰექტარზე

აღებული იქნება 30 ცენტერი ბამბა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით.

აქვე, ქართველი და სომეხი კოლმეურნეების საერთო კრებაზე, ხელი მოაწერეს შეჯიბრების ახალ ხელშეკრულებას. სომეხმა კოლმეურნეებმა თავიანთ ძვირფას სტუმრებს მიაართეს აბრწეუმის ხალხი, რომელზედაც გამოასხული იყო მთოა რუსთაველის პორტრეტი, და საბრძოლო დროშა, რომელზედაც ქართულად და სომხურად ლოზუნგები იყო წარწერილი.

ნატანებელმა სომეხ კოლმეურნეებს გულითადად მეგობრობის ნიშნად მიათხოვეს სკულპტურული ჯგუფი „კავი წერეთელი უკოხაეს ლექსებს თავის მეგობარს — დიდ სომეხ დრამატურგს გაბრიელ სუნდუკიანს“.

კრების შემდეგ ძვირფასი სტუმრები წახვანეს ცნობილი მევენახის მირან მანუკიანის ფართობზე, სადაც პატარა დაჯგუფე წევრია: „სოფელ ნატანების კოლმეურნეობის ვენახი“. წინა წელს კი ნატანებელმა საგანგებოდ გამოკვეცეს ციტრუსების ბაღის ფართობი, რომელსაც დაარქვეს „მეგობრობის ბაღი“.

სოფელ ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში მთავარი კულტურებია ბამბა და ყურძენი, სოფ. ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში კი — ჩიი და ციტრუსები. — მაგრამ ეს ვარგობა მათ ზელს არ უშლით ჩვიდმეტი წლის მანძილზე დაეძინათ ერთმანეთს, საერთო შემოქმედებითი მუშაობა ვასწიონ, ჰქონდეთ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები, სისტემატურად აწარმოონ მიწერა-მოწერა, ესტუმრონ ერთმანეთს და ყოველივე ამით განამტკიცონ მჭერი მეგობრობა. ამ შემოქმედებითს შრომაში მათ მოივანეს არა მხოლოდ ჩაი და ბამბა, ყურძენი და ციტრუსები, არამედ გააშენეს მეგობრობისა და სიყვარულის უღამაზესი ბაღი.

ხალხთა შორის მეგობრობის გრძნობა მშვენიერად გამოხატეს სომხეთისა და აზერბაიჯანის გამოჩენილმა მეზამბეებმა თავიანთ მიმოწერაში: აზერბაიჯანის ცნობილი მეზამბეები სომხეთის ცნობილ მეზამბეს ვიქტორია ალიაინს სწერდნენ: „ძვირფასო ჩვენი დოკ ვიქტორიან! დიდი ყურადღებით წაიკითხეთ შენი შესანიშნავი ლექსები, რომლებიც გამოქვეყნდა ბაქოურ გაზეთებში. შენი უბრალო, გულწრფელი ლექსების ყოველი სტრიქონი აღსასუვა შინაგანი სიბოძით ჩვენ კარგად გვესმის ამ სიყვარულის მთელი შთამაგონებელი ძალა, რადგან ჩვენი გულელებს სწორად ეტობი და იგივე გრძნობა აერთებს. სწორად ამბობს ჩვენი აზერბაიჯანელი ხალხი: „უზილავი ძაფები აერთებს მეგობრობათა გულებსო“. შენ ისე მგზნებარდ უმღერა აზერბაიჯანს, მის დედაქალაქს — ბაქოს, როგორც ჩვენ გვიყვარს და ვამაყობთ აყვავებული მჭერი სომხეთით. ჩვენ დიდად ვაფასებთ შრომისმოყვარე, ტალანტიანი სომეხი ხალხის ვაყებსა და ქალეს... შენი ლექსები კარგად გამოხატავენ საბჭოთა ხალხების

ურღვევ მეგობრობას, ხალხებისა, რომლებიც ჩვენი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის მეათურობით აშენებენ კომუნისმს. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხალხები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საუკუნოვანი მეგობრობით, ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ, როგორც დიდი ძმები, ძმურად იყოფენ პურმარბლს. ამ ძმობას შესწირეს თავიანთი სიცოცხლე ს. შაჰმანმა, ალ. ჯაფარიძემ და მეშაღი აზიზბეკოვმა...”

დიდი ხანია შემოქმედებითი ურთიერთობა იჭვთ დამყარებული საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცხოველებს. ისინი სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, ემხარებიან ერთსა თუ დიდი აზოქანების შესასრულებლად, რომლებიც დაიყენეს პარტიამ და ხელისუფლებამ მათ წინაშე.

ზოგჯეროვის რაიონი საქართველოში და გუკასიანისა სომხეთში — განვითარებული მეცხოველების რაიონებია. რამდენიმე წელწაღია ამ რაიონების მეცხოველები ერთმანეთს ეკვირბობან. ამ შეკვირბებაში კარგი ნაყოფი გამოიღო.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევა მეგობრობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სადაც მოძმე რესპუბლიკების 16 პავილიონი დამაყვრებლად მოვითბრობს. თუ რა შეწყობილად, მზარბმზარ მიემართებთან დიადი საბჭოთა კავშირის ხალხები ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად.

ამიერკავკასიის სამი ბრწყინვალე პავილიონი შესანიშნავი ილუსტრაციაა იმისა, თუ რა თავდადებით იღწვიან მოძმე ხალხები ჩვენი ქვეყნის, წინაშე პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული გეგმების შესრულებისათვის.

ქართული, სომხური და აზერბაიჯანელი კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებითი ურთიერთობა თავის გამოხატულებას პოულობს განსაკუთრებით ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ქართველი, სომხი და აზერბაიჯანელი საბჭოთა მწერლები დღითიდღე ქმნიან მაღალხარისხოვან მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიაც უმღერიან თავიანთი აუვაგებული რესპუბლიკების ბედნიერ ცხოვრებას, აღიდებენ საბჭოთა აღამაინების შემოქმედებითს შრომას. ჩვენმა პოეტებმა და მწერლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში. შედარებით-მოკრე ხნის განმავლობაში ამიერკავკასიის მწერლებმა შექმნეს მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებშიც საყოველთაო შოწონება და აღიარება დაიმსახურეს.

ჩვენი ქვეყანა კარგად იცნობს სიტყვის ისეთ ოსტატებს, როგორც არიან: ვალაკტიონ ტაბიძე, ავტორ ისაკიანი და ჯაბარ ჯაბარლი, ეგნეზ ხარუნცი, სამეღ გურგენი და სიმონ ჩიქოვანი, ოსებ გრიშაშვილი და დერენჯი დემურჩიანი, პოვანეს შირაზი, გიორგი ლეონიძე და სულეიან რუსტამი, ალიო მიარტოვავა, მეტტი მუსეიანივი და კონსტანტინე გამახარულია, ირაკლი აბაშიძე,

კონარი და მამეღ რაგიბი, სტეფანე ზორიანი, მირჯალალი და ოსებ ნონეშვილი, მირჯა. ებრაიშვილი, გარევიან სევენცი, გურგენ. გურგენი, სილვა კამუტკიანი და შრავალი სხვა.

თანამედროვე ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურის ძირითადი თემი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურისა, არის პარტიოტიზმი, ვმირული მზადყოფნა — დავიკეთ ჩვენი საყვარელი, დიადი სამშობლო.

საბჭოთა პარტიოტიზმი — ჩვენი მწერლებისა და პოეტების გავებით — ესაა არა მხოლოდ ნაციონალურ-გეოგრაფიული ცნება, არამედ, პირველ ყოვლისა, სოციალური ცნებაა. საბჭოთა პარტიოტიზმს საფუძვლად უდევს უწინარესად ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა. ეს მეგობრობა თავის გამოხატულებას პოულობს იმისშიც, რომ ქართველი, სომხი და აზერბაიჯანელი პოეტები და მწერლები უმღერიან არა მარტო თავიანთი ხალხის, არამედ მოძმე ხალხების თავისუფლებას, ბედნიერ ცხოვრებასა და ვმირულ შრომას. არ არის შემთხვევითი, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში დიდი სიყვარულით სარკებლობენ რუსული და ნაციონალური კლასიკოსების და საბჭოთა კავშირის ხალხთა საუკეთესო თანამედროვე მწერლების ნაწარმოებზე.

ქართველი, სომხი და აზერბაიჯანელი მწერები, კომპოზიტორები და ინტელიგენტები თავიანთ ქმობიურ ენაზე კითხულობენ ლეგ ტოლსტოისა და ალექსანდრე პუშკინის, შოთა რუსთაველისა და ტარას შევჩენკის, აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის, ხანატურ აბოთიანისა და ვაზიულ სუნდუკიანის, ლერმონტოვის, გრიზოიდოვის, გორკის, ჩერნიშევსკის, ტიჩინას, ა. ტოლსტოის, ფადეევის, ნიკოლოზ ოსტროვსკისა და სხვა ვამოჩენილი მწერლების მხატვრულ თხზულებებს.

ამიერკავკასიის ხალხთა საბჭოთა ლიტერატურა ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება. ჩვენი პოეტები და მწერლები, აღზრდილი ნაციონალური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებზე, შთაგონებულნი რუსული კლასიკური ლიტერატურისა და ხელოვნების უცვლადი ქმნილებებით, ჩვენი ეპოქის შესაფერის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს ქმნიან. ჩვენს დროში დაიწერა შრავალი თხზულება, სადაც გამოხატული უსაზღვრო სიყვარული ჩვენი სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ნათელი დადასტურებაა სომხი მწერლების ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა საქართველოში. თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ფართოდ ვამოლა სომხური ლიტერატურული მოძრაობა, რასაც ხელს უწყობს საქართველოს სსრ მთავრობა. ისე მავალითად, საქართველოში იცემოდა და იცემა ვახუთები: „წიფილი ვახუტავი“, „მარტაკოში“, „პროლეტარი“, „სოცეტკან ერასტანი“, ეურნალები, აღმანახები, ვახუთების დამატებანი, ანიოლოგები: „დარბნადე“,

„ამიერკავკასიის მუშა ქალბ“, „ქარშირ ცილე-
რი“, „ოკტემბერიან სერუნდი“, „ლესაბაცი“,
„გრაჟან შაბატი“, „გრაჟანუტუნ ვე არვესტი“,
„კარინი“, „ოკტემბერი“, „გროზი“, „არშაგი“,
„ბარუნევი“ და სხვა მრავალი.

ოვანეს თუმანიანის ინიციატივით თბილისში დაარსდა სომხური ხელოცენების სახლი — „იარ-
ტნი“. აქ მოღვაწეობდა შესანიშნავი რომანი-
სტი შირვანზადე, რომელმაც გამოაქვეყნა თა-
ვისი ცნობილი ნაწარმოებები. არაერთი საუკე-
თესო ნაწარმოები შექმნა თბილისში საბჭოთა
ხალხის ერთ-ერთმა საყვარელმა პოეტმა ავეტი-
საკიანმა. აქაურ გამოცემებში იბეჭდებოდა
ერთ-ერთი პროლეტარული პროზაიკოსის არაზის
თხზულებანი. სომხური პოეზიის უდიდესმა წარ-
მომადგენელმა, ძველმა კომუნისტმა, 1905 წლის
რევოლუციის მონაწილემ, მისა ცხაკაიასა და
სერგო ორჯონიკიძის შეგობარმა — აკობ აკო-
პიანმა 1914 წელს ვაჟისცა წიგნების სერია, რა-
მელშიც დიდი როლი შეასრულა „სომხური პრო-
ლეტარული მოძრაობის ორგანიზების საქმეში.
აკობიანის ამ დამსახურებას აღნიშნავდა ჯერ
კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე „პრავდა“.

აკობ აკობიანი საბჭოთა სომხური პოეზიის
ფუძემდებელია. საქართველოს მთავრობამ მას
„საქართველოს სახალხო პოეტის“ საპატიო სა-
ხელწოდება მიანიჭა. სომხეთის მთავრობამაც
აკობიანს „სომხეთის სახალხო პოეტი“ უწოდა.

ფართო პოპულარობით სარგებლობს საქარ-
თველოში გამოთვნილი სომეხი მწერალი ნარ-
დოსი. ქართველი მკითხველი იცნობს მის ნაწარ-
მოებს — „მე და ის“, „უკანასკნელი მოიჯა-
ნები“, „ანა სარიიანს“ და სხვ. ასევე ცნობილია
საქართველოში უძველესი პროლეტარული მწერ-
ლის მადატ პეტროსიანის თხზულებები — „ბავ-
შვობა“, „ჩვენი გამარჯვება“, „ღამის გუშაგი“
და ბევრი სხვა. თბილისში გამოქვეყნდა აგრეთვე
თორგომიანის მოთხრობათა კრებულები.

საქართველოში მუშაობს ერთ-ერთი ცნობილი
სომეხი პროზაიკოსი და პუბლიცისტი გ. აბრია-
ნი, რომელიც ერთ დროს რედაქტორობდა რეს-
პუბლიკურ სომხურ გაზეთს — „პროლეტარს“. აქედამ
იგი ხელმძღვანელობს საქართველოს
საბჭოთა მწერლების კავშირის სომხურ სექციას.
მის კლამს ეკუთვნის შესანიშნავი ლექსები,
მოთხრობა „ჯეფნოსიანი მატარებელი“, რომე-
ლი გამოვიდა 1930 წელს, და მრავალი სხვა.

მეტად ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუ-
შაობას ეწევა საქართველოს მეცნიერების დამსა-
ხურებელი მოღვაწე, პროფესორი, სომხეთის
სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონ-
დენტი ლ. მეღვიშეთი-ბეგი, რომელსაც ეკუთვნის
დიდიერ მეცნიერული გამოკვლევები ტარ-
ღულიმეცნიერებასა და არქენისტრიაში.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს სომხეთში მოქ-
მე რესპუბლიკების მხატვრული ნაწარმოებების
თარგმნის სფეროში. ამ უკანასკნელ წლებში

სომხურად ითარგმნა და გამოიცა ლეო ქაიხელის
„მთის კაცი“, გ. ლეონიძის, გ. გრიშაშვილის,
ს. ჩიქოვანის, ი. ნონეშვილისა და სხვათა ლექ-
სები, ა. პეიშვილის „ლელო“, ქართული მთარ-
გომების კრებულს და სხვ.

ხალხთა მემორაობის იდეა მძლავრად
არის გამოხატული პოემაში — „მომე რეს-
პუბლიკების მწერლებს“ (ავტორებია: ისაკიანი,
ზარიანი, სერაიანი, ბორიანი, შირაზი, ახაჯი,
გრიგორიანი, სარმენი, კაბუტიანი).

ქართველი ხალხის საყვარელი მოქმე სომეხი
ხალხისადმი ნათლად ჩანს ქართველი მწერლების
მხატვრულ ქმნილებებში, რომლებიც მიძღვნილია
სომეხი ხალხის დიდი შეილებისადმი. ასე მთავ-
ლითად, ჩაჩატურ აბოვიანის სათუბილო დღე-
ებში ერევანში სტუმრად ჩამოსულმა ი. გრიშაშ-
ვილმა მშვენიერი ლექსი შექმნა.

ამიერკავკასიის მშრომელთა კულტურული და-
ახლოების საქმეში პატარა როლს როდი ასრუ-
ლებს თეატრული ხელოვნება.

აზერბაიჯანელ სცენაზე დიდი წარმატებით
იდგმება პიესა „ხათახლა“ სუნდუკიანისა, „ნა-
მესი“ — შირვანზადესი, და სხვ. ასევე წარმა-
ტებით უჩვენებენ ქართველ მაყურებელს სუნ-
დუკიანის „პეპოს“, სადაც მთავარ როლებს ას-
რულებენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტის-
ტები ა. ზორავა და ა. ვსაძე. ერევნის ოპერის
რეპერტუარში შეტანილია ფლანაშვილის „დაი-
ნი“, დოლიძის „ჩეთო და კოტე“, თბილისის ოპე-
რის თეატრში — სენდიაჩოვის „ალმასტი“.

ბაჭოს დრამატულ თეატრში დიდი წარმატება
ხვდა შ. დადიანის პიესის — „ნაბერწყლიდან“.

სასარგებლო ნაყოფი გამოიღო ამიერკავკასიის
რესპუბლიკათა თეატრული საზოგადოებების
გაერთიანებულმა სესიებმა.

დიდი მემორაობა აქვთ დამყარებული აგრეთვე
ჩვენს მხატვრებს, რომლებიც ზნორად უზიარებენ
ერთმანეთს გამოცდილებას და უჩვენებენ ახალ-
ახალ ნაწარმოებებს. დიდი ხანი არაა, რაც ბა-
ჭოში, შემდეგ — თბილისში მოეწყო ამიერკავკა-
სიის რესპუბლიკების მხატვართა ნამუშევრების
გამოფენები, რომლებმაც დიდძალი ხალხი მიი-
ზიდა. ერევანში დიდი წარმატება ხვდა ქართვე-
ლი მხატვრის თამარ აბაკელიას ნამუშევრებს,
ბოლო თბილისში გამოფენილი იყო სომხეთის
სახალხო მხატვრის სარიანის სურათები.

მოკლე საერთალო წერილში ძნელია ამომ-
წურავად იქნეს ნახეენები ის დიდმნიშვნელოვანი
ლაქტები, რომლებიც ნათეს პუენენ ამიერკავ-
კასიის ხალხთა მშრ ურთიერთობას, ერთმანე-
თის სიყვარულსა და თანამშრომლობას.

ამიერკავკასიის ხალხები, საბჭოთა კავშირის
ყველა ხალხთან ერთად ხელობელ ჩაიედებულნი,
ძლევათოსილად შეემართებიან წინ — დაადი კო-
მუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — კო-
მუნისტების ნათელი მწვერვალებისაკენ.



საბჭოთა ხალხის უდიდესი გამარჯვება

თერთმეტი წლის წინათ, 1945 წლის 9 მაისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა მოსკოვმა ოცდაათი საარტილერიო ბათქით მსოფლიოს ამერიკის დიდი ხნის ნანატრი და სასიხარულო ამბავი — საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება კაცობრიობის უბოროტეს მტერზე — გერმანიის ფაშისტზე.

საბჭოთა ხალხმა და მისმა სახელოვანმა შეიარაღებულმა ძალებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, არათუ დაცვა ეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი, არამედ იხსნა ევროპის ხალხები და მთელი მსოფლიოს პირაგრესული კაცობრიობა ფაშისტების უღლისაგან.

ამასთან ერთად საბჭოთა კავშირმა ვაითაც ისევე თვით გერმანელი ხალხი სისტემითი ფაშისტებისაგან და უზრუნველყო მისი ნაციონალური დამოუკიდებლობა. მხოლოდ ჩვენი გამარჯვების შედეგად გახდა შესაძლებელი შექმნილიყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ახლა დემოკრატიულ ძალებს ხელდასაბამი გერმანელი ხალხის საარსებო ინტერესებისათვის, ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის ბრძოლაში.

შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ჯარების მიერ იპოვნილი იმპერიალისტების განადგურებამ ზელი შეუწყო ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვებას, უზრუნველყო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

ევროპის მთელი რიგი ხალხები საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების ძმური დახმარების შედეგად საუბრადამოდ განთავისუფლდნენ ფაშისტური უღლისაგან და ახლა სწრაფი ტემპებით აწინებენ სოციალიზმს. ამ ქვეყნებში ახლა განუზრგვლად იზრდება სამრეწველო წარმოების მოცულობა და მშრომელთა მატერიული კეთილდღეობა.

დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ჩვენი ხალხი უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმაშენების ვითარებაში მეთერთმეტეჯერ აღნიშნავს თავის ისტორიულ გამარჯვებას ფაშისტურ გერმანიისაზე. ჩვენი ქვეყანა ამ დღეს ახალი წარმატებებით ზღვდება კომუნისტების მშენებლობის ყველა უბანზე.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის

ბრძნული ხელმძღვანელობით გასულ წელს რვა თვით აღრე წარმატებით შეასრულა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა და შეუდგა ჩვენი პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამის — მეექვსე ხუთწლიანი გეგმის — განხორციელებას.

საბჭოთა კავშირში მშვიდობიანი მშენებლობის წარმატებებმა მთელი ძალით გამოავლინეს სოციალისტური მეურნეობის სისტემის უდიდესი უპირატესობა კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. 1956 წლისათვის სამრეწველო წარმოება სსრ კავშირში 1929 წელთან შედარებით 20-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობით საბჭოთა კავშირის მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს.

დიდი წარმატებებს აღწევს მძიმე მრეწველობა, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის საფუძველია საფუძველს წარმოადგენს, რაც ხელს უწყობს მშრომელთა კეთილდღეობის განუზრგვლად და ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. მძიმე ინდუსტრიის ძლიერი აღმაშენების ბაზაზე ვითარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი მსუბუქი, კვების მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. სწრაფად ზრდიდა პარტიის მიერ დასახული პროგრამა სოფლის მეურნეობის წარმოების აღმაშენების შესახებ.

საბჭოთა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით მიიღო როგორც საბრძოლო მოქმედებათა პროგრამა, ჩვენს ქვეყანაში სულ უფროდაუფრო ვართოდ ვითარდება სოციალისტური შეჯიბრება ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

საბჭოთა ხალხის გამარჯვება პოლიტიკურ გერმანიისაზე — საბჭოთა სამხედრო მცინებების ტრიუმფია. დიდებით შეიმოსა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა დროშები. ზვენმა მშაქცმა წითელმა არმიამ პირნათლად შეასრულა ის ამოცანა, რომელიც დაუსახეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ — ჩაეყლა თივისაზე ბუნაგში ფაშისტური მხეცი და ბერლინზე აღეშარა გამარჯვების დროშა.

როგორც კი დაამთავრეს ფაშისტური ჯარების ბერლინის ღიანასწელი დაჯგუფების ლიკვიდაცია, საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, გამარჯვების დროშა აღმართეს დამარცხებულ რეისტაგზე. დიდი სამამულო ომის შედეგად საბჭოთა ხალხმა არა მარტო

საბოლოოდ განადგურა გერმანიის არმია, არამედ განადგურა მისი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა, სახელმწიფო აპარატი და ფაშისტური გერმანიის სამხედრო მრეწველობა.

საბჭოთა ხალხსა და მის წამიერ მომხრეებს აგრეთვე ასსოეთ, რომ 1941 წლის 22 ივნისს, იმერია და ინგლისის იმპერიალისტების საიდუმლო მხარდაჭერით, ჰიტლერული გერმანია მტხანათურად, იმის გამოუცხადებლად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. ისარგებლა რა ამ მოულოდნელობით, ტანკებისა და თვითმფრინავების რაოდენობრივი უპირატესობით, ფაშისტურმა არმიამ პირველ ხანებში შეჭრა შემოკრილო. იქნენ ქვეყნის სიღრმეში. ჩვენს ქვეყანას სიკვდილის საშიშროება დაატყდა თავს. დიდი სამამულო ომი ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობის, საბჭოთა სამხედრო მეცნიერების ჯარისკაცთა და პირადი შემადგენლობის პოლიტიკური მოწოდების, შეიარაღების ხარისხისა და შეიარაღებული ძალების მკაცრი გამოცდა იყო. შეიძლება სიამაყით ითქვას, რომ მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუძღვდა ისეთი ძალის დარტყმას, როგორი ძალითაც 1941 წელს დაესხა ჩვენს ქვეყანას ჰიტლერული გერმანიის სამხედრო მანქანა.

თავისი გლახობრივი მიზნების განხორციელებისათვის იმერიათა შეერთებული მტატების იმპერიალისტები მთელ თავის ძალებს იქით მიპართავდნენ, რომ გაეკიანურებინათ ომი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის. ისინი ცდილობდნენ ჰიტლერის ხელებით დავისტეხიანათ საბჭოთა სახელმწიფო, რათა შემდეგ ეკარნახათ საფრთხის სასარგებლო პირობებში.

საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომელთაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, მეორედ უკრავდნენ მსოფლიო კაპიტალიზმის შემოსევა ჩვენს ქვეყანაზე. მსოფლიო რეაქციის აგრესიულმა ძალებმა, ამერაველი ინგლისელი ბონაპარტისტებთან ერთად, მეორედ განიცადეს მარცხი. საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი წარმატებები მოსვენების არ ძღვევდა ამერაველ და ინგლისელ ბონაპარტისტებს, რომლებიც გერმანელ ფაშისტთა ზურგსკედი იდვნენ და ვარაუდობდნენ გერმანიის ფაშისტების დახმარებით გაენადგურებინათ საბჭოთა კავშირი და გაემაგრებინათ მომავლადი იმპერიალიზმის მრეწველი საფუძვლები. მაგრამ, კომუნისტური პარტიის ბრძნელმა პოლიტიკამ, საბჭოთა ადამიანების უსასღერო თავდადებასა სამშობლოსადმი, სოციალისტური სახელმწიფოს უძღვევდა ძალებმა, საბჭოთა ხალხის ვაჟაკობამ და გმირობამ, ნაყარტეტად აქცია საერთაშორისო იმპერიალიზმის რეაქციის მთელი გვეგები: საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ზურგის სიმტკიცე. საბჭოთა პარტიოტიზმი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა და მთელი რიგი გადამწყვეტი ფაქტორები. საბჭოთა კავშირისა და მისი შეიარაღებული ძალების ძლიერების დიუმრეტელი წყარო იყო გერმანელ ფაშისტთა სამხედრო-პოლიტიკური მანქანის სხობოლო განადგურებაში. ჰიტლერული გერმანიის დამარცხების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ჩვენმა სოციალისტურმა მებრუნებამ, რომელმაც ნათლად დაამტკიცა თავისი უპირატესობა კაპიტალისტურ ეკონომიკასთან შედარებით. საბჭოთა ადამიანებმა, რომლებიც მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მუშაობდნენ, ბრწყინვალედ შეასრულეს ასეთი დიდი ომისათვის საჭირო მომარაგებით უზრუნველყოფის ამოცანა.

საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის უდიდესი გამარჯვება გერმანიის ფაშისტურ ნიშნავს, აგრეთვე, ჩვენს მორალურ-პოლიტიკურ გამარჯვებას. კომუნისტური პარტია ტამუდემებით აწარმოებდა აღმზრდელობის მუშაობას საბჭოთა ადამიანებს შორის, უნერგავდა მათ სამშობლოსადმი თავდადებასა და მწვევე სიძულვლას ჩვენი სამშობლოს მტრებისადმი. მასებში კომუნისტურად აღზრდას საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება. დიდი ლენინის დრომამ დაიცვა საბჭოთა ხალხი ჰიტლერულ დამპყრობლებთან ბრძოლაში.

აქედანდნენ რა ბარბაროსულ თავდასხმას, ფაშისტურ მტარვალეები ფიქრობდნენ ზურგისა და საბჭოთა საზოგადოებრივი წყობის სისუსტეზე, უნდოდნენ მუშებსა და გლეხებს შორის ჩამოეგდნათ უთანხმოება. მტერს ეგონა რომ მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო ომის ამ უდიდეს დამაზავს ვერ გადაიტანდა და მტრის ძლიერად დარტყმების შედეგად დაინგრეოდა. მაგრამ, მტერი სასტიკად მოტყუვდა. ჩვენი ქვეყნის მშრომელები საბჭოთა სამშობლოზე თავს დამტყდარ განაცდულს პირდაპირ შეხედნენ, ეტრის შეამბიდროვეს თვითონა რიგები კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ. ჩვენი ხალხი აღდგა მთელს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ღირსებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

ჩვენი ქვეყნის ბედი ყველა საბჭოთა ადამიანს ერთნაირად აღუვლებდა. საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების ხალხებმა არნახული პარტიოტიზმი გამოიჩინეს. ისინი, დიდი რუსი ხალხის ხელმძღვანელობით ხელბუნჯადებულნი, იბრძოდნენ ყველა ფრონტებზე და სტალინგრადიდან ანაბამდე ერვებოდნენ ფაშისტ ოკუპანტებს. მათ ენადგურებდნენ უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, ლიტველები, ესტონელები, ლატვიელები, ყირგიზებში და სხვა ხალხები.

დაუსრულებელ ნაკადად მოედინებოდა ფრონტისკენ ჯაბით, იარაღით, ტყვია-წამლით, ტანსაცმლითა და სანოვავით დატვირთული ეშელონები. ომის პირველ ეტაპზე იძულებული იყო საბჭოთა არმია, რათა მიემართა აქტიურ თავდაცვისათვის. თავდაცვის ბრძოლებში აცამ

ტყვებდა და სისხლისაგან სცილიდა იგი მტრის არმიას. საბჭოთა ჯარებმა ჩაშალეს პიტლერელთა „ელვისებური ომის“ ავანტიურისტული გეგმები და ფაშისტ დამპყრობლებს ზედმედ აფემეს დარტყმები ღრის რისკოვთან და ტიხენთან, ყირიმში და მოსკოვის მისაღწევებთან.

უბოროტეს მტერზე გამარჯვების ორგანიზატორი და სულისსამდგმელი იყო მრავალრიცხოვან ბრძოლებში გამოცდილი და გამოწირილი კომუნისტური პარტია, რომელმაც გამოიმუშავა სტრატეგიული გეგმა მტრის გასანადგურებლად. კომუნისტურმა პარტიამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დახატვად შთაუნერგა ჩვენი ხალხს და მის არმიას სამართლიანი ომის იდეები, იდეები გამათავისუფლებელი ომისა ცივილიზაციის დასაცავად. მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ავტორიტეტული, დიდი მამობალიზებული, მორგანოზებული და გეზის მიმქეში ძალა, როგორც ჩვენი გამორუფ კომუნისტური პარტია, შექმნილი და გამოცდილი კაცობრიობის გენიის გ. ო. ლენინის მიერ.

საბჭოთა ხალხის სამამულო ომი ნათელი ისტორიაა საბჭოთა არმიის საბრძოლო ღირსების თანდათანობით ზრდისა.

1941 წლის ბოლოს ჩვენმა არმიამ გამანადგურებელი დარტყმა აგემა გერმანულ ოკუპანტებს მოსკოვთან, სადაც გაანადგურა მტრის ძალების დიდი დაჯგუფება და ფაშისტური გერმანიის დამარცხებული ჯარები უკუფილო მოსკოვიდან შორს, დასავლეთით. მოსკოვთან ჩვენი ჯარების გამარჯვებამ გააუმტკვრა ბილი ფაშისტური გერმანიის არმიის „უძლიერელობის“ შესახებ და საშუალოდ დაასამარა „ელვისებური ომის“ უფუნური გეგმები.

1942 წლის ბოლოს ჩვენმა შეიარაღებულმა ჯარებმა უფრო ძლიერი და გამანადგურებელი დარტყმა აგემეს გერმანულ ოკუპანტებს სტალინკრადთან. სტალინკრადის ოპერაცია ფაშისტურია არმიის შხის ჩასვლა იყო. 1943 წლის ზაფხულში ჩვენმა ჯარებმა კიდევ ერთი დიდი ბრძოლა განაზოცივეს კურსკთან, რამაც გადამწყვიტა შემდგომი ოპერაციების მთელი მსვლელობა და გერმანულ ფაშისტთა არმია კატასტროფის წინაშე დააყენა.

საბჭოთა არმიის 1943 წლის უდიდესმა გამარჯვებებმა ხელსაყრელი პირობები შექმნეს 1944 წლის უფრო დიდი ოპერაციების გასაშლელად. 1944 წელს საბჭოთა არმიამ ათი გამანადგურებელი იერიში მიიტანა მტრის ძალებზე და ჩვენი სამშობლო გაქმინდა პიტლერულ დამპყრობთაგან. საომარი მოქმედება უკვე მტრის მიწა-წყალზე იქნა გადატანილი.

როცა ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაუხმარებლად, თავისი საკუთარი ძალებით სავსებით შეეძლო ფაშისტური გერმანიის მიწა-წყლის მთლიანად ოკუპირება და საფრანგეთის

განთავისუფლება, მაშინ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, რომლებმაც აქამდე ყოველმხრივ წინაღმდეგი იყვნენ ჯარებმწიფ მტერზე ფრონტის გახსნისა, 1944 წლის ივლისში განაზოცივეს დასავლეთ ვეროპაში შეტოვრა. მაგრამ ამის შემდეგ ინგლის-ამერიკის ჯარების წინააღმდეგ მოქმედება გერმანულმა მხარედ 75 დივიზია, ეს იმ დროს, როცა საბჭოთა არმიის წინააღმდეგ წინანდებურად იბრძოდნენ ფაშისტური გერმანიის ძირითადი ძალები — გერმანულთა 204 დივიზია. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დაკრევილი ჯარების დიდი სიმრავლის მიუხედავად, გერმანულ-ფაშისტთა არმიას არ შეწყვედა ძალა შეეკავებინა ჩვენი საბჭოთა არმიის გამარჯვების მომტანი იერიშები.

1945 წლის 2 მაისს ჩვენმა ჯარებმა ბერლინის ოპერაცია ბრწყინვალედ დააკვირვეს და გამარჯვების ღრთა ააფრიალეს რეისტრატვის თავზე.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ჯარებმა, რომლებმაც გამარჯვებით დასარულეს ომი დასავლეთში და წმინდად შეასრულეს მოკავშირეთა შორის დადებული ვალდებულება, თავიანთი პრისხანე იარაღი მიმართეს მეორე მსოფლიო ომში გერმანიის მთავარი მოკავშირეების — იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა მტრის გამანადგურებელი დარტყმა აგემეს, გაანადგურეს კვანტონის მილიონიანი არმია — იაპონელი იმპერიალისტების ძირითადი დამარცხებული ძალა მანჯურიაში, აიძულეს იმპერიალისტური იაპონია, ხელი მოეწერა უსიტყვო კაბიტულაციასზე.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს მრავალრიცხოვანი იეომრები თავგანწირვით იბრძოდნენ მოსკოვის, სტალინკრადის, ლენინკრადის, როსტოვის მისადგომებთან, კავკასიონის მთებთან, ყირიმსა და უკრაინაში, ბელორუსისა და ბალტიისპირა ქვეყნებში. ვოლგის მდინარე ელბამდე ჩვენი არმიის მიერ ბრწყინვალედ განზოციველულ ოპერაციებში, ქართველმა მეომრებმა, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა პატრიოტებმა, ყოველგვარი სიძინელე გადალახეს, რათა მიეღწიათ უბოროტეს მტერზე სრული გამარჯვებისათვის.

არასოდეს არ ჩაქრება ეგროფისა და ქანთარის დიდება, რომლებმაც რეისტრატზე აღმართეს გამარჯვების ღრთა.

დიდი საბჭოთა ხალხის ისტორიის მატინეში მტრის ასოციბითაა ჩაწერილი საბჭოთა კავშირის ეგროს მრავალი სხელი. მათ შორის ბერლინის ოპერაციის განზოციველებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს პ. ჩაჩინაძემ, გ. ჯანჯღიაძემ, ე. კობერიძემ, ე. ჯახუამ, ო. რაზმაძემ, ე. ტუტანაშვილმა, ყურკაციშვილმა და სხვა მრავალი მეომარმა.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრობით ატარებს მშვიდობის პოლიტიკას და ხალხთა შორის თანამშრომლობას. ჩვენი პარტიისა და მთავრობის ამ ბრძნულ პოლიტიკას მხარს უჭერს მთელი დედამიწის მილიონობით უბრალო ადამიანი. პარტია და მთავრობა გადაწყვეტს ზომებს მიმართავენ საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად.

მეგობრული დამოკიდებულების აღდგენა იუგოსლავიასთან, ავსტრიასთან საბელმწიფო ხელშეკრულების დადება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრის დ. ნერუსა და ბირმის პრემიერ-მინისტრის უ. ნუს ჩამოსვლა ჩვენს საშობლოში, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის შორის დადებული ხელშეკრულება, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან, საბჭოთა კავშირისა და ფინეთს შორის დადებული მეგობრობის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება 20 წლით და საბჭოთა ჯარების გამოყვანა კენჭულ პორტუგალიდან და პორტუგალიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 16 ახელმწიფოს მიღება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი ბრძნული პოლიტიკის შედეგია.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის ინდოეთში, ბირმასა და ავსტრალიაში ჩასვლას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის უდადეხი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

მშვიდობიანი ატმოსფეროს შექმნის ევროპაში და მთელს მსოფლიოში დიდად უწყობს ხელს ის პირადი კონტაქტები, რომლებიც ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელებმა დაამყარეს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა ხელმძღვანელებთან.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემცირება ბრწყინვალედ ლაბარაკობს იმაზე, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა პრაქტიკულად ახორციელებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები მტკიცედ იცავენ ჩვენი ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას და ფხიზლად ადევნებენ თვალს და აჟღავნებენ ჩვენი სამშობლოს მტრების ზრიკებს. საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული და თავდადება სამშობლოსადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ავალებს, იყოს ყოველთვის საბჭოთა მზადყოფნაში ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად.



ტიციან ტაბიძე

რამდენიმე თვის წინათ საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ტიციან ტაბიძის რჩეული ლექსების წიგნი. ამ წიგნის გამოსვლას საბჭოთა მკითხველი დიდი სიყვარულით შეხვდა, მკითხველის განმარტებაში მთელი ტირაჟი გაყარდა და იგი თითქმის ბიბლიოგრაფიულ იმედიანობად იქცა.

ტიციან ტაბიძის შემოქმედებას უსამართლოდ აყრილი მოქალაქეობრივი უფლება დაუბრუნდა და იგი ისევ საბჭოთა კულტურის საგანძურში შევიდა. მართალია, ამ კრებულში არ შეტანილი პოეტისათვის დამახასიათებელი მრავალი ლექსი — „ქალღმის ქალაქები“, „ილაალი“, „მღვდელი და მალარია“, „სერგეი ესენინს“ და სხვა, მაგრამ წიგნის კითხვისას ჩვენ სხენებულნი ნაწარმოებებიც გვაგონდება და ტიციან ტაბიძის შემოქმედება ერთი მთლიანი სახით წარმოგვიდგება. ამ წიგნის გამოსვლა პოეტის შეორულ დაბადებაა, მისი შემოქმედების ხელახალი შემოწმება და მისი გამძლეობის დადასტურება.

ამ ლექსების გადაკითხვამ ნამდვილი სიამოვნება მოგვანიჭა და მიუტუნებელი ტკივილებიც გააღვიძა. პოეტის ადრე დაკარგული სიცოცხლე ახლა ამ ლექსებშია გათქვეფილი და მზოლად სხენებულ წიგნის საშუალებით, გულში აღბეჭდილი მოგონებებით შეგვიძლია ავტორის ხასიათისა და ზრახვების აღდგენა.

ტიციან ტაბიძე ქუთაისში ადრე, ჩემი მოწიფეობის დროს, შორიდან რამდენჯერმე დამინახავს, იგი მაშინ ძალზე კაფანდარა იყო, როგორც თვითონ წერდა, „უაღდის პროფილი და ცისფერი თვალები“ ჰქონდა. პაოლო იაშვილიან ერთად დადიოდა და ისინი „სიაშის ტუპებზე“ განუწყურებო იყვნენ. პოეტური იმპროვიზაციის დიდი ოსტატის, ახოვანი და მადრეციანიტი აყარდნილი პაოლო იაშვილის გვერდით ტიციან ტაბიძე თითქოს იმრდილებოდა, ფართო საზოგადოებაში ისეთი უუცარი პოეტური ეფექტის მოხდენა არ შეეძლო. იგი უფრო მორიდებულნი ჰანდა და უფრო ინტიმური საუბრების მონაწილეს ჰგავდა. როგორც სხვა „ყანაწილების“, ისე მისი ლექსებიც გაკვირვებას იწვევდა, ეტყობოდა, რომ გაუცვლავი შემოქმედებითი გზით მიდიოდა, მაგრამ მე მაშინ ვერ ვწვდებოდი პოეტის ზრახვებს და იგი უმოავრესად „ცისფერი ყანაწილის“ თერაპიუტოსი მეგონა. ტიციან ტაბიძის სტრიქონებს მერმე თანდათან შევეჩვიე. „ბათუმი მისცეს და ორბირზე

მიდის თათარი“, — ჩემი სამშობლო საქართველო სხვა თეატრია, ბევრი მინახავს ზეტიალში მე თეატრები“, ან „აქ რომ მღეროდა რუსთაველი, ვინ გააჩნდა, აქ რომ იზარდა სააკაძე, ვინ გააკავა“ — მესმოდა შორიდან და ასე ცალკეული სტრიქონები აკვიატებული დამყვებოდა, მაკვირვებდა და ამ ხმების ავტორი ჩემი ბინის მოსახლდრე მდინარის გაღმა მეგულებოდა.

ჩვენი დაახლოება 29-30 წლებში მოხდა. ეს ის დრო იყო, როცა ტიციან ტაბიძე პოეტურ სიმწიფეში შედიოდა, უკვე არ რგავდა „მესიკის ბაღში ბოდლერის ბორბტ ვევილებს“, მაშინდელ ქართულ სინამდვილეს მთელი გულწრფელობით ითვისებდა და ახალ საბჭოთა პოეზიაში დიდწინაშენელოვანი წვლილი შექმნოდა. ჩვენს დაახლოებას წინ უძღოდა ერთი სრულიად უზარალო შემთხვევა, რომელმაც საცხენით შესცვლა ჩემი დამოკიდებულება ტიციან ტაბიძის შემოქმედებისადმი და მისი პოეზია ჩემთვის საყვარელი და უაღრესად მიმზიდველი გახადა. 1928 წლის შემოღვომის დამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც ერთი ჩემი მეგობარი ქალი და მე კავკავიასის ქუჩის აღმართზე ავიდიოდა. სწორედ აღმართის დასაწყისშივე შინასაკენ მამავალ ტიციან ტაბიძეს დავეჩვიეთ. იგი მორიგი სერობიდან ბრუნდებოდა, აწეულ გუნებაზე იყო და ჩვენი დანახვაც ძლიერ გაეხარდა. რაგორც ცნობილია, ამ ხანებში იგი უკვე სიმსუქნეში იყო შესული, ძველი იერი დაკარგული ჰქონდა, მაგრამ პოეტის ახალი იერაც თავისებური იყო და ჩვენი დანახვაც ძლიერ გაეხარდა. რაგორც ცნობილია, ამ ხანებში იგი უკვე სიმსუქნეში იყო შესული, ძველი იერი დაკარგული ჰქონდა, მაგრამ პოეტის ახალი იერაც თავისებური იყო და იგი თბილისის ფონზე თავისი გარეგნობით გამოირჩეოდა. ქვემოთ შეკრებილი შეთხელებული თმა შებლზე გადმოჰყვნიოდა, ფართო ცისფერი თვალები სქელი ქეთთოვების მუშევებით წინ წამოწეული ჰანდა და პირმსუქან სახეს რაღაც მოთოვებელი, ბავშვური გამომეტველები შეყოფდა. მისი გარეგნობა გერმანული რენესანსის მხატვრის ჰანს პოლბენის სურათებზე აღბეჭდილ სახეებს გვაგონებდა და იგი ერთი შეხედვით რენესანსის აღამაინებს ჰგავდა. რუსთაველის პრისპექტზე შეგობრებთან სეირნობა და საუბარი უყვარდა, სიარულის დროს ხშირად ჩერდებოდა და საუბრის საკვანძო ადგილებს „გულდაგულ“ აზრტებდა. ხან კი გრძელი, მონდომებული ნაბიჯებით პრისპექტზე გადაავლიდა და თითქოს უღანბნოში აქლემების ქარავანს ნებნადებებ მიაყვებოდა. უცნობი გამივლელს ამ შეიძლებაოდა ქუჩაში მისთვის ყურადღება არ მიეცია. მეკრდს მუდამ მიხავის

ყვავილი უშვევინებდა. ცალი ხელით ღოინჯის შემოღრა იყოფა, ხოლო მარჯვენა ხელში პაპიროსის თითქოს იმიტომ ეჭირა, რომ ჩვეთვის თავისი ვრცელი და ლამაზი თითები ვრცენებინა. ასეთი იყო ტიციანი იმ დამესაც, ჭკვევავის ქუჩის აღმართზე, არ ვიცი — ჩემი თანამგზავრის ეგზობი, არ ვიცი — შინაგანი გულის წყურვილით თუ ჩემი მონუსხვის წაილით შეპყრობილ პოეტს ლექსების კითხვის სურვილი დაეძადა. მისი ლექსების კითხვა წინათაც მომესმინა და იგი ჩემს განსაკუთრებულ ყურადღებას არ იმსახურებდა. პოეტის ხმა ციხიანი და არამელოდიური მეგონა. მგზვენებოდა, რომ მისი ლექსები ასეთ კითხვაში არიტმული ხდებოდა და სტრიქონს სუნთქვა ეკუთმებოდა. მისი კითხვა თითქოს მის სიარულს, მისივე ტანის ტარებას, მისივე მიხვრამობერას ჰკავებდა. მაგრამ ჭკვევავის აღმართზე სულ სხვა რამ გამოიჩრევა. ტიციან ტაბიძე აღმართზე აიწია და მაშინ ამ ქუჩაზე არსებული ფოტოგრაფია „სე-გო-კიუს“ წინ შეჩვრდა, არსნათვლის პროსპექტისაკენ მობრუნდა და ვატაცებით თავისი ახალი ლექსების კითხვა დაიწყო. ხმას ზავერდი შეემატა და საოცარი სიღამაზე დაეფლვა მთელ მის გარეგნობას. შთაგონება, როგორც მეოთხე თანამგზავრი, ჩვენს სურბობის შემოვრთოდა. ტიციანმა წაკითხვა ლექსები: „მე ყანალებმა მომკლეს არაგვე“, „ილაალი“, „რია-რია“, „ოქროყანა“, „მამ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე“, „ილქსანდრე ბატონიშვილი“, „გუშინ შეიღინ გურჯაანელი“ და სხვა. იგი თანდათან იღლებოდა და ქანკი ვლეოდა, მომხიბლაობა ემატებოდა და ლექსები შავარდნეხივით კამარას აკეთებდნენ გარინდულ სივრცეში. ჩემი თანამგზავრი ქალი აღტაცებით ამბობდა, შესანიშნავი ლექსებია, მაგრამ კითხვა არ მომწონსო. ჩემში კი როგორც ლექსებმა, ისე ავტორის კითხვამ მოთვლადნელი აღტაცება გამოიწვია, ავტორის მიერ წაკითხულ ლექსებში იგრძნობოდა საოცარი შინაგანი ღირიყული წწევა, ღრმა განცდა და შინაგანი ჩაქურობელი ცეცხლი, მოკარბებული გრძნობა თითქოს შიგნიდან აწვეობდა გულს და, რადგან ავტორს ვერ მოეხერბებინა მისი შესხუტუქება და ადრე გამოშვება, იგი გულს შიგნიდან გაგლეჯით ეშუქებოდა. ლექსებში შესულიყო ცხოვრების სინათლე, სმენას დავმოზილენდინა სიცოცხლის ხმაური და ლექსების კითხვის დროს გრძნობის განმობტვისათვის საჭირო მახილებიე წწორად ვანაილუბული ჩანდა. ამ ლექსების დამბულ სულს, პოეტის გულში დასადღერებულ მწფოთვარე ვანწყობილუბას ასეთი მღღღვარე პატრიონი და ასეთი კითხვა შეეფერებოდა. სტრიქონული გრძნობა ახლა უფრო ახლებურად იყო ვანათებული და იგი ცხოვრებისეული სახეებით ვლინდებოდა. ეს გრძნობა ხშირად სამშობლოს გეოგრაფიულ ადგილებსაც კი ეყვარებოდა. იგი მღღვრავდა თბილისს, ოქროყანას, ორბარის ფშანების, კახეთის ზვრების, დარიალის ხეობის, მუბრა-

ნის ველს და ანანურის ბუნების წიაღში. ეს ადგილები გვიხლოვდებოდა და ჭკვევავის ქუჩის აღმართი თითქოს შთაბეჭდილებით მღღვრდებოდა. ლექსებში შერეული ტრაგიკული ხმა პოეტს სიცოცხლის გვიშს კი არ უყარგავდა, არამედ მომავლის იმედით ახალისებდა და ბრძოლის ვინს უძლიერებდა. ხსენებული სიღამის შემდეგ ჩემთვის ტიციან ტაბიძის შემოქმედება ახლობელი ვაჭარ და მისი პოეტური მრწამსი სრულიად ვასავები შეიქნა.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში, როდესაც ჩვენ კიდევ უფრო დაეუბლოვდით ერთმანეთს, ტიციანს ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს, ეს ლექსები რომ არ დამეწერა, ჩემს თავს ვეშმარტი პოეტად არ ჩავუთვლიდი, რაც ადრე დამიწერია, იგი თერამე ამ ლექსების სამზადისი ყოფილიყო.

ტიციან ტაბიძის პოეტური გაქანება და თავისებურება უფრო სრულყოფილად ოცდახუთი წლიდან ოცდაჩვიდმეტ წლამდე გამოვლინდა. ამ წლებში დაწერილია პატრიოტულმა და სატრფილო ლექსებმა შექმენს მას მთელ სამუქოთა კავშირში ცნობილი, შესანიშნავი პოეტის სახელი, პოეტური ეგზობი და ხალისი არასდროს არ მოშორებია „ლექსი შეწყერას“ ავტორის ძალზე დრამატურებულ, აწეულ პოეტურ ხმას. პოეტური სიმღერა გულის ბუდღდან იყო ამოვყანილი და საქაროვდლოს დიდ ბუნებასთან შეგვარებული. პირველად ტიციან ტაბიძემ უთბრა სამუქოთა საქართვდლოს: „მთაც ღამაში ვაქვს, ბარცე ღამაში“, და ამ სიღამაშით „ვის თუთქავს ასე ცეცხლის ღადარია“, თუ არა შეო! საუეთარი შემოქმედება მან სამშობლოს სიყვარულით ვაათბო და ლექსის საზრდო ამ ტრფილაებში მპოვა.

თავისი სიცოცხლის უყანისკენ წლებში იგი საბუთათა სინიშდვილის წრფელი მომღვრალი ვახდა. ლექსები „ახალი მტვთა“, „სამშობლო“, „რიონი — ბორტი“, „ელის კოლხიდა ახალ ორფეოსს“ საბუთათა პატრიოტრზმის წრფელი გრძნობით არის ნაკარანახევი. ეს ლექსები ადრე დასახლებული პატრიოტული სიმღერების პირდაპირი ვგვრძელდება და მათი სულიერი ცხოვრების განეითარება.

ტიციან ტაბიძეს, როგორც სიტყვის ოსტატს, პოეტურ ფორმაში შეიძლება არ ჰქონდა ისეთი თავისუფალი სუნთქვა, როგორც ვალაკტიონ ტაბიძეს, ვორთეა ლენინძეს ანდა პაოლი იაშვილს, არც ლექსის ისეთი ნაწველობა და დაბეჭელობა, როგორც მისი თაბის ზოგერთ სიტყვის ოსტატს, მაგრამ მას ჰქონდა ვასაოცარი ღირიყული სიმამარე და თავგამებავა, პატრიოტულ თუ სატრფილო ლექსებში თავდავიწყებამდე მისული ვატაკება და მის სტრიქონს გრძნობის უწვეულო ტვეადობა ახასიათებდა. მამინდელ ქართულ პოეზიაში ასეთა დრამატურებული ხმის პოეტი მე არ ვგვხვდება. ლექსის წერის დროს იგი თითქოს სისხლიდან იცლებოდა და ყველა კრილომას პირი ვახსნილი ჰქონდა, სიხარუ-

ლის ყველა თასი დაეღილი იყო. თუ საჭირო იყო საკუთარი იდეალის წინაშე თავგანწირვა და დამორჩილება, ამას იგი გულწოდვიანად ასრულებდა. პოეტს აწვალბდა ქართული მზე და ქართული მიწა და იგი თავის სიმღერის საგანს თავდავიწყებამდე ემონებოდა. „დაგზადებულ-ვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს შედგას უღელი“, ამზობდა იგი და სამკვლეოთ წვევდა თავის გულს სამშობლოს სასახვერძოლზე. მხოლოდ მას შეეძლო სამშობლოს სიყვარულით თავი ასე გაემეტებინა და თავისი მორჩილი ხმით ემღერა მამულის სადიდებლად:

ჩემო ძვირფასო და ტბილო დედა,
ჩემო თბილისო, გულის ლხვარო,
ძალი ძალური ჭებას ვიხედავ,
რომ მზის ამოსვლა ყვეფით გახარო, —

იძახდა პოეტი და ასე თავგამეტებული განწყობილების მქონე ხმაში ურევდა აღფრთოვანებისა და სიხარულის გრძნობას, იმით აძლიერებდა და ხაზს უსვამდა თავის პოეტურ ზრახვას:

ათას სალამურს გააქვს გუგუნო,
ერთად ამღერდნენ გურაის მთები,
თუ ამ სიმღერით სიკვდილს მარტყუნებ,
არც სიკვდილისთვის დაგემღერებო.

სიხარულით და აღფრთოვანებით შერეული დრამატიზებული ხმა მვლავნდება შემდეგ შესანიშნავ სტრიქონებში:

ნეტავ სადა აქვს ამ ზეარებს ზოლო,
ვინ დარგო ერთად ამღენი ვაზი,
სჯობს ალარ გქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი.

ტიციან ტაბიძეს ჰქონდა თავისებური თავდავიწყებამდე მიხული რაღაც შემფრთხილების ინტონაცია. ამ თავგამოდებულ ძახილს თვითონ პოეტი „გადავარდნას“ უქაზდა. პოეტს ეს „გადავარდნა“ მიაჩნდა პოეზიის მთავარ თვისებად და თავის პოეტურ ინტონაციას ამ გზით ავითარებდა. უტილტრესობამდე მიხული თავგამეტება არ გამოამდიანარებოდა მისი ბიოგრაფიული თავგადასავლიდან. იგი სიცოცხლის მოყვარული, ხალი-სიანი ადამიანი იყო და ბირადი ცხოვრება ბედნიერებით სავსე ჰქონდა. ხანდახან მეგობრებში იცოდა მიაბიტური კირველობა, მაგრამ ეს კირვეულობაც მიმზიდველი და ხალისიანი იყო. დიდად განვითარებული ჰქონდა იუმორის გრძნობა; მადიანი სიცილი იცოდა და გონება-მხავილ ზემორობაზე ცრემლმორთული დიდხანს ზიზზითობდა, ბირად საუბარში ისე გაერთობოდა, რომ დამეებს ათენებდა. მიუხედავად ამისა, იგი პოეზიაში ძალზე დრამატიზებულ ინტონაციას ინარჩუნებდა, ე. ი. ზემოხსენებულ „გადა-

ვარდნას“ იგი ლირიკული პოეზიის მთავარ ლირსებად მიიჩნევდა, საკუთარი პოეტის ერთ მთავარ დამახასიათებელ თვისებად. რეალურად იგი დრამატულ ელემენტს ბირად ცხოვრებაში-გრძნობად რაიმე შემოხვევის გამო კი არ ეყრდნობოდა, არამედ ეს იყო მისი პოეზიის ფილოსოფია. ეს დრამატული მოტივი მის პოეზიას მოაყვებოდა როგორც შემოქმედების აუცილებელ თვისებად. პოეზია მხოლოდ, დრამატისებული სულის თვისებად ენგენებოდა და პოეტის მიერ ლექსები-ცხოვრების საგზაოდ იყო მიჩნეული:

იტყვიან ასე, იყო სიწყალი,
ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი,
ლექსები იყო მისი საგზალი,
არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი.
და აწვალბდა მას სიკვდილამდე
ქართული მზე და ქართული მიწა,
ბედნიერებას მას უმაღლედნენ,
ბედნიერება მან ლექსებს მისცა.

ეს პოეტური შინაგანი სასიყვარვეთილება და გულამოსცენილი სიმღერა პოეტს პოეზიის შინაგან ბუნებად მიაჩნდა. მისი აზრით, ეს „გადავარდნა“ თვითონ ლექსის თქმის საფუძველი იყო და ამიტომ ამზობდა იგი: „ლექსს მე ვუწოდებ პოეტიანდლ შეწყვეტს, რომ გავიჯანს და ცოცხლად დაგმარახვოს“. ამ სიტყვებიდან ნათელი ხდება, რომ მისთვის შემოქმედებითი პროცესის საფუძველი ტრავედია იყო. იგი ე. ი. შემოქმედებითი პროცესი) წვეულებრივი ცხოვრებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ლექსის წელკავი თვითონ გაჰყარდა შემოქმედს და ლექსი თვითონ ამოღულდებოდა.

და მეტყვენება, რომ ლექსის ძალი ერთიო ლამეს ხელში გვაგა.
მოსკლება წეშია, თქმით და ქალით
და მოვარდება ლამის წელკავად.

და როგორც სიყვარული ძალით არ მოვა, ისე ლექსი ძალით არ დაიხადება, იგი ლანკერავით უნდა მოვარდეს და გადმოიღვაროს, მაგრამ ლექსის ასეთმა გადმოღვარამ შეიძლება ცოცხლად დაგმარხოს და შემოქმედის სიცოცხლე შეიწიროს. იგი ამზობდა, რომ გულზე დანის დაცემას და თვითმკვლელობას შეუძლია დავდაროს სულის ძახილი და ლექსის დაბადება, მაგრამ პოეზია ბედნიერებად არის და იგი სიხარულის მომგვარებელია. „ბედნიერებას მას უმაღლედნენ, ბედნიერება მან ლექსებს მისცა“. იმიტომ რომ:

აქედან ვიცი, მე რომ მოვეყვები,
ამას რომ ვამზობ, ისიც დარჩება,
ერთ პოეტს მიაჩნ გულზე მოხვდება,
და ეს ეყოფა გამოსარჩლებად.

ე. ა. პოეტური სიტყვა განსაკუთრებული სიკაცხელის მატარებელია და იგი ბედნიერებაა, რადგან შეიძლება მომავალი პოეტის სულის საფუძველი გახდეს და შეიძლება მომავალი თაობის გზის მარჯვენაზე შეიქმნას. ასეთი მაღალი პუ- მინიზმის მატარებელია ტიციან ტაბიძის პოეტური ზრახვები.

მინც თვითველი სტრქონი დიდი შინაგანი წყისა და ტანჯვის ნაყოფია, „ვის თუ- ქავს ასე ცეცხლის ღაღარო“, მიმართავს იგი მკითხველს და რაღაც ტრაგიკული წინათგანსო- ბა, რაღაც საიანგამო განწყობილება დაუფლე- ბია პოეტის შთაგონებას. კერძო საუბარში ტი- ციან ტაბიძეს ჩემთვის რამდენჯერ უთქვამს, რომ შთაგონება ბევრჯერ გამოიწვია, ე. ა. ლექ- სის დაწერის განწყობილება მქონდა, მაგრამ თა- ვი შევიკავე და არ დაწერეო. რაღესაც ახსნი- ვანიმარტა მითხოვია, მას უპასუხია, ლექსის დაბადება ავტორისათვის წარღვნის უდრისო, ამიტომ იყო, რომ ტიციან ტაბიძის ლექსებს არ ეტუზობდა ზედმეტი გარანდვა და ისტატის ხე- ლით დახვეწა. თვითველი ლექსი სულის ერთი მოთქმით დაწერილს ჰგავდა და ამიტომ სწორია ამ ლექსებში ნაიარღნილი ადგილი თუ ყრუ სტრიქონები, მაგრამ ესეც მისი შემოქმედების დამახასიათებელი თვისებაა და არა ნაკლი. ეს თვისება ტიციან ტაბიძემ საკუთარი პოეზიის პრინციპად აქცია. პოეტი ამბობდა: „ასე ვიმღე- რი, ლექსი დაწმენდას გულარ მოუღენისო“, — და შთაგონებული თითქოს დასძენდა:

მივალ, მივდივარ და მივიმღერა
თან საჭარბველოს მიმაქვს ოცნება,
ვარ გაუთლელი ლერწმის ღერი
ტრემიღებულად რომ იკონება.

ე. ა. ლექსი ერთი სუნთქვით შეკრული ამო- ძახილია, იგი ვათლილი კი არ არის, როგორც სასალამურე ლერწმი, და მწყემსის დახმარებით კი არ არის ამღერებულ, — პოეზია გაუთლე- ლი ლერწამია და მწყემსის დაუხმარებლად ამ- ლერებულა ბუნების წიაღში. ტიციან ტაბიძე ფიქრობდა, რომ პოეტმა თუ ლექსის გარანდვა დაიწყოს, გრძობას ჰაღწულობა დაეკარგებოდა და იგი ავტორის სულის დედანს დამორღებოდა. ამგვარად, პოეტური ნაწარმოების დამაჯერებ- ლობისათვის მას შეგნებული უშუალოა მქონ- და მომარჯვებული, კოვლი რითმა თუ გაერან- დავი სტრიქონი „სულმოუთქმელი სიმღერის“ აუვისებლად ვახდა და მას ნაკლის თვისება დაუ- კარგა.

ტიციან ტაბიძეს უყვარდა ანტიკური შწერ- ლების, ძველი მოგზაურების და ძველი მითე- ზის ლექსებში ხსენება, შწერლობაში ცნობილი ლიტერატურული სახეობები გამოყვეული ასო- ციკლების საკუთარი ლექსებში შერანა, ისტო-

რიული ძეგლებისა და გეოგრაფიული ადგილე- ბის ჰარბად ნამოთვლა და მათი პოეტობა- სეთი მასალების სწორი გამოყენება. მის პოე- ზიაში არა მარტო თავისებური კლასიცი- ჰნილია, არამედ მათი სიჰარბე ლექსების ფაქტუ- რაზედაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. მაგ- რამ ყოველივე ეს არ ანიჭებდა ტიციან ტაბიძის პოეზიას მწიგნობრულ იერს. ეს ყველაფერი პოეტს დამორჩილებული მქონდა მძაფრი ღირ- ეული ხმით და წრფელი შინაგანი ამღერებოთ.

თუ სოცილისტური მშენებლობის მხატვრე- ლი ასახვისას პოეტი ძველ ბერძენ შწერალ მიზოკრატეს იხსენებდა, ან დარიალის ხეობაში ლერმონტოვისა და ვრუბლის დემონის ფრთე- ზის შეხებას გრძობდა, ამით თავისი სიმღერის საფანის ადრინდელ ბიოგრაფიას უქმნიდა და თავის ღირიკულ ხმას გამბედაობას მატე- ბდა. ტიციან ტაბიძის პოეზიაში ორიბრის კოლ- მურტეგები, მუშები და კომკავშირელები, ლერ- მონტოვის მწირი, გრივლი ორბელიანი, მიპოკრა- ტე, ფიორმანი და ოვანეს თუმანიანის ანუმი ერთი იჯახის წვერებზეთ ცხოვრობენ.

ტიციან ტაბიძეს ყველაფერში და ყველაგან თავისი სტილი მქონდა. იგი გამოირჩეოდა წე- რის მანერით და კერძო ცხოვრებაში გარეგნე- ლი იერთო. ძლოერ სადა და შინაური ადამიან იყო, ყოველგვარ მანერულობას და არტისტოზმს უარყოფდა და სწორედ ამ უარყოფაში საკუ- თარი ცხოვრებისა და შწერლობის სტილი მქონ- და შეშეშავებული. საუბარიც და კამათიც თავი- სებური იყოდა. რაღესაც კამათში მონაწილე- ობდა, ისე ღაბარაკობდა, როგორც დადიოდა, ჰირველი შეხედვით გერვენებოდათ, რომ მისი სიტყვა კომპოზიციურად შეუკრავი იყო, მაგ- რამ ყურადღებთან მსმენელს არ გამოუპარებოდა პოეტის მძაფრი აზროვნება, დიდი ლიტერატუ- რული ვრუბელია და ქართული საბჭოთა პოე- ზიის ღრმა სიყვარული. კარგი პოლემისტი იყო, მაგრამ ხანდახან წაბორძიკებაც იყოდა, სიტყ- ვის თქმის ღრთა ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილე- ბა იქმნებოდა, თითქოს ორატორის სათქმელი გა- მოვლია, ჰირში სიტყვები ერთმანეთს ეწეებთან და მოკამათე გაველ მორვეში მოქტევაო; ში- შით შეპყრობილი მსმენელი ხიფათის მოლო- დინში გაინაბებოდა. სწორედ ასეთი გასაქირის ღრთა იგი უერკად ფონს მონახავდა, მხარულს გაქრავდა, მორავს გააბოდა და გაღმა გაევი- დოდა, მოულოდნელი ფრთიანი წინადადებით ამოაფრენდა ელვარე აზრს და მთელ სიტყვას ნათელი დაადგებოდა, ყველაფერი გასაგები გახ- დებოდა, მსმენელი შვებით ამოსუნთქავდა და პოეტის აზრი სიბარღვიით ვულზე მოეფინე- ბოდა. ასე იყოდა პოეზიაშიც, მოულოდნელი სტრიქონის დარტყმით იგი მკითხველს ადრტყე- ბით გააბრებდა და საშუალოდ დამორჩი- ლებდა.

ტიციან ტაბიძე დაჯილდოებული იყო მახე- რი კრიტიკული აღლოთი და პოეზიაში ზედმიწეე-

ნით განვითარებული გემოვნება ჰქონდა, ზემორობით იცოდა თქმა: ლექსის შეფასებაში არ შეეცდებოდა, როგორც სოფელში შეიჯახებ ჭალი ჰუმორისტანაზე შემოჭრილ შექვ კვერცხს გალანდავს და მიხედება — საღია თუ უფარვისა, ისე გაგლანდავ დაბეჭდილ ლექსს და მაშინვე მის ავტორგანობას გავარკვევო.

ტიციან ტაბიძემ მრავალი შესანიშნავი ლიტერატურული წერილი აღსტამა, მაგრამ ვერ მოასწრო პოეზიაზე თავისი შეხედულებების სიუცხლევით მთლიანად გამოქვეყნებინა. გერძო საუბარში და დისკუსიების დროს ბევრჯერ მოისმენია მისი აზრი თანამედროვე პოეზიის შესახებ, თბილისში თუ საქართველოს სხვა რაიონებში, შემდეგ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევიში, მინსკში თუ ერევანში ერთად ყოფნისა და მოგზაურობის დროს პოეზიის საკითხებზე წვეწ ბევრი გვისაუბრია. ეს წერილიც ერთგვარად ოდესღაც შეწვეტილი კამათის აღდგენა და გაგრძელება იქნება. ტიციან ტაბიძე ფიქრობდა, რომ პოეზიის შთაგონი დარაკი ღირიკა, ეს იმას ნიშნავდა, მისი აზრით, რომ საღირიკო პოეზიაში არ უნდა შეჭრილიყო მხატვრული პროზის ან ხელოვნების სხვა დარგის თვისებები. იგი ამტკიცებდა, რომ ლირიკაში საჯალდებულო არ არის ზედმეტი შედარებების, შეტყუარებების და ე. წ. ფერწერითი თვისებების შემოტანა, ან ზედმეტი მუსიკალობით ვატაკება.

ტიციან ტაბიძის შეხედულებით, ფერწერა ან ზედმეტი მელოდიურობა საღირიკო პოეზიის შთაგონ ამოცანას ხელს უშლიდა. პოეტი ამტკიცებდა, რომ ლირიკული ლექსი ავტორის სულის ძახილია და ეს ძახილი მხოლოდ სიტყვის ხელოვნებით, ფრთხილად ფრთხილ, ინტონაციით და საერთოდ, პოეტური თქმით უნდა იყოსა გამოსახული. როგორც არსებობს მუსიკის დამოუკიდებელი ენა, ისე არსებობს პოეტური მეტყველება და ინტონაცია, ე. ი. სიტყვის ხელოვნების სპეციფიკა: პოეტური სახეც, მისი აზრით, ინტონაციის საშუალებით უნდა შექმნილიყო. ინტონაციის იგი „შინაგან ამღერებას“ ეძახდა. პოეტური სახის შთაგონ საფუძვლად ტიციან ტაბიძეს ეს „შინაგანი ამღერება“ მიანდა. იგი ამტკიცებდა, რომ უშუალო შთაბეჭდილება, სულის წვა პოეტზე მაშინვე შინაგანი ამღერებით, ერთი სულსთქმით უნდა იმანოს, თორემ ცალკე მეტაფორის ან შედარების ადრე გამოგონება, შენახვა და მერე მისი გამოყენება შეიძლება, მაგრამ ეს გრძნობას სიკაღწეულს დაუკარგავს და მთლიანად პოეტური ნაწარმოები უშუალოდ მოწყდებო. ამიტომ აღვარება იგი პოეტის გაუთლელ ლერწამს, რომელიც ტუჩივდებულად მღერის ზუნებაში. თვითონაც გაუბრუნდა პოეზიაში კავშირების — „როგორც“, „ვით“ ხშირად ხმარებას. იგი არ იტყოდა — ლექსი მოგარდება როგორც მეწყე-

რი, ან ლექსი მოგარდება როგორც წელკავი, არამედ ამბობდა: „ლექსს მე ვწერდებ მოგარდნილ მეწყერს“ ანდა: „მოგარდება ლექსს წელკავად“. ასეთი პოეტური გზა მას კლასიკური პოეზიის მხატვრული ტრადიციების აღდგენად მიანდა.

მე მაშინაც დიდი პატივისმცემელი ვიყავი ტიციან ტაბიძის პოეზიისა, მაგრამ მის ზოგიერთ მოსაზრებას პოეზიაზე არ ვიზიარებდი, მით უმეტეს, თავის შეხედულებას საკუთარ პოეტურ პრაქტიკაში არც თვითონ ამორციელებდა თანმიმდევრულად. როგორც პოეტს, ტიციან ტაბიძეს მეტაფორული აზროვნება დიდად ჰქონდა განვითარებული და ამ მხარე მან მრავალი პოეტური შედეგით შექმნა. „ვინ მისცა ფერი ზუნხანის, ლენოს, ვინ მისცა ფერი არაგვის ველსო“, ამბობდა იგი და ჩემთვის ნათელი იყო, რომ ეს სტრიქონები უკვე ბრწყინვალე მეტაფორული აღწერის ნიმუშია. მე ვეთანხმებოდი და ვეთანხმები ახლაც, რომ მისთვის ფართოდ გაგებული ინტონაციის ცნება ლექსის წამყვანი მხატვრული თვისება და იგი მხატვრული საწარმოების სულის სახეც. მაგრამ მე მაშინვე ვეჭვობდი, და ახლაც მგონია, რომ ფერწერის თუ მუსიკის თვისებების ზომიერი შეჭრა პოეზიაში დიდი ცოდა არ არის. მე ყოველთვის მომხტე ვიყავი ლირიკული პოეზიის ჩარჩოების გაფართოებისა და ვიცავდი ლირიკულ ლექსშიც მაღალი პროზის ელემენტების შეჭრის აუცილებლობას. პროზის თვისებები ლირიკულ პოეზიას ამღიდრებს და მისი საშუალებით იგი ახალ საფეხებზე აღის, მისი პრიზონტი იშლება. პოეზია დიდ პოეტურ განზოგადებას და ფართოდ გაგებულ მხატვრულ აზროვნებას ეჩვევა. რასაკვირვებია, სხვა ხელოვნების თვისებები ისე უნდა იყოს შესული ლირიკულ პოეზიაში, რომ ისინი პოეზიის ენად უნდა იქნენ და, ამდენად, არ უნდა წარმოადგენდნენ ლექსში ფერწერის თუ მუსიკის ენის განმეორებას. მაღალ საფეხებზე ასული ლირიკული პოეზია არ ერიდება არც აღწერას და არც პოეტურ თხრობას. თუ ზომიერება და მაღალი გემოვნება დაეულოდა, მაშინ ხსენებული თვისებები პოეტური კულტურის სიმადლის მიჩვენებელია და არა მისი გადაგვარებისა.

ჩემთვის, მაგალითად, ნ. ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ და „შემოდამება მთაწმინდაზე“ თანასწორუფლებიანი ლირიკული შედეგებია. პირველ ლექსში არც აღწერაა, არც მეტაფორა და არც შედარება, მასში სულის სუფთა დაღაღინება ამახული, ხოლო „შემოდამება მთაწმინდაზე“ ბუნების აღწერა არის, პოეტური თხრობაც და ფილოსოფიური სენტენციებიც. ასევე განსხვავდება ერთმანეთისაგან ალ. ბუჭინის ლექსები — „მე თქვენ მიყვარდით“ და „19 ოქტომბერი“, მაგრამ ორივე შედეგია. თუ ლექსში — „მე თქვენ მიყვარდით“ არც ერთი შედარება, არც



ერთი მეტაფორა და არც გარეგნული პოეტური ნახატი არ არის, ლექსში „19 ოქტომბერი“ ყველაფერია: მოგონება, აღწერა, მეტაფორები, ფერწერითი სურათები და რამდენიმე მეგობრის დახასიათებაც. ამ ლექსში ღირსეული სამყაროს ჩარჩოები გაფართოებულია და ღირსეული ლექსი პოეტური ეპიკის საზღვართან არის მიყვანილი. ლექსში „19 ოქტომბერი“ მხატვრული პროზის თვისებები შექრილია, მაგრამ ყველაფერი დამორჩილებულია ღირსეული ხმით და მხატვრული პროზის თვისებები ღირსეულ ხარისხშია აყვანილი.

ჩემი ღრმა რწმენით, ღირსეული პოეზია მაშინ ხდება სრულყოფილი, როცა სინამდვილიდან მიღებული შთაბეჭდილებები მოგონებებად იქცევა და სულში მოშფიფდება. პოეტის მიერ სინამდვილის ბიოგრაფიული განცდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამოვლებული ავტორის პირადი სულიერი ზრახვები ღირსეული პოეზიის საფუძველია, ხოლო გულში შენახული მოგონებების მხატვრული განზოგადება პოეზიაში რეალიზმის საყრდენია. შემოქმედებაში ასეთი გზით პოეტური აზრის და გრძნობის ორგანული შერწყმა ხდება და მწერლობაში კლასიკური პოეზიის გზა მტკიცდება.

ტიციან ტაბიძის პოეზიაში ბევრი საყურადღებო საკითხია წამოჭრილი. იგი მუდამ ძიებაში იყო და შემოქმედებითს ჭიდილში გამოიმუშავა საკუთარი პოეტია. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ტიციან ტაბიძე პოეტი იყო და არა თეორეტიკოსი. მისი შეხედულებები პოეზიაზე ყამბა ვითარებაში იცვლებოდა, ვითარდებოდა, ლიტერატურულ ჭიდილში იგი ახალ სახეს ღებებოდა. მთავარი მიანიც ის არის, რომ ტიციან ტაბიძის ყოველთვის თავისი პოზიცია ჰქონდა, იზრტოდა საკუთარი აზრების დასაცავად და კამათში ჩართული მეგობრების სულზე მობილიზაციას ახდენდა. იგი ვერ იტანდა მწერლობაში მოდუნების, უკოდინარობას და პოეტური პოზიციის უქონლობას. პოეტს თავისი მძაფრი გამოსვლებით დიდი სიცოცხლე შეჰქონდა ჩვენს სამწერლო ყოფაში და ქართული პოეტური აზრის განვითარებას წინ სწევდა. იგი მწერლობაში კაბუკური ყინით და ცხოველი აზრით ელვარებდა. ტიციან ტაბიძემ თავისი პოეტია შემოქმედებითს პრაქტიკაში ბევრჯერ გაამართლა. მას პოეტური ეპოსისაყენ ხელი არ წასცდენია. იგი ბოლომდე წმინდა ღირსიოს პოეტად დარჩა და თავის მოწოდებად გულამოსყენილი სიმღერა გაიხადა.

მიუხედავად იმისა, რომ ტიციან ტაბიძე თითქოს უარყოფდა პოეტურ ხატოვანებას, მან მაინც შექმნა შესანიშნავი, მაღალი გემოვნებით დაბეჭდილი სახეები და მეტაფორული თქმები. „ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გაიკრანს და ეოკლად დაგმარხავს“ — უთქვამს მას და ამ სტრიქონებში შესანიშნავი, ღრმა მეტაფორული აზროვნება გამოუმდგინებია. მანვე

შექმნა მოშიზლაგი ფერწერული პოეტური ხუროთი:

მე დავიბადე აპრილის თვეში
ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან.
მეწვიმს სითურთ და წვიმის თქეში
ცრემლი მგონია ჩემს თვალებიდან.

კიდევ უფრო ბრწყინვალე პოეტური სურათია შექმნილი შემდეგ სტრიქონებში:

გამოვა წუთით გამოპორცე მთვარე
და გორგასლანი ხმალით გადაწყვეს.

ტიციან ტაბიძის მიერ საოცარი მეტაფორული პოეტური სურათია შექმნილი თამენია წერეთლისადმი მიძღვნილ ლექსში:

ხარ დანგრეული შენ „მოდი ნახე“,
ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი...

ისე ნაზია ეს მოგონება,
როგორც დემონის ფრთების შეგება.
სჯალს ვაიხარონ სხვა ვაგოვებში,
მოიბან შენი ირმის ფეხები.

ასეთი საოცარი შთაგონებული ხილვები გაბნეულია მთელს მის პოეტურ სამყაროში.

პოეტს ბიოგრაფიული, ე. ი. თავდადსაველური მხარე ლექსში დიდი მოკრძალებითა და თავდაპეტეობით შემოქმონდა. თავისი ბიოგრაფია თითქოს რომანტიკულ სამყაროშია დანახული და ხალხის გმირულ წარსულთან დაკავშირებული. თითქოს თამენია წერეთელსაც იმიტომ ეტრფოდა, რომ საწერეთლოში „მოდი ნახეს“ ციხე არსებობდა და მას შეეძლო თავისი სატრფივალო არსება საქართველოს ვანვლიდი ისტორიის ფონზე დაეწახა. ამიტომ პოეტის საყვარული ძალზე რომანტიკულ სამოსშია გახვეული და მისი დამოკიდებულება სატრფივალო არსებასთან ძალზე ფაქიზია, კდემამოსილებით აღსავსეა და რაინდულ თავდადებად მისული:

არც კი გიცნობდი, არც კი მენახე,
ისე გახატავდა თამარს ვრუბელი...

გარჩენილი ვარ ქვეშე კალმახი
და ახეული მაქვს ლაფურები.
შემართულია ფეხზე ჩაბნახი
და უსიკვდილოდ ვერ გადურჩები.

იგი თავის სატრფივალო ღირსიკაში უფრო რომანტიკულია, ვიდრე პაოლო იაშვილი, ვიორჯი ლუონიძე და იოსებ გრიშაშვილი. ტიციან ტაბიძის პოეზიაში გარეგნული ეროტაზმის ნახატი არ მოიპოვება.

სატრფივალო ლექსებშიც პოეტი თავგამებებულია და ტრაგიკული, მაგრამ თვით სატრფი-

ლო არსების მიმართ საოცრად მოკრძალებულია და კდვამოსილია. ლირიკული სიმორცხვე შერჩენია პოეტის სატრფიალო გრძნობას და ავტორის შორიდან, მთაბრებით დაუწყია თავისი წრფელი მონოლოგის თქმა. პეტოხველმა ავტორის გრძნობა რომ რომანტიკულ წიაღში დაინახავს, პოეტის სატრფოსადმი მიმართული მონოლოგი ანანურის ციხის, თეოტა და შვიი არაგვის ან დარიალის ხელების წიაღში წამოუწყია. შეიძლება პოეტის სატრფოს არავითარი ბიოგრაფიული კავშირი არ ჰქონდეს ყველა ამ დასახელებულ ადგილთან, „შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის მომაგონდები ამ ანანურთანო“, გვეუბნება პოეტი და თავის სატრფიალო არსებას დიდი ბუნების წიაღში და ძველი ციხეების ჩრდილში ესაუბრება. ტიციან ტაბიძე არასდროს არ იტრება გაშიშვლებული სურვილით სატრფიალო თემაში, თუმცა სატრფოს სიყვარულით აესებულება გულამდე და ტრფიალურა მისთვის „მოგარდნილი ცრემლების წარღვნა“; სატრფოს სასიკვდილოდ დაუტრია იგი, მაგრამ ეს სიკვდილი პოეტის ყაჩაღებისათვის გადაუბრალდება. „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვე, შენ ამ სიკვდილში არ გიღვეს ბრალი“, უთქვამს პოეტს და თავისი ტურფა სულიერი ჭეჩქინისაგან გაუთავისუფლებია, მისი საიდუმლო დაუფარავს და ტრფიალის წინაშე რაინდული თავდადება გამოუტენია.

ტიციან ტაბიძის პოეზიაში ტრფიალება სულის ამაღლების, რომანტიკული კეთილშობილებისა და პატრიოტული გრძნობის საფუძველია. პატრიოტული თემა და სატრფიალო თემა ერთნაირ რომანტიკულ სამოსელშია გახვეული. პატრიოტული სულით გაყენილი ლექსებში იგი ეფრო ოპტიმისტია და ხალისიანი. პატრიოტულმა გრძნობამ მიიყვანა პოეტი საბჭოთა თემატიკამდე და ახალ სინამდვილეს ორგანულად დაუყვანა მისი შთაგონება.

ჩემში გადმოღოს, ჩემში იღვრება ჩემი საშობლოს ფენიქსის ბედი, არ უნდა კვესით გულს ამღვრება, ცუცხლმიფებლად იწვის აბედი.

საბჭოთა სინამდვილემ ტიციან ტაბიძეს ახალი სიხარული შესძინა. მისი ლექსები „ორბირელი კომკავშირელი კრემლში“, „ახალი მცხეთა“, „როინი — პორტი“ ქართული შუის მეშვეობით ქართულ მიწაზე აღმოცენდა. პატრიოტული გრძნობა პოეტმა შესანიშნავად გამოხატა თავის ლირიკულ შედევრში — „საშობლო“; „შთაც ღამაში გაქვს, ბარიც ღამაში, დიდხანს გადაარეს ზგონებმა ედემს და ახლა გააქვს წერაქვი... დაგება წყალი, ნარინჯოვანი ამოდის ბაღი... როცა პოეტი ახალ გარდაქმნილ კოლხიდას აღწერდა, სოციალისტური მშენებლობის ამ უბ-

ნის მხატვრულ სურათში თავისი ბავშვობის მოგონება შექონდა. ამ მოგონებების მეშვეობით სოციალისტურ მშენებლობას სკუპიორ ბიოგრაფიას უკავშირებდა და მისი ბავშვობაც თითქოს ჩვენი მშენებლობის მოწვე ხდებოდა: „ჩემი ბავშვობის ოცნება ახდა, გზედევ რიონზე ორთქლმავალ გემებს, ახლა გაავიარს ენის და კართან და საბჭოების მზეს შეგვეგებებს“, გვეუბნებოდა პოეტი და ასე წრფელი გრძნობით უმღეროდა იგი საბჭოთა საშობლოს. ახალი კოლხიდა თითქოს პოეტის ბიოგრაფიაში შესული სოციალისტური მშენებლობის უბანი იყო და ამ უბნის შესახებ ნათქვამ პოეტურ სიტყვას განსაზღვრებულად დაინტერესება და აღფრთოვანება ეტყობოდა. ეს სოციალისტური მშენებლობის ხმა და ხალისი, რომელიც ტიციან ტაბიძის პოეზიაში შეიქრა, საბჭოთა საქართველოს ეკონომიური და კულტურული აღორძინების შედეგი იყო. პოეტმა ნათლად დაინახა, რომ საქართველო საბჭოთა ხალხების მშურ ოჯახში აღორძინდა და ახალ საფეხურზე ავიდა:

აბა თუ გახსოვს თუნდ ერთი წუთი, რომელ ერს შეტყუე, დაისახლება, ასეთ ბედნიერ მე ქორთონიყნს.

თავისი ხალხის ასეთი ბედნიერება ამღვრებდა პოეტს და ხალხთა მეგობრობის კეთილშობილი გრძნობა პოეტის გულში ღრმად ფესვებს აღეყვანდა.

ლექსებში „აღლქსანდრე პუშკინს“, „დაღესტნის გაზაფხული“, „ზაღადის ზეცა“, „ვლადიმერ მიიაკოვსკის დედა და დები“ და საბჭოთა სომხეთისადმი მიძღვნილ სიმღერებში გამოხატულია ხალხთა მეგობრობის სტრუქტურა გრძნობა არა დეკლარაციული მოწოდებით და გარეგნული პათოსით, არამედ ლირიკული დიადისით და საბჭოთა სინამდვილის არსში ჩაწვდომით. ტიციან ტაბიძემ შექოდა ყველა საზოგადოებრივი თემის საკუთარი რომანტიკული კუთხით დაინახა და მისი თავისებურა ლირიკული ხმით ამღვრება. მან იყოდა ყველა თემის ლირიკული საფუძვლის მოხსება და პოეზიის საგანთან ინტიმური მიახლოება. აღ. პუშკინისადმი მიმართვის საფუძველი პოეტისავე პუშკინისავე პოეზიაში პოეტი და „He пои, красавица, при мне ты песен Грузии печальной“-ს მეშვეობით დაინახა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიული ფესვები.

საქართველოშიც გაიფანტა ის ხმა მწუხარე, როცა გიმღერდა მოწყენილი ღამაში ქალი, ისმის გაშეწევი გუგუნე და სიტყვა მწუხარე, გული საუბლეს ველირ დგება, გააქვს ფართქალი.

აღ. პუშკინის ხსენებულ სიმღერიდან განკერტილთა დღევანდელი სინამდვილე და ამა-

ტომ „ჩრდილოეთისკენ სურთ გაფრენა წინანდლის ვარდებს“. მოყვანილ სტრიქონებში ნაჩვენებია რუსული პოეზიისა და ქართული მწერლობის სულეერი სახელოვე და ხალხთა ლენინური მეგობრობის ისტორიული ფესვები. საბჭოთა სინამდვილეში ხსენებულ ფესვებზე აღმოცენდა ხალხთა ურყევი ძიძისა და თანამშრომლობის იდეა:

საბჭოთა მიწის დაილოცოს ყველა მტაველი,
იყოს უყვადვი, ვით პეშკინი და რუსთაველი.

ასე აკავშირებდა ტიციან ტაბიძე საბჭოთა ხალხის ცხოვრებას ხალხის გმირულ წარსულთან და წარსულის სულეერი კულტურის მეშვეობით ამართლებდა ახალი ცხოვრების იდეალებს.

საბჭოთა სომხეთის ამსახველ ლექსებში პოეტი მრავალ კუთხით ახლოვებს სომეხს ხალხს და ქართველ ხალხს წარსულს. იგი სომხეთის ისტორიიდან ბრუნდება თანამედროვეობაში და გვეუბნება, ასე დაეწერე „თანამედროვე სოცილისტური ქვათა ლადალი“. პოეტს განცდილი აქვს სომეხი ხალხის დრამატული წარსული და შესანიშნავი პოეტურა ინტონაციით გამოუყვითა თავისი ლადალის:

ასე დაეცა დიდი ზვარტოცი,
ასე დაეცა ლენინაკანი,
ასე მოედვა ცეცხლი ზანგეზურს,

მაგრამ „ოღესღაც კირში და ოფლში ნაწვევილი შრომა, განაქმულ გმირობის საქმედ გამხდარა“ და ისტორიული წარსულიდან შემორჩენილი ქვეები ილაღადებულან საბჭოთა სინამდვილის სადიდებლად.

ღვანან თუჯების მოურაგები
აუუღებელი ბაბილონამდე.
ათას საღამურს ვაკვებს გუგუნნი
აღიონიდან აღიონამდე, —

ასე მღეროდა ტიციან ტაბიძე თავისი გაუთღელო ლარქმის მეშვეობით. მისი პოეზიის პატივისცემლები და პირადი მეგობრები მთელს საბჭოთა კავშირში დღითიდღე მრავლდებოდნენ.

ტიციან ტაბიძე იყო ქართული საბჭოთა კულტურის დაუღალავი მოღვაწე და, როგორც თვითონ ამბობდა, ამ საპატიო უღელს გულდაგულ ეწეოდა. როგორც დასაწყისში აღენიშნება, იგი ბუნებრივ ძალეზე აღრე მოსწყვიტეს საბჭოთა სინამდვილეს და მისი დაუდგროველი, შემოქმედე-

ბითი სიცოცხლე ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან გამომდინარეობს. პოეტს მრავალი ჩანაფიქრი განუხორციელებია დარჩა, მრავალი, ქადაგებულად დატოვებული სტრიქონი სამუდამოდ დაკარგვნილი და მთელი თავისი პოეტური ძალის გამოყენებები ვერ მოასწრო. მაგრამ რაც ამოიძახა მისმა მღელვარე გულმა, ყველაფერი ეს საბჭოთა კულტურის საგანძურში შევიდა და სამუდამოდ ქართველი ხალხის სულეირი სიმდიდრეს შეუერთდა.

ამ სტრიქონებს ავტორი ტიციან ტაბიძის უახლოესი და პოეტობისთვის დაკავშირებული ძველი მეგობარი არ უყოფლა, ჩვენი შორის ათი წელი განსხვავება იყო. ჩემი თაობა სხვა გზით მიდიოდა პოეზიაში, მაგრამ ტიციან ტაბიძეს ძალიან უყვარდა ახალგაზრდებთან მეგობრული კილილი და სიახლოვე. მეც მიხილავდა „ილიაილის“ ავტორის წრეში ყოფნა და მასთან გულდაგულ საუბარი და ხალისიანი კამათი. ჩვენ მრავალ საერთო მეგობარს გვეყავდა მსკოტში, ლენინგრადში, ქიევისა და ერევანში და მრავალი დღე გაგვიტარებია მათთან ერთად საუბარში და პოეტურ პაქტობაში.

ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაც მეგობრული და უჩვეულო იყო. მე იგი მხოლოდ ცხოვრებით მდინდირი და პოეზიით გახარებული მენახა. შეზღუდული ვიყავი, რომ ზღვათის მოლოდინში შინ წრიალებდა, ვერ ისვენებდა და სანთელივით იღოდა. მე მაშინვე წავედი მასთან, რათა ორიოდ საათით მაინც გამოემთხეა იგი ასეთი მდგომარეობიდან, რამდენადმე მაინც შემეშუბუქებინა განსაცდელის მოლოდინით გამოწვეული მისი სასოწარკვეთილება. ტიციანს საოცრად გაეხარა ჩემი მისვლა, მალე გაერთო საუბარში და რამდენიმე დაუბეჭდავი ლექსი წამიკითხა, პოეზიაზე ვისაუბრეთ და საერთო მეგობრების მოვიგონეთ. მისი პოეზიის მუხა, მისი კოლომბინა, მისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი — ნინო მაყაშვილი ჩვენი სერობაში მონაწილეობდა და მე კმაყოფილი თვალებით მიყურებდა. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. წამოსვლისას ტიციანმა შუა კიბეებზე ჩამოცილა და ნაღვლიანი ღიმილით დამშორდა, მეც მძიმე შთაბეჭდილებით გამოვედი პოეტის ბინიდან და ქადაგების ქუჩაზე დავეშვი.

თბილისში შემოდგომა უკვე იწყებოდა და ქადრებზე დაღლილი ფოთლები შრიალებდნენ. თურმე ეს ტიციან ტაბიძის სიცოცხლის უკანასკნელი შემოდგომა იყო.



ირაკლი აბაშიძის პოეზია

ირაკლი აბაშიძის პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1928—1929 წლებში. მანამდე ჩატარებული დიდი მოსამზადებელი მუშაობით უნდა იხსნას, რომ პოეტის პირველსავე ლექსებს აინდა თავისებური, ორიგინალური ოსტატობის ბეჭედი. ამ ლექსებში ნათლად იგრძნობოდა თანამედროვეობის სუნთქვა, ეპოქის მიჯნისკენა.

დიდი ისტორიული ძვრებს ჰქონდა ადგილი ამ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ 1929 წელი შევიდა ისტორიაში, როგორც წელი დიდი ვარადატებისა. სოციალიზმის მძლავრი შეტევა ყოველივე ძველსა და დროშაშემოქმედის წინააღმდეგ — აი რა განსაზღვრავდა ამ დროის ხასიათს. შემტევი, მებრძოლი, შემოქმედებითი სულიკვეთება — აი, რა განასხვავებდა არა მარტო მუშისა და გლეხის შრომას, არამედ ყოველ პანგს, აფერებულს მოწინავე კომპოზიტორის მიერ, ყოველ შტრახს, გავლებულს ახალგაზრდა მხატვრის თამამი ზელით, ყოველ სტრიქონს, შექმნილს საბჭოთა პოეტის ზემოთაგონებით.

რა იქცეეს პირველ რიგში მკითხველთა ყურადღებას, როდესაც ის დღეს ვადაიკოთხავს ირაკლი აბაშიძის იმ წლებში დაწერილ ლექსებს? — პოეტური ხმის სიწმინდე და ძალი. ამ ლექსების მიხედვით მკითხველს შეუძლია თვალნათლივ წარმოადგინოს დამახასიათებელი ნიშნები კომპოზიტორული თაობისა, რომელიც თამამად და უყურადღებოდ, ახალგაზრდული გატაცებითა და რწმუნით გამოვიდა საბჭოთა ხალხის სოციალიზმისათვის, ბუნდოვანებისათვის, ბრძოლის დიადი ფრონტის მოწინავე ხაზზე.

დაიხ, პოეტური ხმის სიწმინდე და ძალი. ნათელი სახეები, ორატორული ინტონაცია, ვაკაცური შეძახილი, თანამედროვის — ინდუსტრიულიზაციისა და კოლექტივიზაციის გმირის — მკაცრიდ მოხაზული კონტურები. ირაკლი აბაშიძის პოეზიაში გამოკრათის სახე „ბრძოლაში ვალდებულნი“ პოეტ-მოქალაქისა, რომელსაც ბოლომდე აქვს შეცნობილი თავისი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე:

შენ გმირად სჭირდები ეპოქას,
ტემპით და იერიშით დანთებულს:
ეპოქა გეძახის, როგორც კაცს
და როგორც ბრძოლაში ვალდებულს.

ეს ლექსი მეტად საგულისხმო სათაურსაც ატარებს — „შეიქმენ გმირი!“ ისეთი ვაკაცური, მტკიცე ნებისყოფის გამომსახველი ინტო-

ნაცეები ძალზედ დამახასიათებელია ირაკლ აბაშიძის პოეზიისათვის.

მომდევნი წლებშიც გმირობის თემა ერთ-ერთ წამყვან თემად გვევლინება ირ. აბაშიძის პოეზიაში. იმაზე მეტყველებენ თუნდაც ოცდაათიანი წლების მანძილზე შექმნილი მთელი რიგი ლექსების სათაურებიც კი — „გმირები“, „სიმღერა გმირებზე“ და ა. შ. მაგრამ საქმე რატომ უნდა, მხოლოდ სათაურებში და თემატურ მოტივებში როდია. ირ. აბაშიძის ლექსებში, ისე როგორც სხვა მოწინავე საბჭოთა შემოქმედთა ნაწარმოებებში, გმირობის თემა მალა სოციალურ და ფილოსოფიურ სიმაღლეზე აყვანილი.

სად უნდა ეძიოს პოეტმა ახალი გმირთა-გმირი? რა არის ამ ჯერარსებული გმირობის საფუძველი და მასხარდობელი წყარო? „ს ა გ მ ე გ ყ ო ვ ე ლ ო გ მ ი რ ი ს ს ა ხ ლ ს შე მო ვ თ ა ვ ა ზ ე ბ ა ს“ — ასე მიგვითითებს პოეტი შრომითი საქმიანობისა და გმირობის კავშირზე. და ის ხაზს უსვამს არა მარტო ზღაპარში მოთხრობილ გმირობასა და დღევანდელ შრომით გმირობას შორის განსხვავებას, არამედ ამ უკანასკნელის განსხვავებას ქართველი ხალხის თუნდაც მატარებელით დადასტურებული, ისტორიულად ცნობილი გმირობისაგან საუფუნეთა მანძილზე:

იყო სარდალი, იყო გმირი,
მტერთა გამდევნი,
ბრძენი ქართველიც
უმღეროდა მხნეს და გოლიათს,
მაგრამ არასდროს
დარაზმული გმირი იმდენი
გამარჯვებისთვის
საქართველოს ჯერ არ ჰყოლია!
მთი სხეული, უშიშართა,
დაუტყობელთა,
კოლით-კიდემდე დაფრიალებს
მძლე და სალხენი
ჩაის ველებზე,
მღაროში,
ქართლის ღუმელთან,
ძარს და პერში
ივედება გმირთა სახელი.

ასე რომ, როგორც ეხედავთ, პოეტს ოცდაათიანი წლებში ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ის შემოქმედებითი გზები, რომლებითაც მას უნდა ეარა. ამ დიდი მხატვრული პროგრამის ფართო განხორციელება მას ჯერ კიდევ წინ, მომავალში ელოდა, მაგრამ უკვე ეხლაც შექმნა

მან შეელი რიგი ნაწარმოებებისა, სადაც რეალისტურ ფერებში იყო დახატული ახალი საბჭოთა ადამიანის ახე („ამხანაგ ნაწიშვილის“ და სხვ.).

დღეი სამამულო ომის დაწყებამდე ორიოდე თვით ადრე გამოვიდა ირ. აბაშიძის ლექსების კრებული, რომელშიც ავტორმა თავი მოუყარა მის ბიერ თითქმის ათეული წლის მანძილზე შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებებს. ეს კრებული ნათელ წარმოდგენას იძლევა ირ. აბაშიძის ომამდე შემოქმედების მთავარ თემატკაზე, იდეურ პრობლემატკაზე და მხატვრულ თავისებურებებზე. რა იდელებდა პოეტს? რა ამოცანებს ისახავდა ის თავის წინაშე ამ კითხვებზე ზოგადი სახით თვით ირ. აბაშიძე გვაძლევს პასუხს ერთ-ერთ თავის ლიტერატურულ წერილში, რომელიც ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებასადმი იყო მიძღვნილი, მაგრამ მის საკუთარ პოზიციასაც გამოხატავდა. **ს**აბჭოთა მწერლისათვის, მითუმეტეს ახალგაზრდა, დამწვები შემოქმედისათვის, — წერდა ირ. აბაშიძე, — თემატკა ერთეული და მრავალფეროვანია ჩვენს ქვეყანაში: უსაზღვრო სიყვარული აყვავებული სამშობლოსადმი, ბედნიერი და გაანსალი ახალგაზრდობა, ჩვენი ქვეყნის ძლიერება, მგზნებარე თავდადება ... პარტიისადმი, გმირული საბჭოთა ხალხებისადმი. ახალგაზრდა მწერალს, რომელიც გამოსულია ბედნიერი ახალგაზრდობის რიგებიდან, თან შიშვეს ჩვენი განახლებული ცხოვრების სურათები („ლიტერატურული საქათველო“, 1938 წ., 20/5) ირ. აბაშიძის ლექსების ხსენებული კრებულის უბრალო გადათვლიერებაც კი ნათელყოფს, რომ პოეტი სწორედ ამ თემებსა და საკითხებს ეხმარებოდა. ამას მოწმობენ კრებულის განყოფილება სათაურებიც კი: „სამშობლო“, „ჩვენი ძლიერების მშობლებს დიდება“, „ახალგაზრდობა“ და სხვ. ირ. აბაშიძეს, რომელიც თვითონ იყო გამოსული აბედნიერი ახალგაზრდობის რიგებიდან“ და „თან მოქონდა ჩვენი განახლებული ცხოვრების სურათები“, ჰქონდა უფლება ეთქვა თავის თავზე:

მე ხმაც და ენაც — ჩემი ირჩივი,
მომცა საბჭოთა მშენ და ყანებში,
მას შევეზარდე მე მზარე-გამილი,
მან დამიმტკიცა სრულწლოვანება.

და ის ერთდროულად ვალდებულები და მოხარულიც იყოს ეს ხმა პოეტურ ჰანგად დაებრუნებინა უკან სამშობლოსათვის:

შემდეგ მე ამ ხმას ჰანგად გაიქაბი
ჩემი სამშობლოს შთად და ველადა...

ღირიკულ პოეზიაში ჩვენ პირველ რიგში გვიხილავს და გვაღვლეებს ღირიკული გმირის ბედი, პოეტის თანამედროვის, მისი ორეულის

ბედი. თანამედროვის ბედი! — ირაკლი აბაშიძე პირველსავე თავის ლექსებში შეეცადა პოეზიის ამ უმთავრეს და უწმინდესი ამოცანის გადამწყვეტას. ამ მზარე ყველაზე უფრო საცდელსა ხშია 1931 წლით დათარიღებული საქმიოდ ცნობილი ლექსი „გადარჩენის ზალადა“. ეს არ არის ზალადა ამ უნარის განმსაზღვრელი ტერმინის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ლექსს არ გააჩნია საკუთრივ ზალადური სიუვეტი და კომპოზიციკა. წმინდა ეპიკური დასაწყისი, რამდენიმე თხრობითი სტროფი ძველი ყოფის დეტალების ზუსტად და მკაფიოდ გადმოცემა, მალე და თითქოს და შეუმჩნეველად გადადის ფილოსოფიურ განზოგადოებათა პლანში. საინტერესოა თვით ის პოეტური ხერხი, რომლითაც მიღწეულია ეს გადასვლა:

მსოფლიო ომში
თათრების ფრონტზე,
ტრაპიუნდის თუ ჯანდაბას იქეთ,
მოყვარემ ჩვენმა ოჯახის მომსწრე
დაკარგა ვაჟი — ოცი წლის შიქე.
ვის მიწის შერჩა, რა ქვეყნის ლოდებს,
ის კაბატუს მკერდი ვინ დაუყოლა?
სოფელში ზგარმა აენაშა მშობლებს,
რომ გაჰქრა ვაჟი უგზო-უკვლოდა.

თხრობითი ინტონაცია და სახეები აქ ვაზრახ ხაზგამსულიც კია: ზუსტად არის აღნიშნული მოქმედების დრო და ადგილი, ნახსენება სახელი და წლოვანება დაკარგული ვაჟისა, ერთი-ორი მეტყველი მტრახით გადმოცემულია მთელი უბნებობა და ვაწირულობა იმდროინდელი ახალგაზრდობისა („ტრაპიუნდის თუ ჯანდაბას იქეთ“). ასეთივე კონკრეტული, პირდაპირი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ ფრაზასაც — „გაჰქრა ვაჟი უგზო-უკვლოდა“. მაგრამ უკვე მომდევნო სტროფებში იგივე გამოთქმა თანდათანობით უფრო ფართო, განზოგადებულ მნიშვნელობას ღებულობს, საერთოდ „უგზო-უკვლოდის“ მოტივში გადადის და ამ თითქოს და სავესებით კონკრეტული სახის მეტაფორული რეალიზაცია ბოლოს დაგვირგვინებულა უკვე წმინდა აფორისტული თქმით:

ის იყარგება უგზო-უკვლოდა,
ვინაც ვერ ნახა ქვეყნად გზა-კვლოდა.

ანე, რომ, როგორც ვხედავთ, პოეტმა „უგზო-უკვლოდ დაკარგვის“ მოტივი დაუკავშირა და დაუპირისპირა ცხოვრებაში ნათელი მიზნების, ნათელი გზების ძიების იდეას. შენ შეიძლება ომშიაც დაიღუპო, სხვა საქვეყნო საქმესაც შესწირო თავი, მაგრამ თუ შენი მთავანი კეთილშობილია და შენც ნათლად გაქვს იგი შეცნობილი, ვერაზან იტყვის შენზე — უგზო-უკვლოდ დაიკარგავი „გზაკვალანეული“, კი ცოცხალიც დაიკარგული იქნები შენი ხალხისათვის, სამშობ-

ლხათვის, საკუთარ თავისთვისაც. ახალმა ცხოვრებამ, საბჭოთა ცხოვრებამ გადაარჩინა ახალგაზრდობა უგზო-უკვლობას, განასხვავა პოეტის თანამედროვის, მისი ლექსის ლირიკული გმირის ბედი — „ჯანდაბას იქეთ“ „უგზო-უკვლოდ“ გადაყარული მიტეს ბედისაგან. და რა ზუსტად გადმოგვცემს ირ. აბაშიძის ამ ლექსის იდეას და შინაარსს მოკლე, მაგრამ მრავალისმეტყველი სიტყვით — „გადარჩენის ბაღადა“.

„უგზო-უკვლობას“ გადარჩენილი თაობა, სიცოცხლის სიხალისით გამსჭვალული, ხარბად დაწეფა ცხოვრების დაუშრეტელ წყაროს. მისთვის უცხო იყო გვირგვინი და რეფლექსია და ამ გვირგვინს საფუძველზე წარმოშობილი დრამატისმი. სულ სხვა კონფლიქტები, სულ სხვა შეჯახებანი ასაზრდოებდნენ და განსაზღვრავდნენ ამ სულიერად ჯანსაღი ახალგაზრდობის ცხოვრების მძლავრ დრამატულ დაძაბულობას. ირ. აბაშიძის პოეზია კარგად ადასტურებდა ი. ბ. სტალინის მიერ ახალი ფორმაციის ადამიანის სულიერი მრწამსის განსაზღვრას: „მსოფლიო სევედის“ ფილოსოფია ჩვენი ფილოსოფია არ არის, დღე ისევედიანონ მიმავლებმა და დრო-სიკვლეობმა. ჩვენი ფილოსოფია საკმაოდ მზადნაღად გადმოსცა ამერიკელმა უიტმანმა: ჩვენ ცოცხლები ვართ, დღეს აღისფერა ჩვენი სისხლე დუბნარჭვი ძალების ცეცხლით“.

რა დასაძლია, ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში არაერთი ქართული პოეტი სცოდავდა რიტორიკულობით და დეკლარაციულობით, ყარულ ემსოდა ბევრ მათს ლექსშია ლირიკული გმირის ხმა, გადარბებულად დაიპოყურებოდნენ მისი გრძობები, ლირიკა თითქოს განდევნილ იქნა მორცხვად პოეტური პირიზონტიდან. და ირაკლი აბაშიძე, სხვა მოწინავე პოეტებთან ერთად, თამამ ნოვატორად მოგვევლინა ამ სფეროშიც. ის „თელი ხმით“ აღაპარადა გზაფხულზე და ყვავილებზე, ზღვაზე და სატრფოზე. მან კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ახალი ადამიანისათვის განსაკუთრებით მახლობელი და გასაგებია როგორც ბუნების, ისე ადამიანთა ურთიერთობის მთელი სილამაზე და მწვენიერება. პოეტს, თავის საუკეთესო ლექსებში, მოჰქონდა ნათელი და მძაფრი შეგრძნება იმ დროისა, როდესაც:

მზეს მზე დაერქვა, ვარდებს-ვარდები,
კაცს დაუბრუნდა კაცის სახელი.

ღრმაა ამ სტრუქტურების აზრი, იქნებ უფრო ღრმა, ვიდრე ამას პოეტის უშუალო ჩანაფიქრი გულისხმობდა. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ ფილოსოფიურ აზრზე იყო აგებული გორკისა და მიაიკოვსკის შემოქმედების უმნიშვნელოვანესი პირობლემეტიკა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარქსი და ენგელსი ოცნებობდნენ

სწორედ იმ დროზე, იმ საზოგადოებაზე, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნებოდა „დასარულელები არსობრივი ერთანობის წესების ბუნებასთან, ბუნების ჰემიზონტის წყაროებზე, ადამიანის დასრულებული ნატურალიზმი და დასრულებული პეანიზმი ბუნებისა“, როდესაც „ადამიანს საკუთარი შრომით ექნებოდა გამოუმუშავებული... ადამიანური შეგრძნება ბუნებისა და, მათთანავე, ბუნებრივი შეგრძნება ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა“ (მარქსი და ენგელსი ტ. 6, გვ. 660). რა თქმა უნდა, ირ. აბაშიძის ლექსის თბიერებული ფილოსოფიური ელერადობის სიღრმე სრულიადე არ ნიშნავს იმას, რომ პოეტმა სპეციალური ფილოსოფიური შტუდეები წარუშლუარა თავისი ნაწარმოების შექმნას. მაგრამ სრულიადე არ იყო შემთხვევითი, რომ სწორედ ახალგაზრდა საბჭოთა პოეტმა გადმოსცა ასე მოხდენილად ახალი ადამიანის მსოფლშეგრძნება.

„დაუხარჯავი ძალების ცეცხლი“ გიზგიზებს ირ. აბაშიძის თითქმის ყოველ სტრუქტურში — მშობლიურ თბილისზე წერს იგი თუ საქართველოს დიდ გაზაფხულს, დმინისის ქვეზე თუ პირველ თოვლზე. იმ სტრუქტურებში თბილისისადმი მიძღვნილი:

მე დაგანახებ სხვა რამ სიყვარულს,
ამრილს და მტკვარს არ გავეტოლები:
შენმა მიწამ და გზებმა იხარონ,
ნაქლებ ერთგული არ გვეყოლები.

შენს სიყვარულში ამრილს ვაჯობებ,
მეტებს და მტკვარსაც, ჩემზე ზნაინებს;
ის გულში, როგორც კახეთს მაქრობა,
ჩვენ გვიდღეს მზოილად, ადამიანებს.

ამ ლექსის პიერბოლიზმი მწვენიერად გადმოგვცემს იმ ახალგაზრდულ ილტყინებას, იმ გრძობათა სიხვედს, იმ გულში დამარბებული სიყვარულის ძალას, რომელიც ირ. აბაშიძის ლირიკული გმირის თანამედროვე და მკვდრი თობისათვის იყო დამახასიათებელი. ასეთვე უშუალოდ იყო და მკვდრილი ინტემათ არის გამთხარე ზნარი შემთხვევაში პოეტის ბუნებასთან დამოკიდებულება:

ზღვა ღელავს,
ზღვა ღელავს,
ამხელა სივრცე
ნაპირებს აყვდება,
პორგავს და მწურალია.
მომეცი მე ტაღლა,—
მისურს ხელი მივეცე.
რა ვეყუთ რომ ზღვა,
რომ მზოილად წყალია?!

და თბილისთან თუ ზღვის ტაღლებთან პოეტის ამ მგობრიულ საუბარში, ქალაქისადმი თუ

ბუნების სტრუქტურისადმი „შენობით“ მიმართვაში, ერთგვარ ფამილარობაშიც კი, რომელიც, ბუნებრივად, ჰიპერბოლურ სახეებშია გადმოცემული, არ შეიძლება არ შეინიშნოს ერთი და იგივე მსოფლმეტაფორების საფუძველზე აღმოცენებული ვანჟუზობლება, სულიერი ნათესავობა მაიაკოვსკის ლირიკულ გმირთან რომელსაც ასეთივე ვნებანიანი სიყვარულით უყვარდა თავისი მისკოვა (ცაიხსენით „Меня Москва душила в объятиях колыдемъ своих бесконечных Садовов“) და ასეთივე ძმური და ამხანაგურძოტონით რომ ესაუბრებოდა შვსს, ეიფელის კოშკსა თუ ატლანტის ოკეანეს, რომლის სტიქიაშიც მარადმწვთითაგრე რევოლუციური სულის განსახიერებას ზედადგ, არ. აბაშიძის ლექსის ლირიკულ გმირის მსგავსად¹.

„ახალ სიცოცხლის და ყვავილების“ მგოსანი უწოდა თავისთვის ირ. აბაშიძემ ამავე პერიოდის ერთ-ერთ თავის ლექსში („ყვავილება ქალაქში“). ეს იყო ირ. აბაშიძის პირველი ლექსი, რომლითაც მან შეგნებულად გაილაშქრა ჩვენი პოეზიის გმირის სულიერი სამყაროს ვალრიზების წინააღმდეგ, ანდა, მისივე გამოთქმა რომ ეხმარათ, „გატეხა ლექსის უხერხულობა“, „მისცა დასტური“, რომ მის „ლექსებში ხმა აიღვიწონ ხრიზანტემება“. ირ. აბაშიძემ გაბედულად დაიკვა პოეტის უფლება და მოკლეობა ახალი აღმართის გრძობების, ვანკების, ინტერესების მთელი სიმდიდრისა და შრავალფეროვნების ასახვისა. პროგრამული იყო ამ მხრივ ირ. აბაშიძის ერთ-ერთი საუკეთესო ომამდელი ლექსიც „ყველა სიმღერა“, ქართული საბჭოთა ლირიკის თვალსაჩინო ნიმუში:

ყველა სიმღერა რასმე ვაგონებს,
ყველა სიმღერას თავის წლები აქვს,
ყველა სიმღერა რასმე ვაგონებს,
რაც ფიჭის ოდესღაც დაიწვევბა.

მეგამ ძვირფასო, რაც შენ გვიმეც,
რომ სიცოცხლეში წინ წავიძღვარო,
ყველა სიმღერა შენს თავს ვაგონებს,
შენ, საყვარულო დაუფიქარი!

პოეტის ყველა გრძობა, ყველა ფიჭია, ანუ ყველა სიმღერა, რომელიც მას ოდესმე გაუყვარდა და შეპყვარებია, — თავს იყრიან, დაკავშირებულნი რიან საყვარელ არსებასთან. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პოეტის ინტერესები მხოლოდ საყვარულთან არის შემოფარგლული, სრულიადაც არა — ეს ინტერესები კვლავაც შეიძლება და შრავალფეროვანი, მეგრად მის შემდეგ, რაც იმეა საყვარული, — ისინი უიმი-

სოდ, მის ვარემე, მისგან დამოუცილებლად აღარ არსებობენ.

„ყველა სიმღერა“ შთაფრეხულნი ქაჩიყა, მიძღვნილი დიდი და კეთილშობილი გრძობისადმი, როდესაც ყოველივე ახალი, ყოველივე კარგი და მშვენიერი შემობლური ქვეყნის ცხოვრებაში თავისთავად უკავშირდება საყვარელი აღმართის სახესა და სახელს. ეს ერთდროულად სატრფიალო და პატრიოტული ლირიკაა. ასეთი ლექსით, მაიაკოვსკის თქმისა არ იყოს, შევიძლია დადებარებაზე სატრფოსა და რესპუბლიკის წინამეც².

არანაკლებ საინტერესოა ირ. აბაშიძის ლექსების ლირიკული გმირის ბუნებასთან დამოკიდებულებაში, რაც მისი სულიერი სამყაროს კიდევ ერთ მხარეს გამოვლენის. ბუნების თემას იშთავითვე დიდი ადგილი ეკავა ირ. აბაშიძის შემოქმედებაში. პოეტის 1941 წლის რჩეული ლექსების კრებულში ერთ-ერთ განყოფილებას სათაურად „ბუნება“ ერგვა „სამშობლოსა“ და „ახალგაზრდობის“ გვერდით. ამ განყოფილებაში შევიდა ცნობილი ციკლი „ღმინისი“, „პირველი თოვლის სიმღერა“ და ზოგიერთი სხვა ნაწარმოები. ზემოთ ჩვენ უკვე შევეხეთ ამ საკითხს ზოგადად, მის ასე ვთქვათ, ფილოსოფიურ მხარეს. ეხლა განვიხილოთ იგი საკუთრივ ლიტერატურული თვალსაზრისით და უფრო კონკრეტულად. საკითხის ასეთი დაყენებისას ბუნების პრობლემა მხატვრული პეიზაჟის პრობლემაში გადავა თავისთავად.

შემოთქმებულ წერიაში ახალგაზრდა პოეტის შემოქმედების შესახებ ირ. აბაშიძე უსაყვადურებდა დამწყებ ავტორებს, რომ შათ ლექსებში „ფრიად დიდი დონითაა მოცემული პეიზაჟი და ხშირად ისეთ მდგომარეობაში, სადაც სიტუაცია სრულიად არ მოითხოვს ამ უკანასკნელს“. „პეიზაჟის დახატვით ზედმეტე გატაცება, — სწერდა ირ. აბაშიძე, — ერთფეროვანს ხდის ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებას, ვარდა ამისა, ამგვარ გატაცებას მიჰყავს მწერალი სოციალური საკითხებიდან მოწყვეტილსაყენ, იდეური უფერულობისაკენ“. პოეტის ამ სიტყვებში მისი საკუთარი მხატვრული პროგრამაცაა მოცემული. მართლაც, პეიზაჟის ერთერთი საუკეთესო ოსტატი ქართულ პოეზიაში, ირ. აბაშიძე იშვითაა მომთხოვნელობითა და პასივისამგებლობის გრძობით ეცილება ამ თითქოს და შოკირებარისობიან „სამკეთლებრივ“ კომპონენტს პოეზიისას. მისი საუკეთესო ლექსები მანერნებლია იმისა, თუ რა დიდი მხატვრული ძალით შეიძლება დახატოს პეიზაჟი, რომელსაც ობიექტური ხასიათი ექნება — ე. ი. ამა თუ იმ კონკრეტული ადგილის, კუთხის, მხარის რეალისტურ სურათსაც გადმოგვეცემს და რომელიც, ამავე დროს, გასხვიოსნებული ექნება ღრმა იდეური ჩანაფიქრით, შეასრულებს ნაწარმოებში არა ვიწრო პეიზაჟურ, არამედ ფართო, სოციალურ ფუნქციასაც.

¹ ამ ასპექტში საინტერესოა აგრეთვე ირ. აბაშიძის „გეთია სიზმარისა“ და მაიაკოვსკის ცნობილი ლექსის „ოდესის რეიდზე გემების საუბარის“ შედარება.

რა შეიძლება, თითქოს, ახალი ითვის სა-
ქართველოს გაზაფხულზე! რამდენი ლექსი და-
წერილი ამ თემაზე და ირავლი აბაშიძის ლექ-
სი „გაზაფხული“ დარჩებოდა ოსტატურ, მაგ-
რამ მინი ორდინარულ პეიზაჟურ ჩანახატად,
რომ ავტორი შემოფარგლულიყო მხოლოდ უი-
ნულის ღლიბისა და ზამთრის უკანდახვეის,
ბაღში ყვავილების აფრიალებისა და აბრლის
მიერ რტოებზე კვირტების დასახვის აღწერით.
მაგრამ პოეტმა უფრო საინტერესო და რთული
გზით მიდის, ის აქაც მიმართავს დაახლოებით
იმვე ხერხს, რომელსაც ჩვენ „გადარჩენის ბა-
ღდაში“ შევხვდით. სიტყვას „გაზაფხულს“ ზომ
მეორე, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, ის
მნიშვნელობა, რამდენიმე მას ზნობად ხმარობ-
დნენ აკაცი და ვაკე, ის მნიშვნელობა, რომელ-
საც აქსოვდა მასში მთავოესკი, როდესაც „კა-
ცობარობის გაზაფხულზე“ ლაპარაკობდა. აი,
„გაზაფხული“ ამ მეორე მნიშვნელობას მიმარ-
თავს ირ. აბაშიძეც. პოეტს ქმნის მეტად ტყეად
და მდიდარ სახეს, რომელიც თავისუფლებასა
და ბედნიერებასაც გულისხმობს და ბუნების
აყვავებასა და სილამაზესაც, მოვლენის ესთეტი-
კურ გაზარტებასაც მოიცავს და სოციალურ-ეთი-
კურსაც. „გაზაფხული“ ერთი მხრით, „თავის-
უფლების“ სიმბოლოა. მეორე მხრით, გაზაფხუ-
ლის პეიზაჟის სილამაზის შეგრძნობა მთელი
სისაესით მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუ-
ძლია. რთული, მრავალპლანიანი მეტაფორის
ერთდროული რეალიზაციით ირ. აბაშიძე დიდ
მხატვრულ ეფექტს აღწევს.

ასე იყო გადამწყვეტილი ბუნებისა და პეიზა-
ჟის პრობლემა ირ. აბაშიძის ომამდელ ლექსებ-
ში. მომავალში, როგორც დაეინახავთ, ეს პრობ-
ლემა კიდევ უფრო ორმაღ, საინტერესოდ და
მრავალმხრივად იქნება გადამწყვეტილი პოეტს.
ეხლა კი შევჩერდეთ ერთ კერძო, მაგრამ მეტად
მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ერთგვარად
დაცემიერებულია განხილულ პრობლემასთან —
ოსტორიული თემატიკის ან, უფრო ზუსტად რომ
ეთქვათ, ისტორიული პეიზაჟის სა-
კითხზე.

ძველი საქართველოს დიდების ნაშთები, ცი-
ხეებისა და კოშკების ნანგრევები — განუწყვლი
ნაწილია ქართული პეიზაჟისა. ცალში „დმანისი-
სი“ ირ. აბაშიძე ამ ნანგრევებს არ აღიქვამს ოს-
ტორიულ-პატრიოტულ ასპექტში, მას აქ აინტე-
რესებს ძველისა და ახლის, მკედარისა და ცოც-
ხალის, უცაეტრ-უღაბურისა და ადამიანის სი-
ცოკბლითა და მოქმედებით გამობარი ბუნების
ლაპარაკობა. „ავტო“ და „დმანისი“ — ამ
ციკლის პირველსავე ლექსების მთავარი სახეე-
ბი — თავისებური სიმბოლოებია ამ ორი რი-
გის — სიციცბლით სახსე თანამედროვეობის და
მკედარი წარსულის გამომსახველნი. ლექსის სა-
ხეთა სისტემა მეტად მკაფიო და ნათელია, სა-
ხეთა ლირიკული კომპოზიცია მკვეთრად კონტ-
რასტული: ერთის მხრივ — „ფრთამალო ავტო“,

„მარჯვე და მკვირცბლი“, „ციცხალი ლითონი“,
„დაუღეგარი რკინა“, ზოლო მკვირცე მხტაგე —
„ქვებზე, მტირალი მუედრობეჯ უღაჟმეცხისს,
„მითრეებული ქვის საბუღარი“, „ციცხე მღუშა-
რე“, „სამარბეთი“, სადაც ვერ ნახავ „ციცხალ
ადელი“ და ა. შ. ლექსის ლირიკული სიუეტი
მოგვაგონებს მთავოესკის „პორტსიგარის“ ლი-
რიკულ სიუეტეს: როგორც იქ ბალახებში ნა-
ვარდნილო ვერცხლის პორტსიგარი — ადამიანის
ხელოვნების ოსტატური პროდუქტი — ქედმაღ-
ლურად უუერებს მიამიტ და ხელოვნებ ბუნე-
ბას, ისე აქაც „ფრთამალო ავტო“ წააწყობება ნან-
გრევებს უსიციცბლო პეიზაჟს, ერთი წუთით
შეძრწუნდება, თითქოს დამამიდლება კიდევც მაგ-
რამ კვლავ აუთამამდება მარბვებში-მღუშებში
სისხლი-ბუნნიანი, აუგუგუნდება გული-მობტორი
და ამაყი თავისი ახალგაზრდული სიძლიერითა
და სილამაზით გამორდება დმანისის „ნანგრე-
ვებში ხმაგაყმენილი“ მიწას. „ავტო და დმანისი“,
მიუხედავად სახეების ერთგვარი ურბანისტული
აბსტრაქტულობისა, ირ. აბაშიძის ერთ-ერთი
ყველაზე საინტერესო ნაწარმოებია, როგორც
იდევრი ჩანაფიქრის, ისე მხატვრული შესრუ-
ლების მხრივ.

დაახლოებით იგივე მოტივებზეა აგებული ამ
ციკლის დანარჩენი ლექსებიც — „დმანისის ქვე-
ბი“ და „იქნებ ნატრობენ“. ამ უკანასკნელ
ლექსში ქვემარბიტად პოეტრობით და მღაგ-
რი შინაგანი ექსპრესიით არის გახსნილი და
გადმოცემული სიციცბლის დამამკიდრებელი,
„უცაეტრობის“, „უსიციცბლობის“ უარყოფე-
ლი მსოფლშეგრძნება და გამწყობილება:

შენც თუ ისურვო, სოქვი და გამუნდ,
შე შემოგკვერი შენ და ბუნებას;
ამ დმანისიდან შუალამემდე
ნუ მოვიგონებთ შინ დაბრუნებას.

მაღე დაწეება ბინდიე ზემ-ჩემში
და მთების გუნდებს დაეხლართება
და ღამის ბინდში ზვენი ლურჩული
ამ ციხის ძვლებსაც გაეხარდებათ.

იქნებ ნატრობენ კაცებს, მეტყველებს,
იქნებ ამ ქვებსაც უვევართ სტუმრობა
მიღო, შენ მკითხე კედლებს ერთხელაც,
რა ტანჯავა არის უკაცრობა.

ამვე ციკლის ლექსი „დმანისის ქვები“ თავ-
დებოდა ირ. აბაშიძისათვის დამახასიათებელი
ოპტიმისტური სტრიქონებით:

რა კარგი არის, შენ რომ აქ ხარ, სიციცბლეს
ვაშა,
სიუვარულს, თრთოლვას, ახალ მზეს და
ქვევნიერებას!
სხვა არაფერი გაჩენილა სიციცბლის ფსიო,
სიციცბლის ზეიმს მღეაშუროთ, ბედნიერებას!



ასეთი განწყობილებით იყო გამსჭვალული მთელი საბჭოთა ხალხი, „ახალი ქვეყნიერების“ შშენებელი ხალხი, ბედნიერებისაკენ, „სიციცხლის ზეიმისაკენ“ მიემუდრებოდა იგი მტკიცე, ვაჟკაცი, ხალისიანი ნაბიჯით, როდესაც ჩვენი ქვეყნის ცის კაბადონზე გაისმა მტრის თვითმფრინავების შემზარავი გუგუნო, როდესაც აყვავებულ საბჭოთა მიწა-წყალზე აფეთქდა ყუმბარები და აღვირახსნილმა ფანისტურმა ურდოებმა გადმოიხახეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის წმიდათა-წმიდა სახლები.

„სიციცხლეს ვაშა“ ამბობდა პოეტი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ომამღელ ლექსში და ამავე სიტყვებით დაიწყო მან ერთ-ერთი თავისი პირველი ლექსი, ჩაწერილი საომარი ლექსების რეგულში:

სიციცხლეს ვაშა

მავრამ სიყვდილიც
ქარაღისთვის მე არ ვაპიწოდება...

„სიციცხლის ზეიმს“ უმღეროდა პოეტი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ომამღელ ლექსში და ამავე ქვეყნის ზეიმს“ იგონებს პოეტი ომის ციხებით შევსებულ სტრიქონებში:

გასჭერ, დასაძლე ურდო პირმყარალთა.
ნახონ ნამდვილი შეხლა, რკინებმა,
ერთხმად ერთხირად, როგორც გვიყვარდა
ქვეყნის ზეიმზე შეხმატებლება.

ირ. აბაშიძის ომის დღეებში დაწერილ პირველ ლექსებში ჰარბობს მოწოდებითი ინტონაციები, მებრძოლებისადმი, ამხანაგებისადმი პირდაპირი, უშუალო მიმართვა. ეს ბუნებრივიც იყო. ასეთი ხასიათი ჰქონდა მაშინ მთელს საბჭოთა პოეზიას (ყველაზე მკაფიოდ ეს მოწოდებითი პათოსი, ეს შეფიცვის მსგავსი მიმართვა გამოხატა კ. სიმონოვმა თავის ცნობილ ლექსში — „Vсел еро!“) განა ასეთივე შეფიცვად არ ძღერდა ირ. აბაშიძის სტრიქონები ქართულ მწერლებისადმი, თანამოკალმეებისადმი მიმართულ:

ძმებო, მგოსნებო, უსაყვარლესნო,
ქვეყნის ქებანო, ტბილო პანგებო;
ჩვენი მახვილო, ასჯერ ნალესო,
მარად გამტანო და საგანგებო.

ძმებო, ვინათო მტერს ვერაგობა,
შავს სამარეში ნახონ ბინები,
ვერ შეგვიგინონ ოქროს ბალები,
ჩვენის პანგებით ნაფოფინები...

ან მგზნებარე მოწოდება, რომლითაც მიმართავდა პოეტი შეტევისათვის გამზადებულ მებრძოლებს:

რამდენჯერ მოგაგონდება
შენი ეზო და სახლარი,
იმდენჯერ გააფორებულმა
მტერს ლომკაცურად დასკობა,

რამდენჯერ მოგაგონდება
შენი კუთხე და ბუნება,
იმდენჯერ უფრო აჩქარე
მტრის ბანდის განადგურება.

უფრო გვიან, თვით ცხოვრების კარნახით, საბჭოთა პოეტების ლექსებში სულ უფრო მძლავრად და ძალუბად შეიჭრა ფრონტის ცხოვრების, ომის კონკრეტული სურათები, პოეზიაში გამოიკვეთა სამამულო ომის გმირის ნათელი, მკაფიო, სისხლქარბი, რეალისტური სახე. ირ. აბაშიძემაც მიავგო ახალი გმირის კონტურებს, დახატა არა ერთი ფრონტული სურათი და ფრონტელის პორტრეტი, დაძლია ისეთი ლექსების აბსტრაქტულობა, როგორიც იყვნენ „შენ კვლავ ცოცხალი ხარ“ და „პირი-ზონტზე იწყოდა მესსერსმიტი“ და შექმნა ფრონტული ღირიკის არაერთი თვალსაჩინო ნიმუში. ასეთი, ცოცხალი გზნებით გამსჭვალულ, საკუთარი თვალთვინახულისა და განცდილის კვლადამხინელი ლექსების რიცხვს ეკუთვნიან „აღუქსანდრე კერესელიძე“, „დაპრილის ლექსი“, „როცა ბრანდენბურგს უახლოვდები“, „ლესელიძის ხსოვნას“ და მრავალი სხვა. პოეტის ლექსებში შემოიჭრა თვით გმირი მებრძოლის ვაჟკაციური მონოლოგი. სწორედ ასეთი ტიპის ლექსებში მიადწია პოეტმა თავისი ომისდროინდელი შემოქმედების მწვერვალს. დაუფიქრებ „კაპიტან ბუხაიძეს“ ეხმარებოდა თავისი ხალხურობით, უკიდურესი რეალისტური დამაყრებლობისა და მართლაც რომ ლვევდართული გმირული სულის შერწყმით „დაპრილის ლექსი“. ქართულ მებრძოლს შემოხვდა მტრის სამი მზვრავი. ერთს მან იქვე მოუღო ბოლო, შემდეგ მეორეს და მესამეს შეეკიდა:

მერღში დავარტე მეორეს,
გათავებდებულს, დაგვიმოს,
შაშხანის ლულს ვაკოცე
შეყვარებულის ზაგვში.
ის მარცხიანი მარცხენა
არ მეშვებოდა მარცხნიდან,
მეადრებოდა, მაწვიმდა,
ტყვია ბალახებს ვარცხნიდა

მესროლა უკანასკნელად,
თვალი აშვსო ბნელითა
ბეჭში ვიგრძენი ჩხრიალი,
თოფი გამეარდა ზელდიან...
მერე წამოხტა პირშივი,
მოქცელა ბრძოლის ველიდან.
ახლა ხშირ-ხშირი წამალი
შვირდება თქვენი კენესამე,
ლოვინში როგორ გაეზნერდე,

მზეცა გამეჭედა მესამე,
 ან ანაასთან იქნება,
 ან ტაგანროგთან იქნება,
 ან პოლტავისთან იქნება,
 ან ლენინგრადთან იქნება.
 გამიშვით, შევხვედ ხელახლა
 ცაში, ზღვაში თუ ვაზირში...
 ან შე, ან იგი შესამე —
 წამომიყენეთ, გამიშვით!

ეს სტრიქონები, რომლებიც კომენტარსაც არ საჭიროებენ, „კაპიტან ბუხაიძესთან“ ერთად, ერთ-ერთი საუკეთესოა აზიან მთელს საბჭოთა ომისდროინდელ პოეზიაში.

ვეფქობო, ზედმეტია მოვავლოთ მკითხველს ის ვასაოცარი პოპულარობა, რომელიც მოიპოვა „კაპიტან ბუხაიძემ“. მართალი იყო კრიტიკოსი ბ. ჭღენტო, როდესაც თავის დროზე აღნიშნავდა, რომ ამ ლექსში მოიპოვა „ღრმა სიხამლოვე ხალხის გულთან და ისეთი პოპულარობა, რომლითაც ჩვენი კლასიკური პოეზიის შედევრები სარგებლობენ“. ამ სიტყვებში არსებითად გახსნილია „კაპიტან ბუხაიძის“ მკითხველზე ასეთი ზემოქმედების საიდუმლოც: ხალხობრება და ხალხის გულთან სახალხოვო პოეტში, ყოველგვარი სტილიზაციისა და ფოკლორიზაციის გარეშე მიაგრო ისეთ სადა, უბრალო და ამავე დროს ემოციურად შთაბეჭდველ პოეტურ ფორმას, რომელიც აშკარად ენათესავებოდა ხალხურ გმირულ ეპოსის ნიმუშებს. ეს ლექსი შეიძლება დამწერილიყო მხოლოდ საბჭოთა პოეტის მიერ, მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში და, ამავე დროს, ის ვერ შეიქმნებოდა, საბჭოთა ხალხს რომ არ ჰქონოდა გმირული წარსული და ამ წარსულის გამომხატველი გმირული პოეზია. ირ. აბაშიძის ლექსი სულიერად ენათესავება არა მარტო უძველეს ქართულ გმირულ ბალადებს, არამედ შედარებით ახლო წარსულში შექმნილ რევოლუციური ლირიკის შედევრებსაც. ასე შეგავსებდა, თავისი გმირული სულით და ამ გმირული სულით ნაყარანებე პოეტური გადამწყვეტილი „კაპიტანი ბუხაიძე“ შეიძლება ჩათვალოს მარადუქვანში „ფერასთან მერკვილასის“ ღირსეულ პოეტურ მემკვიდრედ:

ფერასთან მერკვილადეს
 თავი უკვდავი ეგონა,
 იცი ტყვია მოახვედრეს —
 ფეტვის კაილა ეგონა.

ბევში უსულოდ შრომარეს,
 თავი მინდორში ეგონა
 საფლავში რომ გააწვინეს,
 თავი საფარში ეგონა.
 მღუღარე ცრემლებს ვაფრქვევდი —
 ფეტუნა წვიმა ეგონა...

განა ისეთივე უკვდავი სულით არ არის გამსჭვალული გმირულად დაღუპული ბუხაიძის თათოლვის მომგვარელო სიტყვები:

მე საფლავში არა ვწევარ,
 აქ დარჩავად დამაფენესკი

აღმათ უდიდესი განცდების ვაჟი, სულიერი და ფიზიკური ძალების დაძაბვის უმძაფრეს წუთებში დროითა და სივრცით დამორბეულ აღმიაწვასაც კი ერთნაირად უცემთ გული და ხანდახან ერთნაირი სიტყვაც კი აღმოჩნდება გულის სიღრმიდან — უბრალო და სანუკვარი, ერთადერთი, უახლოესი, უტყბილესი, უწმინდესი, როგორც „დედა“, როგორც „მამული“, როგორც „სიციცხლე“. აღმათ ამით აახსნება, რომ ირ. აბაშიძეზე ცოტა მოგვიანებით შესანიშნავმა რუსმა საბჭოთა პოეტმა ალექსანდრე ტვარდოვსკიმაც მიაგნო დაღუპული გმირის, მონოლოგის, ცოცხლად დარჩენილებთან საუბრის, ამ ვასაოცრად შთაბეჭდველ ფორმას. ჩვენ ვვულისხმობთ ა. ტვარდოვსკის ცნობილ ლექსს „Я убит подо Ржевом“.

...დადგა გამარჯვების დღეც, კვლავ „სიციცხლის ზეიმის“ დღე, და როგორც ამამდე, აქვეყნის ზეიმზე“ შეხატებულზელი იყვენ საბჭოეთის ყველა ერები; როგორც ომის წლებში ჯერ-არანახული სიმტკიცით ვაგებოიანდა ერთი მიზნის გარშემო „დედ საბჭოეთის უსასრულობა“, ისე ახლაც, გამარჯვების საღურებმა ერთნაირი სიხარულით ააგუგუნეს ომგაბაძლია, ნაბრძოლი, ნახისხლარი და ნაოფლარი საბჭოთა ადამიანების გულემა ყველგან — კალინიგრადიდან ვლადივოსტოკამდე, მოსკოვიდან თბილისამდე.

მარტო მოსკოვი გუგუნებს განა?
 ჩვენი მიწა და ჩვენი ბუნება,
 ჩვენი აღმზარდელი ლილე და ნანა,
 ჩვენი ქედები, ცა და ქვეყანა
 არის საღურების იგუგუნება.

ასე გადმოსცა ირ. აბაშიძემ თავის ლექსებში ის დიდი გრძნობა, რომელსაც თავის დროზე პავლო ტიჩინამ ერთ-ერთ თავის საუკეთესო ლექსში მოხდენილად უწოდა „გრძნობა ერთიანი ოჯახისა“.

ირ. აბაშიძის ლექსებმა ომის წლებში ვიამართლეს „ზოშტთან ვათანაბრებულ“ კალმის საპატიო დანიშნულება. „დეპორტის ლექსისა“ და „კაპიტან ბუხაიძის“ აეტრახს ჰქონდა უფლები ეთქვა თავის თავზე:

როცა მეც ვპედლი მხედრულ სტრიქონებს,
 შწამდა, ჩემს მამულს მკერდით ვიკავდი.

ომის წლებში გამოცდილებამ ღრმა კვალი დააშინა საბჭოთა ლიტერატურას და, კერძოდ, საბჭოთა პოეზიას. სწორად არ იქნება, რომ ვთქვათ, თითქმის მოხდა რაიმე ღირებულებათა გადაუსება, მაგრამ აშკარაა, რომ ბევრი საკითხისადმი, ბევრი მოვლენისადმი მიღვამა მნიშვნელოვანად გაღრმავდა, ახალ საფეხურს მიაღ-



წია, რაც გვაძლევს უფლებას ვილაპარაკოთ სამეფლო ომის დროინდელი საბჭოთა პოეზიის არა მარტო თემატიკურ, არამედ იდეურ-პოეტულ მხარეზე თავისებურებებზეც. ის ცვლილებები, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ის განვითარება, რომელიც განიცადა ამ მხრივ საბჭოთა და, კერძოდ, ქართულმა პოეზიამ, ყველაზე მკაფიოდ მჩვენდება სამშობლოს, პატრიოტიზმის, სამშობლოსათვის თავდადებისა და გმირობის თემების დამუშავებაში. აქაც დროის პათოსმა განსაზღვრა — ერთიანი, მტკიცე მსოფლმხედველობის საფუძველზე — ყველა ამ წამყვანი თემის ახალ ეტაპზე დამუშავების მთელი თავისებურება. ჩვენ გვახსოვს, რომ ომამდელ საბჭოთა პოეზიაში, კერძოდ, ირ. აბაშიძის პოეზიაშიც, ისტორიული წარსულის მოტივები უფროდნენ უმოთვრესად თანამედროვეობასთან მკვეთრ დაპირისპირებაში, გარდასულ დროთა გმირები იხსენიებოდნენ მხოლოდ ახალ გმირებთან კონტრასტული დაპირისპირების მიზნით; ირ. აბაშიძის სახეებს რომ მივმართოთ, „დმანისი“ მის პოეზიაში ცოცხლობდა მხოლოდ როგორც ანტიგონისტი „ფრთხილი ავტოსი“ და ა. შ. მიკლედ რომ ვთქვათ, ე. წ. ისტორიულ-პატრიოტულ მოტივებს იმდროინდელ პოეზიაში მეტად მცირე და განსაზღვრული ადგილი ჰქონდათ დათმობილი. სამაჟლო ომის წლებში კი, მტერთან საკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის პირობებში, წარსულის ლინდებმა ზორცი შეისხეს, ფარ-მუზარადით აღიჭურვიენ და გვერდში ამოუდგნენ თავიანთ შთამომავლებს. საბჭოთა ხალხში განმტკიცდა ისტორიის შეგრძნება, სახელოვან წინაპრებთან ნათესაობის გრძნობა. ყოველთვის ამან პოეზიაში ჰყოვა თავისი გამოხატულება. ჩვენ არ ვგულისხმობთ აქ მხოლოდ ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნების მოღვაწეობის პოეტურ წარმოსახვას, ისტორიული წარსულის თემის უშუალო დამუშავებას — ლაპარაკია იმ ისტორიულ გმირების გრძნობაზე, საუკეთესო სიროვნული ტრადიციებისა და ხალხის ისტორიული გმირული სულის ახლებურად გაგებაზე და მათთან დაახლოებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მთელ საბჭოთა პოეზიაში. ომისდროინდელი პოეზიის ამ გამოვლილებამ გაამდიდრა და დრამა კვალა აღბეჭდა უახლესი, ომისშემდგომი წლების მწერლთაზეც. ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას იძლევა ირ. აბაშიძის ორი ცნობილი ლექსის შედარება, რომელთაგან ერთი — „კოლიხის საგანძური“ — დაწერილია 1937 წელს, ხოლო მეორე — „სამი ცხენი“ — ომისშემდგომი წლებში. პირველი ლექსი მოლიანად აგებულია წარსულისა და თანამედროვეობის სწორხაზოვან დაპირისპირებაზე. წარსულის განძები, აქ, მიუხედავად მთლადი პოეტის სრული პატივისცემისა, მინც მხოლოდ სამუხეუმო ექსპონატები, მკვლარი განძებია: ძველ საგანძურებს ჰქონდით მშვიდობა, ახალ განძებით ვარ მოხიბლული —

პოეტის ამ სიტყვებში გადმოცემულია მთელი იდეური პათოსი ამ საინტერესო ლექსისა ცხადია, აქ არავითარ შეზღუდულობას არ მიუხედავებს, შეცდომას არ ჰქონდა ადგილი, მტერამ ასევე ცხადია, რომ ეს არ გამოირიცხავდა ამავე თემისადმი სხვაგვარი, უფრო რთული მიდგომის შესაძლებლობის ჩვენი ხალხის ცხოვრების სხვა ეტაპზე, სხვა დროის პათოსის შესაბამისად. ლექსში „სამი ცხენი“ ისტორიულ უკვე მუხეუმის ეუთვნისება როდია, აქ ფეოქაგის ისტორიის ცოცხალი მაჯისცემა, იგრძნობა ისტორიის ცოცხალი სულა; ძველ ცხენ-სიმოგრეთა ნანგრევები აქ მკვლარ „დმანისის ქვეშ“ კი არ გვანან, ისინი გვემხარებიან ჩვენ, შთამომავლებს, აღვიძებენ ჩვენში არა მარტო წარსულით სიამაყის გრძნობას, არამედ რწმუნასაც ჩვენი დღევანდელი ძლევა-მოხლეობისადმი, გვაძინებენ, გვიამბობენ. ფიქთ ამ ცხენების სახელები — ხალხის გმირული სულის გამოქსახვები — „დაკარ“, „დაუხედი“ და „არ გაუშე“, — ელერენ, როგორც ცოცხალი მოწოდება საგმირო საქმეებისავე მამულის საკეთილდღეოდ და, ამავე დროს, როგორც მრისხანე გაფრთხილება სამშობლოს მტერთა მიმართ:

შენ, მოგზაურო! ვისაც გელიძისა ქვეყნად მშვიდობის დღესასწაული, შესდგექ! შეზრდი მურის ძველ ხიდთან აქ სამ გოლიათს როცა ჩაუვლი, უური მიუგდე ქედებს, მთავარებს, ჩემად მთელეპარეს კოლით-კიდში „დაკარ“, „დაუხედი“ და „არ გაუშე“ იქნებ მოგესმას ამ სამშვიდუმი.

უური მიუგდე: — როგორ გადერჩა მურის ხმალს ქვეყანა ცრემლ-დანამული.. „დაკარ“, „დაუხედი“ და „არ გაუშე“ — აი, რა არის ჩვენი მამული.

როდესაც პატრიოტიზმისა და გმირობის პრობლემებს ვინილავთ, ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც უნდა მივქცეს უფრადლება ოცდაათიანი წლების პოეზიაში, კერძოდ, ირ. აბაშიძის პოეზიაშიც, ახალი გმირის სახე ბეგრად უფრო კონკრეტულად იყო წარმოსახული, ვიდრე უფრო ადრინდელ ეტაპზე. ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. მაგრამ მინც ოციანი წლების დასასრულს და ოცდაათიანი წლების პირველი ნახევრის პოეზია გერ კიდევ ხასიათდებოდა ახალ გმირის ძიებით (ნიშანდობლივი იყო ამ მხრად ნიკოლოზ ტიხონოვის ციკლი „Повести героя“) და ლექსებშიც კარბობდა თვით ამ ძიების, ახალი მოვლენებისა და ახალი დამოინების გაცნობის, გააზრების თემა. ირ. აბაშიძის ომამდელ ლექსებშიც, როგორც დავინახეთ, გერ კიდევ კარბობდა დევლარაიული მოწოდება თანამედროვე გმირთა სახეების შექმნისაკენ, პოლემიკა ძველ გმირებთან და გმირების

ხატვის ძველ პოეტურ ზერხებთან. ომის ქარცეცხლში გამოწრთობილი პოეტის კალამი კი უკვე თამამად, სისხლჭარბად, რეალისტრად ხატავს გმირთა კონკრეტულ, სიმკაცრეშიღებთან სახეებს. ეს შეეხება ირ. აბაშიძის როგორც ომისდროინდელ, ისე ომისშემდგომ ნაწარმოებებს.

მაგრამ აქვე უნდა გავსვას ხაზი შემდეგს გარემოებას: ირ. აბაშიძის, ისე როგორც სხვა საბჭოთა მწერლების, ოკიანი და ოცდაათიანი წლების პოეზიის ერთგვარი დეკლარაციულობა, „მოწოდებლობა“ იყო ამ პოეზიის არა ნაკლი, არამედ ისტორიული თავისებურება, რომელიც ასახავდა სოციალისტური რეალიზმის განვითარების განსაზღვრულ ეტაპს. სოციალისტური რეალიზმი არ არის ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბებული და გაქვეყნებული დოგმა — ეს არის ცოცხალი, განვითარებადი, მუდამ განახლებისა და ზრდის პროცესში მყოფი მეთოდი, რომელიც თავისებურ სახესხვაობას ღებულობს არა მარტო ყოველი ცალკეული მწერლის ინდივიდუალურ თავისებობათა გამო, არამედ ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების განვითარებადი ისტორიული ეტაპის შესაბამისადაც.

... გამარჯვების სიხარული და სალუტის აგუგუნება არ ნიშნავდა პოეტისათვის განვლილის, განცდილის, ნახულის დაიწყებას. ჩამქრალ ხანაში იქა-იქ ჯერ კიდევ ელავდა მრავლის-შეტყველი მუგუზები — ომის პრილობები და ნატყვიარები, ჯერ კიდევ იტრემლებდა თვალებს ნახანძრალის კვამლი — გუშინდელი დღის მწვევ მოგონებები. და როგორც სალუტის აგუგუნებამ ერთიანად შეაზანზარა მოსკოვისა და თბილისის ზეცა, ერთი სიხარულით აუტყვიარებდა მოსკოვისა და თბილისის მკვიდრთა, ისევე ერთიანად მოაგონა ამ სალუტმა რუს და ქართველ პოეტებს სამშობლოსათვის თავგანწირულ მეგობრებთან განშორების წუთები.

**А гром палыбы в любые торжества
Напомнит нам о той большой разлуке, —**

წერდა ილექსანდრე ტვარდოვსკი, და სწორედ ასეთივე ვაჟკაციური სევდით, ჯარისკაციული თავმჯავებითა და კემშარიტი მეგობრობის ვრძობით იყო გამსჭვალული სტრიქონები ირ. აბაშიძის ლექსისა „რად გელანდება“:

დღეს სხვა ტვერი გვაქვს ვასაყადვი,
ხანძარი ჩაქრა, ისევ წინ ვივლით;
მაგრამ ეს ომი დასაღვათ,
ყურში რად წივის გაბმულ წივლით.

რად არის — როცა ვანრიდებული
შენთვის ილაგებ ფიქრებს უენებლებს —
გული რად უდებს ვარიდებული
მეგობრებს უკან დაუბრუნებლებს.

რად გელანდება, რად გავონდება
შეგში ქვემეხთა ცხარე დღედი,
დაქრილ ქართველის ზემო გოდება,
ველზე — დამწვარი ყაბარდოელნი.

რად გელანდება, რად გავქვს ნახული
შეგის გუგუნში, ქართა სრიალიში,
ორმოცდათრის ცხელი ზიხხული —
სისხლის წვიმები კავასიაში.

შენ ხარ ნაჭედი, შენ ხარ ვაჟკაცი,
ბედ-იღბლის წიგნში ეს გავქვს ნაწერი.
შენ ხარ ბძიოლში, შენ ხარ ლაშქარში,
გასწი, იარე, მტკიცედ გასაქალი.

გასწი, ისუნთქე ქვეყნის ამბავით,
მისი სიცოცხლის ხარ მოზიარე.
დღეს სხვა ტვერი გვაქვს ვასაყადვი,
შენ ხარ ვაჟკაცი. გასწი, იარე!

ეს ლექსი უდავოდ ოპტიმისტურია, სიცოცხლის დამამკვიდრებელია, მაგრამ მასში მისხალიც კი არ არის იმ გულბრწყვილი ვარდისფერი „ოპტიმიზმისა“, რომლისთვისაც უცხთა აღმანიური ვნებათაღელვა, დამბული ფიქრი თანამედროვის და თანამებრძოლის ბედზე, სევედა, რომელიც უფრო დიდსა და საყვეს ზღის შენს სიხარულს და სიხარული, რომელიც ვესმარება ისე დასძლია სევედა, რომ შენს გულში არ წარიშლოს მტკიცეული მოგონება წარსულზე — დიდებულ მეგობარზე, „დაქრილ ქართველზე“ და „დამწვარი ყაბარდოელზე“.

ირ. აბაშიძის ამ ლექსის უკანასკნელი სტრიქონები უკვე არა მარტო ლირიკული გმირის აღსარებაა, არამედ პირდაპირი მიმართება ცოცხლად დარჩენილ ფრონტელებისადმი, რომელთათვის ბძიოლა არ ვითავეხულა, რადგან გამარჯვების სალუტმა მზოლოდ ომის დამთავრება კი არ აუწყა მათ — ახალი ცხოვრების, ახალი მშვიდობიანი ბრძოლისა და ლაშქრობის დაწყებაც უბრძანა და მოულოცა. ომის გმირი — შრომის გმირი გახდა. და თუ მან, შემთხვევით, იქ, ომის ქარცეცხლში, ვერ მოასწრო სიხარული ორდენებისა და ოქროს ვარსკვლავების მიღება — პატრიარხი შრომა მოუპოვეს მას დღეს ახალ სახელს და თუნდაც ოქროს ვარსკვლავსაც — სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავს. იი, ამ ახალ „ოქროს ვარსკვლავის კავადერს“ მიუძღვნა ირ. აბაშიძემ თავისი ლექსი „ივანე მახიაშვილი“. ეს ლექსი გამოირჩევა საინტერესო იდეურ-კომპოზიციური ვაზრებით: ომისა და მშვიდობიანი შრომის კონტრასტული სახეები ამავე დროს ენათესავენთან, ეხმიანებიან ერთმანეთს, ისე, როგორც ერთიანი პატრიოტული გრძობის გამოვლინება იყო ჯარისკაცისა და გლეხკაცის საბრძოლო და შრომითი გმირობა.

ვეფხებზე იბრძოდა ომის ჭარბეცხლში
გლები ივანე მახინაშვილი,
ღედლა-სამშობლოს შეეგანსადელში
სისხლი მიორწყო თვისა არჩივი.

მტრებს დასტყვივოდა; მოძმეს შეელოდა,
ჰქონდა ცხრა თვალი, ჰქონდა ცხრა ხელი,
მაგრამ არ იქნა ბრძოლის ველიდან
ვერ წაოთილა გმირის სახელი.

„ოშგაბაბილი, სიტყვაძეირი და საქმეშრავა-
ლი“ მახინაშვილი ეხლა უაიროს ეცევთა, მიწას
შეებრძოლათ:

სთესდა, ჩარბივით ველზე ბრუნავდა
ომში, ბრძოლაში მელაკვაშაფული,
მაგრამ არ იქნა, არ გაუშართლა,
ყნას დაუდგა გოლების ზაფხული.

არ დაუგდია მებრძოლს სანგარი —
მიწა ნასეტყვი, მიწა გამშპარი,
ისევე გაიართა სახნის-ნაშგალი,
ისევე ჩააგლო თესლი ახალი.

ჰქონდა მიწასთან მზენ შერკინება.
ჰქონდა ცხრა თვალი, ჰქონდა ცხრა ხელი...
ზედა მთელ ქვეყანას მოეფინება
ჩვენი ახალი გმირის სახელი.

როგორც ვხედავთ, ამ ლექსის იდეურ-მხატვ-
რული ეფემტა დაფუძნებულია ერთი და იმავე
სახეების გამოყენებაზე სხვადასხვა — ფორმით
ვანსხვავებულ, მაგრამ შინაარსით მონათესა-
ვე — სიტუაციების აღწერისას.

„სამღერა მკის დროს“, „ჰყევის გურია“,
„მონღღირის დამეგება“—ამ სათაურებითაა ცნო-
ბილი ირ. აბაშიძის ომის შემდგომი ლექსების
კრებულები. ყველა ეს ლექსი საბჭოთა ხალ-
ხის მშვიდობიან შრომისაღმა მიძღვნილი. რო-
გორც ყოველი ჰემეარტი პოეტის შემოქმედე-
ბაში, ჩვენ ამ ლექსებშიც ვხედებით მოტივებს
და თემებს, რომლებიც ირ. აბაშიძეს მთელი
მისი პოეტური ცხოვრების მანძილზე აღელვებ-
და; მაგრამ, რა თქმა უნდა, აქაც დრომ აღ-
ბეჭდა ლექსზე თავისი კვალი — პოეტის იდეურ-
რი ზრდისა და მხატვრული დოკტაქტების მა-
ნიშვნელი. ახალ სიძალღზე არის აყვანილი ამ
ლექსებში, მაგალითად, ბუნებისა და პეიზაჟის
პრობლემის გადაწყვეტა. ჩვენ ვგახსოვს, რა აჭ-
ტიურა ფუნქცია ჰქონდა პეიზაჟს ირ. აბაშიძის
ადრინდელ ლექსებში, ისიც გვახსოვს, რომ ში-
სი ლირიკული გმირის ბუნებასთან დამოკიდებუ-
ლები პათოსის განსაღღერავდა იმ ებოქისათვის
დამახასიათებელი პოლემიკური გამიზნულობა —
აღღვენა პოეზიში ბუნების „ადამიანური შეგრ-
ძნებისა“, „შვისა“ და „ეარღებისათვის“ საჭე-
ღის დაბრუნებისათვის ბრძოლა. ახლა, როდღე-

საც ყველა ეს იდეურ-მხატვრული მონაშოგირი
საბოლოოდ დამკვიდრებული და განმტკიცებუ-
ლი იქნა საბჭოთა პოეზიაში, ჩვენში პოეტების
წინაშე სულ სხვა, ცხოვრების ახალი მითითება
ღებებით ნაკარნახევი, ჩვენს სინამღვიღში
მიღწინაოდ ახალი პოეტისების შესატყვისი იმო-
ცანები დაისახა. საბჭოთა ხალხი შეუდგა გიგან-
ტური სახალხო-სამეურნეო გეგმების განზო-
რტელებას. „ბუნების გარღვენა“ — აი სიტყვე-
ბი, რომლებიც მნიშვნელოვნად გამოხატავდენ
ამ ახალი დროის პათოსს, და ირ. აბაშიძის პოე-
ზიაშიც, ისე როგორც სხვა მოწინავე საბჭოთა
პოეტების შემოქმედებაში, მძღავრად შეიჭრა
ეს ახალი, მიღღარი, დიდ იდეურ-მხატვრულ
შესაძღებლობათა შემცველი თემატიკა. ივანე
მახინაშვილს უღიდეს დაბრკოლებად გადაღლო-
ბა წინ გვაღვიანი ზაფხული, მაგრამ:

ისევე გიჭრა ჩამკვდარ ქალაში,
ველზე მიუშეა არხი მაშველი;
არ დაეცმულა ორთაბრძოლაში
გლები ივანე მახინაშვილი.
და შეკრთა თითქოს ზეცა ნათელი,
თითქოს დაწებდა გლეჯაკს ბუნება;
წელს მადღიანი და სანატრელი
იყო ზაფხუღის შემობრუნება.

ბუნების კანონების შეცნობის საფუძველზე
მისი სტიქიურა ძაღების დამორღიღების, ად-
მიანის სამსახურში ჩაუწენების თემა წითელ ზო-
ღად გასღღეს ირ. აბაშიძის ომის შემდგომი ლექ-
სების უმრავლესობას, განსაკუთრებით კი მის
ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პოეტურ რაღას —
„სამღერა მკის დროს“. ამ დღი თემის თავისი
ბურად, მხატვრულად შთაბეჭღავი განზოციე-
ლებით გამოირჩევიან პოეტის ლექსები „შირა-
ქისაყენ, აღაზნის წყაღო“, „ღღეს სამგორის-
ყენ“ და სხვ. ამათგან პირველ ლექსში ირ. აბა-
შიძემ გამოიჩინა ბუნების დორღების თემის მე-
ტად თავისებური და ახლებური გადაწყვეტა
მან ყურადღება მიუქცია არა მარტო იმას, რომ
ღაგამგამოღებული ბუნება ადამიანს მოუტანს
გაათყეებულ სარგებლობას, არამედ იმასაც,
რომ ადამიანის შრომა დაამშვეღებს თვით ბუნე-
ბასაც, გღაარჩენს მას უმეტროობის ზეღღრი-
სგან, „ცის ანაბარა“ მიტოვებულ, „აღაღღედ-
ზე“ შიღღებულ ველებს შეითვისებს, გაამღღღ-
რებს და გააბღღღიერებს:

შირაქისაყენ, აღაზნის წყაღო!
ყანის გოღღებამ მიწა დაღღარა;
გეძახის ვღი, გეძახის კაღო,
ნუ მიეატოვებთ ცის ანაბარა.
მიწა მშობღელი, ყანა და კაღო
კაცმა აღაღღედს არ ღღანება...

აქ ადამიანი ეცევთა და შეებრძოლათ ბუნებას
არა როგორც მტრს, არამედ როგორც მეგო-

ბარს, რომელსაც შველა სჭირდება — ეს შველა კი შეიძლება მოიტანოს მხოლოდ მისი გარდაქმნისათვის შეუპოვარმა ბრძოლამ. ბუნებასთან აღმიაინის საუკუნეების მანძილზე დარღვეული კონტაქტის აღდგენა, ან, კვლავ მარქსის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „აღმიაინის დასარღვებელი ნატურალიზმისა და ბუნების დასარღვებული ქემანიზმის“ დამკვიდრება, უდიდესი შთაგონების წყაროა ახალი ეპოქის პოეტისათვის. სწორედ ამიტომ ელერს ასეთი ხალისითა და სიხარულით ირ. აბაშიძის მშვენიერია სტრაქიონები:

ვარ ავსებელი ახალ მხნობით,
ახალ ოცნებით, მალაღ-მდიდრულით,
ვარ გულმაძღარი შრომის დღეობით,
დღეობა-ბუნებით გადატვირთული.

ვარ მხარგამილი, გალაღებელი,
უფრო კეთილი, უფრო ძლიერი,
რომ ასე ვნახე ამაღლებელი,
დამშვიდებელი და ბედნიერი.

და ვამბობ ჩემთვის:—რა მეზინება,
სასწაულია, სასწაულია...
ამდენ ქარტეხილს, ამდენ წამებას
მართლაც ამოდ არ ჩაუვლია.

ჩვენ უკვე ვეღარ შევხვდებით ირ. აბაშიძის ლექსებში ბუნებისადმი პასიურ, მკერტელობითს დამოკიდებულებას, მის საიდუმლოებათა წინაშე დაბნეულობას, მხოლოდ მისი გარეგანი, მარტო თავისათვის მისაწვდომი სილამაზის აღქმას და შექებას — ძველი პოეზიის დამახასიათებელ ნიშანთვისებებს, რომელთა რეკლამივი ირ. აბაშიძის ზოგიერთ ადრინდელ ლექსში ხანდახან მინც იჩენდა თავს. გავიხსენოთ ამ მხრავ საეულისებო სტრაქიონები ირ. აბაშიძის ლექსიდან „მე აღპანაში არ გელოდები“:

ვარ ტყის შროალში, შერთობთა კრიაბში,
ვარ ქარაფებში, მალაღ შთებში ვარ,
მე ბუნებაში უჯვოდ შევივივარ
და ვიძირება ზღვისღერ წიაღში.

და მხოლოდ თვალთ ვუცქერ ბუნებას,
მისი მშვენიერების ეშხით ვბრძვდები,
მის საიდუმლოს არ ეუღრმავდები,
აღარ მივეყვები ამგვარ ცდუნებას.

ჩაეწვდი — მაინც ვარ დაცლებული,
მკაცრად მოითხოვს ჩემს განრიდებას,
ასჯერ მივეყვან ქემარტებას,
მეგრამ ასჯერ ვარ გაწილუბული.

და უზრუნველი და ნებიერი
მის საიდუმლოს დღეს დავეხსენი,
ახლად მეჩვენა ზესკნელ-ქვესკნელი
და ფრინველივით ვარ ბედნიერი.

მართალია, როგორც ჩვენ ზემოთ დავანახეთ, ირ. აბაშიძისთვის მამინაც არ იყო დამახასიათებელი ამ ლექსში გადმოცემული გვეყვებობა, მით უმეტეს არ იყო იგივე მკერტეობა და მსოფლშეგრძნება. აქი თვით პოეტის აღნიშნავს ხაზგასმით, რომ აქ ლაბარაკია მხოლოდ წუთიერ განწყობილებაზე („მის საიდუმლოს დღეს დავეხსენი“), რომ პოეტმა მხოლოდ დღეს მისცა თავის თავს უფლება „დამრმავდეს“ ბუნების მშვენიერების ეშხით“.

პოეტის ახალ ლექსებში ამ წუთიერ კომპრომისსაც აღარ აქვს ადგილი, ირ. აბაშიძის პოეზიის ლირიკული გმირი კვლავ შეხარის ბუნებისა და აღმიაინის სილამაზეს, მაგრამ მან იცის, რომ სილამაზე არის და სილამაზეც, რომ მას მხოლოდ „თვალთ“ არ უნდა უცქირო, რომ გარეგანი მიზიდველობის მიღმა ხშირად იმალება სიველურე, სიკარიველი, სიყალბე, უნაყოფობა, რომ „სილამაზე ყოველთვის არ არის გულმართალი“. მამ რა ანიჭებს სილამაზეს ქემარტობა და სიდიადეს? რა ანათესავებს მას სიმართლესთან? როდის არ უმტყუნებს იგი პოეტს? აი მკაფიო და ნათელი პასუხი ამ კითხვებზე:

მშვენიერება ნუ გწამს სხვაგვარი,
ნუ გწამს არსება სხვა სილამაზის;
ნახე შრომაში ჩვენი შობარი,
მკაფი იხილე ველი აღაზნის.

პური, მშვიდობა, შრომა — აი რა განსაზღვრავს ესთეტიკურ ღირებულებას ლექსისას, სიმღერისას, ყოველივე იმისას, რაც ჩვენ ლამაზად და მშვენიერად გვესახება. არ უნდა გავიგოთ პოეტის ეს აზრი პრიმიტიულად — ლაბარაკია, რა თქმა უნდა, არა იმ პურზე, რომელსაც ჩვენ მალაზიებში ვყიდულობთ, არამედ ხალხის შემოქმედებითს შრომაზე, რომელიც ქმნის ყოველივე მშვენიერს დედამიწაზე, ყველა სულოვრ და მატერიალურ განმს. ლექსების ციკლს — „სიმღერა მკის დროს“ ლექტობივად გასდევს ქებათქება, შრომისადმი მიძღვნილ. ამ ლექსების უბრალო, ნათელ, ზუსტ, კონკრეტულ სახეებში გადმოცემულია დროა დროისათვის აზრი, ნაჩვენებია, თუ როგორ ანიჭებს შრომა აღმიაინს ბედნიერებას, როგორ ამკობს, ამშვენიებს, აკეთილშობილებს მას. ამავე დროს, ერთიანი მიზნით გასხივანებული შრომა განამტკიცებს სხვადასხვა ხალხის შვილთა მშობასა და მეგობრობას. ამიტომ არის, რომ აღაზნელი მომკვლეების საქმე და ფიქრი შერწყმულია ვოლგისპირელთა გარჯასა და ზრახვებთან („მე მსურს ვიხილო ვოლგისპირეთი“).

თანამედროვეობის მამფრი შვერძნების, უტყუარი პოლიტიკური აღლისა და მასკილი თვალის პოეტი, ირ. აბაშიძე ხშირად მიმართავს პოლიტიკური ლირიკის ფაქრს, ეხმანება მშვიდობისათვის მეტობილთა მძღავრ ხორის.



„ღია წერილი ერსკინ კოლდუელს“ — ამ რთული და მეტად მნიშვნელოვანი ენარის მშვენიერი ნიმუშია. პოეტს სურს დინახოს თავისი ამერიკელი თანამოაქალმე მოწინავე მწერალთა რიგებში, მშვიდობის მოპოვება შეუძლებელია, ფსიქიკის, ნერვული და გონსილუსის გვერდით. პოეტი გულისწუხილით უსმენს ხანგრძლივ დღემილს ნიჭიერი მწერლისას, რომელიც დღემდე მეგობრად, მოკავშირეთა და თანამებრძოლად ეგულებოდა. არ არის ამ ლექსში ზერელე და იაფფასიანი ბრალდებანი, არის მეგობრული ცდა მწერლის სულიერ განკლებებში ჩაწვდომისა — დახმარების, გამხნეების მიზნით. ეს მეგობრის მიმართვაა — პირდაპირი, მკაცრი, მაგრამ ვეცაქური და კეთილგამწყობით გამსჭვალული. ეს ლექსი გვაგონებს ჩვენ ილია ერენბურგის ცნობილ მიმართვას დასავლეთის ზოგიერთი მწერლისადმი, რომელიცან გეტკი კიდევ მოსალოდნელი იყო სულიერი განახლება და აღორძინება, თუ ეს განახლება არ მოხდება — მით უარესი: მორალური დაეშვლება, კაცობრიობას უკეთილშობილესი ბრძოლის ფრონტიდან დეზერტირობა განაპირობებს ყოველი მწერლის შემოქმედებათს უნაყოფობას, რაოდენ ნიჭიერიც არ უნდა იყოს იგი. ირ. აბაშიძემ გამოანახა ამ ლექსში პოლიტიკურად მძაფრი და, ამავე დროს, დიდი უშეალობითა და ადამიანური გრძნობით, ეკვაყური გულისტკივილით გამთბარი ინტონაცია.

როგორც ცნობილია, ერსკინ კოლდუელმა გაამართლა მის გულწრფელ მეგობართა მოლოდინი — დღეს ის კვლავ მოწინავე ამერიკელ მწერალთა რიგებშია.

შრომა, მშვიდობა, მეგობრობა — აი ირ. აბაშიძის ახალი ლექსების მთავარი მოტივები. შრომა წარმოუდგენელია მშვიდობისა და მეგობრობის გარეშე, მეგობრობა იხადება და მტკიცდება მხოლოდ ერთსულევან შრომაში. ნიკოლოზ ტიხონოვისადმი მიძღვნილ ლექსში „მშვიდობა ჯუჯანში“ ირ. აბაშიძე კვლავ უბრუნდება თავის სანუკვარ თემას, კვლავ უკავშირებს შრომისა და მშვიდობის მოტივებს სიღამაზის, მშვენიერების ცნებას, დიდი იდეური სიღრმითა და დაბეჭვილი ოსტატობით. გადმოგვცემს ჩვენი დროის წამყვან სულსკვეთებას:

ვხედავ, ბუნებას როგორ ანახებს
სოფლის მშვიდობა, ჩემუკრულელს
ვხედავ, სიმშვიდე და ხელუხმარობა
როგორ ყოფილან განუყოფელი.

როგორ ერთობილად და დაწყობილად
სუნთქვს ეს ორი ბედნიერება...
დასტურ მშვიდობის ნიჭი ყოფილა
სიღამაზე და მშვენიერება.

ირ. აბაშიძე ხალხთა ძმობის შთაგონებულ მიმართებას, მისი განმტკიცებისათვის დაუღალავი მებრძოლი. რა თემასაც არ უნდა ეხებოდეს პოეტი, რაზედაც არ უნდა წერდეს იგი — მოსკოვზე თუ სტალინგრადზე, უკრაინაზე თუ შუააზიის რესპუბლიკებზე — ყველგან და ყოველთვის მისი ლექსი გამსჭვალულია მეგობრობის კეთილშობილი გრძნობით. პოეტმა იცის, რომ შორეულ წარსულშიაც კი მტრობასა და შუღლს ხალხებს შორის მხოლოდ შეფეხვა და მმართველთა თესადნენ, რომ საკუთრივ ხალხისათვის ყოველთვის ძმობისაკენ და მეგობრობისაკენ ღრულვა იყო დამახასიათებელი:

იღვა ჩვენ შუა ხმლით ლანგ-თემური,
იღვა მახვილით ვდინ-ჯაილა,
მაგრამ ხალხური და ჩვენებური
ღრულვა ძმობისკენ დარჩა ალალი...

იღვა ომების კორიანტელი,
მტრობა, ხანძარი, წლები მზებნელი,
ზოლო ქართველი, ერი ქართველი
იყო ყოველთვის ძმობის მძებნელი.

რა უნდა ჰქონდეს გულს დაფარული,
სახლიაკებთან რა მიქვს უთქმელი,
ვარ ბედნიერი, რომ სიყვარულით
ვხედებით უზბეკი, მე და თურქმენი.

ხელგონების ძალით, პოეტური სიტყვის ძალით განამტკიცო ხალხთა ძმობა და მეგობრობა — განა ამაზე სასიხარულო და კეთილშობილი ამოცანა შეიძლება ჰქონდეს მწერალს? და ირაკლი აბაშიძეც, ისე როგორც სხვა მოწინავე საბჭოთა პოეტები, შთელს თავის ნიჭსა და შთაგონებას უძღვნის ამ დიდებული ამოცანის შესრულებას.



ესთეტიკური განცდის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“

I

მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი არსებითი თავისებურება ისაა, რომ იგი აღამიანში იწვევს სპეციფიკურ განცდას, რომელსაც ჩვენ ესთეტიკურ განცდას, უფრო კონკრეტულად — ესთეტიკურ ან მხატვრული სიამოვნების გრძნობას ვუწოდებთ. მისთვის შეიძლება მშვენიერების ან სილამაზის გრძნობაც ვეუწოდებინა იმ საფუძველზე, რომ იგი ემყარება მხატვრულ ნაწარმოებში განსაზღვრულ მშვენიერების იდეას.

ესთეტიკური სიამოვნების გრძნობა არ არის მარტივი განცდა. მას რთული ხასიათი აქვს. სწორად შეინიშნავს ერნსტ მობიანი, რომ იგი შეიცავს გაიცლებით უფრო მეტ თავისებურ ელემენტებს, ვიდრე მარტოოდენ „გემოვნების მსჯელობას“, როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდა კანტს და მის შემდეგ ნეოკანტიანელების ფილოსოფიურ სკოლას, კერძო ლასეივს, იონას-კონს და სხვებს¹.

ამაშივე ესთეტიკური სიამოვნების ზოგადი საკითხები ჩვენ გვიანტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ჩვენი უშუალო ამოცანისათვის — რუსთაველის შეხედულებათა გასარკვევად. მაგრამ, მეორე მხრივ, უპიკველია ისიც, რომ ეს უკანასკნელი საყურადღებო მასალას მოგვცემს იმისათვის, რომ შესაძინევად წინ წაყვითათ თვითონ პრობლემის გადაწყვეტაც-ვეფხისტყაოსნის პროლოგი და ძირითადი ტექსტი ბევრ საგულისხმო აზრს და დაკვირვებას შეიცავს ესთეტიკური სიამოვნების განცდაზე. დავეყვავილდეთ რამდენიმე არსებითი ხასიათის შენიშვნათ.

ესთეტიკური სიამოვნების ცნება რამდენჯერმეა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“. ორჯერ, მე-12 და 17 სტროფებში, რუსთაველი მას უწოდებს საამქრობას.

მართალია, ესთეტიკური სიამოვნების ანუ, რუსთაველის სიტყვით რომ ვთქვათ, საამქრობის ტერმინს ჩვენ ზოგადი მნიშვნელობით ვმხარობთ, მაგრამ არ უნდა ვიფიქრობოთ, რომ აქ საკმე გვაქვს ერთი რომელიც განცდასთან. ნამდვილად ერთიმეორისაგან უნდა განვასხვავოთ ესთეტიკური სიამოვნების რამდენიმე სახეობა, რომელნიც უკავშირდებათ ზელოვნების სხვადა-

სხვა დარგს ან ამა თუ იმ ზელოვნების სხვადასხვა ეანრს. ერთია ესთეტიკური სიამოვნება, რომელსაც, ვთქვათ, კომედია გვანიჭებს და მეორეა ის ესთეტიკური სიამოვნება, რომელსაც ტრაგედიის აღქმის დროს განვიცდით. იგივე უნდა ათქვას იმ ესთეტიკური განცდების შესახებ, რომელნიც ბუნების სხვადასხვა ფენომენს უკავშირდებათ. მაგალითად, არაფერ არ შეიძინს ევსს იმ ფაქტში, რომ ვარდის აღქმისთან დაკავშირებული ესთეტიკური სიამოვნება არ უდრის თავისი ბუნებით იმ ამაღლებულ გრძნობას, რომელსაც, ვთქვათ, ჩანჩქერის ან ზღვის მშვენიერება გვანიჭებს.

რუსთაველის დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ, უწინაარეს ყოვლისა, ესთეტიკურ განცდათა მრავალსახეობა და ზოგიერთა მათგანის ბუნებაც განვსაზღვროთ.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში რუსთაველი მკვეთრად ასხვავებს ერთიმეორისაგან ორი რომელიც ესთეტიკურ სიამოვნებას, რომლებსაც იგი პოეზიის ორ სახეობას უკავშირებს. ერთი მათგანია სალონური, ეპიკურისტული პოეზია. რუსთაველი ამბობს:

მესამე ლექსი კარგი სანადამოდ,
სამღერელად,
საამიკოდ, სალალობოდ, ამხანაგათა
სათრეველად;
ჩვენ მათიცა გვეამებებს, რაცა
ოდენ თქვან ნათელად (17)

ვადრე გავარკვევდეთ ასეთი პოეზიის ეანრებთან დაკავშირებული ესთეტიკური სიამოვნების ბუნებას, ჯერ ყურადღება მივაქციოთ შემდეგ საკითხს: რა კავშირს ამყარებს აქ რუსთაველი ესთეტიკურ სიამოვნებასა და ნათელად გამოთქმას შორის?

საკმარისია თუნდაც თვალი გადავაგლოთ „ვეფხისტყაოსანს“, რათა დავრწმუნდეთ, რომ რუსთაველისათვის სინათლე პოეტური ენისა და მხატვრული ზერხების ზოგადი და ძირითადი ხასიათის პრინციპია. სწორად შენიშნავს ალ. ბარამიძე, რომ „ნამდვილი პოეზიის ნიშანდობლივ თვისებად რუსთაველს მიანიწია სინათლე, აზრის მკაფიოდ და ნათლად გამოხატვა“². მაგრამ, როგორც ვხედავთ, მე-17 სტროფ-

¹ Э. Мейман: Эстетика, т. I, 1919, стр. 67.

² ალ. ბარამიძე: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1952, III, გვ. 136.

ში გამოთქმის სინათლე სპეციალურად არის დაკავშირებული სალონური პოეზიის ენარებათ; რუსთაველი ამბობს, რომ სანადიმო, სამღერალო, სასიმო, სალალოზო და ამხანაგთა სთერველი ლექსები მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვანიჭებენ ესთეტურ სიამოვნებას, თუ ისინი ნათლად ექნებათ გამოთქმული, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

მართალია, რუსთაველი არ გვამძღვრებს სინათლის ცნების ამ სპეციალური გამოყენების განმარტებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია საეხებით სწორი პასუხი გავცეთ დასმულ კითხვას, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ რუსთაველისთვის მშვენიერი ნიმუხი არა მარტო ვიწროდ გაგებულ ესთეტიკურს, არამედ, იმავე დროს, მორალური თვალსაზრისით ფაქტისა და კეთილშობილის. არ შევხედებით, თუ ვინაა, რომ მე-17 სტროფში სინათლის ცნება სწორად მორალური ასპექტადან უკავშირდება ესთეტიკური სიამოვნების ცნებას. და მართლაც, მორალურ-ესთეტიკური თვალსაზრისით, ეპიკურისტული პოეზია ყველაზე „სახილათო“ ენარია. საქმარისა აქ თუნდაც ოდნავი ბუნდოანობა, რომ მან დავარგოს აზრისა და გრძნობის კეთილშობილება. რუსთაველი კატეგორიულად უკუაგდება ასეთი პოეზიის სფეროში საკმაოდ გაგრძელებულ ორაზროვნობას, რომელიც ვასილანს აძლევს სულმდაბალი ადამიანების უკუყვიან უგრძობებს. განა ცხადი არ არის, რომ სანადიმო, სასიმო, ამხანაგთა სათრეველი და სალალოზო ლექსი, მართლაც, უარესად ნათელი უნდა იყოს, რომ მისი ხუმრობა ან გაღაფრითი თქმული სიტყვის სიფაქიზე არავის საეკუოდ არ მოეხვეწოს?!

ასეთი სალალოზო ლექსის ნიმუში წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ პირველ თავში. მე ცვლელსწამს იმ მოხდენილ ეპიკურებს, რომლითაც სოგრატამ მიმართა მეფე როსტევეს თინათინის გახელმწიფების ზეიმზე:

დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიციის პიროო,
მართლდ ხარ, წაბდა საუბრულე თქვენი შიშიმე
და ძვირიო:

ყველასა ვასცემს ასელი თქვენი საბომვარ-
ხმირიო;

ყოლაშეა მეფედ ნუ დასვი! თავსა რად უვდვ
პიროო? (60).

როგორც ვხედავთ, ამ სალალოზო ლექსში ზუსტად არის დატული რუსთაველისეული ეპიკურისტული პოეზიის სტილი: კეთილშობილი ხუმრობა გამოთქმულია ისეთი ნათელი ფორმით,

1 შტრ. ვ. შატერაშვილი: სათრეველი თუ სათრეველი, გ. ბ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951, 21. 1.

რომელიც არავითარ საბაბს არ იძლევა რაიმე ორაზროვნობისათვის.

მომდევნო სტროფში რუსთაველი ადამიანებს ამგვარი ლექსის ესთეტიკურ სიამოვნებაზე ასეთი იყო როსტევეანის პირველი შთაბეჭდილება:

რა მეფემან მოისმინა, გაიციეხით შემოხედნა.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილება იყო. კიდევ ერთი წაში და როსტევეანს საეკუოდ მოეხვეწა ეპიკურის აზრად:

გაუკვირდა: ვით მეადრათ, ან სიტყვენი ვით
გაბედნა?!

წამიერმა ექვმა აიძულა იგი ჩაფიქრებოდა ლექსის შინაარსს და გონებამ დაუდსტურა პირველი შთაბეჭდილების შეუმცდარობა; ეპიკურამ, მართლაც, კეთილშობილ ხუმრობას გამოხატავდა და იგი ნამდვილად საამური აღმოჩნდა:

„კარგი ჰქმენო“, — დაუმაღლა, წყალობანი
უიშედნა.

როგორც ვხედავთ, 61 სტროფში გამოიღო ფსიქოლოგიური სურათი, ეპიკურისტული პოეზიის ლექსისა და მისი ესთეტიკური მოწონების სურათი, საეხებით ადასტურებს ჩვენს მოსახრებას, რომ მე-17 სტროფში სინათლის ცნება მორალური კატეგორიით არის დაკავშირებული ხუმრობის ცნებასთან.

პასუხი გავცეთ ახლა მეორე კითხვას: რა ხანათისა უნდა იყოს ის ესთეტიკური სიამოვნება, რომელსაც ადამიანში იწვევს სალონური, ეპიკურისტული პოეზია?

როგორც ვიცით, რუსთაველის კონცეფციით, ეს ენარები არ ეკუთვნიან მაღალი პოეზიის სფეროს, ე. ი. მათ აიაფერი აქვთ საერთო ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელ „სიბრძნესთან“. მათი ასპარეზი შემოფარგლულია ვიწრო მეგობრული წრით ან სალონური საზოგადოებით. ისინი გამოხატავენ ადამიანის მსუბუქ და წარმავლ გრძნობებს, რომელთაც, მართალია, არ ახასიათებთ განცდის სიღრმე და სერიოზულობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც იმსახურებენ „კარგისა“ და „სამაურის“ კვალიფიკაციას, მაშასადამე, არ არიან მოკლებული ერთგვარ პოეტურ მომხიბვლელობას. ცხადია, ასეთ პოეზიასთან დაკავშირებული ესთეტიკური სიამოვნებაც ასეთივე ბუნებისა უნდა იყოს, როგორცაა თვითონ ეს გრძნობები; შედარებით სიმარტივე, სიმსუბუქე და წარმავლობა მისი და მსუბუქი ათებელიც უნდა იყოს.

განსხვავებული ფსიქოლოგიური ბუნება აქვს იმ ესთეტიკურ სიამოვნებას, რომელსაც ადამიანის სულში მაღალი პოეზიის ათვისება ხაღვებს. რუსთაველი მის სამეჯერ გებეა პრალოფში — მე-4, 12 და 16 სტროფებში.

ავილთ გერ მე-12 სტროფი:

შეირობა პირველადე სიბრძნისა ერთი
დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი,
მსმენელათთვის დიდი მარგი,
ველა აქაჲ ეამების, ვინცა ისმენს აქი
ვარგი.

როგორც ვხედავთ, საამერობა ჩამსულია აქ ისეთი ფეხმდებელი ესთეტიკური კატეგორიების მწკრივში, როგორცია სიბრძნე, ლეთიერობა და მარგებლობა, ე. ი. ესთეტიკური სიამოვნების პრინციპი ყოარდინირებულია პოეზიის ზოგად-ესთეტიკურ პრინციპებთან. კონტექსტიდან ჩანს, რომ თვითფული მთავანი თანაბრად აუცილებელია, სხეანაირად რომ ვთქვათ, რუსთაველის აზრით, ჰემმარიტი მხატვრული ნაწარმოები „თანაგზიარების“ როგორც სიბრძნეს, ლეთიერობას და მარგებლობას, ისე საამერობას. ცხადია, ვველა ამ კატეგორიას ერთსა და ამავე დროს ფაქტორი ხასიათი აქვს და ნორმატიულიც, ე. ი. საუკეთესო მხატვრულ ქმნილებებზე დაკვირვების შედეგსაც წარმოადგენენ და ბევრგანისთვის საუადლებლო სახელმძღვანელო პრინციპებსაც.

მე-4 სტროფში მალა პოეზიასთან დაკავშირებული ესთეტიკური სიამოვნების გრძობა პოზიტურად არის განმარტებული მხატვრული სახის საშუალებით. თუმცა აქ რუსთაველი ლაბარაკობს საუკეთესო პოეტურ ქმნილებაზე, მაგრამ, ცხადია, მასში გამოთქმულ აზრებს ზოგადი ესთეტიკური მნიშვნელობა აქვთ:

მელნად ვიხმარე გიორის ტბა და კალმად მე
ნა რბეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლხვარი გულსა
ზეშლი.

როგორც ვხედავთ, რუსთაველის აზრით, პოეზია, რომელსაც ვყირება არა მსუბუქი განცდების, არამედ სიბრძნისა და ღრმა ემოციების გამოხატვა, აღჭურვილი ყოფილა უდიდესი ესთეტიკური ენერჯით; იგი ისეთი ძალით შეიჭრება ხილზე მსმენლის გულში, როგორც ლხვარი.

მე-16 სტროფში იგივე აზრი წარმოდგენილია უკვე ნეგატიური ფორმით. აქ რუსთაველი აცხადებს, რომ მტკიცე ფორმის ღირიელ ეანის „არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულსა გასაგმირეთა“, ე. ი. „არ ძალ-უც“ იმ ღრმა ესთეტიკური განცდის გამოწვევა, რომელიც მარტოოდენ სიბრძნისმეტყველი პოეზიის უნარს შეადგენს:

როგორც ვხედავთ, მე-4 და მე-16 სტროფებში რუსთაველი, მართლაც, ერთგვარად განმარტავს მალა პოეზიასთან დაკავშირებულ ესთეტიკურ სიამოვნების ფსიქოლოგიურ ბუნებას. აქ „საამერობა“ არ ყოფილა მარტივი განცდა. როგორც

გულში დასობილი ლხვარი შეარყევს ადამიანის მთელს არსებას, ისე ესთეტიკური განცდა დეჟინფლუბა და მოძრაობაში მრეყვანს ადამიანის მთელს შინაგან სამყაროს. მასსადამე, სიბრძნის-მეტყველო პოეზიის ესთეტიკური განცდა ეხება ჩვენი სულიერი ცხოვრების არა რომელიმე ვიწროდ შემოფარდულ ნაწილს, არამედ ფსიქიკურ ცხოვრებას მთლიანად, როგორც გრძობებისა და ემოციების, ისე ინტელექტისა და ნებისყოფის სფეროებს.

შეუძლებელია ამ საკითხზე სხვაგვარი შეხედულება ჰქონოდა რუსთაველს. ესთეტიკური სიამოვნების პირობება მთლიანი ესთეტიკური კონცეფციის ლოკიური ნაწილია. მსუბუქი ემოციურ-რეისტული პოეზიის ეანრებისაგან განსხვავებით მალა პოეზია, რუსთაველის აზრით, ადამიანის და ერთობ მთელი საზოგადოების მსაჯული და აღმზრდელია, უგვანობისა და სიყვის გაიციხვა, სათნოებისა და ზნეობრივი ყეთილმობილების ქადაგება, ერთი სიტყვით, „თქმა მართლისა სამართლისა“ სიბრძნისმეტყველი მხატვრული ქმნილების მთავარი და უმაღლესი დანიშნულებაა. მაგრამ რას ნიშნავს პიროვნებისა და საზოგადოების აღზრდა? ცხადია, იგი სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა, თუ პოეზიისა და ხელოვნების ესთეტიკურ ზემოქმედებას ჩვენ შემოფარგლავდით ფსიქიკური ცხოვრების რომელიმე ნაწილით. ადამიანის აღზრდა ვველა ფსიქო-ფიზიკური ძალის ერთობლივ აქტივობას და გავარჯიშებას გულსმობის.

ჩვენს საკითხზე ძვირფასი მონაცემებს გვაწვდის „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ტექსტიც.

ასეთია „წასვლა აეთანდილისაგან ფრიდონისა“, სადაც ესთეტიკური მთაბეჭდილობისა და განცდის დამატევევებელი ძალა გაშლილია გრანდიოზულ პოეტურ სურათში. ვაეისხენით ამ სცენის საერთო ფონი და აეთანდილის ლოკვის ძირითადი მოტივები.

ეთანდილმა მეორედ მიატოვა არაბეთი. იგი ხელახლა შეხედა ტარიელს და აქედან მულაზანზარისკენ გაეშურა, რათა ფრიდონის დახმარებით ნესტანის კვალისათვის მიეგნო. მიაგვლევებს აეთანდილი ტხენს და მის გულში გრძობათა ნამდვილი ქარიშხალია. უკაბუკი რაინდის გონების თვალს არ შორდება საყვარელი თინათინის სახე-სატრფოსთან განშორება უმბიმეტი ტყივილით უსერავს გულს, მაგრამ იმდენად დაუძლეველია მასში მეგობრისადმი სიყვარული და მისი დახმარების სურვილი, რომ იგი მიინც ახერხებს თვის პირად გრძობაზე მიაღლებას. ამ მშვენიერ სურათში ბევრი მულანქოლოური საღებავია, მაგრამ მასში მკაფიოდ მოისმის იმედისა და გამარჯვების ჰანგი. მძიმე ფიჭებთი შეპყრობილი აეთანდილი შეუპოვრად განაგრძობს გზას...

ამ ელსიკური სცენის ცენტრალურ ნაწილს შეადგენს შესანიშნავი ელგვია: „მიმავალი ესაა შესტირს, ეუბნების, ეტყვის შზესა...“ (957 — 964). მაგრამ ამეამად ჩვენთვის საინტერესოა

მხოლოდ მისი დამამოყრებელი აკორდები. ძნელი წარმოსადგენია ესთეტიკური მომხიბვლელობის იმაზე უფრო მშვენიერი სურათი, რომელიც გაშლილია ელვისის მომღვენი სტროფებში:

რა ესპოდის მღერა ყმისა სმენად მხეცნი
მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტყვისაგან წყლით ქვანაცია
გამოსხდიან,
ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, *
ატირდიან;
იმღერს ლექსთა საბარლოთა, ლარისებერ
ცრემლინი სიდიან.

როგორც ვიცი, ამ სტრიქონებით რუსთაველი ეხმარება ანტიკური საბერძნეთისა და აღმოსავლეთის პოეზიაში ცნობილ პანგს. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ მისი შნიშვნელობა მაინც განსაუკურთხებულია. საქმე ისაა, რომ ავთანდილის დასახელებული ელვგია მალაი პოეზიის კლასიკური ნიმუშს წარმოადგენს და ამიტომაც 967 — 968 სტროფები უნდა განვიხილოთ როგორც პროლოგის ამ ნაწილთა მსატერული ილუსტრაცია. სადაც თეორიულად არის გააზრებული სიბრძნის-მეტყველ პოეზიასთან დაკავშირებული ესთეტიკური განცდის ბუნება. ამ განადიოხული პოეტური პანთეიზმის სურათში, მართლაც, შესანიშნავად არის გაშლილი მისი სირთულე, სიღრმე და ამამაღლებული ძალა.

ჩვენს საკითხზე ძვირფას მასალას გვეწვდის აგრეთვე რუსთაველის საუფრადღებო დაკვირვება მსატერული ენის თავისებურებაზე. საამისო მონაცემებს ჩვენ ვპოულობთ როგორც „ვეფხისტყაოსანის“ პროლოგში, ისე ძირითად ტექსტში.

როგორც ცნობილია, რუსთაველისათვის ენა წარმოადგენს პოეზიის ძირითად ინსტრუმენტს, იმ ერთადერთ მასალას, რომელშიც უნდა განსხვავდეს ლიტერატურული ნაწარმოების მთელი იდეური, შინაარსული და მსატერული ფაქტორა. „აჲ ენა მინდა გამოთქმად“, ამბობს პოეტი პროლოგის მე-8 სტროფში.

პროლოგშივე რუსთაველი მიუთითებს იმაზე, რომ პოეტური ენის დამახასიათებელი უნდა იყოს სიმშვენიერე, ვ. ი. ლექსიკის, სინტაქსური წყობის და ენობრივი ხერხების საამურობა. მსატერული, სიტყვა იდამიანს ანიჭებს განუზომელ ესთეტიკურ სამოყენებას. ეს აზრი გამოთქმული აქვს რუსთაველს „ტბილისა“ და „მუსიკალობის“ ეპოეტებში. ერთ ალაგას იგი ამბობს: „მობრძანენ მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“ (5,1), მეორეგან კი: „მისგან კიდენურთა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“ (18,4).

უფრო მეტიც: დააკვირდეთ „ვეფხისტყაოსანს“ ცნობილ ტაეპს: „ყმა ტბილი და ტკბილქართული, სიკეთისა ხელის მზღელი“ (710,1). როგორც ვხედავთ, რუსთაველი მოხიბვლილია ქართული ენის ესთეტიკური მშვენიერებით. ეს

სახეებით ბუნებრივია ენობრივი ინსტატიზმის ისეთი მალაი ზელოვანისათვის, როგორც „ეფუ და რნება“ ვეფხისტყაოსანის“ შეფუქმელი.

მაგრამ არ იქნებოდეს სწორი გვეფიქრა, თიქოს ენა ესთეტიკურ ფენომენს წარმოადგენს მხოლოდ მსატერულ მწერლობაში. „ვეფხისტყაოსანში“ ამ საკითხზე მრავალჯერ გამოთქმული მოსაზრებები საუფუძელ ვეაძლევენ დავისკენათ, რომ, რუსთაველის აზრით, სილაშზე შეიძლება და უნდა ახასიათებდეს კიდევ მეტყველების ყველა ფორმას, მათ შორის ჩვეულებრივ საუბარსაც.

რუსთაველის გვირები იშვიათად ტბილ-მოუბარნი არიან. საამურობა, სიტყბო, ენაწყლიანობა, სანაზე, სიკეულუცე, სინაიტფე, სიმშვენიერე, ხინაზე და სიტრუფე — იხ შეულებრივი ეპოეტებში, რომელთაც პოეტი იყენებს იმისათვის, რომ მათი მეტყველების მალაი ესთეტიკური კულტურა დაახასიათოს:

მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ზის ლაი
და წყნარია,
გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო
საუბარია (34, 1-2).
ესე წიგნი გაასრულა წყლიანმა
სიტყვა — ნახმა (170,1).
ავთანდილ გასცა პასუხი, სიტყვები
ლამაზებია (285,1).
შეაქცევს და ეუბნების საუბართა
მშვენიერთა (893,1).

ერთხელ ფატმანა ასე მიპარათ ავთანდილს:
სიტყვაამკვეცრო და წყლიანო,
ტურფაო, ლამაზენაო (1270,3).

ეს დამახასიათებელი შეგვიძლია გავაერეკლოთ „ვეფხისტყაოსანის“ ყველა იდეალურ გვირზე.

შეკლომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ენის სიმშვენიერე რუსთაველისთვის წარმოადგენს მართლად ფორმალურ კატეგორიას. პირიქით, რუსთაველის აზრით, უშინაარსო და უაზრო მეტყველება ვერასოდეს ვერ მოგვანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას, მეტიც არაფერია უმეცარ საუბარზე უფრო საზიზღარი: „საუბარმან უმეცარმან შავი უფრო გააშავოს“ (215,2). „ვეფხისტყაოსანის“ გვირთა საუბარი საამურობა მხოლოდ ამიტომ, რომ მასში გამოთქმის ფორმა შეხამებულია შინაარსთან. რუსთაველი არაერთხელ ახასიათებს თავისი საუფრადული პერსონაჟების მეტყველებას როგორც აზრიანსა და ბრძნულს:

ამას ზედა გაიციწნეს მათ წყლიანთა
სიტყვაბრძენთა (1407,2)
იარნეს დღენი მრავალნი ლალთა
ბრძენად-მოუბარეთა (1495,2)

მეტყველების კულტურა ესთეტიკის ერთ-ერთ უმშვენიერეს სფეროს წარმოადგენს. პლატონის

„სიმპტომიონში“ აღკვეთილად ამბობს, რომ სოკრატე გონჯი გეგეენებოდათ, როცა სდუმდა და მშვენიერი იყო, როცა დაპარაკობდაო. ანტიკური მოაზროვნე დიონისე ლონგინი სახეებით სწორად აღნიშნავდა, რომ მხოლოდ დიადი აზრები და ენებთათვის აღნიშნულ მტკიცელებას ესთეტიკურად ამაღლებულ ხასიათს.

როგორც ვხედავთ, ამ საკითხის გაგებაშიც რუსთაველი რჩება თავისი მთავარი აზრის სიმართლეს; დრამა ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს მტკიცეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მშვენიერი ფორმა ირგანულად არის შესამბუნელი სიმბრუნებთან.

ამიტომ, როგორც ვხედავთ, რუსთაველი ერთიანობისაგან ასხევეებს ესთეტიკური სიამოვნების ორ სახეობას; ერთი უკავშირდება ისეთ მხატვრულ ქმნილებებს, რომელთაც იგი მალაღობოების სფეროს მიაკუთვნებს, მეორე კი — მსუბუქი საღონური პოეზიის განრებს. თუ რუსთაველის აზრს თანამედროვე ფსიქოლოგიისა და ესთეტიკის ცნებებზე გადათარგმნით, მაშინ მოყვანილი მასალა საფუძველს მოგვცემს შემდგომ დასკვნა გასკვეთით:

1. სიმბრუნებთა უკავშირებელი ესთეტიკური განცდა უნდა ჩათვალოს ესთეტიკურ ემოციად, მეორე სახეობის განცდა კი — ესთეტიკურ გრძობად, ამ სიტყვის ენობრივ ფსიქოლოგიური მნიშვნელობით ემოციათა განცდის შემთხვევაში „ჩვენ ისეთ სულიერ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რომელიც თითქოს სუბიექტს მთელ ვითარებას ეგება და მის მთლიან დახასიათებას უფრო იძლევა, ვიდრე რომელიმე ნაწილობრივ განცდობას“; გრძობათა შემთხვევაში კი, „პირიქით, უფროდ რაიმე ნაწილობრივი შინაარსის განცდა გვაქვს...“ აქ ამ უკანასკნელს „უფრო დამოკიდებული, უფრო განსაზღვრული ხასიათი აქვს, ვიდრე პირველ შემთხვევაში“¹.

2. რუსთაველის გაგებით, ესთეტიკური ემოცია აღჭურვილია „გულის გამგებარავი“ ძალით; მალაღობო პოეზია მახვილივით დაესობა ხოლმე ადამიანის გულს და მოძრაობაში მოიყვანს მთელ მის შინაგან ცხოვრებას. ამიტომ, ცხადია, მისი დამახასიათებელი მართია ის არ უნდა იყოს, რომ იგი სუბიექტის მთელ ფსიქიკურ შინაარსზე ვრცელდება (ექსტენსიობა), არამედ იმავე დროს — ინტენსიობა, სიღრმე და სირთულეც, ე. ი. ამბივალენტობა.

2.

„ვეფხისტყაოსნის“ ანალოზი ცხადყოფს, რომ რუსთაველის აზრით, ესთეტიკურ სიამოვნებას გენიჭებენ არა მარტო ზელოვნების ქმნილებანი, არამედ კაცობის მოცემული, უთვალავ ფერთა

სახით გაშლილი ბუნებაც. ისტრადურა პანაგამები, ცის მნათობები, დედამიწის პეზაგები, ცხოველთა და მცენარეთა სამეფოებრივი ქვეები და ყვავილები ისეთივე წყვეტად და მკაცრად ბუნად ადამიანის სულს, ისევე საამური, წარმტაცი და მომხიბვლელი არიან, როგორც პოეზიის „წუობილი მარტოლიტი“. ბუნების მშვენიერება ხელოვნების მშვენიერებაზე დაბლა არ დგას.

ცხადია, ბუნების მშვენიერებათა აღქმის განხილვაც მდიდარ მასალას მოგვცემდა ესთეტიკური განცდის პრობლემის გასარკვევად. მაგრამ ჩვენ ვართვარად უნდა შემოვიფარგლოთ ბუნების ვრცელი არეობა რაი „ვეფხისტყაოსნის“ მორალურ-ესთეტიკურ ცენტრს წარმოადგენს ადამიანი, ვეჭობოთ, უკეთესი იქნებოდა, თუ ბუნების მრავალფეროვან მშვენიერებათა შორის ჩვენ სწორად ადამიანს ავირჩევდით. და მართლაც, ადამიანთან დაკავშირებულ ესთეტიკური განცდები ისე ვრცლად არის გაშლილი „ვეფხისტყაოსანში“, რომ ამ მხრივ მას ვერ შეედრება ბუნების ვერც ერთი მოვლენა, ამიტომ, ცხადია, მასზე უკეთ ვერც ვერაფერი გაარკვევს ესთეტიკური განცდის პრობლემას რუსთაველის კონცეფციაში.

ავილოთ პოემის რომელიმე მონაკვეთი, უმჯობესია ავთანდილის თვავლასავალიან დაკავშირებული სცენები. ამ გზით ჩვენს მაგალითობის ციკლში ბუნებრივად შემოვა ნესტან-დარეჯანის ამბავიც, რომელსაც ავთანდილი გულან-შაროში მოიხსენებს ფატმანისავან.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა შორის ავთანდილი ყველაზე მოძრაი ფიგურაა. იგი რამდენიმე წელს ანდომებს შორეულ მოგზაურობას; ირავერ მიატოვებს არაბეთს ტარიელისთვის, აქედან ჯერ მულაზანზარს მიემგზავრება, მერე გულან-შაროს და მესამედ შემობრუნდება თავის მშადნაფიც ტარიელთან.

ცხადია, ასეთი შორეული მოგზაურობა, სხვადასხვა კლასის და პროფესიის ადამიანებთან შეხვედრები მრავალ შემთხვევას ქმნიან იმისათვის, რომ პოეტმა ხშირად აღწეროს ავთანდილის მშვენიერებით გამოწვეული ესთეტიკური განცდები.

საგულსხმოვა ერთი გარემოება. ამ უცნობ ქვეყნებში მოგზაურობის დროს ავთანდილს ხშირად უხდება უბრალო ადამიანებთან შეხვედრა. ვიდრე იგი მიალწევს თავის მიზანს, ვიდრე შეეყვება ტარიელს, ფრიდონს, ფატმანს, პირველ რიგში მას წინ ეგებებიან მონები, გლეხები, მოქალაქენი, ვაჭრები, მენავეები და მებაღენი, ხლისა და ლარის გამოყიდვლები, ნავსადგურის მტვირთავი მუშები და მშობლები. რუსთაველი ვრცლად წერდება მითთან შეხვედრის ეპიზოდებზე და, რაც უფრო საყურადღებოა, დაკვირვებით და სიყვარულით აგვიწერს ამ უბრალო ადამიანების ესთეტიკურ განცდებს, რომელთაც მისი იდეალური გმირის საუცხოო მშვენიერება ბაღებს.

¹ დ. უ. ნ. ა. ძ. ზოგადი ფსიქოლოგია, 1940 წ., გვ. 98.

მულაზანზარის საზღვარზე. ავთანდილს პირველად გლეხი მენაგეები შეხვდნენ:

მათ მოახსენეს: „ტურფო სახით და
ანაგებითა,
გვეუცხოვე და გვეყო, მით გუბუნებით
ქებითა ...970,1—2

მიდის რაინდი და წინ ახასი გამგლეო ხედება. უკვეელია, ისინი თითო ორლას გამოკლებით გლეხები, მონები, ხელოსნები და ვაჭრები არიან. რუსთაველი ისე აგვიწერს მიმავალი ავთანდილის სურათს, როგორც დამატყვევებულ ესთეტურ სანახაობას:

ვინცა ზხას ნახნის უცხონი ჰმსახურებდიან,
ჰყობდიან,
მოვიდოდიან საჭერტლად, მას ზედა
სტრულიაობდიან (967,1—2)

მიუახლოვდა ავთანდილი მეფის ბანაკს. ფრიდონი ამ დროს თავს იქცევდა ნადირობით: ლაშქარს „ილა შემოგრა, მოხდგომოდეს გარე ველსა“ (977, 3).

ფრიდონის მიერ გამოგზავნილი მონა გატერდა, როცა თვალი შეაელო განსაკვირებელი სილამაზის ჰაბუცს:

დადგა, თვალნი გაურებდეს, დააიწივდეს
სიტყვის თქმანი (983, 4).

ორიოდე სტრიქონის ქვევით რუსთაველი გვიჩვენებს უკვე ფრიდონის ესთეტურ განცდას: ამასთან პოეტს იმასაც აღნიშნავს, რომ რეალური განცდა ბევრად აღემატება სხვათა შობებულების სიტყვიერ გამოცემას:

რა შეხედნა, მან ესე თქვა: „თუ არ მზეო,
ისი ვინ არ?“
მას ჰმეტობდა, რაცა ქება მონისივან
მოესმინა (987,2—3)

მასპინძელი და სტუმარი ცხენებზე შესხდნენ და სამეფო დარბაზისაკენ გაემართნენ. პოეტის ადგოლს ისევ ლაშქარი იკავებს:

ავთანდილის ჰერტლად სპანი იქი-აქით
იქვენ ჯრასა,
თქვეს: „ასეთი ზორციელი შეუქმნია ნეტარ
რასა!“ (990, 3—4).

ავთანდილმა თავისი მოსვლის მიზანი გაანდო ფრიდონს. ტარიელის მკმუნეარ ბედმა ყველანი აატირა.

მაგრამ ამ მძიმე დრამატულ განცდებს არავითარი ცვლილება არ შეაქვთ მოთხრობის ეს-

თეტურ სტილში: გმირი მინც ინარჩუნებს თავის იშვიათ სიმშვენიერეს:

ავთანდილ მკერეტთა მშვენიეს ტურფონს
აერ-ფერითა,
მელნისა ტბათა მიჯარვით ბურავს გიროსა
ჭერითა (1009, 3—4).

ფრიდონმა დარბაზობა გამართა ავთანდილის პატივსაცემად. დარბაზობაზე მოწვეული იყო მულაზანზარის მთელი უმაღლესი საზოგადოება. „თვით ორნივე ერთგან დასხდეს, ვინმცა ვით თქვა ქება მათი!“ (1011, 3). ყველაფერს სილამაზის იშვიათი ბეჭედი ესვა. სურფის გაწვობაობა უტურფის იყო. „მოალებდიან კურქელსა ტურფისა, ახალ-ახალსა“ (1012, 3). გათენებისას ავთანდილი უმშვენიერესა ტანისმოსით შემოსეს, დაუდებელი ფასის სარტყელი შეარტყეს, ბევრი საუცხოო ზელოვნებით ნაქსოვი ატლასი წიართესს. მაგრამ ვერაფერი შეეღრება სილამაზით თვითონ ავთანდილს. მისი სიტურფით გამოწვეული ესთეტური განცდა ზემის ფსიქოლოგიურ ცენტრად რჩება:

მაგრა მის ყმისა მკერეტელთა გული მიეცა,
გლახ, ილსა (1012, 4).

რამდენიმე დღის შემდეგ ავთანდილი თავის ზხას გაუღდა. ყმის გაყრამ მწუხარებაში ჩააგლო ხალხი; რუსთაველი ისევ უზარუნდება უზრალა იდამიანების მორალურ-ესთეტურ განცდებს:

ზარი მის ყმისა გაყრისა გახდა, მიეცნეს
წუხილსა.
მოატყდეს მოქალაქენი, ლარსა ვინ ჰყიღდა,
თუ ხალსა;
ხმა ზახილსა მათისა ჰგანდა აერთა
ქუხილსა.
იტყოდეს: „მზესა მოვშორდიო, მო, თვალნი
მივსცნეთ წუხილსა!“ (1021).

მულაზანზარიდან წასვლის შემდეგ მოთხრობის განვითარებაში ახალი ფურცელი გადაიშლება. ავთანდილთან ერთად მკვითველი შედის გულანშაროში. პირველი სტრიქონებიდანვე იგრძნობა, რომ ზვენ მოგხვდით სხვა ატმოსფეროში. გულანშარო დიდა სავაჰრო ქალაქია. აქ ყველაფერი აღბეჭდილია ამ ქუჩყიანი და შეუზარლებელი პრაქტიციზმის დალით, რომელსაც ადამიანის სულის გამანადგურებელი ოჭრო ბადებს. ამიტომაც თვითონ ცხოვრების ხასიათი, ადამიანების ეგოისტური ფსიქიკა და მათი ანგარებანი ურთიერთობა პოეტს უკარნახებს მხატვრული ფერწერის ახალ თვალსაზრისს. გულანშაროს სიენები შესრულებულია მკაცრი რეალისტური სტილით, აქ ალაგ-ალაგ ისტატურად არის ჩართული მოტივიდებული ნატურალიზმიც, საღებავები.

ამ საერთო მკაცრ ფონზე სრულიად ნირშეუცვლელი რჩება მხოლოდ ავთანდილის ფიგურა. ის გახვეული იმავე რომანტიკულ სამოსელში, რომელიც დამახასიათებელია მისთვის და მისი წრის პერსონაჟებისათვის მთელი პოემის განსწრავ. ავთანდილის რაინდულ მიზიდველობას ვერაფერს აკლებს სავაჭრო ტანისამოსი, ვერც კომპრციული ტონი და მანერები, რომლებიც არტისტულად შეითვისა გვირგვინი, როცა მან ფეხ-დაღვა ზღვათა სამეფოს მიწაზე. პირიქით, მისი ამაღლებული ფიგურა უფრო პლასტიკურად გამოიყურება გულანშაროს ნაცრისფერ ფონზე.

აქაც, ზღვათა სამეფოს მიწაზეც, ავთანდილი პირველად ხალხის წრიდან გამოსულ იდამიანებს შეხვდა, ჯერ უსენის მებაღეს, მერე — გლეხებს, მონებს, მოქალაქეებს, რომელთაც ვაჭრის ტანისამოსში გამოწყობილი რაინდის ჭერტით ისეთივე ესთეტიკური სიხარული განიცადეს, როგორც ფრიდონის ქვეშევრდომებმა:

მოვიდა მისი მებაღე, ბალსა ეახლნეს
 რომელსა,
 მას ყმასა ეჭერტეს შეფრთხინით პირსა,
 ელვათა მერთობელსა (1063, 1—2).

ესთეტიკური ემოციის ძალა თანდათან იზრდება, იგი გადადის ექსტაზში, გრანდიოზული მასშტაბის ესთეტიკურ სანახაობაში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ უკვე უბრალო ადამიანების დიდ მასებში:

ზარი გახდა, შემოაკრვეს ქალაქისა ერნი
 სრულად,
 იქით-აქით იჯრებოდეს: „ეუჭვრიტოთი ამას
 რულად!“ (1075, 1—2).

მაგრამ ბუნების სხვა ფენომენებისაგან განსხვავებით, მოპირდაპირე სქესის ადამიანთა ცნობიერებაში ლამაზი ჭლისა და მამაკაცის ჭერტა ძალიან იშვიათად იწვევს წმინდა ესთეტიკურ ემოციას. უმეტესად სილამაზის გრძნობას უნებურად დაერთვის სქესობრივი გრძნობა ან ეს უკანასკნელი სრულიად ჩრდილავს პირველს. ამიტომაც რუსთაველი იქვე ოდნავი იტმორით შეინიშნავს:

ზოგნი ნდომით შემფრთხინვიდეს, ზოგნი
 იყვნეს სულწისრულად;
 მათთა ცოლთა მოიძულვნეს ქმარნი, დარჩეს
 გამასრულად (1075, 3—4).

ასეთია პოემის ერთი მონაკვეთი, სადაც ვერცხლად არის გამოლილი ავთანდილის მშვენიერებასთან დაკავშირებული ესთეტიკური განცდები. ასეთივე ასპექტით არის წარმოდგენილი პოემაში ყველა იდეალური გვირგვინის პორტრეტი.

არ იქნება ზედმეტი, თუ მანდილოსნობა წრიდან ჩვენს მასალაში ნესტანდარტულად წახვესაე შემოვიყვანო.

როცა ფატმანმა შორიდან პირველად თვალი მოკრა ნესტანს, რომელიც ინდოელმა მოწინააღმდეგე ზღვათა სამეფოში მოიყვანეს და კილობანთ ნაპირზე გადმოსვეს, მან უსახლერო ესთეტიკური სიხარული განიცადა მისი მომხიბვლელი მშვენიერების ხილვით. მიუხალოვდა ფატმანი ნესტანს და მისი მეორე ესთეტიკური განცდა ზუსტად დაემთხვა პირველს:

ვინ გაიციდის მუქთა მისთა, ვინმცა ვით ქნა
 ნახაზობა!
 მე თუ დამწევს, ამა შხა ვარ, არღა უნდა ამას
 შიზობა! (1136, 3—4).

ამრიგად, ვერც მანძილი, ვერც ხანგრძლივი ურთიერთობა ვერაფერს აკლებს „ვეფხისტყაოსნის“ იდეალურ გმირთა სილამაზეს.

ფატმანის შემდეგ პოეტი სიტყვას აძლევს უსენს. არც ცოლს, არც ქმარს არ ჰქონდათ წარმოდგენილი აქამდე, რომ ძე-ხორციელის სილამაზე შეიძლებოდა ესოდენ სრულქმნილი ყოფილიყო:

უსენ გაკვირდა, გა-ცა-კრთა, რა შუქნი ნახნა
 მზისანი;
 თქვა: „რა მიჩვენე, რა ვნახე, რანია, ნეტარ
 რისანი?!
 თუ ზორციელი არისცა, თვალნიამცა მრისხვენ
 ღმრთოსანი! (1155, 2—4).

ჩვენი პრობლემის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა საზოგადოების დაბალი ფენებიდან გამოსული ადამიანების განცდები. ამ შემთხვევაშიც სურათი შესრულებულია იმ პიპეტროფიული სტილით, რომელიც ავთანდილის მაგალითზე ვნახეთ. როგორც ვიცით, ფატმანმა სიტყვა ჩამოართვა ქმარს, რომ ნესტანის ამბავს საიდუმლოდ შეინახავდა, მაგრამ ანგარების მოყვარე უსენმა საიდუმლო გაამხილა, და მეფემ ბრძანება გასცა „მჭერეტთაგან მზედ სახელი“ ნესტანი დარბაზს მომგვართო. პოეტმა გადააყვას მკითხველი მასიური ესთეტიკური ექსტაზის სანახაობაში; როცა მონებმა ქუჩაში გამოპარეს ნესტანი:

ზედა მოატყდა მჭერეტელი, გახდა ზათი და
 ზარები,
 ვერ იპირვიდეს სარანგნი, მუნ იყო
 არ-საიწუნარები (1179, 1—2).
 ვით მზემან მისნი მჭერეტელნი შექმნა
 თვალისა მტავველად (1180, 1).

ამ წარმოდგენილია ჯერჯერობით ინტენსიური ესთეტიკური განცდები — სიხარული, განცუფრება, აღტაცება, ექსტაზი. ესთეტიკური განცდების გამძას აქლია აუღელვებელი, წყნა-



რი, დამამწვიდებელი ესთეტიკური სიამოვნების ტონები. მაგრამ ამ უკანასკნელს ნაყლები აღვი-
ლი როდი უკავია პოემაში. მცირე ხნის შემდეგ
სწორედ ასეთი გრძნობით შეიცვალა ფატმანისა
და უსენის პირველი ესთეტიკური ექსტაზი. „რა
წაშს მოაცილიდნენ ცოლი და ქმარი თავისი სა-
ცუბრო საქმეებისაგან, მაშინვე ნესტანის ოთახი-
საკენ გაეშურებოდნენ, დასხდებოდნენ და უსი-
ტყვოდ უპირეტდნენ მის დამატყვევებელ სილა-
მაზეს“...

ვაცრობისა საქმისაგან მოვიცალით, იგი
ვნახით,
გული ჩვენი გაუშვებლად დაეტყვენეს მისით
მახით (1162, 3—4).

„ასეთი რამ ემართებათ თანამედროვე კულ-
ტურულ ადამიანებს მაშინ, როცა ისინი რაფაე-
ლის მადონას უპირეტენ“¹.

ცნობილია, რომ ყველა ადამიანი თანაბრად
როდი განიცდის სილამაზის გრძნობას. ესთე-
ტიკური ემოციის რომელია, ძალა და მიმდი-
ნარობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული
პიროვნების ფსიქო-ფიზიკური ფაქტორების ინ-
დივიდუალურ თავისებურებაზე. რუსთაველის
იდეალური გმირების მძაღლ ესთეტიკურ კულ-
ტურაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ დიდი
აუქტის წუთებშიაც კი სილამაზე დამამწვიდე-
ბელ გაგულვას ახდენს მათზე. ამის მშვენიერ
მაგალითს გვაძლევს ტარიელისა და ფრიდონის
პირველი შეხვედრა. აი რა უამბო ამის შესახებ
ტარიელმა ავთანდილს:

ზახილი მესმა, შევხედენ, მოყმე ამაყად
უიოდა,
შემოირბევედა ზღვის პირ-პირ, მას თურე
წყლული სტიკოდა;
ზრმლისა ნატეხი დასერილი აქვს, სისხლი
ჩამოსლიოდა,
მტრთა ექადაა, წყრებოდა, ივინებოდა,
ჩიოდა (593).
ფიცხლად შეეჯე, ჩაეგებებ. მე ჩაეუსწარ,
ჩაეე წინა,
კეთხარა: „დადეგა, გაიგონებ, შენი საქმე მეცა
მინა!“

შ ე მ ო მ ხ ე დ ა, მ ო ვ ე წ ო ნ ე,
ს ი ა რ უ ლ ი დ ა ი თ მ ი ნ ა (595).

ამრთავად, განრისხებულად, შერისიძებნასა და
სისხლს მოწურებულად ფრიდონი უცხად გონს
მოვა და დამწვიდებდა, როცა თვალს შეავლებს
ტარიელს. ინდოელი რაინდის ფერნაკლული,
მაგრამ მაინც შეუდარებელი სილამაზე ისე და-

მამწვიდებლად მოქმედებს მასზე, როგორც მა-
გიური ძალით აღუტრავილი მშვენიერის მუსიკა.¹
მაგრამ, მეორე მხრით, თანამედროვე ადამიანის
სანაქებო მშვენიერებამაც ერთი წუთით და-
ვიწყა ტარიელს თავისი უკურნებელი მწუხარ-
ება:

თანა წამოშევა, წავედით უტყვისი
მამა-შეთისა.
შე გავეკვირეე ჭერეტასა მის ყმისა
სინაზეთასა (597, 3—4).

პირველი კითხვა, რომელიც ფრიდონმა ტა-
რიელს მისცა, ნათლად გვახსენებს აგრეთვე,
რომ მისი დამწვიდება, მისი სულღერი კათარ-
ზისი სწორედ უცნობი ვაჟაკის დამატყვევე-
ბელ სილამაზეს მიეწერება:

პირველ მოთხრა: არა ვიცი, რა ხარ, ანუ რას
გამსგავსო?
ანუ ეგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ
გავაგისო?
რამან შექმნა მოღვითანოდ, ვარდ-გიშგირი
რომე პრავისო?
ღმერთმან მისგან ანთებული საანთელიცა
რად დაგავისო? (599).

ასეთია ადამიანის აღქმასთან დაკავშირებული
ესთეტიკური განცდის სურათები „ვეფხისტყაო-
სანში“. მსგავსი სტროფებისა და ტაქების
რიცხვი ჩვენ შეგვეძლო ერთიასად გაგვეშრა-
ულებინა. მაგრამ ეს პრინციპულად არაფერს
ახალს არ მოგვცემდა.

რა დასკვნები გამოიშინარებოდა მოყვანილი მი-
სალიდან?

როგორც მკითხველი ზედავს, საზოგადოების
დამალი ფენების, ხალხის და მისი წრიდან გა-
მოსული უბრალო ადამიანების ესთეტიკური
განცდებებს აღწერას თითქმის დომინირი აღ-
გილი უკავია პოემაში. ჩვენ საგანგებოდ არ შე-
გვირჩევია მაგალითები, ჩვენ ზუსტად მივევით
იღებელი მონაცემების მოახრახობის ხაზს და უკ-
ლებლივ აღწერსხეთ მთავარი მომენტები. მიღე-
ბული მასალა საშუალებას გვაძლევს უშუალო-
მოდ ეთქვათ, რომ ძნელად მოიძებნება იმ ეპო-
ქის მსოფლიო მწერლობაში ისეთი ეპიური ნა-
წარმოები, სადაც უბრალო ადამიანების სილა-
მაზის გრძნობა გამოხატული იყოს ესოდენ დი-
დი სიყვარულით და პოეტური პათოსით.

რა უნდა ვიგულისხმოთ ამ საყურადღებო
სცენების საფუძვლად? ჯერ-ერთი, აქ ნათლად
გამოსკვივის რუსთაველის სოციალური თვალ-
საზრისი, მისი ეთიკური-მთავარი სიმართეობა სა-
ზოგადოების ქვედა ფენებისადმი, მათ შორის
უფლებათაყრილ ჩაგრულთა მიმართ. მეორე
მხრით, თუ ამ მხატვრულ სურათებს ჩვენ

¹ დ. ჩხობუა, „რუსთაველის გმირები და
მათი მსოფლმხედველობა“, „Сборник Руста-
вели“, 1938, გვ. 196.

¹ დ. ჩხობუა, იქვე, გვ. 194—195.

პრობლემის პრიზმიდან შევხედავთ, ჩვენ იძულებული ვიქნებით დავდასტუროთ ერთი უადრესად საყურადღებო გარემოება. როგორც ნათლად ჩანს, სილამაზის გრძნობა, ესთეტიკური განცდა სრულიად არ უოფილა წარჩინებული კლასების, მეფეების, დიდებულების, კარის არისტოკრატების, რაინდების პრივილეგია; რუსთაველის აზრით, ი გ ი ზო გადადამიონ უ რ ი ნი ბიერებაა. განათლებისა და კულტურის როლი იმაში კი არ გამოიხატება, თითქოს ადამიანს უნდა აქამდე არასრულეული ესთეტიკური მხედველობა, არამედ იმაში, რომ ბუნებით მონიჭებული სილამაზის გრძნობა და სილამაზის სიყვარული იზრდება, ღრმავდება, იხვეწება და ფაქიზდება; მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ი ს გ ა ნ ე ღ ი ს ნ ი ჭ ი ა დ ა მ ი ა ნ თ ა ს ა უ ო ვ ე ლ თ ა ო კ უ თ ვ ნ ი ღ ე ბ ა ა, ი ლ ი ა ტ ი ე ჭ ა ვ ა ძ ი ს ს ი ტ უ ე ი თ რ ო მ ვ თ ქ ვ ა თ, „არ არის ქვეყანაზედ ადამიანი ამ ნიჭს მოკლებული“¹.

ასეთია ჩვენი პირველი დასკვნა.

მეორე, პირველ თავში, სადაც პოეზიასთან დაკავშირებულ ესთეტიკურ განცდას ვიხილავდით, ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივით, რომ ამ უკანასკნელს ახასიათებს არა ერთსახეობა, არამედ მრავალსახეობა, სხვანაირად რომ ეთქვას, არსებობს სხვადასხვა სახის ესთეტიკური განცდა. ერთია, მაგალითად, ესთეტიკური სიამოვნება, რომელსაც ეპიკურებისტული ყანრები

გვანიჭებენ და მეორეა ის, რასაც ჩვენ სერიოზული, სიბრძნისმეტყველი პოეზიის² „ღმრთის“³ რეცეპსიონის⁴ განვიცდით. რუსთაველის შემხედვებულ შემთხვევაში შორის ნათელი და უდავო განსხვავებაა. ლოგიკურად იგივე უნდა გვეთქვას ზელოვნების სხვადასხვა დარგის — პოეზიის, მუსიკის ფერწერის, პლასტიკის შესახებაც. ამ საკითხის არსებითი განხილვა, ცალკეულ ესთეტიკურ განცდათა რომელიმის დადგენა, რა თქმა უნდა, ექსპერტიზის მეცნიერების, საგანს შეადგენს და არაეითარი საფუძველი არა აქვს მის ძიებას „ეფესისტეპოსანში“.

ასეთივე მრავალსახეობაზე მივითითებებს რუსთაველი ადამიანის მშვენიერებასთან დაკავშირებულ ესთეტიკური განცდაში. ზემოთყვანილ სურათებში ერთიმეორისაგან მკვეთრად განირჩევიან მშვიდი ესთეტიკური სიამოვნება, ესთეტიკური სიბარული, ესთეტიკური განცდაფრება, ესთეტიკური აღტაცება და ესთეტიკური გჷსტაზი. უადრესად საყურადღებოა მასიური ესთეტიკური განცდის სურათები. რუსთაველი იდასტურებს მასიური ესთეტიკური აფექტის არსებობის ფაქტსაც.

საკითხი ისმის: რა უღვეს საფუძვლად ესთეტიკურ განცდას?

ჩვენ უკვე იღვნიშნეთ, რომ მის საფუძველს წარმოადგენს მშვენიერების იდეა, სწორედ ამიტომ ესთეტიკურ განცდას სხვანაირად შეიძლება მშვენიერების ანუ სილამაზის გრძნობა ეუწოდოთ. ამრიგად ჩვენ ლოგიკურად მივდივით რუსთაველის ესთეტიკის ძირითად პრობლემასთან — მშვენიერების იდეასთან. მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია და ცალკე უნდა იქნეს განხილული.

¹ ი. კ ა ე ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, 1937, ტ. IV, გვ. 261.



ოთარისა და მანანას შესახებ

(შენიშვნები საბავშვო მწერლობაზე)

ყოველივე, რაც შეეხება აღზრდის საკითხებს, დღეს დიდ მნიშვნელობას იძენს. კარგი იქნებოდა, რომ ეს საკითხები მკვეთრად და ღრმად დაისვას საბავშვო ლიტერატურაშიც. ღრია, რომ მწერლები გულმოდგინედ დაინტერესდნენ ეთიკური და ესთეტიკური თემებით მოწოდებების აღზრდისა, მეტადრე რომ აქ უდიდესი როლი სწორედ ლიტერატურასა და ლიტერატურის მასწავლებლებს განეკუთვნება¹, სწორად ა. ფადეევა თავის წერილში „შენიშვნები ლიტერატურაზე“ და იქვე აღნიშნავდა ერთ ურთიან სამწუხარო ფაქტს: „იმ ნიჟიერ ადამიანთა შორის, რომელნიც გამოზარდა ჩვენმა საზოგადოებამ, მართლაც ზნობად გვხვდებიან ისეთებიც, რომელნიც ესთეტიკურად ცუდად არიან აღზრდილი, და ამასი დამანაშავეა ჩვენი სკოლა და ლიტერატურა“.

ახალ თაობას აღზრდა ერთ-ერთი მეტად რთული და ამასთანავე, მეტად საპატიო საქმეა. ზოლო დამილი ზარისხის საბავშვო მატერული ნაწარმოები, როგორც ბისარევე ამბობდა, „საზოგადოებაზე უფრო მაკრე გავლენას ახდენს,

ვიდრე ყველაზე მეტად ბინძური და ფრანგულ-ფაბრიკაციის ფუფე რომანები“.

ამიტომ ცხადია, რაოდენი გულისხმიერება და საქმისადმი თავდადებული სიყვარული მართებთ იმ ლიტერატორებს, რომლებიც წერენ ბავშვებისათვის. ზოგიერთ ჩვენს მწერალს კი სწორედ ეს აკლია. მაგრამ არც მხოლოდ სიყვარული შედის საქმეს. ჩვენს მწერლობაში შეიპარა არც თუ ისე ცოტა უხეირო ნაწარმოები, რომლებიც თავისი პრიმიტიულობით და დაბალი ავტორით ნორჩი თაობის ესთეტიკურ და ეთიკურ აღზრდას ზელს უშლიან. თავი იჩინა ერთგვარმა „ლიტერატურულმა შტამმა“, რომელიც არა მხოლოდ ერთნაირი თემების განმეორებაში მდგომარეობს, არამედ თითქოს ზსიათებებისა და საერთოდ წარმოსახვის ინდივიდუალური საშუალებების ერთგვაროვნებასაც გულისხმობს. შტამში შეიჭრა ბუნების სურათებისა და საცენების აღწერაშიც. რასაკვირველია, თავის მხრივ, ამან გამოიწვია საბავშვო ნაწარმოებთა საგრძნობი ნაწილის იდეური სიღარიბე და სამწუხარო დიდაქტიკური „მოწყენილობა“.

შტამის წინააღმდეგ

მაგალითად, საბავშვო თემებზე დაწერილი მოთხრობა დაახლოებით ასეთი იქნება:

ვთქვით, ოთარი და მანანა ჩავიდნენ სოფელში. ზაფხულია. ბებიის აქვს მშვენიერი ბაღი, იქ იზრდება ყველაფერი — ვაშლი, მსხალი, კომში, ბალი, ალუბალი და სხვ. ეზოში დადის იმაყად დეზებიანი მამალი, კრუხი ახალდადამოხეილი წიწილებით და, აუცილებლად, დაკუნტრუშობს თბაც. ოთარი ცელქია და ეშმაკი, მანანა იძულბელია ყველაფერში დამოზრინლოს უფროს ძმას, ბავშვები გულს იჯერებენ ზლით, შემდეგ კი თვალა წაუვათ ნელ სიმინდზე. ბებია (რომელიც ამ მოთხრობაში იმდენად არის სპეკირო, რამდენადაც საჭიროა, რომ ბავშვები ვინმესთან ჩავიდნენ სოფელში) ფრიად დამწუხრებულია, არ იცის, რა ქნას. ნედლი სიმინდის „პრობლემა“ კი იზრდება. და აი, ოთარი გადაწყვეტს მოიპაროს იგი, თან მანანასაც წაი-

ყვანს. მაგრამ განა შეიძლება ქურდობა?! ცხადია, არა, და მანანას ცხვირს დააცემინებს, ზოლო დეიდა კატო — სიმინდის პატრონი — ასე გაეპასუხება მანანას: „— კრედი თბას კული, მანანა! — მოსალოდნელია სხვა უფრო „გონება-მახელორი“ პასუხი მოძებნოს ავტორმა, რადგან დეიდა კატო მინიცი ვაიციენებს თავისი მისწრებული პასუხის გამო. ყოველივე ამის შემდეგ დეიდა კატო მანანასა და ოთარს გაატანს ნედლი სიმინდი¹, რის შემდეგაც ავტორმა შეიძლება წერტილი დასვას, ანდა გაავრგვლოს (გაზარდოს) მოთხრობა იმით, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიმინდს და როგორ მოყვად იგი — როგორ თესავენ, როგორ უვლიან (ანე მოიქცე, მაგალითად, ქ. ელისაბედმთელი, როდესაც სრულიად მოულოდნელად მოინდომა ბავშვების განათლება შაქრის ქარხლის წარმოების აღწერით: „ლილა“, № 5, „შატერები“).

¹ წერილში მოტანილი სილუსტრაციის მხალა აღებულია ვასილი (1955) წლის ლიტერატურული პროდუქციიდან.

¹ ასეთია სიუჟეტური ქარგა რ. ელანძის ერთ-ერთი მოთხრობისა, რომელიც ეტრნად „ლილა-შა“ მოთავსებულია.

ყოველივე ზემონათქვამი ამოწურავე არაა. შეიძლება შევხედვს, რასაკვირველია, სხვა ვარიანტებშიც. იგი მხოლოდ მოწმობს იმას, რომ ხშირად ჩვენი მწერლები ტრადიციული სარგებლობენ. ჯალკისა და სოფლის მოწინავე მასწავლებლების თათბირზე მ. კალინინი ასე ეკითხებოდა ჩვენ მასწავლებლებს:

„რატომ არის რომ, როცა თქვენ ჰყვებით, მზა ფორმულებით ლაპარაკისკენ ისწრაფვით? თქვენ ხომ მასწავლებლები ხართ, თქვენ რუსული ენა იცით. და იცით, რას ნიშნავს ილაპარაკო მზა ფორმულით? ეს ნიშნავს, რომ თქვენ კი არ აზროვნებთ, არამედ მხოლოდ ვნით მტკიცებდებით მზა წინადადებებით თქვენ აღმაშენებელ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენთ. ვერ მოახდენთ იმიტომ, რომ იგი უთქვენოდაც იცინა“.

და როცა რომელიმე მწერალი არა მხოლოდ თვითონ სესხებულობს ამ მზა წინადადებებს, არამედ ასევე მზამხარეულად აღაპარაკებს თავის გამორებსაც, მაშინ ხელოვნურობა, რიტორიკულობა, რომელიც ცხოვრებისეულ სიმართლეს ამახინჯებს, მეტადრე მკვეთრად გვეცმათ თვალში. ახლა, როცა მწერალი ვერ მოძებნის თემას, როცა არ იცნობს ბავშვის ბუნებას,

მოვიყვანოთ საილუსტრაციოდ რამდენიმე ერთნაირი მკვალითი, რადგან ერთნაირი მკვალითის მოძებნა ჩვენს საბავშვო მწერლობაში არცთუ ისე ძნელი საქმეა. საკვირველია, რომ ისეთი გამოცდილი მწერალი, როგორც ბ. ჩხეიძე, აქვეყნებს ზერელად დამწერალ, ყოველგვარ ესთეტიკურ ზემოქმედებას მოკლებულ მოთხრობას — „ლელა და ზურიკო“ (ლილა“, № 6). აი ამ მოთხრობის სიუჟეტური ქაჩა: მაიმონდპირე სახლებიდან გამოსული ლელა და ზურიკო ზღვებიდან ერთმანეთს. უცებ, ისინი, ავტორის, პეზის შესაბამისად, გაიცნობენ ერთმანეთს და ასე, როგორც არც ერთ ბავშვს ჯერ არ გაეცენია მეორე, მესამე თუ მეოთხე სიტყვის შემდეგ შეთანხმდებიან, რომ ზალიკო ფინიქში უნდა მოეგერიოს ლელას და რომ ერთად უნდა იმაცადინონ ხოლმე. მეოთხედის ბოლოს ისინი ერთნაირ ნაწილებს მიიღებენ. მერე კი, ზაფხულის არდადეგებზე, ზალიკო თავის ქონორზე წუხს და ლელას ეუბნება, რომ ნაპასთან მიდის რაკში (უნდა ნაპოს ქვანახშირის წარმოება). ლელა დიდდესთან მიემგზავრება (ჯავახეთში მეცხვარეობას მისდევნენ). მოთხრობის ბოლოს ბავშვები გახარებულნი არიან, რომ იციან წერაკითხვა და შეუძლიათ მიწერ-მოწერა. იმის მაგივრად, რომ პატარა მკითხველში ავტორმა რაიმე მძაფრი ემოცია აღძრას, იგი სთავაზობს მას თავისთავად არაფრის შემოკვლას, ბავშვის განცდებსა, ინტერესებსა და მისწრაფებებს მოკლებულ მოთხრობას. თუკი საერთოდ მხატვრული ლიტერატურა უნდა აცოფრებდეს ადამიანს, მაშინ ეს თვისება მეტადრე უნდა ახასიათებდეს საბავშვო მწერლობას. ბავშვებს უყვართ ჰეროიკული სიუჟეტები. თანამედროვე

ენით რომ ვთქვათ, ბავშვისათვის სასარგებლოა ის წიგნი, რომელიც ბავშვს მათში შენებისა და რეკმინის სურვილს. საბავშვო მწერლობაში სიუჟეტის ისტატობამ აწვევს, რომ საბავშვო მწერლობა იყოს საბავშვო წიგნი, და მათ არა მხოლოდ თეორიულად, არამედ თავის წიგნებშიც შეარჩიოს ეს თითქოსდა ორი საპირისპირო ტენდენცია: ისინი ასწავლიან პატარა მკითხველებს სინამდვილის სწორ შეცნობას და, ამასთანავე, კვებავენ მათ ფანტაზიას.

რა უნდა მისცეს ჩვენ ნორმ თათბარს ბ. ჩხეიძის მოთხრობაში? რით უნდა განაეციფროს იგი? ბავშვი ხომ აქტორად მკითხველი უნდა იყოს, მან ხომ რაღაცნაირად შეიწივლიდაც უნდა მიიღოს ალწერად ამბავში? სინამდვილეს ზედამართული ალწერა ბავშვის გონებრივ ზრდას აფერხებს, აღატაკებს მის გემოვნებას. რა საჭიროა ასე შელამაზებული და გატყობილებული შემოკმედება, რომელიც, ვლ. შთავისუფლის სიტყვებით, რომ ვთქვათ, არ ასწავლის ბავშვს, თუ „რა არის კარგი და რა არის ცუდი“, რას უნდა ებრძოდეს მან, რა უნდა უყვარდეს.

ასევე „გააოცებს“ პატარა მკითხველს ლ. კვიციანიძის მოთხრობა „კარგი ბიჭი“ (ლილა“, № 5). ამ მოთხრობის შეგონება ასეთია: პატარა, შვენ არ უნდა დაბრუნო ქუჩაში მოძრაობის წესები, რადგან პიონერი ხარ. მაგრამ ყოველივე ამის შესახებ, ცხადია, ასე შიშულად და პირდაპირ, ტენდენციურად არ შეიძლება ლაპარაკი მხატვრულ ნაწარმოებში. აქ უნდა იყოს რაღაც გონებაშმაჯილური, რის გამოც ან გაიცინებს მკითხველი ანდა აღმფთვდება... პიონიტი: ლევანი ეძებს იმ მილიციელს, რომელმაც გუშინ ის ტრამვაზე შეხტომისათვის დააჯარიმა. რადგან მას ფული არ ჰქონდა მაშინ, ლევანმა პირობა დასდო და ახლა შესარულა. მილიციელი შეაქებს, ჯარიმის ფულით წიგნების ყიდვას ურჩევს და გარეშებს. მოთხრობის ბოლოს მხატვარს ალ. ბანძელაძის მიერ შესრულებული ნახტია ამ კარგი ბიჭისა. აი ეს ტრადიციული ბიჭი უკან ბრუნდება მილიციიდან. იგი თითქმის ზურგიითაა დახატული. მხოლოდ წაშწამებით უნისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თქვენ გრძობთ ამ ბავშვის მიერ ლიტერატურულ პირობითობას, რომელიც ლ. კვიციანიძემ უკარინა მხატვარს. ხელში მას მკაცრი სიხუსტით ვერტიკალურად აქვს დამკვებული, თითები ოდნავ მოკუმული, თმები უსუსტად გვერდზე გაყოფილი, ამავე ღეროს, სუფთად ჩამკმულია. ძველში, ყნადამებულმა „უკონფორტობის“ თეორიამ აქ თითქმის ისევე იჩინა თავი. ძალიან კარგი ბიჭი ძალიან კარგი იყო თავიდანვე. მაგრამ ერთხელ მოუხდა ისე, რომ ტრამვაის შეახტა, ახლა კი — აღვედ უფრო კარგია. მაღალნიჭიერი მხატვარი ალ. ბანძელაძე იძულებული იყო დაეხატა იდეალური ლევანი. მაგრამ, ამასთანავე, მან უნებურად დასცინა კიდევ ლ. კვიციანიძის მოთხრობას.

რასაკვირველია, ასე გათვლებული სინამდვილე, რომელიც არაფერს შეიცავს ბავშვისათვის საინტერესოს, მოკლებულია რაიმე ესთეტიკური ზემოქმედების უნარსაც. მაგალითად, ღ. კასრასის საბავშვო მოთხრობების კრებული (შზიას გიშ-გიშა, საბლიტგამი), იმდენად ღარიბია და შეზღუდული სიუჟეტურად, რომ ეს მოთხრობები ნორჩ თაობას არავითარ გაწეყობას, დადებითსა თუ უარყოფითს, არ შექმნიან.

საბავშვო მწერლობა ხშირად ასახავს ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებას. ამ ცხოვრების ჩვეულებრიობა, ერთი მხრივ, განსაზღვრავს ნაწარმოების ღრმა რეალისტურობას, ხოლო, მეორე მხრივ, იძლევა ნაწარმოებში „არაჩვეულებრივის“ შეტანის საშუალებასაც; მწერალი ნახულობს ერთის შეხედვით უმნიშვნელო ამბებში რაღაც არსებითსა და მნიშვნელოვანს, რაც გადამწყვეტ როლს ასრულებს ბავშვის სულიერი სამყაროს ფორმირებაში. თ. გოგოლაძე თავის მოთხრობაში „ბები და გია“ („დილა“, № 11) შეეხოს საზოგადოებრივი შრომის დაფასების საკითხს ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ავტორმა გიას ხასიათი ისე ზრეულდ აჩვენა, რომ თემამ, (თუნდაც ასე „ჩვეულებრივმა“) საქმეს ვერ უშველა. შეხე, გია, ბებიას იუბილეს უხდიან, ყველანი სიყვარულით ემკვიდრებიან, შენ კი... შეხედულება, თითქოს ბავშვს ყოველგვარი გართულების გარეშე უნდა გადასცე რაიმე დიდპეტეიური ამბავი, ეტყობა, მეტად პოპულარულია ჩვენს მწერლებში. სხვანაირად ძნელია აიხსნას თუნდაც ის ფაქტი, რომ ისეთი ცნობილი მწერალი, როგორცია ავ. ბელაშვილი, პატარა მითხველს აწვდის მოთხრობას „პირველი ასე-ღამე“ („დილა“, № 7), სადაც არაა გამოკვეთილი ერთი ძირითადი ხაზი; იგი თავიდანვე გადატვირთულია არასაკვირო დიალოგების შემცველი ექსპოზიციით. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მოთხრობის სიუჟეტი ღარიბია. რა მოხდა? ეს კითხვა პატარა მკითხველისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობისაა. არაფერი, — შეუძლია უპასუხოს ავტორმა, — ჩვენ ივედით პანთეონამდე ფეხით და უკან ჩამოვედითო.

კიდევ რამდენიმე მაგალითი. ჩვენი მწერლები ხშირად სრულიად გაურბიან რაიმე კონფლიქტის მოძებნას, ერთდებთან უარყოფითის ჩვენებას. უზრუნველი ტონი, (ყველაფერი კარგია, სო-

ფელიც კარგია, მილიცელიც კარგია და ა. შ.) კარბობს ჩვენს საბავშვო მწერლობაში.

გოგამ დედის დაბადების დღისათვის სოსოს ლექსი ასწავლა (ი. ურჯუაშვილის მიერ „ძმებთან საჩუქარი“: „დილა“, № 12). სოსომ ბევრი იგარ-გიშა და ბერე სუფრაზე ახარა დედას.

თამრომ დედაცა დაამთავრა. შემდეგ ასოგბს გამოეთხოვა და მეროდ თთახში გააცელა თავის უმცროს ძმასთან (თ. ჩხაიძე, „ანბანის გაცილება“: „დილა“, № 4).

ნათელამ ტყუილად დადიფია დედა, დამე აღარ დაეძინა და უთხრა დედას ვიტირეო დედამ. რასაკვირველია, დაარბოა შვილი, რათა მეთრჯავრ აღარ იტირის (ქ. კილაშვილი, „ნათელას ფიცა“: „დილა“, № 10), და ა. შ.

აი ის ძირითადი „პრობლემები“, რომლებსაც აყენებენ ჩვენი მწერლები ნორჩ მკითხველებს წინაშე. ცხადია, ეს მწერლები ბავშვის კომუნისტური მორალით აღზრდის საქმეს დათვურ სამსახურს უწევენ. როგორც ჩანს, ისინი არ იცნობენ ჩვენს ნორჩი თაობის სულიერი ფორმირებისა და განვითარების ამოცანებს, ამ ამოცანების გადამწყვეტის გზებსა და მეთოდებს.

ჩვენი საბავშვო მწერლობის კიდევ ერთი ნაკლი, რომელიც უცებ გეცემათ თვალში, სტილურ ერთფეროვნებაში მდგომარეობს. თითქმის ძნელია გავარჩიოთ შესრულებით ერთი მოთხრობა მეორისგან, იმდენად წინასწარ დამტკამული მზა ფრაზებით არიან ისინი დამწერილნი. ცხადია, არსებობს საწინააღმდეგო უკიდურესობაც: ბევრს ჰგონია, რომ ამა თუ იმ მწერლის სტილი არის ის, რაც ყველაზე უფრო ხშირად მეორდება ამ მწერლის შემოქმედებაში. ასეთი შეხედულება მცდარია, მას მხოლოდ ლიტერატურული სილატაისკენ მიეყვარათ. მაგალითად, ო. იოსელიანის საერთოდ კარგ მოთხრობებს, რომელნიც სხვებისგან გამოირჩევიან, მაგრამ ძალიან ჰგვანან ერთმანეთს შესრულებით, სწორედ ასეთი ხარგეზი ეტყობა. ამას წინათ „საბლიტგამში“ გამოცემა ნიჭიერი მწერლის ლ. სულხანიშვილის წიგნი „საბავშვო მოთხრობები“, რომელთაც ახასიათებთ ერთგვარი „სტილისტური შეზღუდულობა“, რომელიც ავტორის მიერ თავიდანვე კარგად მიგნებული შესრულების ზერებებისა და საშუალებების განმეორებაში იჩენს თავს.

სერიოზული საუბარი

ნ. მარშაკი გასული წლის „კოკოდლის“ ერთ-ერთ ნომერში საბავშვო წიგნის შესახებ ასე წერდა:

Сочинил писатель детскую книжку.
Учнил ей редактор стрижку.
Засучив рукава,
Вычеркнул грубые слова:

11. „მნათობი“, № 5.

Заменял Редьку. Реденькой,
Делку — деденькой,
Бабку — бабенькой.
Стала книжка сладенькой и слабенькой.

აი, ასეთი წიგნი — გატკიბულებული და მხატვრულად მღარე, სადაც ყველაფერი ვარდისფერ ტონებშია დახატული, აღუნებს ბავშვს აქტიო-

ბას. ასეთი წიგნი არ უხსნის მკითხველს, რას უნდა მიზამოს, რა უნდა უთავოს. საბავშვო ლექსებში ოთარი და მანანა კარგები არიან, ახარებენ დედას და ბებოს და ოცნებობენ, კიდევ უფრო კარგები გახდნენ. მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში არ არის წინააღმდეგობის ნასამაძი, რომლის დაძლევათაც ისინი სულთერად დაეკაცდებიან და გამოირჩევიან. ხოლო თუ ზოგჯერ უარყოფითზეც ლაპარაკობენ ზვენი მწერლები, ლაპარაკობენ ისე ზერეულად, რომ უმრავლეს შემთხვევაში ვერ აღწევენ მიზანს. ასეთ ნაწარმოებებს აქვლიათ "სიცოცხლე, უშუალობა და სიხალბეა: ა. ბარტო ერთ-ერთ თავის კრებულს დაიარქვა „მზიარული ლექსები“. სწორედ ამ მზიარულ ლექსებში მან სერიოზული ლაპარაკი გამართა თავის პატარა მკითხველებთან ცხოვრების, სამშობლოსა და შრომის შესახებ. ეს „მზიარულობა“ ლექსისა იყო ფორმა, რომელსაც პოეტმა მიავსო დიდი შემოქმედებები ძიების შემდეგ. იგი ერთ-ერთ თავის სტატიაში („საბავშვო ლექსების შესახებ“: „ლიტერატურა-ნიია გაზეტი“, № 2, 1953) წერდა: „საბჭოთა საბავშვო პოეზიისათვის ტიპიურია დიდი თემა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი თემა პოეტს არ აძლევს უფლებას, საბავშვო ლექსის აგების წესებს გადაეხვიოს. საბავშვო პოეზიას ხომ, უშუალოა, აქვს თავის წესები. იგი, მაგალითად, განსაკუთრებით ფართოდ იყენებს ხალხური პოეზიის გამოსახველობითს საშუალებებს. საუკეთესო ლექსებში ბავშვებისათვის ჩვენ ვნახულობთ ჰიპერბოლას, ვანმეორებებს, ხმის მიმსგავსებას, ზუსტ თამაშს სიტყვებით, გამოცანას“. ცხადია, აქ არაა ჩამოთვლილი „საბავშვო ლექსის“ ყველა ნიშანი და თავისებურება. მისთვის, ვარდა ჩამოთვლილსა, მეტად ნიშნობლივია, აგრეთვე, აწეული ინტონაცია, ცოცხალი საუბარი, ფეროა სიტყვე, ნათელი კოლორიტი, არა მხოლოდ ჰიპერბოლა, არამედ სახეთა ფანტასტიკურობაც, მკაცრი არქიტექტონიკა და დინამიკურობა, მოულოდნელი სიუჟეტური სვლები, ვანმეორებულობა და სხვა მრავალი.

სამწუხაროდ, ყოველივე ზემოთქმულს მოკლებულია გ. კაპაბიძის ზოგიერთი საბავშვო ლექსი. პოეტი წერს ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებულ თემებზე და არ ცდილობს ამ თემების ორიგინალურად განზოგადებას; ამასთანავე, ხშირად ეს თემებიც თავისთავად არაა რაიმე კონკრეტულის შემცველი, ისინი მხოლოდ ავტორის მიერ გალექსილ კეთილ სურვილებს წარმოადგენენ. მაგალითად:

ერთად ვზოვართ კობა მერხზე
თამაშტუქა ორი ბიჭი;
გოგოც მკვირცხლი ბიჭუნა,
მაგრამ ცოტა ჩემზე დიუნჯი —

ასე იწყება ლექსი „პირველკლასელი მეგობრები“, რომელიც ასეთივე „პასიურ-აღწერილი“ სტროფით მთავრდება.

ცხადია, ეს ლექსი ახალს არაფერს ეუბნება მკითხველს. მეტიც: ავტორი ძველსაც ვერ სიბრძნის („დრო სწავლაში ტკივილად მძლავს“) მშრალად და ზერეულად გადმოცემს. ასეთი ლექსები მოწმობენ, რომ ზვენი მწერლები კარგად არ იცნობენ თავიანთი შემოქმედების აღმსარებელს.

„პოპულარული“ თემებს ხშირად მოაქვთ დამატებული პოეტური ზერხებიც, „საბავშვო ლექსის“ აგების ვაცივითლი წესები. ჩვენ ხშირად ვხვდებით დაბალი ლიტერატურული გამოყენების ახალგაზრდებს, და ეს სწორედ ასეთი უბერიო ესთეტიკურა აღზრდის შედეგია. ამის გამო იყო, რომ ვლ. მაიაკოვსკი თავის ერთ-ერთ ცნობილ ლექსში ჩვეული პათოსით ნატრობდა, იმ დროს, როდესაც მიღწეული იქნებოდა „в Союзе Республик понимание стихов выше дошедшей нормы...“

ახალმა საბჭოთა ლიტერატურამ, ცხადია, მოიტანა თავისი, განსხვავებული და უფრო მაღალი ესთეტიკური ნორმები. „ლექსის გაგების“ ლოზუნგი, რომელიც ვლ. მაიაკოვსკიმ დიდი ხნის წინათ წამოაყენა — დღესაც ძალაშია. მაგრამ ჩვენი საბავშვო მწერლობა უმეტეს შემთხვევაში ამისთვის ისევ ძველი, მოაზრული თემებით „იბრძვის“. ასე მაგალითად, თუცა საბავშვო ნაწარმოებში „ლიტერატურულ უფერებელ ცხოველების (სბილოს თუ კურდღლის) გამოყენება მიღებული ზერხია, მაინც ვაუშართლებულია ამ თემების უსაზღვრო მოჭარბება. მე მოვიყვანო საილუსტრაციოდ უკეთეს მაგალითს. ესაა ირწ. სულავერის პოემა „თავნება ბაჭები“ („დღლი“, № 2). პოემას აქვს საინტერესო სიუჟეტი, მძაფრი, ცოცხალი სიტუაციები, დამაბული და ენერგიული რიტმი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი სასურველ სიმაღლეზე ვერ დგას, და აი რატომ: ებერ-ერთი, ამ თემზე ბევრი დაწერილია და კარგიც. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ, ერთიოდ, ასეთი თემა უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ შორიდან უელის აღზრდის საკითხებს. მართოდღე ნ პოეტური ოსტატობაც, რასაკვირველია, ვერ შევლის „ლექსის გაგების“ გამომუშავებას. იგივე შეიძლება ითქვას ნ. დუმბაძის საბავშვო ლექსების შესახებ, რომლებიც „ახალგაზრდა კომუნისტნი“ გამოქვეყნდა. ეს ლექსები ოსტატურადაა შესრულებული, მკითხველს ხილავენ ვანმეორებულობას, ამასთანავე, უშუალო და ცოცხალი საუბრით, მაგრამ საკითხები, რომლებსაც პოეტი თავისი აუდიტორიის წინაშე სვამს, არაარსებითი და უმნიშვნელოა.

მეორე მიზეზი, რომელიც საბავშვო პოეზიის ვარკვეულ ერთფეროვნებას იწვევს, არის ზვენი პოეტების ზედამართული გატაცება სოფლის თემებით. ასეთი ცალმხრიუობა, ცხადია, უნდა აიხსნას პოეტების ნაკლები მისწრაფებით ახლის ძიებისაკენ. მაგალითად, ჟალაქელი ბავშვის ფსიქოლოგია თუ ქალაქის სპეციფიკური სიტუაციები, რატომღაც უშუალოდ უფერებელყოფილია დღევანდელ პოეზიაში. ეს თემები კი მხო-

ლოდ გამარავალფეროვნებდა ჩვენს საბავშვო შერლობას. ამის ნაცვლად, ზმირია „იდეალიზებული“ სოფელზე დაწერილი ლექსები, სადაც თეთისა და ბლის ხსენება აღემატება სხვა უამრავ სერიალულ საკითხებს. ასეთი ლექსი ჩვეულებრივ მოკლებულია ყოველგვარ ემოციურ დატანულობას, რადგან იგი უფრო სამოთხის მსგავს კუთხეს აღწერს, ჩიტების ტიკტიკითა და ხილით დამშვენებულს, ვიდრე ჩვენს სოციალისტურ სოფელს. რა საჭიროა ასეთი ლექსი, რომელიც „ვატყბილებულად“ წარმოუდგენს სინამდვილეს მკითხველს, ანგვეს ბავშვს პასიურობას, უმოქმედობას. პირიქით, ყოველი მხატვრული ნაწარმოები ბავშვში უნდა იწვევდეს შემოქმედების სურვილს, მაგალითად, მიიჭრეს მაგიდასთან, აიღოს ფანჯარა და დახატოს თავისი შთაბეჭდილებები, ანდა იოცნებოს — თვითონ ვახლეს ერთ-ერთი ამბავის გმირი და სხვა. ერთი სიტყვით, ბავშვში უნდა გაიღვიძოს შექმნისა და შენების დაუძლეველმა სურვილმა.

განა ოდნავდაც კი შეუძლია უბახუხოს ამ ამოცანას, ვთქვათ, ა. აბულაშვილის ლექსმა — „სიფიქსი“ („ლილა“, № 8), სადაც მიჩვივ კი ძნელი მოსაძებნია, თუ რატომ დაწერა ავტორმა ეს ლექსი? მოვიყვანოთ სხვა მაგალითი. ცნობილი საბავშვო პოეტის ნ. ჩაჩავას ლექსში „თანდილა“ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ თანდილა ყველაფერს ასწრებს — სწავლისაც, ბურთის თამაშსაც და მამასაც ეხმარება. ამავე დროს, მან კოლექტივის ნდობაც დაიმსახურა.

თუმცა ეს ლექსი ერთგვარ განცხადებად იღებულს შეიძლება და, ამასთანავე, სასარგებლო თემაზეც არის დაწერალი, იგი მინც ვერ აღწევს მიზანს; და მხოლოდ იმიტომ, რომ ნ. ჩაჩავა ამ სასარგებლო თემან თავის მკითხველს „პასიურ-აღწერითი“ ზეარხით აწვდის. ავტორს რომ მოეხსნა რაიმე კონკრეტული სიტუაცია, სადაც ზელმესახებად გამოიკვეთებოდა თანდილას ხასიათი, მაშინ ლექსი აღარ დაუმსგავსებოდა განცხადებას. აქ ლაპარაკია მზამზარეულ შედეგზე და ბავშვისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა გზები, რომელთაც მივყავართ ამ შედეგისაკენ.

ჩვენს საბავშვო პოეზიაში ზმირად შეინიშნება ერთი ტენდენცია, რომელიც, ასე ვთქვათ, ბავშვის კაპრიზებისა თუ ოინების „მიმამძველობაში“ მდგომარეობს. ავტორები ბავშურნი ჩვეულების მხოლოდ კონსტატაციას იძლევიან ზოლმე და ამის გამო აჭვეთებენ ლექსის აღმზრდელი ხლის ფუნქციას. ასეთი „ნეიტრალიზი“ დამოკიდებულება გამოსჭვივის, მაგალითად, ნ. კილასონიას ლექსებში. მე, რასაკვირველია, არ მინდა ვთქვა, თითქოს პატარა მკითხველს თვითონ არ შეეძლოს დასკვნის გამოტანა, მაგრამ ბავშვს დასკვნას უნდა კარნახობდეს ამბავი, ლექსის თემა და იდეა უნდა ბავშვს გარ-

კვეთდ ვაწყოხას. ასეთია, მაგალითად, ითვე ნ. კილასონიას ერთ-ერთი ლექსი „მეზობელი რუსიკი“ („ლილა“, № 11), სადაც საკითხი, თუ „რა არის კარგი და რა არის ცუდი“, მხალ-მხატვრულადაა გადაწყვეტილი.

მხატვრული დონე ჩვენი საბავშვო პოეზიისა დაბალია. პოეტური შტამი არათუ ხასიათების წარმოსახვისას, არამედ ბუნების დროთა (ვაზაფხული თუ სხვა) და სურათების გადმოცემაშიც კი იწინებს თავს. ცხადია, უფრო პოეტს ვერ მოეთხოვება ერთნაირად კარგად წერა, მაგრამ, ჩემი აზრით, ძირითადი ხარვეზების მიზეზი მინც ჩვენი შერლებების ნაკლები პასუხისმგებლობა უნდა იყოს. თითქოს მივიწყეს ქართული ანდაზიც, რომლის თანამედროვე ენით პერიფრაზირებას წარმოადგენს მ. გორკის მშვენიერი სიტყვები: „ბავშვები უნდა იყვნენ უფრო კულტურენი და უფრო მეტად აქტიური, ვიდრე მათი მშობლები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ახალ სამყაროს. ცარიელი სიტყვები არ იქნება, თუკი ვიტყვით, რომ ჩვენი ბავშვები უნდა აღიზარდნენ მსოფლიო პრილეტარიატის კიდევ უფრო აქტიურ ბელადებად“.

ამ ამოცანას, რომელსაც საბავშვო პოეზიის მნიშვნელობა ენიჭება, ცხადია, ვერ მოგმსახურება დაბალი პოეტური კულტურით, და მამასა-დამე, იღუერადაც უზეიროდ შესრულებული ნაწარმოებები. როგორც ითქვა, საქმე ის კი არაა, რამდენად შეიძლება ამა თუ იმ „სერიალულ“ საკითხზე ვესაუბროთ ბავშვებს, არამედ ის, თუ რა სახით გადაეცემა მათ ამ საკითხებს. ამის მშვენიერი მაგალითებია თუნდაც ს. მარშაის, ა. ბარტოს ანდა უცხოელ შერლებიდან ჯანი როდარის შემოქმედებაც, სადაც გაბეღული და მთლიანკეთრად მამარი განზოგადებულ აბლავს ბავშვების ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებულ ყოფითს დეტალს.

ზემოდასახელებულ წერალის ბოლის ა. ბარტო იგონებს სტანისლავსკის სიტყვებს — „Проце, легче, выше, веселей“. Вот первые слова которые должны бы висеть над каждым театром“ და თავის მხრივ უმატებს: „მე გგონია, რომ ეს სიტყვები საყვებით მისაღებას საბავშვო პოეზიისთვის, საბავშვო ბელოენებისთვის“.

პირაქცია მოწმობს, რომ „საბავშვო ლექსის“ შემდგომი განვითარება ამოუწურავ შესაძლებლობებს შეიცავს, რადგან ასეთი ლექსის დროში მეტად ტევადია. ამას გულისხმობს ა. ბარტოც, როდესაც სტანისლავსკის სიტყვები მოჰყავს ძირითადი თემები — „ზრომა, კომუნისტური პირალის პრინციპები და სხვანი სწორედ ამ „საბავშვო ლექსისთვის“ სპეციფიკურ ფორმაში უნდა წარმოიხატოს მალამხატვრულად, და აა მანინ — სერიალული საუბარი ბავშვებთან შეცვლის „ლიდაქტივორ“ მოწყენილობასაც და ფქსაკატურ გაართობასაც.



ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელი“

დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას პოემა „გველის მჭამელი“ ჩვენი მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი უძველესი მარგალიტია. პოემაში აღბრუნო სკიოთების საკაცობრიო ხასიათი, იღვის ფილოსოფიური სიღრმე, წამოჭრილი პრობლემების სწორი გადაჭრა, უმაღლეს მწვერვალზე აყვანილი დრამატიკაში და, ბოლოს, შეუდარებელი მხატვრული ფორმა იძლევა იმის უფლებას, რომ ეს ნაწარმოები დაეაყენოს მსოფლიო ლიტერატურის შედევრების — გოეთეს „ფაუსტის“, ბალზაის „შაგერენის ტყეის“, შექსპირის „ჰამლეტის“, გორკის „სიკვდილისა და ქალიშვილის“ გვერდით.

ვაჟა-ფშაველას პოემა „გველის მჭამელი“ იმდენად ღრმა და რთული ნაწარმოებია, რომ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში მის შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს საბოლოოდ დადგენილი შეხედულება. აქამდე არაა განსაზღვრული ამ პოემის დედაზრი. აზრთა სხვაობაა მინდის მსოფლმხედველობის შეფასების საკითხში. მინდის ტრავმებისა და დამარცხების მიზეზს სხვადასხვა მკვლევარები სხვადასხვაგვარიად ხსნიან. არც კია დადგენილი, თუ როგორია ვაჟს დამოკიდებულება პოემის შთავარი გმირისადმი — თანაუგრძობის იგი თუ არა მის მსოფლგაგებას და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ვაჟა-ფშაველა „გველის მჭამელს“ „სტუმარ-მასპინძელთან“ ერთად თავის სხვა ნაწარმოებებზე მაღლა აყენებდა და საუკეთესოდ თვლიდა, ჩვენს კრიტიკაში გამოიშველია აზრი იმის შესახებ, რომ „გველის მჭამელი“ სხვა მის პოემებზე გაიკლებით დაბლა დგას, განირჩევა მათგან, და უფრო მეტიც, პოეტის შემოქმედებით მარცხს წარმოადგენს.

როგორც იტყვიან, „პირველი ქვა“ ვაჟს „გველის მჭამელს“ იმ ვართავავამ ესროლა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც, დიდი პოეტი ცოცხალი იყო, იგი წერდა: „...ასეთი საზომით რომ გავზომოთ ვაჟს „გველის მჭამელი“, ნათლად დაინახავთ, რომ მან ვერ შესძლო ამ შემთხვევაში ვერც რუსთველობა, ვერც შექსპირობა, ვერც გოეთობა, თითქმის ვერც ილია, აკაკია“. თუმცა ვაჟა-ფშაველამ მაშინ ვართავავას წერილის შესახებ „კრიტიკის კრიტიკა“, ანუ როგორც

იტყვიან, „ანტიკრიტიკა“ არ დაწერა, მაგრამ თავის წერილში „კრიტიკა ბ. იმ. ვართავავასი“ სრულიად გარკვევით თქვა: „მ. ვართავავას ვერ გავუგია, ვერ მიმხედარა „სტუმარ-მასპინძელში“ და „გველის მჭამელში“ რაა ხალხური და რაა ავტორისაგან შექმნილი და ამის გამო ამ ორმა ნაწარმოებმა მოიტანა ქვეშ კრიტიკოსი და დღემდე ვერ ამდგარა ფეხზე. იქნებ ამ ჩემმა განმარტებამ შეაძლებინოს ფეხზე დადგომა და ღირსეულად მათი დაფასება“.

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველა იმ ვართავავას იმას უსაყვედურებს, რომ მან ვერ გაიგო „გველის მჭამელი“ და ღირსეულად ვერ შეაფასა იგი.

პროფ. ს. დანელია თავის წიგნში „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“ ამბობს: „უნდა ითქვას, რომ ვაჟა ვერ მორგევია თავის ამოცანის და, როგორც პოემა, „გველის მჭამელი“ სუსტი ნაწარმოებია“. დღესაც იმერეთის სხვადასხვა კრიტიკოსი იმ ვართავავას შემდეგ დებულებასაც: „ამ ნაწარმოებს (ე. ი. „გველის მჭამელს“, დ. ქ.) არსებითად არა აქვს ნათესაობა ვაჟს სხვა პოემებთან. მასში შგოსანი უშთაერესად ცდილობს ცხადყოფს და ზორცი შეასხას ზოგადს, განუყენებულს ფილოსოფიურ-სოციალურ იდეებს“.

ვაჟას გენიალური პოემის ასეთი არასწორი შეფასება პოემის დედაზრის გაუგებრობის შედეგია.

საქმე ისაა, რომ ვაჟს სხვადასხვა მკვლევარს „გველის მჭამელს“ დედაზრი ამ ნაწარმოების მხატვრული ანალიზის, ვაჟს მთელი შემოქმედების გათვალისწინების, და შესწავლის შედეგად კი არ გამოჰყავდა, არამედ ისინი ცდილობდნენ დაენახათ მასში წინასწარი აღებული მათ მიერ გამოთავარი რაიმე იღვის განსახიერება. ცხადია, რომ ასეთი კვლევის შედეგად პოემა სუსტი მოჩანდა, რადგან მისი შემადგენელი ეპიზოდები არ შეესაბამებოდნენ, და ეწინააღმდეგებოდნენ კიდევ, ამ წინასწარი აღებულ იდეას.

ასეთი კვლევის ნიმუშს წარმოადგენს პროფ. ს. დანელიას ნაწარმოში — „ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი“ გამოთქმული აზრები. ამ წიგნში გვითხულობთ: „მინდის ტრავმების ნამდვი-



ლი საფუძველია მისი ადამიანური არსება. ყოველის მცოდნეობას აღმამის არსება ვერ იტევს, ყოველის მცოდნეობა სცილდება აღმამის სახლვარს, — აი აზრი „გველის მკამელი-სა“. ტრაგედია იწყება იმ მომენტთან, როდესაც მინდიას ბუნებაში შედის ახალი ფერმენტი, სახელდობრ, სიბრძნე ან გველური ელემენტი. მინდიას რომ სიბრძნე არ განორბოდა, ის შინკე მოკვდებოდა შიმშილსაგან და, სიბრძნე რომ ითქვას, ასეთი სიკვდილი ლოცავრად უფრო შესაფერია პოემის დედა-აზრისათვის, ვიდრე სიკვდილი მინდიას ხვესურთა თში“.

„გველის მკამელი“ ზემოდმოხსენებული „დედა-აზრი“ ს. დანელიამ ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზიდან რა აზრით იყვანა, აზრ-მედ მხაზარეული იპოვა იპ. ვართაგავას მიერ გამოქვეყნებულ წერილში. მაგრამ რადგანაც ამ წინასწარ აკვატებულ აზრს ნაწარმოების ზოგიერთი ნაწილი ვწინააღმდეგება, კრიტიკის თავისას არ იშლის და ნაწარმოებს სუსტად, პოეზიფიკულად აცხადებს, უფრო მეტიც, აკტორის უღოგიკობას სწავებს.

ენობლითა, რომ მხატვრული ნაწარმოების იდეა გამაზღვრავს ლიტერატურული ნაწარმოების როგორც ფორმის, ისე შინაარსს. ამიტომ ლიტერატურული ნაწარმოების გაგებისა და სწორად შეფასებისათვის მისი დედააზრის დიდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს. ნაწარმოების დედააზრის დადგენის ყველაზე სამაჟლო საშუალება კი ამ ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ანალიზია. ასევე უნდა მოვიქცეთ ვაჟა-ფშაველას „გველის მკამელს“ მიმართაც. უბრუნვებს ყოველსა, განვიხილოთ მისი სიტუეტი.

პოემის სიტუეტად ვაჟამ ხალხური ლეგენდა გამოიყენა ბრძენი ზვესური მინდიას შესახებ. ეს სადა და უბრალო ამბავი ვაჟამ თავის მხრივ შეავსო და უაღრესად დრამატული გახადა.

ზვესური მინდია თორმეტ წელს ქაჯებს ჰყავდათ ტყვედ. მათ შორის ცხოვრება იმდენად შეაწუხებს მინდიას, რომ თავის მოკვლას გაიწყვეტს. ამ მიზნით იგი ბევრს ხორცს ჰკამს, რომლითაც ქაჯები იკვებებოდნენ. მინდიას იგი საწამლავე ჰგონია, მაგრამ გველის ხორცის ჰკამს სულ სხვა ნაყოფს გამოიღებს: მინდია მეცნიერი გახდა, რამაც მას საშუალება მისცა თავი დედწა ტყვეობისათვის და სამშობლოში დაბრუნებულიყო. თავის თანამემამულეთა შორის მინდია საერთო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს, რადგან მან კარგად იცის მტრის დამარცხების ყველა საიდუმლოება და ზერხი. ბრძოლის დროს მინდიას ჯარი მუდამ გამოუღვევლი ჰყავდა, რადგან მან იცის უებარი წამლები, რომელთა საშუალებითაც შუაზე გაჭრილსაც კი კურნავს. მინდიას ასეთი ძლავრების მიზეზია მისი ახალი მსოფლმხედველობა, ის ცოდნა, რომელიც მას მოკვლასა სწორი, უტყუარი გაგების საშუალებას აძლევს.

სამშობლოში დაბრუნებული მინდია თავისი

ახალი რწმენის შესაბამის ცხოვრებას ეწყობა, არ კრის ზეგას, არ ზოცავს ნადირს, არ თიბნის ბა-ლასს, დანარჩენებსაც ურჩევს. ასევე ნაწარმოებში მაგრამ თემი არ იზარებს მინდიას. უმცლელს ბებს, მიუხედავად იმისა, რომ ყველანი დაბრ-მუნებული არიან მის ცოდნაში, ხედავენ, რომ მისი სიბრძნე საზოგადოებისათვის გამოაადგია. ზვესურები მხოლოდ შედეგს ხედავენ, მოძღვრებას არსს კი ვერ ჩასწვლიან.

ასეთია პოემის სიტუეტის პარველი ნაწილი, რომელშიც ვაჟა გვიხატავს მინდიას ტრას, მის ახალ მსოფლმხედველობას.

პოემის, ამავე ნაწილშია მოცემული მინდიას ახალ მსოფლმხედველობასა და თემის ძველ დახავსებულ ტრადიციებს შორის ბრძოლის განსახი, რომელიც შედეგ ესოდენ ტრაგიკულ განვითარებას პოულობს.

მინდია ცოლად ირთავს შვიას, ქმნის ოჯახს. მიღე ბავშვებიც შეეძინება. ცოლის შერთავს მინდია შემდეგში უკვე თავის შეცდომა აღიარებს.

ის დღე გამავდეს, რა დღესაც შენ მე დავისვი ცოლად, მანამდე კაცი არ მანდა მიწაზე თავის ტოლად.

იმაღება კითხვა: მცდარია თუ არა მინდიას ეს ნაბიჯი? უდავოა, რომ ეს ნამდვილად მცდარი ნაბიჯია, და აი რატომ: მინდია ახალი იდეების მატარებელია, მან შეურიგებული ბრძოლა გამოუცხადა თემის დახავსებულ მსოფლგაგებას. ამ აქტით კი იგი თავის თავს ზაფანგს უდებს, ამყარებს რა ურთოერთობას ძველთან, მაშინ როდესაც ახალი იდეების გამარჯვებისათვის აუცილებელი პირობაა ძველის რადიკალური უარყოფა და მისთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა.

შვია თემის წარმომადგენელია. როგორც სხვა ზვესურებს, მასაც არა აქვს შეგნებული მინდიას მსოფლმხედველობის არსი და ქმრისაგან იგი ძველ ყაიდაზე ცხოვრებას მოითხოვს. ამ ნიადაგზე მინდიასა და შვიას სახით იწყება ბრძოლა ახალსა და ძველს შორის. შვია ძალას ატანს მინდიას მოკვლას ზეგით, თიბოს ბალახი, ზოცის ნადირი და სხვ. ე. ი. უღალატოს თავის მსოფლმხედველობას. მინდია სისუსტეს იხენს და იწყებს ისეთ ცხოვრებას, როგორც თემის სხვა წევრები.

ამის შედეგად მინდია კარგავს თავის იღუმელ ძალას — ცოდნას.

ვაჟა-ფშაველამ კარგად იცის ბუნების დიალექტიკა. მას შეგნებული აქვს, რომ პროგრესის განვითარების საფუძველი და აუცილებელი პირობაა ბრძოლა ახალსა და ძველ იდეებს შორის. ამავე დროს, მან იცის, რომ ამ ბრძოლაში საჭიროა სიმტკიცე და თვადლება, რომ შეურიგებული ბრძოლის გარეშე შეუძლებელია

ახლის გამარჯვება ძველზე. ამ აზრის ნათელყოფის ემსახურება პოემის სიუჟეტის ბოლო ნაწილიც.

მინდია ცდილობს როგორმე დაბრუნოს ყოფილი ძლიერება, მაგრამ ამაოდ. — მის ველარც მხურვალე ლოცვა და ფერც მსხვერპლის შეწირვა შეეღის. პოეტი არ ემაყოფილებს მხოლოდ მინდიას მიერ რწმენის დაკარგვის ფაქტის აღნიშვნას. პოემის ბოლო ნაწილში ვაჟა გვიხარტავს ჰემშირტი რწმენის ღალატით გამოწვეულ დიდ ტრაგედიას, ერთი მხრივ, მინდიას და, მეორე მხრივ, ხალხის ტრაგედიას.

მინდიას ტრაგედია უმაღლეს მწვერვალს აღწევს, როდესაც მის საზოგადოებრივი ხასიათი ვაჟაზე:

ველარას ვარგებ ქვეყანას
მტრის მომგერებელს ჯარშია —
მტრში, რომ წინანდებური
ცნება აღარ მაქვს თავშია.

როდესაც მინდია ასეთ ტანჯვას განიცდის, ქისტების ჯარი თავს ეცხმის ზევსურეთს. ზევსურთა ლაშქარი თხოვნით მიმართავს მინდიას — ისევე ვაჟაძევს ბრძოლაში, მაგრამ იგი უარს ამბობს ზელადობაზე:

მე ვერას გირჩევთ, ზევსურნო,
აღარ ვვარგევარ მრჩევლადია.

მაგრამ ზევსურები მაინც აიძულებენ მას ვაჟაძევს ლაშქარს. მინდია ბრძოლის დროს არასწორ რჩევას იძლევა, რის გამო ზევსურთა ჯარი მარცხდება. მტერი ცეცხლს უჯიდებს და არბევს ზევსურთა სოფლებს. სასოწარკვეთილი მინდია თავს იკლავს.

ასე ტრაგიკულად მთავრდება ეს პოემა.

„გველის მკამელის“ სიუჟეტის ასეთი განვითარება იმაზე დაბარაობს, რომ პოეტს სურდა ეწვევებინა, თუ რაოდენ მაგნა საზოგადოებისა და თვით მოწინავე პიროვნებისათვის, რწმენის ღალატი, ჰემშირტი გზიდან გადასყვება, შერყევობა ახალი იდეების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ჩვენს აზრით, ასეთი ღრმა ფილოსოფიური იდეა უდევს საფუძვლად „გველის მკამელს“.

1893 წელს ვაჟას დაუწერია პატარა მოთხრობა „მოჩვენება“, რომელშიც მოცემულია ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. მოხუცი, რომელიც კეთილის განსაზღვრებას წარმოადგენს, ასე მიმართავს ბოროტი ძალისაგან დახეჩავებულ ადამიანს: „— ადგილი, შეილა, ადგილი მორწმუნე ხარ და იყავი მარად მორწმუნე, ნუ შესივრება, ნუ ვატყუებში! მაღლა და დეჟილია თვით სიმტკიცე და რწმენა“. ეს მშვენიერი სიტყვები ეპიგრაფად გამოდგებოდა „გველის მკამელისათვის“.

როდესაც პოემა „გველის მკამელის“ იდეაზე ვაჟაძეს ლაპარაკი, არ შეიძლება გვერდი ავუ-

ვიით ალ. ჭუთელაის საინტერესო წერილებს ვაჟა-ფშაველას შესახებ, ამ სტატიებში ავტორი ცდილობს დამატაციოს, რომ პოეტმა „გველის მკამელში“ ვაჟა-ფშაველა მიზნად ისახავს გვიანების, თუ რა სიმახინჯემდე შეიძლება მივიდეს სწორი და სასარგებლო აზრი, უციღურესობამდე განვითარებული, თუ რა ზიანს და ხიფათს უშობდებს იგი ამ მხრივ კაცობრიობას“.

ალ. ჭუთელაის ეს მოსაზრება ვაჟა-ფშაველას „გველის მკამელის“ შესახებ მცდარია, ჩვენი აზრით. იმისათვის, რომ ნათელყოთ ალ. ჭუთელაის ამ დებულების უსაფუძვლობა, ჩვენ მოგვიხდება მინდიას მსოფლმხედველობის დეტალური განილვა და იმის გარკვევა, თუ რა ხასიათის მატარებელია იგი — მართლაც უციღურესობამდე განვითარებული და სიმახინჯემდე მისული საყოველთაო სიბრაულის გრძობაა, თუ რაღაც სხვა რამ. ენახით, რას ჭადავებს მინდია და მავნეა თუ არა ადამიანთა ცხოვრებისათვის მისი აზრები, შეგედულებები.

მინდიას მსოფლმხედველობის გაგებისათვის საჭიროა მისი მოქმედების საფუძვლიანი ანალიზი. მინდია არ თბხავს ბალახს იმით, რომ ამ დროს უსარგებლოდ იღუპება ყვევლები, რომლებიც შეიძლება გამოიყენებულ იქნეს ადამიანთა გასაკურნავად.

თურმე ზნედა სუბით ყვაილია:
ოღონდ ეწამლონ სნეულთა,
სიკოცხლით ვაფუფუნებულს
არად ავადებენ სხეულთა:
საღზინოდ მსახევენ, კაცთ სარგოდ,
ძვალ-ხოტრეთა ჩამარღვეულთა.

როგორც ვხედავთ, მინდიას ასეთ შეგედულებას საფუძვლად გადებარებული, უციღურესობამდე მისული სიბრაუელი კი არ უდევს მცენარეულობისადმი, არამედ ყვევლების კაცთა სარგოდ გამოყენების სურვილი.

პოეტი პოემაში განსაკუთრებით უსვამს ხაზს მინდიას მოძღვრების არსსა და ხასიათს. იგი სრულიად გარკვევით გვეუბნება, რომ მინდიას მოძღვრებას ადამიანის სარგოდ ბუნების ძალთა რაციონალურად გამოყენება უდევს საფუძვლად და არა მცენარეთა უაზრო სიბრაუელი. ეს მშვენიერად ჩანს ყანასადმი მინდიას დამოკიდებულებაში. ის ცდილობს, რაც შეიძლება დროულად მოცელოს ყანა:

ყანასა სეტყვა აშინებს. —
კაცთ უსაზრდოდ დარჩენა,
თორემ ვით ნამგალს, სეტყვას
სით შეუძლია წახლენა?!.
კაცთ სარგოდ თავსა ზოგჯერ
თვითავი ოჭროს დერანი,
არ სწილით ოხრად ღებობდენ,
პყენდენ ყვენი და ყორანნი.
მტრში ჩქარობენ მოქასა,

ერთად ყვირიან ყველანი,
მსურთ პურად იქცენ, საჭმელად,
რომ მათ გააძღონ შვიტრინი...

ამრიგად, მინდიას სიბრაღული მცენარეები-საღმი ზომავადაქარბებული და მიენე კი არ არის, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, არამედ განსაზღვრული წარმოებითაა შე-მოფარებული და აღამიანთა საკეთილდღეოდ არის გამიზნული. მინდიას ფილოსოფია ბუნე-ბის კანონზომიერებათა, სოციალურ მოვლენა-თა ღრმა ვაგებებს ემყარება და იგი ბუნების ძალთა კავშირობის საკეთილდღეოდ გამოყუ-ნებისაკენ არღს მიმართული.

მინდიას მიერ ხეების „შეიკიდებასაც“ სა-ფუძვლედ ღრმა ფილოსოფიური კონცეფცია უდევს. მინდია არ სჭირს ხეებს და სხვებსაც მოუწოდებს ამისკენ. ამ შეზღუდვაში მინდიას საზოგადოების საკეთილდღეოდ ტყის დაცვის სურვილი ამოძრავებს.

მინდია ქადაგებს ცხოველების მიმართ სიბრა-ღულსაც. მგერამ ეს არ არის „უკიდურესობაში-ღე განვითარებული სიბრაღული“ გრძნობა. მინდია მოუწოდებს ხეცურებს, ხელი აიღონ უშიზო სისხლის ღერაზე, მგერამ ეს არაა გრძნობების ანგარიშმოუტყემელი სიღაქიზე. თვით-თან მინდია ბრძოლის ღროს დაუზოგავად ანა-ღვურებს, ზოგავენ მტრებს. ერთი შეხედვით, თითქოს წინააღმდეგობა იმაში, რომ მინდია ცხოველებს ინდობს, ებრალება ისინი და, მეო-რე მხრივ, მტრის მესრს ავლებს. მგერამ სინა-მღვლეული ამ აქოეთარ წინააღმდეგობას არა აქვს ადვილი, რადგან მინდია ქრისტიანულ-ღმობიერებას და სიყვარულს კი არ ქადაგებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ უაზრო, გაუმართ-ღებელი სისხლისღვრის წინააღმდეგია.

ამრიგად, მინდიას მოძღვრება, ცოდნა სამ ძი-რობათ პრინციპს მოიცავს: ბუნების ძალთა რაციონალურ, აღამიანის სარგოდ“ გამოყუენ-ბას, ბუნებაში არსებულ კანონზომიერებათა და-ცვას და ამ კანონზომიერებათა მიხედვით მოქ-მედებას და, ბოლოს, ჰუმანიზმს, გრძნობების სიღაქიზეს და აღამიანობას. ჩვენი აზრით, სამი-ვე პრინციპის დაცვა აღამიანითთვის სასარგებ-ლოა და მისაღები. ვგავ არ კმაყოფილდება ახა-ლი მსოფლმხედველობის პრინციპების წამოყუ-ნებით. აველის მკამელში“ იგი გვიჩვენებს, თუ-ჩა ზიანის მოტანა შეუძლია კავშირობისათვის ამ პრინციპების უგულვებელყოფას. შხიას მიერ ნახული სიზმარი და პოემის ფინალი ამის საუ-კეთესო ილუსტრაციაა.

როგორც მინდიას მსოფლმხედველობის ანა-ღვიდინ ჩანს, მინდიას ფილოსოფია სწორია, სა-სარგებლო და გამოსადეგია აღამიანთა ცხოვრე-ბისათვის. აქედან კი მხოლოდ ერთი დამკენა-კეთდება: ვგავს სრულიადაც არ ჰქონია აზრად ეჩვენებინა ისეთი აღამიანის ტრაგედია და და-მარცხება, რომელიც მცდარი იდეების ვატარე-ბას ამირბება ცხოვრებაში.

რაკი პოემა „გველის მკამელი“ დედაზარი ქართული ლიტერატურის ზოგინტრანს მკვლევარის მიერ სწორად არ იყო განსაზღვრულმა, ეს ხელს უშლიდა პოემის ტაპების სწორად შეფე-სებისა და ვაგების საქმეს. ჩვენს კრიტიკაში სა-ბოლოდ გჯერ კიდევ არ არის დადგენილი აზრი შემდეგ საკითხებზეც კი: დადებითია თუ უაზ-ყოფითი მინდიას პიროვნება? რაშია მინდიას ტრაგედია, თანაუგრძნობს თუ არა ვგავ თავის გმირს, და სხვ. ეს საკითხები მუღმივი დავის საგანადაა ვადაქვეული.

ამის მიზეზი კი ის არის, რომ მკვლევარები აქამედ მინდიას პიროვნებას იმ იდეის შესაბამე-სად წარმოგვიდგენდნენ, რომელსაც ისინი მი-წერდნენ ვგავს პოემას. ამიტომ მათ დასკვნებს სტბიექტური ხასიათი ჰქონდა.

ამ წერილის პირველ ნაწილში ჩვენ ეთქვით, რომ მინდიას მსოფლმხედველობა აღამიანთა ცხოვრებისათვის მავნე და ზიანის მომტანი კი არ არის, არამედ აღამიანთა საკეთილდღეოდ ბუნების ძალთა რაციონალური გამოყენებისა-კენაა მიმართული და ბუნების კანონთა ღრმა შეცნობას ემყარება. ქვემოთ შევეცდებით მინ-დიას სახის წარმოდგენას იმ მხატვრული ხერ-ხების ანალიზის საშუალებით, რომლებიც ვგავმ გამოიყენა მთავარი გმირის დასახატად.

მინდია, უბრაველს ყოფისა, მეცნიერია, საზოგადოების მოწინავე აღამიანი, ახალი იდეე-ბის მატარებელი. ბუნების მოვლენებში იგი უკეთესად ერკვევა, უფრო მეტს ხედავს, ვიდრე თემის დანარჩენი რიგითი წევრები. მისი თვალ-მხედვის პორიზონტი უფრო ფართოა, ესაა მი-სი უპირატესობა. ამასთან იგი თემის ძველი, მავნე შეხედულებებისა და ტრადიციების წი-ნააღმდეგ მეტროთლი პირიყენება.

მინდია უაღრესად სპეტაკი და საზოგადოებე-სათვის თავდადებული აღამიანია, იგი ხალხის ინტერესებს პირად ინტერესებზე მალა აყე-ნებს, მთელ თავის ძალასა და ცოდნას საზოგა-დოების კეთილდღეობას ახმარს. ამავე დროს ეს გმირი უაღრესად ტრაგიული პიროვნებაა. მხატვრულ ლიტერატურაში ძნელია მეორე ისეთი პერსონაჟის მოშენება, რომლის ტრაგედიას ასეთი ღრმა საფუძველი ჰქონდეს. ამას ვგავმ იმით მიაღწია, რომ სიბრძნის დაკარგვით ვა-მოწყვეულ პიროვნებას ტრაგედას სოციალური, საზოგადოებრივი ხასიათი ამისცა და იმით ეს ტრაგედია მეუწელომელ სიმაღლეზე აიყვანა.

„გველის მკამელი“ შესწავლასთან დაკავშე-რებულ არც ერთ საკითხზე არ არსებობს მკვლე-ვართა შორის აზრთა ისეთი სხვადასხვაობა, რო-გორიც იმის ვაპო, თუ რა არის მინდიას ტრა-გედიის მიზეზი. ერთი ამბობენ, მინდიას ტრა-გედია იმაშია, რომ მან „ქაჯური“ — არადა-მიანური ცოდნა შეიძინა; მეორენი ამტკიცე-ბენ, რომ მისი შეხედულებება არასწორია და ცხოვრების ჰუმანიტ კანონებს ეწინააღმდეგე-ბიან; მესამენი მისი ტრაგიკული ბედის მიზეზს

სიბრალულის გადაჭარბებულ გრძობაში ზედა-
ვენ და სხვ. მაგრამ ეს მოსახრებანი თვითონვე
აბათილებენ და უარყოფენ ერთმანეთს.

როგორც პოემიდან ჩანს, მინდიას მთელი უბე-
დურება მას შემდეგ დაატყდა, რაც მან თავის
რწმუნას უღალატა, თავისი ძველებური ცოდნის
დაკარგვა და საზოგადოებისათვის გამოუსდევარ
პიროვნებად იქცა. ერთი მხრივ, მიწიდა სიბრძნის
დაკარგვას, როგორც პირად დანაყლისს, უადრე-
სად მტკიცებულად განიცდის: „დაკარგულ სულს
და ხორცზედა, ეხლა დღე და ღამ ვტრიაა! —
ამბობს იგი. მეორე მხრივ, მისი ტანჯვა უმაღ-
ლეს მწვერვალზე იმის შეგნების გამო აღის,
რომ საზოგადოებისათვის წინაინდებურად გამო-
სდევგი აღარ იქნება: „ერთი-ღა ვარგო ქვეყანას,
დაჯიარებელი ცოდნითა“, მოაქვამს მიწიდა.

ვაჯა-ფშაველა რწმუნის. დაღატაკი შედეგად
გამოწვეული მიწიდას ტრაგედიისა და დაღუპვის
ჩვენებით მეთოხველს ახალი იდეებისათვის
ბრძოლაში სიმტკიცისაგან მოუწოდებს.

ასეთია მიწიდას სახე პოემა „გველის მჭამელ-
ში“. ასეთი ტიპი სრულიად შეუფარდება იმ
იდეას, რომლის ნათელსაყოფად დაწერა ვაჯამ
ეს პოემა.

იმის გამო, რომ გველვარებს შორის დავა
არსებობს ვაჯამ მიწიდასაღმი დამოკიდებულე-
ბის საიუთხზე, უნდა ვაჯარკეთით, თანაურგრძობის
თუ არა ავტორი მიწიდას, იზაარებს თუ გმობს
მის მოსოფლმხედველობას?

ალ. ქეთელია თავის წერბილში — „მიწიდას
ტრაგედია“ ამბობს: „ვაჯა არ თანაურგრძობის
თავისი პოემის „გველის მჭამელის“ მთავარ
გმირს. მიწიდა არ არის მისი იდეის გამოხატვე-
ლი...“ ეს მტკიცება მცდარია. მიწიდასაღმი ავ-
ტორის დამოკიდებულეა მეღვენდება იმ ხერ-
ტებსა და ფერებში, რომელთაც იგი ხმარობს ამ
გმირის დასახატავად. ცხადად ჩანს, რომ ავტო-
რის სიმპათია მიწიდას მხარეზეა, რადგან იგი
მას აჯიღდობებს დადებითი თვისებებით და ისე
წარმოუვიდგენს, რომ მეთოხველში მისდაში თა-
ნაგრძობის იწვევს.

მიწიდა ყველა იმ თვისებით არის დაჯიღდოე-
ბელი, რაც კემშიარბი ბელადს უნდა ახასიათებ-
დეს. მას მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: ნებისყო-
ფის სისუსტე, მერყეობა, რის გამოც იგი დათ-
მობაზე მიდის ძველის წინაშე და თავის რწმე-
ნას დაღატაკობს. მაგრამ მისი უარყოფითი მხარე
ვაჯამ ისეთ ფერებში დაფიქტავა, რომ ჩვენში
მხოლოდ სიბრალულსა და თანაგრძობის იწვევს
მიწიდასაღმი.

ამრიგად, პოემის ანალიზი გვიჩვენებს, რომ
მიწიდა დადებითი ტიპია. იგი ისეთივე მოწინა-
ვე აღმამიანია, როგორც აილი და ქეთელიაერი,
ჯოვოლა, აღაზა და სხვები და ვაჯა-ფშაველა
მათი მომხრე და მოზარეა.

როგორც ცნობილია, ძირითადი იდეები, რომ-
ლებიც განსაზღვრებენ მწერლის მოსოფლმხედვე-
ლობას, მისი ნაწარმოების წინაარსს, სიუჟეტე-

ბი და ხასიათები, რომელიც იგი ჩვეულებ-
რივად მიმართავს, მისთვის უკუაქმედებელი
მხატვრული ხერხები და უკმა-განმარტებელი
სხვადასხვა ნაწარმოებში, შეადგენენ ამა თუ იმ
მწერლის შემოქმედებითს თვისებებებსა ანუ
სტილს. ყველა კემშიარბი მწერალს თავისი სა-
ცუთოთი სტილი აქვს. ამა თუ იმ ნაწარმოების
რაობის გამოსარკვევად ღიდი მნიშვნელობა
აქვს მწერლის სტილის გათვალისწინებას. მწერ-
ლის სტილის, მთელი მისი შემოქმედების
გათვალისწინება, ნაწარმოების კონკრეტულ
იდეურ-მხატვრულ ანალიზთან ერთად, უტყუო-
რი გასაღებია ამა თუ იმ ნაწარმოების რაობის
დასადგენად და მისი სწორად შესაფასებლად.

თუ ჩვენ „გველის მჭამელს“ შევადარებთ
ვაჯა-ფშაველას სხვა ნაწარმოებთ, დაინახავთ,
რომ როგორც იდეურია, ისე მხატვრული ხერხე-
ბის მიხედვითაც მათ შორის ბევრი რამ არის
საერთო.

ვაჯას მთელ შემოქმედებაში წითელი ზოლი-
ვით გადის ბუნების ძალთა აკეთა საჩაგოდ, რა-
ციონალურად გამოყენების იდეა. ვაჯა-ფშაველა
ახალი იდეების დამკვიდრებისათვის ბრძო-
ლაში სიმტკიცისა და შეუღრველობის მქადა-
გებელია. მის მთელ რიგ ლექსებში, პოემებში,
მოთხრობებში დაპირისპირებული არიან თეში —
თავისი დახვსებული, ძველი მოთფლმხედველ-
ობით და მოწინავე, ახალი იდეების მატარებელი
აღამიანები. ვაჯა ყველგან ამ მოწინავე აღამი-
ანების მხარეზეა. აღსანიშნავია ისიც, რომ თით-
ქმის ყველა პოემაში, ისევე როგორც „გველის
მჭამელში“, მოწინავე იდეების მატარებელი
აღამიანები დროებით მარცხს განიცდიან.

მოციყენათ რამდენიმე მაგალითი. გოგოთუ-
რის ცოლსა (პოემა „გოგოთური და აფშინა“) და
შზაის შორის („გველის მჭამელი“) ბეჭრია საერ-
თო. ისევე როგორც შზია, გოგოთურის ცოლიც
მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს
მისთვის სულ ერთია, რა გზით იქნება მიმო-
ხებული ეს კეთილდღეობა. ცოლი ურჩევს გოგო-
თურს, ძარცვის ხალხს და ნაძარცვი სახლში
მოუტანოს, ურჩევს მიბაძოს აღშინას, რომელიც
ყარალობით ირჩენს თავს. შზიავე მოთხოვს მიწ-
დასაგან, ისევე იცხოვროს, როგორც სხვა ხე-
სურები, და გამარკვის ბუნება. შზიასაც აღმა-
რავებს იგივე სურვილი პირადი კეთილდღეობის-
სა და არ დადივებს იმას, თუ რა უარყოფითი
შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას საზოგადოებ-
სათვის. აფშინას მაგალითზე ვაჯამ გვიჩვენა,
თუ რა მოელოდა გოგოთურს იმის გამო, რომ
ცოლის სიტყვას აკყოლიდა. „გველის მჭამელში“
კი ცოლის არასწორი რჩევის შედეგი მოცემუ-
ლია პოემის ფინალში. გოგოთურის ცოლის
რჩევა მანევა და უარყოფილია ვაჯას მიერ, რად-
გან იგი საზოგადოების ინტერესებს ეწინააღ-
მდეგება. ეს ნათლად ჩანს გოგოთურის სიტყვე-
ბიდან, რომლებითაც მან აღშინას მიმართა:

ხომ იცი, საქართველოა
ყველა კეთილიან მტრინი,
მგზავს მიწებ უიარაღს,
კაცი არა ხარ, ღვთიანი?

ერთმანეთის ძარცვა და ხოცვა იმ დროს, როდესაც ირგვლივ საერთო მტერია, საზოგადოებისათვის მანვე და საზიანო იყო.

ასევე როგორც აღზა და ჯოჯოლა („სტუმარ-მასპინძელი“), აღუდა ქეთულური (პოემა „აღუდა ქეთულური“), მინდიაე თემის დაბეჭელებული ძველი შეხედულებების წინააღმდეგ იბრძვის. როგორც ცნობილია, აღზა, ჯოჯოლა, აღუდა ქეთულური დროებით შარცხლებიან ამ ბრძოლაში, მაგრამ ორივე პოემა ობტივისტურად ბოლოვდება. მკითხველა გრძნობს, რომ ეს შაით დროებითი დამარცხება და სიმძარტულ შათ მხარეზეა. ასევე შარცხდება მინდიაე, თუმცა მინდია მართალი იყო. და მიუხედავად იმისა, რომ იგი პირადად დამარცხდა, მისი იდეები ადრე თუ გვიან მაინც გაიმარჯვებენ. ამანვე შეტყვევებენ თვით პოემის ბოლო სტრიქონები:

ნიაიე მიდ-მოდოლა
უღარდოდ, ნელს მღერითა...
ფრთა ვაკერის წვერსა ხმლისასა
ამოღერებულს ენითა,
შაღებულს ჭიაფერადა
კაცის ვულ-მერდის წვენითა,
და გათამაშდის შწანეზე
ლაღად, მოღენით, სტენითა.

ის უდიდესი ჰუმანიზმი, რომელიც დამახასიათებელია ჯოჯოლასათვის, აღზასათვის, აღუდა ქეთულურისათვის, დამახასიათებელია აგრეთვე მინდიასათვისაც. ვაჟას ყველა პოემაში ჰუმანიზმი განსხვავდება ქრისტიანული კაცთმოყვარეობისა და ლმობიერებისაგან. ვაჟას გმირებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ გამსაზღვრელი ისტორიული პირობების გამო შეუძლებელია გამოიყენო ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი ძირითადი მცნება — „არ მოკლა“. ისინი კლავენ მტერს, რადგან ეს აუცილებელია.

მაგრამ ისინი წინააღმდეგი არიან სისხლისღერი-სა და უღმობელოებისა, რაც არის მტრულბრძო-ბით ნაყარანხევი. აღუდა კლავს მტრულბრძო-კაცურ ბრძოლაში, მაგრამ იგი წინააღმდეგია ისეთი უღმობელი ადამისა, როგორც ხელის მოჭრაა. ასევე იქცეოდა ჯოჯოლა. ამ მხრივ მინდიაე არ წარმოადგენს გამონაკლისს. იგი თუმცა წინააღმდეგია ნადირის ხოცვისა, მაგრამ მტერს, რადგან ეს აუცილებლობით არის გამოწვეული, მესრს ავლებს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მინდიას მსოფლმხედველობის ზოგიერთი მხარე ემთხვევა ვაჟა-ფშაველას შეხედულებებს ამივე მოვლენების შესახებ, რომლებიც მას, ვაჟას, არაერთგზის გამოუთქვამს, როგორც თავის პრინციპულ ნაწარმოებებში. მაგალითად, მინდიასეულ სიბრაველით ცხოველებისა და მცენარეუ-ბისადმი გამსჭვალულია მოთხოვნები „შვლას ნუკრის ნაშობობი“, „კურდღელი“, „ია“ და სხვ. არ შეიძლება მინდიასეული ბუნების აღქმა არ დავინახოთ ვაჟას დიდებულ ლექსში — „ღამე მთაში“.

ხევი მთას მონებს, მთა-ხევისა,
წყალნი — ტყეს, ტყენი — მდინარეთ,
ყველანი — მიწას და მიწა —
თავის აღზრდილთა მცენარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზე ოფლ-გამდინარეთ!

ამ სტრიქონებში მოჩანს ბუნების კანონზომიერებათა მინდიასეული შეცნობა.

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ აქედანაც ნათლად ჩანს, რომ პოემა „გველის მამალი“ განცალკევებით კი არა დგას პოეტის დანარჩენი წმინილებებისაგან, არამედ მასში დიდი საძლიერო იგრძნობა ვაჟას პოეზიის თავისებურება. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ძირითადად იდეებში და მხატვრულმა ხერხებმა სრულყოფილი გამოხატულება სწორედ „გველის მამალი“-ში“ პოეეს.

ბორის პასკერაძე



შოპენის შესახებ

1.

ადვილია რეალისტი იყო ფერწერაში, ისეთ ხელოვნებაში, რომელიც ზედით არის მიპყრობილი გარესსამყაროსადმი და, ვარდა ამისა, სხვა მრავალი მიზეზის გამო მუდამ საკუთარ ფეხზე დგას მთელი ახალი ისტორიის მანძილზე; იგი ყველაზე შემდგომრობული, ზემთაგონებული და კეთმოყვარულია. მაგრამ პირობითობას და ორქოვობას არაფერს ამატებენ ხალხმ ისე ადვილად, როგორც მუსიკოსს, ვინაიდან მუსიკასავით ხელოვნების არც ერთი სფერო არ არის გამსკვლეული რომანტიზმით, ამ მუდამ ადვილად მისაწვდომი განწყობილებით; და ეს იმიტომ, რომ არაფრით არ შეიძლება შემოწმდეს წმინდა სუბიექტივიზმის საწყისები. აქ თვითონ ხელოვნად — საერთოდ ევზოტიკური არსება — უფრო ნიღბაფარებულია და უფრო ნაკლებ ჰგავს ვაკევეული პროფესიის ადამიანს, და როგორც ვეფლავერი ამჟღავნად, ეს სფეროც დაერდნობილია გამოჩაყლისებზე. ისინი ქმნიან მთელს გაღერებს, ისინი შედგენენ მუსიკის ისტორიას. მაგრამ არის კიდევ გამოჩაყლისი გამოჩაყლისთა შორის, ეს ორია — ბაბი და შოპენი.

საკვირველი არ არის, რომ უპირატესად სწორედ ესენი გვეჩვენებთან სარწმუნო მოვლენებად საკუთარ სამოსელში, რომ მათი დეტალებით მოჭარბებული შემოქმედება ჩვენზე ახდენს ცხოვრების მატანის შთაბეჭდილებას, რომ სინამდვილე სხვებზე უფრო მეტად გამოსწავივის მათ ბეჭატებაში. სწორედ ესენი არიან მთავარი ბურჯნი და შემქმნელი ინსტრუმენტელი მუსიკისა, ამ უბნის მუსიკალური მოვლენისა, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს თავისი, მარაოალი, ბნელი მოცული, მაგრამ ძველის ძველი ევკალური წარმოათული დესვეტი.

რეალიზმი მუსიკაში — ეს არ არის საპროგრამო ან საოპერო მუსიკის ილუსტრაციულობა. კომპოზიტორი-რეალისტი იგუფავს, რაც რეალისტ-წერალი. სიტყვის სახითი შესაძლებლობანი სრულიადაც არ არის უფრო მარტივი. სიტყვა „დედამიწა“ როდი შეიცავს შავ გარონებს იმისას, რასაც იგი აღნიშნავს. გოგოლის სტილი, სრულიადაც არ არის იმით მიღწეული, რომ წერალი სინგურს შეურყევდა ზოლზე მელანში.

რეალიზმი ყველგან, ფერწერაშიც კი, არის ნამდვილად მხატვრული დეტალზაციისა და

დამთავრებულობის ის განსაკუთრებული ზომიერება, რომელსაც არ მოითხოვენ ხელოვანი-საგან ესთეტიკის „ზოგადი წესები“. აქ შეჩერდებოდა ხელოვანი-რომანტიკოსი. მას შეუძლია მიმართოს პოეტურ თხზვას. მის განკარგულებაშია გაცივებული გამოჩაყლებობა: თეატრალური რიტორიკა, ორატორული მკვერმეტველეობა. რა-ღა ქმნის ხელოვან-რეალისტს? შთაბეჭდილებიანობა ბევრებაში, კეთილსინდისიერება მოწიფულობაში. სწორედ ესენი მოუწოდებენ მას სამშრომლად, რომელიც რომანტიკოსისათვის უცნობია და არცაა სავალდებულო მისი საკუთარი მოგონებები, მათი ტირანია მოაქნებენ მას იმ ტექნიკურ აღმოჩენათა სფეროში, რომლებიც აუცილებელია ამ მოგონებათა წარმოქმნისათვის. რეალიზმი არის სიღრმე ბიოგრაფიული ტიფიარისა, რომელიც ვადამკუცული ხელოვანის ბედისა და მის ძიებათა მთავარ მამოძრავებელ ძალად.

შოპენი რეალისტი იმევე გაგებით, როგორც ლეე ტოლსტოია. მისი შემოქმედება ორიგინალურია არა იმით, რომ არ ჰგავს მეტოქეთა შემოქმედებს, არამედ იმით, რომ მეტად დაახლოებულია ნატურალთან, საიდანაც იგი იწერებოდა. იგი ყოველთვის ბიოგრაფიულია არა ეგოცენტრიზმის გამო, არამედ, იმიტომ, რომ, სხვა დიდი რეალისტების მსგავსად, შოპენი უცქეროდა თავის სიცოცხლეს, როგორც ყოველგვარი ამქვეყნიურის შემეცნების იარაღს, და სწორედ ასეთ გულწვად-პირადულსა და უანგარიშოდ-განმარტებულ ცხოვრებას ეწეოდა.

შოპენის ენა, გამოხატვის მთავარი საშეულება, რომლითაც გამოთქმული აქვს მას ყოველგვ. რისი თქმაც სურდა, იყო მისი მელიოდი, ყველაზე ხალასი და მძლავრი იმ მელიოდიებში, რომლებიც კი ჰქვენ გვსმენდა საერთოდ. ეს არი არის მოვლ. კუპლტად დატრიალებული მელიოდიური ჰანგი, არ არის საოპერო არიისთვის ჩვეული განმეორება, რაიც ჰმას დაუსრულებლად გამოჰყავს ერთი და იგივე, ეს არის წინსვლითი განვითარება, რომელიც მოგვაგონებს მიმზიდველი მოთარბობის მდინარებას ან დიდ-მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის შინაარსს. იგი ყოველისშემძლეა არა მარტო ჩვენზე შემოქმედებით, ყოველისშემძლეა იგი იმ აზრითაც, რომ მისი დესკოტოში განიცადა შოპენმა თავის თავზე, როცა დამძულ გამოქვანებლობით შემპყრობილი პარაზინზაციისა და ზმების



გამოყენაში იგი მისდევდა მელოდიის ყველა უფაქიზეს მიმოტრას, იმ მელოდიისა, რომელიც თავისთავად წარმოადგენს მთლიანობას და უნებურად იმორჩილებს მსმენელს.

მაგალითად, მესამე მი-მაჟორული ეტიუდის თემა შემანის საუკეთესო სიმღერათა კრებულების დიდების მოუხვეჭდა აქტორს მანინაც კი, რომ იგი უფრო ზოგად და ზომიერად ყოფილიყო გადაწყვეტილი. მაგრამ შოპენისათვის ეს მელოდია იყო სინამდვილის წარმომადგენელი, მის მიღმა იდგა რომელიღაც რეალური სახე ან შემთხვევა ცრთველ, როცა მისი საყვარელი მოწაფე უკრავდა ამ ნაწარმოებს, შოპენმა ზე-დომარაბა მუშტები და წამოხაზა: „ო, ჩემო სამშობლო!“, და აი, შოპენ თადაფიქვებთი ეძებს მოდულაციებს. უკანასკნელ ნახევარტონამდე არჩევს შუაბმის სექუნდებსა და ტერციებს, რათა ერთდროულად დარჩეს ამ თემისა და არ უღალატოს სიმართლეს.

ან ტერციებიან სოლ-დომ-მინორულ ეტიუდში, რომელშიაც გადმოცემულაა ზამთრის გზა (ამ შინაარსს ხშირად მიაწერენ მეშვიდე დო-მაჟორულ ეტიუდს), გაწყობილება, შუბერტის ელფენზის მსგავსად, შეიძლება მიღწეულიყო ნაკლები საშუალებებით. მაგრამ არა. საჭირო იყო გამოხატვა არა მარტო იმისა, როგორ მიქროს მარხილი აქტორის სულში და ცხოვრებაში, პოლონეთის ისტორიაში და ამზობებაში, აზამედ იმისაც, თუ გზის ისარს შეუწერებლად და ერთი კუთხით როგორ ხაზავენ ერთად მოკლე რავე ფეთხი ფიფქები, მეორე კუთხით კი ამ გზას სჭრის ტყვიასავით მძიმე შავი ჰარპონტი, და ეს ბეჯითად გამოყვანილი განმარტების სურათი შეიძლება გადმოცეცა მხოლოდ ასეთს, ჭრომატულად მოცემივამ, ყრუდ მეღერსა და მიზნდელი მინდორს.

ან ბარკაროლაში — შთაბეჭდილება, რომელიც მენდელსონის „ვენეციელი ვონდოლიერის სიმღერას“ ემსგავსება, შეიძლება მიღებული ყოფილიყო უფრო მოკრძალებული საშუალებებით, და სწორედ მაშინ იქნებოდა ეს პოეტურად მიაბლოვებული იმ გაწყობილებასთან, რომელსაც ჩვეულებრივ ვუკავშირებთ. ასეთი სახის სათაურებს. მაგრამ არა! ზეითივით მრგვალებდომენ და იფანტებოდენ ხანაბაროს სანათურები შეე ამოხუნტელ წყალში, ერთმონეთს ეჯახებოდნენ ტალღები, ადამიანება, მათი სიტყვები და ნავეები, და იმისათვის რომ ეს აღბეჭდილიყო, სულითონ ბარკაროლა, მთლიანად, როგორც ის არის, მთელი თავისი არხეჯიოებით, ტრეკლებით და ფორმულაგებით, აუზის მსგავსად, უნდა ამოძრავებულყო ზეითი და ჰვეით, აზიდულიყო და ცულაშენით მახეთქებოდა თავის ორგანულ პუნქტს, მისი ჰარმონიული სტიქიონის მავორელ-მინორელი თრთოლვით ჩახშული.

ყოველივეის სულის მზედველობის არეში (სმენა კი სწორედ ეს არის) დგას რაღაც მოდელი,

რომელსაც შეიძლება მიუახლოვდეს, რათა შეისწავლო, ჩაუდებერ სრულყოფილად — შეარჩიოს ამიტომაც არის ასეთი ხმაურის წვეთების დო-მიო-მაჟორულ პრელუდში: ამიტომაც მოაქუნებს ცენონისანი ესკადრონი შემსრულებლისა და მსმენელისაკენ ლა-ბემოლ-მაჟორულ პოლონეზში, ამიტომაც მოქუებს მთის წყაროები და, ამავე დროს, შენაძლებლბით ვითარდება რაღაც სულეერი ამბავი სი-მინორული სონატის ბოლო ნაწილში, ამიტომაც ანახლად გაიხსნება ზოლმე სარკმელი ღამით ამფარდნილი კარიშხლის დროს ფა-მაჟორული ნოქტურნის შუა ნაწილში.

შოპენი მოგზაურობდა, კონცერტებს მართავდა, ნახებობა ცხოვრება პარიზში გაატარა. მას ბევრი იცნობდა, მის შესახებ მოგვემოცემა მოგონებანი ისეთი გამოწვნილი ადამიანებისა, როგორიც იყვნენ ჰაინრიხ ჰაინე, შუპანი, ეორჯ სანდი, დელაკრუა, ლისტი და ბერლიოზი. მათ შივრ მოწოდებულ ცნობებში ბევრი რამ არის ძვირფასი, მაგრამ უფრო მეტია ლამაზიაც უნდინებზე, ეოლოსის ქნარებზე და შეყვარებულ ფერიებზე, რამაც წარმოადგენა უნდა მოგვეცეს შოპენის თხზულებებზე, მისი დაკერის მანერაზე, მის გარეგნობაზე და მის ხასიათზე. ერთობ საოცარია ცაქობართის მეტყველება მისი არსებობის ზოგიერთ ასაკში საოცრად მეტყველებს ზანდაზან ცაქობრიობა. კიდევ უფრო საოცარია, როდესაც ვესურს სახელი შევარქვათ ჩვენს აღტაცების საგანს, მოკარბებული გრანოზის გამო ენათლავთ მას სრულიად შეუფერებელი სახელწოდებით. ყველაზე ნაკლებ ბუღობდნენ ამ ადამიანში ფერიები და საღამანდრები, როცა ის მოსკოლდებოდა ზოლმე როიალს და მიაჩნდებოდა მაღალი საზოგადოების სასტუმროთა ბეჭდებისა და ელენის გუნდს, რომელიც შუა იპოზოდა მის წინაშე, მიდიოდა იგი, ფე-ნიშენალურად გამოცეითილი, თავდაფიქვებამდე გენიალური, თავაზიანი, თავდაპირილი და დამ-კინაიე, ღამ-ღამობით მუშაობისაგან, დღისით კი მოწაფეებთან მეცადინეობით სამინდლო და ქანუელი. ამბობენ, რომ იგი ხშირად ასეთი საღამოების შემდეგ, სტუმრები რომ გამოეყვანა მისი იმპროვიზაციებით გამოწვეული გარინდებიდან, შეუშინებულად შეიპარებოდა წინა ოთახში, მიიჭებოდა სარკესთან, აიბურღ-დაიბურღავდა ყელსახვევსა და თმებს, იგრემეცელი შემობრუნდებოდა სასტუმროში. შემდეგ იგონებდა სასაცილო ნომრებს, თხზავდა ტექსტს და წარმოსახავდა ხან წარჩინებულ ინგლისელ მოგზაურს, ხან აღტაცებულ პარიზელ გოგონას, ან ლარბს მოხუც გზარულს. აღბათ, დიდი ტრავიკული ნიჭი წარმოუდგენელია ობიექტურობის გრანძობის გარეშე, ზოლო ობიექტურობის გრანძობა არაფერია მიმეკური უნარის გარეშე. შოპენი იყო დიდი იმიტატორი და, აღბათ, გემოვნებისა და კეთილმოზიონების გარდა, მართლაც, საჭირო იყო კომიკოსისა და კარიკატურისტის ეს დამკვირვებლობის უნარიც, რათა შო-

პენს ჩატარებინა ის რევიზია მთელი მუსიკალური ბუნებისა, რომელიც მოცემული იყო თვით მის ხასიათში, თვით მის მუსიკალურ მანერაში. რაიგ რადიკალურად შეაჩინა მან ყველაზე აუცილებელი, გამაჰყო და გააძლიერა იგი! მელოდიურობის მხრივ როგორი არნახული მძავალი შეიძინა ამ გადასინჯვის შემდეგ ვამის ზოგიერთმა საკვანძო საფეხურმა, რა იღუმალად ვაციისკროვდა ზოგიერთი. პარმონიული კუნჭული ამ ხარისხის მოულოდნელობის მოდულაციებით, რომ ისინი გარდასახვად გვეჩვენებიათ! აქ უკვე წინასწარ არის განქვერდული და ნაკარნახევი მომავალი ვაგნერული და ლისტური სახალეთა მთელი სისტემა.

მეგრამ საითაც უნდა მივყავდეთ შოპენს და რასაც უნდა ვვანდებდეს იგი, ჩვენ ვემორჩილებით მის გამონახონს გონებრივი უხერხულობის გრძობის გარეშე. ყველა ეს დრამა და ქარიშხალი აბლოს მოდის ჩვენს გულთან, ისინი იქნებ ჩვენც გადაგვხდეს; და ეს მაშინაც კი, როცა ფანტაზიებში, პოლონეზების ნაწილებსა და ბალადებში გამოდის ლეგენდარული სამყარო, რომელიც სიუჟეტურად ნაწილობრივ დაკავშირებულია მიკევიჩთან და სლოვაკისთან, მაშინაც თანამედროვე შეხვედრითიან ადამიანთან გამებულია დამაკავშირებელი ძაფი. ეს არის მიშლეს ან პუშკინის მიერ დამუშავებული რაინდული თქმულებები და არა ფეხშიშველა, რქიან მუზარაღში გაჭვეული ბანჯგელიანი ზღაპარი.

განსაკუთრებით დიდია ამ სერიოზულობის ტვიფარი შოპენის ქმნილებათა შორის ყველაზე შოპენურ ნაწარმოებებში — ტრეპტოებში.

თუ ბახის მრავალრიცხოვან ნაწარმოებებში ლოებს და დარიგებებს ორგანზე და რითალზე დაკერის შესახებ (მთ შორის ყველაზე სახელგანთქმულია „ტემპერირებული რითალი“) ვინა და უწოდო ბერაში გამოსახული პრაქტიკული ლეთისმეტყველება, შოპენის ეტოღდებიც სცილდებიან პედაგოგურ ჩარჩოებს, რომლებშიც ისინი, თუნდაც თავისი სახელწოდების მიხედვით, თავსდებიან. ეს ტექნიკური საეარჯიშოები წარმოადგენენ ადამიანის სულიერი ნამოღვარისა და შრომის საუკეთესო ნიმუშს. ესენი არიან მუსიკალური გამოკვლევები სამშობლოს ისტორიისა და მშობლიური კერის შესახებ და სიკედლის თემის საფორტეპიანო შესავლის ცალკე თავები. მით უფრო საკვირველია, რომ ამ ნაშრომების ნახეარი დაწერილია ოცი წლის კბაუკის მიერ. შოპენის მნიშვნელობა სცილდება მუსიკის ფარგლებს. მისი ნაწარმოებები ზრდიან არამუსიკოსებსაც. ეს არის ჩვენი საერთო განათლების შემადგენელი ნაწილი. პირადად ჩვენ ღიდად ვართ მისგან დაჯალბული, შოპენის ნაწარმოებების საფუძველზე ჩვენ გავიგეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტექნიკის შემოქმედებით ძიებებში. მისი მოღვაწეობა, ჩვენის აზრით, მუსიკის ხელმოორედ აღმოჩენაა.

პერიოდ პედაგოგიკა



შალვა ლაგაზიძე

არ ვიცი, დადგება როდესმე დრო, როცა შალვა მხოლოდ მოგონებად დარჩება ჩემთვის? ეფექტობ — არასოდეს. ეს იმიტომ, რომ შალვა ჯერ არ არის წარსული, ის ჯერ კიდევ დღევანდელია, ეს იმიტომ, რომ როცა ვლაპარაკობ თეატრის შემოქმედებაზე, ქართული თეატრის დღევანდელ მიღწევებზე, შალვაე ჩვენთანაა, ის ჯერ ვერ შევეცალეთ, ის საჭიროა ყოველ წარმოდგენაში, რომელიც დღეს მიდის ჩვენს სცენაზე, და კიდევ იმიტომ, რომ ჩემი თაობის ცხოვრებაში შალვას ის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რომელსაც ალბათ ვეღარავინ შეაქვს. შემოქმედებითი ცხოვრება რთულია, აღსავსე სიძნელეებით, წინააღმდეგობებით, ხან სიხარულით გამთბარი, ხან გულწრფელია და დარღობით მოცული, და როცა ასეთ რთულ ვითარებაში შემოქმედი შეძლებს შეინახოს თავისი თავი უშფოველი, სუფთად, ყოველგვარი ლაქის გარეშე — ეს იშვიათია და ამიტომაც — დაუფასებელი. შალვამ ასე განვლო თავისი ცხოვრება.

ჩემთვის შალვა სიმბოლოა უღარესად მართალი, ნათელი და კეთილშობილი მსახიობისა, ის სინონიმია მსახიობის შემოქმედებითი ნამუშისა და პატიოსნებისა. ასეთი იყო შალვა სცენაზე, ასეთივე იყო ცხოვრებაში. მასში ყველაფერი პარმონიულად იყო შერწყმული, დაწყებული გარეგნობიდან — აზოვანი, მეტყველი სახე, გამთბარი კეთილშობილური ღიმილით, გულში ჩამოწვდილი ხმა; მთელი თავისი შინაგანი არსით — სუფთით ლამაზი, გულთი კეთილი და მოსიყვარულე, ხასიათით — მშველი და უწყინარი. მისი არტიკული ნიჭი ერთ მთლიანობაში იყო მოქცეული: მეგობარს ცხოვრებაში, მეგობარის სცენაზე — ამ სიტყვის უკმაში მნიშვნელობით. შალვასათვის სცენაზე ვერაფერ უფრო დამახასიათებელი თვისება იყო პრაქტული უსამართლობის წინააღმდეგ, ბრძოლა სიმართლისათვის, ადამიანისადმი სიყვარული, — ეს თვისება ძლიერად მოიხანდა მის მიერ შექმნილ თითქმის ყველა სახეში. მაგრამ შალვა ხომ ცხოვრებაშიაც ასეთი იყო! მისი გმირები გამოირჩეოდნენ სულიერ სილამაზით. შალვა იყო მსახიობი, რომელმაც მხატვრული შემოქმედების ფართო ტოლფეხზე მთელი სიღრმითა და სიამართლით, სისადავითა და სანამდვილის საოცარი შეგრძნებით ასახა ადამიანი თავისი, მდიდარი და კეთილშობილური ბუნებით. და ცხოვრებაში

შიც შალვა თვითონ იყო მაგალითი სინდისიერებისა, სიყვითისა, ღრმობა და მძლავრი მისი სიყვარული ხელაღწევისადმი, გულწრფელი და წმინდა.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის არსებობა შალვასათვის ნიშნავდა თავისი საკუთარ არსებობას, ამ თეატრის გარეშე მას თავისი თავი არაფრად მიიჩნდა, და ავადმყოფი შალვა რომ არასგზით არ მოშორდა თეატრს და უკანასკნელ წუთამდე სცენაზე იყო, ეს განა არ ნიშნავს საქმისადმი დიდ სიყვარულს? დიახ, შალვას თეატრი მეტად უყვარდა, ვიდრე თავისი თავი. შალვა იყო ტბილი და გულსსმეირი მეგობარი. მან არ იცოდა არავის წყენინება, მისგან არასოდეს არ გაფრთხილებდი უხეშ სიტყვას, და თუ რამე ეწყინებოდა, გულს ატყენდა, — არ იცოდა ხმამაღლა ჩივილი, მხოლოდ თვალბნეში შეგატყობდით და რსდა და წუხილს. შალვას ბუნება იყო — ღული, რომელიც ხარბად სუნთქავს და ხარბს სიციოცლობა. შალვა გახლდათ შესანიშნავი ქართველი ინტელიგენტი, პატრიოტი ჩვენი სამშობლოსი, ჩვენი ხალხის, ჩვენი ეპოქისა. მე ყოველთვის მაყვირებდა და ძალიან მომწონდა მისი მისწრაფება — ყველაფერი სციოდნოდა, არაფერი გამორჩენილი. ის მწვავედ განიცდიდა ჩვენი ცხოვრების ყოველ მოვლენას. თითქოს თვალწინ მიდგას შალვა — მაღალი, აწეული თავით, მომღიმარი სახით, წიგნებითა და გაზეთებით ილიაში შაობიჯებს თეატრისაკენ, და როცა თეატრში შემოდის, თითქოს სითბო ემატება თეატრს, სიციოცლებს ემატება. შალვას ამხანაგებს გვიყვარდა მისი საპირფარეოში ყოფნა, საგრილო მაგიდაზე ყოველთვის ელაგა ასლად შექმნილი წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, გატაცებით გვიკითხავდა. ადვილეს წიგნებიდან ანდა წერალებს — ყველაფერს, რაც კი ემთხვეოდა მის მრწამსს თეატრზე, ხელაღწევაზე. ჩვენ უღვეული საათები გაგვიტარებია საყვარელი თეატრის პირ-ვარამზე ფიქრში, შაპსში, ერთხელ მან მითხრა: მართალია ნემსიოფან-დანინეყო, ყველაზე უფროს ადამიანებად რომ მსახიობებს თვლის. თუ ეს არა გწამს, ძნელია თეატრში ყოფნა! და შალვას ეს სწამდა იმიტომ, რომ თვითონ იყო შესანიშნავი და საყვარელი ადამიანი. ერთხელ ჩვენი მუშაობით უშეყოფილონი, ვკავრებდით თეატრის ბრწყინვალე წარსულს — მარჯანიშვილის წარმოდგენებს. მას დიდხანს ვერ ატყენა ეს პესიმისტური განწყო-

ბილება, მითხრაც ზომ მიეყარს ჩვენი თეატრის
ის პერიოდი, მაგრამ კიდევ მოვესწრები ბრწყინ-
ვალე წარმოდგენებს თეატრში, ეს იქნება მარ-
ჯანიშვილისებური წარმოდგენები... ასე სჯერო-
და მას, ასე ოცნებობდა თეატრზე, ოცნებობდა
ისეთ როლებზე, რომელთა შესრულებაც არ
დასცალდა. იგი გარდაიცვალა მაშინ, როცა აღ-
საესე იყო დაუხარჯავი ენერჯითა და ძალით,
ჯანუხორციელებელი სურვილებით...

შალვა ღამბაშიძის სიცოცხლე და მოღვაწეო-

ბა მაგალითია კეთილშობილური სამსახურისა
ბალხისადმი.

სამუდამოდ დარჩება ჩვენს მემკვიდრეობაში
შალვა — სულით ახალგაზრდა, ეთიკურად შეყ-
ვარებული ხელოვნებაში, შეყვარებული თე-
ატრში.

ჩემთვის კი შალვა, უშანგი ისეთი ძვირფა-
სი შეგობრები და პარტნიორები იყვნენ, რომ
მათ დაეარგვას ჩემი გული ვერასოდეს ვეღ
შეურიგდება.

3. ი. ლენინი საქართველოს შესახებ



საბრუნველი წიგნის ავტორი მიზნად ისახავს ქართველ საბჭოთა მეთევლეს უზენის ის უდიდესი როლი, რომელიც შესარულეს ვ. ი. ლენინის ბრძნულმა საბელმძღვანელო მითითებებმა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და განვითარების საქმეში.

ავტორმა დოკუმენტური მასალებისა და ისტორიული ფაქტების საფუძველზე შეძლო ნათლად ეჩვენებინა ლენინი როგორც საქართველოს მშრომელთა უდიდესი მეგობარი და მასწავლებელი, შეძლო ეჩვენებინა, თუ რა დიდ დავადად შრომას ეწეოდა დიდი ბედადი იმისათვის, რომ რევოლუციურ საქართველოს მოეპოვებინა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება, დაემსხვრია მრავალთა უღელი და გამოსულიყო სოციალისტური შენებლობის ფართო გზაზე დიდ რუს ხალხთან ერთად.

ვ. ესაიაშვილის წიგნი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ახლო იცნობდა მსოფლიო მემკვიდრის გენიალური ბედადი — ლენინი ქართულ კულტურას, ეკონომიკას, რა ახლო ურთიერთობა ჰქონდა მას ქართველ რევოლუციურ მარქსისტებთან, როგორ წრთენდა და ხელმძღვანელობდა მათ.

ავტორი იძლევა ლენინის გენიალურ ნიჭარმოვთა გავრცელების სერათს საქართველოში და ცხადყოფს, თუ როგორ აღორძინებდა ეს შრომები ქართველი მარქსისტების მოთმუნებულობას. ვ. ესაიაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ლენინის შრომები, წარმოადგენდნენ რა მარქსიზმის განვითარებას, მარქსიზმის შემოქმედებითს გამოყენებას რუსეთსა და ყერძოდ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ, აძლედა ქართველ მარქსისტებს შესაძლებლობას სწორი ორიენტაცია ჰქონოდათ მიმდინარე კლასობრივ ბრძოლებაში, სწორედ გარყვნილიყვენ პოლიტიკურ ვითარებაში.

ავტორი ცხადყოფს, რომ ქართველ რევოლუციურ მოღვაწეთა შეიარაღება ლენინის თეორიული შრომებით წარმოადგენდა ერთერთ გადამწყვეტ ფაქტორს საქართველოს ვონებრივი მოძრაობისა და მისი კულტურის აღმავლობის საქმეში. წიგნის პირველ თავში ვ. ესაიაშვილი გადმოგვცემს ლენინის შეხედულებებს საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციის შემდგომი დედალი ეკონომიური განვითარების შე-

სახებ. ავტორი ადგენს, რომ საქართველოს რევოლუციის შემდგომი დედალი ეკონომიური განვითარების გაცნობა და შესწავლა ლენინს დაუწყია 1893—1894 წლებიდან, ე. ი. ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როდესაც ის შეუდგა რუსეთის ეკონომიკის განვითარების საფუძველიან შესწავლას. სამართლიანდაა აღნიშნული, რომ ლენინმა პირველმა მოგვცა რუსეთის რევოლუციის შემდგომი დედალი ეკონომიური განვითარების მარქსისტულ ანალიზთან ერთად საქართველოსა და ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების მეცნიერული ანალიზი, გვიჩვენა რუსეთის კაპიტალიზმის პროგრესული მნიშვნელობა ამიერკავკასიისათვის, გახსნა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ცალკეული მხარეების ანალიზის საფუძველზე ამ პოლიტიკის კლასობრივი არსი. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეკონომიური განვითარების ლენინის უდიდესი დავადად იყო მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის რევოლუციის ხასიათისა და მისი მამოძრავებელი ძალების განსაზღვრა-დადგენის საქმეში. ლენინის მიერ რუსეთისა და საქართველოს ეკონომიური განვითარების მთავარი ტენდენციის დადგენით, იმის დასაბუთებით, რომ რევოლუციის შემდგომი დედალი რუსეთში (და საქართველოში) ეკონომიური განვითარების მიმართულება კაპიტალისტურია, რომელსაც მოსდევს პროლეტარიატის წარმოშობა და განვითარება, ნიდაგი ეცლებოდა ნაროდნიკულ და წერტილურეუზიულ თეორიებს. სამწუხაროდ, ავტორმა ნრდილში დატოვა ის ფაქტი, რომ ლენინმა გვიჩვენა არა მარტო რუსეთისა და საქართველოს ეკონომიური განვითარების საერთო ტენდენცია, მიმართულება, მათი განვითარება კაპიტალიზმის გზით, არამედ ამ განვითარების დამამსახიებელი თავისებურებანიც, რომ სწორედ კაპიტალისტურ განვითარების თავისებურებათა გახსნის საშუალებით განსაზღვრა ლენინმა რევოლუციის უახლოესი საფეხურის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი. კაპიტალიზმის განვითარების ამ თავისებურებათა გახსნის გზით ლენინმა გვიჩვენა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თავისებურებანი, რომ ამ რევოლუციის ლერქს წარმოადგენს აგრარული საკითხი, რომ ბურჟუაზია არ შეიძლება იყოს ამ რევოლუციის ბედადი, რომ კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებანი რუსეთისა და საქართველოში პროლეტარიატს აწუხებს ამ რევოლუციის

პეგეშონად, ხოლო გლეხობას — პროლეტარიატის მოკავშირე რევოლუციურ ძალად.

ესაბაშვილის ნაშრომის მეორე თავი ეხება ლენინის რჩლის გარკვევას საქართველოში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნის საქმეში. ავტორი გვიჩვენებს, რომ ლენინი საქართველოში რევოლუციური მოძრაობის დასაწყისიდანვე ანგადა ამ მოძრაობისადმი შეუწავლველ ინტერესს. წიგნში საკვებით მართებულად გატარებულია აზრი, რომ ლენინს, როგორც რევოლუციურ მარქსისტს, სხვაგვარად არც შეეძლო მოქცეულიყო, რომ ეს ინტერესი ვერდნობოდა ამ შეგნებას, რომ რუსეთში, ამ მრავალრიცხოვან სახელმწიფოში, რევოლუციურ მუშათა მოძრაობას შეუძლია გამარჯვოს ჯრა როგორც იზოლირებულ მოძრაობას, არამედ როგორც რუსეთის ყველა ეროვნების მუშათა ერთიან ფრონტად ქცეულ, რევოლუციურ მოძრაობას.

წიგნის ამ თავში, მეორე მხრით, ავტორი გვიჩვენებს, რომ 90-იან წლებში წარმოშობილ ქართულ რევოლუციურ მარქსისტულ წრეებსა და ორგანიზაციებს ესმოდათ, რომ მათი ბრძოლა კოლონიური ჩაგვრისა და ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ უწყვეტად იქნებოდა, თუ რევოლუციური მოძრაობა იმთავითვე არ მიიღებდა ინტერნაციონალურ, ერთიანი ფრონტის ხასიათს. წიგნში ხაზგასმულია, რომ ეს ერთმანეთთან დაკავშირების ტენდენციები იმთავითვე ქმნიდა იმის ზელსაყრელ პირობებს, რომ ქართული რევოლუციური მოძრაობა გამსდარიყო რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განუყოფელი ნაწილი.

შრომში ნახევენია, რომ ლენინის პირადი ურთიერთობა საქართველოს რევოლუციურ მოღვაწეებთან იწყება 1894 წლიდან, ხოლო 90-იანი წლების დამლევდიან ლენინის სახელი ცნობილი ხდება საქართველოში და ვრცელდება მისი პირველი ნაწერები; „ისკრის“ გამოცემით ლენინის კავშირი საქართველოსთან კიდევ უფრო ფართოვდება და მტკიცდება. მაშინდელ „ისკრამში“ სისტემატურად შექმნილია რევოლუციური მოძრაობის ფაქტები საქართველოში, ხოლო 1902 წელს „ისკრის“ რედაქციამ პროშურავ კი გამოსცა („თბილისის მუშათა მოძრაობის ისტორიიდან“).

ახსიათებს რა ლენინის ზელმძღვანელობას ლენინურ-ისკრული ორგანიზაციებისადმი 1905 წლამდე, ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევდა ლენინი ამურკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ინტერნაციონალურ წყობას, როგორც ისეთ წყობას, რომელიც ზუსტად შეფერავდა რევოლუციური მოძრაობის ამოცანათა წარმატებით გადაჭრას. არ შეიძლება წიგნში მდლევარებით არ წაიკითხოთ იმის დამადასტურებელი ფაქტები, თუ რა სათუთად ვპყრობოდა ლენინი ყველა ეროვნების მშრომელთა ინტერესების დაცვას.

ერთი ასეთი ფაქტია პარტიის მეორე კრილიზაზე პარტიის პროგრამის აგრარული პარტიის შეცვება იმის მოთხოვნით, რომ „დადევებს გლეხებს საელთობად კავკასიაში, ეს მიწები, რომლებშიაც ისინი სარგებლობენ როგორც დროებით ვალდებულნი, ხაზნები და სხვ.“¹

წიგნის მესამე თავში ავტორი გვესურათებს ლენინის ზელმძღვანელობას საქართველოს რევოლუციური მოძრაობისადმი 1905-1907 წლებში. წიგნში ნახევენია, რომ ლენინმა დროულად შეაბარა რევოლუციური მოძრაობა სწორი ტაქტიკით, დასაბუთა შეიარაღებული იჯანყების აუცილებლობა და უჩვენა მისი ორგანიზების გზები. ავტორი მოგვიხატობს, რომ ლენინი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს 1905-1907 წ. წ. რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას ამიერკავკასიისა და საქართველოში; მან მაშინვე შენიშნა, რომ რევოლუციური მოძრაობის ფართო გაქანებაში მცირე როლი როდი შესრულა მშრომელთა ინტერნაციონალურმა დაკავშირებამ. ლენინი შემდეგაც სწორად აღნიშნავდა, რომ ამ მიმართულებით წარმოებელი მუშაობა ამიერკავკასიისა და ქართული ბოლშევიკებისა სანიშნოა. ავტორი გვიჩვენებს, თუ რა შეუწავლველი ინტერესით სწავლობდა ლენინი აგრარული მოძრაობის ფაქტებს, საიმოვნებით აღნიშნავდა, რომ საქართველოს ბოლშევიკებმა შეძლეს შეეტანათ გლეხობაში რევოლუციური იდეები, დაკავშირებინათ გლეხური მოძრაობა პროლეტარიატის მოძრაობასთან, მოექცია გლეხობა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიზმის გავლენის ქვეშ.

სარეცენზიო ნაშრომში აღნიშნულია, რომ ლენინი შეერწმუნებდა ინტერესით სწავლობდა ქართულ გლეხთა მოძრაობას რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, მან იცოდა ამ მოძრაობის ყველაზე მკრთო მნიშვნელოვანი ფაქტებიც კი. ეს ფაქტები ახალი საბუთები იყო ლენინისათვის იმის ცხლსაყოფად, რომ არა ბურჟუაზია, არამედ გლეხობა ის რევოლუციური ძალა, რომელსაც შეუძლია ბრძოლის პროლეტარიატთან ერთად ქვეყნის სრული დემოკრატიზაციისათვის. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა ქართული ხალხის. იმ შესანიშნავ შემოქმედებითს უნარს, რომელსაც იგი იჩენდა რევოლუციური მოძრაობის გაქანების პერიოდში. ლენინი მოახლოვდა, რომ ქართული რევოლუციური მოძრაობის გამოცდილება ცნობილი გამსდარიყო მთელი პარტიისათვის. ავტორი გვიამბობს თუ როგორი ყურადღებით ვპყრობოდა ლენინი გურული გლეხების მოძრაობას, ამ მოძრაობას იგი თვლიდა იშვიათ მოვლედ მთელ მსოფლიო ისტორიაში. ლენინის აზრით, ეს მოძრაობა იყო არა ჩვეულებრივი გლეხური იჯანყი, არამედ საკვებით შეგნებულ მოძრაობა, რომელიც მთლიანად ემ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 674, 103 შენიშვნა.

ხრობა მიიღო რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას. ლენინი მოითხოვდა ამ მოძრაობისათვის მხარდაჭერას. ამუშავდა რა თავის წერილებში რევოლუციისა და აჯანყების მიმდინარე საკითხებს, ლენინი მოუწოდებდა ქართველ ხალხს და მის ზეპირხელს, რომ აჯანყება არ ყოფილიყო დამსაწყველი, მის ერთდროულ და შეტევითი ხასიათი ჰქონოდა და არ ყოფილიყო უგულვებელყოფილი აჯანყების ტექნიკური მხარეები.

აქვე ავტორს მოჰყავს დამადასტურებელი ფაქტები, თუ როგორ ეხმარებოდა ლენინი ქართველ ბოლშევიკებს მეოთხე და მეხუთე ყრილობის პერიოდში ქართველი მენშევიკების ოპორტუნისტულ შეხედულებათა მხილებაში. ზენინ ახარა, წიგნის ამ თავში საჭირო იყო მეტი სისრულით ყოფილიყო წარმოდგენილი ქართველი მენშევიკების — ეორდანიას, წერეთლისა და სხვების აგრარული პროგრამის, კერძოდ ნ. ეორდანიას „მენიციპალური სოციალიზმის“, ლენინისეული კრიტიკა.

მეოთხე თავი ეხება ვ. ი. ლენინისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობას რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე. ეს პერიოდი ერთი მხიშე პერაოდ-დავანია საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში, პერიოდის ქვეყანაში რეაქციის გაძლიერებისა 1905-1907 წ. წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ნაციონალიზმისა და ოპორტუნისტული გაძლიერებისა რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. წიგნის ავტორი ფაქტებით გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში კიდევ უფრო გასპტიკდა და გაფართოვდა მეგობრობა ლენინსა და ქართველ ბოლშევიკებს შორის, რომ, მიუხედავად რეაქციის მძინაწარებისა, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების რიგებიდან არა ერთი და ორი ქართველი ბოლშევიკი გაადა ლენინის გამოჩენილი თანამებრძოლი და სამედო დასაყრდენი რუსეთის მასშტაბით ბოროტად რეაქციისა და ყველა ქვეყნის რეფორმისტ ოპორტუნისტების წინააღმდეგ, რომ ისინი უდიდესი თავდადებით და ერთგულად ეხმარებოდნენ ლენინს რეაქციის პერიოდის უდიდესი ისტორიული ამიჯანების გადწყვეტაში. ლენინი ქართველ ბოლშევიკებს ასწავლიდა, თუ როგორ უზრუნველყო რევოლუციური ძალის ორგანიზებუღი და მოფიქრებუღი უკანდახევა და შენარჩუნებუღიყო რევოლუციის გამარჯვების მთავარი იარაღი — არალეგალური მარქსისტული პროლეტარული პარტია.

აქვე ნაჩვენებია, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებს განუხრეოდ ზელმძღვანელობდნენ ლენინის მიითთებებით ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. წიგნში ნათლად ჩანს, თუ რა სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისინი ნაციონალური საკითხის დამუშავებას, მარქსისტულ-ლენინური

მოდერების ფართო პროპაგანდას ნაციონალურ საკითხზე. ავტორი მოგვიხატობს, თუ როგორ ეხმარებოდა ლენინი ქართველ ბოლშევიკებს მენშევიკების კულტურულ-ნაციონალური ავტონომიისა და ნაციონალური საკითხის სხვა არამარქსისტულ თეორიათა და პროგრამათა განადგურებაში.

წიგნში აღნიშნულია, რომ პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა ვერ შექლო კავშირი ჩაეშალა ლენინსა და ქართველ ბოლშევიკებს შორის, რომ ლენინი შეუნეღებელი ერთდროებით ეცნობოდა საქართველოს შესახებ ურსებულ ლიტერატურას და პირადად ეხმარებოდა ქართველ ბოლშევიკებს გარკვეულიყენენ ომის ურთულეს საკითხებში. ავტორი გვიჩვენებს, რომ ქართველ ბოლშევიკებს, ლენინთან საბუნლოვის წყალობით, საშუალება ჰქონდათ ზელნაწერში გასცნობოდნენ ლენინის გენიალურ ნაშრომებს, მის შეხედულებებს ომის საკითხებზე.

ნაშრომის მეხუთე თავი ეხება ლენინის ისტორიულ როლის ჩვენებას საქართველოში საზოგადოებრივი ვითარების ახალ საფეხურზე, საქართველოში საბჭოთა ზელსუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის, საქმეში. წიგნის ეს ნაწილი დიდი ინტერესით იკითხება: აქ ნაჩვენებია, თუ რა დიდი თეორიული და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინა ლენინმა ქართველ ბოლშევიკებს — გარკვეულიყენენ რთულ საზოგადოებრივ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა საქართველოსა და ამიერკავკასიაში განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ 1921 წლამდე. ავტორი გვიჩვენებს, რომ ლენინმა აშხილა საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ სათავეში მყოფი ქართველი მენშევიკების საწინააღ და საგარეო პოლიტიკის კურსის კლასობრივი ხასიათი და მიმართულება.

ავტორის შრომის მეექვსე და უკანასკნელ თავში არკვევს ლენინის როლს საბჭოთა საქართველოს სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ვესაიაშვილი ნათელყოფს, თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენდა ლენინი საქართველოს შრომელებისადმი, რათა ვადიდებინა მათთვის იმ დიდ სამეურნეო სიძნელეთა გადალახვა (განსაკუთრებით სურსათის ნაკლებობით გამოწვეული მშიშე მღვმიარეობა), რაც შექმნილი იყო საქართველოში მენშევიკების დიქტატურის შედეგად.

ასეთია საკითხები, რომლებზე გარკვეულია წიგნში — ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ“.

როგორც ზემოთაღ აღენიშნეთ, წიგნი ინტერესით იკითხება. ავტორი მდიდარი ფაქტობრივი მასალის სისტემატიზაციისა და ანალიზის საფუძველზე ნათელ წარმოდგენას ვადალევს იმ უდიდეს ისტორიულ როლზე, რომელიც შეასრულა მშრომელთა უდიდესმა პელადმა — ლენინმა ახალი საბჭოთა საქართველოს დაბადებასა და აღმავლობაში.

გ. მისკალიშვილი.

იონა მეუნარგიას ლიტერატურული მემკვიდრეობა

იონა მეუნარგიას სალიტერატურო ისპარჯზე გამოსვლისას ქართული ლიტერატურა მეტად ღარიბი იყო ჩვენი კლასიკოსების ბიოგრაფიებით. მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ამ უმშარბიტმა მემკვიდრემ პირველმა იღო თავს დიდი ტვირთი და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართველი მწერლების ბიოგრაფიების შედგენას მთავრობდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ი. მეუნარგიას დამსახურება ქართული ლიტერატურის ისტორიის წინაშე. იგი თავის თავს „ქართული ლიტერატურის მეწერილიმანს“ და „ფაქტების მოქმედებელს“ უწოდებდა. მ-იანს წლებადან მოყოლებული იგი ფაქტით ხელში ახვედრებდა გამოჩენილ მწერლებს და გულმოდგინედ ინიშნავდა თავის „სამახსოვრო წიგნაკებში“ მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველ წერილმანს. „არქივების გადახედვას და იმით შედგომების გასწორებას უოველთვის მოესწრება კაცი, — ამბობდა მეუნარგია, — ზღო რეპირად ვადმოცემული ისტორია იყარგებაო“.

ი. მეუნარგიას ღვაწლს დიდად აფასებდნენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები. ილია ჭავჭავაძის „იფრიამ“ მეუნარგიას მიერ შედგენილ ბიოგრაფიებს რამდენიმე ფეხსტრი უძღვნა. გ. ერისთავის ბიოგრაფიის გამო ილია შენიშნავდა: „ეს ისეთი ოსტატობით და ხელოვნებით შედგენილი ბიოგრაფიაა, ისეთი ცოდნით და გულმოდგინებით, რომ ყოველ ევროპელს ლიტერატურაშიაც კი თვალსაჩინო და თავმოსაწონები იქნებოდა. ჩვენივეს ხომ რაღა თქმა უნდა... მეუნარგია სწორედ ამ სასურველ სამსახურს გვიწევს და მადლობის ღირსიც აიბრძო არის“.

ი. მეუნარგიას მოღვაწეობა ბიოგრაფიული ნაშრომებით არ შემოიფარგლება. იგი ს. მესხისა და ივ. მაიახლის შემდეგ ხშირად ასრულებდა „დროების“ რედაქტორის მოვალეობას, აქვეყნებდა ხალხური სიტყვიერების მასალებს, წერდა პედაგოგიკურ წერილებს. განსაკუთრებით ილია ახად დასლო მან „ვეფხისტყაისის“ ტექსტოლოგიურ დადგენას. მან შეკრიბა პოემის ხელნაწერები და აქტიური მონაწილეობა მიიღო გრ. ორბელიანთან, ი. ჭავჭავაძესთან და პ. უმიჯაშვილთან ერთად პოემის გამოცემის საქმეში. მანვე თავაწინა „ვეფხისტყაისანი“ ფრანგულ ენაზე აღანიშნავდა აგრეთვე ი. მეუნარგიას ღვაწლი მე-19 საუკუნის მწერალთა ნაშრომებების აღმოჩენასა და დადგენაში. მაგალითად, მის დამსახურებად ჩაითვლება ი. ბარათაშვილის ხუთი ლექსის („ცოცხა ფერს“, „ღამე ყაბახზედ“ და სხვ.) მოპოვება და იმის დასაბუთება, რომ ისინი ნ. ბარათაშვილის კალამს ეკუთვნის. მანვე მოგვცა

გრ. ორბელიანის ლექსების ტექსტოლოგიური ინტერპრეტაციები.

იონა მეუნარგიას სარეცენზიო ნაშრომი — „ქართველი მწერლები“ (ს. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით), რომელიც გამოცემა საქართველოს სსრ განათლებულ მსაზღვრეობის სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა, ერთი მთლიანი ტომის სახით პირველად ქვეყნდება. მასში მოთავსებული ნარკვევების უმეტესობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა გამოცემაში იყო გამოქვეყნებული.

წიგნი ოსნება ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიული ნარკვევით. იგი ვრცელდება სახით პოეტის არქივში აღმოჩნდა, დოკუმენტულია და, ეტყობა, ავტორს ამ სახით დაბეჭდვის ღირსად არ უცნია. მიუხედავად ამისა, ნარკვევი ჩვენივეს ჰაილანს საინტერესოა. ეს არის ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიის შედგენის პირველი ცდა.

„ცხოვრება და ღვაწლი გრიგორ ორბელიანისა“ კაპიტალური ნაშრომია, თავისი გვერდით-მასალების სიღარიბით და საკითხების სიმრავლით სანიშნოა. იგი პირველად 1904 და 1905 წლების „მოამბის“ ნომერებში გამოქვეყნდა, შემდეგ ცალკე წიგნად დაიბეჭდა. წყაროებად ავტორს უმთავრესად გამოყენებული აქვს პირადი ჩანაწერები, პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, თანამედროვეთა მოგონებანი, ლიტერატურული წყაროები და სხვ. ნარკვევი არსებითად წარმოგვიდგენს მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების ვრცელ და საინტერესო სურათს. მეუნარგიას ნაწერების უმთავრესი ღირსება ის არის, რომ ავტორი უოველთვის შეინიშნებულ და სანდო ფაქტობრივ მასალას ეყრდნობა. ვერძოდ, ამ ნარკვევში ეპოქის საზოგადოებრივი ტენდენციებისა და მოვლენების ასახვა მდიდარ მასალებზე დაამყარებული. შეიძლება ავტორს არ დავეთანხმოთ ზოგიერთი მითგანის ახსნაში, მაგრამ ეს გარემოება ხელს არ გვიშლის გამოვიყენოთ ფაქტებით მდიდარი მონიშნული ჩვენი ლიტერატურის ისტორიის მთელი რიგი საკითხების გასაშუქებლად.

ი. მეუნარგია ერთი პირველთაგანია, რომელმაც შეაკრძალ ვაკრიტიკო ანტონ პირველის გრამატიკული სკოლის პრინციპები და საქმიოდ ძლიერი არგუმენტებით გვიჩვენა „სამი სტილის“ თეორიის რეაქციული ბუნება. მან ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ ლიტერატურაში ანტონის მიერ შემოღებული არქაული და ხელოვნური ენა და სტილი არ ეგუება ქართული საერო-სახალხო ენის სტრუქტურას, მოწყვეტილია ხალხის ბუნებრივ შტრუქტურას და აფერხებს სალიტერატურო ენის კანონზომიერ განვითარებას, ამასთან დაკავშირებით ი. მეუნარგია არკვევს გრ. ორბელიანის პოზიციას „მამთა და შვილთა“ იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა უმთავრესად ენისა და სტილის საკით-

ებების გარშემო. მისი აზრით, ორბელიანის ენას საშუალო ადგილი უჭირავს საეკლესიო და „მდიბიო“ მეტყველებას შორის („მდიბიოში“ გულისხმობის ახალი ქართული აღნაგობას).

ზოგიერთი კომენტებით ორბელიანის ენის ეს კვალიფიკაცია მისაღებია. ყოველ შემთხვევაში, გრ. ორბელიანის მონათვლა უკიდურეს პრაქსისკად, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, ჩვენი აზრით, დაუსაბუთებელია. შემთხვევითი როლია, რომ „მემათა და შეილთა“ პირველ ბრძოლაში (სამოციან წლებში) ორბელიანი არ ჩაერეა, ეტყობა, ის მომზრე იყო ორთოგრაფიის ნაწილობრივი რეფორმებისა. თაობათი ბრძოლის მეორე ეტაპზე კი (70-იან წლებში), ორბელიანმა, მიართალია, დავმო ახალი თაობის ენობრივი პოლიტიკა („პასუხი შეილთა“), მაგრამ ამ მეორე ბრძოლას, პირველთან შედარებით, უფრო მკაფიოდ გამოვლინებული პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად და არ განისაზღვრებოდა ლიტერატურული პრიბლემების ვიწრო ფარგლებით (ეს პოლიტიკური ვითარებანი დამწერლებით განიზღუდა ლ. ასათიანის მონოგრაფიაში: „გრ. ორბელიანი“, 1946).

სარეცენზიო წონის კომენტარებში გამოქვეყნებულია ი. მენუარჯიას მიწაწერები გრ. ორბელიანის ლექსებზე, სადაც გარკვეულია ჩვენი კლასიკოსის პოეტური მემკვიდრეობის არაერთი და ორი საკითხი — ლექსების თარიღები, მათში მოხსენებული პირების ამოხსნა, მოცემულია ტექსტოლოგიური შენიშვნები. ორბელიანის ტექსტის დასადგენად და გასაშიფრავად ამ მიწაწერებს დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით ასევე ძვირფასია მენუარჯიას შორის „ცხოვრება და ზოგია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, რომელიც დიდი მწერლის პირველ ბიოგრაფიას წარმოადგენს. სარეცენზიო წიგნში სრულად არის აღდგენილი ბიოგრაფიის პირველი დედი ვარიანტი ადრე დაბეჭდილი ტექსტისა და ფრაგმენტულად შემორჩენილი ხელნაწერების შედარების გზით.

ჩვენი ყურადღებას იპყრობს ბარათაშვილის „მერანის“ სწავისების ძიება „ვეფხისტყაოსანში“. ი. მენუარჯია პირველი იყო, რომელმაც ამგვარი პარალელი გაავლო და რუსთაველისა და ბარათაშვილის პოეტურ გააზრებაში საგულისხმო შეხვედრები დაადასტურა. მაგრამ ფუნდებელია აღინიშნოს, რომ მენუარჯიას ხელნაწერი, სადაც აღწერილია ეს საკითხი, გვიან გამოქვეყნდა. მისგან დამოუკიდებლად ეს მოაზრება წამოაყენა სიმ. ჩიქოვანმა სპეციალურ წერაში. დებულება შემდეგ ვაიხიარა და გააყრუო პავლე ინგოროყვამ (იხ. პ. ინგოროყვას გამოკვლევა, რომელიც ერთეის ბარათაშვილის 1945 წლის ავადმეორ გამოცემას).

სარეცენზიო წიგნში ქართული რომანტიკოსების ცხოვრების აღწერას მოსდევს მონოგრაფი-

ები ისეთ ქართულ მწერლებზე, როგორც იყვნენ გ. ერისთავი, კოლიდელი, მამია გურიელი, დავით ერისთავი და გ. ვარლამიძე. ეს ნაშრომებიც დიდი ინტერესით ჩკითხვანი და წათელს მუდნს ქართულ მწერლობის ისტორიის არა ერთსა და ორ მნიშვნელოვან საკითხს.

აღსანიშნავია, რომ ოთხი მენუარჯიას ნაშრომებს გარკვეულა მეთოდოლოგიური და ფაქტობრივი ხასიათის ნაკლოვანებანი აქვს.

ძირითადია ის, რომ მენუარჯიამ ვერ შეძლო მოეცა ლიტერატურულ თაობათი ბრძოლის საფუძვლების ღრმა ანალიზი. ეს გარემოება განსაკუთრებით თავს იჩენს იქ, სადაც ფეტორი ცდილობს გახსნას მწერლის შემოქმედებითი თვისებურება და მისი ადგილი ლიტერატურის ისტორიაში. მაგალითად, მენუარჯიამ სწორედ ვერ შეაფასა გრ. ორბელიანის მოღვაწეობა; იგი უთუოდ გაზეიადებულად წარმოვდიდგენს ორბელიანის რაღს ჩვენს საზოგადოებრივ ისტორიაში და არ ეთანხმება ამ თვალსაზრისს, რომელსაც ადგენენ ი. ჰაქვათაძე და ა. წერეთელი.

70-იან წლებში თაობათი შორის გამართულ მეორე ბრძოლას მენუარჯია ასე აფასებს: „ვინ სტყუოდა და ვინ იყო მართალი ამ პოლემიკაში? მგონია, რომ ორივე სტყუოდენ და ორივე მართალნი იყენენ“ (გვ. 450). თაობათი ბრძოლის ასეთი კვალიფიკაცია მცდარია, ისტორიული პერსპექტივის გაუთვალისწინებლობის შედეგია. დღეს ჰვენთვის სასუბებით ცხადია, რომ მწერლობის ასაზრზე ე. წ. „თერგდალულუბნი“ გამოჩენაში ძირფესვიანად შეცვალა ძველი თაობის ენობრივი და სალიტერატურო პოლიტიკა. ახალი თაობის წარმომადგენლები, რომელთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების უმთავრეს მწერალს წარმოადგენდა დიდი რუსი ხალხის შესანიშნავი შეილები — ბელინსკის, ჰერნიშევსკის, დობროლიუბოვის პოეტრესული აზროვნება, გამოხატადენენ მოწინავე ქართველი საზოგადოების სულისკვეთებას. ისტორიული სიმართლე ამ თაობის მხარეზე იყო.

ნარკვევს გრ. ორბელიანის შეხებზე საკმაო ხარვეზები აქვს მასში დახასიათებული არ არის ორბელიანის სამხედრო მოღვაწეობა, მკრთალოდ გამოიყურება ორბელიანი-სარდლის პორტრეტი. ბიოგრაფის ვანკარტულემაში საკმაო მასალა არ იყო, რათა შესაფერად აეწერა კავასისის ომი, რომლის მონაწილეც გრ. ორბელიანი გახლდათ. ქართულ საბჭოთა ლიტერატურის მკვლევრობაში მიღებული შედეგები უკვე აესებენ ამ ხარვეზს; აღმოჩენილი და შესწავლილია მრავალი საგულისხმო დოკუმენტი; გამოცემულია და ისტორიულად გამოიფრთა გრ. ორბელიანის წერილების ორი ტომი, რომლებიც გვიანობდენ ორბელიანის სამხედრო მოღვაწეობის მნიშვნელოვან მასალებს. ამ საქმეში უთუოდ დიდი წვლილი მიუძღვის პ. ვაწერელის.

ეს მდიდარი ენციკლოპედიური ლიტერატურა მნიშვნელოვან წიხარს წარმოადგენს მე-19 სუ-
კუნის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვი-
თარების ვასაცნობად.

აგრეთვე სწორი არ არის ი. შეუნარგიას მტყი-
ცება, თითქოს ალ. ჭავჭავაძეს მონაწილეობა არ
მიეღოს 1832 წლის შეთქმულებაში.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიულმა
არ ისთარგებს ი. შეუნარგიას მიერ წამოყენებულ
დებულებას, თითქოს ბარათაშვილის „მერანი“
დაწერილია მიცვენიის „უარისის“ ძლიერი
გავლენით. პ. ინგოროვამ დეტალური ანალიზის
შედეგად ცხადი გახადა, რომ აქ გვაქვს შორე-
ული სახის კარგისპონდირება, რაც არავითარ
წესილო კავშირზე არ მიუთითებს. ამ რთი ნა-
წარმოების პოეტური სტილი, კოლორიტი და,
რაც მთავარია, იდეური გამიზნულობა და თე-
მატიკური რკალიც არსებითად დაშორებულია
ერთმანეთს.

ი. შეუნარგიას თქმით, სულხან-საბა ორბელი-
ანისა და დ. გურამიშვილის ენა ზელოვნური
კონსტრუქციებით დამძიმებულ და არქაული
იყო (გვ. 165). სინამდვილეში კი, პირიქით,
დ. გურამიშვილისა და ს. ორბელიანის ენა და
ლაზიადრული სტილი სანამდენოა ქართულ ლი-
ტერატურაში სისადვიეთ, ხალხურ მერყეულ-
ბასთან სიახლოვეთ, ქართული ენის შინაგანი ბუ-
ნებიდან გამომდინარე ნათელი კონსტრუქციებით.
წიგნის რედაქტორს ს. ცაიშვილს დიდი
წრამა გავუყვია ი. შეუნარგიას ლიტერატურ-
ული მემკვიდრეობის გამოსაჭყუენებლად. თან-
დართულ კომენტარებში მოცემულია შეუნარ-
გიას არქივის აღწერა, დაგროვილია ბიბლიო-
გრაფიული და სხვა ხასიათის მასალა, წარმოდ-
გენილია შეუნარგიას ხანაწერების უბის წიგნაყ-
ბიდან, მინაწერები შწერლების ლექსებზე; გარ-
კვეთლია ზოგიერთი საკითხი წიგნში აღძრულ
პრობლემებთან დაკავშირებით და სხვ. რედაქ-

ტორის საველისსმო მოსაზრებები აქვს გამოთქ-
მული ბარათაშვილის დაბადებას-თარიღის, პოე-
ტის პორტრეტისა და სხვა სადავო, საკითხების
შესახებ. კომენტარებში ვეცნობით იმ ცხოველ
გამომხარებებს, რაც მოჰყვა შეუნარგიას ნაწრო-
შების გამოქვეყნებას იმდროინდელ ქართულ
პრესაში.

გამოცემას ზოგიერთი ნაკლიც ახასიათებს.
„შენიშვნებსა და კომენტარებში“ რედაქ-
ტორს არ შეუტანია ი. შეუნარგიას უბის წიგნ-
აკვში მოცემული სინტაქსის მასალა ალ. ჭავ-
ჭავაძის შესახებ (იხ. ლიტერატურული მატიანე-
ტ. 1). ეს კი აუცალბებელი იყო, თუ გაეითვა-
ლისწინებთ იმ გაგრძობებს, რომ ნარკვევი „ალ-
ჭავჭავაძე“ ფრამენტულია და ეს მასალა მას
შეესებდა. გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის მეორ-
ე ნაწილში რუსული საბუთების ტექსტი ქარ-
თული თარგმანებითაც უნდა ყოფილიყო მოცე-
მული; წიგნს არ ერთვის საძიებლები, რაც შე-
უფერხებლია აკადემიური გამოცემისათვის.
კომენტარები გადატვირთულია: შეიძლება
ი. ჭავჭავაძისა და ი. წერეთლის ცნობილი სიტყ-
ვები, წარმოთქმული გრ. ორბელიანის დაკრძალ-
ვის დღეს, კომენტარებში არ ყოფილიყო შეტა-
ნილი. ზედმეტია წიგნში აგრეთვე ი. შეუნარგიას
ლექციების ვრცელი რეცენზიები, რომლებიც
ამდროინდელ პრესაში იბეჭდებოდა. შეიძლე-
ბოდა დავამუყოფილებულიყავით მათზე მითი-
თებით ამ მოკლე ანოტირებით.

ი. შეუნარგიას „ქართული შწერლების“ პირ-
ველი ტომი ძვირფასი საბუქარია ზგენი შწერ-
ლობის ისტორიული დაინტერესებული მკითხვე-
ლისათვის. იგი ნათელს ჰგენს ცნობილი ქართ-
ველი მოღვაწის ნაყოფიერ ლიტერატურულ
მოღვაწეობას. სასურველია მეორე ტომის მალე
გამოცემა.

ზსთა ქიმიზური

ალ. კვიციანიის ნარკვევები

„რა დიდი ბედნიერებაა იყო მონაწილე ამ
ბრძოლის, იყო მშენებელი ზგენი, წვალზე მდი-
ნარსავეთი ვაშლილი და თავის განვითარებაში
მუდამ შეუწერებელი ცხოვრებისა“ — წერს
ალ. კვიციანი, და აი, სწორედ ეს აზრია გიტა-
რებული ამ წიგნში მოთავსებული თითქმის ყვე-
ლა ნარკვევი.

როდესაც ალ. კვიციანის სარეცენზიო წიგნ-
ში შეტანილ პირველსავე ნარკვევს — „იალდე-
ბისაკენ“ ბოლომდე წაიკითხავთ, იმდენად მხატვ-
რულადაა დაწერილი იგი, ისეთი ცოცხალი სუ-
რათებია მოცემული, გამოკვეთილია ტიპები,

და საერთოდ უკუდგებულია სავაზეთო ნარკვე-
ვების უმრავლესობისათვის დამახასიათებელი
წმრალი სქემატიზმი, დაუსრულებელი ცოდვრი
და ტრაფარეტული პერსონაჟები, რომ მკითხ-
ველზე იგი მოთხრობის შთაბეჭდილებას ახდენს.
სწორედ მხატვრულობა, კუშიარტიად ბუნებრი-
სტული მხატვრულობაა ალ. კვიციანის ნარკვე-
ვების დამახასიათებელი თვისება. ბუნების პლას-
ტიკური სურათებით, შრომის პროცესის მხატვ-
რული აღწერით, ცოცხალი დიალოგებით ავ-
ტორმა შეძლო თავისი ნარკვევებისათვის სრულ-
ფასოვანი ბუნებრივსტული ნაწარმოების საბე-
მიცვა. აი, ერთ-ერთი მგავალით ავტორის მიერ
ბუნების სურათის აღწერისა:

„საბანოს თავზე უღრუბლო ცის ლავეარდზე

ალ. კვიციანი, ნარკვევები, წერილები. სა-
ხელგამი. 1955.

ფრთხილად ირბები ლევიებით მიიყვებოდნენ პაერის დინებას, გაოცებული კვირკვირით რიალებდნენ კვირთებში. ცად აწედილი მწვერვალები კი ჯანლის საბურველს იხვედნენ თავზე. სულ დაბლა-დაბლა ეშვებოდა ნისლი, საყუთარი სიძიმით იღვრებოდა თავივე ხეობებში, ზოგჯერ ღრუბელს თითქმის ფეხი დაეცურადებოდა ფერდობზე და მაშინ ჯანლის პრილიში შთის ზურმუხტოვანი კორდები გამოკრთებოდნენ ("იილაღებისაკენ", გვ. 16).

და ასევეა თითქმის ყველა ნარკვევში, იქნება ეს ალაზნის ველისა თუ სამგორის ხბოკის, უკრაინის ტრამალებსა თუ რუსეთის ველების ილწერა.

გარდა მხატვრული სიძლიერისა, ალ. კვიციანილის ნარკვევები ყურადღებას იქცევენ თემატიკური მრავალფეროვნებითაც. ავტორი დიდი გულისყურით აღწერს როგორც კახელ მეცხვარეებს, ისე უკრაინულ კოლმეურნებს, სამგორისა და კახოკის მშენებლებს. ყველგან და ყოველთვის იგი ხედავს ამ დიდ სამუშაოებს, რომლებიც საშუალო მთავრობამ და მშობლებმა პარტიამ გამოაგვიშინა გმირი მშრომელი ხალხის ერთ-ერთი ნაწილი მხარდაჭერით. ყველა — იქნება ეს კავკასიონის კალთებზე მომთაბარე მეცხვარე თუ ალაზნისპირელი მევენახე, ციმლანსკელი მეექსკავატორე თუ კახოკელი მეხეობა, გენიესკელი კოლმეურნე თუ ყაზახეთის ველებზე გამოგზავრებული ერთუღასტი — ერთი რწმუნებითაა გამსჭვალული: იშრომოს კომუნისშის ასაშენებლად ჩვენს ქვეყანაში.

ნარკვევისათვის, ლიტერატურის ამ ყველაზე უფრო ოპერატული ეპირისათვის, მთავარი მინი აღამიანია, ადამიანი, რომელიც აშენებს ახალ ცხოვრებას, ადამიანი, რომელიც შრომის დიდ ფერხელშია ჩაბმული და ყოველდღიური საქმიანობით თავდადებულად ემსახურება სოციალისტურ სამშობლოს. ალ. კვიციანილის ნარკვევებში მთელი გაღრმავება პერსონაჟებისა, რომლებიც მკვეთრი ინდივიდუალური თვისებებით გამოირჩევიან. მათი უმრავლესობა იმდენად ხელშესახებად ჰყავს დახატული ავტორის, რომ შეუძლებელია იხინი დაგვიწყვილოთ. მხატვრული ოსტატობით არაან გამოკვეთილი: ბუნებრივ მოხერხებულად — ადამიანი, "ხატის ღვდა" — მანგუნა, ძველი ტრადიციების გლეხი მიხა, ციმლიანსკელი მექანიკოსი ზავოროტნი, კახოკელი ინჟინერი მედვედევი და სხვა. ყველა ეს ადამიანები ნაჩვენებია არაან მთელი თვითნებური ღირსება-ნაყოფინებებით. ავტორი კალმის რამდენიმე მსუვე მისმით გვიხატავს თავის გმირს. მოვიყვანოთ ერთი ადგილი:

"მიხა სამოცდაათი წლისაა. უღვაშები ნიკაბზე გადმოსდის, წარბები ცხვირზე. ვაჩეჩილი თმა ზეინივით ადგას თავზე. წვერი ულსისავით აქვს შეზრდილი მთელ სახეზე და ყურებში. კბილები მეგლივით შავარი აქვს. უწენლდება ახლა სამოცი წლის ნახარდი კბილების გამოცვლა.

მისხს ჯანი და ღონე საარკვოდ არის გამხდარი ლაგოდებში. ერთხელ თურმე წინარის/გზაზე ცალი კამეტი დაუვარდა. კამეტი წაბურღა და ავლო და მეორეს უღელი უკმაყოფილო გაქვია" (გვ. 78).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ნარკვევები, რომ ალ. კვიციანილის არც ერთ ნარკვევში არ იგრძნობა ზერღობა და სქემატიზმი. მწერალი კარგად იცნობს იმ საქმეს, რაზედაც წერს. საუბრობებისამებრ ავტორი ხან მეცხვარეობის, ხან მევენახეობის, ხან ჩიი-ციტრუსების, ხან არხმშენებლობის, ხან ბეტონშედგენების და ხან პურული კულტურების შესახებ ვარკვეულ ცოდნას აძლევს მკითხველს. ეს კი მის ნარკვევებში მეტ დამაჯერებლობასა და შემეცნებითი მნიშვნელობას ანიჭებს. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შრომითი პროცესები ამ ნარკვევებში დანახულია და იწერება იმა თუ იმ დარგის სპეციალისტის, არამედ მხატვრული სიტყვის ოსტატის, თვალთ. მაგალითად, აი როგორ აქვს აღწერილი ავტორის ნარკვევში "როგორ იხადებოდა მთებში", "მოსიარულე" ექსკავატორის მუშობა:

"თითოეული მთა ექსკავატორის თითო ნაბიჯის შედეგია. ამიტომაცაა, რომ ასეთი სიმეტრიულობით მისდევენ ისინი ერთმანეთს და გადაბმულ ქედს უქმნიან. ჭედის ძირას ჩაწოლილი კალაპოტი ამ გოლიანის ნამუხლარია. ვაიგლის და გამოივლის მისიარულე გეგარტი და უკვე შიდაა არხის კალაპოტი, რომლის სიგანე ის მეტრს აღემატება. ახლა, სამსართულიანი სახლის სიმაღლეზე აზიდულ მანქანაზე რომ ვდგვართ, ეგრძნობთ, როგორ იჭებია ექსკავატორის თითხმეტყლიანი ციციბი ყამბოში, როგორ ღრღინა უკვეთი ფოლადის კბილები ვაკევეზელ ნიადაგს. შემდეგ ბაგირები მალა ასწევენ ციციხით ამოხაზულ მიწას. შემობურუნდება ხმელეთის გემი, ჩვეუ შემოგვებარუნებს. სამოციხმუთმეტრია ისრის (ცინდ მკლავი დაუძახე) პოლოზე დაიფებულ ტვირთს ისე მიაქინებს, როგორც ჭორი წიწილას. ისე შორს ვაიტანს, რომ თვალი ძლივს სწევდება" (გვ. 136-137).

ალ. კვიციანილი თითქმის ყოველ ნარკვევში იყენებს ამ ეპირის ნაწარმოებისათვის ერთად საერთო და აუცილებელ შედარების ზერტს — იყო, რა არის და რა იქნება, ეს იმეტი, რომ უფრო ნათლად დაინახოს მკითხველმა ის გრანდიოზული გარდაქმნები — რომლებიც საშუალო ხელისუფლების დროს მოხდა ჩვენს ქვეყანაში — და მისი ვანკითარების უდიდესი პერსპექტივა.

ყველაზე მკაფიოდ ავტორის მიერ ეს ზერტი გამომკვლავებულია ნარკვევში "კოლმეურნეები ავადმისის ტრიბუნაზე". როცა მწერალი უსმენს ჩვენს რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობათა თვემდომარეების, მტს-ის მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სასეკიოლისტების აღფრთოვანებულ გამოსვლებს ახალ-ახალი შრომითი მიღწევებზე, მის გონებაში ცოცხლდება

აქეთ ისე შორეული წარსული: 1930 წელს... კოლექტივიზაციის დაწყება... პირველი სიძნელეები... პირველი ენთუზიაზტები...

აგრორი სპირიტუებისებრ, ზომიერად და მოხდენილად მიმართავს იუმორსაც, მაგალითად, იმავე ნარკვევში ასეთი სტრიქონებია: „კახეთში ყველაფერი აზვირთებულია და ფაღვ-შეშვადიანი, ყველაფერი ადგილიდან დაძრულია და წერვებგადაქიმული. კახეთის მატარებელი კი ამას აინუნშიავ არ იღვებს. მუხლებში თუმცა სტრეფონონის აქვს, მაგრამ ტემპერამენტი ჯერ კიდევ თავის წინაპრის, ლავალტორი კამეისის შერჩენია. მიღის, ქვანახშირის მილიონის, კვამლნარევე ორთქლს განიერი ნესტოდან მძიმედ უშვებს — თითქმის სოლომონ ზურგიელისძისებულ ჰანგს დალიდნებსო... ამქარებთა სოფელი არავის მოქცევაშია ნელა წახვალ, მაინც მისვალ — გზაში თუ არ დაიმტვერი“. ტიკი და კულა ვაგონიდან ბანს ეუბნება: „შაბათი რომ დაღამდება, კვირა გათენდება“ (გვ. 69).

გარდა მხატვრული ნარკვევებისა, წიგნში წარმოდგენილია მგზნებარე პუბლიცისტისკის კარგი ნიმუშები — აგზა მშვიდობისა, ამხანაგებო, „სიცოცხლე მოღის სამგორში“ და, განსაკუთრებით, „სიცოცხლისათვის“. აქ უკვე აგრორისათვის ჩვეული პუბლიცისტული წერის მანერა იცვლება ლაყონიური დოკუმენტური პუბლიცისტობით. პირველი ნაწარმოებები მიძღვნილია ყაშიარს და ნასევილი მიწების ასათვისებლად ქართველი ახალგაზრდების პირველი ჯგუფის გამგზავნებისადმი, მეორე კი ჩვენს რესპუბლიკაში მართლაც სახალხოდ ქცეული მშენებლობის — სამგორისადმი. სამგორის თემაზე ქართულ ლიტერატურაში ბევრი ნარკვევი დაიწერა, მაგრამ ალ. ჭეიშვილის ნარკვევი გამოირჩევა ორიგინალური გააზრებითა და სიუჟეტური ლაყონიურობით — მოკლედ და საოცრად ჩამტყვიადაა აქ

გამოცემული ზრიოკ ველზე პატრული კაიავის ვაშლიდან „თბილისის ზღის“ დაბადებამდე გაწეული უმთავრესი სამუშაოები.

ნარკვევი — „სიცოცხლისათვის“ აგრორის სსს-ტიკად გზობს და სამარტეხინო ბოძზე აკრავს იმპერიალისტთა მტაცებლურ პოლიტიკას. მეტად ბუნებრივადია ჩართული ამ ნარკვევში აგრორის მიერ 1931 წელს საკუთარი თვალთა ნანახი საზარელ სურათი — გერმანულ კოლონიზატორთა მიერ აღრიცხიდან ჩამოყვანილი ადგილობრივი მკვიდრნი, რომელთაც ბერლინის ზოიპარკში მიიზღუნებთან ერთად აიყვინდნენ.

უკანასკნელი ნარკვევისათვის — „სიკვდილი ბაღში“ აგრორის ეტიუდი დაურქმევია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არც ნარკვევია და არც ეტიუდი. „სიკვდილი ბაღში“ პატარა მოთხრობაა. გერმანელი ებრაელების ზღდი კავითმძულე პიტერის ღრის ამ მოთხრობაში დაბატულია მეტად მეტი საღებავებით.

კარგი, ძარღვიანი ქართული ენა იგრძნობა წიგნის თითოეულ გვერდზე, განსაკუთრებით უნება იყენებს მწერალი ხალხურ ანდაზა-აფორიზმებსა და ზატოვან ტქმებს, რაც მეტ სიცოცხლესა და სილამაზეს ანიჭებს ამ ნარკვევებს („კამეისის რკაში ვარ გაზრდილი“, „შეწყვეს ვინა ჰყავს ქომაგი, შეყვარო და ჩომახიო“, „გაუშარჯოს ხარის ქედს, კაცის მარჯვენას, ცის ნაშს, დედამიწის გულს“ და შრავალი სხვა).

სარეცენზიო წიგნის თითქმის ნახევარი აგრორმა დაუთმო ვრცელ გამოცვლევას დიდი ქართველი პოეტის ვევა-ფშველას შემოქმედებამ შესაზებ და წერილს ლუო ქაჩელის ცნობილ რომან აგვალი ზიგვანზე“. ამ წერილებში ალ. ჭეიშვილი ეხება მოკლ რაგ საინტერესო და მნიშვნელოვან ლიტერატურულ საკითხებს, განსაკუთრებით პირველ წერილში.

ალ. სანაღირაძე

„ცხოვრება ივანე მაჩაბლის“.

ამა თუ იმ წიგნის შეფასებისას, ბუნებრივია, ჯერ გაიკვებს მისი მიზანი და ენარი. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ ნაწარმოებებზე, რომელთა ენარი, ერთი შეხედვით არც თუ ისე ადეული დასადგენია. ჩვენ სრულიად ნათლად წარმოვიდგენია, რას მოგვსთხოვდით, მაგალითად, მეტნიერულ გამოცვლევას ივანე მაჩაბლის ცხოვრების შესახებ, ანდა ორიგინალურ ნაწარმოებს (ვთქვათ, რომანს), რომლის გმირიც ივნებოდა ივანე მაჩაბელი, მაგრამ რომელსაც მეტნიერული თუ მოგრაფიული უტყუარობის პრეტენზია არ ექნებოდა. სარეცენზიო წიგნის

აგრორი კი მიმართავს როგორც მეტნიერულ ცვლევისათვის დამახასიათებელ ზერებებს, ასევე მხატვრულ სამუალებასაც. ამრავად, საქმე ვეაქვს ისეთი ტიპის რომან-ბიოგრაფიისათა, როგორიც მრავლად დაწერილია სერგანტსზე, ბაირონზე, შელზე, გოთფრე, ბეთსივენზე, პაგანინზე და სხვებზე საზღვარგარეთ, რუსეთში და ჩვენშიაც.

ვხატანგ კელიძემ ხელი მოჰკიდა ისეთი ქართველი მოღვაწისა და მწერლის ცხოვრების აღწერას, რომლის ცხოვრება და, მით უმეტეს, ლიტერატურული მოღვაწეობა, მიუხედავად ცალკეულ საინტერესო შრომებისა, მაინც არ არის ამოწმწარავად შესწავლილი და დამუშავებული. წიგნის აგრორი თავს არ იზღუდავს შრალი ისტორიული თუ ბიოგრაფიული ფაქტებით. იგ-

ვხატანგ კელიძე, „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“. გამ. „ხელოვნება“. 1955.

ხშირად თვითონაც თხზავს ამბებს, სიტუაციებს. მაგრამ ავტორი იქ აძლევს ფანტაზიას გასაქმანს, სადაც შეუძლია ეპოქისათვის ტიპური სურათები და ივანე მაჩაბლის პიროვნების უფრო მაკგიოდ გამოქვეყნებისათვის საკუთარი სიტუაციები წარმოგვიდგინოს. ეს ჩანს ნაწარმოების დეტალურშიაც კი. ასე, მაგალითად, თბილისიდან პეტერბურგს გასამგზავრებელი ომნიბუსის აღწერასას ავტორი გადმოგვცემს იმ დროისათვის მტად დამახასიათებელ ყოფით სურათს: შორეულ ქალაქში გასამგზავრებლად მომზადებულ ომნიბუსის ვარშემო ატეხილი ფუსფუსი, მეეტლის იმპონანტური ფიგურა, კონდექტორის საყვირის ხმა, მგზავრების მიერ პაპანებისაგან თავის დასაცავად ვაშლილი ქოლგებისა და მზეზე აბრწყვილებული ეპოლუტების ლაპლაპი... ეს ვახტანგ პელიძის ორიგინალური ნაწარმოების მხატვრული სურათებია, მაგრამ მათი ძირითადი დანიშნულებაა ეპოქისათვის ტიპიური ყოფითი აღმოსაფერხის შექმნა სწორად და უშუალოდ მაჩაბლის ბიოგრაფიული მომენტის (მისი პეტერბურგს გამგზავრების) გათვალისწინებით.

ასეთივეა თვით მგზავრობის დასაწყისის მოკლე აღწერა. აქაც ავტორი მოხდენილად პოულობს დროს და ადგილს, რათა თავისი წიგნი ორიგინალური მხატვრული შტრიხებით გაამდიდროს იმგვარად, რომ ამით ძირითადი მიზნისაგან, მაჩაბლის ცხოვრების აღწერისაგან, არ გადაუხვიოს. ავტორი, მაგალითად, მუნიციპალის ეპიკურ აღწერას კი არ მოჰყვება, არამედ ამ პატარა ლირიულ პასაჟს ისევ და ისევ თავის ძირითად მიზანს უქვემდებარებს: „მაჩაბელს ილიას მოთხრობა გაახსენდა...“ თითქოს სხვათაშორის დასძენს ავტორი. მაგრამ მუნიციპალი ილიას გახსენება, რასაკვირველია, ავტორის სრულიად შეგნებულად აქვს მოცემული. მაჩაბელი ხომ თბილისიდან პეტერბურგს გამგზავრებით ფაქტიურად ილიასთან ისტორიული დამეგობრების დიდ და პირდაპირ გზას დაადგა.

წიგნის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაწილს წარმოადგენს სწორად ილიასა და ვანოს პირველი საქმიანი, მტკიცე დაახლოების აღწერა. ამ დაახლოებას, როგორც ცნობილია, შექსპირის „შედე ლირის“ თარგმანისას ჩაეჯვარა საფუძველი.

მტად ზომიერად გვიჩატვს ავტორი ილიასა და ვანოს თარგმანზე შემოაბის პროცესს: მოძებნილია ისეთი მხატვრული საშუალებანი, რომელნიც კარგად გადმოგვცემენ გენიოსი დრამატურგის ჯადოქარ სტრიქონებთან ბრძოლას. ასეთ ადგილებში ავტორი აღწევს ერთგვარ დრამატუზმს თხზობის ვარკვეული რიტმის გამოძენით. გარდა ამისა, ისევე როგორც წიგნის სხვა ადგილებში, ავტორი აქაც საგანგებოდ ზრუნავს იმისათვის, რათა მის მიერ შეთხზული ამბები სწორად ასახედეს ილიასა და ვანოს ურთიერთდამოკიდებულების მის მიერ

წიგნში თვითაწვე მოცემულ ინტერპრეტაციას. ნაჩვენებია, ავტორი, მაჩაბლის მიერ ინგლისურის ზედმიწევნით კარგი ცოდნისა და ლირიულ მთარგმნელის ხედვრითი წინააღმდეგობის თარგმანში. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მომენტი: ავტორი საკმაოდ ყურადღებას არ ამახვილებს იმ სიმწიფეზე, რაც უშუალოდ შექსპირის ენის გაგებასთან იყო დაკავშირებული. მართალია, ავტორის განზრახვას არ შეადგენდა ამ თარგმნითი პროცესის ზუსტი და დაწერილობითი აღწერა, მაგრამ რაიმე პატარა მინიშნებით, თუნდაც ლექსიკაზე, ანდა რომელიმე ენაზე არსებულ თარგმანთან შედარებაზე, შეიძლებოდა კიდევ უფრო თვალნათლივ ყოფილიყო ნაჩვენები შექსპირის თარგმანსთან დაკავშირებული სიმწიფეები. ამას გარდა, არც ის იქნებოდა სწორი და საჭირო, რომ საწვე ისე წარმოგვედგინა, თითქოს მაჩაბელი შექსპირის ინგლისურს ისე თვისუფლად კეთხლობდა, რომ ლექსიკონი კი არ სჭირდებოდა. ვ. პელიძემ, როგორც შექსპირის კარგმა მთარგმნელმა, შესანიშნავად აცის, რომ ამის შროლოდ ისინი დაიჯერებენ, ვისაც შექსპირის დედანი ვერ ჩაეხედებოდა (ყოველივე ეს ზედმეტი არ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ შემდგომ ავტორი სწორად და დამაჯერებლად ავტორის ამას, თუ როგორი გულმოდგინებით სწავლობდა ივანე მაჩაბელი ინგლისურ ენას).

წიგნში სამართლიანად არის გამაზვილებული ყურადღება ივ. მაჩაბლის მონაწილეობაზე პეტერბურგში მისივე ინიციატივით გამართულ ქართულ წარმოდგენებში და უფრო ადრე თბილისში ქართველ სცენისმოყვარეთა სექტორულში (თანაც ისეთ სცენისმოყვარეთა გვირდით, როგორიც იყო, მაგალითად, ქართული სცენის მომავალი სიამაყე ნატო გაბუნია). რასაკვირველია, ეს უბრალო ბიოგრაფიული მომენტი როდია ავტორმა კარგად იცის, რომ შექსპირის მომავალი მთარგმნელი არა მარტო თეორიულად, არამედ უშუალოდ, პრაქტიკულად უნდა გასცნობოდა თეატრალური ხელოვნების სპეციფიკას.

ჩვენი იმპროვირებული მოლაპყები ქართულ თეატრის მედღევი დასის ჩამოყალიბებას უყურებდნენ როგორც ნაციონალური თვითშეგნების განმტკიცების ფაქტს, როგორც ეროვნული კულტურის უზნიშვნელოვანეს საკითხს. სარეცენიონი წიგნში კარგად არის ნაჩვენები ეს თავდადება და უანგარიზობა, რითაც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შედეგები ემსახურებოდნენ ქართული თეატრის, ამ ეროვნული კულტურის დიდმნიშვნელოვანი ეტრის, საპატია საქმეს. ამასთან ხაზასმულია ივანე მაჩაბლის როლი ქართული თეატრის აღორძინებისათვის ისეთ სასიცოცხლო და აუცილებელ საქმეში, როგორიც იყო რეპერტუარის საკითხი.

ავტორი ყოველთვის ცდილობს ივანე მაჩაბ-

ლის ბიოგრაფიის ესა თუ ის ცალკეული მო-
 ზენტი ამ შესანიშნავი ქართველის მთელი საზო-
 გადოებრივი მოღვაწეობის ფონზე ავეფიროს
 და დავანახოს. მაიაბლის მიერ საბუნებისმე-
 ტყველო დარგით დაინტერესებმაში ვ. ჰელიძე
 სრულიად სამართლიანად ზედვის ვინის მგზნე-
 ბაზე და, ამავ დროს, საღ პატრიოტიზმს, რაც
 გამოიქცხვდა ჩაბმე გარეგნულს, მიიწვევს
 და გულსანსობდა სამშობლოსათვის სასარგებლო
 და აუცილებელი საქმის კეთებას, სამშობლოსა-
 თვის ქვეშაირი თავდადებას.

მაიაბელი საავტორობაზე ბანკის დამფასებ-
 ლის თანამდებობაზე მუშაობს. თითქოსდა, ერთი
 შეზღვევათ, ეს სამუშაო მაინცდამაინც საინტე-
 რესო მასალას არ უნდა შეიცავდეს ავტორისა-
 თვის, მაგრამ ჰელიძე კარგად იცნობს მაიაბლის
 ცხოვრებას, მას სწორად ესმის ამ სახელგანთ
 მოღვაწის ბიოგრაფიის ყოველი ცალკეული მო-
 ზენტი. აქ ავტორი მიმართავს ორიგინალურ
 ხერხს — ხატავს ორგვარ დამოკიდებულებას მა-
 იაბლისადმი, როგორც ბანკის დამფასებლისადმი.
 ერთი დამოკიდებულება თვითონ თავად-ახნაუ-
 რებისა, რომელიც მანამდე მხოლოდ საქმიან
 ფრაგმენტებში არიან და ამდენად მას იცნობენ
 და იგი აინტერესებთ, მხოლოდ როგორც დამფა-
 სებელი, და მეორე — დამოკიდებულება თვით
 ავტორისა თავისი გმირისადმი, რომლის მოღვა-
 წეობის მთლიან შეფასების მხატვრულ ცდასაც
 წარმოადგენს სარეცენზიო წიგნი. ამას ავტორი
 აღწევს იმით, რომ თითქოსდა ვაკეობთ, სხვათა-
 შორის აღნიშნავს კამდენიმეჯგურ — ეს დამფა-
 სებელი ახირებული, უცნაური კაცი იყოთ: მას
 ინტერესებდა დასავარაუდებელ ადგილ-მამულში
 შემოხიზნილი ისტორიული სიძველენი, ზუსტო
 რი წიგნის ატარებდა და ერთ-ერთში ხალხურ
 ილიოურ გამოთქმებს ინიშნავდათ, და სხვა. ამ-
 რავად ის, რასაც წიგნის ავტორი სწორ შეფასე-
 ბას აძლევს, როგორც მაიაბლის ფართო საზოგა-
 დოებრივი და ლიტერატურული ინტერესების
 ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლინებას (დინტე-
 რესება კულტურული ძველებით, ხალხური ენის
 შესწავლა), უსაქმური, დარღმინანი შემამულეე-
 ბის თვალში მხოლოდ „ახირებული დამფასებ-
 ლის" უცნაურ საქციულად ჩანს. ასეთი მხატვრუ-
 ლი ხერხით ჰელიძე ზუსტ და, ამავ დროს, საინ-
 ტერესოდ საყოფხავ მასალას გვეწვდის.

მაიაბლის სულიერი განწყობილების გადმო-
 ცემისათვის ავტორი მიმართავს სრულიად კონკ-
 რეტულ და გარკვეულ მხატვრულ ხერხებს.
 ვ. ჰელიძე სამართლიანად თვლის, რომ „შექს-
 პირული", ასე ითქვამთ, განწყობილებანი და სა-
 ხეებიც კი მადლიან მასალას იძლევა ხანდახან
 მაიაბლის საკუთარი განწყობილების საილუსტ-
 რაციოდ. ამასთან, ავტორი კი არ მიმართავს გარ-
 გნულ შედარებას, „ეფექტურ" რეპრეზენტა-
 ციებს შექსპირიდან, არამედ ზომიერად იყენებს
 შექსპირის ტრავედების საყაროს იქ, სადაც
 ეს ბუნებრივი და ლოგიკურია. ასე, მაგალითად:

ადილი წარმოსადგენია, რომ სასწავლო რუქის
 შხრუნველი იანოვისა კაბინეტიდან გამოსულ
 მაიაბელს სწორედ პალეტისა და ჰოლონიუსის
 ცნობილი დიალოგი გაახსენდა: „ველავროსს ჩი-
 ნოვნიც იანოვისკია და დანისი შეფის ცბიერ კა-
 რისკაც პოლინიუსის ანალოგია სიცრუად ზუს-
 ტი და მახვილია.

ავტორი ცდილობს უყურადღებოდ არ დიტო-
 ვოს მაიაბლის თითქმის არც ერთი ცოტად თუ
 ბევრად მნიშვნელოვანი უბანი საზოგადოებრივი
 მოღვაწეობისა. არ გამოჩენია ჰელიძეს, რასაც
 ვიკრულია, არც, მაიაბლის პუბლიცისტური
 მოღვაწეობა. აქაც, ისევე როგორც ბევრ სხვა
 საქმეში, ვინის მასწავლებელი ისევე და ისევე
 ილიაა. და წიგნის ავტორი არ უშეებს ხელიდან
 შესაძლებლობას აქვე დასძინოს მრავალმნიშვნე-
 ლოვანი: „ილია ბრძოლის ზერხებს ასწავლის
 მაიაბელს...“ წიგნის ავტორის ერთ-ერთი ძირი-
 თადი მიზანდასახულობაა წინა პლანზე მქნეს წა-
 მოწვეული ორი სახელოვანი მოღვაწის ეჭვთაობ-
 რობა, ხოლო მათი ცნობილი უთანხმოებანი და
 უსამთენებანი, რაც ბევრ ზეპირადმოცემაში
 ხშირად უხვირო ფორმებს იღებს, აყვანილი
 აქნეს ბრინციულ, ილიასა და განოსათვის შესა-
 ვისი, სიამაღლმდე.

წიგნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და,
 ამავ დროს, კარგად შესრულებულ ადგას
 წარმოადგენს ავტორის მიერ ილიასა და ვანოს
 შორის გაიენდა უთანხმოებათა აღწერა. ვ. ჰელი-
 ძე ცდილობს ბიოგრაფიული დოკუმენტებისა
 და ფაქტების სავლადგული შესწავლის სა-
 ფუძველზე ისეთიანად დალაგოს და ახსნას ეს
 ფაქტები, რომ ისინი ფსიქოლოგიურად იყვენ
 გამართლებული, რაც, თავის მხრივ, მათ მკითხ-
 ვებზე ემოციურ ზემოქმედების უნარსაც შეს-
 ძენს. ასე, მაგალითად, ავტორი ჯერ გადმოგე-
 ცემს საზოგადოებრივ აზრს, რომელიც გამეფე-
 ბული იყო ილიასა და ვანოს გარშემო, შემდეგ
 აღწერს მათ ზოგიერთ რწივიდიუალურ თვისე-
 ბებს და მათოს გადაღის თვით ინციდენტებ-
 ზე რომელთაც ერთი მხრით, გამოაჟარავს და-
 ფარული განცდა-გამწყობილებანი, ხოლო მეო-
 რე მხრით, თავადაც იქნენ შემდგომი გან-
 ხეთილების წყაროდ და მიზნად. თვით ამ
 ინციდენტებსაც სხვადასხვა ხასიათი აქვთ და
 ამასთან დაკავშირებით ავტორი მათ სხვადა-
 სხვა ფსიქოლოგიურ ახსნას იძლევა. თუ ბანკის
 სხდომაზე ილიას ეწეინა ვანოს ერთგვარად მოუ-
 ლონური გამოცემა მის წინააღმდეგ, ხოლო
 ვანო, თავის მხრით, მერ შეროიგდა ილიას
 ნათქვამს მის შესახებ — თავდატევილიყო, რა-
 შაც უთანხმოების ჩრდილი ჩამოაგლო მეგობრებს
 შორის, მეორე შემთხვევა (ავალიშვილის მიერ
 ვანოს ძმასთან მოტანილი ამბავი) უკვე უნდობ-
 ლობისა და ეჭვის განწყობილების თვისავს მათ
 შორის. ამრიგად, წიგნის ავტორი წარმოადგენს
 ერთგვარ კომპლექსს სუბიექტურ და ობიექტურ
 მარხეებისას, რომელთაც განსაზღვრეს ილიასა

და ვანოს შორის წამოჭრილი და შემდგომ მეტად გარემოებებით კონფლიქტი. აქ გათვალისწინებულია რეგორც ვანოს ხასიათი, მისი ინდივიდუალური თვისებები, ასევე ის ობიექტური, გარეგანი ფაქტორებიც, რომელთაც წარმოშობდა იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ორომტრიალი.

ვინც მანაბლს ცხოვრებას აღწერს, ის, რასაკვირველია, გვერდს ვერ იუვლის ჩვენი სახელოვანი მოღვაწის უცნაურ გაჭრობის ფაქტს. ბუნებრივია, რომ ავტორი ამ ცნობილი ფაქტის თავისებური ახსნის საპირობების წინაშე აღმოჩნდებოდა. წიგნის უდავო ღირსებად უნდა ჩითვალოს ის, რომ მისი ავტორი გაუტანის ისტორიული კურორტების მოყვარულთათვის საინტერესო მითქმა-მოთქმებსა და ინციდენტებს აღ-

წერას. რაი მანაბლის დაკარგვის ფაქტი ვერ კიდევ შეუსწავლელად მიიჩნია, ვ. პეღიძე ლამაზი პოეტური პასაჟით ამთავრებს ყველა წიგნს.

ეპილოგში წიგნის ფურცლებზე დასრულებას დიდებული სახე წნდება. „ივერიის“ რედაქტორის შეზღვევ ფიქრები ვანოს უცნაურ და ტრაგიკულ ბედს დასტრიალებს. თითქოსდა წიგნის ავტორს არ სურს შეურიგებლად დატოვოს ეს ორი დიდი მოღვაწე, რომლებიც ფაქტიურად ერთ დიდ საქმეს ემსახურებოდნენ და, მართლაც, ვახტანგ კეღისის საინტერესო შრომის შედეგად საბოლოოდ იფანე მანაბლის საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის რაღაც ქართული კულტურის ისტორიაში მტკიცედ დაუკავშირდა ილიას სახელს.

ნიკო. შიხასვილი.

ვიორგი სალუქვაძის ლექსები

სოციალისტური რეალიზმის პოეზია ჩვენი შრავალფეროვანი ცხოვრების მხატვრული ასახვაა. იგი ორგანულად შეიგნობს ახალი ეპოქის მაჯისცემის, გაღმოსცემის ხალხის შრომისა და ბრძოლის დაუცხრომელ პათოსს. ჩვენი პოეზიის ლირიკული გმირი — საბჭოთა ადამიანი, ახალი ცხოვრების შემოქმედი.

ვიორგი სალუქვაძე თავის ლირიკულ გმირს ხელება ყველაზე, ბუნების ვრცელ წიაღში, ქვეყნის მშენებლობის ყველა უბანზე, აქ სადაც იგი აბრთვის და შრომის აღფრთოვანებით, თავებამწიკით, მომავლის გამარჯვების ღრმა რწმენით.

გ. სალუქვაძე შთაგონებულად ხატავს განახლებულ ზღვისპირეთს, მის წარმტაც პეიზაჟებს. ლექსების ციკლი „მზე შინა და მზე გარეთა“ მკაცრად გვიხატავს ახალი კოლხიდის კოლორიტულ სურათს, მისი ბუნების მიწვიდველობას. სახელწოდება „მზე შინა და მზე გარეთა“ ხალხში გაავრცელებული, მოაზრული თქმაა. ავტორმა არა მარტო ლექსების ციკლის სათაური იღო ხალხური პოეზიიდან, არამედ მთელ რიგ ლექსებში გ. სალუქვაძე თავისუფლად იყენებს ხალხურ საუნჯეთა სიმდიდრეს მხატვრულ განზოგადებათა შესაქმნელად.

ავტორის ახალი ცხოვრების მაჯისცემა, საბჭოთა ადამიანის შრომითი თვადდება იგრძნობა ლექსებში „ბაიში“, „მუზეუმის მშენებელი“, „ილინის ნათურა“ და სხვა. ლექსში „ილინის ნათურა“ ნათელი პოეტური ფერებითაა გამოხატული ქვეყნის განახლება. დიდმა ლენინმა ხალხს ბედნიერება და სინაოლე მოუტანა, მან შექმნა კაცობრიობის მარადუქნობი განაფხულე, რომელიც განათებულა მოწინავე იდეებითა და ოპტიმისტური რწმენით. ამიტომაც:

უსახლგო ბედნიერებს
და უკვდავების დასტურად
დიად ცხოვრებას გვინათებს
დიდი ილინის ნათურა.

ლექსები „ის გათენება“, „გორში ატმები ყვადნენ“, „ღორა“ და სხვ. მხატვრულად გვისურათებენ ბათუმის სახელოვან წარსულსა და მებრძოლ ტრადიციებს. პოეტს მონახული აქვს შესატყვისი მხატვრული სამაჯურები აღებული თემის გასააზრებლად. ლექსებში ორგანულად შერწყმულია ლირიკული ემეოლობა და ამაღლებული ტონი.

ამ ციკლის ლექსების წამყვანი თემა ხალხთა მშობა და მეგობრობაა. აღსანიშნავია ამ მხრივ ლირიკულ ლექსების მთელი წყება: „ღარეკავს კრემლი“, „მთავრეკვის სადგური“, „საღამო ერთი ლექსისა“, „ა. გრიბოდგოვი“, „ხიხაძირში და დიკანის ახლოს“ და სხვ. ამ ლექსებში პოეტი ამაღლვებლად უმღერის რუსს და ქართველი ადამიანების მეგობრობას, შემოქმედებითს თანამშრომლობას, ამასთან ადღებებს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, რომელიც მათი უკვდავი ძმობისა და მეგობრობის სულისჩამდგმელია. ლექსში „ღარეკავს კრემლი“ ავტორი მიმართავს თავის თანამომე რუს პოეტს:

ჩვენ დაეჭობილდით კრემლის კედელთან
და არასოდეს გაეითმევიით.

ორიგინალური შემოქმედებითი გააზრებით უტრადლებას იპყრობს ლექსი „ხიხაძირში და დიკანის ახლოს“. აქ ჩვენ ეხედავთ განახლებულ საკომუნერწო სიფელს, მის ბედნიერ ადამიანებს. ამ მცირე მოცულობის პოეტურ ნაწარმოებში კარგადაა ხანგასმული ახალი ცხოვრების უპირატესობა, გლვკაცის სულეობი სიმდღრე და მორალური შეგნების ამაღლება.

ვიორგი სალუქვაძე. ლირიკა. სახელგამი. ბათუმი. 1955.

საუცუესო ლირიკული ნაწარმოებია „საღამო ერთი ლექსისა“. მოსკოვში, პიონერთა სასახლეში, 1947 წლის მარტში ახალგაზრდა მწერლების საკავშირო თათბირის მონაწილეთათვის ჩატარდა ერთი ლექსის საღამო. საქართველოს ერთ-ერთ უღამაზეს კეთებზე — მახინჯაურზე აქ ლექსი წაიკითხა რუსმა პოეტმა ქალმა გალინა ნიკოლაევსკაიამ. გ. სალუქვაძისათვის ამ მოვლენას შთაფერხებია ლექსი, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „არის სიმღერა ათასწიანი, ხალხთა ოცნების ფრთებზე წარწყვი“. რუსი პოეტი ქალის ლექსში გაიორგი სალუქვაძემ იგრძნო მშობლიური სოფლის სენთქვა, მისი სიღამაზე და სიმდიდრე. და თვითონაც გამოხატა ეს მრავლისმეტყველი განცდა თავის ლექსის სტრიქონებში.

ამ ციკლის ლექსებიდან საყურადღებოა აგრეთვე ორი ლექსი „სიმღერა საქართველოზე“ და „წერილი დედისადმი“. ამ ლექსებში ავტორი გადმოგვცემს კორეელი პოეტის კიმ დინ გიუნის განცდებს, მის აღფრთოვანებას საქართველოს აყვავებითა. უცხოელი პოეტი აღივსება ძმობისა და მეგობრობის ქვეყანას, სადაც მძღვარად „ესმის გამოცდის დიდი სიმღერა, წუთიც არ არის უქმი და ურგი, ყოველი მზრიდან — არწივის ცქერა, ყოველი მზრიდან — ღიმილის შექი“. აქ მისთვის ყველაფერი წარმტაცი და მიმოზღველია, ყოველ ნაბიჯზე მეგობრულ სიბოძა და მშობლიურ მზრუნველობას გრძნობს. შორეული ქვეყნის პოეტის სიმღერა გამსჭვალულია დაუცხრობელი ოპტიმიზმის გრძნობით:

მეღეროა გულისკავშირი გულთან,
თანაბრად ვიყოფთ ჰერსაც და ლხინსაც,
ჩვენ მეგობრები ვიქნებით მუდამ,
მოტრფილენი უქრობი მზისა.

ლექსი „ოლეგ“ იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით ამ განყოფილებაში ერთ-ერთი ძლიერი ლირიკული ნაწარმოებია. მაგრამ აწვე არის ლექსი „ტა პიონერთა ბანაკში“, რომელსაც აქლია იდეური ჩანაფიქრის სიციხად.

ასევე დაბალია შეფენებითი ღირებულება ლექსებისა: „შავი ზღვა დამით“ და „ჩემი ბაღი“. აღნიშნული სამივე ლექსი მთლიანად ვერ უბასუბებს ლექსების ციკლის იდეურ-თემატურკ დანიშნულებას.

გ. სალუქვაძის ომსდროინდელი ლირიკა გამსჭვალულია ხალხის გმირული ბრძოლების რომანტიკით, მტერზე გამარჯვების მტკიცე რწმენით. ლექსების რაკლეში „მუხა ჩემი სახლის წინ“ საბრძოლო ლირიკის რამდენიმე კარგი ნიმუშია. ლექსში „იძინე მშვიდად“ საშობო-ღობოსთვის გმირულად დაღუპული მაშის გულწრფელი დიდებაა. ვერაგ მტერთან ბრძოლაში იგი იდგა „მუდამ ხმაღმემაართული, ამირანივით ქედმოზრხელი“, მაგრამ ბოლოს ვაეკაცუ-

რად დაეცა ბრძოლის ველზე, მსხვერპლად შეეწირა საშობლოს.

ლექსში „მუხა ჩემი სახლის წინ“ განზოგადებულად დახატულია მამულისათვის თავდადებული გმირბოლის პორტრეტი. „დაღუპულ მამის მავონებს მუდამ, დგას, როგორც მისი ცოცხალი ძეგლი“ — სახლის წინ მდგარი მუხა საშობლო ომის გმირის სიმბოლიური სახეა. მებრძოლი შეუღრეკად იცავდა მშობლიურ სახლკარსა, როგორც ტოტემძლიერი მუხა იცავს სახლს, მის საზურავს, რომ „ვეღარ ავნოს სახლს ქარიშხალმა“. მართალია, ამ განყოფილებაში წარმოდგენილი ყველა ლექსი არაა თანაბარი პოეტური სიძლიერით დაწერილი, მაგრამ საერთოდ ამ ლექსებში მძღვარად ჩქედს საბჭოთა ადამიანის ცხოველყოფელი პატრიოტიზმი, უსახლგრო თაფანწირვა მტერთან შეკრინებოსას:

მგავდა ქართული აფრენილ არწივს
და გორგასალს აფრენილ ისარს.
აეღვარებდა ხმაღს ქედზე კაცო,
არ აწინებდა სიმრავლე მტრისა.

მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სიხარული იგრძნობა გ. სალუქვაძის პატრიოტულ ლირიკაში. აღწერს პოეტი აჭარის ბუნების სურათებს, თუ ადამიანის საარაკო შრომას — ყველგან გამოხატავს საშობლოს ბედნიერებისა და აყვავების უძლეველ მისწრაფებას. ჩვენს ქვეყანაში ახალი ქალაქების დაბადებისა და ბუნების გარდაქმნას პოეტი ეხება ლექსებში: „ქალაქი ვოლგაზე“, „ბაღი უდაბნოში“, „მწყემსი“, „ორი სარფი“, „ყანაში“ და სხვ. ლექსი „დურგალი“ სინტერესოა თემატურის კონკრეტულობითა და ღირშის სისაღვაით. ამბავი ლექსში გადმოცემულია ძალდაუტანებლად, ლირიკული უშუალობითა, აქ არ გვხვდება ზოგადი ფრახეხი, უსიციხელო, სქემატური სახეები.

მშვიდობის თემაზე შექმნილია რამდენიმე ლექსი, სადაც გამოხატულია მშრომელი ადამიანის დაუცხრომელი ეტოლევა მშვიდობიანი ცხოვრებისადმი, ხალხთა ერთიანობისადმი.

სხემწნათი კრემო დაჯვანათის თაზე
ჩაუქრობელი შექის მთოველი,
ერთად მიდიან მშვიდობის გზაზე
ჩინელი, ზანგი თუ ინდოელი.

საქრფიალი ლირიკის ზოგიერთი კარგი ნიმუშია „ფერთა წყაროს“ ლექსების ციკლში. სიყვარული ადამიანის ამამალეველი გრძნობაა. უმისოდ მკრთალი და უშინაარსოა ცხოვრება. უსიყვარულოდ დარჩენილ ქალს პოეტი „უყვავილება ღარჩაეს“ ადარებს. სიყვარულის დამაზი გრძნობა ძალს უკარავს ფიზიკურ სიმახინჯეს: „როცა გულში სიყვარული საჩობს, აღამაზებს ქვაზიმოდოს სახეს“ („წარწყრა წიგნზე“ პარიზის ღეთისშობლის ტაძარი). ამ კე-

თიღობილიერ გრძობის მატარებელი ქალი, „უცუთეს ფიქრთა და პანგთა“ მკერობელი, გატაცებით აწუნებს კომუნისტურ ცხოვრებას, ასე წარმოგვიდგება ძირითადად ამ ლექსების ლირიული გმირი, რომლის მისამართით შთაგონებული ამზობს პოეტა: „პანგთა წყარო, ფერთა წყარო მხოლოდ შენა ხარ“. ეს პირად-ინტიმური ვინადა პოეტისა ზოგ ლექსებში მართლაც იღებს განზოგადებულ ხასიათს. („მედიცინის და“, „ყირიმის ია“, „ფერთა წყარო“ და სხვ.). მაგრამ ზოგიერთ ლექსში, მთავალითადად, „შენი სიშველი“, „ოცნების დროს“, „თუ იგრანბ“ პოეტი ვერ წვდება ქალის შინაგან სულიერ სილამაზესა და მორალურ სისხეტაკეს.

გ. სალუქვაძის ზოგიერთი ლირიული ლექსი ხასიათდება ზოგადი ამღვრებით. თემატიკურ მასალას არა აქვს მოჭებნილი კონკრეტული მხატვრული ასპექტი. ზოგ სალუქვაძის სტრიაქონისა და ფრაზის ამქიშებს მსჯელობითი ტონი, აქლია ემოციური ცხოველყოფილობა („მარჯანის ფარდა“, „ცხრა მათის“, „მარად მშვიდობა“). ზოგადი და რიტორიკულია ასეთი სტრიაქონები: „მოგვკაცეს მსოფლიოს ახალგაზრდობის ოცნებები და გულისსათქმელი“, ანდა „კომუნისტრიქ პარტიის გვემით იზრძვის საბჭოთა ახალგაზრდობა“. ცხადია, ამგვარ სტრიაქონებს არ შეუძლია აღაფრთოვანოს მკითხველი, აღძრას მასში დაღებითი ემოცია, აღანთოს იგი ზრძოლის პათოსით.

გ. სალუქვაძე ცდილობს ლექსების უმრავლესობა ინტონაციურად მრავალფეროვანი გახადოს, მიანიჭოს მათ ორიგინალური სახე და ელერადობა. ამასთან იგი ლექსებს წერს სხვადასხვა მეტრული წყობით, არ კმაყოფილდება

ტრადიციული ზომით. მიუხედავად ამისა, ზოგ მის ლექსში არ იგრძნობა საკეთიარყო პოეტური ხმა და ინტონაცია.

მთლიანად გ. სალუქვაძის [ლექსები] უნდა ვთქვათ თხრობის ბუნებრივობა, რიტმის სილალე და ენობრივი დახვეწილობა. ლირიული უმუალობითა და სისადავით გამოირჩევა მრავალი ლექსი („დურგალი“, მუზეუმის მშენებელი“, „ვაზის ძირი დაილოცოს“ და სხვ.). მკირედი გამოიწყლისის გარდა, იშვიათად გვხვდება ქართული ენის ბუნებისათვის შესაბამისი გამოთქმები, ყალბი ტონი. თავის ლექსში პოეტი ვაიხედულად იყენებს ლამაზ მხატვრულ გამოთქმებსა და შედარებებს, ნაირსახოვან სამკაულებს. მთავალითადად:

იმღება ლექსი, როგორც ყყაირო,
როგორც ვარდები წინანდალისა.

ხანდახან გვხვდება ბუნდოვანი სახეები, რაც იწვევს ლექსის ემოციურად დასუსტებას. ასეთ ლექსებში, რა თქმა უნდა, მონალოდნული უხეზული გამოთქმებიც ასე, მთავალითადად, „ფიქრითი შეზღუდული, ცა დაფერავს მტრედების ნაშქრის“, „შეირხა ნათელ ფიქრთა გროვანი“, „საზარ სახეს შავი კვამლი ლანძავს“ (დაალექსიძისი სიტყვა) და სხვ.

გ. სალუქვაძეს თამამად შეუძლია შექმნას ჩვენი ეპოქის ღირსეული სიშველი. ამას აღასტრუებს როგორც მისი ორიგინალური შემოქმედება, ისევე წიგნში შეტანილი ცნობილი რუსი პოეტის ნ. ესენინის სპარსული მოტივების ქართული თარგმანები.

სიმონ არხვლაძე.

მთამსვლელოვან საქართველოვან

მთამსვლელობა სპორტის ერთ-ერთი სახეა. მას „მამაცთა სპორტს“ უწოდებენ. აღზინიზში ახალგაზრდობის არა მარტო ფიზიკურია აღზრდის ერთ-ერთი საშუალება, არამედ იგი წარმოადგენს თავდაცვისათვის მზადყოფნის მინიშნულვან ღონისძიებას, რაც გამოყენებული იყო დიდ სამამულო ომში.

საველისსმზთა და, ამავე დროს, საამაყოც ის გარემოება, რომ საბჭოთა მთამსვლელობის აცენია პირველად საქართველოში დაიარწა. ეს იყო 1923 წელს, როდესაც მყინვარწვერზე მოეწყო პირველი საბჭოთა ასვლა, რასაც ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი მეცნიერი და მთამსვლელი გიორგი ნიკოლაძე. ამ ასვლით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მასობრივ მთამსვლელობას

საბჭოთა კავშირში. იგი ღირსშესანიშნავია იმ მზრიავეც, რომ 18 აღზინისტიდან, რომლებიც მყინვარწვერზე ავიდნენ, 5 ქალი იყო. მთამსვლელობის ისტორიაში ეს პირველად მოხდა.

1923 წლის შემდეგ მთამსვლელობა ჩვენს ყველაზე პოპულარული და მასობრივი სპორტი გახდა, რომელშიც ფართო და ორგანიზებულ მონაწილეობას იღებს ათათისობით მუშა, კოლმუქრენ, ინტელაქენტი, მოსწავლე-ახალგაზრდობა და სხვ. საქართველოში მთამსვლელო მოძრაობის ორგანიზატორი გახდა აღმური კლუბი, რომელიც 1936 წელს დაარსდა.

სარეცენზო წიგნში განხილულია 1923—1950 წლების მანძილზე საქართველოში მთამსვლელობის ჩასახვისა და განვითარების ისტორია. არსებული უმარტივი ფაქტობრივი მასალის უკეთ გამოყენებისა და სიმარტივისათვის, ავტორებს წიგნი სამ ნაწილად გაუყვიათ. პირველი ნაწილი დაწერილია ი. ასლანიშვილის მიერ და მოიცავს 1923—1935 წლის ამბებს, მეორე

ი. ასლანიშვილი, ი. გიგინეიშვილი, დ. ფურცელაძე, მთამსვლელობა საქართველოში. სახელგამი, 1954.

ნაკვეთის ავტორია ო. გიგინეიშვილი და ეგება 1936 — 1940 წლებს, წიგნის ბოლო ნაწილისა (1941 — 1950 წლები) კი ღ. ფურცელაძეს.

სამწუხაროდ მთამსვლელობის ისტორია ავტორებს განზიარებული აქვთ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრებისა და ს.ზოგადოდებრივი განვითარებისაგან მოწყვეტით. ავტორები კმაყოფილებიან მხოლოდ ფაქტების უხეხტი აღწერით და გამომგვეყვენ მთამსვლელობის ისტორიაში მომხდარ ყოველ ღირსშესანიშნავ თუ რიგით ამბებსა და შემთხვევებს.

საბჭოთა ალბინისტების თავბაზო ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავთ ქართველ მთამსვლელებს, რომელთაც არა ერთი ასევე აქვთ შესრულებული კავკასიონის უძნელეს უღელტეხილებზე. მათ ბრწყინვალედ ჩაატარეს ისეთი რთული ტრავერსები, როგორცაა დიხტაუ-კოშტანტი, დიხტაუ-შხარას, შხედლა-უშბას მასივებს. ქართველმა ალბინისტებმა ღირსეულად შეასრულეს პარტიისა და მთავრობის მოწოდება: „მწვერვალებზე ასედა წლის ყოველ დღოს“. ისინი ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში, ბუნების მრისხანე სტიქიასთან ბრძოლაში უშინაოდ აღიოდენ ტექნიკურად რთულ მწვერვალებზედაც კი. მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ამეზად ღარ არსებობს კავკასიონის ზოლზე თეთრა ლაქები. ყველა მწვერვალს, ურთულესიც კი, დააძლულა. აღსანიშნავია ის ვაგეშოვანი, რომ ქართველმა ალბინისტებმა თავიანთი ასვლებით ეცან ჩამოიტოვეს ბურჯუაზოულ ქვეყნებს მთამსვლელობა მიღწევები.

დაღა სამაშვილო ომის წლებში ქართველი მთამსვლელები სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ. ომის მრისხანე დღეებში მათ არაერთგზის გამოიჩინეს გმირობა და მამაცობა: მტერს მთულოდნულ და გამანადგურებელ დარტყმებს აგემებდნენ როგორც კავკასიონის, ასევე კარპატებსა და ტატრას მიუბნის.

სარეცენზიო წიგნი აცნობს შეითხველს საბჭოთა ალბინიზმის ცნობილი ოსტატების: ვიორჯი ნიკოლაძის, სიმონ, ალიოში და ალექსანდა ჯაფარიძეების, პიმენ დვალის, შოთა შიქელაძის, სანდრო ვვალას, კავო შარას და მრავალ სხვათა მოღვაწეობას. ავტორებს ყურადღებიდან არ გაშორჩენიათ აგრეთვე პირველი კოლმეურანე-მთამსვლელები იავორ კახალიკაშვილი და გაბა წიკლაური; ასევე, ცნობილი კოლმეურანე ალბინისტები გიორგი ზურბიანი, ჰიქეკო ჩირთლანი, მაქსიმე ვაგერიანი და ბექენ ხერვაინი. წიგნში საუბარია აგრეთვე ცნობილი ქართველი პრაზაიკოსის ა. ბელიაშვილის შესახებ, რომელმაც მრავალ მთასდურ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

მთამსვლელობას ჰქონდა არა მარტო სპორტული ხასიათი, არამედ მეცნიერულიც. მგავლითად, 1925 წლის 28 აგვისტოს 11 კაცის შემადგენლობით მუნიციპალიტეტზე ავიდა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელსაც პრაფესორი

ალექსანდრე დიდებულაძე ხელმძღვანელობდა. მუნიციპალიტეტზე დადგმული იქნა მეტეოროლოგიური ბუდურვანა სათანადო ხელსაწყოებით. გარდა ამისა, გერგეტის უნივერსიტეტში მოეწყო სამალაშობო მეტეოროლოგიური სადგური ყოველდღიური დაკვირვების მიზნით. აღნიშნული ღონისძიებებით საფუძველი ჩაეყარა კავკასიონის მწვერვალების მეცნიერულ შესწავლას. აღსანიშნავია, რომ ამ ვაგეშოვებამ დიდი გამოხმაურება მოვიდა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთშიც.

ავტორები მოგვითხრობენ აგრეთვე საქართველოში სამხედრო ტურიზმის ჩამოყალიბების (1927 წ.) სამთო-სათხილამურო ტურიზმის შექმნისა (1932 წ.) და მთამსვლელობის ისტორიაში ვინობაპარტის გამოყენების (1927 წ.) შესახებ.

წიგნში აღწერილია ქალთა პირველი დამოუკიდებელი ასევე ალაგვიზის მწვერვალზე ზამთრის რთულ პირობებში, რაც ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო საბჭოთა მთამსვლელობის ისტორიაში. ამ ასვლას ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი მთამსვლელები—ქალა ალექსანდრა ჯაფარიძე. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ალბინიზმის ისტორია არ იცნობს სხვა მთამსვლელ ქალს, რომელსაც ასეთი რაოდენობით ჰქონდა დაპყრობილი ტექნიკურად უძნელესი მწვერვლები. იგი საყოველთაოდ აღიარებულია სიერათმშრომლის კლასის მთამსვლელად.

ავტორებს უამრავი მასალა შეუტრიათ წიგნში, არ დაუტოვებიათ არც ერთი პიროვნება, ვისაც კი რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო, ვაგეშოვება მთამსვლელობის დარგში, მაგრამ სწორედ ამ ვაგეშოვებამ გამოიწვია წიგნის ვადატვირთვა ზედმეტი მასალათ, რის გამოც წიგნი აღბერი კლუბის საქმიანობის ანგარიში უფროა, ვიდრე საქართველოში მთამსვლელობის მიმოხილვა.

წარმატებებთან ერთად ავტორები აღნიშნავენ ნაკლოვანებებს, გამარჯვებებთან ერთად გვიხვენებენ მარცხსაც, მაგრამ არსად ანალიზს არ უწყობენ — ამ ნაკლოვანებებს, კმაყოფილებიან მხოლოდ ფაქტების აღნიშვნით, რომელიმე მთამსვლელის მოგონებიდან ციტატების მოყვანით, გამომგველენი კომისიის ოქმების მილიანი მოტანიით და სხვ. ასეა „გაანალიზებულა“ სიმონ და ალიოშია ჯაფარიძეების, პიმენ დვალისა და შოთა შიქელაძის დაღუპვის ამბები. საკითხის ასე განხილვა, ჩვენი აზრით, სწორი არ არის. საჭირო იყო ისეთი ანალიზის გაკეთება, რომ ახალგაზრდა მთამსვლელს, დასავითად შეითხველს, სწორი დასკვნები გამოეტანა და სწორედ ამოგხსნა იმა თუ იმ მარცხის თუ უბედური შემთხვევის გამოწვევი მიზეზები.

ძალზე ცოტაა საუბარი ქართველ და რუს ალბინისტთა შეგობრობაზე, რომელსაც საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს ასევე, მერა ადგილა

უნდა დამოშობოდა ჩვენი სახელწილი ქართული მოამსვლელი ქალების საქმიანობის ჩვენებას. წიგნში ზოგან სწერია „გადასახველი“, ზოგან „ელეღებილი“; ხან „ექსპედიციის უფროსი“, ხან „ექსპედიციის ხელმძღვანელი“. მწვერვალთა სიმაღლეები ზოგჯერ აღნიშნულია და ზოგჯერ არა. ბრუნული მგროვებ მოამსვლელთა გვარები და სახელები, ვიგალითად, უნდა იყოს მ. უსანოვი და არა მ. უსანენკო, ნ. კორტიძე კი არა — ნ. კორტიკაძე, ასევე, ზოგან სწერია კაკო მარი, ზოგან კი ივანე მარი.

ბიულეტრაციების უმრავლესობა თავის ადგილზე არ არის მოთავსებული. გარდა ამისა, ზოგიერთი სურათი ცუდად არის დაბეჭდილი და ძნელი გასარკვევია რა არის გამოსახული. წიგნის ნაკლად მიგვეჩინია ისიც, რომ მის თან არ ახლავს კავკასიონის რუკა. ისეთი ხასიათის ნაშრომისათვის რუკის დართვა არათუ საჭირო, არამედ აუცილებელიც იყო. ასევე, წიგნში შეიკრე რაოდენობით არის მოცემული ასვლების სქემები, ზოგიერთ მათგანზე კორექტორული შეცდომებიც გაბარდა.

21-ე გვერდზე ავტორები სწერენ: „აქვრ ვიდე ვაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე, რომელი ილია ქავეჯავის რედქტორობით გამოვიდა, 1889 წლის განმავლობაში მასში იბეჭდებოდა წერილების მთელი სერია სათაურით „იბუღუის ვარშევი“. როგორც ცნობილია ილია ქავეჯავის ყოველკვირული ვაზეთი „ივერია“ 1879 წელს, ყოველთვიურ თერძულად გადავიდა. ასე რომ, 1889 წლისათვის „ივერია“ ვაზეთი კი აღარაა, არამედ უნდა იყოს. წიგნში შეინიშნება ენობრივი შეცდომებიც „ისეთი ქარი ამოვარდა, რომ კაცო ზეზე ვერ ჩერდებოდა“ (გვ. 102). „დარს პირი გამოვრნდა“ (გვ. 102) „გამოდარების ლინინზე კი ფიქრიც არ შეიძლებოდა“ (გვ. 103) „სუფთა ყინულად ქვეულს, ფხასავით (?) შექქმნოდა (?)“ (გვ. 105) და სხვ.

წიგნის ინტერესით წაიკითხავენ არა მარტო მოამსვლელი — სპორტსმენები, არამედ ამ საქმით დაინტერესებული მეთხველებიც.

ბ. ღარსაძე

ალექსანდრე ყაზბეგი სენაზე

„ალექსანდრე ყაზბეგი სენაზე“ — ეს თემა დღეიდან ხანა ელოდა თავის მკვლევარს — და როდენი პირსახელი ვადიტიანა ამ შიმე გზაზე — ყოველივე ამის შესახებ მკვერმეტველურად მოგვითხრობს ალ. ბურთიაშვილი თავის მონოგრაფიაში“, — წერს წიგნის რედაქტორი გ. ნატროშვილი. და მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ ა. ყაზბეგი ავტორია სახალხო დრამის „არსენის“, „ქვეთანი დელოფისა“ და კიდევ რამდენიმე ვოდველია. ვიცით იმიტომ, რომ ჩვენ მსახიობებს წინათ ხშირად ვგონებოდა ა. ყაზბეგის პიესებში თამაში. მაგრამ ის კი არ ვიცოდით, რა პიროვნებაში ვადიტიანა ამ მწერალმა, როგორც დრამატურგმა და მსახიობმა, რაოდენი პრეტენზია მოუხდა, რომ მის პიესებს ეხალათ სენა და ყოველივე ამის ეცნობა მეთხველი ალ. ბურთიაშვილის საბეჭდო წიგნში.

წიგნის პირველი თავი ეძღვნება ყაზბეგის დრამატურგობის ავტორი ავტორებს, თუ რა პირობებში უხდებოდა მუშაობა ყაზბეგს, როგორც დრამატურგს. „როცა ყაზბეგის დრამატურგობის განვიხილავთ, არ უნდა დავივიწყოთ, რა პირობებში და როგორ იწერებოდა ეს პიესები. მისი კალმის ყოველ ნაშრომში დარს კრიტიკოსთა ერთი ნაწილი დარჩებოდა და ნაწილების გამოშვებებისათვის იერიშები იწყებოდა.

ვინა ადვილია დრამატურგობის, ამ ურთულესი განარის, სრული დაუფლება მაშინ, როცა გრძნობ, რომ რეცენზენტები ჩასაფრებულნი

არიან და მზად არიან დასაბოლოონ „კვი მავას“. მიუხედავად ამისა, ყაზბეგს კალამი ზელიდან არ გაუვლია, ინტენსიურად განაგრძობდა ამ დარგში მუშაობას“ (გვ. 39).

შემდეგი თავი ეძღვნება ა. ყაზბეგის ნაწარმოებთა ინსცენირებას და ეკრანიზაციას. წიგნის პირველი ორი თავი ერთგვარი შესავალი მესახე თავისა, რომელიც ეძღვნება ა. ყაზბეგის მსახიობობას. ლიტერატურაში მტკიცედ არის დამყვიდრებული აზრი, რომ დიდი ბელეტრისტი ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც მსახიობი, სუსტი იყო. წიგნის ავტორი ამის არ უარყოფს. ძველდ თეატრებში მსახიობები აშკლავს მიხედვით იყვნენ დაყოფილი, ალექსანდრე ყაზბეგს დაკისრებული ჰქონდა „ეფნ-პრემიერების“ როლები განსახიერება. ამ როლებსათვის კი საჭირო იყო, პირველ ყოვლისა, კარგი სცენური გარეგნობა. იმ პერიოდში კი ალ. ყაზბეგისათვის კარგი გარეგნობის მსახიობი დისში არ ყოვილა — ამ ხასიათის როლებს მსახიობის სქირდება, აგრეთვე, იყოს პლასტიკური. ყაზბეგი რომ იშვიათი პლასტიკის მსახიობი იყო, ესეც დასტურდება. ხმაც საუცხოო და ტემბიც ჰქონდა. ამ ასეთი მსახიობი გამოდნის სენაზე, და რეცენზენტები აღნიშნავენ: „ვიც ვიცი, რა უბედურია, რა ძნელია მოსიყვარულე ახალგაზრდა ვაჟის (ენეპრემიერის) როლი, ის დავვეთანებება, რომ ა. მოხვედ ამ როლს ურიგოდ არ ასრულებდა, და ის კი უმეველია, რომ ახალგაზრდის ჩვენს ტრუპაში, ამგვარი როლს იმისათვის ვერც ერთი ვერ ითამაშებს“ (გვ. 60—61). ასეთივე დადებითი შეფასებას აძლევს ა. ყაზბეგს

ალ. ბურთიაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი სენაზე. „ხელოვნება“ 1955.

დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი: „მოხვევმ ექ, სადაც მწელია საზოგადოდ თიანში, ე. ი. სიყვარულისა და ტრფიალისა როლში, სამაგალითოდ თიანშია“. გავიდა ხანი. რეცენზენტებთან პირად წაინკლავების გამო უცბად გვზი იცვალეს რეცენზენტებმა და აუგის პეტს არაფერს ამბობდნენ წიგნის ავტორის მოკვას აღუქსანდრე ვერცენის სატყუები: „ვის აქვს უფლება დაწერარ მოგოვებანი? ყველას, იმიტომ რომ არავინ არ არის ვ. ლდებელი წაითხობს ის“, და დასკვნის: „დიდი მოაზროვნის თქმა უდავოა. მაგრამ ვანა შეიძლება იგივე ითქვას რეცენზენტზე? ვანა ყველას აქვს უფლება იყოს რეცენსენტო? რეცენზია ხომ მოგონება არ არის, რომ სავალდებულო არ იყოს მისი წაითხვა. რეცენზიის ვეველი კითხულობს — როგორც სპექტაკლის მონაწილენი, ისე მისი დამსწრენი. შეითხველთა კონტრინგენტი რეცენზენტი უზრუნველყოფილია. ადილი წარმოსადგენია შეფასების უნარ-მოკლებული კაცის აზრი (თუ ამას აზრი ეწოდება) როგორ დააბნევს მკურნებელს. რეცენზენტი მკურნებულზე მადლა, შემოქმედზედაც მადლა უნდა იდგეს თავისი ცოდნით, ის გზის გამყოფავი უნდა იყოს, სწორა ირიცნაკეთის მინებებელი. მან გარკვევ უნდა იცოდეს ის სავანი, რაზეც წერს და რასაც ენება. თვტარაღური კრიტიკოსი პროფესიონალი უნდა იყოს. არცერთ დარგში დიდებანტს იმდენი ვნებას მოტანა არ შეუძლია რამდენიც უეიც რეცენზენტს“. (გვ. 52)

ავტორის მოკვას ალ. ყაზბეგის თიანში უმარტებლო შეფასების მიელი რიგი მკვალითევი. წიგნი მექი საღებავებოთ დებატურლია შეველი მსახიობის პირობები: „ა. ყაზბეგი“ შევილი იყრ იმ ეპოქისა, როცა სამართალს მართაბა წყვეტდი და ყოველი თავისუფალი სიტყვა იდეენებოდა. ჩვენი ეპოქის შვილი ამბათ გუეკინით, რა ყოფაში იყო ძველით მწერალი, მსახიობი, ზელოვნების მუშაქი. დღეს მწერალი სულის ინეირად არის აღიარებული, მსახიობი ხალხის მსახურად. ზელისუფლება ყოველ დღიურ მზრუნველობას არ აყლებს ზელოვნების მუშაქი. მსახიობის, მწერლის, ზელოვანის პროფესია საიამყო, ისევე როგორც ყველა საქმიანობა, რომელიც კი ხალხის საყუთლელოდ არის მისმართული. ალ. ყაზბეგის დროს კი სულ სხვა იყო. რა იყო ნიშნდობლივი თვისება მსახიობის ცხოვრებისა. შიმშილ-მწურევილი, აბუიად ავდება“ (გვ. 101).

უკანასკნელი თივისთვის ავტორის მართებულად „ტრაგედიის დასასრული“ უწოდებია. მართლიც შეუძლებელია გულდამშვიდებით წაიკითხო ის ადგილები, რომლებიც დიდი ბელეტრისტის უკანასკნელ დღეებს ეხება.

დიდი ხანი ისტორიას ჩაბარდა ალ. ყაზბეგის დრო. მაგრამ ჩვენი ბედნიერი თიობა სიყვარულით და მოწინებით ვიხსენებს ყაზბეგს — დიდ მწერალს, ტანჯულ ადამიანს უმართებულო კრიტიკის მსხვერპლს.

შაჰრო გომელაური.

მაო ძე-დუნის რჩეულ ნაწარმოებთა პირველი ტომი

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ზელმძღვენლის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის ნაწარმოებების გამოცემას უდარესად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებისათვის, არამედ მიელი სამკოთა ხალხისათვის, მიელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

მაო ძე-დუნის ნაწარმოებებში მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან განზილულია ჩინეთის კომუნისტური პარტიის გმირული გზა და ჩინეთის დიდი რევოლუციის ისტორია, გარკვეულია ჩინეთის კომუნისტური პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა რევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე, მოცემულია პარტიის ძირითადი ლოზუნგები, კრიტიკის ქარცეხელშია გატარებული პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრები.

მაო ძე-დუნის რჩეულ ნაწარმოებთა პირველ ტომში მოთავსებულია 1926 წლის მარტიდან 1937 წლის ივლისამდე დაწერილი სტატიები. ტომში შესული ნაწარმოებებში განზილულია ჩინეთის რევოლუციის ორი პერიოდი და ამის მიხედვით წიგნი გაყოფილია ორ ნაწილად:

„პირველი სამოქალაქო რევოლუციური ომის პერიოდი“ და „მეორე სამოქალაქო რევოლუციური ომის პერიოდი“. პირველი პერიოდი მოიცავს 1924 — 1927 წლებს, მეორე — 1928 — 1937 წლებს.

პირველი სამოქალაქო რევოლუციური ომის პერიოდისადმი მიძღვნილია მაო ძე-დუნის ორი სტატია: „ჩინეთის საზოგადოების კლასების შესახებ“ (1926 წლის მარტი) და „მოხსენება ზუნანის პროვინციაში გლეხთა მოძრაობის გამოკვლევის შესახებ“ (1927 წლის მარტი).

სტატიაში „ჩინეთის საზოგადოების კლასების შესახებ“ მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე დაფრდნობით მაო ძე-დუნმა გვიჩვენა, რომ ჩინეთის საზოგადოება შედგება: 1) მემამულეთა კლასისა და კომპრიადორული ბურჟუაზიისაგან; 2) საშვილო ბურჟუაზიისაგან, რომლისაგან, როგორც მაო ძე-დუნმა სწორად განუკვირია, ერთნი წავლენ მარქნიერ-რევოლუციისაკენ, სხვები წავლენ მარჯენიერ-კონტრრევოლუციისაკენ; 3) წერილი ბურჟუაზიისაგან: შესაკურთვ გლეხები, სახელოსნო ნაწარმოთა მფლობელნი, ინტელიგენციის დაბალო ფენები და სხვ.; 4) ნახევრად პროლეტარიატისაგან: ნახევრადმოიჯარე გლეხთა დიდი უმრავლესობა, ღარიბი გლეხები,

მაო ძე-დუნი. რჩეული ნაწარმოებები. ტომი 1. სახელგამი. 1955.

წერილი ხელისნები, ნოქრები, ქუჩაში მოვატყურენ; და 5) პროლეტარიატისაგან.

ჩინეთის საზოგადოების ამ შემადგენელი კლასების ეკონომიური მდგომარეობისა და რევოლუციისადმი მათი დამოკიდებულების მარქსისტული ანალიზის საფუძველზე მთა ძე-დუნი, იძლევა ძალთა თანფარდობის შემდეგ სურათს: „სამრეწველო პროლეტარიატი ჩვენი რევოლუციის ხელმძღვანელი ძალაა. მთელი ნახევარდ-პროლეტარიატი და წერაბი ბურჟუაზია ჩვენი უახლოესი მეგობრები არიან. მერყევი საშუალო ბურჟუაზიის შემარჯვენე ფრთა შეიძლება ჩვენი მტერი იყოს, ხოლო მისი შემარცხენე ფრთა— ჩვენი მეგობარი; მაგრამ ჩვენ ყოველთვის ფხიზლად უნდა ვიყოთ და არ მივიცო საშუალო ბურჟუაზიას შესაძლებლობა — მოახდინოს ჩვენი ფრონტის დეზორგანიზაცია“ (გვ. 17).

მთა ძე-დუნი პროლეტარიატის ჰეგემონიის საკითხს იხილავს როგორც ცენტრალურ საკითხს, რომლისაგან დამოკიდებულია ჩინეთის რევოლუციის ბედი. თუმცა პროლეტარიატი შტორტირებოვანი იყო (1927 წელს იგი ორ მილიონს უდრიადა), მაგრამ „სწორედ იგი, — წერდა მთა ძე-დუნი, — ასახერხებს ახალ საწარმოო ძალებს და წარმოადგენს თანამედროვე ჩინეთის უადრესად პროგრესულ კლასს, რომელიც რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელ ძალად იქცა“ (გვ. 24—25). გლუბობა პროლეტარიატის ყველაზე უფრო მასობრივი და ერთგული მოკავშირეა ანტიიმპერიალისტურ და ანტიფეოდალურ რევოლუციამო.

„მოხსენებაში ხუნანის პროვინციაში გლუბთა მოძრაობის გამოყვლევის შესახებ“ მხილებულთა შემარჯვენე ოპორტუნისტები, რომლებიც სწორად ვერ აფასებდნენ და მხარს არ უჭერდნენ გლუბობის რევოლუციურ მოძრაობას. საკუთარი დაკვირვების შედეგად შეგროვილ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით მთა ძე-დუნი გვიჩვენებს გლუბობის რევოლუციურ გაქანებას და ასახელებს აგრარულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მძლავრი აღმავლობის იუცილებლობას. „გაივლის მეტად მცირე ხანი, — წერდა იგი, — და ცენტრალურ, სამხრეთ და ჩრდილოეთ ჩინეთის ყველა პროვინციაში ასეულ მილიონობით გლუბი აღდგება; თავიანთ წინადადებაში ისინი იქნებიან სწრაფი და უძლეველი, როგორც გრივალი, და ვერავითარი ძალა მათ ვერ შეაკავებს. ისინი გაგლეჯენ მათს შემხარკვე ყველა ხუნდებს და გასწევენ განათვის-ფულუბისაკენ“ (გვ. 36). მთა ძე-დუნის ეს სიტყვები წინასწარმეტყველური გამოდგა.

პირველი საშოქალაქო რევოლუციური ომის პერიოდის ნაშრომებში მთა ძე-დუნმა ნათელყო ჩინეთის თავისებურებანი: კოლონიური მდგომარეობა, ქვეყანაში იმპერიალისტებისა და ფეოდალური ვჭდნაშოების ბატონობა, ამიტომ ჩინეთის რევოლუციამ ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური ხასიათი მიიღო. მთა ძე-დუნმა

განაღებურა მტრული ოპორტუნისტული შეხედულებები, დასაბა აგრარული მოძრაობის განვითარების გზა. მარქსისტულად გადწყვეტა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლისა და გლუბობის, როგორც მოკავშირის, საკითხი, თანმიმდევრულად გააშუქა ჩინეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები.

მთა ძე-დუნის მიერ ჩინეთის რევოლუციის ხასიათის განსაზღვრა მთლიანად ეყარება მარქსისტულ-ლენინური დებულებას ჩინეთში რევოლუციური ბრძოლის შესახებ: „ამჟამად, — წერს მთა ძე-დუნი, — ჩინეთი მართლაც უკრ კიდევ განიცდის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპს. თანმიმდევრული დემოკრატიული რევოლუციის პროგრამა ჩინეთში თითაღისწინებს: საგარეო პოლიტიკის დარგში — იმპერიალისტების ბატონობის დამხობას და სრულ ეროვნულ განთავისუფლებას; საშინაო პოლიტიკის დარგში — კომპრადორული ბურჟუაზიის ლიკვიდაციას ქალაქად, აგრარული რევოლუციის დამთავრებას, ფეოდალურ ურთიერთობათა განადგურებას სოფლად და მილიტარისტთა მთავრობის დამხობას. მხოლოდ ასეთი დემოკრატიული რევოლუციის შედეგად შეიძლება შეიქმნას ნამდვილი საფუძველი სოციალიზმში გადასვლისათვის“ (გვ. 165—166).

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ, აგრარული რევოლუციის აღმავლობისა და სოფლად მოწინააღმდეგის სისუსტის გათვალისწინებით, შერარაღებული ძალების დახმარებით, გაიხლა ბრძოლა სოფლად რევოლუციური ბაზების შექმნისათვის. 1927 წელს ზამთარში პირველი რევოლუციური ბაზების შექმნა წარმოადგენდა ჩინ კაი-ის კონტრრევოლუციური ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ სტრატეგიულ ღონისძიებას. ამხანაგი მთა ძე-დუნი ხაზს უსვამდა ასეთი რევოლუციური ბაზების უდიდეს მნიშვნელობას, ვინაიდან იმ ბაზების არსებობა მშრომელ მასებს საბოლოო გამარჯვების რწმენას უნერგავდა. თუ ჩვენ შევიწინარუნებთ ამ ნაპერწყლებს, აღნიშნავდა იგი, მაშინ აინთება რევოლუციური ხანძარი მთელს ჩინეთში.

სტატიაში „არატომ შეუძლია არსებობა წითელ ხელისუფლებას ჩინეთში?“ განხილულია ჩინეთში არსებული წითელი ხელისუფლების ძირითადი პრობლემები. 1927—1928 წლებში წითელი ხელისუფლების ორგანიზების შექმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ზალხთა ფართო მასების შეიარაღებული გამოსვლების შედეგად.

ამხანაგი მთა ძე-დუნი იძლევა ჩინეთში წითელი ხელისუფლების აღმოცენებისა და არსებობის ღრმა მეცნიერულ ანალიზს.

ნაშრომებში დიდი ადგილი აქვს დამომობილი კომუნისტური პარტიის მუშაობას წითელი ხელისუფლების ორგანიზებაში. კერძოდ, აქვს მიუძღვნა ამხანაგი მთა ძე-დუნის სიტყვა „უფრად-ღება სამეურნეო მუშაობას“ (1933 წლის აგვის-

ტო) და საბოლოო სიტყვა მუშათა და გლეხთა დებულებების სრულიად ჩინეთის II ყრილობაზე 1934 წლის იანვარში ძიანსის პროვინციის ქ. ჟუძინში.

პირველ ტომში შესულ რიგ ნაშრომებში მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან დაშვებულა ჩინეთში რევოლუციური ომის თეორიული საკითხები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაშრომი „ჩინეთის რევოლუციური ომის სტრატეგიული საკითხები“, სადაც მოცემულია ორი საშოკალაქო რევოლუციური ომის სამხედრო გამოცდილების განზოგადება. აღნიშნულ ნაშრომში მათ ძე-დუნი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთის საშოკალაქო ომის გამოცდილებას.

მათ ძე-დუნი თავის ნაშრომებში ხაზს უსვამს ისტორიაში ხალხთა მასების ვადამწყვეტი როლის საკითხს. ამ მხრივ საინტერესოა მისი სტატია „მეტი ზრუნვა ხალხის ცხოვრებაზე, მეტი ყურადღება მუშაობის მეთოდებზე“. ავტორი რუსეთისა და ჩინეთის ხალხების რევოლუციური ბრძოლის მაგალითებზე დაუბრუნდება ნათლყოფს, რომ „ხალხი, ხალხის მრავალმილიონიანი მასები... ეს არის ნამდვილი ურვევი კედელი, რომელსაც ვერასოდეს ვერ დაანგრევენ, ვერაფრითაა ძალა ვერ დაანგრეს“ (გვ. 268).

ნაშრომში „იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკის შესახებ“ (1935 წ.) გატარებულია ერთიანი ნაციონალური ფრონტის შექმნის ტაქტიკა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეისათვის მათ ძე-დუნის მიერ სტატიაში ჩან კაი-შის, და ნაციონალური გამყვინის მხილვას. „მათ (ლაბარაკია ჩან კაი-შის გამყიდველთა ხროვაზე — ნ. შ.) უკვე თვით დააყენეს თავი ერის ვარჯიშე, მათი ინტერესები განუყრელია იმპერიალისტების ინტერესებისაგან... ისინი იმპერიალისტთა ლაქიები არიან“ (გვ. 277—278).

მოხსენებაში, „ჩინეთის კომუნისტური პარტიის ამოცანები ანტიიპონური ომის პერიოდში“, იაპონიასთან ომის წინ ჩინეთის ბურჟუაზიის სხედასხვა ფენების ღრმა შეცნიერული ანალიზის საფუძველზე, მათ ძე-დუნი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სასვებით შესაძლებელია ეროვნული ბურჟუაზიასთან და მსხვილი კომპრადორული ბურჟუაზიის ცალკეულ წარმომადგენლებთან ერთიანი ანტიიპონური ფრონტის შექმნა. ამხანაგი მათ ძე-დუნი აგრეთვე მოთხოვდა კავშირის დამყარებას ჩინეთის ერთიანი ანტიიპონური ნაციონალურ ფრონტსა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ფრონტს შორის. ჩინელი ხალხის ბრძოლის დამოუკიდებლობისათვის იგი იხილავს როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლის ნაწილს. ამასთან ამხანაგი მათ ძე-დუნი ჩინელ ხალხს მოუწოდებს აგრეთთანდგას ჩინელი ხალხის უცვლელ და სა-

უკეთესო შეგობართან — საბჭოთა კავშირთან“ (გვ. 474).

ავითარებს რა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დემოკრატიული რენანუბლიკის შესახებ, მათ ძე-დუნი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჩინეთში ასეთი რესპუბლიკა „უნდა იქცეს სიხელმწიფოდ, რომელიც დაემყარება მუშების, გლეხების, წვრილი ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიის კავშირს — სწორედ ამაშია მისი განსხვავება სხვა რესპუბლიკებთან ბურჟუაზიული რესპუბლიკისაგან“ (გვ. 494). ამ რესპუბლიკისათვის, აღნიშნავდა მათ ძე-დუნი, არსებობს შესაძლებლობა სოციალიზმის გზაზე გადასასვლელად.

დიდი სიყვარულით დაპატიჟებს მათ ძე-დუნიც, საბჭოთა კავშირზე — გამარჯვებული სოციალიზმის დიად ქვეყანაზე, რომელთანაც დაევიწროებულია ჩინელი ხალხი და რომლის ისტორიულ გამოცდილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩინეთის დემოკრატიული გარდაქმნათვის.

მ. დუნის რჩეულ ნაწარმოებთა პირველი მთავრდება ფილოსოფიური ნაშრომით „პრაქტიკის შესახებ. შემეცნების კავშირი პრაქტიკასთან — ცოდნის კავშირი მოქმედებასთან“ (1937 წ.) ნაშრომის მიზანია შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის პოზიციებიდან ამხილოს დოგმატიზმის და ემპირიზმის განსაკუთრებით კი დოგმატიზმის მიმდევრების სუბიექტივისტური შეცდომები. აქ დახასიათებულია შემეცნების მატერიალისტური თეორია, აგრეთვე განხილულია შემეცნების პროცესში რევოლუციური პრაქტიკის როლი და სხვ.

რამდენიმე სიტყვა წიგნში ზოგეფრთი ტერმინის თარგმნის შესახებ. ზმირად მთარგმნელბი ერთსა და იმავე ტერმინს სხვადასხვანაირად თარგმნიან. ასეთია, მაგალითად, ტერმინი „Производительные силы“. მე-16 გვ. იგი თარგმნილია როგორც „მწარმოებლური ძალები“, ხოლო 24-ე გვ. როგორც „საწარმოო ძალები“. 535-ე გვ. კვლავ „მწარმოებლური ძალები“. „Производительные отношения“. თარგმნილია როგორც „წარმოებითი ურთიერთობები“, ზოგჯერ კი როგორც „საწარმოო ურთიერთობები“. მაგრამ მე-16 გვერდზე კი იგივე ტერმინი ორნაირად არის თარგმნილი: „წარმოებითი ურთიერთობები“ და „საწარმოო ურთიერთობები“. „Рабочая сила“ — „სამუშაო ძალა“ არის (გვ. 22, 26) და „მუშა ძალა“ (გვ. 244, 245). სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში რიგი ტერმინები ქართულ ენაზე ჯერ კიდევ არაა დადგენილი. ამის გამო, რომ მთარგმნელები ზმირად საკუთარი მოსაზრებებით თარგმნიან ამა თუ იმ ტერმინს, რაც იწვევს ტერმინების აღრევას. მიუხედავად ამისა, მთლიანად თარგმანი კარგადაა შესრულებული.



ახალი წიგნები

სახელწიფო გამომცემლობა

- ილია ჭავჭავაძე — ტომი 6, ცხოვრება და კანონი. რედ. პ. ინგოროყვა, გვ. 303, ფასი 20 მან.
 ვაჟა-ფშაველა — ტომი 7, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, კორესპონდენ-
 ციები. რედ. პ. ინგოროყვა, გვ. 439, ფასი 10 მან.
 მ. გორკი — ტომი 1, მოთხრობები და ლექსები. რედ. დემნა შენგელია. გვ. 510, ფასი 14 მან.
 ოთარ ჩხეიძე — ჯგუზი. რედ. ო. ჩხეიძე, გ. ზუხაშვილი. გვ. 240, ფასი 6 მან. 60 კაპ.
 გიორგი შერკვილაძე — პოეზია და ხალხი. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 204, ფასი 4 მან. 50 კაპ.
 ოთარ კუპრაძე — ლექსები. რედ. ბ. შირცხულავა. გვ. 58, ფასი 1 მან. 20 კაპ.
 პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. (დოკუმენტების კრებული)-გვ. 908,
 ფასი 14 მან.
 ახალგაზრდობაზე, ახალი გმირობისათვის, საბჭოთა სამშობლოს შემდგომი აუვაგებისათვის —
 გვ. 50, ფასი 50 კაპ.
 ნ. ტ. კვარაცხელია — სუბტროპიკული ხილის უნივერსალური და მისი გადიდების აგროტექ-
 ნიკური საშუალებები. რედ. ტ. კვარაცხელია, გვ. 46, ფასი 60 კაპ.
 რეზი გაჩეჩიაძე — როგორ მივიღოთ მის ფოთლისა და თამბაქოს უხვი მოსავალი. რედ. თ. ჯინ-
 კიხაშვილი, გვ. 16, ფასი 15 კაპ.
 შ. ქაიხაშვილი — სიმინდის მაღალი მოსავლის აგროტექნიკა. რედ. ქ. თავაძე. გვ. 84, ფასი 1 მან.
 10 კაპ.
 მეფობის წყობა — რედ. ნ. ინთაძე. გვ. 352, ფასი 5 მან.
 ნ. მ. ხომიჯორაშვილი, ვ. ა. ქიპაშვილი — მეხილეობა. რედ. ი. მაღალაშვილი. გვ. 284,
 ფასი 4 მან. 90 კაპ.
 ტრაქტორისტისა და კომბაინერის სამახსოვრო — რედ. ი. ზოხლოვი. გვ. 248, ფასი 5 მან. 50 კაპ.

საგალიტაში

- მ. გორკი — პაპა ბრძივი და ლიონკა. თარგმანი ეთერ კანდელაკისა. რედ. დ. შენგელია.
 გვ. 28, ფასი 1 მან. 50 კაპ.
 ირაკლი აბაშიძე — რას ვადაურჩა თბილისი. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 60, ფასი 4 მან.
 გიორგი ნატროშვილი — ყაფანდარა. რედ. მ. ჭავჭავაძე. გვ. 24, ფასი 1 მან. 30 კაპ.
 ნინო ბეზარაშვილი — მზიანი დღე. რედ. ნ. კალანდარიშვილი. გვ. 76, ფასი 2 მან.
 მ. პრილევაევა — ეოლგაზე. თარგმანი ელენე გოგოლაშვილისა და ნონა კალანდარიშვილისა.
 რედ. ვალ. ძიძიგური. გვ. 495, ფასი 10 მან. 70 კაპ.
 პეტრას ცვირკა — მოთხრობები, ზღაპრები. თარგმანი შალვა გვინჩიძისა. რედ. ნ. კალანდარი-
 შვილი. გვ. 252, ფასი 6 მან. 50 კაპ.
 ე. ი. ილია — მეთაზე სიმბოლე. თარგმანი თ. აბაშაძისა. რედ. ვალ. ძიძიგური. გვ. 252,
 ფასი 7 მან. 40 კაპ.
 ბორის ვიტკოვი — რა ვნახე. თარგმანი ქ. ფირცხალიშვილისა. რედ. ვ. კეღელიძე. გვ. 222, ფასი
 11 მან. 20 კაპ.
 ა. მალინიჩა — მარინას ცხოვრების გზა. თარგმანი თამარ თეთრაძისა. რედ. ა. დობნაძე. გვ. 158,
 ფასი 4 მან. 10 კაპ.
 ა. მუსატოვი — სახლი მთაზე. თარგმანი ნონა ახალაძისა. რედ. ა. ვაბესკირია. გვ. 434, ფასი
 9 მან. 35 კაპ.
 ვლადიმერ ჯიბუტი — ირაკლი აბაშიძე. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 52, ფასი 85 კაპ.
 გ. ფანა — საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში. რედ.
 გ. ბანძელიძე. გვ. 114, ფასი 3 მან.



საქართველოს
საბჭოთაო გამომცემლობა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ